ეროვნული ბიბლიოთეკა

ISSN 0132-6023

# ცისკარი

9

1982

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცისკარი

303

გამოცემის ოცდამეექვსე წელი

9

სექტემბერი

1982

თბილისი

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობა

ლიტერატურულ-მხატვრული და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტისა და მწერალთა კავშირის ორგანო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# შინაარსი


3. სკკპ ცენტრალურ კომიტეტში
7. ახალი დადგენილება — ახალი მიზნები!

სსრკ — 60

9. იან კუპალა, კნუტ სკუიენიეკსი, ჯუბან მულდაგალიევი, ვლადიმირ ბეეკმანი ევფრატ სევქარეცი — ლექსები. თარგმნეს: თედო ბექიშვილმა, რენე კალანდიამ, ბათუ დანელიამ, თეიმურაზ აბულაძემ, ზეზვა მედულაშვილმა

პროზა და პოეზია

14. გურამ დოჩანაშვილი — ბანსმდგომი შუაკაცი. მოთხრობა
41. მედეა კახიძე — ლექსები
43. დავით მჭედლური — ლექსები
46. გულო კობიაშვილი — მოთხრობები
59. ბელა შალვაშვილი — ლექსები
63. ჯემალ ქარჩხაძე — ქარავანი. რომანი. დასაწყისი
114. ჯუმბერ ტიკარაძე — სასწაულები. რომანი. გაგრძელება

წერილები

131. ვლადიმერ ალფენიძე — ტრადიციული ნოვატორი
140. ამირან გომართელი — „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა...“
144. ალექსი ჭინჭარაული — „პირველითგან იყო სიტყუაჲ...“
150. როსტომ ჩხეიძე — საბურველს მიღმა
154. ლევან ბრეგაძე — „გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი“

სპორტი

156. დავით ჭელიძე — გზის გამკვალავი



მთავარი რედაქტორი
ჯანსუღ ღვინჯილია

სარედაქციო კოლეგია:

ჭაბუა ამირეჯიბი
თედო ბექიშვილი
მთავარი რედაქტორის მოადგილე
გივი გეგეჭკორი
გურამ გვერდწითელი
რისმაგ გორდეზიანი
გიორგი გუბლია
ნოდარ დუმბაძე
მერაბ ელიოზიშვილი
ვაჟა ლორთქიფანიძე
ოტია პაჭკორია
გურამ ფანჯიკიძე
მორის ფოცხიშვილი
ნუგზარ შატაიძე
ჯანსუღ ჩარკვიანი
ავთანდილ ჩხიკვიშვილი
პასუხისმგებელი მდივანი
სოსო ცინცაძე
გივი ძნელაძე
ნუგზარ წერეთელი
თამაზ წივწივაძე
ტარიელ ჭანტურია
რეზო ჭეიშვილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სკკპ ცენტრალურ კომიტეტში

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა მიიღო დადგენილება „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების შემოქმედებითი კავშირის შესახებ“

სსრ კავშირის მწერალთა კავშირი, მისი ბეჭდვითი ორგანოები, ნათქვამია დადგენილებაში, ახორციელებენ მნიშვნელოვან მუშაობას ხალხის ცხოვრებასთან, კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან ლიტერატორთა შემოქმედებითი კავშირის განვითარებისა და გაღრმავებისათვის. ეს ხელს უწყობს ლიტერატურული ძალების შემდგომ კონსოლიდაციას, აქტიურებს მწერალთა მონაწილეობას სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ ამოცანათა გადაწყვეტაში. გაიზარდა სსრ კავშირის მწერალთა კავშირის ჟურნალების როლი ლიტერატურული პროცესის ორგანიზაციაში.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ ჟურნალებში გამოქვეყნებული ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოგონებათა წიგნები, რომლებიც მკაფიოდ და შთამბეჭდავად ასახავენ სოციალიზმის მშენებლობის ჰეროიკას, საბჭოთა ადამიანების სულიერი სამყაროს სიმდიდრეს, სამშობლოს აღმშენებლობითი მიღწევების სიდიადეს, ქვეყნის საზოგადოებრივი ცხოვრების დიდმნიშვნელოვანი მოვლენა გახდა და ჩვენი ლიტერატურის შთამაგონებელ მაგალითად გადაიქცა.

პარტიული კომიტეტებისა და მწერალთა ორგანიზაციების ხელშეწყობით ჟურნალების რედაქციებს შემოქმედებითი თანამეგობრობა აკავშირებთ სამრეწველო საწარმოების, დიდი მშენებლობების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების კოლექტივებთან, არმიისა და ფლოტის მეომრებთან. მშრომელებთან კავშირი, ლიტერატურული საგუშაგოები, საშეფო მუშაობა უმნიშვნელოვანეს სახალხო-სამეურნეო ობიექტებზე, მკითხველებთან ერთად სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი ცხოვრების საკითხთა განხილვა თანამედროვე თემატიკით ამდიდრებს ლიტერატურას, ამაღლებს ჟურნალების პუბლიკაციების კომპეტენტურობის დონეს.

მკითხველთა ფართო ინტერესს იწვევს სტატიები და ნარკვევები მეურნეობრიობის დადებითი გამოცდილების, სოფლის სოციალური გარდაქმნის პრობლემების, გარემოს დაცვის შესახებ. ზოგიერთი მათგანის თაობაზე მიღებულია პარტიული და სახელმწიფო ორგანოების გადაწყვეტილებანი.

ამასთან სკკპ ცენტრალურ კომიტეტს მიაჩნია, რომ ლიტერატურული ჟურნალების მუშაობა გასაუმჯობესებელია. მწერალთა გაზრდილი საზოგადოებრივი აქტიურობა, პოლიტიკური მოწიფულობა და პროფესიული ოსტატობა ლიტერატურულ-მხატვრულ პრესას საშუალებას აძლევს უფრო სრულად გამოავლინოს თავისი შესაძლებლობანი კომუნისტური მშენებლობის ამოცანათა გადაწყვეტაში ხალხის კულტურული მოთხოვნილებების დაკმაყოფილებაში. მწერალთა ორგანიზაციები, ჟურნალების რედაქციები ჯერ კიდევ საკმარისად მტკიცედ როდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახამენ ნიჭიერ ლიტერატორებს აქტუალური მიმართულების ნაწარმოებებზე მუშაობაში. საბჭოთა ადამიანების ახალ თაობებს სჭირდება სულისკვეთებით და დროით ახლობელი დადებითი გმირი, რომელსაც როგორც მხატვრულ აღმოჩენას ისე აღიქვამენ, რომელიც გავლენას მოახდენს ადამიანთა ქცევაზე, გამოხატავს ხალხის ბედს.

ჟურნალების რედკოლეგიებმა, პარტიულმა ორგანიზაციებმა და ავტორთა აქტივმა, აღნიშნულია დადგენილებაში, უფრო მეტი პასუხისმგებლობით უნდა იმუშაონ, არ უნდა შევურიგდეთ იმას, რომ ზოგიერთ ჟურნალში გამოქვეყნებულია ნაწარმოებები რომლებშიც სამამულო ისტორიის, სოციალისტური რევოლუციის, კოლექტივიზაციის მოვლენები ისეა ასახული რომ სერიოზულად შორდება ცხოვრებისეულ სიმართლეს. ცალკეული პუბლიკაციები შეიცავენ აკვიატებულ, ზედაპირულ შეხედულებებს თანამედროვეობაზე. მთელ რიგ პერიოდულ გამოცემებში დაკნინებულია რედკოლეგიების როლი. ჟურნალების ხელმძღვანელები ყოველთვის როდი იჩენენ ჯეროვან მომთხოვნელობას ავტორებთან მუშაობაში. იბეჭდება ბევრი მხატვრული თვალსაზრისით სუსტი ნაწარმოები, რომლებსაც წვრილთემიანობა ახასიათებს.

ჟურნალების ფურცლებზე ჩნდება ისტორიულ-ლიტერატურული და ლიტერატურულ-კრიტიკული ნაშრომები, რომელთა ავტორები აშკარად ვერ ართმევენ თავს რთულ მასალას, ავლენენ მსოფლმხედველურ გაურკვევლობას, არ შესწევთ უნარი ისტორიული მკაფიო კლასობრივი პოზიციებიდან განიხილონ საზოგადოებრივი მოვლენები. ლიტერატურულ კრიტიკას ზოგჯერ აკლია გარკვეულობა და პრინციპულობა შეფასებებში.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, ლიტერატურული ჟურნალების ხელმძღვანელებს შემოქმედებითი მუშაკების მთავარი ყურადღება და მეცადინეობა, ლიტერატურული პრესის მხატვრული საშუალებები მოახმარონ საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირეულ საკითხებს, ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების გადამწყვეტ მიმართულებებს სკკპ XXVI ყრილობის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, სრულყონ შრომითს კოლექტივებთან კავშირი, ამასთან იხელმძღვანელონ იმით, რომ ამ მუშაობის მთავარი მიზანია ხელოვნების გამდიდრება აქტუალური ცხოვრებისეული შინაარსით, თანამედროვეობის შესახებ მაღალმხატვრული ნაწარმოებების შექმნა.

ლიტერატურულ-მხატვრულმა პერიოდიკამ, ნათქვამია დადგენილებაში, ფეხი უნდა აუწყოს დროს, შენიშნოს და მხარი დაუჭიროს ყოველივე ახალს, მოწინავეს საბჭოთა საზოგადოების ცხოვრებაში, განუხრელად იხელმძღვანელოს პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებით. მწერალთა ორგანიზაციებმა, ლიტერატურული ჟურნალების რედკოლეგიებმა უნდა წაახალისონ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის იმ კურსთან დაკავშირებული თემატიკა, რომელიც ითვალისწინებს ეკონომიკის ინტენსიფიკაციას, წარმოებითი ურთიერთობის სრულყოფას, სოციალისტური შეჯიბრების განვითარებას. საბჭოთა ეკონომიკის განვითარების ახალი ამოცანები განუყრელადაა დაკავშირებული საზოგადოებრივი ურთიერთობის მთელ სფეროსთან, ახალი ადამიანის ჩამოყალიბებასთან. ეს ფართო ასპარეზს უსახავს მხატვრულ შემოქმედებას.

დადგენილებაში აღნიშნულია, რომ სსრ კავშირის მწერალთა კავშირი და ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები უნდა დაეხმარონ შემოქმედებითს მუშაკებს განსაზღვრონ თავიანთი ადგილი და როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ამოცანათა რეალიზაციაში, სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის

ეროვნული ბიბლიოთეკა

განხორციელებაში. მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავე გამოცდილების დაჩქარებული განვითარების საფუძველზე სოფლის მეურნეობის გარდაქმნა ლიტერატორებს ავალებს მთავარი ყურადღება მიაპყრონ იმ რეალობათა მხატვრულ ათვისებას, რომლებიც დაკავშირებულია სოფლად წარმოებისა და ყოფა-ცხოვრების ახალი პირობების შექმნასთან. ლიტერატურას ბევრის გაკეთება შეუძლია იმისათვის, რომ ახალგაზრდობას ჩაუნერგოს მიწის, ბუნების, სოფლის, შრომის სიყვარული.

სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, ჟურნალების რედკოლეგიებსა და რედაქციებს, ლიტერატურულ კრიტიკას რეკომენდაცია მისცა უფრო აქტიურად დაუჭირონ მხარი მხატვრულ ძიებას სოციალურად მნიშვნელოვანი პრობლემატიკის სფეროში, დაამკვიდრონ საბჭოთა ადამიანის შესაფერი ცხოვრებისეული მიზნები, თანამიმდევრულად გამოააშკარავონ აპოლიტიკურობა და მუშტრის ფსიქოლოგია.

დოკუმენტში ნათქვამია, რომ მთელი შესაძლებლობანი უნდა გამოვიყენოთ მხატვრული სიტყვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის ასამაღლებლად, ისეთი მაღალი პატრიოტული ჟღერადობის ნაწარმოებთა შესაქმნელად, რომლებიც პოეტურად გამოხატავენ სამშობლოსადმი, პარტიის საქმისადმი სამსახურს. სოციალისტური რეალიზმის ხელოვნებისათვის არაფერია იმაზე უფრო დიდმნიშვნელოვანი ამოცანა, ვიდრე საბჭოთა ცხოვრების წესის, კომუნისტური ზნეობის ნორმების ისეთ მორალურ ღირებულებათა სილამაზისა და სიდიადის დამკვიდრება, როგორიცაა პატიოსანი შრომა ადამიანთა საკეთილდღეოდ, ინტერნაციონალიზმი, ჩვენი საქმის ისტორიული სიმართლის რწმენა. ჟურნალებმა უფრო სრულად უნდა ასახონ მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების მხატვრული გამოცდილება, ყურადღება მიაპყრონ მოძმე ლიტერატურების ნაწარმოებთა რუსულ და სსრ კავშირის ხალხთა სხვა ენებზე თარგმნის ხარისხს, ხელი შეუწყონ სოციალისტური ერების კულტურათა შემდგომ დაახლოებასა და ურთიერთგამდიდრებას, საბჭოთა მრავალეროვანი საზოგადოების იდეურ და პოლიტიკურ შეკავშირებას, სოციალისტური თანამეგობრობის ქვეყნების ხალხთა მეგობრობის განმტკიცებას.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირმა, მისმა ბეჭდვითმა ორგანოებმა უფრო ფართოდ უნდა მიიზიდონ საბჭოთა ლიტერატორები, საზღვარგარეთული კულტურის პროგრესული მოღვაწენი გამალებული შეიარაღების შეწყვეტისათვის, ხალხთა მშვიდობისა და უშიშროებისათვის, თერმობირთვული ომის საფრთხის თავიდან აცილებისათვის გამოსასვლელად, აღზარდონ მშრომელები საბჭოთა ხალხის რევოლუციურ მონაპოვართა დაცვისათვის მზადყოფნის სულისკვეთებით.

მხატვრული სიტყვა, აღნიშნულია დადგენილებაში, მუდამ იყო მეტად ბასრი იარაღი მარქსიზმ-ლენინიზმის გამარჯვებისათვის ბრძოლაში, ორი მსოფლიო სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში. პარტია დიდად აფასებს მწერალთა საერთაშორისო მოღვაწეობას, მათ უნარს ეწეოდნენ შემტევ პოლემიკას იდეურ მოწინააღმდეგესთან, მათ აქტიურ როლს ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში. პოლიტიკური რომანის, პუბლიცისტური ფილმის, დრამისა და პოეზიის დიდი წარმატება ცხადყოფს, რომ ეს მიმართულება მხატვრულ შემოქმედებაში შეესაბამება დროის მოთხოვნას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტი, სსრ კავშირის მწერალთა კავშირის, რესპუბლიკური კავშირების, ჟურნალების რედკოლეგიების ყურადღებას მიაპყრობს იმას, რომ საჭიროა კვლავაც განავითარონ მხატვრული პუბლიცისტიკა, ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა ლიტერატორებს. შემოქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მედებითი მივლინებები, რედაქციების დავალებებით პასუხსაგები მასალების მომზადება მათთვის შეიძლება გახდეს სერიოზული ცხოვრებისეული და პროფესიული სკოლა, სწორი გზით განავითაროს მათი ნიჭი.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის დადგენილებაში ხაზგასმულია, რომ საჭიროა ამაღლდეს ჟურნალების პირველადი პარტიული ორგანიზაციების როლი სარედაქციო კოლექტივების მუშაობაში. მათ აქტიური გავლენა უნდა მოახდინონ თემატურ დაგეგმვაზე, გამოქვეყნებული მასალების შინაარსზე, მონაწილეობა მიიღონ რედაქციების მუშაკთა კადრების შერჩევასა და აღზრდაში, უზრუნველყონ დაკისრებული საქმისათვის მაღალი პასუხისმგებლობის ატმოსფერო, ხელი შეუწყონ რედაქციების კოლექტივებში კრიტიკისა და თვითკრიტიკის განვითარებას.

მოკავშირე რესპუბლიკების კომპარტიების ცენტრალურ კომიტეტებს, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტებს, სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტს წინადადება მიეცათ ყოველდღიურად მიაპყრონ ყურადღება ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალების იდეურ-შემოქმედებით საქმიანობას. წაახალისონ ლიტერატორთა თანამეგობრობა ქალაქისა და სოფლის მშრომელებთან, საქმიანად გამოეხმაურონ ლიტერატურული პრესის გამოსვლებს, უფრო აქტიურად გამოიყენონ ჟურნალების პუბლიკაციები იდეოლოგიურ მუშაობაში.

სსრ კავშირის მწერალთა კავშირს, სსრ კავშირის გამსახკომს, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტთან და სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროსთან ერთად დაევალათ განახორციელონ ჟურნალების გამოცემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათი პოლიგრაფიული შესრულების, ტირაჟირების და გავრცელების შემდგომი სრულყოფის ღონისძიებანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ახალი დადგენილება—ახალი მიზნები!

ახალი დადგენილება ახალ შემართებას და შემოქმედებით ძალთა ძიებას მოითხოვს ჩვენი მწერლობისაგან. კომუნისტური მშენებლობის არნახული მასშტაბები, რომელთა შემსწრენი და უშუალო მონაწილენი ვართ უფრო მძაფრად და მაღალმხატვრულად უნდა აისახოს ჩვენს შემოქმედებაში. მწერალი აქტუალური მოვლენების შუაგულში უნდა ტრიალებდეს. ახალი დადგენილება გვავალებს უფრო მჭიდრო კავშირი ჰქონდეთ ლიტერატურულ-მხატვრულ ჟურნალებს „კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან“. ის დიდი და შესანიშნავი ტრადიციები.— შემოქმედებითი თანამეგობრობისა სამრეწველო საწარმოების, საბჭოთა მეურნეობების, კოლმეურნეობების კოლექტივებთან, საშეფო მუშაობა სახალხო-სამეურნეო ობიქტებზე, კიდევ უფრო უნდა გაფართოვდეს და გაძლიერდეს, რათა დროის რიტმს არ ჩამორჩნენ ლიტერატურულ-მხატვრული ჟურნალები. სწორედ თანამედროვეობის უაქტუალურესი თემატიკის წინა პლანზე წამოწევა, დღევანდელი ცხოვრების მხატვრული ასახვაა ლიტერატურის ხალხურობის სათავე.

გადასაჭრელი პრობლემა მრავალია, გავიხსენოთ ზოგიერთი მათგანი: თანამედროვე სოფლის პრობლემები, სასურსათო პროგრამა, გარემოს დაცვის აუცილებლობა და მრავალი სხვა. პრობლემებს, რომელთაც დრო გვკარნახობს, მწერალთა გულისხმიერი, საქმიანი გამოხმაურება ესაჭიროება. საბჭოური ცხოვრების წესი გვავალებს, „რომ მთელი შესაძლებლობანი გამოვიყენოთ მხატვრული სიტყვის აღმზრდელობითი მნიშვნელობის ასამაღლებლად“.

განა შეიძლება თანამედროვე საბჭოთა მწერალი გულგრილად უყურებდეს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არნახულ შედეგებს, ჩვენი ხალხის შრომით წარმატებებს?! მწერალი არა მარტო შორიდან მჭვრეტელი, არამედ აქტიური მონაწილე უნდა იყოს, კომუნისტური მშენებლობის ფართო და ყოვლისმომცველი პანორამისა.

„სსრ კავშირის მწერალთა კავშირი და ლიტერატურული ჟურნალების რედაქციები უნდა დაეხმარონ შემოქმედებითს მუშაკებს განსაზღვრონ თავიანთი ადგილი და როლი სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1982 წლის მაისის პლენუმზე ამხ. ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში ჩამოყალიბებულ ამოცანათა რეალიზაციაში. სსრ კავშირის სასურსათო პროგრამის განხორციელებაში“. სასურსათო პროგრამა დღევანდელობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი და დროულად გადასაწყვეტი პრობლემაა. ჩვენ, ქართველ მწერლებს, გვევალება უფრო ახლო კონტაქტი გვქონდეს სოფლის მშრომელებთან, უფრო ახლოს გავიცნოთ და მკითხველთა ფართო მასებს გავაცნოთ მოწინავე კოლმეურნეთა შრომითი საქმიანობა, მათი მიღწევები და გამოცდილება.

დღეს, როგორც არასდროს ისე დაიძაბა საერთაშორისო პოლიტიკური ვითარება; ამგვარ სიტუაციაში გაორმაგებული სიფხიზლე გვესაჭიროება. „ორი მსოფლიო სისტემის იდეოლოგიურ ბრძოლაში, პარტია დიდად აფასებს მწერალთა საერთაშორისო მოღვაწეობას, მათ უნარს ეწეოდნენ შეტევ პოლიტიკას იდეურ მოწინააღმდეგესთან, მათ აქტიურ როლს ანტიკომუნიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში“. ეს დიდი ნდობა, რომელსაც პარტია მწერლობას უცხადებს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

გვავალებს კიდევ უფრო შეურიგებლად ვებრძოლოთ ყოველგვარ ნეგატიურ გადმონაშთს, ვამხილოთ დასავლეთის ვაი-იდეოლოგების სიცრუე, რომელიც პოლიტიკურად ჩამოუყალიბებელი, სუსტი პიროვნებების თავგზის ასაბნევადაა გამიზნული. აი, ასეთ დროსაა საჭირო მწერლის პუბლიცისტური შემართება, მისი გამჭრიახობა და მკითხველთა ფართო აუდიტორიაზე ზეგავლენის განუმეორებელი ძალა.

დადგენილებაში აღნიშნული მთელი რიგი საკითხები ახლებურ გადაწყვეტას და დროულ რეაგირებას საჭიროებენ. პუბლიცისტიკა ყველაზე უფრო საგულისხმო ჟანრია მწვავე სოციალური და პოლიტიკური პრობლემების გასაშუქებლად.

ჩვენი ჟურნალისათვის განსაკუთრებით ძვირფასია დადგენილების ის ნაწილი, სადაც სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი ჩვეული ზრუნვითა და ყურადღებით ეკიდება ახალგაზრდა ლიტერატორებს. ჟურნალების რედკოლეგიებმა „საჭიროა კვლავაც განავითარონ მხატვრული პუბლიცისტიკა. ამასთან განსაკუთრებული ყურადღება დაუთმონ ახალგაზრდა ლიტერატორებს, შემოქმედებითი მივლინებები, რედაქციების დავალებებით პასუხსაგები მასალების მომზადება —მათთვის შეიძლება გახდეს სერიოზული ცხოვრებისეული და პროფესიული სკოლა, სწორი გზით განავითაროს მათი ნიჭი“.

სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს „ჟურნალების გამოცემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის, მათი პოლიგრაფიული შესრულების, ტირაჟებისა და გავრცელების შემდგომ სრულყოფას“. ჩვენი ჟურნალის გამოცემის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მისი პოლიგრაფიული შესრულება მართლაც არ არის სასურველ დონეზე. ამ მხრივაც საკმაოდ ბევრი საკითხია გადასაჭრელი, რათა „ცისკარი“ არა მარტო შინაარსობლივად, არამედ პოლიგრაფიული შესრულებითაც სიხარულს ანიჭებდეს თავიანთ მკითხველს. ამ მხრივ კი სატრაბახო ბევრი არაფერი გვაქვს.

ახალი დადგენილება ახალ მიზნებსა და იმედებს ბადებს. ჩვენი ჟურნალის რედკოლეგია, ავტორთა კოლექტივი არ დაიშურებენ ნიჭსა და ენერგიას, რათა საქმიანად, ახალგაზრდული ენთუზიაზმით, დროულად გამოეხმაურონ დადგენილებაში აღნიშნულ ყველა საკითხს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# სსრკ 60 წელი

## იან კუპალა

(ბელორუსია)

### ჩემი სიბრძნის სკოლა

არ მისწავლია წიგნებით სიბრძნე,
ვინ მაღირსებდა ამ ფუფუნებას!
პირველად დედის ნანაში ვიგრძენ
მშობლიურ ენის მოსალბუნება.

მზრდიდა ბუნება ბელორუსული,
ჩემს დღეებს მისი შუქი ავლია.
მუდამ ცხოვრების სიბრძნეს ვუსმენდი,
მისგან ვისწავლე, რაც მისწავლია.

მინდორი, ყანა, დარი, ავდარი,
მთელი ბუნება ათასარსება,
ვით ცისარტყელას ფერთა თამაში —
ახალთახალი შუქით მავსებდა

ოცნებითა და სიმღერით მთვრალი,
ვხედავდი მრავალ ჯადოსნურ ზღაპარს.
გაზაფხულების ბრიალა ალი
მინთებდა ლექსის გიზგიზა ლამპარს.

ტალღამ ტალღაზე ნაალერსებმა,
მდინარის დენამ დაუძინებლად
ჩამოქნა რიტმი ჩემი ლექსების,
ჩემი სიტყვების მწყობრი დინება.

ველები გზებით გადაქსელილი,
გადამართული ფრინველი ზეცად..
დედაბუნების დიდი წესრიგით.
ვქმნიდი, ვძერწავდი სიმღერებს ჩემსას.

აი, ჯეჯილში ყაყაჩო გაკრთა,
აი, სათიბი ათასფრად ელავს:
მათგან ვისწავლე ლექსების ქარგვა.
ტყეში, ჭალაში, ყანაში, ველად —

ვუსმენდი შრიალს მწიფე თავთავთა,
ვუსმენდი, რაზე ჩიოდა ბალი —
ლექსიც იგივე წუხილს ხატავდა
დამძიმებული ცხოვრების დაღით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ათასწლოვანი უღრან ტევრიდან
გარდასულ დროთა მესმოდა გმინვა,
გაილვიძებდა მთვლემარე ფიქრი,
ჩემს სტრიქონებში იდებდა ბინას.

ნათელი, ზაკვამიუკარები
მზე მინათებს და სიტყვებსა კემსავს,
ხოლო თამაში ლტოლვა ქარების
ფრენას ასწავლის სიმღერას ჩემსას.

ცელი და ცული, ბარი და თოხი
სტრიქონსა მატებს ღონეს და ძალას,
სიცხე და ხვატი, ყინვა და თოში
მიწრთობს პოეტის მოუღლელ კალამს.

სხვა სიბრძნის სკოლა არ გამივლია,
ნიჭი დავტყუე ცხოვრების ბალღამს.
აწ ჩემი ფიქრი ცაში ლივლივებს,
შევარდენივით დაფრინავს მაღლა.

თარგმნა **თედო ბაქიშვილმა**

## კნუტ სკუიენიეკსი

(ლატვია)

ციკლიდან: — **„მიწა“***

●

სამ ბრძენ მოხუცს მისცეს ერთი ქვა
პირველმა იგი გაზომა და აწონა კიდეც
მეორეს ქვის ფორმულა შერჩა
ხოლო მესამე მას შეეხო ხელის თითებით
და ქვამ ღიმილი გამოასხივა.

●

ხევ უნორჩესო დაწყევლე იგი ხე ბებერი რამეთუ მან შეგქმნა ამქვეყნად
ხევ უნორჩესო უარყავი იგი ხე ბებერი რამეთუ მან გაწოვა ძუძუ
ხევ უნორჩესო გაანადგურე ხე ბებერი რამეთუ ეს მან აღგზარდა ამ სამყაროს
მკერდზე და როდესაც ტკივილთა წრეში შენს ფესვთა შორის გადიტკივილებ
მადლობა უთხარ
პაწაწინა მწვანე თესლის აღმოცენებას.

თარგმნა **რენე კალანდიამ**

---

* ამ ციკლში პოეტი თითქმის ყველგან უარყოფს პუნქტუაციას.
(მთარგ. შენიშვნა)

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ჯუბან მულდაგალიევი

(ყაზახეთი)

### ცაიტნოტი

დადგენილ დროში თუ ყველა სვლას ველარ აკეთებ,
მარცხი მოგელის, ცაიტნოტის შიშით გათოშილს:
მკაცრი ჰგონიათ ეს კანონი მოჭადრაკეებს,
ვინც ჩაფრენია ამოსაწურ დროს ყანყრატოში.

ჩემთვის კი, ჩემთვის ეს კანონი წმინდაა მართლაც,
თუმც სხვა კაცი ვარ, სხვა ლებულობს პრიზებს ნიადაგ!
დღეში გასავლელ ათი ათას ნაბიჯის ნაცვლად
ათას გავივლით, ხვალ გავალთო, ვამბობთ ზვიადად.

ქარს ადევს ცოდვა აურაცხელ ფაცხა-ფიცრულის...
გადასასვლელი ბევრი დაგვრჩა ულელტეხილი...
წუთისოფელი რომ მოკლეა, მაშინ ვირწმუნებთ,
როცა სიკვდილი გადაგვივლის თავზე მეხივით.

შენ რომ წვეთწვეთად გადაგისხამს შენს მდინარეში,
განა რაიმე დაჰკლებია დროს — ოკეანეს?
იმ უთქმელ სიტყვებს აღარა აქვთ დღეს ანგარიში,
რადგან ფიქრობდი: არ არისო ხვალაც გვიანი.

მტერს მაგიერი ვერ მიაგე, ისე წავიდა,
წავიდა მოძმეც, რომ ფიქრობდი, ხვალ ვცემ პატივსო,
უშედეგოა საუბარი მათ საფლავებთან
და ორმაგ ვალში რჩები მათთან სამარადისოდ...

მეტსახელიც კი გადავირქვი ამიტომ ძველი...
თავს, სულ ერთია, ვერ დავაღწევ მაინც ცაიტნოტს —
სუფთა ქაღალდი! — აი, ჩემი ჭადრაკის ველი,
სად პოეზიის მწველმა ცეცხლმა ბინა დაიდო.

ვერ ვაგვირგვინებთ დიდ საქმეებს, რა გზას დავადგეთ,
დროის ხმა ჩვენს გულს ხვალ ხმალივით უნდა დაესოს:
— საცაა ალამს ჩამოუშვებს შენი საათი —
ჩქარა, ბოლო სვლა მოასწარი, ჩქარა, მაესტრო!

თარგმნა ბათუ დანელიამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# ვლადიმირ ბეეკმანი

(ესტონეთი)

## ჯვარი

ის კლდის ბუდეა, —
ყალყზე შემდგარ კილომეტრიდან
მშფოთვარ არაგვს რომ გადმოჰყურებს.
ლოდი ლოდს ისე ჩაჰკონვია,
ისე ჩაჰკვრია, —
იფიქრებთ, დანით დაუსერავთ ლოდი მთლიანი.
ყავისფერი ქვა,
ქვა მზისგან და სიძველისგან გაყავისფერდა.
ირგვლივ სილურჯე მეუფეობს.
იმ სილურჯეში
ჟამი-ჟამ ჟონავს გარდასული ჟამი ჟამისფრად.
არ ჩანს მერქანი,
ნაფოტიც კი არ ჩანს მერქნისა,
იგი დაიწვა უკვე მზისგან, ქარით განქარდა
და თხუთმეტი საუკუნის წისქვილის ქვამ
დაფქვა ყავისფრად.
მხოლოდ და მხოლოდ ქვალა დარჩა,
ქვა ყავისფერი.
კლდის ბზარებს ჰგვანან თაღის სარკმლები,
სადაც გალობის გამომხმარან უკვე ბგერები, —
შავად მზირალნი, როგორც ტბები გამოქვაბულის.
ქვევით, სიღრმეში მცხეთა მსუბუქ ნისლში ეხვევა
და მორიდებით იხედება მაღლა, ჯვარისკენ.
ჯ ვ ა რ ი.
მოგძახის მძაფრი ქარი: — ჯვარი!
კავკასიონი ყურის ძირშია.
მარადი თოვლი უშრეტი მზით იწვის, ანთია
მთელი თხუთმეტი საუკუნეა.
მზის შვერილები შეაღებენ სარკმლებს თაღისას,
შემოიჭრება ქარი, შლეგი და უნდობარი,
თაღის ქვეშ ღმერთი, უხილავი, დაიღარღილებს,
ღმერთი — ყველაზე უმაღლესი და ბრძენთა-ბრძენი.
ეს ქართულია? —
ეს ქართული ენა არ არის!
ესტონურია? —
ესტონური ენა არ არის!
ეს არის სულ სხვა,
სულ სხვა ენა, რომლის სიტყვებიც
ფრთების შრიალს ჰგავს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფრთების შრიალს უცხო ფრინველის.
ანკი რა უნდა გაიგონო, თუკი გწადია
ასვლა იმ თოვლის ზედაპირზე, — მარად რომ იწვის.
გარეთ კი,
სადაც ხასხასა სილურჯესა და ძველისძველ ყავისფერს
შორის
იზრდება ნორჩი ბალახი და მწვანედ ღაღანებს,
სულ ათიოდე მეტრით ქვემოთ მონასტერიდან
დგას კაცი ბრგე და ახოვანი და ჰყიდის ჭიქით
წყალს მინერალურს, თეთრ ფულზე ჰყიდის.
გამოცდილი კაცია იგი
და ჰყიდის მთის წყალს,
ჯვარშიც კი ჰყიდის.

თარგმნა თეიმურაზ აბულაძემ

## ევფრატ სევქარეცი

(სომხეთი)

### თბილისს

იმ ქარიშხლიან დღეთა წკვარამში
ობოლს შთამბერე სული სიმხნევის,
კაცად მაქციე მყოფი ვარამში
და გული მხოლოდ შენ ერთს გიმღერის.

ტკბილო დედაო, შარავანდედი
შენი ჩემს სულში ელვად კაშკაშებს,
შენ დამაფარე კალთა დედური,
გამომზარდე და დამავაჟკაცე.

ხარ საყვარელი ჩემი მშობელი
და სიყვარულის ტკბილი სიმღერა.
ჩემს ცაზე მზე ხარ მანათობელი,
შენი სითბოთი გული მიღელავს.

თარგმნა ზეზვა მედულიშვილმა

ეროვნული ბიბლიოთეკა



გურამ დოჩანაშვილი

# განსმდგომი შუაკაცი

ბავშვი რა — ჯერ თვისაც არ იყო, მჭიდროდ გახვეული, მცირე საწოლზე კი არ იწვა, რაღაცნაირად, საყვარლად, იდო.

მთელი ღამის ნამტირალევსა და გაჭინჭყლებულს, ახლა, რიერაჟისას, ძალიან ღრმად, გულის ძილით ეძინა და იქვე მიწოლილიყვნენ მისი მშობლები, ცოტათი იქით, სხვა ოთახში კი — პაპა, და კიდევ სულ სხვა, გისოსებიანი ოთახიდან გამოსული, ბავშვს თვინიერად დასდგომოდა თავს მისი სულიერად ავადმყოფი ბიძა, და, წინგადახრილი, ძალიან დასცქეროდა.

ამჟამინდელი, მთლად პირველადი მშობლობით გამოწვეული არევ-დარევა, თორემ ისე ის აქ ვერ შემოვიდოდა — ყოველი ღამით, ახალთახალი რძლის დაყინებისა გამო, ოჯახის თავი, ამ ჩვილის პაპა, ცოლ-ქმარი შიგნიდან რომ ჩაიკეტებოდა მხოლოდღა მერე მიაშურებდა უფროსი ვაჟის ოთახს, კარში გაჩხერილ თუჯის ძველებურ გასაღებს გადაატრიალებდა, და მინამდე მომცრო ოთახში გამომწყვდეული, დღის პატიმარი, დღის ქოთნით ხელში, საჭირო ოთახისაკენ მრუმედ ჩაფიქრებული გასწევდა და თვალში სისოვლემოძალებული მიადევნებდა ნედლ მზერას მამა — შვილი იყო და, უყვარდა, მაინც.

დღით, როცა საჭმელს შეუტანდნენ ხოლმე, მოაბრუნებდა თავს. მერე ისევ გისოსებიანი სარკმლისკენ იქცევდა პირს, და ხალხმრავალ ქუჩას დაჰყურებდა, რაღაცას დუნე სიმწრით ფიქრობდა, შორეულ გლუვ-ღრმა საიდუმლოს, რაღაც სხვანაირს, რაღაცა უცხოს, ხალხი რა, თავისთვის მიმოდიოდა, მაგრამ ხანდახან, ხომ აგვრევია რატომღაც რომელიმეს ფეხი.

რძალი ხანდახან შეშინებული მიაყურადებდა, უნდო კართან გახევდებოდა, მაგრამ ჩქამიც არ მოისმოდა, თავისთვის იწვა, ან იჯდა, ალბათ. მაინც საიდან რძლის იმსიდიდო უნდობლობა, და ეჭვი, არასოდეს აუტეხია შფოთი და აყალმაყალი. ორად ორი რამ გასართობი, საცოდავს, ჰქონდა: ერთი ის იყო, გიიოსს დაფიქრებული სინჯავდა ხოლმე, არა, მოგლეჯა კი არ უნდოდა, ბლონტე, შეგუებული ცნობისწადილით უსვამდა ხელს რკინას, ცივი თითებით ბევრგან სინჯავდა, ხანდახან ლოყასაც კი მიადებდა და ღამით კი, მცირე ფართობზე გამოშვებული, თუჯის ძველებურ დიდ გასაღებსაც მისჯილად დუნე გაკვირვებით დასცქეროდა და, ცოტა მაღლიდან, მიუგდებდა ყურს, ეჰ, ვინ იცოდა, რა ბურუსი ამოესმოდა. მეორეც ის რომ, წყალს უფრთხოდა და სისუფთავე კი უყვარდა, საწყალს. და სასთუმალთან დადებულ ყველაზე მდარე ოდეკოლონით ქლენთდა ბამბას და, სხეულზე საშლელივით ისვამდა, გულ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოდგინედ, რაღაც უჩინარ, მხოლოდ მისთვის გასაგებ დამწერლობას შლიდა და შლიდა, და მის ოთახში ამისა გამო აუტანლად მქისე, მისი თვალებისმიერი თითქოს, ლამის ლორწომდე გადაქცეული სუნი, იდგა და იდგა.

ახლა კი, ახლა, გამორჩეულ დღეს, რადგან ერთ დროს ესე ოთახი იმისი გახლდათ, მივიწყებულ და მაინც მთლად ახალ მიწათა ბავშვის ტირილით შთაგონებული ალმომჩენი, ხელისგულებით უჟმურ კედლებს გამოყოლილი, გარიჟრაჟისას დიდ საოცრებას, ცხოვრების დიდად სათუო გზაზე ახლახან დამდგარ არსებას, სხვაგვარ სულიერთა მომავალ დამპყრობსა და გამომყენებელს, სუნთქვაშეკრული, წინგადახრილი ჩასცქეროდა და ალბათ ველარც ახსოვდა ის სამუდამოდ მისჯილი ორი საშინელი სიტყვა, მისი გრძნეული დაავადების შემზარავად გადასაფურჩქნი ჩანასახი, თავი და ბოლო: „ტყუილი...“, „სიყალბე...“, და, მზერადქცეულს, ჩვილის ამ უცნაური, გაყინული ჭვრეტით ულვივდებოდა ძველი ეჭვები, ეგებ: „რა, რა გამოხვალ... საით წახვალ... რას ამოირჩევ... ვინ, რა დადგები...“, ბავშვს კი ეძინა, გრძელი გზისთვის იკრებდა ძალას, აჰ, მოელოდა ყოველისათვის როგორი რთული ბილიკთა ქსელი, რა სასოება, რა სივერაგე, წყნარად ფშვინავდა, მაგრამ როდესაც სულიერად გადამთიელი, პატიოსნებით ადრეც გამორჩეული და ახლა კი უნებურად უპატიოსნესი, უცხო ბიძა მისკენ ძალიან გადაიხარა და დაჟინებული ისეთი მზერა, თვალს გაბზარავდა, დააბჯინა და თან ცივ თითებს სახესთან ახლოს უმოძრავებდა, აქ, შეიშმუშნა ჩვილი, და ძლიერ დაფრთხა მსწრაფლ გამართული შორი სტუმარი, ჩასაკეტი ოთახისაკენ მორჩილად გაბრუნდა, აესე მალე დაუმთავრდა ამბოხის მსგავსი გასეირნება, მაგრამ კვლავაც წართმეულ თვალებზე მაინც ეტყობოდა, ისევ თავისას ალბათ ფიქრობდა: „ჰეე, ვინ გამოვა...“

1.

— რა არის, იცით, ქალბატონო? — წინ გადაუდგა და ქალს მიმართა ერთხელაც არჩილმა, — ჩვენ გვაპატიეთ, უცნობ მანდილოსანს ქუჩაში რომ ასე მოგმართავთ, მაგრამ სახელი არც ვიცი თქვენი...

ქალი არკთუ დაშინებული შესცქეროდა — არჩილს კარგი ეცვა, კარგი ეხურა, გარეგნობითაც არა უშავდა რა; აგრეთვე დღე იყო და ბუნებრივი სინათლე, გამვლელ-გამომვლელი, რამე.

— ხოლო თქვენი სახელი როგორია? — იკითხა არჩილმა.

— ფაცაცო.

ქალს არ ეთქმოდა პატარა. არჩილმა თავი დახარა და კეფაზე დაიდო ხელი, ასფალტს ჩასცქეროდა. მერე, შემართა თავი:

— იცით, მე ამ შინაურული სახელწოდებით ვერ მოგმართავთ, ქალბატონო, თქვენს ნამდვილ სახელს ხომ ვერ მიამბობთ?

— როგორ? — ვერ გაიგო ქალმა.

— თქვენი საბუთე, ანუ ანკეტური სახელი ბრძანეთ, — და გაეხუმრა, — რა, არა გქვიათ?

— კი, როგორ არა, — გაამაყდა ქალი.

— და მაინც, სინამდვილეში როგორა გქვიათ?

— პანტიკაპეა.

არჩილმა კვლავაც დახარა თავი და იგივ კეფაზე დაიდო ხელი, ფიქრობდა, იდგა. მერე, ალილო მზერა:

— იცით რა, ქალბატონო ფაცაცო, ხომ ვერ მეტყოდით სად მდებარეობს ადამ მიცკევიჩის ქუჩა?

— აა... — გულზე მოეშვა და ეწყინა კიდეც ქალს. — აგეერ, ისაა.

— აჲასე ახლოს? ბიჭო პლომბირია?

— მა რა.

— ნაყინს ხომ არ ინებებთ, ქალბატონო?

---

გურამ დოჩანაშვილი

განსმდგომი შუაკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— არა, ახლახანს გეახელით.

— მერე რა, ეს ხომ სადილი არაა?

დაძაბუნებული შოკოლადით გარემოსილი ნაყინ-ესკიმო იყო, ჩვეულებრივი, მაგრამ ყოველნაირობისთვის მზადმყოფმა ქალმა ისე ფრთხილად შემოაცალა ქაღალდი, თითქოს საეჭვო ჩანთაში იქექებოდა.

დაიძრნენ, ნელა.

— მიცკევიჩის რომელი ნომერი გნებავთ?

— შეიძლება, კითხვაზე კითხვით რომ გიპასუხოთ?

— დიახ.

— ალბათ კარგი გრძნობაა, არა, როდესაც იცით რომ ლამაზი ხართ და ხალხის თვალს სიამოვნებას ანიჭებთ?

ქალის სახის ხარჯზე ტუჩთა პომადა გაფერმკრთალდა აქ, მერე კი მღელვარებისგან შეჩერებულმა პანტიკაპეამ ასფალტს ორჯერ დაჰკრა ქუსლი და თავი უკან გადააგდო — ჰა, ჰა... ჰა? — გამოერკვა, სადღაც ლავიწთან ჩამოეკითხა არჩილს მერე, — ვერ გავიგეუ?!

ახლა არჩილმა დაიმორცხვა ვითომ, ნაყინს უკბინა... — გნებავთ, ქალბატონო, სიმართლე გითხრათ?

— დიახ, — თქვა ქალმა და კაბაზე დაიხედა. ისევ მწვანე იყო, კი.

— მე... — წამოიწყო ასე არჩილმა, ცოტა უჭირდა, — მე ეს ვიცოდი.

— თქვენ, რა იცოდით? — „რომ ლამაზი ვარრ!“

— მე კარგად ვიცოდი რომ, სადაც მდებარეობს ადამ მიცკევიჩის ქუჩა, რადგან იმ ქუჩაზე ვცხოვრობ.

ქალმა მცირე ხნით, მაგრამ მნიშვნელოვნურად შეხედა და უმალ განზე იქცია თავი:

— მაშ, რაღად მკითხეთ?

— მე არშიყობა მეხერხება, — აღიარა არჩილმა.

ქალი გაბრაზდა; გაეცლებოდა კიდეც, მაგრამ რაღაცა აჩერებდა. აჰ, ჰო — ნაყინი...

— რა შემამჩნიეთ მაინც ისეთი?

— აუგად კი ნუ დამძრახავთ, ქალბატონო, — დაფაცურდა არჩილი, — მაგრამ თქვენ ხომ ვალიკოს გარებიძაშვილი ხართ?

— კი.

— ჰოდა, ვალიკოს ნათესავს განა მე რამეს ვაკადრებდი? მე და ვალიკო ერთ სისტემაში ვართ. დღეს თავისუფალი ბრძანდებით?

ქალმა ერთიც აათვალიერა და არჩილის სახეში ამჯერად რაღაც ისეთი შენიშნა, თუმცა გათხოვება ძალიან უნდოდა და მინამდეც არავისთვის მიუმართავს ასე, უთხრა:

— წადი, შენი...

და თავად წავიდა.

— ვა, — გაიკვირვა არჩილმა მერე.

●

და, თუმცა მაშინ ფული ჯერ ნაშოვნი არ ჰქონდა რაღა თქმა უნდა, ბავშვობა, ალბათ, მაინც ძალიან კარგი იყო.

მჭახე და რბილი, უკიდეგანოდ ფერადოვანი, ღრმა სარდაფები... აის სათუთ იდუმალება, სუყოველივეს მჩატედ რომ ედო... გახარებული აბაჯბაჯება და რაღაცა უნდოდ პირშიმთქმელურზე გადაყვლეფილი პაწია მუხლი — რა გულდაწყვეტა... მაგრამ მაინც დღე, და სინათლე, მართლა სინათლე, ბედნიერება, ყოველ უცხო წამს — ჯერაც ნედლ თავზე ფრთხილად დადგმული აღმოჩენანი, გულში კი ისე ხინჯად შეჭრილი... და გაოცების მჩატედ მპოვნელი დიდი თვალები, და, დაფიქრება, დაფიქრებულზე, ჭარბი ძალა და, აჰ — ტიკტიკი და რბენა და რბენა... დიდად გახვითქულს, შიგანში კი თონედ გამომშრალს, აჰ, რა მალამო — სრულიად წყალი — მბრუნავი მიწის ეს უსაზომოდ კეთილი ოფლი. და ისევ სრბოლა, შეთქმული ეზო, და, ამბოხშიმყოფის თრობით დამტკბარი, გაჭინჭყლებულზე, სულ ჰარპუნებით შინაყვანილს, როგორ სულ სხვა რამ—ძალიან დიდი, კასრისხელა კოვზით უჰ, ფაფა, ტანჯვა, ვაება, და მერე, ბოლოყლუპმაინცნაპატიებს, ძლივს გამოღწეულს, გრილ იატაკზე თავჩარგულად მჯდარს, უსამართლობის სასტიკი განცდა და ჩიტის გუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლის გულდაწყვეტა, და, თან, უნებუ-რად, უკვე სანდოდ გამაგრებული ნაია-რევის თითით კირკიტი, ბავშვობა, ჰეე...

## 2.

ლალი გაცილებით კარგი ქალი აღ-მოჩნდა, სახელიც კარგი ჰქონდა და ყველაფერი, მაგრამ საწყისა ნაყინთან დაკავშირებით შეუსაბამობა რამ მაინც შეემთხვათ ერთი. აი ისიც:

— ნაყინს ხომ არ ინებებთ, ქალბა-ტონო ლალი? — დიახაც იკითხა არ-ჩილმა.

— არა, ახლახან გეახელით.

— ამ სიცივეში? ბრრ... — უნებუ-რად გაიკვირვა არჩილმა და იქვე მიხვ-და შეცდომას, გაბათილება ვერაფერი მოიფიქრა, გაუმწარდა, მაგრამ მენა-ყინე-ესკიმოსმა, აშენდა იმის ოჯახი, თქვა:

— მერე რა, ზოგან ზამთარ-ზაფხულ სჭამენ.

ხოლო ლალი იმდენად კარგი ადა-მიანი აღმოჩნდა, კარლია რესტორანშიაც კი შეჰყვა.

თანაც შუადღის რესტორანში ბევრი თავისუფალი მაგიდა და ოთხი იმდენი სკამი მაინც დგანა, არჩილი+ლალი-ს კანდიდატები კი ორ რჩეულ მათგანზე დასხდნენ. არჩილის მისვლით გახარე-ბულად ჯიბეაქავებული ნაცნობი მიმ-ტანი დაფაცურდა და პატარა ხანში პურ-მარილი გაიშალა? — უმაღლესი მინამდე კი ასეთი საუბარი ჩატარდა:

— რა მოქამული ამინდია მაინც.

— დიახ.

— ჰა-ჰა... — არჩილს კბილები რად-გან კარგი ჰქონდა.

აიმ არსებაა, იდუმალ სხვენში რომ სახლობდა, შეეუსუსურებოდა სახელი ბუა—ეს უწყინარი, მხოლოდ იძულები-თი ჰამა-ყლაპვისას სიტყვიერად წარ-მოჩენილი. და სწორედ ხშირი კვებისა გამო შეჩვეული რამ მკირე მაშიშა — არა, იქ, სხვენში, თავად შიში. სრულ-იად შიში, ისე ცხადი და ისე აშკარა.

შიშში ბუდობდა. ეს ადრე, ადრე, ახლა კი, ახლა:

— ახლა დავრწმუნდი, აეს მიირთვით სანამ ცხელია, ლომის გული რომ მაქვს.

— ახლაა? რატ-ტოომ?

— რატომ და, ვინ იცის, ქალბატონო ლალი, თქვენი სილამაზის პატრონს რა-მდენიმე ვინმე თავზეხელაღებულობა-მდე გეტრფით და მე კი მაინც გავბე-დე თქვენს გვერდით ყოფნა.

— აჰ, ეს რანაირი ყოფილხართ, ჰაა? — მცირე ხნის შემდეგ ჩახვდა ნა-თქვამს ლალი და ცარიელ-ტარიელა ჩა-ნგალი ნაზად ჩაიდო პირში, — მამხნე-ვებთ, ხომ?

— არა, რას ბრძანებთ, — სწრაფად იუარა არჩილმა, — მე არშიყობა სრუ-ლიადაც არ მეხერხება.

კარგი, მშვენიერი. შამპანიურად სა-ნაქებო სუფრა იყო გაშლილი, და, თუ-მცა, მაშინ საამდენო ფული ჯერ ნაშო-ვნი არ ჰქონდა რასაკვირველია. ბავშ-ვობა, ალბათ, მაინც ძალიან კარგი იყო, რაღაცა ახლდა, გარიყრაყისას მიზეზი-ანად გახარებული დიდ ტყეთა არა — ჭალისა ჩიტის, მაგრამ შავ ღამეობით... ბნელ ღამ-ღამობით, რაღაცა უცხოდ დაუნდობელი შეჯანჯღარებით გაღვი-ძებული, თითებჩაბღუჯულ საბანს გულზე მაგრად, ბავშვურად მიიხუტებ-და და თვალებადქმნილი, შესცქეროდა ბნელსა... რაღაცა იყო... რა აჰრაღაცა, არ კი იცოდა და, ეგებ — სხვენიდან შე-მოპარული? ყრიალი ახლდა, სიცივე ჰქონდა... ოთახისეულ ფართო ბნელე-თში, უჯიათი საიდუმლოთი განაღვი-ძები, გონდაბინდული, შიშითღა გრძნო-ბდა — რაღაცა იყო... მღელვარებისას, თან უკუნეთში, სიბინძურის კასრა ღია ზღვაში ჩაკრული ბავშვი... ყველგან კი, ირგვლივ, წყლით გადამძღარი, ტანჯვა-განვლილი და ახლა ახვისა დამაშინები, ლურჯ-მონაცრისფროდ აკად აღვსილი, ბრგედ დაბერილი აქტივტიკებული სხე-ულები და ეს სად — ოთახში?, როგორ

**გურამ დოჩანაშვილი**

განსამდგომი შუაკაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბნელოდა; რაღაცა იყო!.. და აღარაფრისა ამაეების ხსოვნა დიდ, სანაქებო დასვენებაზე, აჟივლებული სკოლის ეზოში მთლად გაქუცული პაწია ყოფილი გლობუსით ფეხბურთის მთამაშებელნი — სულ მატერიკთა და ვრცელ წყალთა დარდი არ ჰქონდათ? — აჩიკოო, აჩი, აქეთ მომეცი, გადმომაწოდე, აჩიკოო, აჩიი, მაგრამ აღარარა ახსოვდა, რადგან გოლის გატანა თავადა სურდა, მიისწრაფოდა ორი აგურით შექმნილ გოლისკენ, სადაც ყურცქვიტა მეკარე იდგა, პურითა და განახევრებული კატლეტით ხელში, მერე იყო და, იყო ირიბი დატაკება და არევ-დარევა: პენალი იყო? იყო, არ იყო, როგორ არ იყო, კი იყო, იყო, მერე — გამხდარი, ნაშიმშილარი ზედმეტად თითქოს მასწავლებელი და იმისი ახსნა: „ამრიგად, რეზერფორდის ცდამ გვიჩვენა, რომ ატომში არიან დადებითი ელექტრული მუხტის მქონე ნაწილაკები, რომელთა მასა...“, მიმოწყენისას, ფანჯრის წილი ცა, ძმაბიჭის ზურგი, მერხის ლაქები, და მერე, მერე, გაშვებულობა — მეექვსე გაკვეთილის გაჭიანურებული აღსასრულის მაუწყებელი რა დიდებული, როგორ ზეიმა, და რანაირად აღსავსე შუქით, მბრწყინავი ზარი — გამოფხიზლება, ახლა კი, ახლა, შემთვრალს, სადღა ახსოვდა აის სიფხიზლე, წიწკნია სითხით ნეტარ ბურანში დროდადრო იყო, რადგან წინ ქალი ეჯდა, კარლია რესტორნიდან კერძო ოთახში ამალამათვე წასაყვანი, სახელად ლალი, ადამიანიც რა კარგი სათაური, სუფრაც მშვენიერი იყო, დადებითი, ოღონდ ხიზილალაა არცერთი არ ეკარებოდა — რაღაცნაირი სიამაყით, ვითომ...

— მე ახლა მინდა, ჩემო კარგო ლალიკო, თქვენი სადღეგრძელო კიდევ შევსვა...

— კარგით რა, არჩილ. ეს მერამდენედ უკვე? — გაკეკლუცდა ქალი.

— არა, ჩემო კარგო ლალი, მე ახლა სხვანაირი კუთხით, — წამოდგა, სხეულმა თითქოს შებარბაცება განუზრახა, მაგრამ შეიოკა თავი, ხოლო ენა ვერა,

— ლალიკოს ვენაცვალე, ახლა მე უნდა თქვენნაირი კარგი ქალების სადღეგრძელო შევსვა, რომლებიც გამოირჩევიან სწორი გამგებიანობით და, როგორც ძველები იტყოდნენ, მესჩანკი არ ხართ. თუ ამას ვსტყუოდე, შობელძაღლი ვიყო.

ქალს ცოტათი არ მოეწონა ბოლოსწინა სიტყვა, მაგრამ არ დაიმჩნია და განაპირა ტარხუნა შეასწორა.

— მე ეს იმიტომ მიყვარხარ ლალი, რომ ზოგიერთივით მანჭვა-გრეხა კი არ იცი, არამედ ბუნებრივი ხარ და გაკიბვმოკიბვის გარეშე იცი, რა უნდა იყოს ერთმანეთისთვის ნამდვილად კაცი და ქალი. ბოდიშით, ქალბატონი.

უცებ დაარტყა მესამე ბოთლმა, ლაპარაკობდა; ოღონდაც ასე:

— მე და შენ ხომ უკვე ცოტათი ამხანაგები ვართ და, ლალი, კაცის და ქალის ნამდვილი ამხანაგობა იცი სად ხდება?

— სად...

— იქ...

— სად იქ...

— ლოგინში.

ერთხანს გაოგნებული ქალი რომ გამოერკვა, თვალ-წარბი რისხვამ გადაუსერა, სხვა ვერაფერი მოიფიქრა, პომადებშუა ესღა გამოსცრა:

— მაწანწალა შენ! — და ისიც წამოდგა; ყოვლად უდანაშაულო სკამს მაგრად უბიძგა, მიაშურა ღია კარს.

...სანამ აედევნებოდა, არჩილმა მნიშვნელოვანკუპიურიანი ხელის სილამაზე (ხელის ჭუჭყი — ეს ჩამოკონკილჩამოფლეთილი მანეთიანია, ხოლო ტკიცინა ასიანი არჩილის წრეში ხელის სილამაზედ იწოდებოდა) მაგიდაზე დააგდო, გატრუნულ მიმტანს მხარუკულმა სტყორცნა: „ჯერ ნუ აალაგებ“, ხოლო ჭურვივით ლალის ზედ გრძელი დარბაზის კიდესთან წამოეწია და, თითქოს გამოფხიზლებული, ამისთანეებს ეუბნებოდა: „კარგით რა, ქალბატონო ლალი, მე გეხუმრეთ და, — განვლეს ღია კარი, — მე თქვენი უმწიკვლო პა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტიონსნების გაგება მინდოდა და მართლაც ღირსშესანიშნავი ქალი ჰყოფილხართ, კარგით რა, გეთაყვათ, ხუმრობა აღარ შეიძლება? თუ არ ვიხუმრეთ...“ მაგრამაც რადგან ქალი თითქოს ჰერმეტიულად იყო დახშული, აღარაფერი გააჩნდა რისხვისა გარდა, არჩილს გაშინაურებულმა სიმთვრალემ ისევ წამოუარა და უფრო მძლავრი ხერხი მოუძია: „რა გინდა, ქალო, ჩემთან იყავი და კარგს გაჭმევ, კარგს ჩაგაცვამ-დაგხურავ, კარგს გასმევ, მეტი რა გინდა, არ ვიცი?!.“ წვრილ მაღალ ქუსლთა დარტყმის ძალამ საცოდავ იატაკზე მოიმატა აქ, ხოლო არჩილი ბაიბურში არ იყო, და გარდერობთან ისიც დაამატა, რომ შეჩერებულ ქალს დიდის ყურადღებით დაუთვალიერა რა გამობურცულობანი, ყურში ჩაჰკითხა: „აბა, შე ქალო, ტყუილადა გაქვს ყველაფერი ეეს? ერთი, მეორე...“ აქ ლლალლი ისე მკვეთრად შემობრუნდა აჰ, ხელიდან წასული ტუჩები ისე უთრთოდა უჰ, თვალებში მაღალი ძაბვა ჩასდგომოდა ისეთი — ოხხ, თეთრკბილებშუა გამოსცრა ისეთნაირად შავი, შავ-ბნელი: „შშე ვიგგინდარა, ახხლავე თუ არ გაეთრევი ისეთ კივილს ავტეხავ, აქ გაჩნდებიან მთთელი უბნის თანამშრომლები...“ ნათქვამი იყო? — სამივე ბოთლის წამში ამაორთქლებელი და ენოტივით ფხიზელმა არჩილმა ნათქვამი მყისვე ირწმუნა და ძლიერ შემკრთალმა გაიფიქრა: „აჰ, არ გამრიცხონ... სერიოზული ინცინდენტი იქნება“, და მაშინათვე დააპირა გაცლა, მაგრამ გარდერობში მათი პალტოები ერთად ეკიდა, ამ შემოჩვევაში უხერხული ნომერი ათი კი — ერთიანი და ნულიანი — მას ჰქონდა და ფეხისწვერებზე შეყოვნდა ამიტომ, ნომერი ათი ყულაბასავით მრავლისმომსწრე მეგარდერობეს წარუდგინა, იმან კი მყისვე ვერ ჩამოხსნა ქალის კუთვნილება, რადგან არჩილის კარგად თანამედროვე ქურქი ქალის თეთრ პალტოს სიმბოლურად გადაჰფარვოდა, ხოლო ქალმა კი, მინამ წავიდოდა, კვლავაც მიახალა იღბლიანი მონადირის პირიქით: „მაწანწალავ შენ!“ — და წავიდა.

არჩილი მძიმედ ჩაფიქრებული შებრუნდა რესტორანში, თავის მაგიდას მიუჯდა. ვერ იყო კარგ ხასიათზე, ფიქრობდა, იჯდა, იჯდა, ფიქრობდა.

— ხურდა მოგართვათ? — ცალყბად, მხოლოდ ზრდილობისათვის იკითხა კარლია რესტორნის მიმტანმა, მაგრამ არჩილმა თქო:

— ხო.

კვლავაც დაფიქრებულმა მამაკაცმა ფეხი გაშალა, ფული ჯიბეში ჩაიტენა, და პურს წაატეხა.

პური სადღაც მინდვრებში მოჰყავთ, თურმე ძალიან ბევრი შრომა სჭირდება, მერე, სულ ბოლოს, არჩილისთანებიც სჭამენ.

მაგრამ მხოლოდ პური რა საკადრისია? არჩილი ხიზილალაში უსვამდა პურის ახალ-ახალ ქერქს და, სანამ ლამბაქი სულ არ მოასუფთავა, ლალით მოწყენილ ორგანიზმში იღებდა. მკვეთრი ფერები რამ, შეეერთა: განწყობილება იყო შავი, ხოლო ხიზილალა — წითელი, არჩილი იჯდა და ჭამდა.

ღია კარის, ბითურული დღე...

## 3.

„ეეს?“ არა, ეგ არა“, — ჩვეულებრივი, მაინცა და მაინც არაფრით გამორჩეული კაცი მოდიოდა რადგან. „კი მაგრამ, ბიჭო, სადამდე უნდა ვიცადოთ, ბიჭო“, ვეღარ ითმენდა ყველაზე ცქვიტი თანაკლასელი, მაგრამ თვალმოჭუტული მეორე ყოჩი, თვალთმაქცობათა თავი და თავი, ღირსეულად მიუგებდა, თუმცა ღელავდა ისიც: „დაიცა, გამოჩნდება“. „და აი ეს... ჰა!..“ დიდი, მსუქანი კაცი მოაბოტებდა, რაღაცნაირად სათნოდ გაბიჟვინებული, კეთილი უნდა ყოფილიყო, რაღაც... „არა, არც ეგ“. „და ეს? ეს, აი...“ ნახევარი კლასი, შინისაკენ მარჯვნივ დასაშლელი, სკოლის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კუთხესთან იდგა, იცდიდა, მეორე ნახევარს კი პირველი ყოჩის მეთაურობით უკვე ამოერჩია ეგრეთწოდებული „კაი ტიპი“ და, აღარა ჩანდნენ. „აი ეს, ნაღდად, აი ეს ბიჭო, აი-აი ეს!“ — იყვირა ცქვიტმა და მეორე ყოჩმაც, ჩაცინებულმა, კმაყოფილად დახარა თავი. და პატარა ხანში სანახაობა იყო?

— სიცილით იგუდებოდა მთელი ქუჩა: წარმოიდგინეთ, მოდის თბილისის მთავარ პროსპექტზე ძლიერ დაბალი, და ტანმორჩილთათვის ჩვეული დიდის სიამაყით სახეზე, მძლავრლიპიანი კასრტანა კაცი, იღლიაში ყავისფრად სერიოზული პორტფელი ამოუჩრია, მეორე ხელს კი ისე ღირსებით, თითქოს საალლუმოდ, ყოჩალად და შინაგანი სიმტკიცით იქნევს, მიდის სადღაცას, ჰგონია რომ თავისთვის მიდის, მაგრამ ზურგსუკან ერთმწკრივად ჩაგრძელებული ოცამდე ონავარი მიჰყვება, იღლიაში პორტფელისებრ ჩანთაამოჩრილნი, ხელოვნური ლიპის წარმომქმნელი ქუდი მუცელთან ჩაუკუჭავთ, ფეხაყოლილნი, გაჯგიმულნი მიჰყვებიან და, ხელს სწორედ რჩეულივით კატეგორიულად იქნევენ, შემხვედრნი კი შორიდანვე ფაციცდებიან, ილიმებიან მერე, შემდგომ — სიცილი ძლიერ აწვებათ და უნებურად კაცს თვალაბჟუტულნი შეჰლიმიან, ანცლაშქრის არმცოდნე მეთაური კი გაკვირვებისგან უფრო და უფრორე ამაყდება, ცდილობს არავის მოაჩვენოს დაბნეულად თავი, ჩამვლელთა ღიმილის მოშლასა და გაბათილებას მეტის ღირსების წარმოჩინებითა ცდილობს, მაგრამ რა იცის, მის ზურგსუკან რა ამბავია... აბა, აჩიკო და მისთანანი, ისე — უბრალოდ დაბრუხდებოდნენ შინ?

— ბავშვობა, ჰეე. რარიგ ტევადი, სადამდე ვრცელი, როგორ და როგორრანაირად ცვლადი, მაგრამ ახლა, აქედან, ბედნიერებამდე დაუჯერებელი ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, როგორ მისჯილად დაკარგული რამ, აღუდგენელი, ტყეში ჩიტი მომკვდარიყო, ყოვლისშემძლე და განსაცვიფრებელი — დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა. პატარაში კარგად იყო, ბავშვობა, ჰეე, და ერთი მართლა დიდი კაცი, შორი პოეტი, სიმოხუცემდე ბავშვობისა ვერდამკარგავი, ჩვილის წელადი არტახებით შებოჭილი და ეუჰ, მაინც ზეგარდმოდ თავისუფალი, თავისუფლების ტყვე, არჩილსა კიდევ — ბევრისა თვალში კაი ადგილი, და იმ აღზევების, პოეზიას რომ უწოდებენ, ფულით შეძენილი დაკარგვა, და მივიწყება კიდევ აი იმისა, სიტყვით სამშობლოს რომ ეძახიან და დანაწვიმარი, შრომაწყებადი, სუნით ფერადოვანი მიწის ოხშივარის ნაცვლად — ბენზინიანი სამსახური და თანამდებობა, და ვითომც განლაღებული საუბრებისას ამდაგვაროვნად უსუსური ქათინაურები: „დღეს თქვენ განსაკუთრებით კარგად გამოიყურებით, ქენიჩკა“, ან, დიდი-დიდი, საიდანღაც ნასესხები „შენ წალკოტის ყაყაჩო ხარ, თამარა“, ანარადა, ვითომც ძალიან ჩახვეული: „ალბათ როგორი ძალიანი კარგი გრძნობაა, არა, როდესაც იცით რომ თვალწარმტაცი ხართ და ხალხის თვალს სიამოვნებას ანიჭებთ?“, ჩვენს ხალხურში კი, ამისთანაები სწერია, ხალხნო — „სად მოიცალა ი ღმერთმა შენი თვალ-წარბის წერათა“, მაგრამ არჩილი ისედაც არხეინად გრძნობდა თავს, რადგან ზედაპირულ სიამეთაგან არაფერი აკლდა; კი, ასე იყო, თუმცა არჩილი ვინმეს მხოლოდ პანტიკაპეასა და ლალისთან რომ ეხილა, ეგებ ქალის უნახავიც კი ჰგონებოდა, მაგრამ ძალიანაც შეცდებოდა: არჩილსა და მის წრეელებს რესპუბლიკის გარეთ თითქმის ყოველ გამოჩენილ ქალაქში თითო-ოროლა ათვისებული ქალი მაინცა ჰყავნდათ ძირითადად ხელის სილამაზეთა წყალობით, მშობლიურ ქალაქში ხომ... უბრალოდ, არჩილის გულითადი სურვილი იყო, ისე დაეპყრო რომელიმე არცთუ ულამაზო ხორციელის გული, იმა მანდილოსანს მისი ასავალ-შემოსავალი სრულებითაც არა სცოდნოდა და ჩვენი მეტრფე უიმმანქანოდ, რიგითი ადამიანივით ფეხოსნად გამოდიოდა ქუჩებში და პატივმოყვრული ოცნების ახდენასა ლამობდა, მაგრამ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვერ გამოსდიოდა ეს. გამოსავალი კი მაინც აღმოიჩინებოდა წყალობით შემდეგი დებულებისა — „ქალი ერთია ყველა“, და მოშინაურებულ ყოფილ სატრფოს სამზარეულოდან გამოსძახებდა: „მოდი აქ, ქალო, დამალევინე წყალი“, არადა, ადრე ახიკო ბიჭი იყო? ნაარდადეგებს, რაღაც სიწმინდე ჩამოჰქონდა თიანეთის შუაგზაზე ტყისპირად გაშენებული იმ სოფლიდან, მისი ოჯახის ახლობლები რომ ცხოვრობდნენ; სოფელი იყო? წყაროიანი, კაკლნაროვანი, ცაცხვებიანი, ახიკომ ბედზე მიუსწრო და შეფრფინვით ბევრჯერ იხილა მოქმედი ძველი წისქვილი და მბრჭყვინავი კალო, ღელეში თევზიც კი დაცურავდა, მართალი იყო აქ ყოველივე: მზე თუ ჩანდა და, მართლა აცხუნებდა, ქარი თუ ქროდა, აფორიაქებულ სოფელში ნამდვილად ქროდა და, ღრუბლები თუ ჩამოიძენძებოდნენ — წვიმდა, აჰ, ჭეშმარიტად, მიწისთვის წვიმდა. ძალიან მართლა ახურჩულდებოდა დამძიმებული ისედაც მიწა — თავშესაფართა, სახლთა საყრდენი, ფერად ნაყოფთა მომთმენი გამდელობით ადამიანთა მეპატრონე და სულ ბოლოსაც იმათი წყნარი შემკედლებელი, იქ მცირე ღელეს ადიდება აჩვეოდა ხოლმე, რა კარგი იყო ზვინში შეყუევა, გველის შიში რომ არა ჰქონოდა, იქ ტყეში მგლები ხაფანგებშუა დაწანწალებდნენ და შუაღამით ხანდახან ეზოს მოადგებოდნენ ყმუილით ისე ახლოს იყო, კი; დათვიც იცოდა. იქ წმინდა ჰაერს გატრუნული ყნოსავდა ბიჭი, სოფლის კვამლიც კი წმინდა გახლდათ, დაფლეთილი და, ისუნთქებოდა, იქ ყოველივე სიმართლე იყო, და იქაურ რძეს სხვა გემო ჰქონდა, სხვა მადლი ახლდა, იქ — ნამდვილ ქართულს ლაპარაკობდნენ, იქ შებინდებამ მოძალება იცოდა ისეთი, სილამაზეზე გული გწყდებოდა, ნალიან ჭიშკარს მოაბღავლებდა შორით ჩამუქებულ, ვრცელ ტყეთა შიშით მოსილი დიდრონი ძროხა და ვარსკვლავები გინდ აბჟუტებულიყვნენ, გინდ არა, რაღაც სხვა, უცხო ქვეყანაში აღმოჩნდებოდა ახიკო, ახი, გახევებული, ნაბიჯწაუდგმელი მოგზაური, ბინდით გაჟღენთილ იდუმალებას უყურებდა, ხეს მუშტრის თვალით აჰყურებდნენ და გარს უვლიდნენ დღით მოღლილი და მაინც გაფაციცებული ქათმები, ბინდიან მიწას ერიდებოდნენ და ღამის გასათევ ტოტებს ზვერავდნენ, ფრთებს დაიქნევდნენ მერე; იქ რაგინდ ცხელი ზაფხული ჩამომდგარიყო, საღამოობით მაინც ციოდა, აძიგძიგებამდე იდგა ბნელში ახიკო და, მერე სახლს მიაშურებდა, სახურავად კრამიტი და იატაკად სოხანე რომ ჰქონდა, და ხელკეთილით გამოძცხვარი სოფლის პურით და სოფლის კარაქით და ნამდვილი რძით ყუჩად ვახშმობდა, გატრუნულ საგნებს ძალიან ოდნავ ალიცლიცებდა ძველი ლამპარი, ბუხრის ნათელი უთავბოლოდ და ტკაცუნით ძრწოდა, გასათბობ ლოგინში შეძვრებოდა ახიკო, მატყლის დიდ საბანს თავზედაც კი წაიფარებდა და ჩათბუნების მოლოდინში ინაბებოდა, რა გემრიელი იყო სახლი, მისი ნესტიც კი, გარეთ კი ბნელად განდგომილი ქვეყანა რჩებოდა, ღამის ანაბარა.

ახლა სულ სხვაგვარ არდადეგებს იწყობდა ხოლმე, რასაკვირველია, — სექტემბრის ასე, თხუთმეტი-ოცი, ყველა დროს სჯობდა, რადგანაც სწორედ მაშინ არჩილი და მისი წრეელები ცნობილზღვიან აგარაკზე ხუთი თანადროული მანქანით მიემგზავრებოდნენ. თითოში თითო წრეელი იჯდა რაღა თქმა უნდა საჭესთან, დიახ: კარგი ურჩნდათ გზა გავლით დროსტარებათკენ, ქროლვა, მოსახვევები მკვეთრი წივილით რჩებოდნენ უკან, წითელ ტაძარს ხურდა ფულს შეუჩერებლივ, ხელუკულმა მიაყრიდნენ — ვინ იცის, ეგებ... — ინსპექციათა ფარდულებთან კი ძალიან ნელა, ფრთხილ-ზეიმისებრ ჩაატარებდნენ დამჯერ მანქანათ, და ისევ — ქროლვა. წივილი ისევ, ხრეშზე გადავლას სხვა ეშხი ჰქონდა, რაღაც ყოჩაღად მძიგძიგებ-

**გურამ დოჩანაშვილი**
განსმდგომი შუაკაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური. პირველ საუზმეს უღელტეხილთან შეასრულებდნენ ხოლმე, უცხო რესტორნებსა და იქაურ საჭმელს ერიდებოდნენ — „რა იცი, ამ სიცხეში... როდინდელია...“, და ასფალტისპირა ტყეში სუფთა ადგილს რომ შეირჩევდნენ, იწყებოდა დიდრონ ჩანთებში ფათური და შედარებით უბრალო რაგინდარას ამოლება — შემწვარი წიწილები, მოხარშული დედალი, სუკი გენაცვალე, ხის სოკო, თევზი-მევზი და ამისთანა ყოფითი რამ, აგრეთვე წვრილმანები: ლავაში, ყველი, ძმრის ხელშეწყობით სალათად შეიმაკაცებული კიტრი და პამიდორი, ის ლიმონათი, დიახ, და შინაური ხაჭაპური — კარგი ცხოვრებით ზომიერად კმაყოფილ ცოლთა დროებით ბეჭდებწაძრულ თითთა მეშვეობით ნახელავი, რეჰანი და სხვა, ხოლო ფინალისათვის გამოიძვრინებოდა საიამოვნო მოულოდნელობანიც — ვთქვათ, რომელიმე გამჭრიახი წრეელის მიერ თერმოსით წამოღებული შოკოლადოვანი ნაყინი, რომელიც სიცხეში ჭამისას პირდაპირ მისწრება იყო. მაგრამ მერე და მერე ძალიანი მოწყურება იცოდა; არჩილს გრძელი დანა ჰქონდა ერთი, და იმის წყალობით თერმოსის ყინულოვან შიგანს ჩხრიკნიდა, ჩორკნიდა და დაქუცმაცებულ სასუსნავს წრეელებს ჭიქაში უყრიდა. ისევ-ისევ გზა!.. ისიც, როგორი წინანდელი, ისიც გზა იყო?.. ალბათ, აბა რა — პირველად, სულ-სულ პირველად აკოლის ნაცვლად იმან და კაკამ სულ სხვა ადგილას რადგან ამოჰყვეს თავი. ეგრეთწოდებულ „მატალო“-ზე იმ დასაკარგავში კაკი რად გაჰყვა, ეს არ იცოდა. თავად კი... იმიტომ... ეს იმიტომ რომ.... იმიტომ, რადგან... რადგანაც... მოკლედ, ეეე... შეყვარებული გახლდათ. მეექვსეკლასელ ბიჭებს თანატოლი გოგოებიც კი უფროსულად დასცქეროდნენ, აჩის კი, ბედი არ გინდა, კაცო? — მაინცადამაინც თვით მეერვეკლასელი, მისთვის ისეთი დიდასაკოვანი, ისეთი შორეული და მიუწვდომელი, კომკავშირელიც კი უავე, უყვარდა. ლამის ძალიან დიხანი იყო, სხვაგვარი რეჩნი რომ უყო გულმა — მთელი ოცდაორი ოცდაოთხსაათიანი დღე. ეს რანაირი ყოფილა მაინც ეს შეყვარება ძალუმი ესე, განა აჩიკო როდესმე წარმოიდგენდა, სარკეში თუ მალულად წამდაუწუმ დაითვალიერებდა თავს? ანდა, მთლად უარესი — ვარცხნილობის საუკეთესოებაზე დიდხანს ეფიქრნა? გაფრთხილებოდა პერანგს და შარვალს? იმდენის მომსწრე ხელისგულზე, დაფასთან ჩამოსაკაკლავი ისტორიული თარიღების ნაცვლად, დაეწერა „ნ“? მატალოზე რა, მახლობელ კინოში თუ წავიდოდნენ იმისი კბილა ბიჭები, აჩიკოს კი რაღაც სხვა სურდა. რაღაც ამაღლებულად განსაკუთრებულსა სთხოვდა შეძრული გული და, მოიფიქრა — ფუნიკულიორზე ასვლა გადასწყვიტა და კაკიც ისე საეჭვოდ მყისვე დაეთანხმა, აჩიკომ ერთი კი გაიფიქრა: „ესეც ხომ არ... შეყვარებული ხომ არ...“, და უცებ, სასტიკი განცდით აეწეწა სული: „და ამასაც ის ხომ არ..!“ მაგრამ აჰ, არა, არა, კაკი ისეთი დაბალი იყო, კლასელებს მხრამდე ძლივას სწვდებოდა, ჯერ პიონერსაც კი არ ჰგავდა, იმას კი, იიმ, „ნ“-ს, წესით და რიგით თუნდაც ფიქრობრივ აბა რანაირად შებედავდა, მაგრამ ძნელი იყო კი, აჰ, სიყვარული, და აჩიკომ მაინც გამოსცადა ძმაბიჭი, თუმცა ღელავდა, ხმადაბლა ჰკითხა:

— ნ?

— რა? — შეაცქერდა პატარა კაკი.

— არა, არაფერი... —

„კარგი ბიჭია“.

მერე იყო და, იყო ნელი ტრამვაი, სამიოდ მგზავრი, ვიღაც სამხედრო, ლითონის ბაგირის წყნარი ღრჭიალი, შორეულ ტყეთა ნაცრისფერობა, გაძარცული ტყე, შემოდგომურად დუნე სიყვითლე, გასუსულიყვნენ აჩიკო და კაკი, რადგან თბილისი, მათი ქალაქი, ზემოდან ძლიერ გადასხვაფერდა — რაღაცნაირად, გაიშალაც და დაპატარავდაც, მაშინ თბილისზე კრამიტიანი სახურავები უფრო სჭარბობდა, და უფრო ვიწრო, შინაურული ხიდები იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მტკვარზე გადებული, და კანტი-კუნტა მანქანები იტაცებდნენ თვალს; სანუკვარ ეზოს, სადაც ცხოვრობდა დედუფალი „ნ“, ამაოდ დაეძებდა აჩიკო, მერე პარკისკენ დაადეს თავი, სადაც იმდროინდელი გამორჩენილი ატრაქციონი — აწონ-დაწონ დიდი ბოქლომითა და ჯაჭვით საიმედოდ დაებათ, მერე პარკს გასცდნენ, იქით უფრო სხვა ხეები იდგა, უფრო ნამდვილი, უფრო ტყედ შეკრულნი თითქოს, და შორეულ ყეფაზე ერთხანს შედგნენ და მერე ორთავეს ერთად გაახსენდა რომ — მოშივნოდათ, და ვითომ ძაღლის შიშმა კი არა, მადის გამოღვიძებამ უბიძგათ უკან, ფუნიკულიორის რესტორნისაკენ, თან ყოყმანებდნენ — მხოლოდ მანეთი, და რაღაც ხურდა, ისიც გზის ფულად, ჰქონდათ. მაგრამ აჩიკომ „ნ“ გაიხსენა და ვაჟკაცურად აიარა საფეხურები, ერთხანს დარბაზში იბოდიალეს, მერე ბუფეტის თავკაცს მიადგნენ და რომ გაუწოდეს მანეთიანი — იმა პაწია ასაკისათვის, ცოტათი ხელის სილამაზე, და დაამატეს: „თუ შეიძლება, ერთი მანეთის, პური და ყველი“, ბუფეტოვანმა მსწრაფლ-განრისხება დააპირა, ჯერ ეგონა თუ, აშაყირებდნენ, მაგრამ თვალების დანახვაზე, თვალებზე, მიხვდა, ვისთანებთანაც ჰქონდა ამჯერად საქმე, ნახევარი პური მოუჭრა, ჩამოუთალათ ორი დიდი ნაჭერი ყველი, მერე თავის მხრივ ყოვლად უთქმელად ერთი ბოთლი ლიმონათი დაამატა, შეეძლო ორიც, შატალოიონნი პარკში დაბრუნდნენ, სკამის კიდეზე დასხდნენ, და რადგან აჩიკოს ის გრძელი დანა მაშინ არ ჰქონდა რასაკვირველია, პური შუაზე გადატეხეს. რა სუნი ჰქონდა! მერე ისევ ქალაქის სათვალთვალო მოაჯირს მიადგნენ. აჩიკო კვლავაც იმა ეზოს ძებნას შეუდგა, და, თავიაუფლად შესაძლოა. კაკიც შეყვარებული იყო, რადგან ორჯერ ძალიან ხმადაბლა თქვა:

— ეხ.

იმავ საღამოს კი, რადგან, მოგეხსენებათ, უშედეგოდ არარა ხდება —

— ეს საზიზღარი, ეს საზიზღარი, — რაღაცნაირად, მთელის ეშხით და თან უბოლოდ ამბობდა დედა. — ბავშვს სკოლაში უშვებ და, ხედავ, თურმე სად და სად არ დაეთრევა? რა გინდოდა იქ, ბიჭო!

აბა, თავად განსაჯეთ, იტყოდა?

— მითხარი-მეთქი!!

ეტყოდა, განა? შინ კი არადა, ამხანაგებთანაც ვერ გაამხელდა მიზეზს, ახლა კი, პირიქით, საამაყოდაც კი ქონდათ საქმე:

— სამი სვიდო* მაქვს, — ამბობდა აის წრეელი, კარგ რუსულს დიახაც რომ ჩემულობდა, — რომელ ერთთან წავიდე, კაცო?

— რომელთანაც აჯობს.

— სწორია, სწორი, — ჩაურთავდა არჩილიც და წამოიმართებოდა. — შევიდეთ, ზღვაში?

ქოტეჯებიან აგარაკიდან დიდად ცნობილ ქალაქ-კუროორტში თუ ჩაისეირნებდნენ, იქიდან, უკან, რამდენიმე ისეთ ქალს წამოიმძღვანიებდნენ, ურთიერთს კარგად რომ შეეხამებოდნენ. იმათი გამოცნობა არ იყო ძნელი — ხელის სილამაზიანნი რომლებსაც უყვარდათ, ეტყობოდათ, რაღაცნაირად, ჩაცმულობაზე, იერსა თუ მტაცებლურ-ბრიყვულ გამოხედვაზე. მაგრამ ერთ წრეელს ერთ მშვენიერ დღეს, ღამეს, შიდა ბორძაყზე დაუმთავრებელ-ვარსკვლავ-ტოტუირებული ვაჰ-ქალი რომ შეხვდა, მას შემდეგ მორიგ მანდილოსნებთან შესამოწმებლად ჯერ ზღვაში გასცურ-გამოსცურავდნენ, შრობისას ტანზედ შეამოწმებდნენ და მერე კი, დარწმუნებულნი, აგარაკისკენ ჰერი-ჰერი. სექტემბერში ზღვისპირას იმდენად აღარ ირეოდა მილეთის ხალხი, მაგრამ მაინც, წინდახედულობით, რამდენიმე ხელისსილამაზიან ნეილონის სანდოდ დახშულ პარკს გადასაცმელში საცურაო ტრუსების წინა ვაჟკაცურ მხარეს ჩაიჩუ-

* რუსული გამოთქმიდან «До свидания».

**გურამ დოჩანაშვილი**

განსმდგომი შუაკაცი

თავდნენ და მერეღა მიაშურებდნენ ზღვას, რომელიც, თავიდან, კოჭებთან, მჭახე სიგრილით შემაკრთობელიც იყო, გაფრთხილებასავით — „ზღვა ვარ“, მერე, მუცლამდე რომ შეაბიჯებდა, სიცივე იპყრობდა, მერე ერთი უნდა გადაშვებულიყო და გონიერსა თუ უვიც სხეულს ერთნაირად თბილი სიამით ელენთდა მარილოვანი წყალი, არჩილი ხელ-ფეხს მადიანად იქნევდა, კარგი იყო სექტემბრისა ზღვა, და კარგივე გახლდათ იმის შეგრძნებაც, რომ სულიერთაგან აბა სხვას ვის ექნებოდა წყალქვეშ იმდენი ქალალდის ფული; რესტორნებს გარდა, ნეტარებათა თვალსაჩინო სხვადასხვაობისათვის, ბუნების წიაღშიც სჩვეოდათ ქალებიანა ქეიფითი გასვლა, ხოლო როცა ერთხელ არჩილი იმ თავისი გრძელი დანით შეუდგა ბეჭის დათლას, ერთ-ერთმა თეთრშარვალშემოტკლეცილმა, თვალებგანგებამოლამებულმა ქალმა სიცილ-სიცილით სულ ასე იძახა: „აჰ, კავკასიელები, კავკასიელები, კავკაზია...“

ბევრი იცინეს. ძალიანი. აი, ეს იყო ცხოვრება, თორემ, იმ თბილისელი ერთი ბებერი ქალის ყოფასაც განა ცხოვრება ეთქმოდა, განა?

## 4.

არჩილის მეზობლად, სწორედ მისი კარგი კარის პირდაპირ, იგივნაირ ოთხოთახიანში, ერთ-ერთი წრეელი ცხოვრობდა, უშო—ერთად ჩააწყვეს. სართულზე ორი ცალოთახიანიც იყო, რომელთაგანაც თავიაკენა არჩილმა არამყვირალა ენერგიულობით შემოიერთა, წრეელმა უშომ კი მეორე, თავისპირა ბინის ათვისებას ვერაფერი მოუხერხა, რას არ შეჰპირდა, მაგრამ გადასვლას არაადიდებით არ თანხმდებოდა იმბინიანი ხნიერი ქალი, მართა. „გიჟია, რეგვენ-ტიალ-ოხერი? — საჭეს უჯდა და ისე შფოთავდა წრეელი უშო, — მეტი რა გინდა, ქალო, ოროთახიანში გადაგიყვანმეთქი, ამავე კვარტალში-მეთქი...“ „მერე? — ეკითხებოდა მანქანისმიერი გვერდითა წრეელი, არჩილი და კიდევ ერთი უკნითა სდუმდნენ, თანაც, არჩილმა კარგად იცოდა, რაშიც იყო საქმე... „არაო. რად მინდა დიდი ფართობიო“. „ალბათ ფული უნდა“. „არა, მაგისი დედა ვატირე, — ძალიან მწარედ ცხარდებოდა წრეელი უშო, ჯდომლურ მდგომარეობას იცვლიდა, — უკეთეს ერთოთახიანში გადაგიყვან, უკეთეს ადგილას, უკეთეს სართულზე, რაც ხარახურა გაქვს, უფასოდ გადაგიტანმეთქი, ბლომად ფულსაც დაგიმატ... ჰხაიი, ჰაა,“ — სუნთქვა ეკვროდა. „მერე?“ „არაო“. „რატომ, მაგისი... — უკვირდა გვერდითას, — სხვა რა ჯანდაბა და ოხრობა უნდა“. „რავი, მაგისი...“ „ეგება ფული ეცოტავება?“ „არა, გაგიჟდი? იმდენს დავპირდი რო...“ „მა რა დოზანა და...“ მცირე ხნის შემდეგ, სწორ მონაკვეთზე, უშო ამბობდა: „გიჟია, მა რა, აქ ჩემი შვილი ცხოვრობდაო და მე იმის ხსოვნას ვერ დავტოვებო...“ „მამა უცხონდა, ეგ თუ მაგ ბინას არ მიატოვებს, მაგისი შვილი რა, — გაცოცხლდება?“ „ბებიამაგისამ, — გაიოცებდა ალმართის შემდგომ იგივ წრეელი, — სხვა ბინაში თუ გადაბრძანდება, შვილი რა, ალარ ეხსომება?“ „რავი, მაგისი...“, დაიბოლმებოდა უშო და მოსახვევს ისე ჯიქურ იპყრობდა, მკვეთრი წივილი პროფილებზე, გლუვად უხილავ განაფხაჭნად გადასდიოდათ, და ზომიერად შემკრთალი გვერდითა წრეელი დაუყვავებდა: „კარგი რა, უშო, შენ თუ შენ ნერვებს არ გაუფრთხილდი, სხვა კი არ მოუვლის... შენ კარგად უნდა დაფიქრდე, უშო, ნელა ატარე და ისე, ყოველთვის არის გამოსავალი“. „მეტი რალა ვქნა, შე კაცო, — უკვირდა უშოს, — ცოლად ხომ ვერ შევირთავ და...“ ამას სიმწარე ახუმრებინებდა, რალა თქმა უნდა. რადგან ის ქალი დედად ერგებოდა. საერთოდ კი საქეიფოდ მიდიოდნენ, გორთან. „ბიჭოო, მოვიფიქრე! — უხაროდა მანქანაში მინამდე ყუჩად მჯდარ უკნითა წრეელს, — მაგარი საფლავის დადგმას დაპირდი და, აი ნახავ თუ, თუ არ დაგ-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თანხმდეს." უშომ სარკიდან შეხედა და, თქვა: „ვუთხარი ეგეც. არ მოინდომა." „რატომ, შე კაცო... არ ჰყვარებია?!" „არა, რა ვიცი, სულ სხვა რამე მოიმიზეზა." „რაო..." „აქაც უბრალო იყოო და..." „კარგი, ოჰ, კაცო..." — უკვირდა წრეელს. „აბაა... ბედი არ გინდა? — მწარედ დაიჩივლებდა უშო, — ყველა ოხერი მე უნდა შემხვდეს."

გადაუხვიეს.

„შაოს ბოტკინი დამართნია, ეგლა უნდოდა? მაინც ისედაც ძვალი და ტყავია," — თქვა გვერდითა წრეელმა. „უიმე, რას ამბობ, როგორ?" — ძლიერ უგულოდ იკითხა უშომ. „რა ვიცი, კი წევს და..." „აუცილებლად უნდა ვნახოთ, — სისულელით წამოსცდა გვერდითას, მაგრამ საჩქაროდ გამოასწორა, — თუმცა კარანტინი ექნება ნაღდად, გადამდებია." „ხილი და რამე შევუგზავნოთ." „ადგილიც აღარ ექნება, კაცო, მარტო ანტონა... ფული სჯობია", „აკლია, კი, კი, — იღიმებოდნენ, — და შენ რომ აილო და ის ფული დაამატო და სადმე სხვაგან გადასცვალო ბინა?" „გაგიჟდი, ბიჭო?—სარკეს ამჯერად არ დაკმაყოფილდა და მიუხედა კიდევაც უშომ, — რაც მე რემონტში ჩამიყრია..." „ჰოო, ეგ ჰოო, — მყის თანხმდებოდა და მერე ხელებსაც შლიდა უკნითა წრეელი, — არა, ძმო, არა. შენ რომ გაქვს, არა? — ეგეთი რამე ჯერ მართლა არსად არ მინახია..." უშოს გულს ეს კი სიამოვნებდა, მაგრამ დაჩაგრულად ამბობდა: „მე სწორედ მაგისმა რემონტმა არ დამღუპა?" „შენმა?" „არა, იმ ქალის." „იმ ქალის? რატომ..." „რა ვიცი, მაგის შვილს მაგის ოთახში რაღაც ნაგავი შპალერი თავისი ხელით გაუკრია და... მეო, იმის ნამუშევარს ვერ მივატოვებო, დიახ..." „მალარი იყო?" „არა, ფიზიკი. და თანაც, რაღაც მატაკიცლეტისთვის თურმე ფულს აგროვებდა." „მაგრა ყოფილა. ისე, ის ბიჭი რომ არ მომკვდარიყო, ოროთახიანში ნაღდად გადავიდოდნენ, ოჯახის შექმნა, ცოლიო, რამე..." — თითქოს დასაბუთებულად მსჯელობდა უკნითა წრეელი, ხოლო უშოსგის უფრო ეკიდებოდა ცეცხლი, გულდათუთქული, ასე ამბობდა: „აბა მე რავი, მე ჩემი ბედი, მოკვდა."

უახლოვდებოდნენ, გორს.

ამისთანაებს, გულღიაობა ალაპარაკებდათ, თორემ ისინი აი იქ უნდა გენახათ, ერთმანეთის ოჯახებში, წვეულებებზე, ანდა — საჭირო ზევითურა ხალხის თანდასწრებით ხომ... რა პეწი ახლდათ, რა სიკოხტავე, როგორვითარი მზადყოფნა, ანდ რანაირი სიტყვა-პასუხი; ხვეწნურად ძლიერ მომლოდინე მზერას ალაპყრობდნენ ნემსთყუნწშიგამძვრალთ, დახვეწილები გახლდნენ ისეთი უცხო თვალს მათთვის რომ შეეხედა? — სულო და გულო... ატაშეების მიხვრ-მოხვრა ჰქონდათ. სულ სხვანი იყვნენ ქალაქგარეთა რესტორანში, კაბინეტთაგან ყველაზე უშუალოში მოყუჩებულნი, სიცხეში ცივი შამპანურით აგრილებულნი, და თანავდროულად ახურებულნი მაინც, პერანგჩახსნილნი, ჭიპამდე დეკოლტეთი ისხდნენ და სვამდნენ, მეორე დილით კარგი იყო მაცივრისმიერი შინდის კომპოტი, დაფუფქულივით ენა-ხახაში სასიამოვნოდ იჟლინთებოდა, საერთოდ, ზაფხულს, ნაზად ნატიფი საჭმელები უფრო უყვარდა, ხბო, ბატკანი, ვთქვათ, და სულ სხვა რამ ეშხი ჰქონდა დეკემბრობით საფერავსა და ღორის მწვადს, ჯიგრის ყაურმას, ხანდახან ძლიერ კარგი იყო განსხვავებულობანიც კი, როგორიცაა ტორტი, მოკლედ, რა იცი, ორგანიზმი რას არ მოგთხოვდა, მაგრამ ყველაფერი ეს თავისით კი არ მოდიოდა, ამას შრომა და ანგარიშიანი გაბედულებანი უნდოდა, შემმოწმებელთა სისუსტეების ამოცნობა. ჭკუით მიდგომა, სხვადასხვაკუთხა დაზღვევები, გამოზომილი ურთიერთობა როგორც უფროსთან, ასევ — უმცროსთან, თანამშრომელთა თვალის გასაკეთილებლად რაიმე ზედმეტი უანგარო დატვირთვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ალება, მართლა ადვილი კი არ იყო იმათი დარგი, ოლონდაც, რისთვის, და რა ამტანი იყო სხეული, თანდათანობით ბუნების წესით თუმცა ცვდებოდა, ალბათ, მაგრამ ჯერხნობით არა უშავდათ რა, თითქოს, და შესამოსიც ალმატებულად თანადროული ჰქონდათ — ჯერ ის იყო და, ნეილონ-ბაილონობა იყო და, სულ შარიშური გაუდიოდათ, „ბიჭი მიდის მოხვეულში“-ს ჰგავდნენ, მერე მოვიდა შავად მკაცრი „კრეპ“-ობა, უცხო ქვეყნების მაძებრებს ძლიერ ჩამოემგვანნენ, ოლონდაც შლაპას ვერა გუობდნენ, ხავერდობანა რომ შემოვიდა, ახავერდოვდნენ, მზის შუქზე ჭავლი გადასდიოდათ, მერ ჩამოდგა ტყავით შემოსვა, ტყაოსნობანა, რა უჭირდა რა, სიამოვნებდა თვალს, მაგრამ ერთს ერთხელ თავში დაადეს დიდი აგური.

აგურისავე სახლში ცხოვრობდა ეს ადრე, წინათ, დედუფალი „ნ“ — აჩიკო იმის ფანჯრებს ისე გაოგნებულად დამფრთხალი მიჩერებოდა, შუშაზე მეტად თავად უფრო შუშისა იყო, ფარდის ერთი შერხევა და, დაიმახვრეოდა ნაღდად, ღელავდა ისე. გარეთ ციოდა, დიდ ერთგულ ჭადარს ამოფარებოდა აჩი; რა კარგი იყო, ზამთრობით რომ ღამდება ადრე, ისე-უბრალოდ ვერ შენიშნავდნენ, აჩიკო ოდნავ წინგადახრილი იდგა, და უნებურად მუცელზე მიედო ფრთხილი ხელისგული — ნაოპერაციევზე, შინიდან პირველად გამოსული გახლდათ. პირდაპირ აქეთ მოაშურა, „ნ“-ს სახლისაკენ, და რა თქმა უნდა, არასდიდებით გაიყოლია შემკრთალი დედა — „ვაიმე, ვინმე არ დაგეჯახოს...“ აჩიკო იდგა რაღაცნაირად ვალმოხდილი, გაამაყებული, რადგან თავისი ძნელი ჩანაფიქრი კაცურკაცურად განახორციელა: სამიოდ კვირის უკან, რაღაცა ბედად, აეკვიატა, რომ ამ შუა ზამთარში თბილისის ზღვაში თუ შებედავდა, მერე მოხდებოდა ისე, რომ გაიცნობდა „ნ“-ს და კინოში ერთად წავიდოდნენ და სანახევროდ ისიც ჩაიფიქრა, რომ „ნ“ ლაღიძის წყლებშიაც კი შეჰყვებოდა და სამ-სამ ორმაგს სვენებით გამოსცლიდნენ, [illegible] აჩიკომ ასე და, თბილისის ზღვაზე მარტოდ წასვლისაც აბა რად უნდა შეშინებოდა, აგერ არ ჰყავდა პატარა კაკი? თბილისის ზღვაზე მაშინ ტრანსპორტი არ დადიოდა, არც ეს სახლები იდგა მაშინ, ყრუ, მივარდნილი ადგილი იყო, მაგრამ აჩიკომ და მისმა კაკიმ ყოჩაღად სძლიეს შორეული გზა, და დიდ-გამოცდის ჟამი რომ დადგა, და ტანსაცმელკაკიზე-გადაბარებულმა, სიცივისაგან ქვადქცეულმა აჩიკომ წყალში რომ შეჰყო ცერი, ასე ეგონა. სუსხისაგან აფრინდებოდა, და მაგრამ, მაინც, სიყვარულო ეხხ, სიყვარულო — უხხ, თავითფეხამდე დასველდა და, ძმაბიჭის ზვედრის წარმოდგენით თვალებმომწაროდახუჭულ კაკის თავისი პალტო გამოვლიჯა და ტანს იმითი როცა აკანკალებული სხვა სიტყვაა, იმშრალებდა, კაკი თავისი მწვანე ყელსაბურით ძმაბიჭის სველ თმაზე ცოდვილობდა, ძალიან უშლიდნენ ერთმანეთს ხელს, და როცა გადალურჯებულიც სხვა სიტყვაა, აჩიკო გაოგნებული მშობლების წინაშე შუაღამისპირს ამაყად წარსდგა და შეკითხვაზე, თუ სად იყო, გამარჯვებულმა საკუთარ თავზე, გარკვეული ქედმაღლობით მოხსენებულმ ჰქმნა სისწორე, ამ პასუხს მშობლების მხრიდან, რაღა თქმა უნდა, აპლოდისმენტები არ მოჰყოლია, და, კიდევ კარგი, თავშეკავებული კაცი იყო აჩიკოს მამა, მხოლოდ ვალერიანის ორი აბი იკმარა, რაც შეეხება დედას, სხვა დროს ამის მეათედსაც არ აპატიებდა, მაგრამ ახლა, განცვიფრებული, წიგნიან სკამზე დაჯდა და ესლა იკითხა:

— იქ რა გინდოდა, მითხარი, შვილო ..

აბა, თავად განსაჯეთ, იტყოდა?

— მითხარი, შვილო, დედა არა ვარ?

ეტყოდა, განა?—ყოფილიყო რა... ნურას უკაცრავად — „ნ“-ს ირგვლითა საქმენი სხვაგვაროვანნი გახლდათ, და სიტყვა „საიდუმლო“-ს ნაჯობნარა სიტყვა „ხვაშიადი,“ ასე ჰფიქრობდა, როცა ფილტვების ანთების შიშით დაფაცურებული მშობლები შეყვარებულ ყმაწ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვილს თავით ფეხამდე სპირტით ზელდნენ, და თუმცა აჩიკო გაციებითაც არ გაციებულა, გაცივდა კაკი, ოღონდ, ისე მოხდა, დამთხვევა იყო თუ არა კაცმა არ იცის, ალბათ არ იყო, მეორე საღამოს, მწვავე შეტევისა გამო, მკაცრ მაგიდაზე საბრმანაწლაოდ წამოაწვინეს თეთრებმა აჩი, ბიჭ-რომანტიკულს კინოთა და ორმაგ-ორმაგ ტკბილ წყალთა ნაცვლად საცდელი ყარფუზის ბედი ეწია, ეს იყო საქმე? წარმოგიდგენიათ, ხომ?

## 5.

მაგრამ ბრმა ნაწლავს, გლანდებსა და ამისთანაებს რა უჭირდა, მორჩენილზე, ავადმყოფობა ცოტათი საამპარტავნო და შვებითიც იყო, სხვა გემო ჰქონდა დასუსტებულზე ქუჩაში გასვლას, როცა გგონია რომ შენი გმირული ამბავი სუყველამ იცის, ხალხი კი თავისთვის მიედინება, რა გამოულევს საქმეს, ნაავადმყოფარზე ახლობელთა ზედმეტი ყურადღებაც საკმაოდ თბილად ეფინება გაამაყებულ გულს, და გაკვრით ჩავლილ, თითქოს თამაშა, სურდოსნაირ, ვთქვათ, ავადმყოფობებს რა უჭირდა რა, დაავადება აი ის იყო, საშინელი და ძრწოლისმიერი — მართას შვილს უცებ რომ აღმოაჩნდა. მართას ქალიშვილიც კი ჰყავდა, მაგრამ ის როგორღაც არ ითვლებოდა, სადღაც შორს იყო გათხოვილი, და მართას იმ თავის ბიჭზე ამოსდიოდა, როგორც იტყვიან, მთვარე და მზე, როგორც იტყვიან, ის იყო მისი გულის ვარსკვლავი. ბიჭს თითქოს არა უშავდა რა, ჩვეულებრივივით იყო, არჩილი იმას არასოდეს დალაპარაკებია, მხოლოდ ესალმებოდნენ ერთმანეთს. ის ერთოთახიანიც იმ ბიჭისათვის მიუციათ; როგორც ამბობდნენ, ნიჭიერი ფიზიკოსი ყოფილა, და შეუწყვიათ ხელი. მართა რომელიღაც საავადმყოფოში მოწყალების დად მუშაობდა, ადრე.

შვილის ამბავამდე, მართა ქოთქოთა და მხიარული ქალი გახლდათ, მოულოდნელი სიმსუბუქით იმორჩილებდა დიდ, მსუქან სხეულს, გაცინებისას თვალები სულ აღარ მოუჩანდა და ლოყებზე კი სამაგიეროდ დიდი ფოსოები ულრმავდებოდა, მაგრამ არჩილმა არ იცოდა ეს. მართას განსხვავებულ, გაპრანჭულ მეზობლებში მორიდებით ეჭირა თავი, ხოლო მაღაზიებიდან ოაგინდ მძიმე ჩანთით მობრუნებულიყო, ლიფტით არ სარგებლობდა — სიმჭიდროვისა თუ დახშულობის ეშინოდა თუ რაღაც ამგვარი...

არჩილს კი დიდად ეამაყებოდა განვითარებული ტექნიკური პროგრესი, — იქნებოდა ეს სწრაფმავალი ლიფტი, ფერადი ტელევიზორი თუ გაუმჯობესებული მანქანა, ესკალატორიც. თანდათანობით ყოველივე ეს ძალიან კარგი რამე გახდა, მშვენიერიც კი, რადგან არჩილი საგრძნობლად დამძიმდა, ადრე აჩიკოს, მაღალს და გამხდარს, უფრო ბუნება და მისი თითქოსდა მიშვებული წესრიგისა სწამდა, ათვალწუნებით უყურებდა შეკრეჭილ ბუჩქებს, ახლა, პირიქით, მსჯელობდა კიდეც — მოდი, თუ კაი ბიჭი ხარ და, ნუ გასხლავს გლეხი ვაზს. მაგრამ ის ბუჩქები ნაყოფს არ იძლევიან, არიან თავისთვის. ოაა ამავებენ, ეს არ ახსოვდა, არხეინად იყო. დამძიმებასაც რა უჭირდა რა, რომელი ჭოკით მხტომელი არჩილი იყო. მაგრამ ზღვისპირა აგარაკისთვის მაინც ცდილობდა წონის დაკლებას — რაც გინდა იყოს, პლაჟს ტანით მოხდენილები უფრო ჰშვენოდნენ და არჩილი აგარაკამდე ერთი თვით ადრე მკაცრად ზღუდავდა პურისა და ფქვილეულის ათვისებას, ერიდებოდა ისეთ საჭმელებს, რომ აწყურებენ, უფრო ხაჭოსა და მისთანაებს შეექცეოდა. და ამის გამოც დილის გამამხნევებელ ვარჯიშს მისდევდა; ასე განსაჯეთ, რადიოს დახმარებით და არა ტელევიზორისა, რადგან ამ უკანასკნელში ისე მშვენივრად ჩამოსხმული სამაგალითოდ მოვარჯიშე გოგონები სცვლიდნენ ერთმანეთს,

ეროვნული ბიბლიოთეკა

არჩილს განმკლავ-მიმკლავებისა ნაკლებად სცხელოდა. ამ შემთხვევაში უალრესად ფერად ტელევიზორს ნაკლებად განვითარებული რადიო სჯობდა. კარგსპორტულფორმიანი არჩილი საწყის მდგომარეობაში: („ფეხები ოდნავ განზე!“) დგებოდა ნოხზე, და შეძლებისდაგვარად ასრულებდა დიქტორის მბრძანებლურ-დამყვავებლურ მითითებებს („წაა-მოწექით ახლა, ხელები მაღლა ასწიეთ-ეთ, ასე, წაა-მოჯექით, ამოისუნთქეთ ახლაა, ისევ საწყისი მდგომარეობა, ეეერთი,.. ოოორი — ვაქებმაშეგიძლიათჰანტელებიაიღოთ — საამი,.. ოოთ-ხიი,.. კარგია, ეეერთი...“) არჩილი თავიდან კი ილლებოდა და სახსრებში სტეხდა, მაგრამ მომდევნო დღეებში ეუფლებოდა ვარჯიშს, სხეულს ახსენდებოდა მივიწყებული, ერთდროს მშვენიერი კალათბურთელობის რაღაც მოქნილი ნამცეცები, და გიმნასტიკის დიქტორზე ნაკლებ როდი შველოდა იმ უცნობი პიანისტის, გვარად როდიონოვს რომ უცხადებდნენ, მელოდიები და აკორდები. იყო ადგილობრივი გადმოცემაც, ადგილობრივი პიანისტით, ხარშილაძეთი, მაგრამ ხარშილაძეს ნუ ეწყინებოდა და, როდიონოვის მჩატე ჰანგები ხარშილაძის მჩატე ჰანგებზე უფრო შთამბეჭდავი იყო. პიანისტი როდიონოვი ალბათ თავისით ირჩევდა მოვარჯიშეთათვის მხნე, ცნობილსა და მსუბუქად სასიამოვნო მოტივებს, თავისებურად აიმპროვიზირებდა, საჭიროებისდამიხედვით სცვლიდა რიტმს, და ერთხელ, როგორღაც, არჩილს ის პიანისტი, როდიონოვი, აეკვიატა: რამდენი ვინმე ვარჯიშობდა ალბათ მისადმი ნანდომ პიანინოს ხმაზე, ეს უხილავი და მაინც რამდენის ოჯახისკაცი მოისურვებდა და უფრო სწრაფად აახტუნებდა რამდენ ვიღაცას, მოინდომებდა და, შეღავათად, მოძრაობებს შეანელებინებდა, ინებებდა და, სულ ყირამალა აკოტრიალებდა, არჩილის თვალში ყოვლად უცნობი პიანისტი ესე თანავდროულად ახლობებელი და ჰამაც შორეული ისეთიი, ხდებოდა, არჩილი ხანდახან ლიფტშიაც კი ცდილობდა წარმოედგინა, როგორი უნდა ყოფილიყო დილის მაესტრო, როდიონოვი, საერთოდ, ცხოვრებაში. რა უცნაური ახირება იყო მაინც ეს: ნეტა ეკეთა თუ არა რომელიმე თითზე გიშრისთვლოვანი ბეჭედი, ან ჰყავდა თუ არა ნანინანატრი ცოლ-შვილი პიანისტ როდიონოვს, ან ნეტა როგორ მოიქცეოდა პიანისტი როდიონოვი, შვილის უმსგავსი საქციელის ამბავს სკოლიდან თუკი მოუტანდა მისი ნეტაროგორკაბიანი მეუღლე, ევა. ხოლო პიანისტი როდიონოვი კიდევ უფრო მიუწვდომელი ხდებოდა, როცა აქა-იქ გამოურევდა ფრანგულსა თუ იტალიანურ მელოდიებს, მაშინ პიანისტს გრძელ გონდოლაზე ყელმოღერებულს წამოიდგენდა, მაგრამ იყო კი ნეტავი იქ, სორენტოში, ზურმუხტისფერი, ანდა საერთოდ, ზღვა?

უცნაურია, რაღაც ძალით და მიუწვდომლობით, ეს ახირება ბავშვობიდანულს ჰგავდა. ბავშვობაში კი, რა არ ხდებოდა, — ჯადოსნობანი, რა საკვირველი წარმოდგენები იპყრობდა ხოლმე, აი, მაშინ კი, მააშინ, როცა აჩიკო მშობლიურისაზე გაცილებით გრძელ და შეუდარებლად ფართო ქალაქში მოხვდა, და როცა მამა სადღაც უზომოდ მაღლივ შენობაში მივლინების დასამოწმებლად შევიდა, უცხო ქალაქში, ძალიან ჭრელ და მოძრავ ხალხში მარტო აღმოჩნდა პატარა აჩი, სადარბაზოსთან უმწეოდ მდგარი, გადათელილი ქუჩის ხმაურით და მიმომავლებს, აჰ, უცხოთ ისე, რაღაცნაირად, ძალიან განზე მიგდებულის უსუსურობით შესცქეროდა, და მერე, უცებ, საშინლად ისე, რაღაც განათდა! — აჩიკო ჩასწვდა, რომ ყველაფერი, ყოველივე ეს — სულ მისთვის იყო! ეს სწორედ მისთვის ხდებოდა ტროლეიბუსთა გულგრილი ჩავლა, ეს მისთვის იდგა ძველი სარდალის ქანდაკება, ფართო ხმლით ხელში, მისთვის იქნევდა გატიკნულ პორტფელს დაგვიანებული სადღაცას, აღელვებული კაცი, და სწორედ მისთვის იყვნენ ისე გულგრილნი ერთურთისადმი მოძრაობის მარეგული-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რებელი მილიციელი და ოთხგზის უკვე გამოთხოვილი, გზასაცდენილი და ქუჩის კი სწორად გადამსვლელი ჯერაც ლამაზი ქალი, ბავშვობისმიერ განათებებში აეს ჩაწვდომა ყველაზე მეტად შთამბეჭდავი, დიადი გახლდათ—რომ ყველაფერი მისი იყო და მისთვის ხდებოდა, მაგრამ ერთს, მთავარს, მაშინაც კი ვერ მიხვდა — რომ აღმოჩენით პირდაღებული პატარა აჩიც თავისი მხრიდან ყველასი იყო, ვერა, ვერ გრძნობდა სწორედ ამ ამბავს, ამ მთავარ ამბავს, რომ თავადაც რომ, ცალმხრივი აღმოჩენით შეძრული, ისიც ყველასი რომ იყო და იმათთვის იდგა, და, აღზევებით გამართული, მამის მოყვარული თითების შეხებისთანავე შეკრთა და თავისი ამ, როგორც ეგონა, ზეპატივმოყვრული წარმოდგენისა ძლიერად შერცხვა, ასე ეგონა თუ, ძალიან ბრგე და ძლევამოსილ ვინმედ წარმოიდგინა პატარა თავი, ისეთი დიდი, ვრცელი ქალაქი რომ დაიჩემა, და მობუზული მიჰყვებოდა რომელიღაც მუზეუმისკენ გახარებულ მამას — შვილი მოესწრო, შორ ქალაქში ჩამოიყვანა. აჩიკოს მერეც ძაან რცხვენოდა იმ განათების, რა იცოდა რომ, მართალი იყო, რადგან ჩვენ, ყველა ადამიანი, მთლად უხილავი რაღაც ქსელით სულ ერთმანეთზე ვართ გადაბმულნი, რის უცხოობა, მთლად უცხონიც კი, ერთმანეთის ვართ, აქ რაღაც სულ სხვა, სხვა ძალაა და ჰოიჰ, ბეჩავი პიანისტი როდიონოვი, თუკი ჰგონია რომ ეს ის ამოძრავებს, თუნდ დილაობით. სურვილისდასებრ ხალხს, არა, აჰ, არა, გინდ სულელური რამ მაგალითი ავიღოთ, თუნდაც უშოსი: „მე ჩემი ბედი, — ჩიოდა უშო, — მაინც რამ მოკლა...“ „აბა, კაცო, — ეთანხმებოდა გვერდითა წრეელი, კვლავ მანქანაში, კვლავ ოთხნი ისხდნენ, გურჯაანამდე ჯერ ბლომად აკლდათ. „მე რომ ბედი მქონებოდა. — მსჯელობდა უშო, — ეგეთი ტუტუცი მეზობელი კი არ შემხვდებოდა, ვინმე ნორმალნურს შევეყრებოდი“. „აბა, მაშ, კაცო...“ მცირედ ჩაყუჩდნენ, და თურმე ტყუილ-უბრალოდ კი არა, რადგან უკნითა წრეელი თურმე ბედის მრავალკუთხობრივობაზე ფიქრობდა, რადგანაც, თქო: „მე რომ ვუკვირდები, არა, უშო, რამდენმა რამემ შეგიშალა ხელი, აი, ერთში მაინც რომ გაგმართლებოდა...“ „რაში...“ — სარკიდან შეხედა უშომ. „აი, ვთქვათ, არა?! — ჯერ ის ბიჭი კარგი ფიზიკი რომ არ დამდგარიყო, ბინას ხომ ისე არ მისცემდნენ და კილაცამაც აღმასკომში ხომ აწონა, დაწონა და ბინა რაღა მაინცდამაინც შენ გვერდით მიაშავეს, და რაღა მაინცდამაინც შენ ჯინზე მოკვდა და ის იეფი შპალერიც რომ არ მიეტყაპნა, და მატაციკლეტის ფული რომ არ ეგროვებინა, ხომ უკეთესი ექნებოდა საჭმელსასმელი, მაგათ რა, ცოტაც კი ჰყოფნით ხოლმე, და ის მართაა თუ ვიღაც ოხერი, ეგებ სულაც არ გათხოვილიყო, ვერ დაჯდებოდა სახლში?..“ „აბა, მაშ, კაცო... — ჰაზიზი გული უკვდებოდა უშოს, საჭესა ბღუჯავდა, — დამჯდარა კიკოდ ოხერ-ტიალი სახლში, და სულ რადიო აქვს ჩართული.“ „მუსიკებს ისმენს?“ — უკვირდა გვერდითა წრეელს. „ყველაფერს უსმენს, მე კი მაგისი...“

სიმართლე იყო. ბალიშში თავით ჩამხობილ მართას რადიო ერთთავად ჩართული ჰქონდა, საშუალო ხმაზე, ზღუქუნს მეზობლებამდე რომ არ გაეღწია; ერიდებოდა. აგარაკისწინა არჩილს დილის ვარჯიშის წამოწყება არ გამოეპარებოდა — გინდაც შესაბამისი დრო დავიწყნოდა, მართას კედლიდან მაინც მოეყონავდა მხნე, ხალისიანი ბგერები, იქით კი იგივ ჰანგები ალბათ უშოს კარგრემონტიანი ბინისკენ მიცოცავდნენ, უშო ძალიან სკდებოდა გულზე, მაგრამ მართასავით, რაღა თქმა უნდა, არ უკვდებოდა გული, რადგან ეს იმას აზღუქუნებდა მიწაში მწოლი ერთადერთი ვაჟი, როგორც იტყვიან, მისი გულის ვარსკვლავი, და ქალისათვის, რომელსაც ლიფტის დახუთულობაც კი აშინებდა, როგორი უნდა ყოფილიყო იმ

**გურამ დოჩანაშვილი**
განსმდგომი შუაკაცი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ერთადერთი ვაჟის კუბოში წოლის წარმოდგენა, რადგან იქ ალბათ ძალიანი სივიწროვეა.

მაგრამაც არჩილს, წრეელებთაგან განსხვავებით, ხანდახან მაინც ეცოდებოდა თავმკვდარი მართა. ის კი არა და, ცოტ-ცოტაობით თავისი საქმიანობისაც ეეჭვებოდა, თუმცა გამართლებანი წრეელებს, იცოცხლე, ჰქონდათ: „მე რომ არ ვაკეთო, არა? — მერე შენ მირჩენ ცოლ-შვილს?“ „ჩემმა ბავშვებმა რა დააშავა...“ „რაღა მე ვიჩანჩალო კუდში...“ „ქვეყანა ასეა და...“ — ჰეჰ, ქვეყანაში აღარც სთვლიდნენ გლეხს, რომელიც რომ, რაც გინდა იყოს, ბუნების წინაშე მაინც მართალია, არც ინტელიგენტს, და, რაღა თქმა უნდა, აღარც მართას, თავის შვილიანა, ამ უკანასკნელთ მტრებადაც კი რაცხდნენ, და, მხოლოდ თავის გატანა კი არა, ხშირად ნამეტანიც რომ მოსდიოდათ, ამას არაფრად აგდებდნენ, ეს რაღაც ანცობასავით ითვლებოდა, აი, თუნდაც იქ: როცა არჩილის წრეელები ერთ შედარებით დაბლამდგომ ძმაბიჭს ახლო რაიონში ეწვივნენ, ხოლო იმას კი სწორედ იმ დროს მართალია რბილი, მაგრამ მაინც რევიზია ჰყავდა, ერთობლივ დიდად აღფრთოვანდნენ და ეგრევ გადასდეს კარგოქმთფორმება და რაიონის საუკეთესო, ტყეში მოყუჩებულ რესტორნისაკე-ენ სულ ბენზინის წვით აღმართ-აღმართ გასწიეს ნელა, ხოლო როდესაც ძმაბიჭ-მასპინძელმა შედარებით უბრალო ღვინო — „კახეთი“ ჩამოადგმევინა მიმტანს, წრეელები და რბილ-რევიზორნი საკმაოდ შეცბნენ, მაგრამ გაირკვა მსწრაფლ ყველაფერი: იმ ხანობისთვის (მეოცე საუკუნის სამოციანი წლების მიწურული), იმ რაიონში (ჰოპ-გეგმა, ყველაფერი, რამე), თურმე სწორედ ამ ძნელი ღვინის სმა ითვლებოდა დიდ ვაჟკაცობად, და არა სიძუნწედ, რაიც იმანაც დაადასტურა, რომ მიმტანმა ორი ყუთი შამპანურიც ძლივას მოზიდა რიგრიგობით, გაოცებული სტუმრების თვალწინ სუყველა ვერცხლყელა ბოთლი დიდის დგაფუნით გახსნა, და გაოგნება უნდა გენახათ, როცა ქაფქაფით აელვებული ძვირფასი სითხე მაგიდის ირგვლივ სხვა მიმტანთან ერთად, ყოჩაღად, მაგიდის ირგვლივ მიმოაქცია... — ორმოცი ბოთლი!, და ამა დიდმანევრობის საშუალებით, ჰოი, რა ძალა მოემატა უბრალო „კახურს“, აჰ, როგორ სვამდნენ, რა აღჭურვილი გაიგეს გემო, აგარაკისპირს, პურს არ სჭამდნენ და გოჭის კანზე მრავლად ისვამდნენ ხიზილალას, ქეიფი იყო? — ძველ რომაელთ დამშვენდებოდათ, ბოლოკიც იდო, აის ეშმაკი, და ვახტანგურად ბრუნდერშაფტს სვამდნენ, და ერთადერთი, არჩილი გახდა რაღაცნაირად უგუნებოდ, რაღაც... მერე, წამოდგა, გავიდა განზე, ვინ შეამჩნევდა, აღფრთ-აღგზნებულები იყვნენ, არჩილმა კი მახლობელი ტყისკენ გასწია, ტყე იქვე იყო, შევიდა ტყეში, და ერთ-ერთ ხეს, რომელიც უფრო მოუვიდა თვალში, მიუახლოვდა და ნელა მიადო ხელი. ცაცხვს ნაზად მშრალი, გრილი ქერქი აქვს, მაამებელი, არჩილი იდგა, გატვრინვით იდგა და ხიდან თითქოს რაღაც სიმართლე გადმოსდიოდა, იდგა, იცდიდა, და მიხვდა, მიხვდა: აი ის ფული, შამპანურის ის მიმოდაქცევა და პურმარილი, ნაღდად, ნამდვილად რომ ეყოფოდა მართას ბიჭს იმ სანუკვარი მოტოციკლეტისათვის, — ძალიან მიხვდა. თავჩაქინდრული, დარცხვენილი იდგა არჩილი, ახლა აჩიკოს წააგავდა, და მაინც. მერე, რომ შემოესმა მწყობრი სიმღერა, პირველ ხმას კოხტად ამბობდა უშო. კვლავაც, სუფრისკენ გასწია და, პურ-მარილს რა სჯობს, ნეტა თუ სვამდა ხანდისხანობით მუსიკოსებში ის პიანისტი როდიონოვი?

ეს ანცობანი, ჯანდაბას კიდევ, არაფერი, მთავარი უფრო მაინც ის იყო, საკუთარ თავში შეეჭვებულებს, გასამართლებლად, ყოველნაირი ცუდი ამბავი რომ ახარებდათ, ეს იყო მათი შვება, რომ ვიღაცამ ვიღაცა ბებუთით დასჭრა, ან რომ გაქურდა, ან რომ გლეხები დანასისხლად ჰყიდიან სურსათს,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ვიღაც ექიმს ქრთამში ჩაავლეს და ვიღაც გამომცდელს ვიღაცისაგან დიდი მაყუთი აუღია, აი, რა ჰქონდათ გასამართლებლად და გასახარად, და, უმრუდდებოდათ რეგვენი თვალი, მაგრამ ყველაზე საშინელი მაინც ის იყო, რომ, ვამაძღარებს, აღარ ახსოვდათ, რომ აქვთ სამშობლო, საქართველო, ძველგადმოცემით, ღვთისმშობლის სათნოდ წილი ქვეყანა, რომ იმერეთში ფერებია რომ, აღუწერელი, რომ გურიაში ბორცვებია რომ, აჰ, სანეტარო, სამეგრელოში, განსაცვიფრებლად, ერთი ისეთი ამოდის მთვარე, და რომ კახეთში რა წვალებით, როგორვითარი წვითა და დაგვით მოჰყავთ დიდ გლეხებს ეროვნული საუნჯე, ვაზი, და რომ სვანეთში შუაღამისას კლდით გადმოდიან დავუ და დალი, რომ ქართლში ისეთ ქართულს ლაპარაკობენ, მიდი, იარე და უგდე ყური და რომ იქ ერთი სოფელია, ძლიერ დრეკადი სახელით, ნოსტე, ეს აღარ ახსოვდათ. თავი და თავი უბედურება, ამაში იყო.

ჩვენს ნათარეშევ, სად და საითკენ არ განზიდულ მკრთალ საცავებშიც, მაინც ისეთი ნივთები ძევს რომ...

## 6.

და იყო კიდევ ერთი რაღაცა, ბნელ ღამეობით უსაზომოდ დამაფიქრებელი.

არჩილისათვის, უბრალო სიტყვით, ეს იყო ნისლი — გაუგებარი, უცხო ნაწილაკებით მოსილი და დიდად საეჭვო მაინც. გულზე დავიდოთ კარგად დაბანილი ხელი: ხომ გაგვკრთომია ანაზდად, უცებ — ეგება არის?

რა...

რა და, —

ერთხელ უშომაც კი შეახსენა, ამჯერად, ხუთნი, ორთქლის აბანოში, დასვენებისას, ზეწარშემოხვეულები, კაი ჩეხური ლუდით მოთენთილები ისხდნენ, და პირზე რაც კი მოადგებოდათ, ყველაფერს ფქვავდნენ, ოღონდაც ზანტად.

„სახლში, მივალ, და, ხაშსაც, დავურტყამ, — ლუღლუღით ამბობდა აის წრეელი, მანქანაში რომ გვერდითა იყო და ოდნავ ცოცხლდებოდა, — ხომ წამოხვალთ ჩემთან?" „შენ, რა გიჭირს, რა, — ძლივას მიუგო უშომ, — სახლში, შენ, მისვლა, გიხარიან და, აბა, მე მკითხე..." „აღარ გადადის, ჩემის ტრულალო?" — იკითხა ამჟამად ახვებზედ ყოჩალმა წრეელმა, რომელიც თირკმლების ნაადრევი შეჭკნობისა გამო ლუდს არა სვამდა. „არა, აჰ, არა...", — ვობლაიანი ხელი ჩაიქნია უშომ. „შვილის გულისთვის..." — ჩაურთო ახსნა ყოფილმა გვერდითამ. „ფიზიკი თორემ... — ამოქმედდა აქ აის წრეელი, მანქანაში რომ უკნითა იყო, — ფიზიკი რა, დიდი ამბავი — თუ უნიჭოა, რაღად გინდა, და თუ ნიჭიერია, მთლად უარესი, აკეთებენ დინამიტებს". შეექცეოდნენ, ვობლებს, არჩილი იმ თავისი გრძელი დანით ყუჩად იჯდა და თევზებს შიგნავდა. „ისე, კაცმა რომ თქვას, — დიდის შეპარვით წამოიწყო უკნითა წრეელმა, — რა არის მაინც მაგისი ცხოვრება, თუ ზის და ტირის". „მაგის ადგილზე, — ხელათ მიუხვდა ახალი წრეელი, — თავს არ ვიცოცხლებდი." და გამომცდელად შეაცქერდნენ უშოს, იმან კი ჯერ წამით ქვეშ-ქვეშად გამოხედა რიგრიგობით ყველას, ვობლას წიწკნიდა, და, მერე მაინც, დაუდევრობით, სხვა დროს ამას როგორ იტყოდა, ლუდით მოთენთილმა, თქვა: „ვურჩიე ეგეც... ერთხელ შევედი, ვითომ თანაგრძნობას ვუცხადებდი და შეწუხებულმა, ასე ვუთხარი, როგორ ძალიან მეცოდებით, რა არის აბა, თქვენი ცხოვრება, მხოლოდ ტანჯვა და წამება-მეთქი..." „მერე, რა გითხრა," — დაეკითხა ყოფილი უკნითა, არჩილს კი უცებ რაღაცნაირად უცხო გორგალი მოეძალა ყელში. „ჯერ შემომხედა..." „მერე, რა გითხრა..." „ვერა. მე თავს ვერ მოვიკლავო..." „ვითომ რატომო..." — გაიკვირვა ყოჩალთმიერმა, ამაზედ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უშომ: „ესაო, თავის მოკვლაო რაღა, ძალიანი დიდ ცოდვაში ჩამეთვლებაო და...“ „რა ცოდვა, კაცო, — კვლავ გაიკვირვა თირკმლებმინუსამ, უშომ კი, ეს თქო: „რაღაც ღმერთი წამს თუ ჩემი ფეხები“.

რაღაცა ღმერთი... ვინ იცის, იქნებ... ეგება, ვვითომ?.. სულ დაფურცვლული ძველი წიგნის ბრალიც იყო ეს, ამაზე ფიქრი ნისლს ჩამოჰგავდა, არჩილი უცებ წამოდგა:

— რაღაც ვერა ვარ კარგად... წავალ.

— რა იყო, კაცო...

— საქმე მაქვს ერთი.

თითებზე. სუნის მოსაცილებლად, ჯერ ლუდი გადაივლო, გრძელ დანასაც ბლომად დაასხა, საპნით იბანა მერე ხელები, ტანთ დაუდევრად, უსარკოდ ჩაიცვა საჩქაროზე და, გამოვიდა გარეთ, ჩვეულებრივი, რიგითი ფეხოსანივით გაუყვა ქუჩას. ქუჩა რა — წყნარი და მშვიდი იყო, ძველთბილისური, არჩილი გამვლელთ ველარ ამჩნევდა, ნისლი რამ ადგა. უცნაური რამ მოვლენა არის აი ეს ნისლი, სხვადასხვაგვაროვანი, ალბათ წარსულშიც აკვირდებოდნენ, ხოლო დიდ საბას აი ასეთი საბოძვარიც აქვს დღევანდელთათვის, ჩვენთვის:

ნ ი ს ლ ი — მზის სიმხურვალე წყალთა ქვეყანათა ნოტიოთაგან ორთქლს აჰკრეფს და შეიქმნების ნ ი ს ლ ი.

უკეთუ მრავალი ალილო მისგან იქმნების წვიმანი და თუცა მცირედი ალილო მ ა ნ ა ნ ა დ შეიქმნების.

ხოლო ნ ი ს ლ ი ც ა ესრეთ განიყოფიან: მცირესა და თხელს ნისლსა ეწოდების ფ ო შ ფ ო შ ი.

ხმელსა და მტურის მსგავსსა ნისლსა ბ ო რ ი ა ყ ი.

ხოლო ნოტიოსა ნისლსა ბ ო რ ი და ნისლსა მონათოვარსა ბ უ ე რ ი. და ნისლსა ზრქელსა და ძლიერად მქროლელსა, რომელი შეკრბების მთათა ზედა ა რ მ უ რ ი.

— კარგი საროჩკა არ გინდა, ბიძა? ვილაცამ ჰკითხა.

— რაჰ!.. არა.

სიტყვით თუმცა კი არ იცოდა და, მაგრამ, ხანდახან, არმური სჭირდა. სულ დაფურცვლული, ძველი წიგნის ბრალი იყო ეს? ცოტათი, დიახ: იმა ბეჩავ წიგნს სარდაფისეულ, მამაპაპურ, მოჯანჯლარებულ, გადასაგდებ სკივრში ქექვისას გადააწყდა არჩილი და, თვალი ოდნავ რომ გადაავლო, გაამაყდა კიდეც: რა გასაგებად ვლაპარაკობთ ჩვენ, აი, ახლა, და რა ფშუტურა და ჩამორჩენილი იყო სკივრზეც კი ძველი, გაზედმეტებული ენა. ავიღოთ, თუნდაც: არა ჰქმნე თავისა შენისა კერპი, არცა ყოვლადვე მსგავსნი, რაოდენი არს ცათა შინა ზე („რა უბედურობაა, და ჯერ სადა ხარ“), და რაოდენი არს ქვეყანასა ზედა ქვე („შეუსაბამობა, შეუსაბამობა!“) და რაოდენი არს წყალთა შინა და ქუეშე ქუეყნისა: არა თაყვანი-ჰსცე მათ („რატო უნდა ვსცე“) და არცა მსახურებდე მათ („რატო უნდა ვემსახურო რო...“).

ანდა, მთლად უარესი, ეს მითომ ყოველი დაძინების წინ უნდა გეთქვა: მცველო და მფარველო მდაბლისა სულისა და ხორცთაო ჩემთაო, რაოდენიცა რა გაგამწარე, ანუ შეგაწუხე, დღეინდელსა ამას დღესა, სიტყვით, ანუ საქმით, ანუ გინებით შემინდვენ და დამიფარე ღამესა ამას ყოვლისა საბრთხეთაგან და ასე შემდეგ, და ა. შ., გაიგე ახლა, თუ კაი ბიჭი ხარ, რამე, მიდი და გაიგე... მაგრამ ის წიგნი რაღაცნაირად არ გადააგდო — იყოს, თავისთვის. ხანდისხანობით კი, ჩამორჩენილი გამოთქმით აღვნიშნოთ და, ფიქრთ განსართველად, გადაშლიდა ხოლმე.

შედარებით საინტერესოდ გამოიყურებოდა აბზაცებიანი ადგილი „ათი მცნება“. რამოდენიმე მთლად ვერ გაიგო, ზოგში კი თითქოს საყვედურობდნენ, მაგალითად, აქ: „არა გული გითქმოდეს ცოლისათვის მოყვასისა შენისა“, აი კი აქ, მწარედ ჩაფიქრდა: გინდ მოეკლათ და, რა ექნა, აბა, უკნითა წრელის მეტად ჯანსაღი, საამოდ შევსილი ყოფილი მოცეკვავე, რაღაც სულსხვანაირი ხარისხის ხორცით დატენილი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კოლი მოწონდა, მოწონდა, აჰ, როგორ მოსწონდა, კი, ნეტა მაინც რას საყვედურობდა ის ძველი წიგნი, გულიც კი არ მიგიწევდესო და, გულს შენ უბრძანებ? — სამაგიეროდ, არჩილს, მისდღემჩი, თვალებში სხვანაირად არ შეუხედავს, არც, მითუმეტეს, როგორ გააპარებდა იმისაკენ აღელვებულ ხელს; ისე, უკნიდან თუ მიადევნებდა თვალს და, აკი იცოდა რომ, დასავითაა ძმაკაცის ცოლი, თვალს თუ არ ჩავთვლით.

ხოლო სამი რამ დარიგება, საკმაოდ სხარტი, ძლიერ გასაგებად ჟღერდა. ესენი იყო:

6) არა კაც-ჰკლა.

7) არა იპარო.

8) არა იმრუშო.

„არ იმრუშო რა, — გაბრაზებული იყო არჩილი. — შენი ნებაა? ორგანიზმი თავისას მოითხოვს“.

რა იყო მაინც ამაში ცუდი, ესეც ძმაკაცის ცოლი ხომ არ იყო: თუ შენ გინდა და, მითუმეტეს, თუ უცხო ქალსაც უნდა, ნეტაი ვისთვის რა შავდება, ფიზიკური ძალადობისა და გაუპატიურებების სულაც არ იყო არჩილი მომხრე. ორ ადამიანს, არა? თუ ერთმანეთი უხარიანთ, არა? ნეტა რა არის ამაში ცუდი. არა? აი, თუნდაც იქ, ზღვისპირობისას:

აჰ, ერთი ქალი მოეწონა მაგრამ, რას მოეწონა, კინაღამ ჰკვიდან გადადგა კაცი. ვერ პოულობდა ვრცელ პლაჟზეც ადგილს, და, როგორც იქნა, უკნითა წრეელის დახმარებით (იმან კარტობანა იცოდა მიმჯდომლურ-გამცნობლური და კარგი) რომ გაიცნო, ხელის სილამაზეთა წყალობით ჯერ ქალაქის რესტორნები მიმოატარა, მრავლად იგემეს კარვი პროდუქტი. ქალს ერთადერთი, ისიც ქალური, უჩანდა ნაკლი — რაღაც ძალიან ზედმეტად ეცხო სახესა და თვალწარბზე სილამაზისა დახმარებანი, ალაგ — გრაფიკით შესრულებული, ზოგან — ფერმწერლური და, ოჰ, ტუჩებზე ხომ, პომადა ედო? — მძლავრფერნოვანი, მაგრამ სხეული, რა სხეული, ტანიტატანი, და ის დროც დადგა, მანქანაში რომ კოხტად ჩაუჯდა და ბუნებისკენ, მუხნარისკენ დაადგნენ აღმართს, კარგი ადგილი შეირჩიეს. საღამოსაკენ, მსუყედ გრილოდა მშვენიერ ტყეში, არჩილმა ჯერ სურსათ-სანოვაგე გადაიტანა მანქანიდან, მერე — უკანა დასაჯდომი და ზედ დასვა ქალი, თვითონ კი იქვე მოკალათდა, ჩოტიო მშრალზე, შესვა ოთხიოდ სადღეგრძელო, სერიოზული, მაგრამ ძალიანი უმიზეზოდ კისკისებდა ქალი მინამ დღე იყო. ხოლო როდესაც შემობნელდა გატრუნულ ტყეში, ანცობას უკლო და, სამაგიეროდ, ახლა არჩილი გათამამდა და გაწვა კიდეც წინაშე იმისთა ლამაზთა ფეხთა, და, შამპანურით შეუუუუნებულს, ის ძველებურად რომანტიკული წამოწყებაილეთი გაახსენდა, მეტრფენი სატრფოს ფეხსაცმლით რომ შამპანურს სვამდნენ, და გამოსთხოვა კიდეც ნებართვა, მაგრამ ქალისა ზედმეტად ღია-ღია „ბოსონოჟკებში“ რვაპირი ქარი გადიგამოდიოდა, იმაში სითხეს რა გააჩერებდა, და არჩილმა კი ჰიგიენური უფრო, გამოიგონა ხერხი — ქალს ხელისგული ჩაალრმავებინა და იმის ამოტრიალებულ პეშვში ასხამდა შამპანურს, იქიდან კი — სვამდა, ქალს მოეწონა ეს ოსტატობა, ლოყაზედაც შეუმშრალა ხელი და, წაქეზებად ამაზე მეტი რა გინდოდა? — ეძგერა ნაზად, ქალმა ერთი-ორი ხომ აკოცნინა და, სწრაფ ამბორ-სერიებზეც კი მიუშვა, მაგრამ არჩილმა ყველაფერი რომ მოინდომა, ჩურჩულდიალოგი ძუ-ხვადური გაიმართა ასეთი: „არა, აქ როგორ შეიძლება...“ „რატო... როგო არ შეიძლება.“ „არა, არ შეიძლება, არ გამიწყვიტო“, „აი ნახავ, ძვირფასო, თუ არ შეიძლება.“ „კარგი რა, კაბა სულ დამესვრება, ეგრე მაგრა ნუ,“ „ახლებს გიყიდი... ბევრს,“ „არა, აქ ტყეში არ შეიძლება,“ „რატომ, სულიკო“, „ქუჩის ქალი კი არა ვარ“, „რა უნდა ქუჩაა ამ შუა ტყეში,“ „არა-მეთქი“ — და გამკაცრდა ქალი, გადამწყვეტლუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რად შემოეცალა. წამოდგა ფეხზე, და ნაწყენსა და გაბუტულ არჩილს ქოჩორზე ხელი დიდსულოვნურად გადაუსვა მერე, თქვა: „რა იყო, ოქრო, რა გეწყინა, ნუთუ სახლამდე ველარ მოითმენ?“ „როგორ თუ ვერა!“ — მსწრაფლ ზეწამოიჭრა არჩილი და, სანამ დასაჯდომს კუთვნილ ადგილას ჩასვამდა, ქალმა შეჰკითხა: „მართლა მიყიდი, უკეთეს კაბებს?“ „აბა რა, — ხალისიანად მიუგო არჩილმა, მაგრამ თანდათან მაინც ჩაწყდა გული, სტიმულირებულმა ქალმა კი შამპანური ბოთლით მიიყუდა, საკმაოდ იგემა და, ძლიერ გაცელქდა, იქ კი საკმაოდ მოეკიდა, დაღმართ-დაღმართ რომ დაეშვნენ, ნელა:

— მე მიყვარს სრბოლა, მე სრბოლა ისე ძალიან მიიყვარს, — იმეორებდა აგიჟმაჟებული ქალი, — მოდით რა, ალეკო, თავდაღმართში თავდავიწყებით დავეშვათ, რაა?

— აქ არ შეიძლება, — ჰკვა შერჩენოდა არჩილს, სახელცვლილებამ, „თქვენ“-ობითობამაც, გულში გაჰკენწლა, — ვერ ხედავ, ბარტყკო, როგორი ღრმულიკოებია?

— მითუმეტეს რომ, ალეკო, ალლეკო, უფრო ახტუნავებული არ იქნება ქროლვა?

— არა, სულიკოვ, არ შეიძლება.

— რატომ?

— კარდანი ვალი ჩაიშლება.

— აა. რა ჩაიშლება?

გაუმეორა; მერე და მერე კი იყო მანქანის კარის ფრთხილი მიხურვა, რატომღაც ფეხისწვერებზე შესვლა ამტან კოტეჯში, სინათლის არანთება — აჰ, რომანტიული მთვარია რომანტიკულადვე ბუნებრივი ვითომ, შუქი? და სიჩქარისა გამოისობით დიდად გაურჩებულ ყოველნაირ სამოსთა უარყოფა, აღსრულებული შემოხუტება. მერე თავის ორმხრივი წარმოჩინება, კარგად შეეწყვნენ ერთმანეთს დიახაც, რომ, ვითომ, მაგრამ სულ მერე და მერე, ბოლოს და ბოლოს, იყო გულაღმა უაზროდ წოლა და გამჩმახებელი მთვარე და არჩილისა პირში, პომადისაგან. დაობებული შოკოლადის გემო, ისეთი მძაღე, რომ გაიფიქრა: „არა იმრუშო“, ხოლო მომაბეზრებელი სიჩუმე ქალმა პირველმა დაარღვია:

— კარდანი ვალი რა იყო?

— არის რა... — სანთებელა გააჩხაკუნა არჩილმა და მკერდზე დაიდო საფერფლე. — მანქანის ნაწილია.

— მანქანის?

— ჰო. ხვალე გაჩვენებ, თუ გინდა.

— ერთი მაგისი... — ისე მოულოდნელად შეიგინა ქალმა, კარგა რეჩხი ჰყო არჩილის გულმა: „ვაიმე?“, თქმით კი ასე თქვა:

— აბა, რა სისულელეებს იძახი, ჟანა? რა ბავშვობაა?

ბავშვობა, ჰეე — სისულელაებად იწოდებოდა. ნეტა როგორი იქნებოდა სკოლის ასაკში ის პიანისტი როდიონოვი? ნუთუ ეს მართლა ცოდვა რამ იყო — „არა იმრუშო?“ რა დიდი იმდენი იმა აღსრულებულ საქმეში ეყარა რომ, დავუშვათ და რომ, ეგებ თუ არის, მართლა არსებობს, შემოგინახოს დანაშაული და მერე შეგრისხოსა და დაგსაჯოს მემრე? როცა მოკვდები... აღსრულებამდე იყო მხოლოდ ესე ცოდვა მაჩქროლებელი, შესრულებისას გახლდათ მხოლოდ ასეთ ქალებთან შინაურულდაველურად კარგი, რადგანაც მერე... — გამოფიტულზე, ა, ასე წოლა და არაფერი, თუმც, რაღა არაფერი, გულგრილობა და ჩუმი ზიზღიც კი. ზედმეტად თუ აქვა პირისახეზე საკმაზი, გულგრილობა და კარგა საკმაო შეცბუნებაც კი, თუ იგინება, გულგრილობა და მოყირჭება და მიმალვ-მომალვაც. თუკი მეწყვილე ზედმეტურად პროგრესულობითია, ნუთუ ამისთვის უნდა დაესაჯა იმ ვიღაცა ღმერთს? თუ არსებობდა... თუ, დავუშვათ და, გინდაც რომ სწორი ყოფილიყო ჩამორჩენილთა სათუო რწმენა, რომ მართლა არის, არჩილს ხომ ჰქონდა მაინც ერთი რამ პატიება-გამოსავალი. ხომ არასოდეს დაურღვევია იმ დაფურცლული წიგნის ერთი: „არა კაც-ჰკლა,“ — ხომ? აი ეს სიტყვები შვებასა ჰგვრიდნენ, არჩილი ვისი მომკვლელი იყო, საათი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვით ჰქონდა აწყობილი საქმე, სიამოვნებდა, მაგრამ ჯიბეში რომ ჩაიყო უცაბედი ხელი, და მერე ცხვირსახოციც ტყუილ-უბრალოდ რომ მიიტანა პირთან, მაინც ეტაკა თევზის სუნი და, დანაც დაყნოსა, ვობლას სიმყრალე აიმასაც სდიოდა, ლითონს, და არჩილს თავისი შორეული ხელი გაახსენდა, აჩიკოს ის გადიდმნიშვნელოვნებლური ხელი, „ნ“-ს სანუკვარი კარის სახელურს რომ ჩასჭიდა ერთხელ, იმის ეზოში ნაშუაღამევს ქურდის ლანდივით რომ შეიპარა და, გულრამდენადაც — მოფრიალემ, იმდენად — სუნთქვაგაკმენდილმა, ნანატრ სახელურს გადაარჩენად თითქოს, ისე ღონივრად და მაინც რიდით ჩასჭიდა ძიგძიგებული, რაის უთევზო, რისი სუფთა — წმინდა თითები, მაშინ ხომ განცდა რამდენჯერ იყო უფრო მძლავრი, უფრო დიადი, ვიდრე ჟანასთან, და თუ ზიზღამდე მისული საქმე ცოდვას უდრიდა, აის რატომღა არ იყო მაშინ უფრორე მეტად დასასჯელი — ის სიყვარული დედუფლისადმი „ნ“? ალბათ, სიყვარულს, გასამართლები, რაღაცა სჭირდა... რაღაცა იყო მასში ისეთი, გულს ჩამრჩენლური, რადგანაც ახლა, ნააბანოვარზეც, რომ მოენატრა და თავისი კარის სახელურისკენ ადიოდა ისე და ნელა, ვითომც იმ ძველ სისანუკვრეს უახლოვდებოდა და, გაგვითამაშდა არჩილი, ჩვენი, მაგრამ რაღაცა არ იყო რიგზე, ცვლილებას ყურის კუნჭულით გრძნობდა, მერე ერთბაშად გამოერკვა და — იმ მეზობლიდან რადიოს ხმა აღარ ისმოდა... კარიც კი ოდნავ მოღიავებულად დარჩენოდა და ბოლო ორი საფეხურიც შეცბუნებულმა რომ აიარა, მაძებარია თვალი, და, აიმ ღრიჭოში შეიხედა და, მაგიდასთან მიმჯდარი, მაგიდაზე ნიკაპდაყრდნობილი მეზობლის დანახვაზე, გაშრა...

მართა ფიქრობდა!

## 7.

„არა იპარო...“

ყველაზე რთული, არჩილისათვის, აი ეს იყო. იმდენად რთული, სისულელეს უწოდებდა ხოლმე. ჯერ ეს ერთი რომ, კომბინაციას პარვად არ თვლიდა, მეორეც ის რომ, რად უნდა ყოფილიყო დოყლაპია და სხვაზე ნაკლები, მესამეც ის რომ, აგრეთვე სხვისა არ იყოს, ძლიერ უყვარდა კარგი ცოლ-შვილი და მეოთხეც რომ, ყველაზე მთავარი, გასამართლებლად იყო კიდევ ერთი რაღაცა...

და მაინც, „არა იპარო“, — ქღერდა.

...ბნელ ღამეობით, რის მოიდუმლო, მთლად იქითურა, სხვაკანონება, მარტივად სიზმარს რომ ეძახიან, გადასვლამდე, იყო რაღაც ნათელი ჩქამი, გაელვება რამ ბურანეული და მაინც ისე მკაფიოდ ცხადი, თანაც მკაცრი და თან ათნო, დიახ, შორით მართალი, რომ — „არა იპარო...“ და რაღაც უფრო გაცილებით ძლიერის შიში, ვიდრე ეს ლაყე ინსპექტორი თუ მრისხანე რევიზორი თუ დიდრონი პროკურორია და სხვა, და სხვა, და მაინც, შვებად, ეჰ, ყოველთვის რომ არსებობს შვება — დიდის იმედით გახსენებული: „არა კაც-ჰკლა“ და, ამშვიდებდა, ეს. ძალიან არა, — ისე რა; თითქოს. ეს ერთი მცნება, მარტოკინად დაურღვეველი, ნეტა დანარჩენთ, ცხრად წონოსანთა, თუ ეყოფოდა? გადმოსწონიდა?... სიკვდილის მერე. თუ, დავუშვათ და... რაღაცა იდო ღამეში სუფთაც, ასამაღლებელი, წარმოიდგინეთ, ნათელიც იდო, დღისდღეობით კი, ხანდახან, მზისით, ისე ბნელოდაა... რაღაცაც იყო ღამეში ნაღდი, და სარკესაებრ მისაჩერები — ნეტავი ვინ ვარ... იძინებდა.

დღე სულ სხვა რამ იყო — წამოდგომა და ტანთ ჩაცმა, რამე, ხანდისხანობით — პიანისტი როდიონოვი, და მერე შხაპი, საგულდაგულო პირპარსვა და გამოწკეპილობა; იქ, სამსახურში, გამოზომილი თავდაჭერა, და სათუო გადახვევათა საფუძვლიანი აწონ-დაწონვა, მართლა ისე—უბრალოდ კი არ მო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დიოდა კაი ცხოვრება; საწინწამსვლელოდ კარგად ფასობდა იუმორი და შესანიშნავი სიტყვა-პასუხი იქ, სადაც საჭირო იყო, და მზადყოფნისა და მორჩილების გამოსახატავად — ქუქუნი თვალთა, რაღა თქმა უნდა მხოლოდ იმათთვის, ძლიერულად რომ საჭირონი იყვნენ, საჭირო იყო აგრეთვე ნიჭი ქრთამის საჩუქრად გარდასახვისა, და სხვა, და სხვა, რაოდენი რამ იყო საჭირო, ეჰ, დღისდღეობით, როგორ ბნელოდაა... და თანაც, ღამე, ყოველდღე — ღამე, დაეჭვება და ხიან-მიწიანი მომავლის შიში, და სადღაც ამოკითხული თუ მოსმენილი, რომ დაძინებამდე, ძილის წინ, თითქოს, არის რაღაცა გარდამავალი წამი, როდესაც ჩვენ-ჩვენი თავი სუყველამ ვიცით... ასე იყო, კი თუ, რაღა თქმა უნდა, არ იყო ნასვამი, ხოლო ნასვამი, ბლომ-ბლომობითაც, — ხშირხშირაობით გახლდათ, ხანდახან ლიფტში ძლივს აგნებდა საჭირო ღილაკს, და სანამ ოთხივე გასაღებს კუთვნილ ქარქაშში შეასწორებდა, კვლავაც მეზობლის ღრიჭოსაკენ გაექცეოდა თვალი — ისევ მართა და, ისევ ფიქრობდა... მაგრამ ვერა და ვერ იქნა, ვეღარაფრით მოაცილა იმ თავის გრძელ დანას ვობლასი სუნი. არადა, გადასაგდებადაც არ ემეტებოდა, შეჩვეული იყო, მოგონებებსაც აღუძრავდა — ზღვაო, ტყე, რამე... რა აღარ სცადა — დიდხანს ხეხავდა, ცივი წყლითაც და მდუღარეთიც რეცხდა და რეცხდა, საპნიან წყალში მთელი ღამით ჩადო და, მაინც, დაყნოსვისას, ეჩვენებოდა თუ რა, მაინც ასდიოდა კრიალა ლითონს ავად ამომჭოლი, სუნი. ისევ და ისევ ხეხდა და ხეხდა, და, ფიქრობდა თანაც... „არა იპარო“ — გაბათილებებისა და საჭიროების მიუხედავად, ეს ალბათ მაინც ცუდი რამ გახლდათ, მაგრამ რა იყო ის ორი კაცი, დაახლოებით მათივე საქმის მიმდევარნი, ყოვლად სათნოები, უბოროტონი, გაჭირვებულთა დამხმარენი, და სიკეთისას თვალები უფრო უსველდებოდათ, ეს რაღა იყო... რეცხავდა, დანას.

„არა იპარო...“ დიდი ამბავი, კაცს ხომ არა ჰკლავდნენ, მაგრამ ხანდახან ისე ძალუმად, ისე აშკარად წამოუვლიდათ იქამომდე ღონიერი, — დაკუნთულივით, და თან წრიალა, ეჭვი, ვერ ერეოდნენ, ვეღარ მალავდნენ და, თუმც სიტყვა „პარვა“-ს არ ახსენებდნენ, თავს იმართლებდნენ სხვადასხვანაირად, აი, თუნდაც ასე: გვერდითა წრეელმა ერთხელ ძალიან მოიწყინა და, ალაპარაკდა. რამ მოუარა, ჯერ არ იცოდნენ, იგი კი ისე სევდიანად ლაპარაკობდა... ის ჰყვებოდა რომ, ადრე არ იყო ასეთი ცუდი — „მე ადრე კარგი ბიჭი ვიყავი,“ რომ სკოლაშიაც, და უმაღლესშიაც, მშვენივრად სწავლობდა: „ხუთები მქონდა“, ის ნაღვლიანად იხსენებდა რომ, თურმე ძლიერად სწამდა ამ პლანეტისა, — „მე დედამიწა უკიდეგანო, უფსკერო და დიადი მეგონა მაშინ,“ და ყმაწვილობისას ამა ცხოვრების სასრულობანას ვერ იჯერებდა კი არა, აზრადაც არ მოსდიოდა, არცა ფიქრობდა: „მე, მეგონა, რომ, არასოდეს, არ მოვკვდებოდი,“ — უბრალოდ, ვერცკი წარმოედგინა, მაგრამ თანდათან, მერე და მერე, მოგეხსენებათ, ცხოვრების ალაგ დროული და ალაგ-ალაგ უდროო, გამორჩევითი წესი: ხან ნათესავი, ხან — მეზობელი, ყველაზე მწარედ — თანატოლი ხანაც, უკვდებოდა და, დაიმ ერთადერთს, წყალი რომ მართლა არ გაუვა, საკმაოდ მიხვდა: „უცებ დამაწვა, ერთბაშად ჩავხვდი, რომ მოვკვდებოდი... აუცილებლად, როდესმე, სადღაც...“ და ამას ისიც დაერთო რომ, ის დიდი რწმენა, ამ პლანეტისა, თანდათანობით შემოაცვდა: „მე დედამიწა უკიდეგანო რომ მეგონა და, ამით მომქონდა, მისიანს, თავი, თურმე რა — ისიც არაფერი ყოფილა, თურმე, თურმე კოსმოსში მტვრის ნამცეციც კი არაა, თურმე,“ და ამ ვთქვათ და ნამცეცის, — მეტრილიონედს — აი, მასავით ძალიან პაწა ადამიანს რითიღა უნდა ეგრძნო რაიმე ძალა — ჰამაც, მოკვდები... და ყველაფერი დამთავრდება სიკვდილის მერე. ხომ ასეა, ეს? „თანაც,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცხოვრება, ძალზე გრძელი გვგონია ხოლმე,“ დანაღვლიანდა, მიყუჩდა და, წყნარის ხმით დაამატა მერე, რომ თავად ეს დროც. ეს წყეული, ისე გადის რომ, ყოველი წამი იმ ოხრობასთან მიახლოებაა, და რაგინდ ბევრი იცოცხლო კაცმა, თურმე, „იმ მარადიულ დროსთან შედარებით, არც საწყისი რომ არა აქვს და არა აქვს ბოლოც, მთელი ცხოვრება აი იმასთან შედარებით სულ დიდი-დიდი მცირე ფინჩხაა ნაკლული წამის, — და, კიდევ მეტად მოიბუზა. მერე კი თითქოს გამხნევდასავით, თავი ასწია გვერდითა წრეელმა, ჯიბესთან მარდად, უნებურად გაიკრა ხელი, მოყოჩაღდა და, საკვირველებავ, აეს სტრიქონიც დაამატა: „მაგრამ რადგანაც კაცნი გვქვიან — შვილნი სოფლისა...“, ამიტომ, კაცად რომ ეგრძნო თავი, „ამ სისულელეშიც, ამ გაელვებაში, გადაპრანჭულად „მთელი ცხოვრება“ რომ ჰქვია და ისე კი ჯანდაბისაკენ მიჩინდრიკობს, ნუთუ ამ წამისწამობაში თლათ პატარ-პატარა სურვილთა დაკმაყოფილების უფლება არ უნდა გქონდეს?.. მოდი აქ ბიჭო!“ — მკაცრად გასძახა და მაშინვე გაკვირვებით ახედა თურმე ისედაც იქვე მყოფ, თავთით წამომდგარ ოფიციანტს, კარგა ხანს მის ზურგსუკან რომ გახევებულიყო, და უცხო აზრთა პირდაღებულად მოსმენისას ხელთ რომ შეგრილებოდა „ოსტრი-სალიანკა“.

არჩილს კი, ბოლო დროს მაინც, სულ უფრო და უფრო ახსენდებოდა ის ამბავი. ბავშვობისდროინდელი. იმ ვრცელ ქალაქში, მანქანათა და ფეხოსანთა დიდარეულობისას, მეხად განცდილი — რომ ყველა ისინი, ესე იგი ჩვენ, რიგითი და ურთიერთისთვის სრულიად უცხო ადამიანები, რაღაც უხილავი. სათუო ქსელით ვართ ერთიმეორეზე გადაბმული, გადაჯაჭვულნი, რომ ერთმანეთზე, გინდაც არ ვიცნობდეთ, დამოკიდებულები ვაართა. მაგრამ ეს არ უნდა ყოფილიყო სავსებით სწორი, აგველო თუნდაც. აი ეს მართა — ხომ კარის მეზობელი იყო არჩილისი, მაგრამ. აბა რა საერთო ჰქონდათ... თუმცა კი, რაღაც მაინც გააჩნდათ — მართა ხომ უშოს აწყენინებდა და უშოს ცუდი გუნება-განწყობა წრეელებზედაც გადადიოდა. აი ამაში იყო მაინც პატარა საქმე... იაე კი, მართასთან. მანამდე — მხოლოდ „გამარჯობა-გაგიმარჯოს“ და სხვა არაფერი, მაგრამ ერთხელაც, შინ რომ ავიდა არჩილი და, ზაფხული იყო, ცოლ-შვილი აგარაკად ჰყავდა, გასაღებთ-აცმა რომ მოიმარჯვა, კეფაზე უცხო მზერა აეწვა, მიიხედა და, ერთბაშად თავდახრილი, დამორცხვებული ედგა ზურგსუკან ხნიერი მართა. ეს არჩილი კი, გაკვირვებული მთლად. ზემოდან ფართოდ დაჰყურებდა და მერე კი მართამ, როგორც იქნა და, სძლია სიმორცხვეს, ასწია თავი, აჰ, რა ვედრებით ამოსცქეროდა, და აეე უთხრა: „ნეტა მოვკვდებოდე...“ და ჩაქინდრა თავი. არჩილი ერთი პირობა ძალიან დაიბნა, მაგრამ თავს მოერია და როგორც შეეძლო, ანუგეშა: „აბა ეგ რა საკადრისია, პატივცემულო...“ მაგრამ მართამ კვლავაც ახედა, რაღაცნაირი ბევრმაგი მზერით, და უცნაურად გაიმეორა: „ნეტავი მოვკვდე.“ „გიჟია, სულელ-ოხერტიალი? — გაიფიქრა არჩილმა მერე, შინ რომ შევიდა. — მე რა ნებართვებს მეკითხება, აილოს და ასე თუ უნდა, მოიკლას თავი“. მაგრამ აქ ისიც გაახსენდა, მართა ამას რომ დიდ ცოდვად სთვლიდა, თურმე, „მერედა, მე რა შუაში ვარ, აილოს და ნუ მოიკლავს თავს“, მერე კი გაღიზიანებამ სულ გაუარა, რადგან ზღვისპირობანა მოახლოებულიყო და ახლა საღამოობითაც კი ვარჯიშობდა. ოღონდ უპიანისტროდიონოვოდ. მერე დროულად ჩართო ტელევიზორი, ფეხბურთს გემოზე წამოწოლილმა უყურა. თან ცივ კომპოტს დროდადრო სვამდა — კარგი რამეა აგვისტოში; მერე ერთ ათვისებულ ქალს დაურეკა და ორგანიზმის მოთხოვნილება ხვალისათვის დათქვეს

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(ხვალ: „მოდი აქ ჩემთან, მოდი აქ ქალო“). ძილის დროც რბილად რომ მოახლოვდა — მთქნარებამ ამცნო. შიშველა ტანზე მხოლოდ ზეწარი წაიფარა, ისიც — მუცლამდე, ნავარჯიშევზე, ხელები უკან, მადიანად, დანებებულივით გადააგდო და გულაღმა, წყნარად, უშფოთველად, მთლად აჩისავით ჩაეძინა, ოდნავ ფშვინავდა ერთხანს, და მერე ძალიან ნელა, მაგრამ ღონივრად წამოიმართა, არა, სიზმარი ეს არ იყო, საწოლზე ფართოდ თვალგახელილი იჯდა და ოთახისეულ სიბნელეში რაღაც საზარლის გამორჩევას ძაან ცდილობდა, მაგრამ იქ მაინც ვერაფერი მოიძია და უცებ, ფანჯარასთან მომდგარ სულიერს ჰკიდა თვალი და, გაოგნებისგან, „ჰაჰ!“ — შესძახა კიდეც — აქ, ამ შუა ქალაქში, კარგ რაიონში, რა უნდოდა და ესაქმებოდა ღრმა წყალთა ურჩხულს, თან, მრისხანესა და მუქარიანს კი არა, არა — შეწუხებული, რა უზარმაზრად შეწუხებული, დიდ გამობურცულ სევდიან მზერას რაღაც უმწეოდ, მთლად უილაჯოდ ატრიალებდა, უცხო ვაებით არიდებდა თვალს, და კლანჭებიან თათს თუ რაღაცას, სახესთან ტანჯვით იტრიალებდა, და მთელი სახე ეთქმოდა თუ რა, დიდად ღონიერი, ახორკლილი, გარედანაც კი ეტყობოდა, ძლიერ ღრმა ქერცლით დაფარვოდა და თავი ვედრებით სადღაც ზემოთკენ რომ ასწია, საკვირველებავ, ახლად გამოჩენილ ყელისავე მძლავრ აბჯარში მცირე ადგილი აქერცვლოდა, და მოვარდისფერო, ღრმად სათუთ კანზე ორად-ორი რამ სიტყვა ეხატა, ლამაზად, მკაცრად, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი გამოარჩია, მისთვის წუნკალი: „არა“.. და, მეორესაც რომ შეაკვირდა, თითქოს დეფიზით სიგრძემომატებულს, ვეღარაფერი ამოიკითხა, ალბათ „იპარო“, ან „იმრუშო“ ეხატა ჩვილ კანს, და მთლად თვალებად გადაიქცა, მაგრამ ფსკერთა მაუწყამ მეორე თათიც ამოიწვდინა სადღაც სიღრმიდან, მაღლა შემართა. აიქიდან კი, კლანჭებიდან, რაღაც ლორწოდ შედედებული სითხე ძალიან ნელა, დიდწვეთობით, და მწვანე ფერის ტანჯვად სდიოდა, და ზედ მეორე საშიშ სიტყვაზე ეღვრებოდა და სულაც დაფარა, არჩილმა ისევ აის მშველელი — „არა კაც-ჰკლა“ გაიხსენა და, აქ კი ფანჯრისამ პირველად, ერთხელ, კვლავ წამებით და თანაგრძნობით, ოღონდ თვალებში წამით შეხედა, და, დაიძირა, სულ ბოლოს — თათით...

გამთენია-ხანს არჩილა მშვენივრად ეძინა, მერე ყოჩაღმა მაღვიძარამ წამოახტუნა, მოგეხსენებათ, რაცაა სისხამი დილა — კაი განწყობა, ოქროყანაში თუ ძმაკაცისას, სხვა წრეელებთან ერთად, ახლა, ზაფხულის გამოისობით, მონატრებული რამ სითხე — ხაში გელის (ზაფხულში ხომ აეს წვნიანი — ათასში ერთხელ), და მერე ისიც მოაგონდა რომ, ნიორს მაინცდამაინც გემოზე ვერ გაურევდა საჭმელს, რადგანაც მერე, ამ შინაარსიან კვირა-დღეს, ათვისებული ქალიც დაეგეგმა. ეგ არაფერი, მცირენივრობა, და ონკანისეულმა რაღაც-ტყვე წყალმა ზღვათა ურჩხული რომ გაახსენა, აი ესეც კი არაფერი, ოღონდ სიზმარი ცოტა მსუბუქად გაუკვირდა — აის ურჩხული რამ დაასიზმრა, რომელი ფსკერთა აქვალანგისტი თავად იყო, უცნაურია სიზმარი მაინც, ჰეჰ.. გასაპნული სახე გულისყურიანად ჩამოიპარსა-აიპარსა, საგულდაგულოდ შეიმოწმა და, ის იყო, კარგა გამოეწყო და შარვალზედაც კოხტად შეიბნია ბოლო ღილი, ახალი წრეელის მანქანამაც დაიპიპინა. თავი ფანჯარაში გაჰყო, მხნედ ჩასძახა რომ, ჩაირბენდა ხელად, ბინას მოავლო ფხიზელი თვალი — რაიმე ჩართული ან მოშვებული არ დარჩენოდა, კარის სახელურს ჩასჭიდა ხელი, და კარსიქითა რაღაც ხმაური რომ შემოესმა, აქ კი ცოტათი, სულ ცოტათი, ოდნავ შეცბუნდა — ძალიან ადრე, ადრიანი დილა გახლავდათ რადგანაც — და კარის ავ-კეთილსტუმარგამოსცნობო მინის პაწია ჭუჭრუტანაში გაიხედა და, დაინახა მართა! იდგა და თითქოს ვიღაცას უცდიდა, ჩაექინდრა თავი. არჩილმა კარი ყოყმანის შემდეგ მხნედ გა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოაღო, არც მისალმებია, და კიბის ჩარბენამდე ერთი სული კი ჰქონდა, მაგრამ ოთხმაგად მაინც ხომ უნდა დაეკეტა კარი და, რომ შემობრუნდა, მართა ერთი საფეხურით დაბლა დამდგარიყო, რაღაც ვედრებითაც აეწია თავი, აჰყურებდა. არჩილი სრულად დაიბნა და, მერე კი თითქმის უგანა, მაგრამ მართა იქაც გადაელობა, და რაღაც ხვეწნით, მუდარით უთხრა, ძლიერ ღელავდა: „ნეტავი მოვკვდებოდე...“ — როგორ საბრალოდ, და რა ვედრებითაც, ამოსცქეროდა, კი, მაგრამ აქ უცებ, საკვირველებავ, რა დაამატა: „შენ მდიდარი ხარ... ნეტავი მოვკვდე.“

ვიდრემდე კიბეს ჩამოათავებდა, გაბრუებული იყო. სულ არ ახსოვდა სიტყვა „მდიდარი“, ყველაზე მეტად ამ მცირე სიტყვამ — „შენ“ — გააოგნა როგორ! აშკარა იყო, მართას უზრდელობით არ მოსვლია ეს, რაღაც სულ სხვა რამ იყო ამ სიტყვაში — აი ის მართა, მეზობელი, იახლოვებდა!

„რა დაგემართა, — ჰკითხა მერე გვერდითა წრეელმა, — რაღაც ვერა ხარ“. „ჰა? კი, ვერა ვარ...“ — თქვა არჩილმა და მანქანის შუშა ჩამოსწია. ზემო ქუჩებით გადადიოდნენ სოლოლაკისკენ, ქალაქი ცოტა ქვემოთ მოჩანდა, ჯერ ხომ არ იყვნენ უფრორე მაღლა. მერე არჩილმა მთას ახედა და, ამ ნელ ტრამვაის მოჰკრა თვალი, მიაჩერდა, აჰ.

— მე აქ ჩამოვალ.

— რა იყო, კაცო.

— ტრამვაით ავალ.

— რატომ, შე კაცო.

— რაღაც წნევა მაქვს.

— მერე, ტრამვაით უნდა იჩაქჩაქო? ხელათ ავგრიალდებით.

— სწორედ მაგიტომ... — თქვა არჩილმა, რაღაც სწყუროდა, — წნევას არ უყვარს ძალიან სწრაფად ამაღლება. და ტრამვაით ამოვალ, ნელა.

— რა განსხვავებაა, კაცო.

— ნელა ამოვალ. თან, შუაგზაზეც ჩერდება ცოტა... მამა-დავითზე.

— მაშინ სულ ზემოთ დაგიცადოთ?

— არა.

— აბა იქიდან როგორღა მოხვალ.

— დავიჭერ რამეს. ანდა, ფეხით წამოვალ სულაც... იქვე არაა?

— რა არი იქვე...

— გააჩერე, გააჩერე.

და თუმცა ახლა ფუნიკულიორის ქვედა სადგურზე სულ სხვა, ახალი, მამინაცვალივით შენობა იდგა, მაინც ის იყო, ის ადგილი, ბავშვობის მთელი ორი გრძელი წლით უფროსი დედუფალი „ნ“-ს აიმ პირველმა სიყვარულმა რომ მოიყვანა. ის რანაირი იყო მაინც ის შეყვარება ძალუმი ისე, განა აჩიკო როდესმე წარმოიდგენდა, სარკეში თუ მალულად დაითვალიერებდა თავს? ანდა, მთლად უარესი — ვარცხნილობის საუკეთესოებაზე დიდხანს ეფიქრნა? გაფრთხილებოდა პერანგს და შარვალს? იმდენის მომსწრე ხელისგულზე, დაფასთან ჩამოსაკაკლავი ისტორიული თარიღების ნაცვლად, დაეწერა „ნ“? მატალოზე რა, მახლობელ კინოში თუ წავიდოდნენ იმისი კბილა ბიჭები, აჩიკოს კი რაღაც სხვა სურდა, რაღაც ამაღლებულად განსაკუთრებულსა სთხოვდა შეძრული გული და, მოიფიქრა — ფუნიკულიორზე ასვლა გადასწყვიტა და პატარა კაკიც ისე საეჭვოდ მყისვე დაეთანხმა, აჩიკომ ერთი კი გაიფიქრა: „ესეც ხომ არ... შეყვარებული ხომ არ...“, და უცებ, სასტიკი განცდით აიწეწა: „და ამასაც ხომ ის ხომ არ!..“ მაგრამ აჰ, არა, არა, კაკი ისეთი დაბალი იყო, კლასელებს მხრამდე ძლივას სწვდებოდა, ჯერ პიონერსაც კი არ ჰგავდა, იმას კი, იიჰ, კომკავშირელ „ნ“-ს, წესით და რიგით თუნდაც ფიქრობრივ აბა რანაირად შებედავდა. მაგრამ ძნელი იყო კი, აჰ, სიყვარული, და აჩიკომ მაინც გამოსცადა ძმაბიჭი, თუმცა ღელავდა. ხმადაბლა ჰკითხა: „ნ?“ „რა?“ — შეაცქერდა პატარა კაკი. „არა. არაფერი...“ — და გაიფიქრა — „კარგი ბიჭია“.

---

**გურამ დოჩანაშვილი**

განსმდგომი შუაკაცი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ოი, სწორედ იქ სურდა ნელინელ ასვლა, პატარაობის დიდსურვილებთან, მაგრამ ჯიბეზედ მხოლოდ ხელის სილამაზენი ჰქონდა, და სალაროსთან რომ დაიხარა, ერთ-ერთი მაინც გაიწოდა და მოლარემ კარგა გაკვირვებით ახედა და, არჩილი მერე რომ შეწუხდა — „რა ვქნა, სხვა არ მაქვს,“ რაღაცნაირად, სანდო იერზე, სოფლიდან შედარებით ახლად უნდა ყოფილიყო ჩამოსული ქალი, უთხრა: „ისე მიბრძანდით, ჩემო ბატონო“.

მერე იყო და, ე-როგორც მაშინ, იყო ნელი ტრავაი, სამიოდ მგზავრი, ვილაც სამხედრო, ლითონის ბაგირის წყნარი ღრჭიალი, მაგრამ შორეულ ტყეთა ჭაცრისფრობისა და შემოდგომურად დუნე სიყვითლის ნაცვლად — ახლა სიმწვანე, მარადი ფერი, მაგრამ ამ უნდო, ამომწუწნავი აგვისტოთი როგორღაც ერთობ დაბზარული და დახეთქილი; სამაგიეროდ, როგორც ახლა, მაშინაც ასე გასუსულიყო ისიც და კაკიც, რადგან თბილისი, მათი ქალაქი, ზემოდან ძლიერ გადასხვაფერდა — რაღაცნაირად, გაიშალაც და დაპატარავდაც, მაშინ თბილისზე კრამიტიანი სახურავები უფრო სჭარბობდა, და უფრო ვიწრო, შინაურული ხიდები იყო მტკვარზე გადებული, და კანტი-კუნტა მანქანები იტაცებდნენ თვალს; სანუკვარ ეზოს, სადაც ცხოვრობდა დედუფალი „ნ“, როგორაც მაშინ ჩვენი აჩიკო, ახლაც ამაოდ დაეძებდა არჩილი, ანდა სად იყო ნეტავ ახლა ის პატარა კაკი, სკოლის შემდეგ რომ აღარც ენახა. მერე პარკისკენ გაიხედა, სადაც რომ, ადრე, გამოჩენილი რამ გასართობი — აწონ-დაწონ დიდი ბოქლომითა და ჯაჭვით საიმედოდ დაებათ, ახლა კი, აუჰ, რაღანაირი გამოგონებანი — „ეშმაკის ქარბორბალა“ და მსხვილმან-დიდრონი ატრაქციონნი, იდგა, ვილას ახსოვდა ის „აწონ-დაწონ“, არჩილმა ისევ დახედა ქალაქს, რაღაცა იყო ის სიყვარული, გაუმტყუნარი, და, საერთოდაც. ეჰ, სიყვარულში დიდი რამ იდო, და როცა ახლა დაჰყურებდა მშობლიურ ქალაქს, აიმბავშვობით ათრთოლებული რაღაცა დიდი, ამაღლებული, გამოსასწორებელი რამ მოენატრა, როგორც თავისთვის, უფრორე — სხვისთვის, ჯიბეზე შიშით მოისვა ხელი და, უკვე იცოდა, რას ჩაიდენდა, რასაც იზამდა, იცოდა უკვე!, მაგრამ ტრამვაით ჩაბრუნების თავი აღარა ჰქონდა, ეგერ არ იყო საბაგირო გზა? მაგრამ იქ მხოლოდ კონტროლიორი დამდგარიყო, რაღაცნაირად, ქალაქური მგელი, და ხურდა თუმცა იმასაც არ აღმოაჩნდა, მაინც გაუშვა, ოღონდ უხეშად და დამადლებით:

— კარგი ხო, წადი.

სწრაფად, ჰაერით ბრუნდებოდა ძირს, გადმოვიდა და ხვეული გზით ჩავიდა დაბლა, ზემელზე იყო, ქუჩა გადასჭრა, მერე მანქანის დაჭერისა მოერიდა — მაინც ითრევდა ფეხს, და ტროლეიბუსში რომ ავიდა, მესამედაც რომ არ ბოძებოდა სიტყვიერი წყალობა, კონდუქტორისკენ ზურგშექცევით, სადღაც კუნჭულში აიტუზა და თავისი ძნელი გაჩერებაც რომ მოვიდა, ჩავიდა არჩილი.

ის ადიოდა თავისი სახლის კიბეებზე, რადგან ლიფტი ჯერ კიდევ არ მუშაობდა, ადრე იყო ისე, მაგრამ შინისკენ არა, არა, ცოტათი განზე, და გამოღიავებულ კარში ის დაინახა, ვინაც უნდოდა — საწოლზე იჯდა ხნიერი მართა, სულ მუდარადქცეული შეჰყურებდა, ის რომ შეატყო სახეზე არჩილს, რაც რომ მას სურდა, საწოლზე წყნარად გადაწვა ხნიერი ქალი, ბილიკივით ჭკვიანი, მართა, პირქვე დაემხო, რაღაცნაირად, სანახევროდ იწვა, რადგან ფეხები იატაკიდან სულ ოდნავ ახლოს ჩამოჰკიდნოდა, არჩილი იდგა, მერე გადადგა ნაბიჯები და, იქამდე აყოვნებდა, სანამ მართას ცალ ფეხზე გასძვრა რაღაც უწყინარ-სულელურად ფერადი ქოში, მაგრამაც წინდა ცერთან დაკემსილი ჰქონდა და ამის დანახვაზე არჩილმა მაღლა შემართა ხელი და შიგ კისერში ღონივრად ჩასცა თავისი გრძელი, წვრილი დანა და მერე ადამიანში საკმაოდ დიდხანს ატრიალებდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## მედეა კახიძე

### ოდა სამშობლოს

ზოგჯერ დიდი ქვეყანა
წილად ხვდება ულირსს,
ვისაც მისი ტყე-ჭალა
ჩალის ფასად ულირს.
ჩვენ კი
რისხვით, შენდობით,
ვიმკით წლების
სამკალს,
ბედით თუ უბედობით
თავს სამშობლოს ვაკლავთ.
შენთანა ვართ ოცნებით,
სიზმარში თუ ცხადში,
ხარ ბრძოლებით,
ლოცვებით
შენახული ხატი,
მხოლოდ წამით —
ზეზეურ ჩათვლემილი
ხვადი!

●

მთის წვეროებმა აზიდეს
ლურჯი ცის გუმბათები,
შევჭიდებივარ საშიშ გზებს,
და გზაზე ვგულადდები.
კლდეებს მიკიბულ-მოკიბულს
განა მღილივით ვუფრთხი,
სამზერისს ჩრდილავს მზე მწუხრის,
მიხმობს ძახილი შურთხის.
ცაზე ქრებიან ტიტები
და გულს გულდასმით ვუგდებ
გულაცრუებულ ჩიტების
ხმაშეუწყობელ გუნდებს.
მიხმობს ტანწვრილი გზაწვრილი,
ტყის იდუმალი ხემსი,
გზები წლებისგან წაშლილი,
კუტი ლოდები ხევში.
იმედიანად შევყურებ
მუხის დაკუნთულ მაჯას,
ვიბნევ გულქანდად, საყურედ,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მინდვრის ყვავილის მარჯანს,
ველზე რამდენი ფერია,
რამდენი შურთხი, შუნი...
საქართველოში ბევრია
სიყვარული და შური
და ტკივილები ჩუმი...

## ძველებურ ჰანგზე

აღარ ვმზეობ,
მოშავებედდა
ზეცა ვრცელი,
სიტყვა გატყდა
ვით კახური
შოთი პური,
მზეში ვხმები,
გადაჭრილი
მჭრელი ცელით,
სიცოცხლის ხე
ძირიანად მოთიბული.
არ შევხარით
ცის და მიწის
ფერად სურათს,
არ მივყვებით
ჩამოთოვლილ აკაციებს,
მე ვიყავი შენთვის
ღვინით სავსე სურა,
ხელი მკარი
და უგულოდ დამაქციე!

## მარაბდის ეპიტაფია

მარაბდაში რა გინდოდა,
თუ სიკვდილი არ გინდოდა,
რაღა ჩემზე მოინდომე,
თოფის კვრა და ნადირობა,
ნეტავ სახლში გეტრიალა,
რად იქეცი ხეტიალად,
არ დაგყროდა იქნებ მიწა
გულზე ყვავილ-ბელტიანად
იქნებოდი ღამის მეხრე,
ველს დახნავდი საყამიროს,
მონათლავდი მიწას ხეშეშს
სანერგედ და საყვავილოდ,
ციდან გულის მოსაფონრად
ვინ მომიწყვეტს განძეულებს,
მკათათვის თვე როცა მოვა,
ვინ გადმოცლის
საძნე ურემს?
ნეტავ არსად გადაგყროდი,
არც გვქონოდა გასაყარი.
გულს მდებოდა დარდის ობი
და სიჩუმე ნასაყდრალის.
დაგკარგოდი ნეტავ გზაში,
გზა უჩემოდ გაგეწალდა,
რა გინდოდა მარაბდაში,
თუ სიკვდილი არ გეწადა!

ეროვნული ბიბლიოთეკა

# დავით მჭედლური

## ლურსმნები

ღღეს მარტო დავრჩი და როცა მარტო
ვრჩები შენ მხოლოდ მოდიხარ მაშინ,
და მოგაქვს კიდევ ოთხი ლურსმანი,
თითქოს ლურსმანი არ მქონდეს სახლში.

ოთხი ლურსმანი...
ოთხი ლურსმანი...
მათი წკრიალით სავსე ოთახი...
და ითვლი, ითვლი გულისწამღებად:
— ერთი...
— ორი...
— სამი...
— ოთხი...

ყველა სამსჭვალი პოულობს ადგილს,
თავის ძველსა და ერთადერთ წერტილს
და ახლა უკვე უკუღმა ითვლი:
— ოთხი...
— სამი...
— ორი...
— ერთი...

●

ტაროსი ტაროსს ამაოდ ებრძვის,
ცხრაჯერ შებრუნდა ცარგვალზე ვერძი.

სავსე და მცხრალი და წვიმით სველი
ჰკიდია მთვარე ტირიფის წნელით.

ისევ დაგეძებ, ცოცხალ ვარ ჯერაც,
არცრა ვუჯერებ წერას და მწერალს.

არცრა მოშიში, არცრა მგმობელი,
შენი ვნებების და სამყოფელის —

შენსკენ ვიჩქარი, საგზალიც მიდევს
და სისხლს თუ ვიძენ, გულიდან ვიდენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## და იქმნა დილა

და იქმნა დილა, ახლა ამ დილას
ვერვინ წაართმევს უკვე შენს სახელს,
მე კი ვერ გითხარ გულისწადილი,
ისევ გიყვები თოვლის შესახებ.

და იქმნა დილა, რომელიც არ ჰგავს
არცრა ზმანებას, არცრა სიცხადეს,
ღამის მდინარეს გაჰყვა, განქარდა,
დღემდის რაც ვნახე და განვიცადე.

და კვლავ იქნება თოვლი და დილა,
იქნება წვა და დუღილი მიწის,
ჩვენ ორნი უცხო ნაპირთან მივალთ,
სადაც ნიადაგ არავინ გვიცდის.

სადაც ჩაივლის უცხო მდინარე
და ჩქამი ისმის უცხო გემების,
სადაც თალები ვერცხლით ბრწყინავენ,
თითქოს ტაძარში სადმე შევედით.

სხვაგვარად ელავს, ნანატრი დილა,
სხვაა ამჟამად შენი ხილვები,
ღამის ნამსხვრევებს გაცილებ ხელით,
შენთან მოვდივარ მუდამ პირველი.

არის ლოდინი, არის მოთმენა,
არის იმედის აწონა მისხლით,
და სარკმლის ცაზე ახალი ფენა —
უცხოდ ნახატი იანვრის ჭირხლი.

●

რად უნდა მითხრა — რა მოკლეა წუთისოფელი,
ჩვენ მოვასწარით ბევრი რამე;
გაზაზფულის ქარებმა ჩვენ გვერდით ჩაიქროლეს,
ზაფხულის მზემ ზედ ჩვენს თავზე გადაიარა,
შემოდგომა ჩვენ ხელში მოკვდა,
ხოლო ზამთრის სპეტაკი თოვლი
ხედავ? — უკვე ცრემლად იღვრება.

ჩვენ მოვასწარით ბევრი რამე,
რად უნდა ვთქვათ:
— რა მოკლეა წუთისოფელი!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

## ფიქრი

ვინ ახმიანებს სამშობლოს ზარებს,
იმის დროშას ვინ აფრიალებს?
იმის ქარებს ვინ მიერეკება,
დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ?
ვის ვგულისხმობთ მოგებულ ომში
ანდა წაგებულ სიყვარულში?
ვარსკვლავებში, რომელნიც ჩვენი
სამშობლოს პატარა ცაზე ეტევიან,
ან იმ ღრუბლებში, მტკვრის, არაგვის,
ივრის ალაზნის, რიონის, ენგურის, ჭოროხის
ხეობებში წვიმების ჟამს რომ იბადებიან?
ვის დავეძებთ მოხნულ მინდვრებში
ან ფრინველში, რომელიც დაღლამდე მიფრინავს,
შეისვენებს და ისევ მიფრინავს.
ვის დავეძებთ ჩვენი სამშობლოს დაკარგულ მიწებზე,
მიტოვებულ მთებში, ან გაპარტახებულ
მონასტრებში?
უძველეს ყდებში გამომწყვდეულ ძვირფას ლექსებში
ვის ვეძებ ასე გამწარებით,
ვის ვუხმობთ ასე გახელებით?
ცას ავძახით, მიწას ჩავყვირით,
— გამოდი!
— გამოდი!
— გამოდი!

## თოვლი, სხვაგვარად ვერ განვიცადე

დღესაც სავსე ვარ თოვლის ზღაპრებით,
თოვლი სხვაგვარად ვერ განვიცადე,
დამთავრდა ჟამი ცაში გაფრენის,
სამარადჟამოდ ვდგავარ მიწაზე.
ახლა მომენდო, ახლა ვიხილე,
ახლა გამიღო თოვლმა სარკმელი,
თეთრი კვიცივით გარეთ ჭიხვინებს
თოვლი სპეტაკი და უზაკველი.
თოვლი ამღერდა, ვარ თოვლით სავსე,
მძიმედ დახრილა ტოტი კედარის,
თქვენ მიგაქვთ თოვლის უნიჭო ასლი,
მე მრჩება თოვლის ნამდვილი დედანი.
მოდი მიხილე, მოდი შემიცან,
მოდი ამხადე თოვლის საფარი,
თოვლი სხვაგვარად ვერ განვიცადე,
ვერცა ვიხილე თოვლი სხვაგვარი.

გულო კობიაშვილი

# მოთხრობები

## ბოროტმოქმედი

ერთადერთი გამოქვეყნებული მოთხრობისა და უამრავი გამოუქვეყნებელი ნაწარმოების ავტორი, არც თუ ისე ახალგაზრდა მწერალი, უარყოფითი გმირის გარეგნობის დასახატად პროტოტიპს ეძებდა. ტროლეიბუსს ბოლო გაჩერებამდე ჩაჰყვა, დაწვრილებით მიმოიხილა ყველა ამსვლელ-ჩამსვლელი მოქალაქის გარეგნობა, ბოროტმოქმედის სახეს ვერც ერთი ვერ მიუსადაგა და თავის შემოქმედებით ნიჭში წამიერად დაეჭვებული და დადარდიანებული, გაჩერებიდან ახლადდაძრულ ექსპრესს შეახტა.

თვალის ერთი გადავლება კმაროდა იმისათვის, რომ სალონში მყოფი ხუთი-ექვსი, იერით ერთმანეთის მსგავსი მგზავრიდან არც ერთი არ მიეჩნიათ ბოროტმოქმედად. მწერალმა ხმამაღლა გააწკლაპუნა პირი იმედის გაცრუების ნიშნად, ხელები ჯიბეებში ჩაიწყო, სალონისაკენ შემოტრიალებულ სკამზე დაჯდა და თავის თავზე მაღალმხატვრულად გაიფიქრა: „იგი მძიმედ დაეშვა სკამზე: მაღალი, მოხდენილი და ბოროტმოქმედის გამოჩენამდე ვნებით ალსავსე მზერა მიაპყრო მის წინ მჯდომ, წიგნში თავჩარგულ, გვირილისდარ ქალწულს. ქალწულმა უმალვე იგრძნო ვაჟკაცის მზერა, თავი ასწია და...

სწორედ ამ დროს, მის წინ მჯდომმა, წიგნში თავჩარგულმა, მაღალმხატვრულად გვირილისდარმა, ხოლო უბრალო ენით, ქერა ქალიშვილმა, მართლა ასწია თავი. მისი მზერა წამით შეეფეთა მწერლის ვნებით ალსავსე მზერას, გადაინაცვლა მთლიანად სახეზე, მერე მხრებზე, მკერდზე, ჩავიდა ფეხებამდე... ქალიშვილმა უსიამოვნოდ შეიჭმუხნა შუბლი და ისევ წიგნში ჩარგო თავი.

მწერალი შეცბა. ჯერ უხერხულად შეიშმუშნა, მერე კოპი შეიკრა და ბრაზით მიაჩერდა ქალიშვილს. ქალიშვილმა, ეტყობა, იგრძნო მიშტერებული და თანაც არც თუ სასიამოვნო გრძნობის გამომხატველი მზერა და უფრო დახარა თავი.

„ქაჯი! დამჯდარა და კითხულობს ქვეყნის დასანახად. აქაოდა, შემომხედეთ ერთი, რა განათლებული ვარ, ავტობუსშიც კი ვერ მოვითმენიაო. არა და სანაძლეოს ჩამოვალ თუ იყოს ახლა ეგ ნორმალური ნაწარმოები. იქნება ვინმე აწკარუნაშვილის ან სიკინჭალაშვილის ნაცოდვილარი. არა, ბიჭო და კაფკა არ იყოს ან ჯოისი“ — დამცინავი იერით ფიქრობდა მწერალი და განაგრძობდა ქალიშვილის რაც შეიძლება აგდებულად თვალიერებას.

ცოტა ხნის შემდეგ ქალიშვილმა მეორე გვერდზე გადაფურცლა. გადაფურცვლისას თვალი წამით გაექცა მოპირდა-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

პირე მხრისაკენ და მწერლის სახეს რომ შეხედა, ტუჩები ზიზღით მოკუმა.

მწერალს ცეცხლი მოედო გულზე. ყელში ისე მოაწვა ბრაზი, ცოტა დააკლდა ნაფლეთებად არ აქცია მოზიზლარის წიგნი, მაგრამ თავი შეიკავა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ცოტა წაუსტვინა კიდევაც, იმის ნიშნად, აქაოდა, ვითომ ვინ მიგდიხარო და ფეხსაცმლის ჭვინტი ზედ ქალიშვილის მუხლებთან აათამაშა. ქალიშვილს თავი არ აუწევია, ისე გასწია მუხლები. ეტყობა, აღარავითარი ხალისი აღარ ჰქონდა კითხვისა, მაგრამ თვალს მაინც არ აშორებდა წიგნს.

„ფუჰ! წერე ამათთვის... შეიკურთხა გულში მწერალმა. დაჯდება ამისთანა შტერი, ჩაარაკრაკებს მარტო სასიყვარულო თავგადასავლებს და მოჰყვება მერე ფილოსოფიურ ლაქლაქს: „ეს ჰემინგუეის გავლენითაა დაწერილი... ამისი ცოდო ფოლკნერს მოეკითხოს.. ამან ჯობია კალმის მაგიერ ცოცხს მოკიდოს ხელი...“ იცოდეს მაინც ამ საცოდავმა ჯოჯომ ვის პირდაპირ ზის ახლა, ვინ იცის, მერე რა სიამოვნებით წაიკითხავს ჩემს ნაწარმოებებს, როგორ იოცნებებს ავტორის გაცნობაზე, რა მოწიწებით გაივლის ყველა იმ სახლის წინ, სადაც კი ოდესმე მიცხოვრია მე და სადაც გაკრული იქნება ამ ფაქტის აღმნიშვნელი აბრა...“

მწერალს თავისდაუნებურად ისე შეეცოდა ეს თავდახრილი ჯოჯო, რომ გულში მიუტევა კიდევაც ის ორიოდე ზიზღიანი მზერა და ერთი წუთით თბილად აათვალიერ-ჩაათვალიერა... იმ ჯოჯომ კი ამ სითბოს რით უპასუხა: წიგნი დახურა. მოწიწებით გადაუსვა ხელი, გადაუსვა კი არა, მთელი სინაზით მიეფერა ყდას, რომელზედაც პატარა ბიჭი იყო დახატული მაღლა გაწვდილი ხელებით და მოულოდნელად ისეთი ენითაუწერელი ზიზღით აათვალიერ-ჩაათვალიერა მწერალი, წელანდელი ზიზღი მოგონილი იყო იმასთან. მწერალმა იგრძნო, როგორ დაუბნელდა თვალთ. იმ წუთას გადაავიწყდა სახლიც, ზედ გაკრული აბრაც, მომავალი დიდებაც და გამგელებული ეცა ქალიშვილს ცხვირში. ქალიშვილმა ხმის ამოღება ვერ მოახერხა, ცხვირაა და პირზე მოჭერილი მწერლის ხუთი თითი ამის საშუალებას უსპობდა. სამაგიეროდ, ცალი ხელით რომ წიგნი ჩაიხუტა, მეორე ლონივრად აძგერა თავდამსხმელის მკერდს.

ამასობაში დარჩენილი ხუთი მგზავრიდან სამმა მამაკაცმა თვალის დახამხამებაში გაკოჭა მწერალი, ორმა ქალმა კი ყვირილით: „მილიცია! მილიცია!“ მძღოლი დაითანხმა მანქანა უახლოეს სამორიგეოსთან შეეჩერებინა.

— იმ წუთას მივხვდი რომ კარგი სული არ იქნებოდა! — მეორე ქალის ხმას ფარავდა ხნიერი შაოსანი ქალი— შეხედეთ, შეხედეთ, არ ეტყობა რაც არის? ამხელა კაცი თექვსმეტი წლის ბიჭივით რომ გამოკვანჭულხარ მაგ ჯინსებია, თუ რაღაც ოხრობაში, ჭიპამდე რომ გამოგიჩენია ეგ გაბანჯგვლული მკერდი, რას ერჩოდი მაგის ცხვირს, შენს საკუთარ წასიქსიქებულ ცხვირს ვერ მოუვლი?! მარტო მაგ გაბურძგნული წვერ-ულვაშისა და ჩაცმა-დახურვისათვის გეკუთვნის ციხე, შე ხულიგანო და გარეწარო, შე ბოროტმოქმედო და რეციდივისტო, ეძებდი და იპოვე ხომ? ეძებდი და იპოვე ხომ?!.

# მოირა

— ეს ყველაფერი მოირას ამბავია, გენაცვალე, მეტი არაფერი — თქვა კაცმა, ფეხი ფეხზე გადაიდო, ფეტრის ქუდი მოიხადა, მუხლისთავზე წამოიცვა, მელოტი თავი ცხვირსახოცით ჩაიწმინდა კისრამდე და დამცინავი იერით აათვალიერ-ჩაათვალიერა ქალი — თუმცა,

გულო კოზიაშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაღა თქმა უნდა შენ ისიც არ იცი, რას ნიშნავს სიტყვა „მოირა?!“

ქალმა მართლა არ იცოდა რას ნიშნავდა სიტყვა „მოირა“, იდგა კედელთან ატუზული, გახუნებული კაბით, გახუნებული წინსაფრით. ჭაღარა თმებით, დაექრიფა გულზე დიდი, დაკოჟრებული ხელები, გაჰყურებდა ეზოში მოთამაშე სამ, ერთიმეორეზე ფერმკრთალ ბავშვს და ტიროდა გულამოსკვნილი.

— მოირა ბერძნული სიტყვაა და ნიშნავს ბედისწერას — განუმარტა კაცმა, მუხლისთავზე წამოცმული ქუდი აიღო, რატომღაც დაბერტყა, დაიხურა, ჰალსტუხი ცოტათი მოუშვა და დაამატა — ბედისწერას ვერავინ გაექცევა. ბედისწერა იყო ისიც, შენ რომ შეგირთე — აქ მწარედ ჩაიქირქილა, ამოიოხრა, თავი მრავალმნიშვნელოვნად გააქნია და განაგრძო — ბედისწერაა ისიც, რომ ჩემი ცხოვრების შუადღეზე შევხვდი მას, ვისაც მთელი ცხოვრება ველოდი — წვრილი, მოუსვენარი თვალები სიხარულით აუციმციმდა — მოვიდა იგი, ახალგაზრდა, ლამაზი... მოვიდა ჩემი სულის მეორე ნახევარი და მომიტანა თან ბე-დნი-ერ-რე-ბა. რა გატირებს შენ, ჩემი ბედნიერება?! — იკითხა მკაცრად.

ამასობაში ერთმანეთს გამოდევნებული სამი ბავშვიდან ერთი წაიქცა. ქალი ტირილით მოწყდა ადგილიდან, ბავშვი ააყენა, დაუფერთხა მტვრიანი კაბა, აკოცა შუბლზე, გამობრუნდა უკან და გულზე ხელებდაკრეფილი ისევ ტირილით გაჩერდა კაცის წინ.

კაცმა სწრაფად მოსხიპა სივრცეს მიშტერებული ღიმილი. ტყავის პორტფელი გახსნა. კმაყოფილი სახით ამოიღო იქიდან მოზრდილი შეკვრა და ქალს გაუწოდა.

— ნახე, ტანიას სურათებია.

ქალმა გამოართვა, იქვე ჩაიყუნცა, ხელის ზურგით შეიმშრალა ცრემლები და შეკვრა გახსნა.

— ერთი თვის ამბავია — ზმორებით თქვა კაცმა — მივლინებაში რომ მივდიოდი, მაშინ გავიცანი მატარებელში. მოგწონს?

— შალ-ვა! — ამოისლუკუნა ქალმა, იცნო თუ არა მაღალი, თეძოგანიერი ქალის იღლიის ქვეშ შეყუჟული მეუღლე,

— „შალვა! შალვა!“ გამოაჯავრა კაცმა — მე რაცა ვარ, ისედაც ვიცი, ტანიაზე გეკითხები.

ქალმა არ უპასუხა, თითქოს ხსნას ეძებსო, გამალებით დაუწყო თვალიერება სურათებს. ტანია შალვას მხარზე ხელჩამოდებული, ტანია ოდნავ გაღიმებული... ყურებამდე გაღიმებული... მოწყენილი, გახარებული, გაცინებული, ახარხარებული... ავტობუსიდან ფეხისწვერ გამოდგმული... ავტობუსიდან ფეხჩამოდგმული... ასფალტზე დამდგარი. თმებგაშლილი... თმებშეკრული... ცხენოსნის ქანდაკებასთან ჩამომჯდარი... ფეხოსნის ქანდაკებას მიყუდებული. ტანია და შალვა კაფეში... ნავში...

— ვიცხოვრებთ ტულაში!

— ტულაში! — ქვითინით მისცა ბანი ქალმა.

— ტულაში კი არა, მოსიყვარულე ცოლ-ქმარი ჯოჯოხეთშიც ტკბილად იცხოვრებს — ხმამაღლა, კმაყოფილი სიამით განუმარტა კაცმა, უხეშად წაჰგლიჯა ბოლოდან ბოლომდე დაუთვალიერებელი სურათები, სათუთად დაალაგა, გაახვია გაზეთში, ჩადო პორტფელში, დაკეტა პორტფელი და თითის ქნევით თქვა — შენ არავითარი უფლება არა გაქვს წინ აღუდგე ორი სულის ბედნიერებას, მიიტყუებს, მე კეთილშობილება გამოვიჩინე და ყველაფერი გულახდილად გითხარი. სხვები ასეთ საქმეებს სხვანაირად აკვარახჭინებენ.

— ბავშვები! — ქვითინით მოავლო თვალი ქალმა ბავშვებს და ორივე ხელი მუხლებში შემოირტყა — ბავშვები, შალვა, ბავშვები?..

— ბავშვები... რა, ბავშვები?!. დაიზრდებიან.. ცოტახანს მაცადე, მოვიმაგრებ ფეხს, მუშაობას დავიწყებ. ალიმენტსაც გადავიხდი. სამსახურში შეიარე, საბოლოოდ ანგარიში იქნება გამოწერილი და წამოიღე. ოცდაათი მანეთი ხომ

ეროვნული ბიბლიოთეკა

გუშინ მოგეცი. რა ვქნა, ახლა კაპიკი არ მაქვს თან, სალაროდან გამოტანილი ფული მთლიანად ტანიას ჩავაბარე ამ დილით...

— შვილებო! ჩემო დალუპულო შვილებო! — ახლა კი მთელი ხმით ატირდა ქალი და თმაშიც გაივლო ხელი — შვილებო!

— ფუჰ! — წამოხტა კაცი — შენი გაუთავებელი ფშლუკუნ-ღრიალით მაიძულებ ორი საათით ადრე წავიდე ტანიას შესახვედრად. მატარებლის გასვლამდე სამი საათია, მაგრამ სამი წუთის გაძლებაც აღარ შემიძლია შენთან, ფუჰ!

ქალმა ცრემლი შეიმშრალა და დამნაშავესავით ჩაქინდრა თავი. შალვამ კიბესთან მიყუჟულ ბავშვებს დაუძახა, მკაცრი სახით ჩამოარიგა მათ შუბლებზე უკანასკნელი ამბორი. ცალ ხელში პორტფელი დაიჭირა, მეორეთი უზარმაზარ ჩემოდანს დაეჯაჯგურა. ჭიშკართან მისულს რაღაც გაახსენდა, შემოტრიალდა და აგდებით დაუძახა ნაცოლარს·

— ჩემი დატოვებული ფულიდან სამი მანეთი გამომიტანე. ფეხით ხომ ვერ წავიღებ ამხელა ტვირთს! ვიდრე ქალი ფულს გამოუტანდა, შალვამ დამცინავად შეათვალიერა აივნებზე გადმომდგარი მეზობლები, ფული ლამის თითებიანად წაჰგლიჯა ქალს და წიხლისკვრით გააღო ჭიშკარი.

●

შუაღამე გადასული იქნებოდა, როცა ჩემოდანმოკიდებულმა კაცმა ქურდულად შეაღო ჭიშკარი. დაცარიელებული აივნები მოათვალიერა, ჩემოდანი დადგა, პორტფელი მაგრად ჩაბღუჯა და თითისწვერებზე აწეული მიუახლოვდა ფანჯარას. მთვარით განათებულ ოთახში წყნარად ეძინა დედასა და სამ შვილს. კაცი უკან გამოტრიალდა, ცას ახედა და ამოიოხრა. ლასლასით მიუახლოვდა ჩემოდანს, ზედ დაჯდა, პორტფელი გახსნა და იქიდან მოზრდილი შეკვრა ამოიღო.

ალი მძიმედ მოედო სურათს და საშინელი აუნი დააყენა. კაცი ვერ გრძნობდა სუნს. ერთიმეორის მიყოლებით წვავდა: ტანიას, გაღიმებულს... ახარხარებულს... თმებგაშლილს... ხელებგაშლილს...

წვავდა და აცრემლებული ზუზუნებდა.

— მთელი დანაზოგი, შვილებო., მთელი დანაზოგი ..

# სონა და თინა

სონა ფორთხვით გადადის ნამქერზე, გათოშილ თითებს იორთქლავს და უკან იხედება. თვალისმომჭრელი სითეთრიდან თინას მარტო აწითლებული ცხვირპირი და თავშალი მოუჩანს. ყელამდე ჩაფლულა თოვლში და აცრემლებული იხვეწება:

— მიშველე სონავ, ამამათრიე როგორმე აქათითა.

სონა სიცილით იგუდება. ჩანთას იქვე დებს და უკანვე მიფორთხავს.

თინა ჯერ ჩანთას უწვდის, მერე ორივე ხელს. სონა ღონიერია, მთელი ძალით ექაჩება თინას და ლურსმანივით აძრობს თოვლიდან.

— აღარ შამიძლია მეტი, დავჯდები აქა და აღარც ავდგები — ჩანთაზე ჯდება თინა, სლუკუნებს და ფეხსაცმელიდან თოვლს იბერტყავს.

— განა მე კი შამიძლია, მაგრამ რაი ვქნათ, აბა, აქ რო არ დავრჩებით — ამბობს სონა და ძალით აყენებს თინას — ჩვენი ბრალია, სამოკლეო გზით არ უნდა წამოვსულიყავით. ნუ გეშინიან, საცაა გავალთ სამხედრო გზაზე და უფრო ადვილად ვივლით.

სონა წინ მიდის, თინა უკან მიჰყვება.

— ჩემი გაჭირვების მალამო ხარ სონავ, შინაცა და გარეთაცა — ეუბნება თინა — აბა, ეხლა, შენ რო არ ყოფილიყავ აქა, ჩავრჩებოდი მაგ თოვლჩი და

---

გულო კოზიაშვილი
მოთხრობები

ეროვნული ბიბლიოთეკა

მგლის ლუკმა გავხდებოდი ამაღამა.

— განა შენ კი ნაკლები ხარ ჩემთავი?! შენსავით რომელი მეზობელი მყავ?

— აუ, აუ, მეზობლებს კი ნულარ გამახსენებ. ამასწინათ ეთერას ხსენი ვსთხოვე და ერთი კოვზიც არ მამცა გამაფუჭებინა ის ყველაი რძე.

— ეთერაი რადლა გინდოდა, ჩემთან ვერ მახვე?

— აბა რაი ვიცი, მემერიდა.

— რას მეგერიდა, დასავით მიმაჩნიხარ, ბიჭაის მზემა.

— მეც დასავით მიმაჩნიხარ, სონავ, შენ რო დაგინახავკე, სულ ია-ვარდი გადამდის გულზე, ემას იმიტომ კი არ გეუბნები, რო აქა ხარ, არა ჩემი მალიკოს მზემა, სულ ეგრე ვამბობ. აჰა, ეს ცალი ხელისჯაგი მაინც გაიკეთე, შაგცივდება — ცალ ხელთათმანს იძრობს თინა და სონას უწვდის.

— არა, არა, შენ უფრო შაგცივდება.

— ერთი მე და ერთი შენა, აილე ქალო, აბა მაშ რად გვინდა ერთმანეთი?

სონა ხელთათმანს ართმევს და გაყინულ თითებზე წვალებით იცვამს.

— ეჰ, სჭამს ხალხი ერთმანეთსა და რაზე და რაის გულისთვის?! სულ რასლაც იყოფენ, სულ რასლაც ეძიძგილავებიან ერთმანეთსა, სულ იმაზე არიან, ვის რაი წაჰგლიჯან, ველარ ისწავლეს ჭკო, რაიაგა არიან შაქმნილები ეს ადამიანები შენი ჭირიმე?! — უკვირს თინას.

— მაშა, ქალო, ველარ გაიგეს, რო სიყვარულისა და სიკეთის ფასი არა არის რა ამ ქვეყანაზე. ჩემს ნაკოლავზე გამაიარე, თინავ, თორი თოვლი ჩაგიცვივა კიდევა. დაიღალე?

— რო იცოდე როგორა.

— მეც ძლივსლა მოვლასლასებ, მაგრამ აბა რასლა ვიზამთ. კიდევ კარგი ტრაქტორს მაინც გაუვლია ამ გზაზე. პატარა ხანს რო არ დავისვენათ?

— ნელა-ნელა ვიარათ, თორო რო დავჯდეთ, ველარც ავდგებით.

შორს, გზაზე დაგდებული რაღაც შავი საგანი გამოჩნდა.

— რაია ნეტარა? — ხელი მოიჩრდილა თინამ.

— ტომარაი თუ ვის გადმოუვარდა, აგეი, მანქანას გაუვლია — უკანმოუხედავად უპასუხა სონამ.

თინამ ფეხს აუჩქარა.

სონამაც აუჩქარა.

თინამ უფრო მოუმატა.

სონამაც უფრო მოუმატა.

— სად გეჩქარება, სონავ? — ჰკითხა თინამ.

— შინა, თინავ, — უპასუხა სონამ და ჩანთა მეორე ხელში გადაიტანა.

თინამაც მეორე ხელში გადაიტანა ჩანთა და სირბილით წამოეწია სონას.

— უნამუსობაა ეგა, სონავ, მე დავინახე პირველადა.

— შენ რაისთვილა დაინახე და მე კი არა, მე ბრმა ვარ?! — უკანმოუხედავად ჰკითხა სონამ.

— ჩემი მალიკოს მზემა, მე დავინახე — გულზე მუშტი დაიბაგუნა თინამ.

— მალიკო და პალიკო არ ვიცი მე — უპასუხა სონამ და წამოწეულ თინას ხელი ჩაავლო.

— გამიშვი ხელი სონავ, გამიშვი თორო გიკბენ, აი გიკბინე, თუ არა, — თინამ ჩანთა დააგდო და გაიქცა. სონამაც დააგდო ჩანთა და გაიქცა.

— არ დაგანებებ და სულ ერთია, ნუ მირბიხარ პირველი, არ დავანებებ ჩემი მალიკოს მზემა.

— მაშ არ დამანებებ, არა? შენ შარშანდელიც შაგრჩეს, აქ არ იყო, ჩემმა ქალამ ფეხმატეხილი ბატკანი რო იპოვნა და შენ კი წაართვი?! მატყლი რო მატყლად გამაიყენე და ხორცი კიდავ ხორცად ჩახეთქე. ეგრე კი არაა, სულ მე და მეო. გამიშვი, ნუ წამგლიჯე პალტოს კალთაი.

— დაიცადე, შუაზე მაინც გავიყოთ, ქალო, რაი მაგივიდა, გაჰგიჟდი?

— არცრაი არ მამივიდა, შენ გამიყავ, მე რო გაგიყო? აი, აქაც მე მაგასწარ, აი! — თოვლში ამოგანგლული სონა მთელი ტანით დააცხრა ნაბადში გამოკრულ ნაპოვნს და ორივე ხელით ჩაიხუტა —აბა მოდი და გაყავ თუ ქალი ხარ, მოდი!

— მაშ არ გამიყოფ, განა, შე სვა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვო, აი თუ არ გამიყოფ, აბა ეხლა გამაგდებინე ხელიდანა.

ნაბადი მძლავრად შეირხა და ზედ წამომჯდარი სონა სონაზე წამომჯდარ თინასთან ერთად გადააკოტრიალა. ნაბდიდან კაცი გამოძვრა, დაწითლებული თვალები უაზროდ მოავლო თოვლში წაყუნცულ ქალებს და გაიზმორა.

— ეგეი, გაყავ ორადა, წელს ზევით მე და წელს ქოით შენა — თოვლი დაიფერთხა სონამ — მაგასავით არცრაის პოვნა არ გაგიხარდებოდა შენა.

— ორივე ნაწილი შენთვი დამითმია სონავ, შენ უფრო ხარბი ხარ, გეთქო, რო კაცი იყო, თავიდანვე, რასლა მარბოლე, მაშინვე შენ დაგითმობდი.

●

— არ გამაიარა ჩემს გაკოლილ გზაზე თინიავ, თორო არ ვიცი რას გიზამ.

— რაჩი მშირდება შენი გაკოლილი გზა სონიავ, მე ფეხები არ მამბია, თუ?

— მაგ მაკარონებსაც ფეხები ჰქვიან თინიავ?

— მაგ ბოძებსაც ფეხები ჰქვიან სონიავ?

— ემეეთრიე, ემეეთრიე შინა, მოვახსენა სოფელ — ქვეყანასა, როგორ დახარბებული გარბოდი კაცისაკენ?

— ემეეთრიე, ემეეთრიე, მოვუყვე მთელ სოფელსა, როგორ მაიგდე იმოდენაი კაცი ძირსა?!

— ვაი დადადაი, ნეტაი შენ კი არ გიყურებდე ჩემს არე-მარეზე და...

— აუ; აუ, ჩემი შენ გითხარო, გული მაგიკალო, შენ რომ დაგინახავკე, იმ დღეს აღარც ჭამის თავი მაქვ და აღარც დალევისა.

— აი შე წელკავიანო, შენა, ევრე კი გაქვ ჭამისა და დალევის თავი, ქინქლასავით ძლივს ამჩნიხარ დედამიწასა?!

— შენ რო ამჩნიხარ სპილოსავითა და რაილა გინდა?

— არ მამიყვანა თინიავ მანდა, თორო, იცოდე, ინანებ.

— მოდი სონიავ, მოდი და ნახავ, ვინანებ თუ არა.

სონა მივიდა.

თინამ ინანა.

# ფ ე ფ ე ლ ა

ფეფელა სამფეხაზე დამჯდარა, ფეხებშუა საჩეჩელი ჩაუდგამს და მატყლს ჩეჩავს. გაახსენდება რაიმე გასაპრანჭებელი — მოუმატებს ხელების ქნევას, გაახსენდება რაიმე დასაწყნარებელი — შეუნელებს.

ბუხართან ფეფელას უმცროსი გოგო თათუშა ზის — მუხლებზე წიგნი გადაუშლია, დამარცვლით კითხულობს საწყალი ბაჭიასა და ვერაგი მგლის ამბავს და ლაპალუპით ჩამოსდის ცრემლები.

ფეფელა ჩეჩვას აჩერებს. გაბრაზებული უყურებს თათუშას.

— თა-თუ-ში!

— შ ე ჭ ა მ ა ა — ხმამაღლა ღრიალებს თათუშა.

ფეფელა გვერდზე დგამს საჩეჩელს და მრისხანე სახით ეპარება კურდღლის ჭირისუფალს.

— ნამდვილი გგონია რასაცა ქაღალდზე სწერენ, შე მასაკვდომო?! — უტყაპუნებს და უტყაპუნებს ისედაც აღრიალებულ თათუშას.

წვიმს...

ორი ბოქლომით დაკეტილი სოფლის მაღაზიის ვიტრინაში ბატიფეხურით დაწერილი განცხადებაა გამოკრული:

„ჩემი მაღაზიის მუშტრების საყურადღებოდ!

რაიცენტრჩი ვარ წასული საქონლის მასატანად. თუ არ გჯერათ, ჩამობრძანდით და მნახეთ თქვენი დასაბრმავებელი თოლებით.

ფეფელა
ამ წლის 2 „ოქტომბერი".

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გიგი

ჯოხზე რიგ-რიგობით ენაცვლებოდა ხელები, სათავეს გიგოს ხელი მისწვდა თუ არა, ცხრავე მწყემსმა ერთდროულად ამოიოხრა, ცხრავემ ერთდროულად ჩაიქნია ხელი და ერთდროულადვე აქცია ზურგი გახარებულ გიგოს.

— ეიშე, ჩემი ბრალია?! მე რაი ვიცოდი, რო ესრე გამოვიდოდა?! — ხელები გაშალა გიგომ.

— ბრალი კი არა, ბედია. უყურე ერთი ემ ჯლაბის ტყავსა, შარშაც საახალწლოდ მოუწია რიგმა. ბედი არ გინდა, კაცო, აჰუ! — მუხლზე ხელი დაირტყა ბესომ — ორმოცი წელია ცხორჩი დავდივარ და სულ სამჯერ მამიწია საახალწლოდ შინ წასვლამა.

— მემრე როგორ დროზე იცის დაბრუნება და... — ნაბადი თავზე წაიფარა ლადომ.

— შენ შარშანდელსავით მაიმუნობას თავი დაანებე ბოლოლ და დროზე გამაცხადდი ადგილზე. შენ გარდა კიდავ ცხრას უნდა შინ წასვლა და ცოლშვილის დახედვა — თვალები გადააბრიალა იაგომ — დღე და ღამე დარდით არა ვარ, საქონელს სამყოფი თივა ვერ დავუგდე.

— შარშა გითხარით კიდეცა მიზეზი, რაისთვიც დამიგვიანდა — თავი მოიქექა გიგომ — ძალიან შეეცადა სიხარულისგან გახსნილი ტუჩების თავმოყრას, მაგრამ არ გამოუვიდა.

— ათასს გამასძებნი ეგეთ მიზეზსა, თუ მაინდომე. კაცი კაცური უნდა იყო და ამხანაგი და მეგობარი იცოდე.

— დააფიცეთ, დააფიცეთ, თორო გონჯაა საქმე, გაზაფხულამდე ვერ ვეღირსებით ხევის ნახვასა. — წამოყო თავი თექვსმეტი წლის იმედამ, თან ყურებამდე გაულიმა გიგოს — ფიცისა გწამ, გიგო?

— რაისთვიც არა მწამ, კაცო, ჩემმა მზემა, მეთოთხმეტე დღეზე აქ ვიქნები.

— შენი მზე და მთორე არ ვიცი მე — გაბრაზდა გახა. — ბოლღები დაიფიცე — მარტო შარშა კი არა, შარშასწინ და იმისწინაც დაიგვიანე შენა.

— შალვასა, ელენესა, ნათელასა, ავთანდილსა და კობას გეფიცებით ყოველმიზეზგარეშე გამოვცხადდები, როგორც კი ყავლი გამივა.

— აბა შენ იცი, მომავალი ზამთრისთვი ერთი დასაფიცარი კიდავ შაჰმატე მაგ შენ თოხუმობასა — გაიცინა გახამ და მწყემსებს თვალი მოავლო — ვენდოთ?

— ვენდოთ, ვენდოთ... ერთხალ კიდავა და მემრე კი... მერე ცხრავემ ქაღალდი დაიდო წინ და შინ გასატანებელი წერილების წერას შეუდგა.

მესამე დღეს დაღლილ-დაქანცულმა, წვერმოშვებულმა გიგომ საკუთარ ეზოში შეიმშრალა ოფლით დანამული შუბლი. მთვარის შუქით გაცისკრებული ეზო-კარი მზრუნველი თვალით მოათვალიერა, ღიმილით გახედა ბოსელს, საიდანაც ცოლის წყნარი ხმა ისმოდა: „დედო-დედოო“ — ეტყობა წველისას ამშვიდებდა ძროხას, წადგა კიდევაც იქით ნაბიჯი, მაგრამ უცებ შეჭირხლულ ფანჯარაში ბავშვის სილუეტი დალანდა, ხურჯინი კიბესთან მიაგდო, ორი ნახტომით აირბინა კიბე და სახლის კარები შეგლიჯა.

ბავშვებს არ გაუგიათ მამის შესვლა, თავ-თავისი საქმეებით იყვნენ გართულნი: ავთანდილი რადიოზე იდგა და მაგიდაზე დასახტომად ემზადებოდა. ელენე რძით სავსე ტაშტს მისჯდომოდა, ხელში ხის გრძელი კოვზი ეჭირა და ამაოდ ცდილობდა რძის დალევას — გააქანებდა კოვზს რძის ამოსაღებად, მიირტყამდა მუხლში, გააქანებდა ისევ თავიდან... მიირტყამდა ისევ მუხლში. ნათელა ოვა, ერთიმეორეზე აკოწიწებული ბალიშის თავზე იჯდა, თავი გვერდზე გადაედო, თვალები მიელულა, უკრავდა პატარა გარმონს და მღეროდა. ბალიშების ძირში დასკუპებული შალვა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქვაბის სახურავებით სცემდა დაფდაფებს... და-ძმების კონცერტს დიდი გულისყურით ადევნებდა თვალს აკვანში მწოლიარე კობა.

— თქვენ გენაცვალასთ თქვენი მამა, თქვენა! — შესძახა გოგომ და რიგრიგობით ჩამოუარა: აკვანს, ბალიშებს, რადიოს, ტაშტს... რიგ-რიგობით დაკოცნა, რიგ-რიგობით აბურთავა ხელში. ცოლის დანახვაზე რატომღაც დაიმორცხვა: დინჯად მიიკითხა-მოიკითხა მისი, საქონლის, მეზობელ-ნათესავების, სოფლის ამბები და როცა ყველაზე ყველაფერი კარგი გაიგო, პირზე ღიმმორეულს მაგიდასთან ჩამოეძინა.

მეორე დილიდან ქეიფს შეუდგა. დრო და დრო გამოფხიზლებული კოცნიდა შვილებს, თოვლს ყრიდა სახურავიდან, კვალავდა გზას, არწყულებდა ძროხებს და ცდილობდა რაც შეიძლება დაუნანებლად ეფიქრა წასასვლელად მოახლოებულ დროზე.

წასასვლელად დანიშნულმა დღემ ნაბახუსევს მოუსწრო. კარგა ხანს უაზროდ უყურა რძისფერ ფანჯარას, მერე გვერდზე გადაბრუნდა და ის იყო ძილის გაგრძელებას აპირებდა — წარმოუდგა თვალწინ ყიზლარის საძოვრები, აბლავლებული ცხვარი, მომლოდინე ამხანაგები, ფიცი... დამდუღრულივით წამოხტა, გადახედა მძინარე ბავშვებს, ამოიოხრა და სამგზავროდ გამოწყობას შეუდგა.

— მიზდიხარ, გოგო? — ნაღვლიანად ჰკითხა ეზოდან შემოსულმა ცოლმა, შალი მოიხსნა, წინკარში გაბერტყა და დაამატა — თოვს...

— ველარცრას ველარ მოვიმიზეზებ, დაფიცული მაქვს, დროზე უნდა გამოვცხადდე — ამოიოხრა გოგომ, მივიდა და შეციებულ მხრებზე ხელი მოხვია ცოლს — როგორ გაჰყინულხარ შე ბეჩავო, შენა, ჰა?

— რო უთხრა, ავად ვიყავ და იმის გამოთ ვერ წამოვე-თქო? — მკერდზე მიეკრა ქალი.

— ეჰ, ეგ შარშა არ ვუთხარ?

— დღეს რომ მაინც დარჩე?

— არ შეიძლება მაიკო არა, კაცი კაცური უნდა იყო და ამხანაგი და მეგობარი იცოდე. კაცი ვარ, აბა რაი ვქნა, უნდა შავასრულა ჩემი ნათქომი. ნუ გეშინიან, ნუ, ჩქარა გაზაფხულდება.

— ეჰ... — ამოიოხრა ქალმა — მაშ აღარ იშლი, განა?

— არა, არა, ნუ გამატეხინებ სიტყოსა, მაიტა, არა არის რა, წავიხემსა...

უკვე კარგად გათენებული იყო, მაიკომ ეზოდან გამოაცილა ქმარი.

გამოაცილა და უცებ შედგა.

— ვაიმე, რაიღა ვქნათ, გოგო, გახედე-ლა, გახედე, სად დამჯდარა!

— ვინა, მაიკო?

— ვინა და აგრაი, ის ვერ გასახარები დოდონიაი.

— ფუჰ, — გადააფურთხა გოგომ-- რამ გამაიყვანა ემ დილაბნელზე ეგ კუდიანი მამაძაღლი.

— ეჰ, ტყუილადღა მიზდიხარ ჩემო გოგო, ეგ თუ ვისმე წინ შახვდა, ტყუილია მემრე იმის გამარჯვებით სიარული, ან ცხორი დაგიზარალდება ამ ზამთარა, ან ვერ მაახერხებ დღეს წასვლასა. მარიღა, დაბრუნდი ჩემო გოგო.

— კეთილი გზა, გოგო, კეთილი გზა! — დაუძახა ღობეზე ჩამომჯდარმა დოდონიამ — მიზდიხარ?

— ა, მოვნეო, მოვნეო, არ გამამლაპარაკებიყო მაინცა, — ჩაიდუდუნა გოგომ, მხარზე ხურჯინი შეისწორა და ხმამაღლა გასძახა დოდონიას — მივდივარ, დოდონიავ, მივდივარ, კარგა იყავ.

— სუ მშვიდობით გევლას ჩემო გოგო — პირჯვარი გადასწერა დოდონიამ — როგორღაც სუნთქვა გამიჭირდა შინა და ჰაერზე გამოვე.

— შენ დეგექვეთას ჰაერი — ჩაიბუტბუტა მაიკომ — ვისაც კი შენ წინ შახვდი, სულ უკულმა იარა. ღმერთო, შენ მოუმართე ხელი ჩემს გოგოსა.

— მეც ეგრე ვაცილებდიკე ჩემს დათასა, მეცა... — ჩაიხითხითა დოდონიამ, — ჩაბჟუტული, წერტილებივით

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალები ერთი წამით აუციმციმდა დამჭკნარ სახეზე — აკრცე, ქალო, აკრცე. წესია ეგეთი, შორ გზაზე მიდის.

ცოლ-ქმარმა უხმოდ ჩაუარა· გვერდით.

— გიგო, დაბრუნდი, რაკი მაგის კოლზე მიზდიხარ ტყუილია, ვერ მაახერხებ წასვლასა — შეეხვეწა მაიკო.

— ოჰ, ნუ ხარ ცრუმორწმუნე, ქალო, არაა დიდი თოვლი, ჩამაივლის რაიმე და გავჰყვები.

— ფეხით კი არ გაუბედა ჩემო გიგო, რო ხედავ როგორი ამიდია, არამც ჩაგჩუნქრას სადმე.

გიგო წავიდა. მაიკო შემოტრიალდა, უკანიდან შემოხედა თოვლიან ღობეზე ყვავივით დაყურსულ დოდონიას და გუნებაში მიაწყევლა: „ემასალა როგორია, გეგონება საცაა შაჯდება ცოცხზე და გაფრინდებაო, რამ გამაათრია ემ ალიონზე შენი ჰირიმე".

დოდონია იჯდა, დაეხუჭა თვალები, აქნევდა თავს აქეთ-იქით, გაძვალტყავებული ხელებით იწნავდა შალიდან გადმოყრილ გრძელ თეთრ თმას და თავისთვის გაგანებდა: განა ჩემი ქმარი მაგისაზე ნაკლები იყო... როგორი ტანი ხქონდა, როგორი სახე, როგორი მკლავები... ხემწიფის შვილივით იყო, ხემწიფის შვილივითა... სადა ხარ ჩემო დათავ, სადაა... სადა ხარ ჩემო ხემწიფეო..."

გიგო კი ჩაფიქრებული მიარღვევდა გაუკვალავ თოვლს. სამხედრო გზაზე რომ გავიდა, მხრები შეათამაშა და თავისთვის ამაყად გაიღიმა: „აბა, რომ მეუბნებოდით, დროზე არ ჩამახოლო, ჩამოვალ თუ არა?" ხურჯინი თოვლზე დადო. ცოტა ხანს გაიარ-გამოიარა, მერე გასათბობად არაყი გადაჰკრა და ხურჯინზე ჩამოჯდა. იჯდა და ელოდა: გაღმა ჩანდა მისი სოფელი, მისი სახლი... მაიკომ ცეცხლი დაანთო... რომელილაც გამოტანტალდა აივანზე, ეტყობა ფეხშიშველი, იმიტომ, რომ მაშინვე გამოჰყვა დედა და შინ შეარბენინა... მერე მაიკომ წყალზე გარეკა ძროხები... მერე ისევ შეუკეთა ცეცხლს... მერე თოვა დაიწყო და ფიფქები დიდ, აურულ ფარდასავით ჩამოეფარა სოფელს. გიგო იჯდა და ელოდა. გასათბობად ხანგამოშვებით სვამდა არაყს, ისრესდა ხელებს, ფეხებს უტყაპუნებდა დატკეპნილ თოვლს და უაზროდ მღეროდა.

როცა ფიფქების ფარდა გადაიხსნა, გიგომ დაინახა, რომ სოფელში უკვე ციმციმებდნენ ნათურები. გაახსენდა მიცემული ფიცი, ამოიოხრა, გასამხნევებლად ერთხელ კიდევ მოიყუდა ბოთლი, უიმედოდ გახედა დათოვლილ გზას და ხვნეშით გაჰკვალა სოფლისკენ მიმავალი შარა.

— რო გითხარ, გიგო, ვერ წახოლმეთქი. გაიყინე განა, აგრემც ჩაძაღლდება დოდონიაი — წაივიშვიშა მაიკომ და ცეცხლზე წყალი შედგა გასათბობად.

ინათა თუ არა, გიგომ უხმაუროდ ჩაიცვა და ხურჯინს დაავლო ხელი. მაიკომაც გაიღვიძა, იმწამსვე წამოხტა, ჩაიცვა, მოიხვია დიდი შალი, გაახვია საგზალი და გარეთ გამოჰყვა ქმარს. გამოვიდნენ თუ არა ეზოდან, დაინახეს — იჯდა დოდონია თბილად მოფუთნული, იწნავდა შალიდან გადმოყრილ თმას და გაგანებდა რაღაცას თავისთვის.

— დაბრუნდი, გიგო, ტყუილია, ვერ წახოლ და მაგიწევს ყინვაჩი ჯდომა გუშინდელივითა — შეეხვეწა მაიკო.

— მიზდიხარ, გიგო? — თვალი მოჰკრა გაშეშებულ ცოლ-ქმარს დოდონიამ — მშვიდობის გზა გქონდეს, მშვიდობისა, ჩემი დათაიც ეგრე მიდიოდისკე, ეგრეე... — აიტეხა მკერდში მუშტის ბაგა-ბუგი.

— აი შენი ქმრის გზას კი გაჰყევ შენა, აჰა! — ჩუმად მოაწყევლა მაიკომ — დაბრუნდი გიგო და ხვალ ლამით წადი.

გიგომ გახედა დოდონიას, გადახედა მაიკოს, აუთრთოლდა ნესტოები, გაახსენდა ფიცი, ამხანაგები, გადაიკიდა მხარზე ხურჯინი და უხმოდ გაალაჯა თოვლში.

იჯდა მთელ დღეს ხურჯინზე. გაჰყურებდა სოფელს, გასათბობად ისრესდა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხელებს, უტყაპუნებდა ფეხებს დატკეპნილ თოვლს, უიმედოდ აყურადებდა ტრაქტორის ხმას... სვამდა... მერე სოფელში რიგ-რიგობით იწყეს ნათურებმა ანთება... გიგომ ხურჯინი მოიკიდა, ტუჩზე იკბინა და აცრემლებული თვალებით დაადგა სოფლისკენ მიმავალ გზას.

მაიკომ ცოტა წაიტირა. გაყინულ ქმარს გახადა და ფეხები ცხელ წყალში ჩააყოფინა. გიგომ ფეხები გაიმშრალა, ისევ სამგზავროდ გამოეწყო, ფანჯარასთან დაჯდა და ნაღვლიანად მიაყურადა მგლის ყმუილს.

— გიგო, წაიძინე ცოტა ხანსა — შეეხვეწა მაიკო — სამი დღის სავალი გზა გაქვ, შე კაი კაცო, ესრე დამჯდარმა უნდა გაათენა?

გიგომ მწარედ გაუღიმა ცოლს და გაუხდელად მიწვა ლოგინზე.

მამლის მეორე ყივილზე წამოდგა, ხელში ხურჯინი აიღო, ჩაძინებულ ცოლსა და ბავშვებს გადახედა და ჩუმად გაიხურა კარი. აივნიდანვე გაექცა თვალი დოდონიას საყვარელი ადგილისაკენ. ქვაზე არავინ იჯდა და რაღაც სიხარულისმაგვარი ხავილი ამოხდა ყელიდან. სწრაფად გაიხურა ჭიშკარი, უცებ ფეხი დაუცდა, ძელს ჩაებღაუჭა რომ არ წაქცეულიყო და სწორედ ამ დროს შემოესმა დოდონიას ხმა:

— ნელა იარე გიგო, ნელა, მაყინულია გზა... ვერ დავიძინე, ვერა, არ მყოფნის ჰაერი.

გიგო უხმოდ იდგა და უყურებდა, როგორ ბინავდებოდა დოდონია ქვაზე: პატარა ნიჩბით გადაყარა თოვლი... ჯერ ერთი ტყავი დადო, მერე მეორე, მერე მესამე... მერე თვითონ დაჯდა ზედ, მუხლებზეც ტყავი გადაიფარა, შალი მაგრად შემოიფუთნა, ჩარგო გამხმარი გაშავებული სახე მკერდში და მოჰყვა ზუზუნს.

— ფუჰ, — გადააფურთხა გამწარებულმა გიგომ და სირბილით მოწყდა ადგილიდან — თავს მამაკლევინებს ეს დედაბერი.

მამლის მესამე ყივილზე თოვა დაიწყო... იჯდა გიგო ხურჯინზე, სვამდა, ტიროდა, მღეროდა, თავში იცემდა ხელებს და როცა თოვლმა წელამდე უწია და სოფელიც სულმთლად დაკარგა მხედველობიდან, ხმამაღალი სლუკუნით წავიდა შინისკენ.

მეოთხე დილას ხურჯინმოგდებულმა გიგომ სახლის კარი წვალებით გააღო და გაოგნებულმა უკან დაიწია: თოვლს მთლად ამოევსო ეზო-კარი, სოფელს გახედა — თეთრად აკორკოლავებული სახურავების გარდა არაფერი ჩანდა.

— გიგო! — დაუძახა საიდანღაც ვილაცამ.

გიგომ მიიხედ-მოიხედა, არავინ ჩანდა.

— გიგო! — ისევ დაუძახა ვიღაცამ სიცილით — მაღლა ამაიხედე კაცო, სად იყურები, ვერ ხედავ რამოდენა თოვლია?

გიგომ აიხედა და სახლის სახურავის გასწვრივ დაინახა მეზობელი ნიჩბით ხელში.

— მაგარი სამუშაო მეგველის დღესაი, შუადღემდე მაინც უნდა გავიტანათ გზები.

შუადღისთვის როგორც იქნა ცოტა მოწესრიგდა სოფელი — გაკეთდა სახელდახელო ჭრილები წყაროსკენ, სკოლისკენ, მეზობლებისკენ.

გიგომ მეზობლებს უხმო და დარდიან გულზე ქეიფს შეუდგა. ჭიქას ბოლომდე ცლიდა ყველა სადღეგრძელოზე. დაიწყო თუ არა თამადამ „ცხვარ-მეცხვარის გამარჯვებისა“, გიგომ აიტეხა გულში მუშტის ბრაგა-ბრუგი, ატირდა და მოჰყვა ფიცს, რომ ახლავე, ამ თოვლსა და ყიამეთში დაადგება ყიზლარის გზას, და რომ ამ განზრახვაზე ხელს ვერ აიღებინებს ვერავინ, თუნდაც ათასი მეომარი დაუდგეს წინ.

მაიკო იცრემლებოდა, ეხვეწებოდა კაცებს, დაეჭირათ ხურჯინმოგდებული გიგო, ექაჩებოდა თვითონაც ტყაპუჭის სახელოზე, დააფიცა ბავშვები.

— ეგ ბალღები ერთხელ უკვე დავი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფიცე და იმ ფიცს არ გავსტეხ, რომ მოვკვდე! — აბლავლდა ბავშვების ხსენებაზე გიგო, მეზობლებითა და ცოლით დახუნძლული მკლავები ერთი მოქნევით შეიფერთხა და კარისკენ გაექანა.

— მიზდიხარ, გიგო? — კარი შემოალო ამ დროს დოდონიამ, — ქსუტუნ-ქსუტუნით, თავის ქიცინით, ჯოხის რაკა-რუკით პირდაპირ გიგოსკენ წამოვიდა — ია-ვარდი შენ გზასა, ია-ვარდი.

გიგომ უკან დაიწია. ნელ-ნელა დადო ხურჯინი, ნელ-ნელა აემღვრა თვალები, გაფარჩხა თითები, აიწია თითისწვერებზე და კატასავით ფრთხილი ნაბიჯებით გაემართა დოდონიასკენ.

— შენი ბრალია, შე კუდიანო, შენი, რო ვერ წავე — გამოსცრა კბილებში და უცებ დაიღრიალა — ეხლა სადღა წამიხოლ, ეხლა რო ვიყრი შენს ჯავრსა.

— არ დამღუპა გიგო, არ დაახრჩო! — იკივლა მაიკომ და ტირილით ბანი მისცა ხუთივე ბავშვმა.

დოდონია უცებ შეტრიალდა, თვალის დახამხამებაში გარაკუნდა წინკარში და აწივლდა:

— შენ თითონა ხარ კუდიანი, მამალი კუდიანი... შინაც კუდიანი გიზის... დამაცალე შენა, შე გასალოცავო, დამაცალე... — ქარივით ჩაიქროლა კიბეები, შემოტრიალდა და უმატა კივილს — შენ თითონ კუდიანო! ცოლ-კუდიანო, დედ-მამა კუდიანო, შვილებ-კუდიანო!

გიგო თევზივით გაუსხლტა ხელიდან კაცებს. გავარდა აივანზე, ერთი ნახტომით გადაევლო კიბეს, აუცურდა ფეხი მოყინულ თოვლზე, დაასკდა ზედ ფეხების საწმენდ რკინას და გრძნობადაკარგული გაიშხლართა ძირს.

— რამდენიმე თვე მოუწევს წვალა, მაგრაა დამსხვრეული წვივის ძოლი — დაფიქრებით თქვა გაბომ, როცა შეხვევას მორჩა — ნუ გეშინიან ქალავ, ნუ გეშინიან, რაი გაქვს სატირალი, ღვთის მადლით კარგა გადარჩა, რო თავი არ დაარტყა იმ რკინასა.

იწვა ტკივილისაგან გათანგული ფიცის გამტეხი გიგო და თვალებდახუჭული, ტუჩების კვნეტით ცდილობდა ხმამაღლა არ ეტირა.

# ვ ა ნ ა

— ამხანაგებო! ჩვენმა კოლმეურნეობამ არ უნდა დაკარგოს ადგილი ლირსეულთა შორის. დღესვე შევუდგებით საქმეს და თითოეული ცხვრიდან ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 2,4 კილოგრამისა, გავპარსავთ 2,5 კილოგრამ მატყლს, ხუთწლედის მეორე წელს კიდევ უფრო რენტაბელური გავხადოთ მეცხვარეობა, სახელმწიფოს...

ტელეფონის ზარი გაბმით აწკრიალდა. თავმჯდომარემ თითი დაადო „სახელმწიფოს“ და ყურმილი აილო.

— გისმენ!.. რაიო?.. რას ამბობ, კაცო?.. ხვალა? ოთხი საათისთვი? კარგი, კარგი. მთელ სოფელს შევატყობინებ. მაიცა, რაის მიზეზითა? ფუჰ, გაითიშა!

თავმჯდომარემ გაბრაზებით დახედა ყურმილს, დადო და თავი გადააქნია.

— გონჯი ამბავია, ხალხო, გონჯი!

— რაი ამბავია, რაი? — აჩოჩქოლდა კანტორაში მსხდომი ხალხი.

— ვანაი უნდა ამავიტანათ ხვალა და რამდენიმე კაცი დაგვხვდით გზაზეო.

— რას ამბობ კაცო, რაი მოუვიდაო?

— აბა, მოვასწარ კითხვა?! — გაითიშა. თავმჯდომარემ ისევ გაბრაზებით დახედა ყურმილს და ამოიოხრა. ეეხ, უბედური კაცი, რას დროს იმის სიკვდილი იყო.

— კაცო, გუში ცოცხალი არ წავიდა აქათითა? — იკითხა ალექსიმ.

— ეხ, ჩემო ალექსი... კაცი ერთის წუთისაა. შეიძლება ეხლა მე გარეთ გავიდე და ველარ შამოვიდე, — მრავალმნიშვნელოვნად დააქნია თავი თავმჯდომარემ — რაიო, რას საქმეზე იყო ძაუგსა წასული. ის უბედური?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— არ ვიცი. თოლი კი მოვჰკარ. ისა და სანდრო მიდიოდნენ — მხოები აიჩეჩა გახამ.

— ჰო. სანდრო მელაპარაკა ტელეფონზე. — ჰრიმას მოუკიდა თავმჯდომარემ. — აბა. ეხლა დავტრიალდეთ. ოჯახობას შავატყობინათ. ეზო-კარი მივალაგ-მოვალაგათ. თადარიგი დავიჭიროთ ეხლითვე. ალბათ გუშივე დაიღუპა ის საცოდავი. წუხელ საავადმყოფოში მიიყვანდნენ. გასჭრიდნენ. რო იცით ექიმების ამბავი. დღეს ორშაბათი... შაბათს მაინც უნდა დასაფლავდეს.

კაცები უსიამოვნოდ შეიშმუშნენ.

— ეგ ამბავი ქალებს უნდა დავავალოთ. ისინი უფრო შააპარებენ უბედურ ქეთოსა. ა. საცოდავო ვანავ. მართლა რაია ჩვენი ცხოვრება, ჰა? ჩიტებივით არა ვართ, კაცო?! — ხელი ხელს შემოჰკრა იასონმა და მხრები აიწურა.

აბა, მიხედეთ. მიხედეთ საქმესა. ხვალ ოთხი საათისთვის სამხედრო გზაზე უნდა გავიდეთ. ძაუგს წავიდოდით, მაგრამ რო არ ვიცით, სად იქნებიან? ეს ჩვენი გზატიალაიც როგორ გააფუჭა წვიმამა, სალამომდე ვერ ამოვასვენებით. თანაც რას დღეჩი ვართ კაცო, ჰა? გაგმა შასასრულებელი...

ქალებმა ჯერ თვითონ შეიცხადეს ვანას დაღუპვა, მერე ერთად დაეწყვნენ. პირებზე შალის ბოლოები აიფარეს და ქეთოს ჭიშკარს მიადგნენ.

— სუყველანი ერთად შავიდეთ?

— არა, ჯერ მე შავალ, გული არ გაუსქდეს, — თქვა მარომ — თქვენ მამრე შამამყევით. კივილს რო გაიგონებთ.

— ვანავ, ჰა, ვანავ! — დაიძახა მარომ ხმამაღლა.

— არ არის შინა ვანაი, გუში ძაუგს წავიდა, — გაღიმებული გამოვიდა ქეთო და ხელები წინსაფრით შეიმშრალა.

მარომ თავი ჩაქინდრა და ამოიოხრა.

— მოდი, მარო, როგორ უცხოსავით სდგახარ, — ქეთომ ცალი ხელით კალთაზე მიტმასნული ხბო მოიცილა, მეორე მაროს გამოსდო, — მე ვიცი, შენ ეხლა თივა გექნება ასაგები... ეხ, ეგეთია უკაცო ოჯახი, მაგიკვდი შენა... მოვა ვანაი ხვალა და...

— ძნელია, ჩემო ქეთო, უკაცო ოჯახიიი... ძნელია. მაგრამ უნდა გაუძლა შენცააა..., — მუხლებში წაიშინა ხელები მარომ.

— ვაიმე, დაღუპულსა. რაი ამბავია ჩემს თავსა. მიშველეთ, ხალხო, მიშველეთ! — თავზე იტაცა ხელები ქეთომ.

ჭიშკართან მიმალული ქალები ეზოში შემოვიდნენ, ერთმანეთს მიებუზნენ და ერთხმად აქვითქვითდნენ.

ქეთო ხბოზე გადაესვენა, ხბო დაფრთხა და ქეთო ძირს გაიშოტა. ქალები დაესივნენ, დაუზილეს საფეთქლები, მოურბენინეს წყალი. მარომ წინასწარ წამოღებული ნიშადურის სპირტი ასუნთქებინა და ქეთომ თვალები გაახილა.

— დავიღუპე, განა?! დავიღუპეეე... ჩემო უბედურო კაცო, ჩემო ბალახივით კაცო... როგორ მამტეხე მხარი და როგორ დამაგდე ბედის ანაბარააა. აღარ მინდა სიცოცხლე... მეც აღარ მინდა სიცოცხლე, მამკალით ხალხნო. სალსალამათი გავუშვი აქათითა და ის მაინც მითხარით, ვინ მამიკლა, რამ მამიკლააა...

— მაშინას გაუტანია იმ ოხერსა — აბზუვლდნენ ქალები. ქეთო სახლში შეიყვანეს, ტახტზე დასვეს და ტირილ-ტირილით დაუწყეს დამშვიდება.

ცოტა ხნის შემდეგ კაცები მოგროვდნენ ეზოში. კუშტი სახეებით ალაგდნენ კიბეზე, ხელის ჩამორთმევით მიუსამძიმრეს ქეთოს, უკანვე გამობრუნდნენ და ეზო-კარს მოედვნენ. სახელდახელოდ ამოაშენეს ჩამონგრეული ღობე, დაამთავრეს ვანას დაწყებული სალორე, გამოცვალეს ჭიშკრის მორყეული ძელები... დააბინავეს საქონელი და გარეთ გამოიძახეს ქალები.

— შიგნით როგორაა საქმე... რო იცით, ხალხი მოვა გასვენებაზე, სირცხვილი არ ვჭამათ.

— სისუფთავე კია, რო იცით როგორია ბეჩავი ქეთო, მაგრამ კირს თუ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვემოვნით. მაინც გავათეთრებთ, ორ დღეში გაშრება კიდეცა...

— კარს გიშოვნით. თქვენ იცით, ეხლა. ეგ ქალი მაასვენეთ, იქნებ ერთი-ორი ლუკმა შააჭმიათ და დააძინეთ როგორმე, რო იცით, მძიმე დღეები ელის წინა.

დილა მზიანი გათენდა. ღამენათევი, ნამუშევარი ქალები სხვა ქალებმა შეცვალეს. ნაწილი ფოლორცებს მოედო დასაგველად, დანარჩენებმა შავად შემოსილი ქვრივი თეთრადშეფეთქილ ოთახში დასვეს. წინ ვანას სურათი დაუდეს და მოთქმით ატირდნენ.

კაცებმა შუადღეზე მიატოვეს საპარსი. ტანსაცმელი გამოიცვალეს, სოფლის შუაგულში მოვროვდნენ. ჰრიმა ჩამოირეკეს და დინჯი ნაბიჯებით დაუყვნენ საურმე გზას თავქვე. სამხედრო გზაზე გადაუხვიეს თუ არა, დაინახეს მინდორზე გულაღმა დადებული ვანა და იქვე ჩამომჯდარი, ჯოხის თლით გართული სანდრო.

— კაცო, უკუბოოდ მაიტანე, შე ღმერთძაღლო?! — წაადგნენ თავზე სანდროს გაბრაზებული კაცები.

სანდრომ თავი ასწია და გაოცებულმა სიხარულით წამოიყვირა:

— ვანავ, ნახე, რამდენნი ჩამოვიდნენ, ე!

ვანამ თვალები გაახილა და სწრაფად წამოჯდა.

— აი, თქვენ კი გაგახაროთ ღმერთმა, თქვენა! აი ეხლა ვიწევ და ვფიქრობდი, რო არ ჩამოვიდნენ, როგორ ავიტანოთ-მეთქი.

— კაცო, შენ ჩრეებს მიედ-მოედები! ვინ უნდა აიტანათ, სად უნდა აიტანათ! ნათხო, მე გავგიჟდი, თუ ესენი. ცოცხალი ლაპარაკობს თუ მკვდარი?! — ენაჩავარდნილ კაცებს მოუტრიალდა ვანა.

— ვინაა მკვდარი, კაცო? — ეწყინა ვანას.

— ვინა და შენა, შენა! — ერთხმად აყვირდა ყველა — შენ არ მაჰკვდი?!

— როდისა. კაცო? — შეეშინდა ვანას. — რაისთვი უნდა მოვმკდარიყავ?

— სანდროუავ! აბა მოდი აქა! შენ მე რაი დამირეკე? — გაათრდა თავმჯდომარე, — შენ არ დამირეკე: ვანაი უნდა ამავიტანათ და ჩემემეშველენითო?

— ჰო, ჰო — თავი დაუქნია სანდრომ.

— მერმე სადაა, სადა?!

— ვანაი?

— ჰო, ვანაი, ვანაი! ეს ვანაი არ არის? — თავმჯდომარემ ისე მოუჭირა ხელი ვანას მკლავზე, ძვლებს სულ ლაწა-ლუწი დააწყებინა — ცოცხალი ვანაი წამოვიკიდათ ზურგზე და ავიტანათ სოფელჩი?! როდის აქათია აღარ ეკადრება თავის ფეხით წაბრძანება?!

— კაცო, თვალები გაუფართოვდა სანდროს, — ეგ ვანაი კი არა, აგრაი. ის ვანაი!

ყველამ ერთდროულად გააყოლა თვალი სანდროს თითს და დაინახეს უზარმაზარი თეთრი, ქათქათა აბაზანა.

— მე რას მერჩოდით, კაცმა, ვანაი იყიდა და... — მხარი დაიზილა ვანამ...

— ჩაიგდე ენა, თორო, მე მაგცემ შენა ვანასა! — დაუღრიალა თავმჯდომარემ — ჭ ჩორტუ! ქართული არ იციან!

— კაცო, აბა რაი ჰქვიან მაგასა ქართულადა? — იკითხა სანდრომ.

რაი ჰქვიან და... ვინ გასწავლიდა შენ ქართულსა? ის მობრძანდეს და იმან წამაათრიას ეგ ვანაი ზურგზე წამაკიდებული. წამოდით! — გენერალივით გამოსძახა დაწინაურებულმა თავმჯდომარემ კაცებს — წამოდით, წამოდით, ეგრეც ბევრი დრო დავკარგეთ, ცხორია გასაპარსი.

კაცებმა გამგელებით გამოხედეს თავჩაქინდრულ ვანას და სანდროს და წინ წასულ თავმჯდომარეს მიჰყვნენ.

— ეე, გაგიგონია, კაცო, იმაზე მეჩხუბებიან, რაისთვის არ მაჰკვდითო?! — თავი მოიფხანა ვანამ.

— რაი ჰქვიან ვანასა ქართულადა? — ჰკითხა დაფიქრებულმა სანდრომ ვანას.

— ეშმაკი და დოზანა, სანდრო. აბა, რაი ვიცი მე. მარტო ის ვიცი, რო სოფელჩი აღარ ემესვლება, შამჭამენ.

— ეე, გაიხედე, ვანავ, გაიხედე, — ყურებამდე გაიღიმა სანდრომ, — მაბრუნდნენ ამის წასაღებადა.

ბექობზე, სამოკლეოზე ჩამორბოდნენ კაცები და სიცილით იჭაჭებოდნენ.

„სტოლს მაგიდაი ჰქვიან, სტაქანს — ჭიქა, ჩაშკას — ფინჯანი, კლიონკას — მუშამბაი... ქალაი მეოთხე კლასჩია ეხლა, წესით უნდა იცოდეს, რაიც ჰქვიან ვანასა. არ ეცოდინება და მოვხკლავ ცემითა, რაია მართლა და მართლა, აღარაა ნამუსი?! ფუჰ!“ — მიდიოდა და ფიქრობდა გაბრაზებული თავმჯდომარე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბელა შალვაშვილი

## ერთხელ ვნახე

ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ვნახე მძინარე დედა,
მეუცნაურა... დედის ძილი დამაცხრა ელდად,
ხატებას მისას ცხადად აჩნდა ჩრდილი და დაღლა,
ის დალალული ხატი — ჩემი მარადი დამლა —
დავალ, დამყვება, საშველს დღესაც მიტოვებს აღარ.
ვაიმე-მეთქი, დამცემია საბრალოს მეხი...
ანაზდეულად ჩავიმუხლე მძინარის ფერხთით.
სუნთქვაშეკრულმა ვაყურადე მის სუნთქვას შიშით
და დედის სუნთქვა რომ ჩამესმა, ხელახლა ვიშვი.
...ჩემს სიცოცხლეში ერთხელ ვნახე მძინარე დედა.

## დრო — მკურნალი

არა, დრო ყველაფრის მკურნალი არ არის,
არა, დრო ყველაფერს არ შლის,
დრო არც საწამლავია და არცა წამალი,
დროა ელვისდარი რაში.
ვისთვის მიიჩქარის, ვისთვის მიზოზინებს,
ვისთვის იყინება კიდეც...
რა მკრეხელობაა, — დაჯდომა ინებო
და დროის რაობას სჯიდე...
არა, დრო არაფრის მკურნალი არ არის,
დროა მარტოოდენ რაში, —
წავა, გადიქროლებს და იმას გადაშლის,
რის ყოფნას არც ჰქონდა ფასი.

## დე, ასე შორი იყავი!

დე, ასე შორი იყავი მიწყივ,
ოღონდ ვიცოდე, რომ ხარ და დახვალ,
ცოცხლობ და ფიქრობ, დარდობ და იწვი...
მე კი სიზმრებშიც დროდადრო განახავ.
დე, ასე შორი იყავი, ჩემო,
იქნება კიდეც სჯობია ასე,
რაც არ მერგება, მე არცა ვჩემობ, —
ასე სჩვევიათ მაღლებს და ნაზებს.
მაღლით მზირალმა ხომ უკეთ იცის —
რა როგორ სჯობს და რა როგორ მართოს,
იცან შენივე თავიო.. იცან, —
და მარტო კაციც არ არის მარტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## და გზაზე გახვალ

ასე ხანგრძლივი დუმილის მერე,
ასეთ ქარიშხალს ველოდი კიდეც,
ვიდექ და... უხმოდ ვიმტვრევდი ხელებს
და მოლოდინი მთასავით ვზიდე.
ასეთ ქარიშხალს ველოდი, მაგრამ
ლოდინში ასგზის მძაფრი მოჩანდა...
ფიქრი გზას, რაღაც საშინელს ადგა,
რაღაც მბოჭავდა და... არც მბოჭავდა.
ასეთ ქარიშხალს ველოდი მართლა
და შესახვედრად ვერცრა ვიღონე,
მარტო... ვდაობდი საკუთარ თავთან,
რაღაცა კიდეც გამოვიგონე.
მაგრამ სხვა რამეს გკარნახობს ცხადი, —
ქარიშხლის წინ რომ ცხადად დადგები...
და გზაზე გახვალ, რა გზით და ფანდით, —
არავინ არის ამის თავდები.

## შენ ცხოვრობ შენთვის

ბოლოს და ბოლოს გაირკვა ცხადად, —
შენ ცხოვრობ შენთვის, მე ვცხოვრობ შენთვის,
გულმა ჰქნა ასე, გზას ამგვარს ადგა, —
არ ჩამრევია საქმეში ღმერთი.
ბოლოს და ბოლოს ის არის ცხადი, —
შენ შენთვის, მე კი შენთვისა ვცხოვრობ...
ხალხშიც ამგვარი ჭორები დადის,
ჭორიც... ცხადია ბოლოს და ბოლოს.
ბოლოს და ბოლოს ცხადია ისიც, —
არ ჩამრევია საქმეში გონი, —
გადაეფარა გონებას ნისლი,
გზა ამებნა და ვერ ვნახე ფონი,
არ ჩამრევია საქმეში ღმერთი,
თუმც... უგონობაც ბრალია ღმერთის...
შენ გაგალაღა ამ ღმერთმა ერთობ, —
შენ ცხოვრობ შენთვის, მე — ვცხოვრობ შენთვის.

## აჰა, ეს ჩემი სიყვარული

აჰა, ეს ჩემი სიყვარული, — წლობით ნაფერი,
კდემით ნაზარდი, ნალოლიავ-ნასათუთარი,
თავნება ბავშვი, არგამგონი, თხოვნა-მუდარის,
არამოქმედი გონივრულის, ჭკუათსაფერის.

აჰა, ეს ჩემგან ათასერთგზის სულჩანაბერი,
ქარიშხლიანი, უშიშარი ნავსაყუდარი...

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემამკობელი ხან ჩითებით, ხანაც სუდარით,
ჩემი ავდარი, ჩემი დარი, ფარი, საბელი.

იგი ბობოქრობს, იჭვიანობს, ზეიმობს, ზვაობს,
იგი ჩახჩახებს, ინავლება, ისევ ინთება...
იმედს აღვიძებს, კიდეც აქრობს, კიდეც მპირდება...

მიზეზიანობს, ჰკარგავს, ჰპოვებს, ეძიებს, დაობს.
აჰა, ეს ჩემი სიყვარული, წლობით ნაფერი,
ჩემგან ათასგზის გაღვივებულ-სულჩანაბერი.

## უჩვენოდ წყდება

რა მოხდებოდა, იმ დღისით სულაც
არ გავსულიყავ სახლიდან გარეთ,
ხომ ექნებოდა მზეს ძალა სრული,
ციაშკაშებდა ჩვეულად მთვარეც.
დღეს ისევ ისე შესცვლიდა ღამე,
შეიცვლებოდა ნათელით ბინდი,
იცრიმცრიმებდა ბალახზე ნამი,
აცეტდებოდა აპრილში შინდიც...
დღე გამითენდა რა მარცხიანი,
კვალზე რა თვალი მომდევდა ნასი,
რომ იმ დღის მერე მზეც სხვა მზე არი
და სხვაგვარ მესმის არსობის არსიც;
მაგრამ რა გინდა... ამაოდ ვღელავ,
ფუჭად მომიდის ცრემლების წყება, —
ყველა ჩვენგანის ამბავი ყველა
იქ, მაღლა, თურმე, უჩვენოდ წყდება, —
ჰოდა, ვინ ვიყავ, მე რას ვიქმოდი,
შუბლზე რისათვის ვიმატებ ხაზებს,
როდესაც ჩემი იმ ავდრის ბედიც
გადაეწყვიტათ ზეცაში ასე.

## კიდევ რამდენი

გათენდა ჩემი მორიგი დილა,
მწუხრი და ბნელი მიიქცა ძილად,
ქუჩაში მზერას ვაპარებ ფრთხილად, —
მშვიდია ჩემი მორიგი დილა.
მე ვიყურები ამ ქუჩის მიღმა,
მთების იქით და შორეთში მზირალს,
ამეკვიატა ეს ერთი კითხვა, —
კიდევ რამდენი მერგება დილა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## გავამზეურებ ღამეულ ფიქრებს

მე წავალ ახლა, გავყვები შარას,
და ვით სარდაფში ნაწყობ რვეულებს,
გავამზეურებ ღამის კოშმარებს,
ღამეულ ფიქრებს გავამზეურებ.
ავედევნები ნაწვიმარ შარას,
ამედევნება სიო შიშველი...
თუ ამნაირი ვერ შემცვლის დარი,
ჩანს, ვერაფერი სხვაც ვერ მიშველის;
თუ ამნაირი ვერ შემცვლის დარი
და უდარობა შემომრჩა ღამის,
ჩავთვლი, ღვთის ნება ამგვარი არი,
ასე სურვილობს უჟამო ჟამი.

## დროის სიმაღლე

რაც უნდა მოხდეს, რაც უნდა იყოს,
ვინც უნდა მოკვდეს, ვინც უნდა დარჩეს, —
მიდის დრო, ყურად არარას იღებს
და ამ სიმაღლეს თავისას გვაჩვევს.
ხოლო სიმაღლე დროისა ჩვენთვის
მიუწვდომია იმდენად ჯერაც, —
ხან „შეჩერდიო“, — ჯიუტად ვვედრით,
ხან „ისწრაფეო“ — უმწეოდ ვღელავთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯემალ ქარჩხაძე

# ქარავანი

რომანი

## თავი პირველი

ჩვენ განუწყვეტლივ მოვდივართ ჩვენი წარსულიდან და ჩვენი წარსული მუდამ იქ არის, სადაც დავტოვეთ.

წარსული ჩვენი ფესვებია. ფესვები არ ჩანს და ამიტომ გვგონია, თითქოს რეალურად არც არსებობს.

არაფერი არ არსებობს ისე რეალურად, როგორც წარსული.

ჩვენ წარსულის ქმნილებანი ვართ და უხილავი ძაფი გვაკავშირებს მის ყოველ წერტილთან. ძაფი რომ გაწყდეს და ეს წერტილები დაგვეკარგოს, რაღა დარჩება ჩვენგან?

წარსული ისეა ჩვენს უკან ჩამწკრივებული და გაშეშებული, როგორც კადრები კინოფირზე. ბოლოში რომ გავალთ და უკანასკნელ კადრსაც გავივლით, უხილავი მექანიკოსი ამ ფირს შავ კოჭზე დაახვევს და ცეცხლგამძლე კარადაში შეინახავს.

მექანიკოსს, რომელსაც, ვინ იცის, პლატონი არც წაუკითხავს, შეუძლია, როცა მოესურვება, მაშინ დაატრიალოს ფირი. ჩვენ კი სიცოცხლეში მხოლოდ ერთხელ გვეძლევა საშუალება, ნათლად დავინახოთ წარსულის რეალობა. ეს მაშინ ხდება, სიკვდილის ზარი რომ ჩამოჰკრავს და ამ სოფლიდან აყრის ნიშანი მოგვეცემა. ზარის ხმაზე, გაშლილ ფირს რომ ცალ მხარეს ხელს გაუშვებენ და ერთბაშად დაეხვევა, ასე ერთბაშად, დიდი სისწრაფით გავირბენთ უკან, გავივლით ჩვენი წარსულის კადრებს და იქ დავბრუნდებით, საიდანაც წამოვედით. მაგრამ ეს მხოლოდ ერთხელ ხდება და, თუ ამის შემდეგ კიდევ გავიშალეთ, უკვე სხვა ფირად გავიშლებით.

თუმცა ზოგჯერ, ცხოვრების საკვანძო მომენტებში, გონებისა და კიდევ რაღაც ნახევრად არსებულის თვალით გავხედავთ წარსულს და, მართალია, ასეთ დროს რეალურობის შთაბეჭდილება ბუნდოვანი და გამოუკვეთელია, კავშირებს მაინც ვამჩნევთ, პიროვნების ერთიანობაში მაინც ვრწმუნდებით.

მექანიკოსს ალბათ ისიც ეცოდინება, იყო თუ არა აბელის წარსულში ისეთი რამ, რაც ყვავილებს დააკრეფინებდა და თაიგულად შეაკვრევინებდა.

მაგრამ მექანიკოსის ცოდნა ჩვენ არ გვარგია. ჩვენ ჩვენი ცოდნა უნდა ვიკმაროთ. ის უნდა ვიკმაროთ, რაც ჩანს.

თაიგული არ ჩანდა. გაზაფხულის ფე-

რებით აჭრელებული მინდვრები ჩანდა, მაგრამ თაიგული არ ჩანდა.

სულ ბოლოში, იქ, სადამდეც მზერა წვდებოდა, ჩანდა კითხვები და ექსპერიმენტები. ცოტა აქეთ — ნატო, მირიანი, მარიკა და წვრილმანები.

გარდა ამისა, ჩანდა კავშირები — პიროვნების მთლიანობის იდეა.

ნათესავებისგან ხშირად სმენია, მამაშენი ვაჟკაცი იყო და აბა შენ იცი, თუ გამოემსგავსებიო.

აბელს სჯეროდა, რასაც ეუბნებოდნენ, რადგან პატარას ყოველთვის სჯერა უფროსების ნათქვამი, და სიამოვნებით დაემსგავსებოდა თავის ვაჟკაც მამას, როცა დიდი გაიზრდებოდა, მაგრამ ერთი რამ, რასაც ვერავის უმხელდა, ყოველთვის აფიქრებდა და საგონებელში აგდებდა. მამა როგორი იყო, არ ახსოვდა. ერთადერთი, რაც მამის მოგონებას უკავშირდებოდა, ის იყო, რომ ზოგჯერ, შუაღამისას, ძილში ხმაური ჩაესმოდა, და ამ ხმაურს ღვინისა და დიდი ხნის გამოუცვლელი წინდების მჟახე სუნი ასდიოდა. მამისგან მეხსიერებას მეტი არაფერი შემორჩენია. ვაჟკაცობა კი, აბელის აზრით, ისეთი რამ იყო, რაც ადამიანის ყველა წერტილსა და ყველა წამს განსაზღვრავდა. როცა ეუბნებოდნენ, მამაშენი ვაჟკაცი იყოო, ეს ორი სიტყვა, „მამა“ და „ვაჟკაცი“, როგორც მტკაველი მტკაველს, ისე უნდა მორგებოდა ერთიმეორეს. არაფერი არ უნდა ყოფილიყო ერთ მათგანში ისეთი, რაც მეორეში არ იქნებოდა. თუ მამა ვაჟკაცი იყო (და, ცხადია, ვაჟკაცი იყო, რაკი უფროსები ასე ამბობდნენ), ყველაფერი, რაც მასთან იყო დაკავშირებული, ვაჟკაცობა უნდა ყოფილიყო. მაშასადამე, ღვინისა და წინდების სუნიც, მამის ერთადერთი სახსოვარი, ვაჟკაცობა გამოდიოდა. ეს კი იმ წარმოდგენაში, რომელიც ვაჟკაცობის შესახებ ჰქონდა აბელს, არაფრით არ თავსდებოდა. მაგრამ ამ ეჭვებსა და შეშფოთებას იგი ვერავის უმხელდა, რადგან გუმანით გრძნობდა, რომ ღვინისა და წინდების სუნზე ხმამაღალი ლაპარაკი არამ[illegible] არამც არ შეიძლებოდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახლა, როცა ცოდნა და გამოცდილება დაგვიგროვდა და ყოველივე ამას ირონიული და ოდნავ სევდიანი ღიმილით ვუყურებთ, ნათელია, რომ აბელის შეუვალი მაქსიმალიზმი მცდარი, წმინდა ბავშვური წარმოდგენა იყო. სინამდვილეში ვაჟკაცობა სულაც არ მოიცავს ვაჟკაცის მთელ ცხოვრებას. ვაჟკაცობა ადამიანის ერთ-ერთი თვისებაა, ვინ იცის, გვარიანად პატარა და უმნიშვნელოც, და მას არაფერი საერთო არა აქვს ღვინისა და წინდების სუნთან. ამდენად, ადვილი შესაძლებელია, მამა მართლა ვაჟკაცი იყო, თუმცა, არც ისაა გამორიცხული, რომ აქ საქმე გვქონდეს ნათესავების კეთილშობილურ სურვილთან, მაგალითის, თუნდაც არარსებული მაგალითის, მეშვეობით ობოლი ბიჭის აღზრდას სწორი გეზი მისცენ.

დედა არასოდეს ყოფილა ახალგაზრდა, რადგან ასაკი განისაზღვრება არა წლებით, არამედ ჩვენი დამოკიდებულებით. ნათესავები დედაზეც ამბობდნენ, წლებზე ფეხს იდგამს, რომ შენ კაცი გამოხვიდეო. ეს მართლაც ასე იყო და ამ მხრივ აბელს არასოდეს ეჭვი არ გასჩენია. დედა მუდამ დაღლილი ჩანდა. მუდამ დაღლილი და მუდამ ნაზი. და ზოგჯერ, ღამღამობით, ტიროდა. აბელი კედლისკენ იწვა ხოლმე. დედის ჩუმი ტირილი რომ ჩაესმებოდა, გულში უცნაური სიმხურვალე დაუტრიალდებოდა და მერე ეს სიმხურვალე ყელში მოებჯინებოდა, მაგრამ რაღაც ძალა, რაღაც დიდი და გაუცნობიერებელი ძალა, აიძულებდა თავი მოემძინარებინა და არ გაემჟღავნებინა, რომ დედის ტირილი ესმოდა.

ზაფხულობით დედა სოფელში გზავნიდა, სადაც ნათესავების მთელი ლაშქარი ჰყავდა. იქ თანატოლი გოგო-ბიჭები ციცაბო ფერდობზე წვერცანცარა თხებს აძოვებდნენ, ხოლო მიწის უცნაური სუნი, ცივი მდინარე და მწვანე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სილამაზე, ძალიან უცხო და ამავე დროს ძალიან მახლობელი იყო.

აბელმა წესიერად არც კი იცოდა, ვინ იყო ნამდვილი ნათესავი და ვინ არა ამ ხალხში, რომელიც მუდამ ყაყანით ლაპარაკობდა, დარში დაავდარში ფეხშიშველა დადიოდა, მუდამ რაღაცა ახალისებდა, მუდამ რაღაცაზე დაგცინოდა და სიცილისა და დაცინვის დროს ისეთი შესახედაობა ჰქონდა, თითქოს სკივრის თავი აეხადა და დამალულმა განძმა გამოანათაო.

მეხსიერებას ყველაზე უკეთ პაპა შემორჩა.

პაპას აპრეხილი და ვერძის რქებივით დაგრეხილი ულვაში ჰქონდა და ოჯახში ცოტას, მაგრამ შეუვალი კილოთი ლაპარაკობდა. როცა ხუმრობდა, მაშინაც კი უაღრესად სერიოზული იყო და ამიტომ მის ხუმრობაზე ყოველთვის მოწიწებითა და თავშეკავებით იცინოდნენ. მის გამოჩენაზე ბავშვები თამაშსა და აყალმაყალს წყვეტდნენ და შიშითა და მოკრძალებით გაისუსებოდნენ, როგორც ეს, მოგვიანებით, დირექტორის გამოჩენაზე ხდებოდა სკოლის დერეფანში.

მეზობლები რჩევის საკითხავად მოდიოდნენ.

პაპა მსხლის ძირას იჯდა ხოლმე დაბალ, სამფეხა სკამზე. იჯდა ზვიადი, წელგამართული, ულვაშებდაგრეხილი, ფეხები შემოეკეცა, ხელისგულებით ბარძაყებს ეყრდნობოდა, და თვალებმილულული უსმენდა მეზობელს. მეზობელი მორიდებით ახველებდა და წვრილად უხსნიდა თავის გასაჭირს, რომლის მოსაგვარებლად საკუთარი ჭკუა არ ეყო და ამიტომ უფრო მაღალი ჭკუის სამსჯავროზე გამოიტანა განსახილველად. პაპა მოთმინებით უსმენდა და მილულული თვალებით სადღაც შორს იყურებოდა. მეზობელი რომ მოყოლას დაამთავრებდა, დიდი სიჩუმე ჩამოვარდებოდა. თავიდან ეს სიჩუმე უძრავი იყო, ყოველ შემთხვევაში, აბელს ეჩვენებოდა, თითქოს სამყარომ სუნთქვა შეიკრა. ცოტა ხნის შემდეგ სამყარო ისევ ამოძრავდებოდა, რადგან პაპა ნელა, აუჩქარებლად გახსნიდა ხვანჯარზე ჩამოკონწიალებულ ქისას, რომელშიც ერთ მხარეს თუთუნი იყო, მეორე მხარეს კი — ლამაზად დაჭრილი „პაპიროსის ქაღალდი". პაპა დინჯად ამოიღებდა ქაღალდებს, ერთ ცალს აარჩევდა, დანარჩენს უკანვე ჩააწყობდა, არჩეულს ორად გაკეცავდა, ერთმანეთზე უსვამდა და სრესდა, სანამ ღარივით არ მორკალავდა, მერე ორი თითით თუთუნს ამოიღებდა, ამ რკალში ჩაყრიდა, გულმოდგინედ გაათანაბრებდა და დაიწყებდა დახვევას. კარგად დაახვევდა, დარჩენილ ნაწიბურს სამჯერ გაისვამდა ენაზე და დააწებებდა. ამასობაში აბელი ან სხვა რომელიმე ბავშვი სამზარეულოსკენ გარბოდა, რათა საკეცით ნაკვერჩხალი მოეტანა. პაპა პაპიროსს აანთებდა, გააფუტებდა, თვალს გაახელდა და ისე შეხედავდა მეზობელს, თითქოს არაფერი მსგავსი თავის დღეში არ ენახოს. მერე კიდევ გააფუტებდა, შორეულ სივრცეს ჩააცქერდებოდა და ერთხანს კიდევ ჩუმად იჯდა. რაღა თქმა უნდა, ამის შემდეგ მის რჩევასა და განაჩენს გაცილებით მეტი ფასი და დამაჯერებლობა ექნებოდა.

აბელი მუდამ მონუსხული უსმენდა. იყო რაღაც იდუმალი და გრანდიოზული პაპის ზვიად სიდინჯეში, ღრმააზროვან დუმილსა და შთამბეჭდავ ულვაშებში.

სადილად რომ დასხდებოდნენ, პაპა ყოველთვის იგვიანებდა. ბებია სუფრას გაშლიდა, დასხამდა დიდ-პატარას გრძელი, დაბალი ტაბლის ირგვლივ, თვითონაც დაჯდებოდა და ყველანი ერთად ელოდნენ პაპას. კეცებიდან ახლად აყრილ ცხელ მჭადებს ოხშივარი ასდიოდა, ამოლესილი ლობიოს დამბნედავი სუნი პირდაპირ სანერწყვე ჯირკვლებს ულიტინებდა და დიდი ვაჟკაცობა გჭირდებოდა, რომ როგორმე დაგეოკებინა ხელები, რომლებიც ჯიუტად მი-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იწევდნენ მჭადისაკენ. პაპა ამ დროს მუდამ რაღაცას საქმიანობდა: ხან ხარდანს თლიდა, ხან ურმის თვალს ჩარხავდა, ხან რას აკეთებდა და ხან რას. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ დიდხანს არასოდეს იგვიანებდა. მალევე მიატოვებდა სამუშაოს, ხელებს გადაიბანდა, სუფრის თავში, თავის მუდმივ ადგილზე დაჯდებოდა, ღმერთი შეგვეწიოსო, იტყოდა და მჭადს გადატეხავდა. მხოლოდ ამის შემდეგ იწყებოდა პურობა.

როცა პატარა ხარ და ავტორიტეტის ძალა დიდია, ბუნდოვან, მკრეხელურ ეჭვებს გონებამდე არ უშვებ, სათავეშივე სპობ, თორემ, სულო ცოდვილო, აბელს დროდადრო ეჩვენებოდა, თითქოს პაპა სადილობისას განზრახ მოისაქმიანებდა ხოლმე თავს, რაღაც სამუშაოს მოიგონებდა და გამიზნულად იგვიანებდა. ახლა, ამ სიშორიდან ეჭვები საბუთიანი ჩანს და მთელ ამ პატრიარქალიზმს თეატრალური სუნი ასდის. უბრალოდ, ადამიანებს არ შეუძლიათ კერპისა და მაგალითის გარეშე ცხოვრება და პაპა ვიღაც უხილავი რეჟისორის მიერ დანიშნული იყო ამ კერპისა და მაგალითის როლზე. და, შესაძლებელია, პაპამ თავადაც არ იცოდა, რომ მისი როლის უძველესი ზნეობრივი დანიშნულება იყო, სუფრაზე რამდენიმე წუთის დაგვიანებით სულწასულობა აღეკვეთა და თავშეკავება, პრაქტიკული ცხოვრების ეს უპირველესი კანონი, შთამომავლობისათვის აეხსნა.

ბებია ნაკლებად ახსოვდა აბელს, რადგან ბებია პიროვნება კი არ იყო, არამედ პაპის ერთგვარი დანამატი, ფონი, ანტურაჟი, რომლის მიზანია ხაზი გაუსვას, გამოკვეთოს, უფრო მკაფიოდ და რელიეფურად წარმოაჩინოს მთავარი გმირი.

თანატოლები დავიწყების ბურუსში გაიხსნენ. მხოლოდ რამდენიმე ჯგუფური სურათი, ისიც დროისაგან წაშლილი და გაბუნდოვანებული, დარჩა მეხსიერებაში. სურათები ქრონოლოგიური თანმიმდევრობითაა ჩაკრული ალბომში და კავშირების უწყვეტობას ნიშნავს.

ის სურათი, რომლის ფონზეც შვიდი წლის აბელმა თავისი პირველი ღირსსახსოვარი ეპიზოდი გაითამაშა, შედარებით უკეთაა შემონახული.

პირველი ეპიზოდი (რაც, თუ გავითვალისწინებთ მეხსიერების შეზღუდულ შესაძლებლობებს, სავსებით პირობითი ცნებაა) იყო ავტოპორტრეტის პირველი შტრიხი, პირველი ხაზი, მართალია, ბავშვურად მოუქნელი და სასაცილო, მაგრამ ასევე ბავშვურად უშუალო და უკომპრომისო. გედეონ რევიას თქმით, კაცის სიცოცხლე არის საკუთარი პორტრეტის შექმნა, რომელსაც ბოლოს, უზენაესი სამხატვრო საბჭოს სხდომაზე, მკაცრად და ობიექტურად განიხილავენ და მსჯავრს გამოუტანენ. პორტრეტის ხელოვნურად შელამაზებას, რითაც აქ იოლად ვატყუებთ ერთმანეთს, აზრი არა აქვს, რადგან იქ, იმ დიდ საბჭოში ისეთი სპეციალისტები სხედან, რომლებიც ყველაფერს ხედავენ და ჩვენს გულუბრყვილო თვალთმაქცობაზე გამანადგურებლად თბილი ღიმილით იღიმებიან. ამიტომ ბავშვური გამოუცდელი ხელით გავლებულ პირველ ხაზებს, შესაძლებელია, უფრო მეტი მნიშვნელობა აქვს, ვიდრე გვიანდელ კორექტივს, როცა შემოქმედებაში ფარგალი, სახაზავი და გონება ჩაერევა.

იმ დილით, ჩვეულებისამებრ, აბელმა მარჯვენა ხელში წკეპლა დაიჭირა, მარცხენაში — ხაჭაპურის ნატეხი, გაიგდო წინ ბებიას წვერცანცარა თხა და ფეხშიშველა, მაისურის ამარა ტოლამხანაგებთან ერთად სამწყემსურში წავიდა.

ორი თუ სამი საათის შემდეგ იგი ტყეში, ფერდობზე იჯდა და ხელში მარწყვით სავსე კოთხო ეჭირა.

წაბლის, თელისა და რცხილის მაღალი ტყე განიერი ტოტებით გადაფარებოდა გვიმრითა და ანწლით მოფენილ ფერდობს. ფერდობი ციცაბო იყო და შუა წელზე, სწორედ აბელის უკან, მთელ სიგრძეზე ვიწრო ბილიკი გასდევდა. ქვემოთ, ბოლოში, უსწორმასწორო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქვებს შორის პატარა ნაკადული მიწანწკარებდა. გაღმა, ხელმარჯვნივ, ბექობი იყო, ბექობის თავზე — ყვავილებით აჭრელებული დამრეცი მინდორი, უფრო ზემოთ — კვლავ მაღალი და დაბურული ტყე. ხელმარცხნივ, ქვემოთ, შორს, გადაჭიმულიყო ვრცელი, დიდ მანძილზე გაშლილი ველი, რომელსაც შუაში მდორედ ჩაუდიოდა განიერი და ღრმა მდინარე.

ბექობის თავზე, ჭრელ მინდორზე, ბავშვები ლახტს თამაშობდნენ. დილით მშვილდ-ისრები დათალეს, სროლაშიც ივარჯიშეს, მერე მოსწყინდათ და ლახტის თამაში ამჯობინეს. აბელს რამდენჯერმე გამოსძახეს, მოდიო, მაგრამ აბელს არ ეცალა და იმათაც თავი დაანებეს.

აბელს იმიტომ არ ეცალა, რომ მარწყვს კრეფდა.

კოთხო სახელდახელო კალათია და მისი გაკეთება ყველას იოლად შეუძლია. ამისათვის საკმარისია მოკლე შარვლის ჯიბეში ერთი ძველი, მორყეული და ჟანგიანი ჯაყვა გეგდოს. ხეს (თელაა ზედგამოჭრილი) ორი თანაბარი სიდიდის ქერქს ააჭრი, ჯვარედინად დადებ და ორივეს მორკალავ. გვერდები რომ წიბოებით ერთმანეთს მიედება. ირგვლივ წინასწარ გამზადებულ წვრილ წნელს ან მაგარ ბალახს გადაუჭერ და კოთხოც მზად არის. კრიფე მარწყვი და ჩაყარე შიგ, კრიფე და ჩაყარე...

აბელმა დიდხანს იარა ტყეში, განსაკუთრებით ისეთ ადგილებში, სადაც ხეები შედარებით მეჩხრად იდგა და ამიტომ მზის სითბო უხვად აღწევდა მიწამდე, და ბოლოს და ბოლოს კოთხო პირთამდე გაავსო.

მერე წავიდა და ფერდობზე, ბილიკს ქვემოთ, დიდი რცხილის ძირას დაჯდა. ფიქრობდა თუ არა რამეს (და თუ ფიქრობდა, კერძოდ, რას), ცნობილი არ არის. სამაგიეროდ ცნობილია, რომ დიდხანს იჯდა იქ და დიდხანს დასცქეროდა მარწყვით სავსე კოთხოს. მერე ერთბაშად, ჭიქას რომ მოვიქნევთ, რათა წყალი შორს გადავღვაროთ, ისე მოიქნია კოთხო და სიმწრით ნაგროვებ მარწყვს, მთელი დილის ნაშრომ-ნადაგს, ციცაბო ფერდობის ბოლოს, მიუვალ ეკალბარდებში გადაუძახა.

ვინ იცის, თვითმკვლელობისას, დროის იმ თითქმის არარსებულ მონაკვეთში, რომელიც რევოლვერის სასხლეტის დაშვებასა და ცნობის წართმევას შორისაა, კაცს საშინელი, ყოვლისდამთრგუნველი სურვილით უნდება სასიკვდილოდ აშვებული ტყვიის უკან დაბრუნება და ტყვია კი არ კლავს, არამედ იმის განცდა, რომ ეს სურვილი ამაოა და აღარაფრის უკან დაბრუნება აღარ შეიძლება.

სანამ განზრახვა მხოლოდ განზრახვაა, ყველაფერი იოლია. განზრახვის ნამდვილი ძალა და მნიშვნელობა მაშინ გამოჩნდება, როცა იგი ფაქტად იქცევა.

სინანულმა მწარედ უკბინა გულზე აბელს და ტკივილმა მთელ სხეულში დაუარა. მაგრამ იმავ წამს სინანული სიამაყემ განდევნა. მერე, როგორც საპატიო ყარაულში განწესებული ჯარისკაცები, სინანული და სიამაყე ერთხანს მორიგეობით ენაცვლებოდა ერთმანეთს. იყო ისეთი წამიც, როცა აბელმა იგრძნო, რომ თვალის სიღრმეში ცრემლი გაჩნდა, და კბილი კბილს მაგრად დააჭირა, რათა დაძრულ ცრემლს გარეთ არ გამოეჟონა. ბოლოს, მოდუნებულ, ძალაგამოცლილ სხეულს სიცოცხლე დაუბრუნდა. აბელი წამოდგა, კოთხოც ქვემოთ მოისროლა და ნელი ნაბიჯით გაუყვა ბილიკს. გაკრეჭილი თხილის ხეივანი ჩაიარა, ნაკადულს გადაახტა, ბექობს აუყვა და ჭრელ მინდორზე ავიდა. ბავშვები გახურებულ ლახტის თამაშში იყვნენ. აბელმა თავს ძალა დაატანა და თამაშში ჩაება, მაგრამ გამოთიშული იყო, უგულისყუროდ თამაშობდა და მაგრად აუხურეს კანჭები.

კაცი არ აარიდებდა თავს საგმირო საქმეს, რომ იცოდეს, რამოდენა ზნეობრივი ჯილდო, რამოდენა მორალური

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კმაყოფილება მოჰყვება ამას კანჭების აწვა რა სათქმელია! მას შემდეგ, რაც სიამაყემ საბოლოოდ დაამარცხა სინანული, არ არსებობდა ისეთი ტკივილი, აბელის დიდი გამარჯვებისთვის ჩრდილი მიეყენებინა.

თუმცა ამ გმირულ საქციელს ერთი რამ აკლდა: აღიარება. მრავალი წლის შემდეგ კი გავიგებთ, რომ აღიარება და ეგრეთ წოდებული პოპულარობა ავადმყოფური კმაყოფილებაა, რომელიც ღამღამობით, ძილის წინ, გამოფიტულობისა და სიცარიელის განცდას იწვევს და საკუთარ თავს გაძულებს. მაშინ ეს ჯერ კიდევ არ ვიცოდით. მაშინ აღიარება გამარჯვების ბუნებრივ დაგვირგვინებას ნიშნავდა, თუმცა აბელი გუმანით მაინც გრძნობდა, რომ ჭეშმარიტმა გმირმა ამაზე უარი უნდა თქვას. ოღონდ იმასაც გრძნობდა, რომ ამ უარის თქმას ახალი, შესაძლოა, წინანდელზე უფრო დიდი გმირობა სჭირდებოდა. იდგა აბელი წრეში, უყურებდა თანატოლებს, რომლებიც გამეტებით უტყლაშუნებდნენ ქამარს კოჭებში, და ფიქრობდა, გაემხილა თუ არა მათთვის თავისი დიდი საიდუმლო.

იფიქრა და გადაწყვიტა, არ გაემხილა.

მაგრამ ეს გმირობა არ იყო.

უბრალოდ, ატყობდა, რომ მის საქციელს ბავშვები სწორად ვერ გაიგებდნენ და სიცილსაც დააყრიდნენ, რადგან ამ სოფელში წესად ჰქონდათ: რაც თავად არ ესმოდათ, ყველაფერს დაცინვის საგნად აქცევდნენ.

საღამო ხანს, როდესაც გამაძღარ და ფერდებდაბერილ თხებს უკანვე მიერეკებოდნენ, აბელი ბოლოში, განმარტოებით მიაბიჯებდა და ცდილობდა წარმოედგინა, იქნებოდა თუ არა იგი აბელი და, თუ იქნებოდა, როგორი აბელი იქნებოდა, ის მარწყვი რომ შეეჭამა და არ გადაეყარა. მაგრამ ამის წარმოდგენა შეუძლებელი აღმოჩნდა.

წყაროსთან, საცა· გზები იყრებოდა, წვერცანცარა თხამ, როგორც ყოველთვის, თვითონვე გადაუხვია მთავარი გზიდან და სახლისკენ მიმავალ უმოკლეს ბილიკს დაადგა. აბელიც გამოეთხოვა ტოლ-ამხანაგებს და უკან გაჰყვა თხას. ბილიკს ორივე მხარეს სიმინდის ყანა მისდევდა.

როგორც კი ბილიკს შეუდგა, აბელი უეცრად მიხვდა, რომ ერთადერთი კაცი ამ სოფელში, ვინც მის დღევანდელ საქციელს სწორად შეაფასებდა, ყოველ შემთხვევაში, მასში სასაცილოს გარდა, რაღაც დიდს, საპატიოსა და ალბათ იდუმალსაც დაინახავდა, პაპა იყო.

პაპას უყვარდა აბელი და, როცა მარტო დარჩებოდნენ სადმე — ვენახში, ტყეში, წისქვილში თუ საკუთარ ეზოში, ზოგჯერ ლაპარაკის საღერღელი აეშლებოდა ხოლმე. ოღონდ ლაპარაკობდა არა სმა-ჭამაზე, არა მიწის დამუშავებაზე, არა კეთილმეზობლობის მოფრთხილების მეთოდებზე, არა ყოველდღიურ წვრილმან და უინტერესო თემებზე, არამედ ისეთ პოლარულ ცნებებზე, როგორიცაა დაბადება, სიკვდილი და ღმერთი. ასეთ დროს პაპა თვითონაც სხვანაირი იყო, რბილი, არამიწიერი, შორეული. თვალებში უცხო, აუხსნელი შუქი ჩაუდგებოდა და ხშირად ისეთი იდუმალი, მომნუსხველი და ცოტა ჟრუანტელისმომგვრელი კილო გამოერეოდა, რომელიც სულის ყველაზე ღრმა ფენებს წვდებოდა. განსაკუთრებით ძლიერ შთაბეჭდილებას აბელზე ღმერთის შესახებ საუბარი ახდენდა. ამგვარი საუბრის შემდეგ, ლოგინში რომ ჩაწვებოდა და თვალებდახუჭული ძილს ელოდებოდა, მკაფიოდ ხედავდა თეთრ ღმერთს, რომელიც ეზოში ნარნარად ნახევრად ფრენით დადიოდა, შავ სიბნელეს მიარღვევდა და უკან ღრუბლის მოცისფრო კვალს ტოვებდა.

მრავალი წლის შემდეგ, დიდი რომ გავიზრდებით, წვალებითა და რუდუნებით დავაგროვებთ ცოდნას, ამ ილუზიურ განძს, რომელსაც სევდიანი სიამაყით ვუწოდებთ სიმდიდრეს, და სამყაროს საკუთარი სარკმლიდან დავუწყებთ

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცქერას. ნათელი შეიქნება, რომ პაპას ერთობ თავისებური წარმოდგენა ჰქონდა ღმერთზე, და თუმცა ეს აღმოჩენა ისეთ განცდას იწვევს, თითქოს რაღაც არსებითი დავკარგეთ და ამ დაკარგულს ვერაფერი შეგვიცვლის, ჩვენი შეუვალი ცოდნა გვაიძულებს ბოლომდე ერთგულად ვზიდოთ გონიერების ტვირთი და მოგონილი გულგრილობით შევნიშნოთ, რომ ის ეპიზოდები ღმერთის ცხოვრებიდან, რომლებსაც ასეთი იდუმალ-გულში ჩამწვდომი ხმით გვიამბობდნენ და ასეთი შიშნარევი მოწიწებით ვისმენდით, ღვთისმეტყველურ ლიტერატურაში არ დასტურდება.

და მოულოდნელად იბადება აზრი, რომელიც ახლაც კი, ამ სიშორიდან, შემაშფოთებელი და მკრეხელური ჩანს: პაპა, ეს უზარმაზარი პიროვნება, თითქმის მეფე, თითქმის ღმერთკაცი, ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხილველი, სოფლის დიდი მსაჯული და მეზობელთა გამრიგე, ეს შორეული და არამიწიერი პაპა, საგანგებოდ ეძებდა პატარა აბელთან მარტო დარჩენის შემთხვევას, რადგან აბელი იყო ერთადერთი, ვინც „სწორად შეაფასებდა“ მისი არსებობის ფარულ მხარეს, „სწორად გაიგებდა“ მის ფანტაზიას და მის ნალაპარაკევში სასაცილოს არაფერს დაინახავდა. ამ თვალსაზრისით პაპა იმავე ტაფაში იწვოდა, რომელშიაც აბელი თავისი გმირული, თუმცაღა გვარიანად უცნაური, საქციელის შემდეგ.

ცხადია, მაშინ, მრავალი წლის წინ, ასეთი აზრი ვერ გაიჭაჭანებდა.

დიდი ყანის შუაში გამავალ ვიწრო ბილიკზე აბელს თანდათან რეალური ეჩვენებოდა შესაძლებლობა, რომ პაპისთვის გაემხილა ის, რაც ყელში ჰქონდა მობჯენილი და უხმო კივილით მოითხოვდა გამხელას.

მაგრამ პაპის არაბუნებრივად დახვეული ულვაშები და მსაჯულის მიუდგომელი, ხაზგასმულად სერიოზული სახე რომ დაინახა, ველარ გაუბედა თქმა.

ერთი ხანობა იმედი ჰქონდა (ახლა, აქედან ნათელია, რომ ეს ოცნება იყო და არა იმედი), რომ ყოვლისმცოდნე და ყოვლისმხილველი პაპა თვითონვე შეამჩნევდა ყველაფერს, რაც ბიჭის გულში ხდებოდა, განზე გაიხმობდა და ეტყოდა. „შენ რაღაც დარდი გაქვს გულში და მალავ. აბა, ჩამოყაჭე!“ მაგრამ არაფერი მსგავსი არ მომხდარა.

ამასობაში აბელის გმირობა როგორღაც გაბუნდოვანდა, თანდათან ჩვეულებრივ, მიწიერ, არაგმირულ კალაპოტში მოექცა და, თუმცა ეს გაუგებარი და დაუჯერებელი ჩანდა, მალე დავიწყებულ იქნა.

დავიწყება, რა თქმა უნდა, გაქრობას არ ნიშნავს. უფრო მეტიც: ნამდვილი ავტოპორტრეტი სწორედ იქ იქმნება, სადაც დავიწყებული ფერები და ხაზები ინახება.

მომდევნო ზაფხულს აბელმა თავისი პირველი სერიოზული ექსპერიმენტი ჩაატარა.

მართლაცდა, კაცმა რომ იკითხოს. რატომ ბრუნდება ადამიანი ყოველთვის უკან? ან რის მიხედვით აგნებს იმას, რაც „საკუთარის“ სახელითაა ცნობილი („საკუთარი სახლი“, „საკუთარი მიწა“, „საკუთარი ქვეყანა“)? რატომ სულ პირდაპირ არ მიდის? რა ძალა მოქმედებს ასეთი, რა ბიძგი, რა იმპულსი? ვინ მისცა ადამიანს ეს ბიძგი და ეს იმპულსი? და თუ ვინმემ მისცა, რატომ ისეთი ბიძგი არ მისცა, რომ ადამიანს არასოდეს აზრად არ მოსვლოდა, უკან დაბრუნება თუ შეიძლება, და სულ პირდაპირ ევლო, ერთხელ აღებული გეზით? რით ხელმძღვანელობს ის, ვინც იმპულსებს არიგებს? რას ეყრდნობა მისი არჩევანი? შემთხვევითობას? მიზანდასახულობას? ანდა რამდენად ძლიერია ადამიანში უკან დაბრუნებისკენ მიდრეკილება? არ შეგვიძლია, გადავლახოთ ეს მიდრეკილება და მთელი სიცოცხლე ვიაროთ წინ, ერთი მიმართულებით?

მაშინ ჯერ კიდევ არ იყო ცნობილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რომ ყველაფერი უკან ბრუნდება და, საერთოდ, სამყაროს არსებობა მარადიული უკან დაბრუნებაა. შესაძლებელია, ამის ცოდნას შეცვლით არაფერი შეეცვალა, მაგრამ საკითხს გლობალურად დააყენებდა და ამით მკაფიოდ წარმოაჩენდა ავტოპორტრეტის კიდევ ერთ მნიშვნელოვან შტრიხს.

მრავალი წლის წინ ეს კითხვა, ცხადია, ამგვარი ღრმა ფილოსოფიური აზრით არ დასმულა. ასეთი სახე გვიან მიიღო, როცა მეხსიერების ფარული შრეებიდან ამოტივტივებული ხაზები და ფერები ცოდნის ბასრ კლანჭებში მოექცა.

აბელს ბავშვობაში ერთი უცნაური ჩვევა ჰქონდა, რომელიც, საერთო აზრით, სასიკეთოს არაფერს უქადდა: მარტო ყოფნა უყვარდა. თვითონ არ იცოდა, თუ ეს ჩვევა იყო და სახელად მარტო ყოფნის სიყვარული ერქვა, და არაფერს განსაკუთრებულს, არც ავსა და არც კარგს, ამაში არ ხედავდა. უბრალოდ, როცა ტოლ-ამხანაგებთან ერთად სადმე მიდიოდა, ვთქვათ, სკოლაში, ექსკურსიაზე, ტყეში, სამწყემსურში, თავისდა უნებურად კარგა მანძილით ჩამორჩებოდა და თავისთვის მიჩანჩალებდა მარტო. ზოგჯერ თამაშშიც ემართებოდა ასეთი რამ. ვთქვათ, გახურებული ფეხბურთის დროს ფიქრებში წავიდოდა და ბურთის ალება დაავიწყდებოდა. ამიტომ გუნდის კაპიტნები, რომლებიც თვითონვე ირჩევდნენ თავს კაპიტნებად ფიზიკური ან ფსიქოლოგიური უპირატესობის წყალობით, მხოლოდ მაშინ ათამაშებდნენ, როცა „კაცი აკლდათ“.

აბელი ამას დიდად არ განიცდიდა.

დედა ჩიოდა, ცხოვრების ალღო არა აქვს და არ ვიცი, რა ეშველებაო. ბებია დარწმუნებული იყო, გულისყური აკლიაო, და სასტიკად უკრძალავდა ახალი ნიგვზის ჭამას მარიამობა დღემდე.

„ცხოვრების ალღოს“ უქონლობა აბელს არ აწუხებდა, რადგან ამას არავითარი პრაქტიკული ზიანი არ მოჰქონდა. რაც შეეხება „უგულისყურობას“, ეს უფრო მნიშვნელოვანი პრობლემა იყო, რამდენადაც ახალი ნიგვზის ჭამას უკავშირდებოდა. აბელმა არ იცოდა, რას ნიშნავდა სიტყვა „გულისყური“. ცალ-ცალკე გულიც იცოდა და ყურიც, მაგრამ ის, რაც მათი შეერთებით გამოდიოდა, რაღაც ბუნდოვანი იყო, არარეალური და არახელშესახები. სოფელში ყველა ბავშვს მშვენივრად ესმოდა, რომ მარიამობა დღემდე კაკლის მოწყვეტა და გატეხა მათ გულისყურის დაკარგვით ემუქრებოდა, მაგრამ ამ ხიფათს არავინ უწევდა ანგარიშს და, მიუხედავად ამისა, ეტყობა ჩინებული გულისყური ჰქონდათ, ყოველ შემთხვევაში, აბელს არავისგან გაუგონია რაიმე ეჭვი ან შეშფოთება მათი გულისყურის გამო. ამ დაკვირვებამ იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ, თუ მას მართლა აკლდა გულისყური, ამის მიზეზი სადმე სხვაგან უნდა ყოფილიყო საძებარი, და არხეინად განაგრძობდა ახალი ნიგვზის ჭამას, თუმცა, ეშმაკს დიდი თვალები აქვს და, ცდილობდა ნაჭაში ამოთხვრილი ხელები მაინცდამაინც ცხვირწინ არ აეფრიალებინა ბებიასათვის.

ერთადერთი პაპა არ ეთანხმებოდა საერთო აზრს. აბელმა საკუთარი ყურით მოისმინა, როგორ უთხრა პაპამ თავისი მშვიდი, დინჯი, ოდნავ დაბოხებული ხმით დედას, ბებიასა და მამიდას, როცა ეს სამეული ხმამაღალი ყაყანით განიხილავდა აბელის მომავალს და ვერაფერ სანუგეშოს იქ ვერ პოულობდა.

— ნუ ჩხავით ყვავებივით. მაგნაირი ვყოფილვარ მეც პატარაობაში, მაგრამ, კი ხედავთ, ვერ შემჭამა ცხოვრებამ.

და აბელი სიამაყით აივსო (თუმცა შორეული და ძალიან ბუნდოვანი ეჭვი, რომ პაპას ერთობ გაზვიადებული წარმოდგენა ჰქონდა თავის თავზე, მაშინვე ვაუჩნდა).

უფროსები უმთავრესად საკუთარ გამოცდილებასა და ახლობელთა მაგალითს ემყარებოდნენ, გულუბრყვილო თავდაჯერების გამო ეგონათ, რომ გამოცდილების ეს მათთვის ხელმისაწვდომი ჩარჩო ყველაფერს იტევდა და ის,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ამ ვიწრო ჩარჩოს გარეთ დარჩა, უბრალოდ არ არსებობდა. მხოლოდ ისეთი რჩეული, განსაკუთრებული ადამიანები, როგორიც იყო პაპა, ფანტაზიის ძალით არღვევდნენ შაბლონურ ჩარჩოს და ამიტომ არატიპიურ დასკვნებს აკეთებდნენ.

ძნელი სათქმელია, ვის მხარეს იყო სიმართლე. აბელს ამ კითხვაზე ნათელი პასუხი არ გააჩნდა, ისე კი გრძნობდა, რომ მაინც გამოცდილება და მაგალითი ღალადებდა სიმართლეს, რადგან ის, რითაც პაპა გამოცდილებას უპირისპირდებოდა, იყო არა სიმართლე, არამედ სილამაზე. ეს კი სულ სხვაა.

განმარტოების სიყვარულს, „ცხოვრების ალოოს" უქონლობას და გულისყურის ნაკლებობას აბელისათვის მართლა არაფერი სიკეთე არ მოუტანია. თავსატეხი და მწუხარება კი მუდამ თან ახლდა. მართალია, ამ მწუხარებაში იყო რაღაც ისეთი, რაც არავითარ სიხარულში არ გაიცვლებოდა, მაგრამ ეს წამიერი და მოუხელთებელი განცდა ერთს დაუვლიდა ხოლმე ელვასავით თავით ფეხამდე და მყისვე უკვალოდ გაქრებოდა.

უპასუხო კითხვებიც განმარტოების შვილები იყვნენ.

აბელი საკუთარი თავისაგან განმარტოებასაც ახერხებდა. ეს ღამღამობით ხდებოდა. დასაძინებლად რომ დაწვებოდა და თვალებს დახუჭავდა, ფიქრები თავში რაღაც ხვრელს პოულობდნენ და გარეთ გამოდიოდნენ. მოდუნებული სხეული უძრავად იდო საწოლზე, ფიქრები კი სადღაც ზემოთ, ბნელი ოთახის კუთხეში განმარტოვდებოდნენ და ხმადაბლა თათბირობდნენ.

იმ წელიწადს ფიქრები იმის თაობაზე თათბირობდნენ, თუ რატომ ბრუნდება ადამიანი უკან.

აბელი მაშინ უკვე ცხრა წლისა იყო და იცოდა, რომ კაცის სიცოცხლე დროში შეზღუდულია. ადამიანი მოკლე დისტანციაზე დარბის და თავისი უსაზღვრო ცნობისწადილის მთლიანად დახარჯვას, ცხადია, ვერ მოასწრებს. მაგრამ უბედურება ისაა, რომ ამ ძუნწად გამოყოფილ დროსაც ვერ ვიყენებთ ისე, როგორც საჭიროა. ათასჯერ უკან მობრუნებულები, ათასმეერთეჯერ კიდევ უკან ვბრუნდებით და ათასჯერ ნანახს ათასმეერთეჯერ ვნახულობთ, იმის მაგივრად რომ სულ წინ ვიაროთ, ყოველი ახალი ნაბიჯი ახალ ცოდნაში ჩავდგათ და იმ მცირე დროში, რომელიც მოგვეცა, რაც შეიძლება მეტი პასუხი ჩავტიოთ.

ადამიანი კი მუდამ უკან ბრუნდება.

რატომ?

მთელი სასწავლო წლის მანძილზე, შემოდგომის დასაწყისიდან გაზაფხულის ბოლომდე, აბელი ხშირ-ხშირად უბრუნდებოდა ამ კითხვას, ფიქრობდა, წვალობდა, ტვინს იჭყლეტდა, პასუხს ეძებდა და ვერ პოულობდა. ის „უმრავლესობის ავტორიტეტი", რომელსაც არა თუ ბავშვობაში, სიბერის წლებშიც ვერ ვიშორებთ, ეუბნებოდა, რომ, რაკი ყველა ასე იქცევა, ალბათ ასეა საჭიროო, მაგრამ ბრმა ნდობა აბელს არ აკმაყოფილებდა. აბელს პასუხი სჭირდებოდა.

უფროსი ძმა რომ ჰყოლოდა, ყველაფერს აუხსნიდა და, შესაძლებელია, ექსპერიმენტი აღარც ჩატარებულიყო. უფროსი ძმა სამი წლით უფროსი აბელი იქნებოდა და საკმაო ცოდნაც აღმოაჩნდებოდა საიმისოდ, რომ სამი წლით უმცროსი აბელის კითხვებზე პასუხი გაეცა. აბელს ოცნებაში არაერთხელ წარმოუდგენია არარსებული უფროსი ძმა და მისი მეშვეობით უცდია თავის უპასუხო კითხვებზე პასუხის პოვნა, მაგრამ ეს მაინც სამი წლით უმცროსი აბელის ოცნება იყო და მას არ შეეძლო სამი წლით უფროსი აბელის როლი ღირსეულად შეესრულებინა.

ამიტომ შეიქნა საჭირო ექსპერიმენტი.

სასწავლო წელი რომ დამთავრდა, დედამ, ჩვეულებისამებრ, სოფელში გაგზავნა.

სოფლის მშვიდმა სუნთქვამ, ჭრელმა მინდვრებმა, ტყეში ხეტიალმა, მთის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცივმა მდინარემ, ლახტისა და რიკტაფელას თამაშმა, წვერცანცარა თხამ, ულვაშებდაგრეხილმა პაპამ, მუდამ თავსაფარწაკრულმა ბებიამ, ცხელმა მჭადმა და ჭყინტმა ყველმა ერთხანს მთლიანად აავსეს ის სივრცე, რაც აბელის არსებობას განსაზღვრავდა, და თავსატეხი კითხვა დროებით დავიწყებას მიეცა. მერე და მერე, როცა სიახლის გრძნობა გახუნდა, თავსატეხმა კითხვამ ისევ გამოარღვია შთაბეჭდილებათა ფენები და ზედაპირზე ამოყო თავი.

რატომ ბრუნდება ადამიანი უკან?

უფროსი ძმა არ არსებობდა, პაპას კი მოწიწების მომგვრელი ულვაშები და მიუკარებლად ბრძნული გამომეტყველება ჰქონდა. ამ მიუკარებლობას მხოლოდ მაშინ ჩამოიბერტყავდა ხოლმე, როცა თვითონ დასჭირდებოდა აბელი, რათა თავისი მოზღვავებული ფანტაზია დაეხარჯა და ისეთი ეპიზოდები მოეთხრო ღმერთის ცხოვრებიდან, რომლებიც, როგორც მოგვიანებით გამოირკვეოდა, რელიგიურ ლიტერატურაში, არც წერილობითში და არც ზეპირ გადმოცემებში, არ დასტურდება.

აბელი საკუთარი თავის ამარა იყო დარჩენილი.

და გადაწყვიტა, ექსპერიმენტი ჩაეტარებინა, რათა საკუთარი გამოცდილებით გაეცა პასუხი იმ კითხვაზე, რომელზედაც სხვანაირად პასუხის გაცემა ვერ მოხერხდა.

ექსპერიმენტის იდეა მოულოდნელად დაიბადა.

როგორც ითქვა, აბელი მთელი წელიწადი უტრიალებდა და ჩხრეკდა თავის უმძიმეს კითხვას, მაგრამ არასოდეს უფიქრია, პასუხი პრაქტიკული გამოცდილების გზით მოეპოვებინა.

როდის ან როგორ გაჩნდა ეს გრანდიოზული იდეა, ისტორიას არ ახსოვს.

თავად აბელმა კი ერთ მშვენიერ დღეს აღმოაჩინა, რომ თურმე რა ხანია იცის პასუხის მიღების საუკეთესო და, ფაქტიურად, ერთადერთი გზა.

თავიდან ენთუზიაზმის ცეცხლი მოედო. მერე, როცა განხორციელების გეგმაზე მიდგა საქმე და ათასმა წვრილმანმა წამოყო თავი, ცეცხლი მინელდა და რამდენიმე დღის განმავლობაში ჩაქრობის პირას იყო. ბოლოს ისევ მოულოდნელად აბრიალდა და აბელი გზას გაუდგა.

წინა დღეს ხელჯოხი გამოთალა და თავისი ყანგიანი ჯაყვით ლამაზად აჭრელა, მაგრამ ეჭვი რომ არავის გასჩენოდა, შინ არ წამოუღია, ბუჩქებში დამალა ისეთ ადგილას, სადაც მისი ექსპერიმენტის მარადიული გზა გადიოდა. დილით დრო შეარჩია, როცა შინ არავინ იყო, ჩუმად შეიპარა სახლში, ფეხსაცმელები და ხალათი ჩაიცვა და ფრთხილად გავიდა ეზოდან.

ერთი გზა უკან მიდიოდა, რკინიგზის სადგურისაკენ. ეს გზა აბელს არ აინტერესებდა. მეორე გზა ტყეს მიჰყვებოდა. აბელი ტყეშიც მრავალჯერ იყო ნამყოფი პაპასთან ერთად. დიდი ექსპერიმენტისათვის ყველაზე უფრო მიზანშეწონილად მესამე გზა იქნა მიჩნეული. მართალია, მდინარემდე აქაც ყველაფერი ნაცნობი იყო, მაგრამ მდინარის გაღმა უკვე ახალი, უცხო სამყარო იწყებოდა, სადაც აბელს ჯერ არასოდეს დაედგა ფეხი.

ძველ სასაფლაოსთან ბავშვებს გადაეყარა. ბავშვებმა გაკვირვებით შეხედეს მის ფეხსაცმელებს (თვითონ, ცხადია, ფეხშიშველები იყვნენ) და, სად მიხვალო, ჰკითხეს. აგერ მივდივარ საქმეზეო, დაუდევარი კილოთი უპასუხა აბელმა. იცოდა, არ ჩაეძიებოდნენ და მართლაც არ ჩაძიებიან. ჩვენ ციხეზე ვიქნებით და რომ დაბრუნდები, იქ ამოდიო, დაუბარეს. ამოვალო, აბელიც დაჰპირდა. თან გულში გაეცინა. რა იცოდნენ, რომ უკანასკნელად ხედავდნენ აბელს! რა იცოდნენ, რომ აბელი ისეთ გზას ადგა, რომელიც მხოლოდ წინ მიდის და უკან არასოდეს ბრუნდება!

ბავშვები წავიდნენ.. აბელმა თვალი გააყოლა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძველისძველი სიმაგრის ნანგრევები, ანუ როგორც სოფელში მოკლედ ეძახდნენ, „ციხე“. ბავშვების საყვარელი ადგილი იყო. ერთი კედელი ხელუხლებლად გადარჩენოდა დრო-ჟამს და, როცა ზემოთ, ქონგურებზე აფორთხდებოდი, ფეხებში შიშისა და სიამოვნების უცნაურად არეული ჟრუანტელი დაგივლიდა. ციხე მაღლობზე იდგა. ქვემოთ, დიდ სივრცეზე გადაჭიმული მინდორი მორღვეული ლოდებით იყო მოფენილი. ცალ მხარეს ღელე ჩაუდიოდა. ციხის უკან, ოდნავ მოშორებით, ცივი წყარო ამოჩუხჩუხებდა, იმის იქით კი დაბურული, ნესტიანი ტყე იწყებოდა.

აბელმა თვალი აარიდა ბავშვებს, მიტრიალდა და ერთხელ და სამუდამოდ არჩეულ გზას დაადგა.

სოფელს გასცდა, აღმართი აიარა, საურმე გზა გადაჭრა და ბილიკს ჩაუყვა სიმინდის ყანასა და ბექობს შუა. ბექობს შქერი და იელი მისდევდა. ალაგ-ალაგ მიწა მორღვეული იყო და შქერის ამოშვერილი ფესვები გველის წიწილებს გვანდნენ.

შუა ფერდობზე ბილიკიდან გადავიდა. მონიშნულ ბუჩქს მიადგა, ჩამალული ხელჯოხი აიღო და ისევ ბილიკზე დაბრუნდა.

მზე უკვე გვარიანად აჭერდა.

აბელი მხნედ, მსუბუქად მიაბიჯებდა.

მდინარესთან მცირე ხნით შეჩერდა, ფეხთ გაიხადა, წყალდაწყალ გავიდა გაღმა, იქ ქვაზე ჩამოჯდა და ფეხსაცმელები ისევ ჩაიცვა.

აქეთ ახალი, უცნობი სამყარო იყო.

ნამდვილი ექსპერიმენტიც აქედან იწყებოდა.

აბელი წამოდგა, უკან მიტრიალდა, მშობლიურ სანახებს კიდევ ერთხელ მოავლო თვალი და მტკიცე ნაბიჯით შეუდგა უცნობ აღმართს.

მარჯვნივ თხილის მეჩხერი ჭალა იყო, მარცხნივ — ვაშლის ბაღი. შუაში ბილიკი გადიოდა. თუმცა, აბელის ვარაუდით, ეს უფრო ნიაღვრის მიერ გაჭრილი კალაპოტი უნდა ყოფილიყო, ვიდრე ადამიანის მიერ გაკვალული ბილიკი.

მზეს მხურვალება მოემატა. შუბლზე ოფლის წვეთებმა გამოჟონა.

აბელი მაინც მხნედ მიაბიჯებდა.

აღმართი უკვე თავდებოდა და ფართო, საურმე გზას უერთდებოდა, როცა წინ მოულოდნელი დაბრკოლება გადაეღობა. დაბრკოლება კარგა მოზრდილი გველი იყო, რომელიც გაუნძრევლად იწვა ბილიკის გარდიგარდმო.

აბელი შედგა და გაიტრუნა. ჯერ მკვდარი ეგონა, მაგრამ მერე, როცა დაკვირვებით გააყოლა თვალი კუდიდან თავამდე, მიხვდა, რომ ცოცხალი იყო. შიშით არ შეშინებია. შარშან უკვე მოკლა ერთი გველი და საჭირო გამოცდილებაც შეიძინა. მართალია, მაშინ მარტო არ იყო, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს! მთავარია, თავში დაუმიზნო.

მაინც ბრძოლის თავიდან აცილება ამჯობინა. რომ მოეკლა, მერე ჯოხიც უნდა გადაეგდო და ახალი ჯოხის გასათლელად დრო დაეკარგა. ამიტომ კარგა მანძილით დაიხია უკან, კოლბოხი აიღო, დაუმიზნა და ესროლა. კოლბოხი წელში მოხვდა და დაფეთებული გველი თხილის ჭალაში მიიმალა. აბელმა თვალი გააყოლა და ბალახის მოძრაობით მიხვდა, რომ მტერი დიდ მანძილზე გაეცალა ბრძოლის ველს. გზა თავისუფალი იყო.

საურმე გზაზე რომ ავიდა, შედგა და უკან მიიხედა. ცივი და ჩქარი, ქაფმოდებული მდინარე, რომელიც ორ სამყაროს შუაზე ჰყოფდა, აქედან ძლივსღა მოჩანდა და მისი ხმაურიც ოდნავ წვდებოდა სმენას, როგორც შორეული და სუსტი შრიალი. გაღმა, ფერდობის თავზე, სათამაშოებივით იდგა სოფლის რამდენიმე განაპირა სახლი.

საურმე გზაც აღმა მიდიოდა.

ყანებსა და ვენახებს ალაგ-ალაგ დაბურული ტყეები ცვლიდა. მერე ისევ ყანები და ვენახები იწყებოდა.

მთელი საათი ისე იარა აბელმა იმ საურმე გზაზე, ძეხორციელი არ შეხ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვედრია. ბოლოს ერთი ცხენოსანი შემოეყარა. მხედარს ნელი ჩორთით მიჰყავდა ცხენი და, აბელს ისე ჩაუარა, ზედაც არ შემოუხედავს. მაგრამ მცირე მანძილზე რომ გაცდა, ერთბაშად შეაჩერა ცხენი და მოაძახა:

— ეი, ბიჭო!

აბელი შეჩერდა და მოტრიალდა.

— მამაშენი ცოლშვილიანია? — ჰკითხა კაცმა.

აბელი დაიბნა და პირდაღებული მიაჩერდა უცნობს. მაგრამ უცნობი პასუხს არ დალოდებია. ეტყობა, აბელის სახეზე წაიკითხა, რომ მისი მახვილგონივრული კითხვა მწირ და უნაყოფო ნიადაგზე დაეცა, და თვითონვე განმარტა თავისი ხუმრობის მარილი:

— ცოლშვილიანი იქნება, აბა რა იქნება!

ამ სიტყვებზე ხმამაღლა გადაიხარხარა, ცხენს ქუსლი ჰკრა და გააქროლა.

აბელმა მხრები აიჩეჩა და გზა განაგრძო.

მალე გზა თავქვე დაეშვა და სოფელი გამოჩნდა.

ზემოთ, ტყიან ფერდობზე თხები დაინახა და გაახსენდა, ბიჭებმა რომ შეპირეს, როცა დაბრუნდები, ციხეზე ამოდიო.

ბიჭები შორს იყვნენ, ციხეც შორს იყო და აბელიც აღარ დაბრუნდებოდა.

სოფელში შევიდა.

ორღობეში ჯერ სამი გოგო დაინახა, თითქმის ჩახუტებულები მიდიოდნენ და თან ხმამაღლა კისკისებდნენ.

აბელმა ამრეზით გააყოლა თვალი.

ცოტა ხნის შემდეგ დედაბერი შემოხვდა. მხარზე ძონძები დაეფინა, ზედ პირთამდე სავსე, სველი კოკა ედგა და თავისთვის რაღაცას ბუტბუტებდა.

ბოლოს ერთი ბერიკაცი შემოეყარა. ბერიკაცი ცარიელ ურემს მოუძღოდა და პაპას მსგავსი ულვაშები ჰქონდა. ოღონდ პაპას ულვაშები უფრო კოხტა და უფრო დაგრეხილი იყო.

სხვა არავინ შეხვედრია.

მოწყენილი და სიცხისგან მოთენთილი ძაღლები აბელის დანახვაზე ერთბაშად მოცოცხლდებოდნენ, გაფთრებული ყეფით ეძგერებოდნენ ღობეს და, რაკი გარეთ ვერ გამოდიოდნენ, ჭიშკრის ქვემოდან გამოყოფდნენ დრუნჩს და ასე სულელურად უყეფდნენ.

აბელი ძაღლებს ყურადღებას არ აქცევდა. იცოდა, რომ ძაღლი ვერაფერს დაგაკლებს. ღიაც რომ დახვდეს ჭიშკარი და ორღობეში გამოგივარდეს, კბენას მაინც ვერ გაგიბედავს, თუ შიშმა არ წაგაბდინა. ძაღლი იოლად ატყობს, გეშინია თუ არა, და მისი გაბედულება შენს გაბედულებაზეა დამოკიდებული (მრავალი წლის მერე, როცა გამოცდილებათა სერია ცოდნად დაკრისტალდება, ამ უბრალო დაკვირვებიდან შორს მიმავალი დასკვნები გაკეთდება).

აბელი სოფელს გასცდა და გზაჯვარედინს მიადგა. ჯერ მარცხნივ გაიხედა, მერე მარჯვნივ, და პირდაპირ წავიდა. აქედან გზა ისევ აღმართში მიდიოდა. ეს აღმართი რომ აათავა, წინ მრავალი ბორცვი გამოჩნდა. გზა ტალღისებურად, აღმა-დაღმა გადადიოდა ამ ბორცვებზე და თანდათან მაღლდებოდა.

მზე დასავლეთით გადაიხარა. აბელმა დაღლილობა იგრძნო და დასასვენებელ ადგილს დაუწყო ძებნა. მალე გზის პირას, პატარა მდელოზე, პანტა მსხალი შეამჩნია და მის წაგრძელებულ ჩრდილში შევიდა.

როგორც კი მსხლის ძირას, ბალახში ჩაჯდა, მაშინვე მიხვდა, რომ „თადარიგის დაჭერა“, პირველ ყოვლისა, საგზლის წამოღებას ნიშნავს.

გამოცდილება, როგორც წესი, დაგვიანებით მოდის.

ჯერ დამჯდარმა შეათვალიერა მსხლის ტოტები, მერე წამოდგა, ირგვლივ შემოუარა, ყურადღებით შეისწავლა და საბოლოოდ ხუთი ცალი ნაყოფი აღმოაჩინა. თავისი ლამაზი ჯოხი სასროლად დაენანა და ჭოლოკს დაუწყო ძებნა. მოშორებით ხმელი ტოტი იპოვა და მკლავის სიგრძეზე გადატეხა. მიზანი კარგი ჰქონდა და მალე ხუთივე მსხალი ჩამოაგდო.

ხუთივე რომ შეჭამა, მაშინღა მოი-

ფიქრა: ორი ცალი, ან, უკიდურეს შემთხვევაში, ერთი მაინც უნდა მოეტოვებინა და თან წაეღო.

ცოტა დაისვენა და გზა განაგრძო. მაგრამ ახლა უკვე იცოდა, რომ მთავარი საფრთხე, რომელიც მოგზაურს ემუქრება, შიმშილია, ამიტომ დაკვირვებით ათვალიერებდა მიდამოს, იქნებ ისეთ რამეს წასწყდომოდა, რაც საკვებად გამოადგებოდა.

გზის ორივე მხარეს, სადამდეც კი თვალი სწვდებოდა, მხოლოდ თხმელები, დაბალი, უჯიშო რცხილები და ეკალბარდებით დაბურული ბუჩქები იყო.

ამასობაში მზე ჩავიდა.

აბელმა მოისაზრა, რომ სანამ დღის სული იყო, მანამ უნდა ეშოვა რამე საჭმელი, თორემ მალე აქ ისეთი სიბნელე ჩამოწვებოდა, ვაშლს თხმელისგან ვერ გაარჩევდი და თხილს — შქერისგან. ამიტომ გზიდან გადავიდა და ქვემოთ დაუყვა ტყიან ფერდობს. ერთხანს დაღმართში იარა. რაკი ვერაფერი იპოვა, მერე გასწვრივ გაუყვა ფერდობს. მალე ერთ კაკლისა და ერთ ვაშლის ხეს წააწყდა. მართალია, ორივე ხე პირწმინდად გაკრეფილი აღმოჩნდა, მაგრამ ამან გუნება ვერ გაუფუჭა. პირიქით, მხნეობა შემატა, რადგან, საცა გაკრეფილია, იქ მსხმოიარეც იქნება სადმე. მართლაც, ბოლოს და ბოლოს, ხანგრძლივი წანწალის შემდეგ, ცოტა რამ იშოვა. კერძოდ, ტყეში რომ ბინდმა იწყო ჩამოწოლა და შემდგომ ძებნას აზრი აღარ ჰქონდა, აბელის ნადავლს შეადგენდა ორი ვაშლი, ერთი კაკალი და, რაც მთავარია, რამდენიმე მუჭა ტყის თხილი. ყველაფერი ეს ხალათის უბეში ჩაიტენა და აღმართს შეუდგა, რათა დროულად დაბრუნებულიყო გზაზე. ბინდი თანდათან მუქდებოდა. ტყეში ღამე წვებოდა და თან რაღაც გაურკვეველი, მაგრამ უსიამო გრძნობა მოჰქონდა. აბელმა ჯერ კიდევ არ იცოდა, რომ ეს შიში იყო. ამას გვიან მიხვდა, მაშინ, როცა აღმართში დიდხანს იარა და გზა მაინც არსად გამოჩნდა. ჯერ ეგონა, უბრალოდ, ვარაუდი ატყუებდა, მანძილი ვერ გამოზომა სწორად. მერე და მერე, რაკი [illegible] იქნა და, გზას ვერ მიაღწია, ხოლო ტყეში უკვე კუნაპეტი ღამე ჩამოწვა, შიში უეცრად შანთივით დაუტრიალდა სხეულში. აბელი შეჩერდა და შიშის ამ პირველ, მძაფრ შემოტევას ჩაწყნარება აცალა. მერე შეეცადა მშვიდად, პანიკის გარეშე აეწონ-დაეწონა ვითარება. გუმანით გრძნობდა, რომ ასეთ დროს ყველაფერი იმაზეა დამოკიდებული, რამდენად შეძლებ შიშის დათრგუნვას და საღად, გულგრილად აზროვნებას. რაკი ქვემოთ ჩამოუხვია, მაშასადამე, გზა ზემოთ დარჩა და, თუ ზემოთ წახვალ, არ შეიძლება ისევ იმ გზას არ მიადგე. მაშ, რა ხდება? იქნებ მართლა ვარაუდი ატყუებს, იქნებ მანძილი ეშლება, თავდაღმართში უფრო მეტი იარა, ვიდრე აღმართში და, უბრალოდ, ჯერ ვერ მიაღწია გზას? შეუძლებელია. პირველად ხომ არაა ტყეში! არა. თუ გზა სადმე იყო, აქამდე უნდა გამოჩენილიყო. მაგრამ როგორ შეიძლება გზა არ იყოს! სად წავიდოდა!... და უცებ აბელი მიხვდა. საღად აზროვნებამ თავისი ქნა. ეტყობა სადღაც, იმ ადგილის მახლობლად, სადაც აბელი ტყეში შემოვიდა, გზა მაღლა უხვევდა, მარჯვნივ. აბელმა კი ფერდობის გასწვრივ იარა. იმ მოსახვევს გასცდა და, ცხადია, აღმართ-აღმართ სიარულით იმ გზას ვეღარ მიადგება. ამ აღმოჩენამ იმედი ჩაუსახა. თუ ეს ყველაფერი მართლა ასეა (და შეუძლებელია ასე არ იყოს), საჭიროა არა მაღლა, არამედ ირიბად—უკან და ოდნავ მაღლა სვლა. აბელმა გადაწყვიტა, ასეც მოქცეულიყო, მაგრამ უეცრად შეძრწუნებით აღმოაჩინა, რომ აღარ იცოდა საითაა „წინ" და საითაა „უკან", სხეულის ფსკერიდან რაღაც წამოვიდა და ყელში გაეჩხირა. აბელმა რამდენჯერმე სცადა ნერწყვით ჩაეტანა უკანვე ეს „რაღაც", მაგრამ, რაკი არაფერი გამოუვიდა, ქვედა ტუჩი მტკივნეულად მოიკვნიტა, რათა თვალებში მო-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თვალებში მოწოლილი ცრემლის შეკავება ამჯერად უკვე დიდად აღემატებოდა აბელის ძალას. ცრემლი ღაპაღუპით წამოუვიდა, მაგრამ იმას მაინც ცდილობდა, ჩუმად ეტირა, უხმოდ, თითქოს აქ, ამ უღრან ტყეში ვინმე გაიგონებდა და თავი მოეჭრებოდა. ბოლოს ტირილი მოათავა და თავის სავალალო მდგომარეობას დაუფიქრდა. საჭმელი აღარ ჰქონდა. გზას ვერ მიაგნო. აიარული სახიფათო იყო. იჯდა დაღლილ-დაქანცული, ზურგით ხის მსხვილ ტანს მიყრდნობოდა. და უეცრად მიხვდა, რომ, თუნდაც ეპოვა გზა, ამით მაინც არაფერი შეიცვლებოდა. სოფელი, რომელიც გამოიარა, შორს დარჩა. წინ, ღმერთმა იცის, სად იქნებოდა დასახლებული ადგილი. ასეთ დროს რა მნიშვნელობა აქვს ტყეში იქნები თუ ტყის შუა გამავალ გზაზე? ტყე ბნელი იყო, უღრანი, და საშიში დუმილით დუმდა. აბელმა ერთი პირობა გადაწყვიტა ხეზე ასულიყო და იქ გაეთია ღამე, მაგრამ ძილში გადმოვარდნის შეეშინდა. ძირს დარჩენაც სახიფათო ჩანდა: ვინ იცის, რა ნადირი ბინადრობს ამ უცნობ ტყეში! ყველანი ღამით გამოდიან საკბილოს საშოვნელად... დაღლილმა გონებამ ველარ გაუძლო გამოსავლის დაძაბულ ძებნას და აბელს ჩაეძინა. სიზმარში ტურები ნახა. ტურები მთის წვერზე გადმოდგნენ და დაიძახეს: „უუუ!..“ მერე ტურებს ჭინკების თავები გამოესხათ და ახლა ჭინკებმა დაიძახეს ერთხმად: „აბიკო, უუუ!“ აბელი ძილში შეკრთა და თვალი გაახილა. სიცივისა და შიშისაგან მთელი სხეული უძაგძაგებდა. ჭინკების მზაკვრობა კარგად იცოდა. შინაურულად დაგიძახებენ, დათაფლული ხმით დაგელაპარაკებიან და ისეთ უღრანებში შეგიტყუებენ, სადაც ძეხორციელს არ დაუდგამს ფეხი. შორიდან მოგაჩერდებიან თვალებში, თითით მიგიხმობენ და უკან-უკან წავლენ. შენც ძალაუნებურად გაჰყვები. არ გინდა გაჰყვე, მაგრამ მაინც მიყვები, თან მონუსხული უყურებ თვალებში... აბელმა ტყეს ყური მიუგდო. ირგვლივ სიჩუმე იყო. იქნებ ყველაფერი მართლა სიზმარში ნახა? იქნებ ხმაც სიზმარში გაიგონა? სანამ აბელი ცდილობდა, ძალით ჩაეტენა თავში ეს იმედიანი აზრი, ტყეში უეცრად ისევ გაისმა:

— აბიკო, უუუ!

აბელს გააჟრჟოლა. ხმა ნაცნობი იყო და ძალიან ახლოდან ისმოდა. ნაცნობი რომ იყო, ეს არ გაჰკვირვებია, — ჭინკა, ვისაც გინდა, იმას გამოაჯავრებს, — ახლოდან რომ მოისმა, ამან გააკვირვა და შეაშინა. აბელი ხეს აეკრო და სუნთქვა შეიკრა, თუმცა მშვენივრად ესმოდა, რომ ამით თავს ვერ უშველიდა. ამ დროს იმავე ნაცნობმა ხმამ თქვა:

— დავიძახო კიდევ?

ამას ჯერ ცხენის ხმადაბალი ფრუტუნი მოჰყვა, მერე კიდევ უფრო ნაცნობი და ახლობელი ხმა:

— ჭრაქი ასწიეთ მაღლა!

ამ მეორე ხმამ აბელს ჯერ თბილ ჟრუანტელად დაუარა ტანში და მხოლოდ ამის შემდეგ გამოეცნაურა.

პაპას ხმა იყო!

იმავ წამს, ჭრაქის შუქმა რომ ხის ტოტებზე და ბუჩქებზე მკრთალი ჩრდილები აათამაშა, აბელი ზეზე წამოვარდა.

— აგერ ვარ, აგერ! — არ განუზრახავს დაძახება, ისე აღმოხდა. და საშინელი ხრამიც დაავიწყდა, ეკლებიც, დაღლილობაც. მარდად, სირბილით აუყვა აღმართს.

პირველი ნათელი აზრი ის იყო, რომ თურმე გზიდან სულ ხუთ-ექვს ნაბიჯზე ყოფილა.

გზაზე ცხენებზე ამხედრებული ოთხი კაცი დახვდა.

ჭრაქის შუქზე ჯერ პაპის დაგრეხილი ულვაშები აციმციმდა და აბელს მთელ სხეულში საამო მოთენთილობა მოედვარა. მერე დანარჩენებს მოავლო თვალი. პაპას გარდა, აქ იყო ბიძა, ბებიას ძმისწული, ცნობილი უქნარა და ლოთი-შფოთი. და კიდევ ორი უცნობი კაცი, ერთი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხანშიშესული და მეორე ახალგაზრდა, რომლებიც ასაკით განსხვავდებოდნენ, თორემ ისე გაჭრილი ვაშლივით ჰგავანდნენ ერთმანეთს.

აბელის გამოჩენაზე მხედრები სწრაფად ჩამოქვეითდნენ. პაპამ მარჯვენა ხელით პირჯვარი გადაიწერა, მარცხენა აბელს მოხვია და თავისი მშვიდი, აუჩქარებელი ხმით თქვა:

— კიდევ კარგი, ხმა გაგვეცი. ამ წკვარამში ისე რა მოგაგნებდა!

უცნობმა კაცებმაც პირჯვარი გადაიწერეს. ეს ერთდროულად გააკეთეს და კიდევ უფრო დაემგვანენ ერთმანეთს.

ბიძას დიდი კბილები გადმოეყარა და იცინოდა. მერე ახლო მოვიდა აბელთან და ჰკითხა:

— სად მიდიოდი, რომ მიდიოდი?.

აბელმა ტუჩები მოკუმა და კბილი კბილს დააჭირა.

მხედრები ისევ ცხენებზე შესხდნენ. პაპამ აბელი წინ შემოისვა და ყველანი გზას გაუდგნენ.

გზაჯვარედინს რომ მიაღწიეს, ბიძა ისევ მოუახლოვდა, ცხენიდან გადმოიხარა და სიცილით ჰკითხა:

— არა, მაინც სად მიდიოდი?

აბელმა გვერდზე გაიხედა, თუმცა სიბნელეში მის ამ საპროტესტო ჟესტს ვერავინ შეამჩნევდა.

სოფელში ერთ ეზოსთან შეჩერდნენ. პაპა ხანშიშესულ უცნობს მიუბრუნდა:

— აბა, დიდი მადლობელი ვარ, ჩემო ემანუელ, და ღმერთმა შემაძლებინოს შენი პატივისცემის გადახდა.

— აჰ, რას ბრძანებ, ჩემო ბატონო! — შესძახა უცნობმა და პაპას ცხენდაცხენ გადაუდგა წინ. — ამ შუაღამეზე სად გაგიშვებ! სახლი მაქვს და კარი მაქვს. ეს ბავშვიც დაზაფრულია და მოსვენება უნდა.

— ქალი გადამერევა, ჩემო ემანუელ, ამბავი თუ არ ჩავუტანე დროზე.

— ოჰ! დილამდე რა უჭირს, შე კაცო! ხომ ხედავ, ბავშვს ფერი არ ადევს სახეზე.

აქ ბიძა ჩაერია გაწევ-გამოწევაში.

— მოდი, ასე ვქნათ, ბიძაჩემო, — უთხრა პაპას. — შენ და ეს [illegible] მაკლაი დარჩით აქ, ამ პატიოსან ხალხთან. მე წავალ. მარტო უფრო ჩქარაც ვივლი. ამბავსაც გავაგებინებ მამიდაჩემს და სამახარობლოსაც დავტყუებ.

საბოლოოდ ამაზე შეჩერდნენ.

— აბა, კარგად გნახეთ! — დაემშვიდობა ყველას ბიძა და ცხენს ქუსლი შემოჰკრა, მაგრამ ოციოდე მეტრი არ ექნებოდა გავლილი, რომ ალვირი მოსწია, ცხენი ყალყზე შეაყენა და უკანვე მოატრიალა. დანარჩენებმა, რომლებიც უკვე ეზოში აპირებდნენ შესვლას, ეს რომ დაინახეს, შეჩერდნენ და დაელოდნენ. ბიძა ახლოს მოვიდა.

— არა, მაინც სად მიდიოდი, მამის სულს გაფიცებ? — ჰკითხა აბელს, ხმამაღლა გაიცინა, ცხენი შეატრიალა და გააჭენა.

აბელი ავახშმეს და ოჯახის ერთ-ერთმა დიასახლისმა დასაძინებლად შეიყვანა დიდ ოთახში, სადაც უკვე ეძინა ოთხ ბავშვს. აბელმა რომ გაიხადა და დაწვა, ქალმა საბანი გაუსწორა და, სანამ გავიდოდა, ჰკითხა:

— დედა, შვილო, სად მიდიოდი?

აბელმა ტუჩი მოიკვნიტა და კედლისკენ გადაბრუნდა.

მერე ძილბურანში გვერდით ოთახიდან, სადაც პაპა და ის ორი კაცი ვახშამს ჭამდნენ და ღვინოს სვამდნენ, კიდევ ერთხელ მოესმა:

— სად მიდიოდა, ნეტა?

მეორე დღეს, შინ რომ დაბრუნდნენ, ბებიამ ჰკითხა, სად მიდიოდიო. მერე სანახავად მოსულმა მეზობლებმა ჰკითხეს. ბავშვებმაც ჰკითხეს. ყველანი, თითქოს მოლაპარაკებული ყოფილიყვნენ, ერთსა და იმავეს ეკითხებოდნენ, იმას ეკითხებოდნენ, რაზედაც აბელს არც შეეძლო პასუხის გაცემა და არც სურდა. ერთადერთი, ვისაც ეს საშინელი შეკითხვა არ მიუცია და, საერთოდ, ის ამბავი აღარც უხსენებია, პაპა იყო. რაც შეეხება ბიძას, ცნობილ დარდიმანდს, ლოთს, უსაქმურსა და მთელი სოფლის საყვარელ კაცს, იგი წლების შემდეგაც კი, აბელი რომ ათასში ერთხელ სო-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფელში ჩავიდოდა, სიცილით დაჰკრავდაბეჭზე ხელს და ჰკითხავდა:

— არა, მაინც სად მიდიოდი მაშინ?

მერე და მერე, დრო რომ გამოხდა, ზთაბეჭდილებები რომ გახუნდა, გონებამ ბავშვური პრობლემები უკან რომ მოიტოვა და საბოლოოდ ირწმუნა, რომ „წინ“ და „უკან“ თურმე ფორმალური ცნებები ყოფილა და მათი მეშვეობით ისეთი რამის თქმას ვლამობთ, რაც ადამიანურ ენაზე არ ითქმის, აბელს, თვითონაც უკვირდა და ღიმილით კითხულობდა თავის გულში, მართლა სად მივდიოდით.

მაშინ კი ეს კითხვა, რომელიც ყველას პირზე ეკერა, აუტანელი ტკივილით ავსებდა. სწორედ ამ კითხვის გამო იყო, რომ ის სამარცხვინო და ავადსახსენებელი თავგადასავალი დიდხანს არ მიეცა სოფელში დავიწყებას. როგორც კი ცეცხლი მინელდებოდა, მაშინვე გამოტყვრებოდა ვიღაც, ამ გარდუვალ კითხვას ხმელი ტოტივით შეუკეთებდა და ალიც წინანდელივით ტკრციალტკრციალით ავარდებოდა. იმ ხანებში აბელი მეზობელს ან ამხანაგს რომ დაინახავდა, შეშფოთებული აკვირდებოდა და ცდილობდა წინასწარ გამოეცნო, მოსალოდნელი იყო თუ არა ის საშინელი კითხვა. თხაც კი, ბებიას წევრცანცარა, სულელი თხაც, დროდადრო ისეთი გამომცდელი თვალით შემოხედავდა, ეშვი არაა, ლაპარაკი რომ სცოდნოდა, პირველ რიგში იმას ჰკითხავდა, სად მიდიოდით.

მაგრამ დრომ თავისი ქნა, სირცხვილი უწყინარ ხუმრობად იქცა, პრობლემას დავიწყების ფარდა ჩამოეფარა და თავგადასავლისაგან დარჩა მხოლოდ კავშირის ნიშანი, პიროვნების მთლიანობის იდეა.

შემოდგომაზე, აბელი რომ ქალაქში დაბრუნდა, ახალმა პრობლემებმა იჩინა თავი და დაკვირვებები და ექსპერიმენტები განახლდა. მართალია, ამჯერად ექსპერიმენტების ტექნიკურ მხარეს უკვე აღარ ახლდა ისეთი საშიშროებანი, როგორიცაა უფსკრულში გადაჩეხვა, ღამე ტყეში მარტო დარჩენა, ჭინკა და მგელი, მაგრამ ის მთავარი ხიფათი, რომელმაც მაშინ ეგრერიგად შეაშინა დედა, არათუ არ გამქრალა, შესაძლებელია, უფრო გამძაფრდა და გამოიკვეთა. მაშინ, აბელის წასაყვანად რომ ჩამოვიდა სოფელში და ბებიამ, პაპის მძაფრი პროტესტის მიუხედავად, დაწვრილებით და, ცოტა არ იყოს, ზედმეტად მუქ ფერებში უამბო აბელის უდროოდ შეწყვეტილი მოგზაურობის ამბავი, დედამ იტირა და მერე რამდენჯერმე ახსენა (არა შიმშილი, არა მგელი, არა ჭინკა) ორი უცნობი სიტყვა: „ნევროპათოლოგი“ და „ფსიქიატრი“. აბელმა, რომელიც გვერდით ოთახში ჩუმად ისმენდა მთელ საუბარს, ორივე სიტყვა დაიხსომა და ქალაქში ჩასვლისთანავე მათი მნიშვნელობის დადგენას შეუდგა. მეთოდი მარტივი და საიმედო აირჩია: ნაცნობებთან, განსაკუთრებით მოზრდილებთან (უფროსი ძმა რომ არსებულიყო, ცხადია, გაცილებით გაიოლდებოდა საქმე), სასხვათაშორისოდ, ვითომ შემთხვევით, ახსენებდა ამ სიტყვებს და მერე გულმოდგინედ აკვირდებოდა, რას იტყოდა მოსაუბრე. არ შეიძლება ვიღაცა მაინც არ წამოეგოს ასეთ ანკესზე. მალე მართლაც მიაღწია საწადელს და ფრიად და ფრიად გაკვირვებული დარჩა, როცა შეიტყო, რომ დედას, თურმე ნუ იტყვით, იმის შიში ჰქონია, ვაითუ აბელი გიჟიაო.

აბელი გიჟი არ იყო. უბრალოდ, უფროსი ძმა არ ჰყავდა და ამიტომ იძულებული ხდებოდა ყოველი იდეა, რომელიც კი თავში მოუვიდოდა, თვითონვე შეემოწმებინა. თუმცაღა, რაკი დედა ამ საქმიანობას სულ სხვა სახელს არქმევდა (ხოლო, რასაც ერთხელ ამოიჩემებდა, იმას ვერავითარი მტკიცებითა და სალი მოსაზრებით ვერ შეაცვლევინებდი), საჭირო იყო მკაცრი კონსპირაცია. კონსპირაციის საქმეს აბელი იოლად

---

ჯემალ ქარჩხაძე
ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგვარებდა, რადგან დედა საღამომდე არ ბრუნდებოდა სამსახურიდან.

პირველი განახლებული ექსპერიმენტი ფაქტიურად იმ ძველი, სამარცხვინოდ დამთავრებული ექსპერიმენტის გაგრძელებას წარმოადგენდა. ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც სასოწარკვეთილი ფიქრობდა იმის შესახებ, თუ რატომ ხდება, რომ ადამიანი ყოველთვის უკან ბრუნდება, უეცრად გაახსენდა, რომ ეს მხოლოდ სივრცეს ეხება, დროში კი პირიქით ხდება, დროში ადამიანი მუდამ წინ მიდის და არასოდეს უკან არ ბრუნდება. აბელი შეკრთა. დროისა და სივრცის თვისებათა ასეთი დაპირისპირება უცნაური და გაუგებარი ეჩვენა. მართალია, დროსა და სივრცეზე მაშინ ასაკის შესაფერისი წარმოდგენა ჰქონდა, მაგრამ გუმანით გრძნობდა მათი ერთიანობის აუცილებლობას, ხოლო სივრცეში მარადიული უკან მობრუნება და დროში მარადიული წინ მოძრაობა, მისი აზრით, ამ ერთიანობას დარღვევით ემუქრებოდა.

მაგრამ იქნებ მცდარი აზრია ეს აზრი? იქნებ დროშიც შეიძლება უკან მობრუნება?

ექსპერიმენტები ტარდებოდა ეზოს გადაღმა, მეზობლების უცნაურად აჩონჩხლილი სათავსების უკან, სადაც ასფალტი არ ესხა და წვიმიან ამინდში მიწაზე კვალი რჩებოდა, კვალს მნიშვნელოვანი როლი ეკისრებოდა და ამიტომ იდეალური ექსპერიმენტები ზამთარში ჩატარდა, როცა თოვლი მოვიდა.

თოვლზე სუფთა, მკაფიო კვალი რჩებოდა და აბელმა რამდენიმე სრულყოფილი, თუმცა, აქვე ვიტყვით, უნაყოფო ცდა ჩაატარა.

როგორც კი ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა, მაშინვე იმ აჩონჩხლილი სათავსოების უკან გადიოდა. ცდისთვის შეგულებული მონაკვეთის თავში შედგებოდა, გაიტრუნებოდა, საკუთარ არსებას ყურს მიუგდებდა, რათა დაელაგინა და კარგად დაეხსომებინა, როგორი იყო ეს არსება ახლა, ამ მომენტში. მერე წავიდოდა. მიდიოდა თავაწეული, ზომიერი, მტკიცე ნაბიჯით, მონაკვეთის ბოლოში წამით ისევ შეჩერდებოდა და უკუსვლით დაბრუნდებოდა ისე, რომ ზუსტად გამოჰყოლოდა მისივე კვალს. საწყის პოზიციაში დაბრუნებული, ადრინდელივით შედგებოდა, გაიტრუნებოდა, საკუთარ არსებას ყურს მიუგდებდა და ცდილობდა ამ არსების ახლანდელი მდგომარეობა წელანდელისთვის შეედარებინა. ხანდახან ეჩვენებოდა, თითქოს მართლა არაფერი შეცვლილა და ახლანდელი მდგომარეობა იგივე იყო, რაც წელანდელი, მაგრამ მაშინაც კი, როცა ასე ეჩვენებოდა, რომელიღაც ულმობელი გუმანით გრძნობდა, რომ ეს იგივეობა მოჩვენებითი იყო. სინამდვილეში ამ ორ მდგომარეობას შორის გადაულახავი უფსკრული იწვა.

ამგვარად, ცდებს წარმატება არ მოჰყოლია. თუმცა პირველ, სოფელში ჩატარებულ ცდას იმით მაინც სჯობდა, რომ არც არავითარი უსიამოვნება მოუტანია (რაკი დედამ ვერაფერი შეიტყო). ცდებს წარმატება არ მოჰყოლია, მაგრამ რაღაც გუმანი, რაღაც ალღო, რაღაც ინტუიცია დაბეჯითებით არწმუნებდა, რომ იდეა სწორი იყო; უბრალოდ, ცდის ტექნიკა არ იდგა სათანადო სიმაღლეზე. აბელს ეჩვენებოდა, რომ ადამიანს სადღაც, სხეულსა თუ სულში (ეს ორი ცნება არ ყოფილა მკაცრად გამიჯნული) პატარა ბერკეტი უნდა ჰქონდეს. საკმარისია ამ ბერკეტს მიაგნო და გადასწიო, რომ ხელად შეიძინო ის თვისება, რომელიც საჭიროა სივრცეში წინ და დროში უკან სვლისათვის. რაკი ეს ბერკეტი სინამდვილეში ვერ იპოვა, აბელმა მოქმედების ადგილი ოცნებაში გადაიტანა. ძილში ვინმე უცხო და უფორმო სულიერი გამოეცხადებოდა, იმ ნანატრი ბერკეტის ადგილსამყოფელს უჩვენებდა და ისევ გაუჩინარდებოდა. აბელი სასოებით გადასწევდა ბერკეტს და დილით ქვეყნიერებას განაცვიფრებდა იმით, რომ სივრცეში არხეინად გაისეირნებდა წინ, და დროში არხეინად გამოისეირნებდა უკან. ეს ოცნება კარგა ხანს ამარაგებდა აბელს სუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლიერი საზრდოთი. მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ქვეყნიერება რომ საკმაოდ განცვიფრდა, გრანდიოზულმა აღმოჩენამ რომ საყოველთაო აღიარება მოიპოვა, იდეა რომ პრაქტიკაში დაინერგა (თუმცა დიდხანს არ ეთმობოდა სხვებისთვის, დიდხანს მარტო თვითონ დადიოდა ახალი მიმართულებით. საბოლოოდ იძულებული შეიქნა, საიდუმლო გაემხილა და ფარული ბერკეტი ყველასათვის ეჩვენებინა) და ყოველდღიური მოხმარების საგნად იქცა, ოცნებაც ყოველდღიური და ჩვეულებრივი გახდა, გახუნდა და ინტერესი დაკარგა. მაშინ დროისა და სივრცის კვლევამ უკანა პლანზე გადაინაცვლა და ადგილი ახალ იდეას დაუთმო.

ერთხელ, პურის მოსატანად რომ გაგზავნეს, აბელი ეზოს გამოსცდა და ქუჩის კუთხეში შეჩერდა. აქედან პურის მაღაზიამდე ორი გზა მიდიოდა: ერთი, უფრო გრძელი გზა, მთავარ ქუჩას მიუყვებოდა. მეორე, შედარებით მოკლე, ახლად აშენებული მაღალი სახლის ღია ეზოზე გადიოდა. ამ გზებს შორის რაიმე პრინციპული სხვაობა არ ყოფილა. ერთადერთი ის იყო, რომ მოზრდილები, როგორც წესი, მთავარი ქუჩით დადიოდნენ პურზე, ბავშვები მოკლეზე გადასვლას ამჯობინებდნენ. აბელი იდგა კუთხეში და ფიქრობდა. აქამდე მხოლოდ დროის მოგებაზე ზრუნავდა და ამიტომ ყოველთვის მოკლე გზით დადიოდა. ახლა კი უცებ საინტერესო აზრი გაუჩნდა: რა მოხდება, გრძელი გზით რომ წავიდეს? შეიცვლება თუ არა ერთბაშად ყველაფერი: აბელის მომავალი ცხოვრებაც, ქვეყნიერებაც, მთელი სამყაროც? რატომ ცხოვრებაშიც ისე არ უნდა იყოს, როგორც ზღაპარში: „ვინც აქეთ წავიდეს, ველარ დაბრუნდეს, ვინც იქით წავიდეს, გვიან დაბრუნდეს...“ თითოეული ნაბიჯი უნდა წყვეტდეს კაცის ბედს. მარჯვნივ გადადგამ ნაბიჯს, ასე აეწყობა ცხოვრება, მარცხნივ გადადგამ, ისე აეწყობა. არჩევანი შენს ხელთაა.

აბელმა გადაწყვიტა ახლავე გამოეყენებინა არჩევნის ეს თავისუფლება და მკვეთრად შეეცვალა თავისი ცხოვრება. ამ მიზნით გრძელი გზით წასვლა დააპირა. მაგრამ პირველი ნაბიჯი რომ უნდა გადაედგა, შეჩერდა. მართლა გრძელი გზით წასვლა შეცვლის ცხოვრებას? მართლა ჩვენს ხელთაა არჩევანი? იქნებ რაღაც ისეთი ძალაა საქმეში ჩარეული, რომელიც სამყაროს დარაჯობს, და ის გვაიძულებს მუდამ ისეთი გზით ვიაროთ, რომ არაფერი შეიცვალოს და სამყარო რაიმე ხიფათს არ გადაეყაროს? იქნებ დღეს ისეთი დღეა, რომ სწორედ მოკლე გზა შეუქმნიდა სამყაროს ხიფათს და ამიტომ შეაჩერეს აბელს ასეთი ფიქრები! აიძულებენ გრძელი გზით წავიდეს, რათა სამყარო გადაარჩინონ!

ეჭვებით შეპყრობილმა გადაწყვიტა მოკლე გზით წასულიყო. მაგრამ ბოლო წამს ისევ ყოყმანი დაიწყო. იქნებ სწორედ ახლა უშვებს შეცდომას? იქნებ წელანდელი გადაწყვეტილება სამყაროს უხილავმა დარაჯმა კი არ შემოაჩეჩა, არამედ თვითონვე მოუვიდა აზრად? სამყაროს დარაჯმა კი მომდევნო ეჭვები გაუჩინა, რათა სამყაროს შემცვლელ გადაწყვეტილებაზე ხელი აეღებინებინა? აბელი დაიბნა (საქმე ისა, რომ რეალური გზაჯვარედინებს, ზღაპრული გზაჯვარედინებისაგან განსხვავებით, წარწერები არა აქვს). ბოლოს ისევ გრძელი გზით წავიდა. ნელა მიდიოდა, ყურადღებით აკვირდებოდა საკუთარ თავსა და სამყაროს. უკანაც ასევე ნელა დაბრუნდა. ცვლილებები არ შეუმჩნევია. მეორე დღეს სუფთა წერაში ორიანი მიიღო და ერთხანს დაბეჯითებით ცდილობდა ეს ფაქტი განეხილა, როგორც კარდინალური ცვლილებების დასაწყისი, მაგრამ მალე იძულებული შეიქნა, ამ მოსაზრებაზე უარი ეთქვა. სხვა რომ არაფერი, წინა კვირაში მიღებული ორიანი მჭევრმეტყველურად ლაღადებდა, რომ აქ პრინციპულად განსხვავებული მიზე-

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

## ქარავანი

ზები მოქმედებდნენ და გრძელი გზით სიარული ართულ შუაში იყო. ექსპერიმენტი თითქოს ამით უნდა დამთავრებულიყო, მაგრამ აბელს იდეა არ ეთმობოდა და ჯიუტად განაგრძობდა დაკვირვებებს ახალ-ახალი საშუალებებით. ხან ერთი გზით დადიოდა პურის მოსატანად, ხან მეორე გზით. ხან სწავლობდა გაკვეთილებს, ხან არა. ხელს იწევდა, როცა გაკვეთილი არ იცოდა, ამხანაგის ზურგს უკან იმალებოდა, როცა იცოდა.

ცხოვრება კი არ იცვლებოდა. ცხოვრება ძველებურად დუნე იყო, უსახური და მოსაწყენი. ვინ იცის, იქნებ იცვლებოდა კიდეც, იქნებ თავდაპირველი ჩანაფიქრის მიხედვით, მძაფრი და ბობოქარი ცხოვრება უნდა გაევლო და აბელმა თვითონვე შეცვალა იგი თავისი რომელიმე ნაბიჯით, რომელიც, იმის ნაცვლად, რომ მარჯვნივ გადაედგა, მარცხნივ გადადგა? თუ არჩევანი მართლა შენს ხელთაა და შენი მომავლის შეცვლა შეგიძლია, მაშინ უნდა იცოდე კიდეც, როგორია ეს მომავალი, რომელსაც შეცვლას უპირებ. იქნებ არც ღირდეს შეცვლა? აბელის ექსპერიმენტები პასუხს ვერაფერზე ვერ იძლეოდნენ.

ეროვნული

ამაფორიაქებელი კითხვა იდგა, როგორც მტრის ციხე-სიმაგრე, რომლის აღება აბელის ძალ-ღონეს აღემატებოდა. ამ კითხვაზე რომ პასუხი გაიცეს, ან წარწერები უნდა იყოს გზაჯვარედინზე, ან არადა, უნდა შეგეძლოს ერთდროულად გრძელი გზითაც წახვიდე პურის მაღაზიაში და მოკლე გზითაც. თუ შედარების საშუალება არ მოგეცა, ვერასოდეს ვერ გაიგებ, შენ თვითონ იღებ გადაწყვეტილებას და, საითაც მოგესურვება, იქით დგამ ნაბიჯს, თუ შენს არჩევანს რაღაც უცხო ძალა წარმართავს, რაღაც უცხო ძალა გაიძულებს იმ გზით იარო, რომელიც იმთავითვე გაიჭრას შენთვის.

ამგვარად, კითხვა კითხვად დარჩა.

მიუხედავად ამისა, აბელი დიდხანს განაგრძობდა თავის უიმედო დაკვირვებებს და ალბათ კიდევ უფრო დიდხანს გააგრძელებდა, მის ცხოვრებაში რომ მოულოდნელად ჭექა-ქუხილი არ ამტყდარიყო.

## თავი მეორე

ჭექა-ქუხილმა ისე უეცრად მოუსწრო, წარღვნამ ისე ერთბაშად მოწყვიტა მიწას და გაიტაცა, რომ აბელმა გაკვირვებაც ვერ მოასწრო, თორემ კეთილსინდისიერ ექსპერიმენტატორს არ შეიძლებოდა ასეთ დროს ეჭვი არ გასჩენოდა: იქნებ ეს ექსპერიმენტის შედეგია, ნანატრი ცვლილებაა, და იგი რომელიმე მარცხნივ გადადგმულმა ნაბიჯმა გამოიწვია? მაგრამ წარღვნამ ფიქრის დრო არ დაუტოვა. წარღვნამ ელვის უსწრაფესად ალგავა პირისაგან მიწისა ყველაფერი, რაც მანამდე იყო, და ელვის უსწრაფესად აავსო მთელი სამყარო.

წარღვნა, რომელსაც სახელად ნატო ერქვა, სიყვარულის სახით მოვიდა...

მეზობლებმა ახალი ბინა მიიღო.

პატარა, ოვალური ფორმის, მოასფალტებული ეზოს ირგვლივ ექვსი ოჯახი ცხოვრობდა. რაც აბელს თავი ახსოვდა, ამ ძველებურ, ორსართულიან სახლში არც არავინ მომკვდარა, არც არავინ დაბადებულა, არც არავინ გადასულა და არც არავინ გადმოსულა. ჩვეულებრივ და ყოველდღიური პრაქტიკა ისეთი რამაა, არათუ ბავშვებს, ჩვენც კი, ჭკუადამჯდარ ხალხს ხშირად გარდაუვალობისა და მარადიულობის ილუზიას გვიქმნის. მეზობელთა ნაცნობი სახეები აბელისათვის ისეთივე მოუშორებელი და აუცილებელი ნიშანი იყო, როგორც წყლის ონკანი ეზოს ბოლოში, როგორც სარეცხგადაცლილი შუშაბანდები, როგორც ახორხლილი სათავსები.

მაგრამ ეს, ცხადია, მცდარი შთაბეჭდილებაა და მართლაც, ერთ მშვენიერ დღეს, მეზობელმა, რომელიც აბელის

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მოპირდაპირე მხარეს ცხოვრობდა, ისე რომ ვიწრო ეზოთი გაყოფილი მათი შუშაბანდები თვალებში უყურებდა ერთმანეთს, ახალი ბინა მიიღო.

მეზობელი გადავიდა და მეორე დღეს ახალი მეზობლები გადმოვიდნენ.

შუადღისას საბარგო მანქანა ღმუილით შემოვიდა ეზოში და ბარგი შემოიტანა.

აბელი შუშაბანდის ფანჯრიდან უყურებდა, როგორ გადმოჰქონდათ ბარგი მანქანიდან და როგორ შეჰქონდათ სახლში შავგვრემან, გრძელულვაშა, ჯანიან მუშებს.

ახალი მობინადრეები ცოლ-ქმარი იყვნენ. კაცი, დაბალი, სქელი, ქაჩალი, ფეხებში ებლანდებოდა ახოვან მუშებს და ხელს უშლიდა. ქალი ქმარზე ცოტა უფრო მაღალი იყო, ცოტა უფრო გამხდარი და ცოტა უფრო ლამაზი. და იმ ნახევარი საათის განმავლობაში, სანამ ბარგს აბინავებდნენ, ყველაფერი მოასწრო: მუშებსაც კარგად უხელმძღვანელა, რათა ბარგი მთელი და უვნებელი შეეტანათ სახლში, ქმარსაც ეჩხუბა და მეზობლებიც გაიცნო.

ბოლოს საქმე მოთავდა, ბრგე მუშები მარდად აცვივდნენ ძარაზე და მანქანა ღმუილით მიეფარა თვალს.

ცოლ-ქმარმა კარი დაკეტა და სადღაც წავიდა. საღამოს ტაქსით მოვიდნენ და ჩემოდნები, ჩანთები და სხვა წვრილმანი ბარგი მოიტანეს.

მაგრამ ამჯერად მარტო არ მოსულან. თან ერთი ახალგაზრდა გოგო ახლდათ, რომელიც, როგორც შემდეგ გამოირკვა, მათი შვილი იყო და რომელსაც, როგორც შემდეგ გამოირკვა, სახელად ნატო ერქვა.

ახალმა მეზობლებმა მშვენივრად შეავსეს ის ჩარჩო, რომლიდანაც ძველი სურათი იქნა ამოღებული, და მალე ისეთივე ნაცნობი, ახლობელი და ილუზიურად შეუცვლელნი გახდნენ, როგორიც მათი წინამორბედები იყვნენ.

ერთი სიტყვით, გადანერგვის ოპერაციამ თითქოს მშვიდობიანად ჩაიარა.

სხვებისთვის თითქოს კი არა, მართლა მშვიდობიანად ჩაიარა.

ოღონდ არა აბელისათვის.

აბელის გულში ერთ მშვენიერ დღეს (თუკი ამას „მშვენიერი დღე“ შეიძლება ეწოდოს) ნატომ გრძნობათა ისეთი კორიანტელი დააყენა, შუადღის სიცხეში სოფლის შარაგზაზე საბარგო მანქანა რომ ჩამოგიქროლებს, მტვერში გაგხვევს და მერე ერთხანს, როგორც ბურანში, ისე დააბიჯებ ამ ბინდივით ჩამოწოლილ ბუღში.

მაშინ აბელი ათი წლისა იყო, ნატო — ცხრამეტის.

აბელს თავდავიწყებით შეუყვარდა ნატო.

სად, როდის და რატომ დაიბადა სიყვარული, ცნობილი არ არის. საერთოდ, არ არის ცნობილი, თუ სად, როდის და რატომ იბადება სიყვარული, რადგან კაცობრიობის ისტორიაში ჯერ არ გამოჩენილა ის ადამიანი, ვინც წარმატებით დაშლის სიყვარულს შემადგენელ ნაწილებად და მის მექანიზმში გაერკვევა.

სამაგიეროდ მეხსიერებამ სათუთად შემოინახა ის ეპიზოდი, როცა აბელმა პირველად გაიცნობიერა სიყვარულის ტკბილი, მძლავრი და დამარეტიანებელი ბიძგი.

ეს მოხდა ზაფხულის ერთ თბილ საღამოს, როცა ნატომ საერთო სახლის პატარა, ოვალურ ეზოში, თავის თანატოლებზე მსუბუქად, უმწეოდ და ცოტა სასაცილოდ გაბრაზებულმა, შუბლი შეიჭმუხნა, ფეხი გაცხარებით დააბაკუნა და მხრები აიჩეჩა (უფრო აიწურა, ვიდრე აიჩეჩა). აბელი ამას თავისი შუშაბანდის ფანჯრიდან უყურებდა.

ნატო და მისი ტოლი გოგო-ბიჭები „სიტყვობანას“ თამაშობდნენ. ეს ცოცხალი და საინტერესო თამაში აბელსაც ძალიან უყვარდა. ვინმე რაიმე სიტყვას ჩაიფიქრებს და იტყვის ამ სიტყვის პირველ ასოს. მეორე მეორე ასოს იტყვის, მესამე — მესამეს და ასე შემდეგ. ვი-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზეც სიტყვა დამთავრდება, ის წაგებულია (ამიტომ როცა, მაგალითად, ნათქვამია „თარ“ და შენი ჯერია, კი არ უნდა დაიბნე და, „ი“ კი არ უნდა თქვა, არამედ უნდა გაიხსენო, რომ სიტყვა თარის გარდა, არსებობს სიტყვა „თარგიც“. იტყვი „გ“-ს და გადარჩები). ერთხელ თუ წააგე „შ“ ხარ, მეორე წაგებაზე „შტ“ ხარ. ხუთჯერ რომ წააგებ, უკვე დასრულებული „შტერი“ ხარ და თამაშიდან გადიხარ. მოფიქრების ვადა ოცამდე დათვლაა. სანამ შენ ფიქრობ, მსაჯი ხმამაღლა ითვლის.

თამაში ხალისიანად, ხმამაღალი სიცილ-ხარხარით მიდიოდა.

— „ფ“— დაიწყო მორიგი სიტყვა ერთმა.

— „ა“ — განაგრძო მეორემ.

— „რ“ — თქვა მესამემ და სიტყვა უკვე გამოიკვეთა. მესამეს ეჭვი არაა „ფარი“ ჰქონდა მხედველობაში.

— „დ“! — წამოიძახა მეოთხემ იმ დროს, როცა მსაჯმა თორმეტამდე დაითვალა.

მეხუთე, ნატო იყო.

ნატო დაფიქრდა, თითი შუბლზე მიიდო და სივრცეს გახედა.

მსაჯი ითვლიდა.

ნატო აწრიალდა.

— ჩვიდმეტი, თვრამეტი, ცხრამეტი, ოცი! — დაამთავრა მსაჯმა.

იმავ წამს ნატომაც წამოიძახა:

— „უ“, „უ“! ფარდული!

— რაღა დროსია! — მიაძახეს აქეთიქიდან. — „შტე“ ხარ!

და მაშინ ნატომ ამხანაგებზე (შესაძლებელია, თავის თავზე) მსუბუქად, უმწეოდ და ცოტა სასაცილოდ გაბრაზებულმა შუბლი შეიჭმუხნა, ფეხი გაცხარებით დააბაკუნა და მხრები აიჩეჩა (უფრო აიწურა, ვიდრე აიჩეჩა).

ახლა, როცა ამ სიშორეს ვართ და ყველაფერი ცოდნის ულმობელი არშინით იზომება, სრული საფუძველი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ამ ფეხის დაბაკუნებასა და მხრების აჩეჩვაში მსუბუქი გაბრაზებისა და უმწეო პროტესტის გარდა, იყო წმინდა ქალური კეკლუცობა, შესაძლებელია, გაუცნობიერებელი და სარკის წინ დაუმუშავებელი, მაგრამ მაინც კეკლუცობა. იმ დროს კი, როცა აბელი ათი წლისა იყო და შუშაბანდის ფანჯრიდან იყურებოდა, ნატოს ქცევაში დაინახა მხოლოდ მომნუსხველი შინაგანი სიწმინდე, თითქოს სული გამოსულიყოს სხეულიდან და სხეულის ფორმა მიეღოს.

იმ ღამეს აბელმა დიდხანს იტრიალა ლოგინში და, შუაღამე ალბათ კარგახნის გადასული იყო, როცა ჩაეძინა. მეორე დილით კი, არითმეტიკის გაკვეთილზე, ბეჯითად და გაცხარებით უმტკიცებდა საკუთარ თავს, რომ ნატო გუშინ კი არ შეჰყვარებია, არამედ ადრეც უყვარდა, თავიდანვე უყვარდა, ყოველთვის უყვარდა. მართალია, ეს დასკვნა სწორედ იმით იყო საეჭვო, რომ მტკიცება სჭირდებოდა, მაგრამ აბელს მაშინ ამდენი არ ესმოდა და ამიტომ ისტორიის გაკვეთილზეც გულმოდგინედ განაგრძობდა მათემატიკის გაკვეთილზე დაწყებულ მტკიცებას.

მაშინ ჯერ კიდევ არ ვიცოდით ის, რაც დღეს კარგადაა ცნობილი: ერთი შეხედვით სრულიად უმნიშვნელო შემთხვევას შეუძლია ულრმესი და თავდაუწყეველი სიყვარული დაბადოს. და, საერთოდ, სიყვარული მუდამ ასეთ უბრალო და შეუმჩნეველ დეტალებზე აღმოცენდება ხოლმე. აბელმა ეს არ იცოდა და, ასე ეგონა, ფეხის ბაკუნზე და მხრების აჩეჩვაზე დამყარებული სიყვარული შეურაცხმყოფელი სიყვარულია. იგი ნატოს შეურაცხყოფდა. ნატო გუშინს აქეთ ხატად იქცა და მისი შეურაცხყოფა არ შეიძლებოდა. ხატს დარაჯად უნდა დაუდგე, რათა არაფერი უხეში, არაფერი მდაბალი, არაფერი ყოველდღიური და თუნდაც ადამიანური არ მიეკაროს. ხატს მტვერი უნდა გადაწმინდო და, როცა კედელზე გიკიდია კედელსაც უნდა გადაწმინდო მტვერი. ხატის ირგვლივ ყველაფერი სუფთა უნდა იყოს.

და აბელი, ფხიზელი რაინდი, ერთგულ დარაჯად დაუდგა სატრფოს ხატს.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

(სამწუხაროდ, დარაჯს ყველაფერი არ შეუძლია. მაგალითად, ნატოს მამა, რომელიც შაბათობით, როგორც წესი, მთვრალი მოდიოდა, და, სანამ შინ შევიდოდა, ერთხანს საერთო ეზოში უწყინარი და გულკეთილი ღიმილით იგინებოდა, ხატის აშკარა შეურაცხყოფა იყო. აბელი ვერაფრით ვერ აკავშირებდა ამ კაცს, ვისაც ასეთი ბილწი სიტყვები ამოსდიოდა პირიდან, ხატის სიწმინდესთან და ეს უპასუხო კითხვა დიდხანს აწვალებდა).

ამგვარად, აბელი სიყვარულის წარღვნამ წაიღო და სიყვარულის ტალღებზე აატივტივა.

დაიწყო საოცნებო სპექტაკლი, უთვალავჯერ ერთი და იმავე რეჟისორული ხერხებით დადგმული, უთვალავჯერ გამოსახვის ერთი და იმავე საშუალებებით შესრულებული, მარად ძველი და მარად ბანალური. და მაინც ყველა გამოცდილების წამლეკავი, გულის შემძვრელი და თავბრუდამხვევი, მარად ახალი და მარად ერთადერთი.

სათვალთვალო კოშკი შუშაბანდი იყო. უფრო ზუსტად, ფარდასა და ფარდას შორის დარჩენილი ვიწრო სამზერი. აბელი ამ სამზერთან დაბანაკდა და მის შემდეგ თავისი ახალგაზრდა სიცოცხლის დიდ ნაწილს აქ ატარებდა. მოპირდაპირე შუშაბანდი აქედან ხელის გულივით ჩანდა. იქ ფარდა იშვიათად ჰქონდათ გაფარებული და აბელი თავისი საიმედო საფრიდან ხშირად უყურებდა ნატოს. უყურებდა, როგორ კითხულობდა ნატო, როგორ საუბრობდა, როგორ იცინოდა და როგორ ამშრალებდა თეფშებს. ორჯერ (ო, ღმერთო!) ჰერანგისამარამაც კი გაიელვა შუშაბანდის სიღრმეში და აბელმა ორივეჯერ სწრაფად აარიდა თვალი (რადგან სიყვარული წმინდაა და ამაღლებული). როცა ნატო კიბეზე გამოჩნდებოდა, აბელი მყისვე ტოვებდა სათვალთვალო კოშკს და ეზოს მიაშურებდა. თუ ნატო ფრენბურთის სათამაშოდ ჩამოდიოდა ეზოში, აბელი ყოველი ღონით ცდილობდა მის გუნდში მოხვედრილიყო და, თუ საწადელს მიაღწევდა, ბურთს ყოველთვის მას აწვდიდა. თუ ბედი არ გაუღიმებდა და მოწინააღმდეგე გუნდში აღმოჩნდებოდა, ხანმოკლე, მაგრამ ბობოქარი შინაგანი ბრძოლის შემდეგ (მძიმე ბრალდებაა, მაგრამ სიმართლეზე თვალს ვერ დავხუჭავთ) საკუთარ გუნდს ღალატობდა და ვითომ ვერ იღებდა ბურთებს, რომელთა მიღება სინამდვილეში ადვილად შეეძლო. საბედნიეროდ, თანაგუნდელები ყველაფერს მის მოუქნელობას აბრალებდნენ და საშინელ სიმართლეს ვერ ამჩნევდნენ. როცა ნატო საგარეოდ ჩაცმულ-დახურული გამოვიდოდა, აბელი მაშინაც ტოვებდა საფარს და კისრისტეხით გამორბოდა ეზოში, რათა გამარჯობა ეთქვა და ახლოდან შეეხედა სახეში თავისი ღვთაებისათვის, ხოლო თუ ნატო გამოელაპარაკებოდა, იმდენი მოეხერხებინა, რომ ჭიშკრამდე მიჰყოლოდა.

ნატოს ყოველ დანახვაზე ენით გამოუთქმელი სიხარულით ივსებოდა და სულიერი და ფიზიკური ძალების ისეთ მოზღვავებას გრძნობდა, რომ მზად იყო, თუნდაც ასჯერ გაგზავნოდა დედას მაღაზიაში.

ერთადერთი დარდი მომავალი ზაფხული იყო.

მართალია, წინ თითქმის მთელი წელიწადი იდო, მაგრამ გრძნობდა, ეს „მთელი წელიწადი" თვალის დახამხამებაში გაირბენდა, არდადეგების დრო დადგებოდა, სოფელში გაგზავნიდნენ და მთელი სამი თვე ვერ ნახავდა თავისი გულის დარდს. ამის გაფიქრებაზე აუტანელი სევდა შემოაწვებოდა და თვალზე ცრემლი მოადგებოდა.

თვითონ ნატო რაღას ფიქრობდა?

მასაც უყვარდა აბელი, თუ აბელის სიყვარული ცალმხრივი და უიმედო იყო?

თავიდან აბელს გულუბრყვილოდ სწამდა, რომ მისი სიყვარული, ცალკე.

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
ქარავანი

დამოუკიდებლად აღებული. უკვე ნიშნავდა ბედნიერებას, და ეს საეჭვო კითხვა აქე პირდაპირ არასოდეს დაუსვამს. ვინ იცის, იქნებ ეშინოდა ამ კითხვის. ან იქნებ ეს კითხვაც მკრეხელობად და ხატის შებღალვად მიაჩნდა.

როცა ღრუბლებში დავცურავთ, მართლა კი არ გვავიწყდება, არამედ მხოლოდ ვუმალავთ თავს, რომ დაბლა მიწა გველოდება. ეს უეცრობით მოგვდის, რადგან დამალვა შეუძლებელია. საერთოდ, ცნება „დამალვა" ხელოვნური, მოგონილი ცნებაა.

ამიტომ ის საშიში კითხვა ყოველთვის არსებობდა. ბუნდოვნად, ნახევრად გაუცნობიერებლად, მაგრამ მაინც არსებობდა. არსებობდა, როგორც სახლიდან გაგდებული ძაღლი, რომელიც გამწარებული აფხაჭუნებს კარზე და შემოსვლას ცდილობს.

უყვარდა თუ არა ნატოს აბელი?

ახლა ეს კითხვა სევდიან ღიმილს გვგვრის. ახლა, ამსიშორიდან, ცოდნისა და გამოცდილების გარდაუვალი ცოდვებით დამძიმებულები იმასაც კი ვვარაუდობთ, რომ ნატომ ქალური ალღოთი იგრძნო აბელის სიყვარული. რომელსაც სინამდვილეში, შესაძლებელია, სხვა სახელი უფრო შეეფერებოდა. იგრძნო და გაუცნობიერებლად, ისევ ქალური გუმანით, ისეთი მიზეზების გამო, რომლებიც ქალის ფსიქიკის ულრმეს ფენებშია ჩამარხული, ჩაეჭიდა ამ მორწმუნე სიყვარულს, არ გაუშვა და დრომდე და ვადამდე შეინარჩუნა, მტკიცედ დაიჭირა ანგარებიანი ხელით ის თოკი, რომელზედაც ერთგული ძაღლი იყო გამობმული. რისთვის სჭირდებოდა ეს, რატომ გააკეთა, ღმერთმა იცის. თუმცა ყოველივე ეს მერმინდელი ვარაუდია. მაშინ კი ასეთი მკრეხელური აზრები, ცხადია, აბელის გულს არ გაეკარებოდა და არც გაჰკარებია. აბელი არ მოითხოვდა პასუხს, აბელი მხოლოდ ბუნდოვნად ნატრობდა რაღაცას, რაც ღვთის წყალობას უფრო ჰგავდა, ვიდრე სატრფოს პასუხს.

ასეთი ნატვრა ლოცვაში ჰპოვებდა ხოლმე სადინარს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

აბელმა არ იცოდა, როგორ ლოცულობენ ეკლესიაში, მაგრამ ღამით, ძილის წინ, თავის პატარა ოთახში, თვალდახუჭული წარმოიდგენდა ღმერთს და ლოცულობდა ისე, როგორც მისი აზრით, ლოცულობენ ეკლესიაში.

ლოცვის ფორმულები არ შემონახულა. თუ ზოგადი შინაარსის მიხედვით ვიმსჯელებთ, აბელი მოითხოვდა, რომ ღმერთს თავისი მფარველობის ქვეშ ჰყოლოდა ნატო, ეს ამაღლებული და წმინდა არსება, ეს მტვერში ამოსული ვარდი. მოწყალების კალთა გადაეფარებინა და ყოველი ღონე ეხმარა, რათა ეს უმშვენიერესი არსება მარად ამაღლებული, მარად წმინდა და მარად ბედნიერი ყოფილიყო. გარდა ამისა, ღმერთის მოვალეობაში შედიოდა აგრეთვე, დროდადრო აბელისათვის საშუალება მიეცა ხატის ხილვით დამტკბარიყო.

(უნდა ითქვას, პირველ ხანებში ღმერთი ამ მისიას მართლაც ღვთაებრივი კეთილსინდისიერებით ასრულებდა).

ნატო რაღას ფიქრობდა? თანაუგრძნობდა თუ არ თანაუგრძნობდა აბელის დიდ სიყვარულს?

ამ კითხვაზე ერთმნიშვნელოვანი პასუხი არ მოგვეპოვება. სამაგიეროდ ქალვაჟის ურთიერთობიდან ცნობილია ზოგიერთი ისეთი დეტალი, საიდანაც დაინტერესებულ მკითხველს გარკვეული (თუმცა, ცხადია, არა სავსებით სარწმუნო) დასკვნების გამოტანა შეუძლია.

კერძოდ, ცნობილია, რომ იმ მარადმოსაგონარი საღამოს შემდეგ, როცა ნატომ შუბლი შეიჭმუხნა, ფეხი დააბაკუნა და მხრები აიჩეჩა, იგი აშკარად და დაუფარავად ანიჭებდა უპირატესობას აბელს დანარჩენი ბავშვების წინაშე: თამაშის დროს პირველ რიგში ირჩევდა პარტნიორად, ღიმილით ესალმებოდა და ხშირად ემასლაათებოდა კიდეც, ორჯერ კინოშიც წაიყოლია. როცა მაღაზიაში მიდიოდა, ხშირად თან იახლებდა ხოლმე. და არა მარტო მაშინ, როცა აბელი საფრიდან გამოვარდებოდა, რათა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შეხვედრის შესაძლებლობა ხელიდან არ გაეშვა. არაერთხელ, აბელი რომ რაღაც მიზეზის გამო სათვალთვალო კოშკში არ იმყოფებოდა, ნატოს თვითონ დაუძახია და უთხოვია, ამა და ამ ადგილას მივდივარ და, თუ გცალია (თუ გცალიათ, ღმერთო!), წამომყევი, მარტო წასვლა მეზარებაო. ზოგჯერ საღამოობით შინაც ესტუმრებოდა და მთელი საათი რჩებოდა აქ აბელთან და დედამისთან.

ცხადია, ამ მონაცემებიდან (განსაკუთრებით თუ ამ მონაცემებს ერთად თავმოყრილს განვიხილავთ) მართლა შეიძლებოდა შორსმიმავალი დასკვნების გამოტანა, მაგრამ აბელი მთლიანად თავის სიყვარულში იყო გახსნილი. და მის არსებაში პიროვნება აღარ დარჩენილა. ხოლო თუ პიროვნება არ გაგაჩნია, მაშინ არც ის პატივმოყვარეობა გაგაჩნია, რომელმაც შენთვის სასარგებლო დასკვნები უნდა გააკეთოს. აბელი მხოლოდ იმას გრძნობდა დროდადრო, რომ ფერად ღრუბლებში იწვა, როგორც გიგანტურ ჰამაკში, და ნეტარი გრძნობით ირწეოდა სამყაროში.

გვაგონდება კიდევ ერთი ეპიზოდი, რომელმაც კინაღამ ამომწურავი პასუხი გასცა იმ მომაკვდინებელ კითხვას.

ერთხელ ნატო და აბელი საიდანღაც ერთად დაბრუნდნენ. ეზოში მოზრდილი გოგო-ბიჭები თუთის ქვეშ მერხზე ისხდნენ და მხიარულად მასლაათობდნენ. ნატოს და აბელის დანახვაზე ერთმა მათგანმა ხმამაღლა წამოიძახა:

— შეხედეთ, შეყვარებულები მოდიან!

აბელი შეკრთა. გაწითლდა. იქვე მოისაზრა, რომ გაწითლება უფრო გაამჟღავნებდა მის ხვაშიადს, და შეეცადა სიწითლე სახიდან ჩამოერეცხა. ამის გამო კიდევ უფრო გაწითლდა. თანაც გულში საიდუმლოს გამჟღავნების ხიფათის გარდა, შეურაცხყოფის ბალღამიც ტრიალებდა: სიტყვა „შეყვარებული" შეიძლება სხვებისთვის შესაფერისი გამოთქმა ყოფილიყო, მაგრამ ნატოს ხატსა და ღვთაებას, იგი ჩვეულებრივ-ბისა და ყოველდღიურობის ჩირქს სცხებდა.

ნატომ გაიცინა. გაიცინა მხიარულად, გულღიად, ლაღად.

— გასკდით გულზე, შურიანებო!

აბელი ვერ მიხვდა, ეს პასუხი, უხეშად, ადამიანთა ენაზე რომ ვთქვათ, „ჰოს" ნიშნავდა თუ „არას". აბელს სული უცახცახებდა. მის გაუცნობიერებელ არსებას უდიდესი შიშით ეშინოდა, ეს საუბარი არ გაგრძელებულიყო, და უდიდესი ნატვრით ენატრებოდა, ეს საუბარი არ შეწყვეტილიყო.

საუბარი სხვა თემაზე გადავიდა.

ამ ყოვლისმომცველ და (როგორც აბელს სწამდა) მარადიულ სიყვარულს ერთი ხინჯი ახლდა. ნატო აბიკოს ეძახდა. ეს მწარე და გარდაუვალი ტკივილი იყო. იმის თქმას, ცხადია, ვერ ბედავდა, აბელი დამიძახეო. ერთადერთი ისღა დარჩენოდა, თავის ფიქრებში და ოცნებებში დუმილით აევლო გვერდი ამ საჩოთირო პრობლემისათვის.

ბურუსში შეხვეული ნეტარება კარგა დიდხანს გაგრძელდა. მაგრამ, როგორც ვიცით, ცხოვრებას ასეთი წესი აქვს: ერთი ჭიქა შარბათს რომ შეგასმევს, მერე ერთ ჭიქა სამსალას მიგაყოლებინებს.

განსაკუთრებული სიმკაცრითა და თანმიმდევრულობით ცხოვრება ამ წესს სატრფიალო-სამიჯნურო სფეროში იცავს.

ის ლაზღანდარა მეკონდიტრე, რომელმაც ფქვილში ამოგანგლული გრძელი, თეთრი ხალათითა და უტიფარი ღიმილით შემოაბიჯა აბელის სიყვარულში, მეზობელ ქუჩაზე ცხოვრობდა.

აბელი მარტო იყო ეზოში და კნუტს ეთამაშებოდა. დაჭმუჭნულ, დაგორგოლავებულ ქაღალდზე გრძელი ძაფი ჰქონდა მობმული; ძაფის ბოლო ხელში ეჭირა. ქაღალდს მიწაზე დაღებდა. კნუტი ფორთხვით, სიფრთხილის ყველა წესის დაცვით წამოეპარებოდა ქაღალდს.

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ სულ ახლოს რომ მივიდოდა, თავს აღარ ესხმოდა. გაწვებოდა ქალალდის წინ, ნახტომისთვის გამზადებული, და უცნაური გამომეტყველებით, თითქოს რაღაც უკვირსო, მიაჩერდებოდა. მაშინ აბელი ძაფს მოსწევდა. კნუტი, რაკი დაინახავდა, ქაღალდი გაქცევას აპირებსო, სწრაფად ისკუპებდა და დაედევნებოდა. თუ დაიჭერდა, სულ ცოტა ხანს ათამაშებდა წინა თათებით და ისევ გაუშვებდა, რათა კვლავ დადევნების საშუალება ჰქონოდა. ორივენი — აბელიცა და კნუტიც. მშვენივრად ერთობოდნენ, როცა უეცრად აბელის გულმა ძგერას უმატა. გული პირველი გრძნობდა ნატოს გამოჩენას. მართლაც, აიხედა თუ არა აბელმა, დაინახა ნატო, რომელიც სახლიდან გამოსულიყო და კიბეზე ეშვებოდა.

— გამარჯობა, აბიკო! — შემოსცინა ნატომ.

— გაგიმარჯოს, — მიუგო აბელმა, რომელიც ამ დროისათვის უკვე ბედს შერიგებული იყო და „აბიკოს" შედარებით მშვიდად ისმენდა.

— შენია ეგ კნუტი? — ნატო ახლო მივიდა.

— არა. გუშინ საღამოს გამოჩნდა საიდანღაც და აქ დარჩა. პატარაა ჯერ. ამ ძილით რძე დავალევინე.

— რა ლამაზი ყურები აქვს! — ნატო კიდევ უფრო ახლო მივიდა. — ფისო, ფისო...

კნუტმა მტრულად შეხედა და უკან დაიხია. ნატოსაც აღარ გამოუდევნია თავი. ისევ აბელს მიუბრუნდა:

— წამო, საკონდიტროში წამომყევი. ნამცხვარი მინდა ვიყიდო. წამომყვები?

— კი. — აბელი წასასვლელად გაემზადა.

— ხელები გადაიბანე, კატის ბეწვები არ გქონდეს.

აბელს გული უკვდებოდა, როცა ნატოს დამოკიდებულებაში ისეთი ინტონაცია და ისეთი ქცევა იჩენდა თავს, რომელიც დედას აგონებდა. ბოლოს და ბოლოს დედა დედაა და სატრფო სატრფოა. მაგრამ უკვე იმდენი გამოცდილება ჰქონდა დაგროვებული, [illegible] იცოდა, სიყვარული ისეთი რამაა, რაც ღვთაებრივი ნეტარების საფასურად ყოველდღიურად ითხოვს მსხვერპლის გაღებას. ამიტომ უხმოდ და მორჩილად მივიდა ონკანთან, ხელები დაიბანა და ხალათზე შეიწმინდა.

საკონდიტროში არავინ იყო, არც მყიდველი და არც გამყიდველი. მაგრამ როგორც კი ნატო და აბელი შევიდნენ, დახლს უკან კარი გაიღო და თეთრხალათიანი ბიჭი გამოვიდა. აბელმა მაშინვე იცნო. ზედა ქუჩაზე ცხოვრობდა და საღამოობით ფეხბურთს თამაშობდა უბნის სტადიონზე.

— ლამაზ ქალიშვილებს ურიგოდ ვემსახურებით, — უტიფარი ღიმილით თქვა ბიჭმა.

აბელს გულმა რეჩხი უყო და მუცლის არეში რაღაც უცნაურმა სიმხურვალემ დაუარა. ეს ბიჭი იქაც არ მოსწონდა, სტადიონზე, თუმცა გულში იძულებული იყო ეღიარებინა, რომ ფეხბურთს კარგად თამაშობდა. რაღაც ორგანულ ანტიპათიას გრძნობდა მის დანახვაზე. რას ემყარებოდა ეს ანტიპათია, არ იცოდა. არც ახლა იცოდა, რატომ იყო მისი ქათინაური ასე უსიამოვნო, მაგრამ ბუნდოვნად ხვდებოდა, რომ ასეთი მდაბალი და ჭუჭყიანი ქათინაური წმინდა ხატს შეურაცხყოფდა.

ეჭვიანობაზე ჯერჯერობით არავითარი ცნობიერი წარმოდგენა არ ჰქონდა.

ყველაზე მწარე მაინც ის იყო, რომ ნატომ მეკონდიტრის ნათქვამზე ედართდელად გაიცინა.

— როცა რიგი დგას, მაშინაც ურიგოდ ემსახურებით?

— ყოველთვის, — მტკიცედ მიუგო მეკონდიტრემ. მეტი დამაჯერებლობისთვის თავიც გაიქნია და დაუმატა: ყოველთვის, ყოველ წუთს, ყოველ წამს.

— გამყიდველად დაგაწინაურეს? — ღიმილით ჰკითხა ნატომ და ეს ღიმილი მწარე ტკივილად ჩაეღვარა აბელს გულში. იმავ წამს მიხვდა, რომ ნატო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

და ეს ბიჭი ერთმანეთს იცნობდნენ. ამან ჯერ თითქოს შვება მოჰგვარა, მერე კი უფრო ააფორიაქა.

მეკონდიტორე უტიფარი ღიმილით მისჩერებოდა ნატოს.

— დამცინით. — თქვა ბოლოს და რატომღაც საანგარიშოზე ერთი კოჭი ჩააგდო. — მაგრამ თქვენ ყველაფერი გეპატიებათ.

— ნახევარი კილო ქადა და ნახევარი კილო ნაპოლეონი, — უთხრა ნატომ.

— ჯერჯერობით ფქვილის ტომრებს ვათრევ მანქანიდან საცხობამდე, — თქვა მეკონდიტრემ და კიდევ ერთი კოჭი ჩააგდო. — მაგრამ ზაფხულში პოლიტექნიკურ ინსტიტუტში ჩავაბარებ და ხუთ წელიწადში საქართველოში პირველი ინჟინერი ვიქნები. გზების მშენებელი ინჟინერი. — თან პარკი აილო და შიგ ნამცხვრის ჩალაგება დაიწყო. — საგანგებოდ თქვენთვის გავიყვან საუკეთესო გზას და ზედ ფიანდაზად გაგეგებით.

ნატომ ისევ გაიცინა.

აბელს გულ-მუცელი უდუღდა. ასეთ ბრიყვულ მდგომარეობაში ჯერ არასოდეს ჩავარდნილა. შენს წმინდა ხატს შენივე თანდასწრებით ეარშიყებიან, შენ კი სულელივით დგახარ პირდალებული და არ იცი რა ქნა: გინდა ჩაერიო, მაგრამ, გრძნობ, ამით თავს უფრო სასაცილოს გაიხდი.

(აბელი თავის გულს ასკდებოდა, ის კი არ იცოდა, რომ ასეთ სიტუაციებში მერეც კი, როცა მრავალი წელი გაივლის და დიდი გავიზრდებით, ვერ ვატყობთ ხოლმე, სად გადის ის ზღვარი, როცა უკვე შეგვიძლია საქმეში ჩავერიოთ და იმის შიში არ გვქონდეს,ვაითუ, სასაცილოები შევიქნეთო.

ამ დროს ლაზღანდარა მეკონდიტრე აბელს მოუბრუნდა:

— ბიჭო, შენს გაზრდას, ერთი ის პატარა გირი მომაწოდე...

სიბრაზისა და შეურაცხყოფისაგან აბელს თვალთ დაუბნელდა.

მაგრამ მთავარი საშინელება მერე მოხდა:

როცა გირებამ შეურაცხყოფა მთელი სიგრძე-სიგანით გაიაზრა, აბელმა საშინელი ტკივილით აღმოაჩინა, რომ გირი უკვე მიეტანა და მიეწოდებინა მეკონდიტრისათვის.

გულ-მუცელი ისე დუღდა, როგორც ცეცხლზე შემოდგმული ლობიო.

და აბელს ახლა არაფერი უნდოდა. გარდა იმისა, რომ ამ ბილწსა და ლაზღანდარა მეკონდიტრეს კიდევ დაეკლებია რამე, კიდევ ერთხელ დაესაქმებია. რეაბილიტაციისა და შურისძიების სხვა გზას აბელი ვერ ხედავდა.

მაგრამ მეკონდიტრეს აბელი აღარ გახსენებია. ნამცხვარი აწონა, ნატოს ფული გამოართვა და უთხრა (თან საანგარიშოზე მესამე კოჭი ჩააგდო):

— იცოდეთ, ჩემი სიყვარული უკვდავია.

აბელს უკვდავი მხოლოდ თავისი სიყვარული ეგონა.

მაგრამ ეს უკვდავი სიყვარული ახლა შეურაცხყოფილი და გაწბილებული იყო.

საკონდიტროდან რომ გამოვიდნენ, ერთგული ქუროში ფეხათრევით გაჰყვა გვერდით თავის შეგინებულ ხატს.

აბელმა იცოდა სევდაცა და დარდიც, ტანჯვაცა და წუხილიც, ტკივილიცა და წამებაც, მაგრამ დღეს ცხოვრებამ განსაკუთრებით დიდი სასმისით შეასვა სამსალა. ახლა მთელი სხეული შხამით ჰქონდა გაჟღენთილი და დანა პირს არ უხსნიდა. ცოცხალ-მკვდარი ძლივს მიაბიჯებდა და ისეთი გრძნობა ჰქონდა, თითქოს მხრებზე რაღაც აუტანლად მძიმე ტვირთი ედო, რომელიც, საცაა იყო, წაასრესდა და გასრესდა. ცხოვრება იყო ბნელი და გახუნებული სენით შეპყრობილი. თითქმის [illegible] უთქვამს, ქალი სანდო არ არისო. მაგრამ აბელს დღემდე არ სჯეროდა. ახლაც ამ შემთხვევაში ის კი მაინც იმედოვნებდა, სწამდა, რომ ეს ნათქვამი ნატოს თაობაზე არ ეხებოდა. ახლაც კი ვერ [illegible]

---

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რებოდა. თურმე რა მწარედ ცდებოდა!

ნატომ მალე შეამჩნია აბელს უგუნებობა და ჰკითხა:

— რა იყო, აბიკო, რა დაგემართა?

და ამ შეკითხვის უდარდელ-გაკვირვებულ კილოზე აბელი საბოლოოდ დარწმუნდა, რომ ქალი ყველა ქალია და არც ერთი მათგანი სანდო არაა.

აბელმა განზე გაიხედა.

— არაფერი, — მიუგო ოდნავ ყრუ ხმითა და ისეთი გულგრილი ტონით, რომელიც ნიშნავდა: „კმარა თვალთმაქცობა! შენ უკეთ უნდა იცოდე, რაც დამემართა!“

მაგრამ ნატომ არ იცოდა. ყოველ შემთხვევაში, თავი ისე ეჭირა, ვითომ არ იცოდა, და ამჯერად ხმაში შეშფოთების კილო (ჰმ!..) გამოურია:

— ხომ არაფერი გტკივა?

აბელმა ქვედა ტუჩი მოიკვნიტა და გუნებაში მწარედ, ძალიან მწარედ გაეცინა. უნდოდა ეთქვა, გული მტკივაო (ოღონდ დაბეჯითებით არ იცოდა, „გული“ აჯობებდა თუ „სული“, რადგან ეს ორი ცნება ერთმანეთში ერეოდა), მაგრამ თავი შეიკავა. რა აზრი აქვს აქ ლაპარაკს, როცა იცი, მაინც ვერ გაგიგებენ!

აბელი თბილად იყო გახვეული თავის დარდსა და შეურაცხყოფაში და ცოტა გაკვირვებული და ცოტა შეფიქრიანებული ატყობდა, რომ ეს დარდი და შეურაცხყოფა თანდათან რაღაც ისეთს ჰგვრიდა, რაც ძალიან ჰგავდა სიამოვნებას (ამ დროს მან ჯერ კიდევ არ იცის, რომ ბავშვი მწუხარებას გაზვიადების გზით ნეტარებად აქცევს და, ვინც ამ თვისებას მერეც შეინარჩუნებს, ის მერეც ნეტარია).

ხოლო ნატომ, რაკი პასუხი ვერ მიიღო, ხელი მკლავში გამოსდო (ო, ეს ქალები, ეს ცრუ და ორპირი არსებანი! მაინც რა ალღოთი პოულობენ იმ ერთადერთ საშუალებას, რომელიც გვაიძულებს მათი სიცრუე და ორპირობა, ესოდენ ცხადი და ეჭვმიუტანელი, ერთბაშად დავივიწყოთ?!) და ბექით მიეკრო. და რამდენს არ ეცადა აბელი თავის დიდი შეურაცხყოფა და გულის (ან, შესაძლებელია, სულის) ტკივილი შეენარჩუნებია, ცხადად, ლამის ფიზიკურად ხედავდა, როგორ შრებოდა ეს ტრაგიკულად მშვენიერი, ამაღლებული ტანჯვა და როგორ იკავებდა მის ადგილს სულელურად აკუნტრუშებული სიხარული.

სიყვარული გადარჩა. მაგრამ იმ დღეს აბელმა პირველად იგრძნო ადამიანის სიძულვილი. ის გაუცნობიერებელი ანტიპათია, რომელიც ლაზღანდარა მეკონდიტრის მიმართ ადრევე ჰქონდა. სახედასრულებულ სიძულვილად იქცა. აბელი მეკონდიტრეს მოსისხლე მტრად თვლიდა, და, როგორც ეს მომავალ შემოქმედს შეეფერება, არაერთხელ გასწორებია მას მკაცრად და ულმობლად თავის ოცნებაში.

რეალურ ურთიერთობას ცოტა სხვაგვარი სახე ჰქონდა. იმ დღის შემდეგ აბელი საკონდიტროში აღარ შესულა. ცდილობდა საკონდიტროს წინაც კი არ ჩაევლო. როცა მოსისხლე მტრის სახეს შეეყრებოდა, თვალს არიდებდა. ეს გაუგებარი და შემაშფოთებელი ფაქტი იყო და, თუმცა აბელი გულმოდგინედ გაურბოდა ამაზე ფიქრს, ბოლომდე გაქცევას მაინც ვერ ახერხებდა. იცოდა, რომ თვალს სიძულვილის გამო არიდებდა, მაგრამ ზოგჯერ ეჩვენებოდა, თითქოს ამ სიძულვილს შიშის ფერი დაჰკრავდა. ცხადია, შიში გამორიცხული იყო. შესაშინებელი რა სჭირდა, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, იმ მეკონდიტრემ ხომ არ იცოდა აბელის გულის ნადები! მაშასადამე, არც მისი რაყიფობა იცოდა. არა, შიში გამორიცხული იყო. მაშ რა ერქვა იმ ღრმა, შორეულ, ქვენა გრძნობას, რომელიც აბელის სიძულვილში იყო შერეული, გადამწყვეტ როლს ასრულებდა მეტოქისათვის თვალის არიდებაში და აბელის პიროვნებას (ბევრიც რომ ვმალოთ, მაინც არაფერი გამოვა, რადგან დამალვა, როგორც ითქვა, მოგონილი ცნებაა) სამარცხვინო ლაქად ედო?

(ამ მართლაც ძალიან ღრმად დაფარუ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლი, კარგად შენილბული ბერკეტის მიგნება მაშინ, მრავალი წლის წინ, შეუძლებელი იყო. ახლაც კი, მრავალი წლის შემდეგ, საკმაო გაბედულება გჭირდება საიმისოდ, რომ საკუთარ თავს თვალი გაუსწორო და ხმის აუკანკალებლად თქვა: როცა შეურაცხყოფილი თვითონ გაურბის შეურაცხმყოფელთან შეხვედრას, ეს იმის ნიშანია, რომ მისგან ინტელიგენტი იზრდება).

ცხოვრება უცნაურად აჩონჩხლილი ჯაჭვია. ერთხელ ის ლაზლანდარა მეკონდიტრე ისე სცემეს, ძვალი და რბილი გაუერთიანეს.

საღამოვდებოდა. დიდი ბიჭები ფეხბურთს თამაშობდნენ უბნის სტადიონზე, პატარები მოედნის პირას ისხდნენ, მაგრამ არა იმდენად საყურებლად, რამდენადაც იმის იმედად, რომ იქნებ დიდებს მალე მოეთავებინათ თამაში და თვითონაც მოესწროთ ცოტა ფეხის გამართვა. მაგრამ დიდებს გოლის გატანა უჭირდათ და, როცა თამაშს მორჩნენ, უკვე ბინდი წვებოდა.

მოთამაშეთაგან ზოგი მაშინვე წავიდა, დანარჩენები მოედნის კუთხეებში მიმოიფანტნენ, ბალახზე დასხდნენ და ოფლის შეშრობას ელოდებოდნენ. ლაზლანდარა მეკონდიტრემ თავისი ტანსაცმელი აიღო, წამოვიდა და, თითქოს ჯიბრზე, პატარების იმ ჯგუფის მახლობლად დაჯდა, სადაც აბელი იყო. აბელი უსიამოვნოდ შეიშმუშნა და ოდნავ უკანაც კი გაიჩოჩდა. კიდევ კარგი, მეკონდიტრე მათკენ ზურგშექცევით დაჯდა. იჯდა ასე ოდნავ უკან გადაწეული და ზურგს უკან ხელებით მიწას დაყრდნობილი.

ამ დროს მოედანზე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ხუთი ბიჭი შემოვიდა. მართალია, სულ სხვადასხვანაირები იყვნენ — ერთი უფრო მაღალი, მეორე უფრო დაბალი, მესამე უფრო მსუქანი, მეოთხე უფრო გამხდარი —მაგრამ ხელები ერთნაირად ეწყოთ ჯიბეებში, ერთნაირად მოირწეოდნენ და სახეზე ერთნაირად ხაზგასმული უდარდელი გამომეტყველება ჰქონდათ. ნელა მოდიოდნენ, აუჩქარებლად. კარის ძელთან მოლაპარაკებულებივით შეჩერდნენ. მერე ერთი თავგადახოტრილი, კეფაგაბრტყელებული, ყურებდაცქვეტილი ბიჭი გამოეყო დანარჩენებს, წამოვიდა და ისეთივე ნაბიჯით, ისეთივე გამომეტყველებით, ისევ ისე ჯიბეებში ხელებჩაწყობილი მიუახლოვდა ლაზლანდარა მეკონდიტრეს. მეკონდიტრეს არ შეუმჩნევია, სადღაც ზემოთ იყურებოდა.

— მეგობარო! — ისეთი გაბრტყელებული კილოთი, ისე მარცვალ-მარცვალ ამოღერღა თავგადახოტრილმა, თითქოს პირიდან წყვეტილი ხაზი ამოიძრონო.

აბელი მიხვდა, რომ აქ რაღაც ანგარიშსწორება გაიმართებოდა, და გულში სიამოვნების ნაპერწკალი აუკიაფდა. მის მოსისხლე მტერს თავად ღმერთმა მოუვლინა დამსჯელი ექსპედიცია.

მეკონდიტრემ ნელა მოაბრუნა თავი და ახედა. პასუხი არ გაუცია. მაშინ თავგადახოტრილმა მხრები რაღაც უცნაურად შეჰყარა, იდაყვში მოხრილი მარცხენა მკლავი მაღლა ასწია, ხელის მტევანი გაფარჩხული თითებით ოდნავ შეარხია და წყვეტილი ხაზის მომდევნო მონაკვეთი ამოიძრო პირიდან:

— სიტყვა მაქვს შენთან.

მეკონდიტრე არ შერხეულა, ერთხანს უხმოდ უყურა. მერე ისე მოულოდნელად, ისე ერთბაშად, ერთიანი მოძრაობით წამოხტა ზეზე, რომ თავგადახოტრილი შეკრთა, მაღლა აწეული ხელი ჩამოუვარდა და უნებურად ნაბიჯი უკან გადადგა.

— რას მიბრძანებთ? — ჰკითხა მეკონდიტრემ და გაუღიმა.

— რა უნდა გიბრძანო... — წყვეტილი ხაზი ნელა, ტაატით ამოდიოდა პირიდან. — შენ იმ გოგოს თავს არ დაანებებ?

მეკონდიტრე, რომელსაც თავგადახოტრილის ამალა ჯერ არ შეემჩნია, ღიმილით უყურებდა. ბოლოს ჰკითხა:

— ცხვირს შენ თვითონ მოიხოცავ, თუ მე მოგხოცო?

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყვეტილი ხაზი შედარებით სწრაფად ამოცურდა პირიდან:

— შენ როგორ მელაპარაკები! — ამჯერად თავგადახოტრილმა მარჯვენა მკლავი იდაყვში მოხარა და მუშტი საკუთარ ბეჭთან მიიტანა.

— რა იყო, კოტორ? — გაისმა ამ დროს და ჯიბეებში ხელებჩაწყობილი ოთხეული მოქმედების ადგილისაკენ წამოვიდა.

მეკონდიტრემ მაშველ რაზმს გახედა, იმავ წამს ღიმილი მოშორდა სახეზე და კოტორას მოწყვეტით ლეწა ყბაში.

კოტორა დაეცა. მაშველმა რაზმმა ჯიბიდან ხელები ამოიღო და სირბილით წამოვიდა.

მეკონდიტრე დიდხანს ყოჩაღად იბრძოდა, მაგრამ რიცხობრივმა სიჭარბემ მაინც თავისი ქნა. ცოტა ხნის შემდეგ იგი ძირს ეგდო, ირგვლივ გაცოფებული ხუთეული ეხვია და გამეტებით ურტყამდნენ წიხლებს. თან (ალბათ აზარტი რომ არ დაცხრომოდათ) დროდადრო რომელიმე მათგანი ხმამაღლა შესძახებდა:

— მოკალი, მაგის!..

შურისძიების სიამოვნება უკვალოდ გაქრა. აბელი ახლა ცივ ოფლში ცურავდა, გული გამალებით უცემდა და მთელი სხეული უხურდა. მეკონდიტრე რომ წაიქცა და მოწინააღმდეგეები ირგვლივ შემოეხვივნენ, მოედანს მოავლო თვალი და გაოცებითა და უცნაური ტკივილით შენიშნა, რომ დიდი ბიჭები ერთიანად გაკრეფილიყვნენ. როდის წავიდნენ, ვერ მიხვდა.

და უცებ თვითონ კი არა, მის არსებაში მოულოდნელად აღმოცენებულმა რაღაც უცხო ძალამ ხმამაღლა დაიძახა:

— მილიცია მოდის!

იმავ წამს ხუთეული დაიშალა. ხუთივე სხვადასხვა მხარეს გაიქცა. გარბოდნენ სწრაფად, კისრისტეხით, უკანმოუხედავად, და მალე თვალს მიეფარენ.

სცენაზე დარჩა ლაზღანდარა მეკონდიტრე. იგი პირქვე იწვა. მოკუნტული იყო, ხელები თავზე დაეფარებინა და არ ინძრეოდა.

მოედანზე რამდენიმე პატარა ბიჭილა იყო დარჩენილი და არც ერთმა მათგანმა არ იცოდა, რა ეღონა.

ბოლოს მეკონდიტრე შეინძრა და ნელ-ნელა წამოჯდა. ერთხანს იჯდა უძრავად, თვალდახუჭული, მერე წამოდგა, მოედნის გვერდით ონკანთან მივიდა, პირი დაიბანა, უკანვე მობრუნდა თავის ტანისამოსთან, ხალათით შეიმშრალა სახე, ტანთ ჩაიცვა და ბიჭებს მიუახლოვდა. აბელმა ახლაღა გაარჩია მისი დალილავებული, შეშუპებული სახე.

მეკონდიტრემ ბიჭები შეათვალიერა და გაიღიმა. უცნაური სანახავი იყო ღიმილი ამ სახეზე, რომელიც სახეს აღარ ჰგავდა.

— რომელმა დაიძახეთ, მილიცია მოდისო?

აბელი მიწას დასჩერებოდა. მის მაგივრად სხვამ უპასუხა:

— ამან, — და ხელი აბელისკენ გამოიშვირა.

მეკონდიტრე აბელს დააკვირდა.

— კაი კაცი ხარ, —უთხრა.

და ნელი, დაღლილი ნაბიჯით წავიდა.

ამის შემდეგ რამდენიმე დღის განმავლობაში აბელს გულში საამოდ ულიტინებდა ტკბილი სიამაყე, გამოწვეული იმით, რომ განსაცდელში ჩავარდნილ მოსისხლე მტერს დახმარების ხელი გაუწოდა. ოღონდ ეს იყო, ამ სიამეს ერთგვარ ჩრდილს აყენებდა სირცხვილის უცნაური შეგრძნება. აბელმა არ იცოდა, რა იყო ამაში სამარცხვინო, მაგრამ ფაქტია, რცხვენოდა, რომ ერთხელ დაძრული კეთილშობილური გრძნობა ვეღარ შეაკავა და ლაზღანდარა მეკონდიტრის სიძულვილი საერთოდ ამოიძირკვა მისი გულიდან.

ნატო კი არც აბელს გაჰყოლია ცოლად, არც ლაზღანდარა მეკონდიტრეს და არც ყურებდაცქვეტილ კოტორას. სულ სხვას გაჰყვა — ვიღაც ჰალსტუხიან და შლაპიან აყლაყუდას.

აბელმა რომ გაიგო, ნატო თხოვდებაო, არ დაიჯერა. მაგრამ ერთ დღეს, სასიძო უნდა მოვიდესო, და, მთელი ეზო დიდიან-პატარიანად შეშაბანდე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბის ფანჯრებს მიაწყდა. უფრო აქტიური და უცერემონიო დედაკაცები ეზოშიც გამოეფინენ. სასიძო მართლა მოვიდა — შლაპიანი, ჰალსტუხიანი და ინდაურივით გაფხორილი. თან მოხუცი ქალებისა და კაცების მთელი ხროვა ახლდა. აბელი თავისი სამალავიდან უყურებდა ბედნიერ მეტოქეს და გული უკვდებოდა. ბოლოს, როცა ქორწილის დღე დაითქვა და იმედის უკანასკნელი ნაპერწკალიც ჩაქრა, აბელმა გადაწყვიტა გლოვა გამოეცხადებინა. გადაწყვეტით კი გადაწყვიტა, მაგრამ შესრულება, ცოტა არ იყოს, ძნელი გამოდგა. საქმე ისაა, რომ ოფიციალურ ენაზე ნატოს მაინც უცხო ერქვა (ო, ღმერთო!). ესა და ზოგიერთი სხვა (მათ შორის ასაკთან დაკავშირებული) გარემოებანი აშკარა გლოვასა და დაღუპული სიყვარულის ხმამაღალ დატირებას გადაულახავ დაბრკოლებად ელობებოდნენ. მაშინ აბელმა ფარული გლოვა გამოაცხადა. მალე დარწმუნდა, რომ ეს უკეთესიც იყო, თუ გავითვალისწინებთ, რომ ქვეყნად ისეთი კაცი მაინც არ მოიძევებოდა, ვინც მის ვარამს გაიგებდა. საკერებლების ძველ ფუთაში შავი ხავერდის ნაჭერი იპოვა, მრგვალად, პალტოს ღილის ოდენად გამოჭრა და სასკოლო ფორმის პიჯაკს შიგნიდან გამოაკერა (იქნებ, საერთოდ, ასე სჯობდეს კიდეც! უკეთესი არაა შავი ნაჭერი, გლოვის სიმბოლო, გულთან რომ ახლოს იქნება?!) და გლოვას შეუდგა. დადიოდა სახემოქუფრული ნელი ნაბიჯით (როცა აგონდებოდა, ხელებს ზურგს უკანაც იწყობდა ხოლმე), სუნთქავდა მძიმედ, ისე რომ დაკვირვებულ კაცს მასში ოხვრის ნიშნები შეემჩნია, ლაპარაკობდა დაბალი, სევდიანი ხმით, არ თამაშობდა, არ იცინოდა და ყოველმხრივ ცდილობდა, მნახველზე ავადმყოფის შთაბეჭდილება მოეხდინა (ამაში აშკარად უშლიდა ხელს სახის ჯანმრთელი ფერი, რომელსაც ვერაფერი მოუხერხა და ამიტომ სარკეში საკუთარი გამოსახულების დანახვა სინდისის ქენჯნას ჰგვრიდა). ცხადია, გლოვა იოლი არ არის, როცა ხედავ, რომ სხვები ხმამაღალი ჭყივილით დასდევენ ბურთს, ყირაზე გადადიან და, საერთოდ, მშვენივრად ატარებენ დროს. მაგრამ სამაგიეროდ ისიც ცნობილი შეიქნა, რომ გლოვა, რაც უფრო ძნელია, მით უფრო საპატიოა. გლოვამ უმაღლეს წერტილს ქორწილის დღეს მიაღწია. სუფრა ეზოში იყო გაშლილი. ისმოდა სიმღერა, ყაყანი, სიცილ-ხარხარი. აბელი კი, მარტოსული კაცი, მტრისა და მოყვრისაგან მოძულებული, გალიაში გამომწყვდეული ნადირივით მიმოდიოდა თავის პატარა ოთახში და შუშაბანდში გასვლასაც კი მკაცრად უკრძალავდა თავის თავს. იმას, რასაც მაშინ განიცდიდა, გულში „მოუშუშებელ ჭრილობას" უწოდებდა. რაღაც უცნაური, უსახელო და მოუხელთებელი ძალა მთელ სხეულში დაძრწოდა და სხეულის ერთიანობას საშინელი ტკივილით არღვევდა და თიშავდა. ცხადი იყო, ამ ტკივილს აბელი დიდხანს ვერ გაუძლებდა. ხოლო, რაკი ვერ გაუძლებდა, მაშასადამე.. მოკვდებოდა. და ეს გრძნობა, სიკვდილის სიახლოვის გრძნობა, შურისძიების უცნაურ სიამოვნებას ანიჭებდა. მოვიდოდა თმაგაშლილი ნატო აბელის საფლავზე (სიძე, დარცხვენილი და სინანულით შეპყრობილი, საფლავთან მისვლას ვერ გაბედავდა და შორიახლო შედგებოდა თავჩაქინდრული), ცალ მუხლზე დაიჩოქებდა, გაირინდებოდა მწუხარე და შესაბრალისი (თავის კუბოში არხეინად გაშოტილი აბელი რაღაც უცნაური, მწუხარე სიამოვნების ღიმილით უყურებდა ყოველივე ამას ქვემოდან), მერე თვალებიდან ორად ორი ცრემლი (თითო თვალიდან თითო) ჩამოუვარდებოდა და იმ ადგილას, სადაც ეს ცრემლები დაეცემოდნენ, ორი ვარდი ამოვიდოდა...

ქვემოთ, ეზოში, მხიარულად ხმაურობდნენ მექორწილეები, ხოლო ზემოთ აბელის პატარა ოთახი უნუგეშო სევდით იყო სავსე. აბელმა ფანჯარაც კი ჩაკე-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ტა, რომ ეს სევდა არსად წასულიყო. დადიოდა ცოცხალ-მკვდარი, დაათრევდა აქეთ-იქით თავის გაუხარელ ყმაწვილკაცობას და ცდილობდა. იმით ენუგეშებია თავი, რომ ნატო ბედნიერი იყო (სიყვარული ხომ თავგანწირვაა. და თუ ნატო ბედნიერია, აბელი უშიშრად შეეგებება სიკვდილს და მშვიდი მორჩილებით შევა მის მარადიულ წყვდიადში).

მეორე დღეს აბელმა შეძრწუნებით შენიშნა, რომ მის დიდ განცდას, მის „მარად მოუშუშებელ ჭრილობას“ სიმძაფრე დაჰკარგოდა. რაღაც დაკლებოდა, რაღაც გაუფერულებულიყო, რაღაც დაპატარავებულიყო, როგორც ნაწვიმარი გუბე დაპატარავდება, მზე რომ დააჭერს. ამ მოულოდნელმა აღმოჩენამ სასოწარკვეთილებაში ჩააგდო. დიდხანს ბეჯითად და თავგანწირვით ცდილობდა უკანვე მოეხმო, აღედგინა და შეენარჩუნებინა თავისი მომაკვდინებელი დარდი. უცნაური კია, მაგრამ ისეთი გრძნობა გაუჩნდა, თითქოს აქამდე სწორედ ის დარდი აცოცხლებდა, რომელსაც, რაც შეიძლება მალე უნდა მოეკლა. აბელი გააფთრებით ებღაუჭებოდა „მარად მოუშუშებელ ჭრილობას“. წარმოიდგინა თავისი დიდი სიყვარულის უსახელო დამხობა, ცხოვრების ამაოება, მარტოობა, სულიერი ობლობა. მაგრამ რამდენს არ წვალობდა, „მარად მოუშუშებელი ჭრილობა“ ულმობლად, დაუნდობლად შუშდებოდა. მესამე დღეს დიდი და ნეტარი სევდისაგან ფერმკრთალი აჩრდილიღა დარჩა. მერე ისიც გაქრა. აბელი საკუთარი გამოცდილებით რწმუნდებოდა, რომ ქვეყნად არაფერი მარადიული არ არსებობს. სიყვარული ჭორი ყოფილა. მართალია, ერთხანს კიდევ ასაზრდოებდა თავის მწუხარებას იმით, რომ ნატოსთან შეხვედრას გაურბოდა. მაგრამ ბოლოს, როცა ეს შეხვედრაც შედგა და ნატომ (შეცვლილი ჩანდა, გამოხედვა თითქოს უფრო ნაზი ჰქონდა და სახეზეც რაღაცნაირი, თბილი იერი გადაჰფენოდა) ღიმილით უსაყვედურა, რატომ არ მოხვედი ქორწილში, განა ჩემი ბედნიერება არ გაგეხარდაო (ო, ბედნიერებავ! როგორ ირქმევ ასეთ სახელს შენ, ვინც სხვის უბედურებაზე ხარ აღმოცენებული!), უკანასკნელი ნუგეშიც გაქრა და ცხოვრებამ ყოველდღიური, უფერული, უინტერესო სახე მიიღო.

ორი დღის წინ იმის წარმოდგენაც კი შეუძლებელი იყო, რომ აბელს თუნდაც ნახევარი საათი ეცოცხლა ისე, ნატო არ გახსენებოდა და ამ გახსენების ყოვლისწამლეკი სიხარული სამყაროს მხიარულ და ხასხასა ფერებად არ მოსდებოდა. ორი წლის შემდეგ კი უკვე იმის წარმოდგენა იყო შეუძლებელი, რომ ნატომ, ამ ფაფუკლაბაბიანმა, ფაშფაშა დედაკაცმა, სიმსუქნისგან თვალები ძვლივსლა რომ უჩანდა, ამ მარადიულმა დიასახლისმა, ტყუპი ქალის დედამ, რომელიც საღამოობით ქმრის ხალათით, ქმრის ფეხსაცმელებით და კმაყოფილი, მაძღარი სახით ჩაჯდებოდა ხოლმე დანარჩენ დედაკაცებში, ხმამაღლა ჭორაობდა და უცნაურად დაბოხებული და რაღაც უსიამო, თითქოს უცენზურო ხმით იცინოდა, ერთ დროს აბელის გულში ასეთი მძაფრი ქარიშხალი ააყენა და ესოდენ მშვენიერი და ესოდენ ტრაგიკული განცდები უბოძა.

ამის შემდეგ, სანამ ძველი, მშობლიური სახლი არ აიღეს და მეზობლების ნაცნობი სახეები მთელ ქალაქში არ მიმოიფანტა, აბელის ცხოვრებაში ყველაზე მნიშვნელოვანი და საინტერესო ეპიზოდი მირიანთან მეგობრობა იყო.

## თავი მესამე

აბელი მეშვიდე კლასში იყო, როცა მირიანი მის სკოლაში გადმოვიდა. სექტემბერში, სწავლის დაწყებისას გადმოვიდა, დეკემბერში უკვე აბელის მეგობარი გახდა, სასწავლო წლის ბოლომდე იმეგობრა და მოკვდა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

პირველ სექტემბერს ბავშვები, ჩვეულებისამებრ, შედარებით ადრე მივიდნენ სკოლაში, ერთმანეთი მიიკითხ-მოიკითხეს, იყაყანეს, გასული არდადეგების მნიშვნელოვანი ამბები გაიხსენეს და ის იყო, ზარის ხმაც გაისმა, რომ კარის ზღურბლზე უცხო ბიჭი გამოჩნდა. ბიჭი მაღალი იყო, სათვალიანი და უსაშველოდ გამხდარი. სახეზე ისეთი ფერი ედო, თავის დროზე ამაოდ რომ ნატრობდა შეყვარებულის ლალატით სასოწარკვეთილი აბელი. ზედ ზღურბლზე წამით შეჩერდა, კარზე გაკრულ ფირნიშს („მე-7 ბ") ახედა და ბოლოს შემოვიდა. აქ, ძნელი სათქმელია, ფირნიშის მონაცემებს არ ენდო თუ, უბრალოდ, რაღაც რომ ეთქვა, იკითხა:

— ეს მეშვიდე „ბ"-ა, არა? — და შეკითხვა რომ უმისამართო არ გამოსვლოდა, მარიკას შეხედა, რომელიც ამ დროს კართან ყველაზე ახლოს იდგა.

მარიკამ თავისი დიდრონი, ბრიალა თვალები შეანათა.

— კი, — უთხრა. — მეშვიდე „ბ"-ა, — თან თვალი არ მოუშორებია.

ბიჭმა ყურადღება არ მიაქცია მარიკას ცნობისმოყვარე მზერას, ნელა მიტრიალდა. აუჩქარებლად გაიარა მთელი საკლასო ოთახი და სულ ბოლო მერხთან შეჩერდა. ჩანთა მერხზე დადო.

კლასში სიჩუმე იყო. ყველანი უცხო ბიჭს მისჩერებოდნენ.

ბოლოს დიდთავა გერონტიმ, რომელიც ერთხელ მესამე კლასში იყო დარჩენილი, ერთხელ — მეოთხეში და ერთხელაც — მეექვსეში, ყველას მაგივრობა იკისრა, უცნობს მიუახლოვდა და ჰკითხა:

— შენ ვინა ხარ?

— ადამიანი ვარ, — მიუგო ბიჭმა და ახლა თვითონ ჰკითხა: — აქ ზის ვინმე?

— არა, — უთხრა გერონტიმ. — იგი კოტა დაბნეული იყო. — რა გქვია?

— მირიანი. შენ?

— გერონტი, — უთხრა გერონტიმ და გაწითლდა. იგი ყოველთვის წითლდებოდა, როცა სახელს ეკითხებოდნენ.

ამასობაში გაკვეთილიც დაიწყო. პირველი ისტორია ჰქონდათ. ისტორიის მასწავლებელს კლასის ხელმძღვანელი შემოჰყვა, ბავშვებს მიესალმა, ახალი სასწავლო წლის დაწყებასთან დაკავშირებით სიტყვა წარმოთქვა (ციკნაველიძემ ეს სიტყვაც ჩაიწერა და მერე, შარშან წარმოთქმულ სიტყვას რომ შეადარეს, ერთი წინადადება აღმოჩნდა შეცვლილი). ბოლოს თქვა:

— წელს ერთი მოსწავლე შეგემატათ — და მირიანს მიუბრუნდა: — გაიცანი უკვე ახალი ამხანაგები?

მირიანი წამოდგა.

— გავიცნობ თანდათან. ჯერჯერობით აგერ, ბიკენტი გავიცანი.

კლასში გამაყრუებელი სიცილი გაისმა. ისტორიის მასწავლებელი სწრაფად შეტრიალდა და ფანჯარაში დაიწყო ცქერა. კლასის ხელმძღვანელი დაძაბული ცდილობდა სერიოზული სახე შეენარჩუნებინა. გერონტი ჭარხალივით გაწითლებული იჯდა, მომუშტული ხელები მერხზე ეწყო და სულელურად ახამხამებდა თვალებს. თვითონ მირიანი — მაღალი, უფერული, სათვალიანი, უცხოდ იდგა, გულგრილ სახეზე ოდნავი გაკვირვება ეხატა და ვერ მიმხვდარიყო, რომ ისტორიული შეცდომა დაუშვა, რომელიც კიდევ დიდხანს იცოცხლებდა მას შემდეგ, რაც თვითონ ამქვეყნად აღარ იქნებოდა.

სიცილი რომ მიწყნარდა, ხელმძღვანელმა აუხსნა:

— მაგას ბიკენტი კი არა, გერონტი ჰქვია.

— გერონტი? ა! დიახ, დიახ, გერონტი. — და ოდნავ მიტრიალდა გერონტისკენ. — მაპატიეთ, შემეშალა.

გერონტიმ გადაწყვიტა არ ეპატიებინა. როგორც კი გაკვეთილი დამთავრდა, ხელები დემონსტრაციულად დაიკრიფა მკერდზე და გამოზომილი ნაბიჯით მიუახლოვდა მოწინააღმდეგეს.

— შენ რა თავს იგდებ, თუ იცი?!

მირიანმა ნელა მიაბრუნა მისკენ თეთ-

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

რი, გულგრილი სახე და ოდნავ აიჩეჩა მხრები.

— არ ვიცი.

გერონტი დაიბა.

— რა არ იცი, თუ იცი?!

მირიანმა უხმოდ შეხედა. ოდნავ ნაღვლიანი მზერა ჰქონდა, მაგრამ შიშისა არაფერი ეტყობოდა.

— შენ ვის იგდებ, რო იგდებ, მასხრად?

გერონტი, რომ იტყვიან, მოთელვას გადიოდა. იგი რაჭველი იყო და ერთი აკადემიური საათი გასაბრაზებლად არ ჰყოფნიდა. ამიტომ ცდილობდა ახლა, კინკლაობის პროცესშივე გახურებულიყო და გაბრაზებულიყო. მაგრამ საწადელისთვის რომ მიეღწია, მირიანსაც უნდა გამოეჩინა ცოტაოდენი აქტიურობა. მირიანი კი აქტიურობას არ იჩენდა. მან მშვიდად და გულგრილად უთხრა:

— რა ვქნა, შემეშალა.

გერონტიმ ხელმოსაჭიდი ვერაფერი იპოვა, და, ცოტა არ იყოს, იმედგაცრუებულმა უთხრა:

— ჰოდა, აწი აღარ შეგეშალოს, იცოდე!

მირიანს აღარ შეშლია, მაგრამ ამის საჭიროება აღარც იყო.

მეორე დღეს, გერონტი რომ საკლასო ოთახში შევიდა, დაფაზე დიდი ასოებით და სამი ძახილის ნიშნით ეწერა: „ბიკენტი!!!“ გერონტიმ დამწერს ხმამაღლა შეუკურთხა და წარწერა წაშალა. შემდეგი წარწერა მერხზე დახვდა. გერონტიმ კიდევ შეიკურთხა და ისიც წაშალა. ამ დროს ოთახში ვიღაცამ შემოიჭყიტა, დაიძახა „ბიკენტიი!“ და, თუმცა გერონტიმ სწრაფად მიიხედა, უკვე ვეღარავინ დაინახა. ხოლო, როცა მათემატიკის მასწავლებელმა დღიური მოთხოვა და გერონტიმ დღიურის ყდაზე დიდი, წითელი მელნით დაწერილი „ბიკენტი“. წაიკითხა, მართლა გაცოფდა, მაგრამ ახლა გაცოფებას აზრი აღარ ჰქონდა, რადგან, ვისზე ეყარა ჯავრი, არ იცოდა.

ამის შემდეგ გერონტის სამუდამოდ შერჩა მეტსახელად „ბიკენტი“. და თუმცა „გერონტისა“ და „ბიკენტის“ შორის ობიექტურად თითქოს არ უნდა იყოს ასეთი საშინელი განსხვავება, გერონტის ყოველთვის ძალიან სწყინდა, „ბიკენტის“ რომ დაუძახებდნენ.

ახალმა მოწაფემ თავიდანვე მიიქცია აბელის ყურადღება. პირველ ხანებში აბელს ამ თავისი ინტერესის მიზეზი ვერ გაეგო. ის, რომ მირიანი მასზე ორი წლით უფროსი იყო, თავისთავად, ცხადია, არაფერს ნიშნავდა. ასე, გერონტი ბარე სამი წლით იყო უფროსი. ცალკე აღებული არც მისი საოცარი სიგამხდრე ნიშნავდა რამეს, არც სათვალე, არც ავადმყოფური ფერი. მაგრამ ყოველივე ეს ერთად თავმოყრილი, ერთმანეთთან ურთიერთკავშირში, ისეთ უჩვეულო თვისებად მჟღავნდებოდა, რომ დაუოკებელ ინტერესს აღუძრავდა.

მირიანი წყნარად იჯდა ხოლმე ბოლო მერხზე და კლასის საერთო ცხოვრებაში ნაკლებად ერეოდა. თუ დაელაპარაკებოდი, დაუზარებლად, მაგრამ აშკარად უინტერესოდ გაგეპასუხებოდა, თუ არადა, იყო თავისთვის. დილით, იღლიაში ჩანთაამოჩრილი, უცხო, სახედაფიქრებული, თითქოს ირგვლივ ვერაფერს ამჩნევსო, მოდიოდა სკოლაში და ასევე უცხო, სახედაფიქრებული მარტოდმარტო მიაბიჯებდა შინისაკენ გაკვეთილების შემდეგ. და ამ განმარტოებულობაში აბელი ხედავდა არა იმ ჩვეულებრივ, ბუნებრივ უცხოობასა და შებორკილობას, ახალი გარემო რომ გვიჩენს ხოლმე. არამედ რაღაცას განსხვავებულს, ამაღლებულსა და ხაზგასმულს, რაღაც ამაყ დამოუკიდებლობას, რომელსაც ურთიერთობები არ სჭირდება, რადგან სავსებით ჰყოფნის საკუთარი თავი. მირიანი ხელს არასოდეს იწევდა, თუ გაიძახებდნენ, აუჩქარებლად წამოდგებოდა, მარჯვენა ხელის ცერითა და არათითით სათვალეს გაისწორებდა და ისე ნელა, ისეთი დაფიქრებული გამომეტყველებით ყვებოდა გაკვეთილს, გეგონებოდათ სათქმელს გზადაგზა იგონებსო. ყვებოდა ხან ოთხიანზე, ხან სა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიანზე, ხან ხუთიანზეც. მაგრამ, ყვე-ბოდა ყოველთვის განსხვავებულად, თავისი ენით, თავისი სიტყვებით. დაჯერებით, თავისუფლად გამოთქვამდა საკუთარ აზრს, რომელიც ხშირად განსხვავდებოდა სახელმძღვანელოს ოფიციალური აზრისაგან, ხანდახან ეწინააღმდეგებოდა კიდეც. და თუ ასეთ დროს მასწავლებელი შეუსწორებდა, არაფრით არ დაუთმობდა, თამამად შეეკამათებოდა (რაც ამხანაგების გაკვირვებასა და ცივ მოწიწებას იწვევდა) და თავისი მოსაზრების გასამაგრებლად ისეთ ავტორიტეტებს დაიმოწმებდა, რომლებიც არა მარტო აბელს, ხანდახან მასწავლებლებსაც არ გაეგონათ. ამას შედეგად ის მოჰყვა, რომ დაშინებულმა პედაგოგებმა აითვალწუნეს მირიანი და, არასასურველი დისკუსიები რომ აერიდებიათ, იშვიათად იძახებდნენ. მირიანის გამოისობით მასწავლებლების ავტორიტეტი საეჭვოდ იწყებდა რყევას, ამიტომ მათი შიში სავსებით ბუნებრივი და გასაგები იყო. ერთხელ მათემატიკის მასწავლებელს, ძალიან ლამაზ, ოღონდ უკვე ასაკში შესულ ქალს, რომლის ბობოქარი ახალგაზრდობის შესახებ პიკანტური და ძნელად დასაჯერებელი ლეგენდები დადიოდა, შენიშვნა მისცა. მასწავლებელი ახალი ტიპის მაგალითს უხსნიდა ბავშვებს და ნიმუშად ერთი მაგალითი დაფაზე გამოიყვანა. როცა მთელი დაფა აჭრელა და ბოლოში გავიდა, მირიანმა ნელა და მკაფიოდ თქვა:

— უფრო მარტივადაც შეიძლებოდა გამოყვანა.

მასწავლებელმა ლამაზი, თუმცა უკვე ნაოჭებშეპარული სახე მოაბრუნა და იკითხა:

— რომელი იყო ეს?

— მე ვიყავი, — წამოდგა მირიანი.

მასწავლებელმა ჯერ მირიანს შეხედა, მერე გამოყვანილ მაგალითს დააცქერდა.

— უფრო მარტივად, არა?

— დიახ.

— გამოდი.

მირიანი გავიდა.

მასწავლებელმა ცარცი მიაწოდა.

— აბა, გამოიყვანე ერთი, უფრო მარტივად, — სიტყვები „უფრო მარტივად“ ხაზგასმით თქვა.

მირიანმა გამოიყვანა. ჯერ დაფა საფუძვლიანად გაასუფთავა და მერე გამოიყვანა. უფრო მარტივად და უფრო მოკლედ.

სანამ მირიანი წერდა, მასწავლებელი მკერდზე ხელებდაკრებილი, წელში გამართული, ჯერ კიდევ ტანადი და ლამაზი, ირონიული ინტერესით უყურებდა. მირიანმა რომ წერა დაამთავრა, გამოყვანილი მაგალითი შეამოწმა და გულგრილად შეაქო:

— კი, ასეც შეიძლება. ყოჩაღ, კარგი ბიჭი ხარ.

ოღონდ, როცა აქებდა, შავი, ნუშის ფორმის თვალები შეკავებული ბრაზით უელავდა. ამის შემდეგ ახალი მასალის ახსნისას ყოველთვის ფრთხილად იყო და დროდადრო ეჭვით გააპარებდა თვალს ბოლო მერხისაკენ, სადაც ავტორიტეტის შემარყეველი ხიფათი ეგულებოდა.

მირიანმა ქართულის მასწავლებელიც გვარიანად დააფრთხო.

იმ დღეს გაკვეთილად აკაკი წერეთლის ბიოგრაფია ჰქონდათ მასწავლებელმა, მსუქანმა, ასთმიანმა ქალმა, რომელმაც ხვნეშითა და სვენებ-სვენებით ლაპარაკი იცოდა, შეკითხვა დასვა:

— აბა, როდის დაიბადა აკაკი წერეთელი?

და თავისდა ჭირად, მირიანი გამოიძახა.

— შენ მიპასუხე, როდის დაიბადა აკაკი წერეთელი?

მირიანი წამოდგა და მიუგო:

— არ ვიცი.

— არ გიყვარს ხომ აკაკი წერეთელი? აბა, ვინ იტყვის? შენ თქვი, — სხვას მიუბრუნდა ახლა.

იმ სხვამ თქვა. მასწავლებელმა ნიშნის მოგებით შეხედა მირიანს და უთხრა:

— უნდა იცოდე. დაჯექი.

მირიანმა მხრები აიჩეჩა.

---

**ჯემალ ქარჩხაძე**

ქარავანი

ეროვნული ბიბლიოთეკა

— რა საჭიროა... — თქვა და დაჯდა. მასწავლებელმა ქშენა დაიწყო.

— ადექი!

მირიანი ადგა.

— აბა რა არის საჭირო, შენი აზრით? გაკვეთილის სწავლა არაა, ხომ, საჭირო?!

— აკაკი წერეთელი 1840 წელს დაიბადებოდა თუ 1841 წელს ამას რა მნიშვნელობა აქვს. მთავარი ისაა, რატომ დაწერა „მზემან სხივი მომაფინა“ და არა, ვთქვათ, „მზემან შუქი მომაფინა“. ესაა საინტერესო და ამას უნდა ვსწავლობდეთ.

მასწავლებელმა ფეხები გან-გან გადგა, დოინჯი შემოიყარა და მირიანს გაკვირვებით მიაჩერდა. ბოლოს ამოიხვნეშა.

— შენ ასწავლი, ბიჭო, განათლების სამინისტროს, რა გასწავლოს და რა არა!

განათლების სამინისტრო ისეთი კოზირი იყო, რომელიც არ იჭრება.

მაგრამ მირიანმა მხრები აიჩეჩა და ეს გაუჭრელი კოზირიც გაუჭრა:

— თუკი საჭირო იქნება, რატომაც არ ვასწავლი...

ეს მკრეხელობა იყო და მასწავლებელმა დაიქუხა:

— დაჯექი მანდ!

ამ სიტყვებზე თვითონაც დაჯდა და დიდხანს იქშინა, რადგან მის თვალში განათლების სამინისტროს ლაქა მოეცხო.

ერთადერთი, ვინც მირიანთან კამათს არ გაურბოდა, ისტორიის მასწავლებელი იყო. არათუ გაურბოდა, ხანდახან ისე ჩაეფლობოდა ხოლმე, რომ, მთელი კლასის სასიხარულოდ, ძველის გამოკითხვაც ავიწყდებოდა და ახლის ახსნაც. მაგრამ წლის ბოლოს იგი სადღაც გადაიყვანეს და მისმა შემცვლელმა მკაცრად და უხეშად უთხრა მირიანს, რასაც გასწავლიან, ის ისწავლე, დანარჩენ ისტორიას უშენოდაც მოევლებაო.

აბელი თავიდანვე კი დააინტერესა ახალმა მოსწავლემ, მაგრამ პირველ ხანებში ეს ზოგადი, უმიზნო ცნობისმოყვარეობა იყო. აბელი აკვირდებოდა, ყველაფერი მოსწონდა მისი და ნატრობდა, თვითონაც ასეთი ყოფილიყო. ასეთი წყნარი, გულგრილი და დაჯერებული, ასეთი გამხდარი, ფერდაკარგული და სათვალიანი, ასეთი უცხო, ასეთი მტკიცე და ასეთი მარტოსული. ნატრობდა და თან გრძნობდა, რომ ეს აუხდენელი ნატვრა იყო. ის, რაც მირიანისთვის ხასიათის სიმტკიცე და საკუთარი თავის რწმენა იყო, აბელისთვის უბრალო სიჯიუტე და ჭირვეულობა იქნებოდა, რადგან რწმენა ალბათ თავისთავად კი არ არსებობს, როგორც ადამიანის თვისება, რწმენას ის დიდი ცოდნა და განსწავლულობა ბადებს, რომელიც ასე უხვად ჰქონდა მირიანს და რომელიც, კაცმა არ იცის, რა გზებითა და საშუალებებით შეიძლება შეიძინო.

ბოლოს და ბოლოს, ერთ მშვენიერ დღეს, როდესაც მირიანმა თქვა, კარლ მოორს პრაქტიკული ჭკუა ჰქონდაო, აბელის ზოგადი, უფორმო ცნობისმოყვარეობა კონკრეტულ სახედ ჩამოიქნა.

ეს ამბავი ასე მოხდა:

დილით, როდესაც აბელი საკლასო ოთახში შევიდა, საინტერესო კამათს შეესწრო. ბავშვებს წრე შეეკრათ დაფასა და მასწავლებლის მაგიდის შუა და სმენად იყვნენ ქცეულები. ცენტრში მირიანი და თვალებბრიალა მარიკა იდგნენ. აბელი გაკვირვებული შეჩერდა და ყური მიუგდო. ამხანაგებში გარეული მირიანი აქამდე არასოდეს ენახა. კამათი, რომელიც, ეტყობოდა, კარგა ხნის დაწყებული იყო, შეეხებოდა შილერის „ყაჩაღებს“, კერძოდ, პიესის ფინალს, რომელშიაც კარლ მოორი გადაწყვეტს, თავისი სიკვდილით ვილაცებს ფული აშოვნინოს. მირიანი ჩუმად იდგა და ყურადღებით უსმენდა ენად გაკრეფილ მარიკას. მარიკა ქაქანებდა. ქაქანებდა ხმამაღლა, ცხარედ, შეუჩერებლად. აბელი ახლოს მივიდა. „ყაჩაღები“ წაკითხული ჰქონდა და კარლ მოორის უცნაური საქციელი მისთვისაც გაუგებარი იყო. ამიტომ კამათმა ძალიან დააინტერესა. მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მარიკამ, რომელიც დანარჩენი გოგოებისაგან იმით განსხვავდებოდა, რომ ბიჭივით ჭკვიანი და საზრიანი იყო, მიწასთან გაასწორა კარლ მოორიც, მთელი „ყაჩაღებიც“, თავად შილერიც. კარლ მოორის საქციელს „სულელური“ და „დაუჯერებელი“ უწოდა, აღშფოთებით დაგმო „საკუთარი სიკვდილით ვაჭრობა“, და, საერთოდ, ბევრი საჭირო და არასაჭირო სიტყვა დახარჯა.

როცა ეს გრძელი და პათეტიკური მონოლოგი დაამთავრა, მირიანმა წყნარად, ხმადაბლა უთხრა:

— შენ ღრუბლებში ცხოვრობ. კარლ მოორს პრაქტიკული ჭკუა ჰქონდა.

ასეთი გამოთქმა აბელს არასოდეს გაეგონა. წარმოდგენითაც კი ვერ წარმოიდგენდა, რომ ეს ორი სიტყვა, „პრაქტიკული“ და სიტყვა „ჭკუა“, ერთიმეორისაგან ესოდენ განსხვავებულები, ასე დაუკავშირდებოდნენ ერთმანეთს და ასე მკაფიოდ და ეფექტურად გამოხატავდნენ აზრს, რომლის გამოსახატავად აბელი ალბათ უამრავ დროსა და უამრავ სიტყვას დახარჯავდა და ისეთ შედეგს მაინც ვერ მიაღწევდა, რასაც მირიანმა ორად ორი სიტყვით მიაღწია.

ამ გამოთქმის მნიშვნელობას რომ მიხვდა, არამარტო მირიანის პატივისცემა მოემატა, არამედ წამით გონებაში თითქოს ის გზაც მოიხელთა, რომელიც უხილავ, ჯადოსნურ სამყაროში მიდიოდა, სადაც სიტყვათა შორის კავშირები ცხადი და ხელშესახები უნდა ყოფილიყო.

კარლ მოორის საქციელის შეფასებაში აბელი უფრო მარიკას ემხრობოდა. კარლ მოორის გაუგებარი და მოულოდნელი გადაწყვეტილება აღიზიანებდა და მძაფრ შინაგან პროტესტს იწვევდა, ოღონდ ამ გაღიზიანებისა და სტიქიური პროტესტის მიზეზებში ვერ ერკვეოდა. მხოლოდ ბუნდოვნად გრძნობდა, რომ კარლ მოორის საქციელით რაღაც ამაღლებული მდაბლდებოდა, რაღაც ლამაზი უფერულდებოდა, რაღაც უჩვეულო ჩვეულებრივდებოდა. მიზეზების მოძებნაში მარიკაც გვარიანად მოიკოჭლებდა.

დიდი გზნებით კი იქაქანა და კარლ მოორის საქციელს სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა, მაგრამ ეს განაჩენი არც ერთი კონკრეტული საბუთით არ გაუმაგრებია. მირიანი კი სწორედ იმით იყო ძლიერი, რომ ყველაფერი ბოლომდე გააზრებული ჰქონოდა, რასაც გრძნობდა, მკაფიოდ და გასაგებად ამბობდა.

და აბელი მიხვდა, რა უნდოდა. მას მირიანთან მეგობრობა უნდოდა. მირიანი იყო ის, ვისაც „უფროსი ძმის“ სახით მთელი სიცოცხლის მანძილზე ნატრობდა.

აბელს ერთბაშად გაუნათდა გონება და ახლა ის უკვირდა, ან აქამდე როგორ ვერ მოიფიქრა, რომ მირიანი იყო უფროსი ძმა, მირიანი ყველაფერს გაიგებდა და ყველაფერს ნათელს მოჰფენდა, მირიანთან ყველაფერზე შეიძლებოდა ლაპარაკი, უსახელო ექსპერიმენტებზეც, დამხობილ სიყვარულზეც, მეკონდიტრის სიძულვილის უცნაურ გაქრობაზეც, მამის წინდებზეც კი.

აბელმა მტკიცედ გადაწყვიტა, თავისი განზრახვა სისრულეში მოეყვანა.

მაგრამ სისრულეში მოყვანა არაა ისე იოლი, როგორც გადაწყვეტილების მიღება. ის ასაკი, როცა ერთმანეთს მხოლოდ ფორმალურად, სხვათა შორის-ვით უმეგობრდებიან, როცა, ასე ვთქვათ, კი არ მეგობრობენ, არამედ ერთგვარ „სამეგობრო ხელშეკრულებას“ დებენ, რადგან, ნამდვილი მეგობრობის არაფერი გაეგებათ, აბელმა დიდი ხანია გაიარა და კარგად იცოდა, რომ, თუ თავისით არ მოვიდა მეგობრობა, ძალით ვერ მოიყვან.

მოულოდნელად ამ საქმეში ბედი, შემთხვევა თუ თავად მირიანი დაეხმარა.

ერთხელ სკოლიდან შინისაკენ მიმავალს გზად მირიანი წამოეწია.

აბელი მარტო მიაბიჯებდა თავისთვის და, რაკი დამეგობრების რეალური გზა ჯერჯერობით ვერ ეპოვა, ოცნებაში მეგობრობდა მირიანთან. წარმოიდგინა, ვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თომ ისა და მირიანი განუყრელი, ფიცვერცხლით შეკრული მეგობრები იყვნენ, რომელთაც სიკვდილის მეტი ვერაფერი დააშორებდა. მირიანის დიდი ცოდნა და განათლება მასაც გადაედო და უკვე თავისუფლად ახერხებდა თავისი რთული და ღობე-ყორეს მოდებული განცდები მკაცრ სიტყვიერ ფორმაში მოექცია. მუდამ ერთად იყვნენ და ორი მძლავრი გონების შეერთებით უკვე რამდენიმე საკვირველი მეცნიერული გმირობაც ჩაიდინეს, როცა გვერდიდან, ზედ ყურთან გაისმა:

— აქეთ ცხოვრობ?

აბელი შეკრთა, მიიხედა და თავისი მომავალი განუყრელი მეგობარი დაინახა. მაღალი, გამხდარი, ფერმიხდილი. იღლიაში ჩანთა ამოეჩარა.

— კი, — აბელი შეეცადა სიხარული დაემალა, მაგრამ ვერ დამალა. — აქეთ ვცხოვრობ. შენ?

— მეც, — მიუგო მირიანმა. — მე იმ სახლში ვცხოვრობ.

— მაღალში? — თვალები გაუბრწყინდა აბელს. ეს ის სახლი იყო, რომლის ეზოზეც უმოკლესი გზა მიდიოდა პურის მაღაზიისაკენ.

— ჰო.

— მე მაგ სახლს ზემოთ რომ კერძო სახლია, ეზოიანი, იქ ვცხოვრობ.

— ხუთი ნომერი?

წვრილმანებიც კი იცოდა!

— ჰო.

— მეზობლები ვყოფილვართ.

აბელს უცებ საშინელმა აზრმა გაუელვა: ხომ შეიძლებოდა მირიანს იმ სახლში არ მიეღო ბინა! მაშინ არც აბელის სკოლაში გადმოიყვანდნენ და მეგობრობა კი არა, შეიძლება თვალითაც არ ენახათ ერთმანეთი. ამ ფიქრმა თავისი ძველი ექსპერიმენტები გაახსენა. რაკი ერთმანეთს არ შეხვდებოდნენ, მირიანი ალბათ სხვა მირიანი იქნებოდა და აბელი სხვა აბელი იქნებოდა, რადგან მათ შეხვედრას ბევრი რამ უნდა შეეცვალა.

აბელმა მირიანს ახედა და ნაადრევი მოეჩვენა ექსპერიმენტზე ლაპარაკი. ჯერ თეორიულად უნდა აიწონ-დაიწონოს ყველაფერი.

და ჰკითხა:

— იმ დღეს ქართულის მასწავლებელს რომ უთხარი, სულ ერთი იყო, აკაკი წერეთელი როდის დაიბადებოდაო, ისე უთხარი, თუ მართლა სულ ერთი იყო?

— როდის? — მირიანი დაფიქრდა.— ა! კი, მე მგონია, სულ ერთი იყო.

აბელი ყოყმანობდა. ბოლოს მაინც თქვა:

— წინა დღით რომ დაბადებულიყო, ან მომდევნო დღეს, ვითომ ზუსტად იგივე აკაკი წერეთელი იქნებოდა?

მირიანმა მოხედა და ყურადღებით დააცქერდა.

— შენ ასტროლოგიის გჯერა?

აბელმა არ იცოდა, რა არის ასტროლოგია. ყოველი შემთხვევისთვის მხრები აიჩეჩა.

— ასტროლოგია ზღაპარია, — დარწმუნებით თქვა მირიანმა.

აბელი თვალდახუჭული მიიკვლევდა გზას. გულით უნდოდა ეკითხა, რა არის ასტროლოგიაო, მაგრამ მომავალი მეგობარი ისე უბრალოდ და სასხვათაშორისოდ ლაპარაკობდა ამ საგანზე და ისე აშკარად გულისხმობდა მის ცოდნას თანამოსაუბრის მხრივაც, რომ აბელმა კითხვა ვერ გაბედა და ისევ ნაცად ეშმაკობას მიმართა:

— იქნება არაა ზღაპარი.

— ზღაპარია, აბა რა არის! თუ ადამიანის ბედი მართლა იმაზეა დამოკიდებული, როგორაა ცაზე განლაგებული მნათობები მისი დაბადების დროს... — აბელის ეშმაკობამ გაჭრა. ასტროლოგიის საიდუმლო ამოცნობილ იქნა. მაგრამ, სიხარულთან ერთად, ისიც იგრძნო სინანულითა და სირცხვილით, რომ ყოველივე ეს მანამ უნდა სცოდნოდა, სანამ თავის ბავშვურ ექსპერიმენტებს წამოიწყებდა... ამასობაში მირიანმა აზრი ასე დაამთავრა: — მაშინ რითი ავხსნათ ის ფაქტი, რომ ტყუპებს ხშირად ხასიათიც განსხვავებული აქვთ, უნარიც და ცხოვრების გზაც?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეს შეუვალი არგუმენტი იყო.

რამდენი რამე იცოდა მირიანმა! თან რა მკაფიოდ, რა ზუსტად გამოხატავდა აზრს! აბელს წამით მათი მეგობრობა უიმედო ოცნებად მოეჩვენა.

ერთხანს ჩუმად მიდიოდნენ. აბელის ტვინი გამალებით მუშაობდა. ბოლოს ჰკითხა:

— სხვა საუკუნეში რომ დაბადებულიყო?

— აკაკი წერეთელი? მაშინ, რა თქმა უნდა, სულ სხვა იქნებოდა. მე ახლომახლო წლები მქონდა მხედველობაში, თორემ სხვა ეპოქაში დაბადებული სხვანაირი იქნება.

— რატომ?

— იმიტომ, რომ კაცის ცხოვრებას ეპოქა განაპირობებს.

რა მშვენივრად ლაპარაკობდა!

მაგრამ უეცრად აბელის დათრგუნვილმა ტვინმაც გამოიღო ხელი და საინტერესო აზრი გამოჰედა. აბელმა ყოველი შემთხვევისათვის კარგად აწონდაწონა ეს აზრი, სანამ იტყოდა. მერე თქვა:

— მაშინ ერთ ეპოქაში დაბადებულები რატომ ყველანი ერთნაირები არ არიან?

გულმა ძგერას უმატა. და გულის გარდა, კიდევ რაღაც თრთოდა სხეულში.

მირიანმა გაიღიმა.

— მარტო ეპოქა ხომ არ განაპირობებს! სხვაც ბევრი რამ მოქმედებს. მე როცა ვამბობ, ეპოქა განაპირობებს-მეთქი, იმას ვგულისხმობ, რომ ეპოქას თავისი კორექტივები შეაქვს („კორექტივები შეაქვს"!)... როცა, ვთქვათ, პურს თესავენ, ან სიმინდს, ნოყიერ ნიადაგზე კარგად ხარობს, მწირ ნიადაგზე — ცუდად. ადამიანიც ასეა: მწირ ეპოქაში თვითონაც მწირია და ნაკლებად ავლენს თავის შესაძლებლობებს, უკეთეს ეპოქაში უკეთესად ავლენს.

რა მეგობრობაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა თქვენს შორის გაუვალი უფსკრულია? სად შენ და სად ის, ვინც მწირი ეპოქების შესახებ ასე ლაპარაკობს! აბელი, საკუთარი არარაობის განცდით დათრგუნვილი, ფეხებს ძლივს მიათრევდა და, ლამის იყო, ტირილი მორეოდა.

ამ დროს იმ მაღალ სახლს მიადგნენ და მირიანმა მოულოდნელად შესთავაზა:

— წამო, თუ გცალია, ჩემთან ავიდეთ.

ეს გაუგებარი წყალობა იყო. აბელის ვარაუდით, მირიანი, ასეთი ჭკვიანი და ყოვლისმცოდნე, კარგა ხანია უნდა მიმხვდარიყო, რა საცოდავ ჭიასთან ჰქონდა საქმე და ცივად და ამაყად ეთქვა უარი მასთან შემდგომ ურთიერთობაზე. მან კი არათუ უარი თქვა, სახლშიც კი შეიპატიჟა!

აბელი სიხარულით დათანხმდა. მით უფრო, რომ დედა ჯერ არ დაბრუნდებოდა სამსახურიდან.

მირიანი მერვე სართულზე ცხოვრობდა. კარი თავისი გასაღებით გააღო. შევიდნენ თუ არა, საიდანღაც ქალის ხმა მოისმა:

— შენა ხარ, მირიან?

— მე ვარ.

— ხომ არ დაიღალე, დედა?

— არა, რა დამღლიდა, —და დედა მისი რომ გამოჩნდა, აბელი წარუდგინა: — ეს აბელია, დედა, ჩემი კლასის ამხანაგი.

მირიანის დედამ თბილად გაუღიმა აბელს.

— ძალიან კარგი. მაშ, ჩანთები დააწყეთ და ხელები დაიბანეთ. მამაც ეს წუთია მოვიდა და ბარემ ერთად ვისადილოთ.

აბელს უარი უნდოდა ეთქვა. ჯერ ერთი, მისი აზრით, წესი და რიგი კარგად აღზრდილი კაცისაგან მოითხოვს, პირველ შეპატიჟებაზე უარი თქვას. მაგრამ მთავარი ეს არ იყო. მთავარი მეორე მიზეზი იყო, რის გამოც ფორმალურად კი არა, მართლა უნდოდა უარის თქმა. ეს მეორე მიზეზი იმაში მდგომარეობდა, რომ, როგორც გამოირკვა, მირიანის დედ-მამაც მათთან ერთად აპირებდა

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
ქარავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სადილობას. მარტო მირიანთან თავისუფლად იქნებოდა და სიამოვნებითაც ისადილებდა, მაგრამ სუფრასთან რომ უფროსებიც ისხდებოდნენ, შებოჭილი უნდა ყოფილიყო და ჭამა სატანჯველად გადაქცეოდა, მით უმეტეს, დარწმუნებული არ იყო, რომ სუფრაზე ქცევის წესების ყველა პარაგრაფი სათანადოდ ჰქონდა შესწავლილი. სწორედ ამიტომ უნდოდა უარის თქმა. მაგრამ ვითარებას ის ართულებდა (და არა მარტო ართულებდა, არამედ გამოუვალს ხდიდა), რომ უარის თქმის მარტო ერთი მიზეზი იცოდა: „გმადლობთ, ახლახან ვისადილე“. ეს მიზეზი კი ახლა აშკარად გამოუსადეგარი იყო, რადგან ყველა ხედავდა, პირდაპირ სკოლიდან მოდიოდა და, მაშასადამე, „ახლახან“ ვერსად ისადილებდა. ასეთ მძიმე საფიქრალს რომ იყო მიცემული და გაუბედავად წრიალებდა ადგილზე, მირიანმა ხელი მოხვია, წამო, ხელები დავიბანოთო, უთხრა და ასე ხელგადახვეული წაიყვანა საბაზანოსკენ.

მირიანის მამა სასადილო ოთახში დახვდათ. მირიანივით მაღალი იყო, მირიანივით გამხდარი და მირიანივით სათვალიანი. ფანჯარასთან იჯდა და გაზეთს ათვალიერებდა. ბიჭები რომ შევიდნენ, ფეხის ხმაზე თავი ასწია და მოიხედა.

— ოჰ, სტუმარი გვყოლია!

აბელმა „გამარჯობათო“, ძლივს გასაგონად ჩაილაპარაკა და გაუბედავად შეჩერდა. მირიანის მამა წამოდგა, ღიმილით ჩამოართვა ხელი და მერე ორივე სუფრასთან მიიწვია.

— დასხედით. აგერ, აქ, ერთმანეთის გვერდით დასხედით. — ამ სიტყვებით თვითონაც დაჯდა და აბელს მიუბრუნდა: — რა გქვია?

— აბელი.

— აბელი? — თითქოს გაუკვირდა მირიანის მამას. — კაენის ძმა ხარ?

— არა, — მიუგო აბელმა. — ძმა არა მყავს. დედისერთა ვარ.

მირიანსა და მირიანის მამას გაეცინათ. მირიანის დედამ, რომელიც ამ დროს სამზარეულოდან გამოვიდა და ცხელი კერძი გამოიტანა, აბელს შეხედა და თბილად გაუღიმა.

აბელი ვერ მიხვდა, რა იყო სასაცილო, და ცოტა დაიბნა. მირიანმა განუმარტა:

— აბელი და კაენი ბიბლიური ძმები იყვნენ, ადამის შვილები. აბელი კეთილი იყო, კაენი — ბოროტი...

— ასე ხელაღებით ბოროტი არ ყოფილა, — ჩაურთო მირიანის მამამ.

— თუ იმის მიხედვით ვიმსჯელებთ. რაც ჩაიდინა...

— ბოროტი მაინც არ ყოფილა. ბოროტება სხვა რამეა.

— ყოველ შემთხვევაში, კეთილი არ იყო, — მირიანი ისევ აბელს მიუბრუნდა. — და კაენმა შურიანობის გამო მოკლა აბელი.

აბელს ბიბლია გაგონილი ჰქონდა. და თუმცა ამ საგანზე გულდაგულ არასოდეს უფიქრია, რომც ეფიქრა, ალბათ იმავე დასკვნას გამოიტანდა, რასაც ბუნდოვნად და ჩამოუყალიბებლად ისედაც გრძნობდა: ბიბლია რაღაც უცხო სამყაროა, მიუწვდომელი, ხელშეუხებელი. თითქმის ზღაპრული. აბელისა და მისი მსგავსი ჩვეულებრივი ადამიანებისათვის ბიბლია მხოლოდ სიტყვაა, ხოლო ის. რაც ამ სიტყვის მიღმაა, მათთვის დაფარულია. აბელი და მისი მსგავსი ჩვეულებრივი ადამიანები არათუ ბიბლიას ვერაფერს გაუგებენ, იმ რამდენიმე მოხუც, წვეროსან, რჩეულ ადამიანსაც კი ვერ ნახავენ, რომელთაც ბიბლიისკენ მიმავალი გზები იციან, რადგან ეს ადამიანებიც მიუწვდომელნი და თითქმის ზღაპრულნი არიან.

ასე ფიქრობდა აბელი აქამდე. მირიანი და მირიანის მამა კი ისე ლაპარაკობდნენ ბიბლიაზე, თითქოს არაფერი უჩვეულო და წარმოუდგენელი ამაში არ ყოფილიყოს.

მირიანის მამამ ამ დროს გაიღიმა და თქვა:

— ჩვენს აბელს იმ ბიბლიური აბელის ხიფათი არ ემუქრება, რადგან თავისი კაენი არა ჰყოლია.

თეფშების გვერდით ნაჭრის თეთრი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქათქათა ხელსახოცები ეწყო. მირიანის მამამ თავისი ხელსახოცი აიღო, გაშალა და ცალი კუთხით საყელოში ჩაითვინა. მირიანმა თავისი მუხლებზე გადაიფარა. ამის შემხედვარე აბელი დაიბნა. ვერ გაიგო, მირიანი მოიქცა სწორად თუ მამამისი (მირიანის დედა ჯერ არ დამჯდარიყო სუფრასთან და ამიტომ მისი ხელსახოცი ხელუხლებლად იდო), თვითონ კი ამ საკითხზე საკუთარი შეხედულება არ გააჩნდა. ორივეს რომ საყელოში ჩაეფინა, ან ორივეს რომ მუხლებზე გადაეფარებინა, ყველაფერი ნათელი იქნებოდა და აბელიც, ავად თუ კარგად, მათ მიჰბაძავდა. ახლა კი აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო. საყელოში ჩაფენა, მისი აზრით, პატარა ბავშვებს სჭირდებოდა, რომელთაც თავიანთი ხელით ჭამა არ იციან და დედები აჭმევენ. მუხლებზე გადაფარება კი, საერთოდ, არ გაეგონა. საგონებელში ჩავარდნილმა რამდენჯერმე გაუბედავად მოჰკიდა ხელი თავის ხელსახოცს, მაგრამ ისევ გაუშვა. ამასობაში მირიანის დედამ სუპი ჩამოარიგა. მირიანმა კოვზს ხელი დაავლო. ჭამა რომ უნდა დაეწყო, დედამ წყნარად უთხრა:

— მირიან.

და მირიანმა რომ თავი ასწია, ჩუმად რაღაც ანიშნა.

— უჰ! კინაღამ დამავიწყდა! — მირიანი წამოდგა, ხელსახოცი დაუდევრად მიაგდო სკამის საზურგეზე და სამზარეულოში გავიდა.

სამზარეულოს კარი ღია იყო და აბელს მისდაუნებურად იქითკენ გაექცა თვალი. მირიანმა განჯინიდან ბოთლი გამოიღო, ღვინის ჭიქაში რაღაც მოწითალო სითხე დაისხა და დალია.

მირიანის დედამ აბელის მზერა შენიშნა.

— მირიანი ცოტა სუსტი გვყავს და გასამაგრებელ წამალს ვასმევთ.

აბელს შერცხვა. „დიახო“, უაზროდ და გაუგებრად ჩაიბუტბუტა და თავი დახარა.

მირიანი დაბრუნდა, სუფრას მიუჯდა და ხელსახოცი ისევ მუხლებზე გადაიფარა.

სუპი შინაც ხშირად ჰქონდა, მაგრამ იქ უცხო თვალს არ გრძნობდა და არ აკვირდებოდა, რამდენად სწორად იცავდა კოდექსით გათვალისწინებულ წესებს. არასოდეს უფიქრია, მაგალითად, იმაზე, სუპში კოვზი აქედან იქით უნდა ამოესვა, თუ იქიდან აქეთ. ახლა კი ეს პრობლემა ერთბაშად დადგა დღის წესრიგში და ამიტომ, სანამ საქმეს შეუდგებოდა, ქურდულად გახედა მირიანს. მირიანი თავისკენ უსვამდა კოვზს და აბელიც ასე მოიქცა. მაგრამ აქ იმის შეეშინდა, ხმაურით არ დავხვრიპოო, და ამ ხიფათის თავიდან ასაცილებლად კი არ შეისრუტა სუპი, არამედ პირდაპირ კოვზით ჩაისხა, რის გამოც რამდენიმე წვეთი ნიკაპზე ჩამოეღვარა. აბელმა მექანიკურად იტაცა ხელი ნიკაპზე, მყისვე მიხვდა, რომ წესი დაარღვია, გაწითლდა და სწრაფად მოავლო თვალი სუფრაზე მსხდომთ. საბედნიეროდ, მისკენ არავინ იყურებოდა. მაშინ ხელსახოცი აიღო, ნიკაპი ფრთხილად მოიწმინდა და უკანვე დადო, ოღონდ ისე, რომ სუპით დალაქავებული მხარე ქვემოთ მოაქცია. ცალკე დაძაბულობის და ცალკე ცხელი წვენის გამოისობით შუბლი ოფლით დაეცვარა და ტანზეც ოფლმა დაასხა. შინ რომ ყოფილიყო, დაუფიქრებლად მოიწმენდდა შუბლს ხელსახოცით, მაგრამ აქ ასეთი საჭოჭმანო ნაბიჯის გადადგმა ვერ გაბედა. ერთი სიტყვით, როგორც თავიდანვე მოელოდა, სადილობა მძიმე და მომქანცველი საქმიანობა გამოდგა. ზოგიერთ რამეზე, რომელთა ჭამა, მისი აზრით, განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვდა, საერთოდ, უარი თქვა. ასეთი იყო, მაგალითად, ღეღვის მურაბა. ღეღვის მურაბა ძალიან უყვარდა და გულით უნდოდა პირი ჩაეტკბარუნებინა.

---

ჯემალ ქარჩხაძე

ქარავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაგრამ იძულებული შეიქნა თავი შეეკავებინა, რადგან მოზრდილ-მოზრდილი ლელვები იყო, ერთიანად ვერ ჩაიდებდა პირში, დაქუცმაცებისა და ნელა, მეთოდურად ჭამის წესები კი მისი მცირე ცოდნის მიღმა იმყოფებოდა.

ჭამა რომ მოათავეს, აბელს გულში უკვე მტკიცე ფიცი ჰქონდა დადებული, დღეის ამას იქით არასოდეს არავის სადილად არ სწვეოდა (ცხადია, ეს ფიცი სულ მალე გატეხა, კერძოდ, ორი დღის შემდეგ, როცა მირიანს ხელმეორედ ესტუმრა. სამაგიეროდ სასწავლო წლის ბოლოს უკვე იცოდა, ერთადერთი წესი, რომელიც ჭამის დროს უნდა დაიცვა, არის: ყურადღება არ მიაქციო იმას თუ როგორ ჭამ).

ნასადილევს მირიანმა აბელი თავის ოთახში შეიყვანა, სადაც პატარა, კოხტა საწერი მაგიდა ედგა, წიგნებით სავსე რამდენიმე თარო, ტახტი, ორი სავარძელი და ორი უბრალო სკამი. აბელს ეს ოთახი, ისევე როგორც ყველა და ყველაფერი ამ ბინაში, ძალიან მოეწონა.

— აუჰ, რამდენი წიგნი გქონიათ! — თაროები შეათვალიერა აბელმა.

— ეს ჩემი წიგნებია. ძირითადი ბიბლიოთეკა მამაჩემის ოთახშია. თუ დაგჭირდება, გათხოვებ ხოლმე.

აბელმა უხმოდ დაუქნია თავი და ხარბად დაუწყო თვალიერება წიგნებს. მერე უცებ ერთ თაროსთან შეჩერდა. უცხო წიგნებმა მიიქცია მისი ყურადღება.

— ეს რა არის?

— რომელი? ა! ეს ინგლისური წიგნებია.

— იცი? — აბელს ცოტა ხმა ღალატობდა.

— კი. პატარაობიდანვე მასწავლიდნენ.

— სკოლაში რომ გერმანულზე ხარ?

— მერე რა?

— რატომ ინგლისურზე არა ხარ, თუ კი ინგლისური იცი?

— ინგლისური ვიცი და რაღა მინდა ინგლისურზე!

აბელი რეტდასხმული იდგა. და ამასთან მეგობრობა უნდა მას, უვიცსა და არარას!

და უცებ ჰკითხა:

— ბიბლია წიგნად არსებობს?

მირიანმა გაიცინა.

— როგორ არ არსებობს!

აბელი მის სიცილზე მიხვდა, რომ გულუბრყვილო და სულელური რაღაც უკითხავს.

— გინახავს? — რატომღაც ხმას დაუწია.

მირიანმა ხელი მოხვია და უთხრა:

— წამო.

აბელი ვერ მიხვდა, სად ეპატიჟებოდა მირიანი. ოთახიდან რომ გამოვიდნენ, მირიანმა დაიძახა:

— მამ!

— რა იყო, მირიან? — რომელიღაც ოთახიდან გამოეპასუხა მამამისი.

— აბელს ბიბლიის ნახვა უნდა, შეიძლება?

— რა თქმა უნდა, შეიძლება. შემოდით.

მირიანის მამის ოთახი მირიანის ოთახს ჰგავდა, ოღონდ წიგნები იყო გაცილებით მეტი.

— დაჯექი, — სკამი გამოუწია მირიანის მამამ აბელს.

აბელი ფრთხილად დაჯდა. აქ, ამ ოთახში, სადაც ბიბლია უნდა ყოფილიყო, ისეთ მოწიწებას გრძნობდა, რომ თავისუფლად სუნთქვასაც კი ვერ ბედავდა.

მირიანმა თაროდან ორი სქელი, შავი წიგნი გადმოიღო, აბელს წინ დაუწყო და სიცილით უთხრა მამამისს:

— აბელმა არ იცოდა, ბიბლია წიგნად თუ არსებობდა.

აბელი გაწითლდა და ოდნავ, სასოებით შეეხო ერთ-ერთ შავ წიგნს.

მირიანის მამას არ გასცინებია. სათვალე შეისწორა ისე, როგორც მირიანმა იცოდა — მარჯვენა ხელის ცერითა და არათითით, და თქვა:

— რა გასაკვირია! დღეს, სამწუხაროდ, ჩვენში დიდმა უმრავლესობამ საერთოდ არ იცის, რა არის ბიბლია. ბევრს ბუნდოვანი წარმოდგენა აქვს, და მხოლოდ ძალიან ცოტაა ისეთი, ვისაც წა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უკითხავს და, ასე თუ ისე სწორად, გაუგია. აბელს კი ავუხსნათ რომ საქართველოში ბიბლიის თარგმნას, ისევე როგორც საერთოდ თარგმნას, ძალიან ძველი და ძალიან დიდი ტრადიცია აქვს. მერე და მერე ნაწილობრივ ჩვენი სულიერი გამოფიტულობის, ნაწილობრივ ობიექტური მიზეზების გამო, ეს ტრადიცია დავკარგეთ. — აქ თბილად გაიღიმა. — მაგრამ თუ თავს გავანძრევთ და ხელსაც გამოვიღებთ, ჯერ კიდევ ყველაფერი წინა გვაქვს.

მირიანის მამის ნათქვამიდან აბელმა ბევრი ვერაფერი გაიგო. მაგრამ ამ საუბრის დასასრულს ერთბაშად, მოულოდნელად და წამიერად გაუჩნდა მკაფიო გრძნობა იმისა, რომ საკუთარი თავის ბატონ-პატრონი თვითონ არ იყო, როგორც აქამდე ეგონა. არსებობდა რაღაც, დიდი და უსახელო „რაღაც“, რაც სადღაც, მაღლა იმყოფებოდა და უფლება ჰქონდა ეკარნახა, და მარტო ეკარნახა, ებრძანებინა კიდეც აბელისათვის, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, ხოლო აბელი მოვალე იყო, ამ ბრძანებას უსიტყვოდ დამორჩილებოდა. ამ გაუგებარმა, მაგრამ ძლიერმა გრძნობამ თითქოს ხელში აიყვანა აბელი, დააკვირდა და უკანვე დასვა.

აბელმა ფრთხილად, სათუთად გადაშალა ერთ-ერთი შავი წიგნი და გულში გაოცებით შენიშნა, რომ, რასაც ბიბლიას ეძახიან, იმას, თურმე, მთლად ბიბლია არ ჰქვია. ზემოთ დიდი ასოებით ეწერა — „დაბადება“, ხოლო „ბიბლია“ ეწერა ქვემოთ, გაცილებით უფრო პატარა ასოებით და თანაც ფრჩხილებში.

აბელმა გადაფურცლა. იქ, სადაც ტექსტი იწყებოდა, ნახატს წააწყდა. ამან კიდევ ერთხელ გააკვირვა. თუმცა მისი ცოდნა ამ საკითხის ირგვლივ უსასრულოდ მცირე იყო, რატომღაც ეგონა, რომ ბიბლიას ნახატი არ შეეფერებოდა.

„წიგნი პირველი შესაქმე. წიგნი ქმნისა აღწერილი მოსესი კაცისა ღვთისა შჯულის მდებლისა და წინასწარმეტყველისა. თავი ა. დასაბამად ქმნა ღმერთმან ცა და ქვეყანა. ხოლო ქვეყანა იყო უხილავ და განუმზადებელ: ბნელი იყო ზედა უფსკრულთა: და სული ღვთისა იქცეოდა ზედა წყალთა. და თქვა ღმერთმან: იქმენინ ნათელი. და იქმნა ნათელი...“

რა საინტერესო იყო, რა შორეული და რა გაუგებარი!

მერე, როცა მირიანმა წიგნები თავიანთ ადგილას დააწყო და ორივენი ოთახიდან გამოდიოდნენ, მირიანის მამამ უთხრა:

— ხშირ-ხშირად მოდი. მრავლის უმრავლესი თავსატეხი კითხვა დგას ჩვენს წინაშე და იქნებ ერთობლივად გადავჭრათ.

აბელმა ვერ გაიგო, ეს ხუმრობით ითქვა თუ სერიოზულად. თავი ჩაღუნა, ყოველი შემთხვევისთვის გაუგებრად ჩაიბუტბუტა „დიახო“, ხალათით კარის სახელურს წამოედო, წაიბორძიკა, გაწითლდა, ხალათი ძლივს გაითავისუფლა.

როდესაც ისევ მირიანის ოთახში განმარტოვდნენ, აბელმა ყოყმანით ჰკითხა:

— წაკითხული გაქვს?

— რა?

— ბიბლია.

— ჯერ არა. გაისად წავიკითხავ. თუ გინდა, ერთად წავიკითხოთ. გინდა?

— კი. — აბელს ყელში ისე მოაწვა რაღაც, რომ ეს ორასოიანი სიტყვა ძლივს ამოათრია.

შინ წასვლა რომ დააპირა, მირიანმა კიდევ ერთხელ შესთავაზა:

— თუ გინდა, აირჩიე რამე წიგნი და წაიღე.

— არა, — მიუგო აბელმა. — ახლა არა. სხვა დროს წავიღებ.

ახლა მართლა ვერაფერს აირჩევდა. უცხოობის გრძნობა და მრავალფეროვანი შთაბეჭდილება ირგვლივ თითქოს ბურანივით ერტყა, წიგნების დასახელებები უთავბოლოდ დახტოდნენ და ერთმანეთში ირეოდნენ, და დარწმუნებული არ იყო, რომ სწორედ ისეთ წიგნს აირ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩევდა. რომელიც მართლა გულით უნდოდა.

მირიანმა გამოაცილა და უთხრა:

— ხვალ თუ გამომივლი, ერთად წავიდეთ სკოლაში. ცხრის თხუთმეტ წუთზე ჩამოვალ ძირს.

— გამოგივლი, — სიხარულით დაჰპირდა აბელი.

საღამოს დედას აღგზნებული უყვებოდა იმდღევანდელ შთაბეჭდილებებს. კარგად იცოდა, რომ ეს გადაჭარბებული აღგზნებულობა რაღაცნაირ ჩრდილს აყენებდა, და ლაპარაკის დროს თან სულ იმას ცდილობდა, როგორმე დამშვიდებულიყო, მაგრამ ვერაფრით ვერ მოახერხა.

მეორე დილით, იმის შიშით, რომ მირიანს არ გაესწრო, ჩვეულებრივზე ადრე გავიდა სახლიდან და ერთი ხუთი წუთი მოუხდა ცდა, სანამ მირიანი ჩამოვიდოდა.

სკოლაში ერთად წავიდნენ და უკანაც ერთად დაბრუნდნენ. მეორე დღესაც ერთად წავიდნენ და ერთად დაბრუნდნენ. მესამე დღეს აბელი ხელახლა ესტუმრა შინ მირიანს და სადილობისას კიდევ ერთხელ გაილვარა ოფლად, მაგრამ სამაგიეროდ წიგნი ინათხოვრა.

ამის შემდეგ მუდამ ერთად დადიოდნენ სკოლაში, წიგნებიც ხშირ-ხშირად მოჰქონდა (ზოგჯერ, თუმცა იშვიათად, მირიანის მამა თავის ოთახში შეიყვანდა ბიჭებს და დიდებივით ესაუბრებოდა) და ადრინდელი შიში და გაკვირვება იმის გამო, რომ მირიანი, ასეთი ჭკვიანი და განათლებული, მასთან მეგობრობას არ თაკილობდა, როგორღაც თავისთავად გაქრა.

ზოგჯერ მირიანიც მოდიოდა აბელთან და ახლა აბელს ის აკვირვებდა, რომ ასეთი სუფთა, ასეთი კრიალა, წიგნებით, აზრითა და ცოდნით სავსე ბინის პატრონი აღტაცებული იყო აბელის უბრალო ბინითა და აბელის უბრალო დედით. განსაკუთრებით კი იმან აღაფრთოვანა მირიანი, რომ აბელს სახლში გიტარა ჰქონდა და დაკვრა იცოდა.

მაგრამ ყოველდღიურ ურთიერთობას ხელს უშლიდა რაღაც უცნაური რეჟიმი, რომელსაც მირიანი მტკიცედ იცავდა (უფრო სწორად, აცვევინებდნენ) და რომლის მიზეზი აბელს ვერაფრით ვერ გაეგო: კვირაში ორჯერ რამდენიმე საათით, ხოლო ორ კვირაში ერთხელ მთელი დღის განმვლობაში მირიანს არც არსად უშვებდნენ და არც მასთან მიმსვლელ სტუმრებს იღებდნენ. ეს მირიანის დედამ ღიმილით, ტაქტიანად აუხსნა აბელს. აბელმა განრიგი დაიხსომა, მაგრამ ცნობისმოყვარეობა მოსვენებას არ აძლევდა. დიდხანს ვერ ბედავდა მირიანთან ამ თემაზე ლაპარაკს (თუმცა, რა აკავებდა, წესიერად არ იცოდა) და მხოლოდ გვიან, როცა ნამდვილი და განუყრელი მეგობრები გახდნენ, ჰკითხა, თუ რა იყო ამ გაუგებარი რეჟიმის მიზეზი. მირიანმა ხელი ჩაიქნია და აგდებით თქვა:

— ექიმების კაპრიზია. რაღაც მჭირს ვითომ და სულელურ პროცედურებს მიტარებენ, მმკურნალობენ თავიანთი ჭკუით.

ამ სიტყვებზე კიდევ ერთხელ ჩაიქნია ხელი იმის ნიშნად, რომ ეს საკითხი სალაპარაკოდ არ ღირდა.

აბელმა ცნობისმოყვარეობა ვერ დაიკმაყოფილა, მაგრამ კითხვა აღარასოდეს გაუმეორებია.

სამაგიეროდ ერთ მშვენიერ დღეს ხელჩართული ბრძოლა გაუმართა კარლ მორრის სათვინალო საქციელის გამო.

ეს ამბავი გაზაფხულზე მოხდა, აპრილის თვეში. ამ ხნის განმავლობაში, ცხადია, აბელის მოწიწებული აღფრთოვანება, რომელსაც მირიანის მიმართ გრძნობდა, იოტის ოდენადაც არ შერყეულა და არც მასთან მეგობრობის სიხარულსა და სიამაყეს მოჰკლებია რამე. მაგრამ, რაც უფრო უახლოვდებოდა მირიანს, მით უფრო ხვდებოდა, რომ ცოდნა და აზროვნების სიმარჯვე სხვაა, სიმართლე კი — სხვა. ადრე ასე არ ფიქრობდა. ადრე ეგონა, სიმართლე იმის მხარეს იყო, ვისაც ცოდნა ჰქონდა. ეს იმდენად ეჭვმიუტანელი ჭეშმარიტება ჩანდა, რომ ერთხელ, როდესაც მსგავსი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრძოლა მარიკამ გადაიხადა, უყოყმანოდ აღიარა მირიანის სიმართლე, თუმცა გულში თვითონაც მარიკას აზრს იზიარებდა. ახლა კი, იმ ამბიდან რამდენიმე თვის შემდეგ, ცხადი შეიქნა, რომ მირიანმა მაშინ მარიკა ცოდნით დაამარცხა და არა სიმართლით. როლები რომ გაეცვალათ, ეჭვი არაა, მაინც მირიანი გამოვიდოდა გამარჯვებული. ეს საკითხი დიდხანს აწვალებდა აბელს და აბელი დიდხანს ემზადებოდა გადამწყვეტი შერკინებისათვის. მართალია, კარლ მორზე უფრო მნიშვნელოვანი პრობლემებიც ჰქონდა მირიანთან ერთად გადასაწყვეტი, ვთქვათ, თავისი ექსპერიმენტები ან ნატოს სიყვარული, მაგრამ ამ მთავარ პრობლემებზე ლაპარაკი მხოლოდ მაშინ შეიძლებოდა, როცა მეგობრობა უმაღლეს წერტილზე ავიდოდა და სრულ ჰარმონიას მიაღწევდა. ეს კი, აბელის აზრით, მანამ არ მოხდებოდა, სანამ მეგობრებს რომელიმე პრინციპულ საკითხზე ესოდენ განსხვავებული შეხედულებები ექნებოდათ. ამიტომ აბელმა, როგორც კი მირიანის წყალობით თვითონაც მიიღო ცოტაოდენი ცოდნა, მჭევრმეტყველების ანბანშიც გაერკვა და თავი მზად დაიგულა, მეგობარს დაუყოვნებლივ გადაუგდო ხელთათმანი.

მირიანი წყნარად, აუღელვებლად იცავდა კარლ მორს. აბელი ცხარობდა, ყვიროდა, ხელებს იქნევდა.

როგორ?! როცა ასეთი დიდი განცდა გაქვს, როცა მიჯნური (აბელის სიტყვაა) საკუთარი ხელით გამოასალმე სიცოცხლეს, როცა ყველაფერი, რითაც სულდგმულობდი, დაგემსხვრა და ცა თავზე გემხობა, რა დროს იმის ფიქრია, რომ ვიღაც ლატაკსა და გაჭირვებულ კაცს ფული აშოვნინო!

ნამდვილი ვაჟკაცობა სწორედ ის არის, უმძიმესი განსაცდელის ჟამსაც არ დაივიწყო შენი ადამიანური ვალი და შენი სიკვდილიც კი იმისთვის გამოიყენო, რომ ვინმეს სიკეთე უყო. ამას მანამ ვერ მივხვდებით, სანამ რომანტიკული ბურუსიდან არ გამოვძვრებით და ყალბ გმირობასა და პრაქტიკულ სიკეთეს ერთმანეთისგან არ გავარჩევთ. აბა ის საქციელია კარგი, რაც ნიკოლოზ გოსტაშაბიშვილმა ჩაიდინა?

რატომაც არა! რაინდული, კეთილშობილური საქციელია!

კეთილშობილური! (ოდნავ აგდებული კილო და ოდნავ ირონიული ღიმილი.) ის არის კეთილშობილება, რომ გახურებულ ომში სიცოცხლე აჩუქო მოსისხლე მტერს, რომელმაც საუკეთესო თანამებრძოლები დაგიხოცა! რა მშვენიერი ვაჟკაცი ყოფილხარ, ყიზილბაშო! აფსუსია შენი მოკვლა. მიდი და ხოცე ქართველები, სანამ შეგიძლია! თურმე ნუ იტყვით, ეს არის კეთილშობილება და არა ის, რომ კარლ მორმა იმ დროს, როცა „ცა თავზე ემხობოდა“ (ისევ ოდნავ ირონიული კილო), მაინც იპოვა ზნეობრივი ძალა, საწყალი, წვრილშვილის პატრონი კაცისთვის ხელი გაემართა და ცხოვრების სახსარი გაეჩინა!

შუა კამათში აბელისთვის უკვე ნათელი შეიქნა, რომ დამარცხება არ ასცდებოდა. იგი, როგორც ჩანს, ზედმეტად ენდო ამ რამდენიმე თვის განმავლობაში შეძენილ ცოდნასა და გამოცდილებას და მოწინააღმდეგე ღირსეულად ვერ შეაფასა. არადა, ეს ცოდნა და გამოცდილებაც ხომ ფაქტიურად მისგან ჰქონდა მიღებული! აბელს ზომიერების გრძნობამ უღალატა. აბელი თავდაჯერებას აჰყვა. მაგრამ კამათის პროცესში ყველაფერი თავ-თავის ადგილას დადგა. აბელი როგორ უნდა გამკლავებოდა ასეთ მოპაექრეს, ვისაც მყარი, კარგად მოფიქრებული და ბოლომდე შემოწმებული აზრი ჰქონდა სიკეთეზეც, რაინდობაზეც, ადამიანის მოვალეობაზეც, ყალბ გმირობაზეც, რომანტიკულ ბურუსზეც, ვისაც ფიქრიც კი არ სჭირდებოდა, ისე მოჰყავდა დაპირისპირებისათვის საჭირო მაგალითები.

და აბელი, რასაკვირველია, დამარცხდა.

აბელი დამარცხდა, მაგრამ გულში

---

**ჯემალ ქარჩხაძე**
ქარავანი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაინც დარჩა ბუნდოვანი გრძნობა იმისა, რომ, როგორც მირიანი ამტკიცებდა, მართლა ისე არ იყო ყველაფერი.

და თუმცა საპირისპირო შეხედულებები, ამგვარად, საპირისპირო შეხედულებებადვე დარჩა, აბელმა ამ კამათიდან ერთი მნიშვნელოვანი დასკვნა გამოიტანა: შეხედულებები სხვაა, მეგობრობა კი—სხვა, და იმ ჰარმონიისათვის, რომლისკენაც აბელი მიისწრაფოდა, სულაც არ იყო აუცილებელი მეგობრებს ყველა საგანზე ერთნაირი აზრი ჰქონოდათ. უფრო მეტიც, აბელს ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, თითქოს შეხედულებათა დაპირისპირება არათუ ასუსტებს მეგობრულ კავშირს, არამედ უფრო ამტკიცებს და აძლიერებს.

მაგრამ ასეთი სასარგებლო დასკვნის მიუხედავად, აბელს ჯერჯერობით მაინც ვერ გაებედა მირიანთან თავის ფილოსოფიურ და სამიჯნურო ექსპერიმენტებზე საუბარი. მირიანის დიდი ცოდნისა და მძლავრი აზროვნების წინაშე ყოველივე ეს როგორღაც უფერული, უინტერესო, და ბავშვურად სასაცილო ეჩვენებოდა. არა, საბოლოო უარი არ უთქვამს თავის განზრახვაზე, უბრალოდ, გადაწყვიტა საგანგებო საუბარი არ მიეძღვნა ამ თემისათვის და ისე, სასხვათაშორისოდ ჩამოეგდო სიტყვა როცა ხელსაყრელი შემთხვევა მიეცემოდა.

სანამ აბელი ხელსაყრელ შემთხვევას ელოდა ზაფხულის არდადეგებიც მოვიდა და მეგობრების გზები გაიყარა. მირიანი სწავლის შეწყვეტისთანავე რომელიღაც სახელგანთქმულ კურორტზე წაიყვანეს, აბელი კი დედამ, ჩვეულებისამებრ, სოფელში გაგზავნა.

იმ ზაფხულს პაპა გარდაიცვალა.

რაც სოფელში ჩავიდა, აბელი ერთთავად თავის შორეულ მეგობარზე ფიქრობდა. ცდილობდა წარმოედგინა ის კურორტი, რომლის სახელი ვერ დაიხსომა და რომელიც, მისი აზრით, სადღაც მთებში უნდა ყოფილიყო, ნაძვებისა და ფიჭვების ტყით გარშემორტყმული. თეთრი, სუფთა, მაღალფანჯრებიანი სანატორიუმი მწვანეში იდგა, ირგვლივ სუფთა და ლამაზი ეზო ერტყა. დიდ, ნათელ, კრიალა ოთახში ცხოვრობდა მირიანი და დროდადრო აბელს იგონებდა.

ამ მნიშვნელოვანი საქმით დაკავებულს არ შეუნიშნავს, პაპა თუ ავად იყო. იმისთვისაც კი არ მიუქცევია ყურადღება, რომ მოულოდნელად დედა ჩამოვიდა, თუმცა, რამდენადაც აბელმა იცოდა, ჯერ შვებულება არ უნდა ჰქონოდა. მხოლოდ შემდეგ, როცა მოსახდენი მოხდა, ყველაფერი აღდგა მეხსიერებაში. შემდეგ გაახსენდა, რომ დედა, ბიძა და ბიცოლა ერთმანეთში რაღაცას ჩურჩულებდნენ ხოლმე და პაპას ან ბებიას გამოჩენაზე შეთქმულებივით გაჩუმდებოდნენ. ბოლოს, მრავალდღიანი საიდუმლო მოლაპარაკების შემდეგ, პაპას გამოუცხადეს, შეუძლოდ ხარო და უბრძანეს ლოგინში ჩაწოლილიყო. ამაზე პაპამ უპასუხა, მოგცლიათ ერთიო, და ბრძანებას არ დაემორჩილა. მაგრამ რამდენიმე დღის შემდეგ მაინც ჩაწვა. შუადღის ხანს მთელი ოჯახის თანდასწრებით გაიხადა ბლუზა და შარვალი და, თეთრი პერანგისა და კოჭებთან ზონრებით შეკრული თეთრი ნიფხვის ამარა მორჩილად დაწვა. საბანი რომ დაიფარა, თავი მოაბრუნა, რატომღაც მაინცადამაინც აბელს შეხედა ნაღვლიანი ღიმილით და, თითქოს ბოდიშს იხდისო, ისე თქვა:

— შემაწუხა, ხომ იცით, ამ ტკივილმა.

უფროსებმა, როგორც ჩანს, იცოდნენ, რა სტკიოდა, პაპას. ბავშვებმა არ იცოდნენ. არც თვითონ პაპამ იცოდა. პაპა ხან კუჭს იტკიებდა, ხან გულს, ხან ბეჭებს. ერთი სიტყვით, რაღაც მოხეტიალე ტკივილი ჰქონდა, რომელიც დღითიდღე ძლიერდებოდა. პაპაც დღითიდღე უმატებდა ოხვრას. ერთხელ, როცა ტკივილმა ზენიტს მიაღწია, რაღაც წამალი მოუტანეს. ბებიამ უთხრა, ა, ეს დალიე და დაგიამებსო. პაპამ წამალი დალია, თვალები დახუჭა, დიდხანს იყო ასე და მერე, როდის-როდის ამოიღო ხმა. თვალი არ გაუხელია. ისე თქვა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მშვიდი, წყნარი, კმაყოფილი ხმით:

— უჰ, ძლივს არ მოვისვენე!

ამ სიტყვებზე ჩაეძინა და ძილში გაიპარა.

ბებიამ კივილი ატეხა, რათა პაპას გარდაცვალება მეზობლებისთვის შეეტყობინებინა. მერე დაიწყო ფუსფუსი. ვიღაცები მოდიოდნენ, ვიღაცები მიდიოდნენ, ვიღაცები თათბირობდნენ, რაღაცას წერდნენ, კამათობდნენ და ყაყანებდნენ. მეორე დღეს სურსათ-სანოვაგის მოზიდვა დაიწყეს. მალე ორი მსუქანი მზარეული გამოჩნდა, რომელთაც თეთრი ხალათები ეცვათ და თეთრი ჩაჩები ეხურათ.

დასაფლავების დღეს უთვალავი ნათესავი ჩამოვიდა. ვერაფრით ვერ წარმოიდგენდა აბელი, ამდენი ნათესავი თუ ჰყავდა. უცნობი ქალები ნაზად ჰკოცნიდნენ და უცნობ ბავშვებს უჩვენებდნენ, უცნობი კაცები თავზე ხელს უსვამდნენ და ამბობდნენ, რამხელა გაზრდილაო, ან, ზედგამოჭრილი მამამისიაო. ეზო ხალხით იყო სავსე. მიმოდიოდნენ, ფუსფუსებდნენ, საუბრობდნენ, ეწეოდნენ, ტიროდნენ და იცინოდნენ. ყველაზე ხშირად მაინც ტირილი და სიცილი ისმოდა და აბელი, რომელსაც აქამდე დასაფლავება არასოდეს ენახა, მიხვდა, რომ გლოვა ტირილისა და სიცილის მკაცრად კანონზომიერი მონაცვლეობაა. პაპა კი ამ დროს იწვა თავისთვის და ისეთი სახე ჰქონდა, ლაპარაკი რომ შეძლებოდა, ალბათ ახლაც ისევ ისეთი მშვიდი, წყნარი, კმაყოფილი ხმით იტყოდა: „უჰ, ძლივს არ მოვისვენე!“

ბოლოს ეს გაჭიანურებული ზაფხული, როგორც იქნა, გავიდა და ოცდათერთმეტ აგვისტოს აბელი დედასთან ერთად თბილისში დაბრუნდა.

სწავლის დაწყებას არასოდეს ასეთი სიხარულით არ შეგებებია. მართალია, საერთოდ, პირველი სექტემბერი სასწავლო წლის ერთ-ერთი საუკეთესო დღე იყო, რადგან ამ დღეს არავინ გაგიძახებდა და მასწავლებლებიც უფრო ადამიანები იყვნენ, ვიდრე მასწავლებლები, მაგრამ ხვალინდელი პირველი სექტემბერი ამ ფონზეც კი მკვეთრად გამოირჩეოდა. ხვალ აბელი სამი თვის უნახავ მეგობარს უნდა შეხვედროდა. თანაკლასელებს შურდათ, რომ მირიანი, ჭკვიანი, განათლებული, ერთადერთი მოწაფე, ვინც მასწავლებლებთან მეცნიერულ ორთაბრძოლებს მართავდა, წყნარი, ფიქრიანი, მარტოობის მოყვარული და ამ მარტოობის წყალობით ცოტა იდუმალი და გაუგებარი, აბელის მეგობარი იყო. განსაკუთრებით მარიკას შურდა. მარიკას, თუ აბელს გუმანი არ ღალატობდა, უყვარდა კიდეც მირიანი. ამიტომ იყო, რომ ბოლო ხანებში აბელს სულ უბღვერდა და ულრენდა. აბელს კი გულში ემაყებოდა მირიანის მეგობრობა. და, რაც უფრო შურდათ ამხანაგებს, მით უფრო ემაყებოდა. ოღონდ, ცხადია, თავი ისე ეჭირა, ვითომ საამაყო და განსაკუთრებული აქ არაფერი იყო. ხანდახან, როცა ოცნებას ველარ მოთოკავდა, წარმოიდგენდა, ვითომ მირიანის მეგობრობაში მართლა არაფერი იყო განსაკუთრებული. რაკი მირიანმა აბელი აირჩია, მაშასადამე, აბელიც ისეთივე ჭკვიანია, ისეთივე ფიქრიანი და სხვებისათვის ისეთივე მიუწვდომელი.

სამი თვის განშორებამ აბელს კიდევ უფრო შეაყვარა მირიანი. უფრო მეტიც: ზაფხულში საბოლოოდ დარწმუნდა, რომ მისი მხრივ სულელური და თავისი არსით მეგობრობის შეურაცხმყოფელი საქციელი იყო, როცა საიდუმლო ექსპერიმენტებისა და საიდუმლო სიყვარულის გასამხელად ხელსაყრელ შემთხვევას ეძებდა. არავითარი ხელსაყრელი შემთხვევა ამას არ სჭირდებოდა. განუყრელ მეგობარს ყველაფერი შეგიძლია უთხრა იმაზე, რაზედაც სხვები გაიცინებენ, განუყრელი მეგობარი არ გაიცინებს. განუყრელი მეგობარი ყველაფერს გაგიგებს...

აბელი გვიან ღამით ჩამოვიდა და მაშინვე დასაძინებლად დაწვა, მაგრამ რული დიდხანს არ მიეკარებია. მოახ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლოებული შეხვედრის მოლოდინით აფორიაქებული, ლამის გათენებამდე ტრიალებდა ლოგინში და გონებაში ხვალინდელი დილის სურათებს ხატავდა. სკოლაში მისულს მირიანი საკლასო ოთახში დახვდებოდა, განუყრელი მეგობრები ერთმანეთს გადაეხვეოდნენ და გადაკოცნიდნენ. მაგრამ დეტალების დამუშავებისას ამ სურათის ქვეშ ეჭვის ჭია გაჩნდა. გადაკოცნიან კია ერთმანეთს? აბელი და მისი კლასელები პირველ სექტემბერს ყოველთვის კოცნიდნენ ერთმანეთს, მაგრამ მირიანი სხვანაირი ბიჭი იყო და მის ხასიათს არაფრით არ ეხამებოდა გრძნობათა ასეთი გამომჟღავნება. მირიანი ალბათ ხელსაც კი არ ჩამოართმევდა ამხანაგებს, საერთო სალამს იტყოდა და მშვიდი, ფიქრიანი, განმარტოებული, თავისი მერხისაკენ წავიდოდა. ხოლო თუ სხვებს არ გადაკოცნიდა, გამონაკლისს ვერც აბელისთვის დაუშვებდა, რათა კლასში უხერხული ვითარება არ შექმნილიყო. არადა, კოცნის გარეშე შეხვედრა აბელს ვერ წარმოედგინა. მეგობრობა თუა, მეგობრობა უნდა იყოს. ამაზე დიდხანს იმტვრია თავი და, მისდა სასახელოდ, ბოლოს ჩინებული გამოსავალი იპოვა: ცხრის თხუთმეტ წუთზე სახლის წინ დაელოდებოდა მირიანს, როგორც ამას წინა წელს აკეთებდა. მართალია, მოლაპარაკება ამ წელზე არ გავრცელებულა, ყოველ შემთხვევაში, ასეთი შეხვედრა არ დაუთქვამთ, მაგრამ მერე რა! როცა მეგობრები ხართ, სულაც არაა აუცილებელი ყველაფერი წინასწარ დაითქვას. იქ, სადარბაზოს წინ, ეჭვიანი თვალებისაგან მოშორებულები, გადაკოცნიდნენ ერთმანეთს და მერე შეიძლება საკლასო ოთახში აბელსაც მირიანივით მხოლოდ საერთო სალამი ეთქვა და მშვიდი, ფიქრიანი, განმარტოებული, წასულიყო თავისი მერხისაკენ.

მეორე დილით აბელი, გამოუძინებელი და თვალებდაწითლებული, ცხრის ათ წუთზე უკვე მირიანის სახლთან იდგა და მეგობარს ელოდა. გონებით მშვენივრად იცოდა, რომ არაფერი სამარცხვინო იმაში არ არის, მეგობარს წინასწარი შეთანხმების გარეშე დაელოდო სადარბაზოსთან, მაგრამ გულში მაინც რცხვენოდა და ეჩვენებოდა, თითქოს გამვლელ-გამომვლელები ეჭვითა და ირონიით უყურებდნენ, თუმცა, ცხადია, მათ არ შეიძლებოდა სცოდნოდათ, რომ აბელი წინასწარი შეთანხმების გარეშე იდგა აქ და მეგობარს ელოდა. როგორც კი ლიფტის კარი გახმაურდებოდა, აბელი რამდენიმე ნაბიჯით უკან იხევდა და მერე ნელა წავიდოდა წინ, რათა ისეთი შთაბეჭდილება შეექმნა, ვითომ ახლა მოდიოდა სახლიდან. სადარბაზოდან ნაირ-ნაირი ხალხი გამოდიოდა. მირიანი კი არ ჩანდა. ბოლოს, როცა აბელი მიხვდა, სკოლაში იგვიანებდა, იფიქრა, ალბათ უკვე წავიდაო (ეს ვარაუდი იმით გაამართლა, რომ პირველ სექტემბერს შედარებიათ ადრე მიდიან სკოლაში), და პოსტი მიატოვა.

მირიანი სკოლაში არ დახვდა.

საკლასო ოთახში რომ შევიდა, პირველ რიგში მეგობრის მერხისკენ გაიხედა. მირიანი იქ არ იჯდა. მერე, სანამ ამხანაგებს ესალმებოდა, კოცნიდა და მექანიკურად პასუხობდა სულელურ შეკითხვებზე, ოთახი საფუძვლიანად მოათვალიერა. მირიანი ოთახში არ იყო. მაშინ კარს დაუწყო თვალთვალი. მირიანის შემოსვლა რომ არ გამოჰპაროდა, ამხანაგებს კი, რომლებიც მისი მეგობრები არ იყვნენ, კვლავ მექანიკურად და უაზროდ ესალმებოდა.

მირიანი არ მოვიდა.

ამგვარად, შარბათად დაგუბებული დღე აბელს შხამად ექცა. გულში ობლობის მძიმე სევდა ჩაუსახლდა. სევდა მისთვის ახალი ხილი არ ყოფილა, მაგრამ ეს სევდა ადრე გადატანილი ყველა სხვა სევდისაგან მაინც განსხვავდებოდა რაღაც არსებითი ნიშნით, რომლის დადგენა აბელს არ შეეძლო. აბელი ერთ ადგილას ვერ ისვენებდა. სხეულში უცხო, გაუგებარი ძალა მოძრაობდა, რომელიც სხეულსაც აიძულებდა გამუდმებით ემოძრავა. ამ ნიადაგზე თითქმის ყველა მასწავლებლის-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გან მიიღო თითო შენიშვნა. მაგრამ ამ შენიშვნებს ყურადღებას არ აქცევდა. ერთი სული ჰქონდა, როდის დამთავრდებოდა გაკვეთილები, რომ აქაურობას გასცლოდა. გაკვეთილები კი, უსაშველოდ გაჭიმული და გაჭიანურებული, არ იქნა და არ დამთავრდა. აბელი გულდამძიმებული იყო და, რამეს რომ ჰკითხავდნენ, ხმის ამოღება უჭირდა. ერთი-ორჯერ მარიკამ თავისი შავი, ბრიალა თვალები შემოანათა, თითქოს ეუბნებოდა, ეგეც შენ, ხომ არ მოგივიდა მეგობარიო. ბოლოს დაადგა საშველი და უკანასკნელი ზარი დაირეკა. აბელმა ჩანთას ხელი დაავლო, სკოლიდან გავიდა და ჩქარი ნაბიჯით გაუყვა ქუჩას. გადაწყვეტილი ჰქონდა, სანამ შინ დაბრუნდებოდა, მირიანთან შეევლო. მაგრამ, მეგობრის სახლს რომ მიუახლოვდა, ერთბაშად დაეჭვდა ამ გადაწყვეტილების სისწორეში და ყოყმანი დაიწყო. მაშინ ნაბიჯი შეანელა, რათა დრო მოეგო და ეს უადგილო ეჭვები მანამ მოეშორებია, სანამ მირიანის სადარბაზოს მიადგებოდა. ეჭვები კი თანდათან ძლიერდებოდა. სადარბაზოს რომ მიაღწია და შეჩერდა, უკვე საბოლოოდ იყო დაბნეული და აღარ იცოდა ასვლა ერჩივნა თუ აუსვლელობა. იდგა სადარბაზოსთან, ყოყმანობდა და თან იმასაც მტკივნეულად განიცდიდა, რომ ასე უსაქმოდ ტკეპნიდა ერთ ადგილს. ერთი პირობა საკუთარი სილაჩრის გასამართლებლად თავის მოტყუება დააპირა და, რაც შეეძლო, მტკიცედ და დაჯერებით გაიფიქრა: „არ იქნებიან ჩამოსულები“. მაგრამ თავმა თავი არ მოიტყუა: თუ არ იქნებიან ჩამოსულები, კარს არავინ გაგიღებს და ამით დამთავრდება ყველაფერი. გამობრუნდები და წამოხვალ. სინამდვილეში სწორედ იმის ერიდებოდა, რომ ჩამოსულები იქნებოდნენ და კარსაც გაუღებდნენ. კარს მირიანის დედა გაუღებდა და, ვინ იცის, გულში გაევლო: „ნეტა ვინ დაპატიჟა, რომ აალირა თავი და მოგვადგა?“ აბელს შერცხვა, რადგან ცხადზე უცხადესი იყო, რომ მირიანის დედა ასეთ რამეს არ გაიფიქრებდა. მირიანის დედა თბილი ღიმილით შეეგებებოდა და გულწრფელი სიხარულით შეიპატიჟებდა შინ. ერთი სიტყვით, აუსვლელობის ვერავითარი მოტივი ვერ მოძებნა. მიუხედავად ამისა, ასეთი მოტივი მაინც არსებობდა. იგი სადღაც ლოგიკური აზრის მიღმა არსებობდა და აბელი ზანტად, ფეხათრევით გაუდგა გზას შინისაკენ.

ეს დღე აბელის ცხოვრებიდან უკვალოდ ამოიშალა, როგორც მკვდარი, არარსებული. ამ დღეს სიცოცხლე უმიზნო და გაუგებარი იყო.

მეორე დილით, ცხრის ათ წუთზე, აბელი კვლავ პოსტზე იდგა, სადარბაზოს წინ, და მეგობარს ელოდა. და იმ დროს, როცა გუშინდელივით იგრძნო, სკოლაში იგვიანებდა, და გზის გაგრძელება დააპირა, უეცრად, თავისდა მოულოდნელად, სადარბაზოში შევარდა და ლიფტი გამოიძახა. მირიანის კარზე ღილაკს რომ თითი დააჭირა და ზარმა დარეკა, მხოლოდ მაშინ მოეგო გონს. შეკრთა და გაქცევა დააპირა, მაგრამ ამ დროს შიგნიდან ფეხის ხმა მოისმა. აბელი მონუსხულივით გაშეშდა ადგილზე. რა ექნა, აღარ იცოდა. ამასობაში კარიც გაიღო. ზღურბლზე მირიანის დედა იდგა. პირველი, რაც აბელმა იგრძნო ეს იყო უცნაური სიცარიელე, რომელიც მით უფრო საკვირველი ჩანდა, რომ სახლში ყველაფერი თავის ძველ ადგილას იდგა, ისე, როგორც აბელს ახსოვდა. მაგრამ აბელმა ვერც კი მოასწრო გაკვირვება ამ უცნაური ჩვენების გამო, რადგან მისი ყურადღება იმავ დროს მირიანის დედამ მიიქცია. მირიანის დედა საშინლად გამხდარიყო. შავი კაბა ისე ადგა, თითქოს საკიდზე ეკიდა, ლოყები ჩაცვენოდა, თვალები ჩაწითლებოდა და საოცრად დაუშნოებული ჩანდა.

ყოველივე ამან ელვის უსწრაფესად ჩაიქროლა აბელის ტვინში. გააზრებით ვერაფრის გააზრება ვერ მოასწრო. ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

იყო მხოლოდ, რომ გულმა გაუგებარი რეჩხი უყო.

იმავ წამს მირიანის დედას სახეზე სუსტი და შორეული, მაგრამ ძველებურად თბილი ღიმილი აღებეჭდა.

— მოდი, შვილო, — რაღაცნაირი ყრუ, თითქოს ნაძალადევი ხმით უთხრა, დაიხარა და აკოცა.

აბელმა რომ შუბლზე ცივი ტუჩები იგრძნო, ტანში გააჟრჟოლა. იმას კი ვერ მიხვდა, თუ რატომ ჩაჰკიდა თავი და რატომ იდგა ასე საცოდავად, თითქოს რაღაც საშინელი დანაშაული ჩაედინოს.

— ვინ არის, თამარ? — მოისმა ამ დროს მირიანის მამის ხმა და აბელს მოეჩვენა, რომ ცოლ-ქმრის ხმა შემაშფოთბელად დამსგავსებოდა ერთმანეთს.

— აბელი მოვიდა. — მიუგო მირიანის დედამ.

მირიანის მამა გამოჩნდა. მირიანივით მაღალი იყო, გამხდარი და სათვალიანი. მოვიდა და ხელი გამოუწოდა აბელს.

— გამარჯობა, აბელ, — და როცა აბელმა, თავჩაქინდრულმა, საცოდავმა, უმწეოდ აკანკალებული ხელი ჩამოართვა, დაუმატა: — მოდი, დაჯექი, გავიხსენოთ წარსული.

მირიანის დედას ტირილი წასკდა. ცხვირსახოცი ამოიღო, შეტრიალდა. ცრემლებს იმშრალებდა და ცდილობდა დაწყნარებულიყო. ქმარმა ხელი ნელა გადახვია მხარზე და საფეთქელზე აკოცა. აბელმა თავის სიცოცხლეში პირველად ნახა, რომ კაცმა ქალს სხვისი თანდასწრებით აკოცა. მირიანის დედა თანდათან დამშვიდდა, ცხვირსახოცი კაბის ჯიბეში ჩაიდო.

აბელი ყველაფერს მიხვდა.

ამან მისი მდგომარეობა კიდევ უფრო მძიმე და ორჭოფული გახადა. გულზე რაღაც დააწვა, მუხლებში ძალა გამოეცალა. მერე ერთი წამით მოეჩვენა, თითქოს საკუთარ თავს გამოეყო და გარედან შეხედა. შეხედა თავჩაღუნულს, საბრალოს, უსუსურს. მეხსიერებაში ერთბაშად ამოტივტივდა პაპის პანაშვიდი. მოაგონდა, როგორ მოდიოდა ხალხი. მძიმე, სერიოზულ სახეებზე ოდნავ მკაცრი, ოდნავ საზეიმო და ოდნავ იდუმალი გამომეტყველება ეხატათ. მოდიოდნენ მწკრივად, მოდიოდნენ დინჯად, კარგად გამოზომილი ნაბიჯით, ხაზგასმული მოწიწებით ართმევდნენ ხელს ჭირისუფლებს და დაბოხებული ხმით ეუბნებოდნენ: „ვიზიარებ თქვენს მწუხარებას“, ან „მონაწილე ვარ თქვენი მწუხარების“. ერთი-ორმა უბრალოდ თქვა: „მეწყინა“. და ამ სიტყვასაც კი, რომელსაც თითქოს კომიკური ელფერი უნდა დაჰკრავდეს, ვითარების ამაღლებული ხასიათის გამო, კომიკურობის ნიშანწყალი არ ეცხო. პაპის პანაშვიდი დიდებული სანახაობა იყო. აბელი როგორღაც ბრიყვულად მოვიდა, ბალღური, უმეცარი მოსვლით. მოვიდა და უხერხულობის ისეთ ლაბირინთში აღმოჩნდა, საიდანაც თავის დაღწევა წარმოუდგენელი ჩანდა. მართალია, გასამართლებელი საბუთი კი ჰქონდა, რადგან, როცა მოდიოდა, *არ იცოდა*, მაგრამ მაშინ ეს უნდა ეთქვა, უნდა ეთქვა, რომ არ იცოდა. ხოლო, რაკი ამის თქმა ახლანდელ ვითარებაში დიდად აღემატებოდა აბელის შესაძლებლობებს, მირიანის მშობლები, ცხადია, იფიქრებდნენ, რომ აბელმა *იცოდა* და მაინც ასეთი უმწეო და საცოდავი მოსვლით მოვიდა. რას არ მისცემდა აბელი ახლა, ოღონდ აქაურობას დროზე გასცლოდა. მაგრამ ეს ფუჭი სურვილი იყო. მირიანის მამა მის პასუხს არ დალოდებია, შეიპატიჟა თუ არა ოთახში, შეტრიალდა და წინ გაუძღვა. ამიტომ აბელიც იძულებული შეიქნა ჩანთა შემოსასვლელში დაეტოვებია და უკან გაჰყოლოდა.

დიდ ოთახში შევიდნენ. მირიანის მამა დაჯდა, მირიანის დედაც დაჯდა, აბელიც დასვეს.

წამით აბელს მტკივნეულად გაუელვა ფიქრმა, მირიანიც რომ აქ იჯდეს, ყველაფერი კარგად იქნებოდაო. იმავ წამს თმის ძირებში ოფლმა გამოჟონა.

იჯდა თავჩაქინდრული, ძალაგამოცლილი, სხეულის შორეულ სიღრმეში რაღაც უკანკალებდა და არ იცოდა რა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ექნა. როცა მირიანი გვერდით ჰყავდა, მის მშობლებთან მაშინაც უხერხულად გრძნობდა თავს. ახლა კი, არათუ მირიანი არ ჰყავდა გვერდით, მის მშობლებს ალბათ ისიც კი ეგონათ, რომ აბელმა, როცა აქ მოდიოდა, ი ც ო დ ა... აბელს ერთბაშად მოაგონდა, რომ მათ არაფერი უთქვამთ იმის შესახებ, რაც მოხდა. ხოლო რაკი არაფერი უთქვამთ, ცხადია, ფიქრობდნენ, რომ აბელმა ი ც ო დ ა...

— სოფელში იყავი მთელი ზაფხული? — დაარღვია დუმილი მირიანის მამამ.

— დიახ, — ჩაილუღლუღა აბელმა და ბუნდოვანი გაკვირვება იგრძნო იმის გამო, რომ მირიანის მამა ასეთ დროს ესოდენ უმნიშვნელო რამეზე ლაპარაკობდა.

— მირიანმა მითხრა, რომ სოფელში იყავი. — ისევ დაილაპარაკა მირიანის მამამ და კედელს შეხედა. მერე ოდნავ შეცვლილი ხმით განაგრძო: — დარდობდა, რატომ მისამართი არ გამოვართვიო. წერილის მოწერა უნდოდა.

სინათლეს თითქოს ბინდი ჩამოეფარა. ყელში ქვემოდან რაღაც მოაწვა. და აბელს მოულოდნელად ტირილი წასკდა.

ტიროდა და ტირილის რცხვენოდა. იცოდა, მამაკაცს არ შეჰფერის ტირილი. ცდილობდა დამშვიდებულიყო და თავს ვერაფერს უხერხებდა. აგონდებოდა რამდენჯერ მწარედ, ტკივილით გაიფიქრა ზაფხულის განმავლობაში, რატომ არ მომაგონდა, ერთმანეთისთვის ჩვენ-ჩვენი მისამართი მიგვეცა და წერილები გვეგზავნაო. აგონდებოდა და ცრემლებს ვერა და ვერ იკავებდა.

მირიანის მამამ თავზე ხელი დაადო, თითები მოუსვა, თითქოს მოფხოჭნა (და აბელმა რაღაც გაუგებარი, დაუმსახურებელი, მოპარული სითბო იგრძნო), კარგი, გეყოფაო, ჩავარდნილი ხმით უთხრა, იმავ წამს წამოდგა, ფანჯარასთან მივიდა და ერთხანს ასე იდგა აბელისკენ ზურგშექცევით.

აბელი, როგორც იქნა, დაწყნარდა და ტირილი შეწყვიტა. სამაგიეროდ სირცხვილის ალმური ასდიოდა და მთელი სახე უხურდა.

მირიანის მშობლები კარამდე გამოჰყვნენ. აბელმა ჩანთა აილო.

გამომშვიდობებისას მირიანის მამამ მხარზე ხელი გადახვია (თითებიდან წელანდელივით გამოსდიოდა უცნაური და დაუმსახურებელი სითბო) და უთხრა:

— ნუ დაგვივიწყებ. შემოგვიარე ხოლმე. წიგნები თუ დაგჭირდეს, არ მოგერიდოს.

აბელმა დასტურის ნიშნად რაღაც წაილუღლუღა.

სადარბაზოს რომ გასცდა, წამით იმ ადგილას შეჩერდა, სადაც გუშინ დილით და დღეს დილით მირიანი ელოდა. უეცრად ძალიან უცნაური, აუხსნელი და არაბუნებრივი ეჩვენა ის ამბავი, რომ ორი დღეა ელოდა მეგობარს, რომელიც აღარასოდეს მოვიდოდა.

მირიანის მამის თხოვნა არ შეუსრულებია. მხოლოდ ერთხელ, როცა სკოლაში გაიგეს მირიანის გარდაცვალების ამბავი და მასწავლებელმა მთელი კლასი წაიყვანა, აბელიც მივიდა. მაშინ იყო, გერონტი გოგოსავით გულამოსკვნით ქვითინებდა და ამ სანახაობამ აბელს წამით ეჭვი გაუჩინა. იქნებ არც ისე სამარცხვინო საქმეა მამაკაცისთვის ტირილიო.

ამის შემდეგ აღარ მისულა. სულ აპირებდა და სულ ფეხს ითრევდა. ვერაფრით ვერ მოეხერხებია მისვლა, თან მიუსვლელობა ტანჯავდა, რადგან დროდადრო აგონდებოდა მირიანის მამის თბილი თითები და ჩავარდნილი ხმა.

ოქტომბრის ბოლოს აბელი სხვა სკოლაში გადავიდა. მისი და მისი მეზობლების ძველ სახლს ბულდოზერები მიაყენეს. ნაცნობი სახეები მთელ ქალაქში გაიფანტნენ.

აბელსა და აბელის დედას ახალ უბანში, მაღალ სახლში მისცეს ბინა.

გაგრძელება იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯუმბერ ტიკარაძე

# სანატრელი

რომანი

მაგრამ თავისი გაიტანა მაინც აპოლომ და იმ დღეს ოთახში იყვნენ გამოკეტილნი ქმარიცა და ცოლიც, იქამდე კი, საჭმელი არაფერი გვინდა დღესო, აპოლომ თქვა, ყველი და პური ვიმყოფინოთ როგორმეო... და ნინუცას სატანჯველიც დაიწყო — ხან ერთ რუკასთან მიიყვანა აპოლომ და ხანაც მეორესთან. გულდასმით უსმენდა ნინუცა, მაგრამ ვერაფერი გაეგო ვერც აპოლოსი და ვერც იმ რუკებისა. აპოლოს კი ჟინი და საღერღელი აშლოდა ლაპარაკისა, ადრე რომ არა სჩვეოდა, იმდაგვარად გამოცოცხლებულიყო, გაკრეფილიყო ენად, სხვადასხვა სახელმწიფოებსა და ქალაქებს უჩვენებდა ნინუცას და ეუბნებოდა თანაც, დაიმახსოვრე, დიდი არაფერიაო, მაგრამ გაუმტყუნა დედაკაცმა იმედი ქმარს, თუმცა საკმაოდ ძლიერი ნებისყოფისა გამოდგა აპოლო, საღამომდე არ შეუწყვეტია ახსნა-განმარტებანი, ბოლოს კი სიქა რომ გაეცალა, ბრაზი მიეძალა, ის იყო დაყვირებას აპირებდა, ნინუცამ რომ სთხოვა:

— თბილისი მაჩვენე ერთი სადაა, აპოლო...

— ახლავე, — გამოცოცხლდა აპოლო, ეგების დაადგეს საშველი, გაეხსნას გონებაო, რუკასთან მიიყვანა და უჩვენა სადაც იყო თბილისი, — მასე თუ დაინტერესდები, მაშინ უცებ ისწავლი ყველაფერს...

— ნენა, მაქანაა ჩემი მონატრებული შვილი, — თქვა ნინუცამ და ცრემლი მოადგა თვალზე — მაგას რავა ვერ დევიმახსოვრებ, აპოლო...

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ცისკარი" 1981 წ. №№ 11, 12. 1982 წ. 1, 2, 3, 4, 5, 6, 7, 8.

და მართლაც დიდებულად დაიმახსოვრა ნინუცამ თბილისის ადგილმდებარეობა, უშეცდომოდ უჩვენა რუკაზე, რამდენჯერაც კი სთხოვა აპოლომ, თანაც ცრემლი უნამავდა თვალებს და გედეონის ხსენებას იყო, მაგრამ ამაზე შორს ვერ წავიდა ნინუცას გეოგრაფიული ცოდნა და აპოლომ რომ უსაყვედურა, ტყუილად დამაკარგვინე ამდენი დროო, ხმის ცახცახით წარმოსთქვა ქალმა:

— ამ კუთხეს არ გავცილებივარ, აპოლო, ქი იცი შენ კარგად და, მაგდონ ქალაქს რა დამამახსოვრებს, — ცრემლი ჩამოსწყდა ლაპალუპით, მიწასთან გასწორებულად გრძნობდა მაშინ თავს ქალი, — მასეა, აბა, აპოლო, ტყუილა გამტანჯე დღეს და თავიც გეიტანჯე, თბილისი არ მინახავს ისთე ვკვდები ქალი და ამერიკაა თუ რაცხა ჯანდაბა, მეისპო მისი სახსენებელი, იმას რავა დევიმახსოვრებ, რომ დევიმახსოვრო კიდეც, რათ მინდა ამ ხნის ქალს, ვერ გამიგია...

— რავა თუ რათ გინდა, — შეურაცხყოფად მიიღო აპოლომ ნინუცას ნათქვამი. — სულელი ვარ ახლა ვითამ მე? რუკასთან რომ ვარ აყუდებული ამ ხნის კაცი გათენებიდან დაღამებამდე, თუ რავა გგონია შენ...

— აჰ, მაი არ მითხრობია მე, აპოლო, მარა სოფელში დევიბადე და სოფელში ჩავკვდები, მაგდონ უბედურებას რავა დევიმახსოვრებ...

— რავა, — იბღავლა აპოლომ — მე მსოფლიო მომივლია თუ?...

— ფეხით მეიარე ომი მთლად, შე კაცო, — შიში გაერია ხმაში ნინუცას: — რამდენეთ ქალაქს და სოფელს ნახავდი იქანა შენ...

ნინუცასდა საუბედუროდ, ამ სიტყვებმაც ვერ მოულბო გული აპოლოს და ქალს რომ ეგონა,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლა კი მომეშვება, მიხვდა, არაფერი რომ არ გამოუვაო, მაინც თავისი განაგრძო იმან, რუკებთან დამდგარიყო ისევ და ლაპარაკობდა აღტყინებული, მაგრამ წყლის ნაყვა იყო მხოლოდ, ვერა და ვერ წარმოედგინა ნინუცას, როგორ შეიძლებოდა პატარა ქაღალდზე დატეულიყო დედამიწა, თუმცა მასშტაბის მნიშვნელობაც აუხსნა აპოლომ და თავგაბეზრებულმა ნინუცამ ამგვარი რამ ჰკითხა:

— აი მითხარი ერთი, აპოლო, — რიდი და კრძალვა გაურია ხმაში, თითქოს რცხვენოდა სათქმელისა, — ჩვენი ხოფელიც დაეტევა ვითომ მაგ ქაღალდზე, რუკაა თუ რაცხა ჯანდაბა, მე რომ გამიმწარა და მომიხპო სიცოცხლე?..

ამ შეკითხვამ ჯერ საშინლად განარისხა აპოლო და მიახალა, დაეტევა, აბა, რაო, მერე კი თავისდაუნებურად და მოულოდნელად გაუნათდა გონება, უცებ ჩაესახა ახალი აზრი, რომელმაც მყისვე იწყო ღვივება, თანდათან შეისხა ხორცი, და გახალისდა აპოლო, წადი ახლა და საქმეს მიხედეო, უთხრა ნინუცას, ამას აღარ მოელოდა დედაკაცი და ფეხაკრეფით გაიძურწა ოთახიდან. თავად კი ბოლთა დასცა აპოლომ, აქეთიქით აცეცებდა თვალებს, ხანდახან რაღაცას წამოიძახებდა გაურკვევლად, ერთხელ კი ნინუცას, გარეთ რომ საქმიანობდა, ხარხარის ხმაც ჩაესმა და დაფრთხა ქალი, ნამდვილად გაგიჟდა და ეგ არით და ერთი თავისებურად მიაწყევლა გეოგრაფიაც, ყოველგვარი რუკაცა და იმისი მომგონიც, ხოლო შემდეგ ოთახს აყურადებდა შებინდებამდე — აპოლოს ნაბიჯების ხმა ატანდა იქიდან, დაძრწოდა კვლავაც შეუსვენებლივ, მაგრამ ხარხარი აღარ გაუგონია, ეგებ მომეჩვენაო, ფიქრობდა, თუმც ვერ დამშვიდებულიყო მაინც, რამდენჯერმე ოთახში შესვლაც გადაწყვიტა, წადგამდა ნაბიჯს, მაგრამ შეყოვნდებოდა მერე, თუკი დავჭირდები, თავადვე დამიძახებსო, თანაც დღევანდელი დღე ახსენდებოდა, დილიდანვე ამაოდ რომ აყურყუტა აპოლომ რუკებთან და ეშინოდა, მაგისგან ყველაფერია მოსალოდნელი, აღარ არის კაცი ჭკუაზე, კვლავაც ისეთი ამბავი არ დამაღწიოსო...

ასე და ამგვარად ჩამოიბინდა, ქმარს ბოლთის ცემა არ შეუწყვეტია, დედაკაცს კი გარეთ ყურყუტი და ბოლოს, ივახშმეს თუ არა, ტელევიზორი ჩართო ნინუცამ...

— არ გინდა ახლა მაი, — უთხრა აპოლომ, დღეს ნუ ჩავრთავთ...

— რავა, — განცვიფრდა ნინუცა, — ეგება გედონზე იქნას გადაცემა დღეს...

— კარგი, — ხელი ჩაიქნია აპოლომ, — რავარც გინდოდეს, ისთე მოიქეცი...

ნინუცასთვის ჩვეულებრივად მიედინებოდა ის საღამო, მისჩერებოდა ეკრანს, გამოჩენას ელოდა გედეონისას... აპოლო კი არაფრით დაინტერესებულა, იყო თავისთვის გარინდული, მაგრამ, ფიქრიანი გამომეტყველების მიუხედავად, იგრძნობოდა აშკარად, აღფრთოვანებული ბრძანდებოდა, ხანდახან ბოლთას დასცემდა, ჩვეულებისამებრ აღარ ჩერდებოდა რუკებთან, შედგებოდა, ნინუცას შეავლებდა თვალს, აკვირდებოდა ყურადღებით და ღიმილს ველარა მალავდა, ქალი კი ვერ მიხვედრილიყო, რას მოასწავებდა იმისი საქციელი და დღევანდელი დღე ახსენდებოდა, ამაოდ რომ გაიხარჯა აპოლო, დამცინის ალბათო, ეგონა ჯერ, მაგრამ უმალვე უარჰყო ეს აზრი, დაწოლის წინ კი, სინათლე რომ ჩააქრეს, აპოლომ იკითხა:

— მაშ, რავა გგონია, ნინუცა, შენ, ვერ დაეტევა ვითამ რუკაზე ჩვენი ხოფელი? —და გადაიხარხარა. ელდა ეცა ნინუცას, წელან რომ ჩაესმა, ეზოში საქმიანობისას, ახლაც ზუსტად იმდაგვარის ხმით ხარხარებდა აპოლო: სული რომ მოითქვა, ნაწყვეტ-ნაწყვეტ განაგრძო: — არ დაეტევა ვითამ? რავა ფიქრობ შენ...

— რა ვიცი, — მიუგო ნინუცამ, საკმაოზე მეტად იყო დამფრთხალი, მთვარეს გაენათებინა ოთახი და დედაკაცი დაკვირვებით შესცქეროდა ქმარს, მაგრამ ჭკუაზეშერყეულისა არაფერი ეტყობოდა იმას და ნინუცა მშვიდდებოდა თანდათანობით, ის კი არ გამოჰპარვია, უჩვეულოდ რომ იყო აღგზნებული აპოლო და ცუდად ენიშნა, მაგრამ დაწყნარდა მაინც, ჭკუაზეშერყეულს, რისი შიშიც ჰქონდა წელან, არ ჰგავდა ახლა აპოლო და აღარ დაუყოვნებია, — არ ვიცი რუკების, აპოლო მე, ხომ მიხვდი დღეს ასე რომაა, რა ვიცი, დაეტევა თუ არა ჩვენი ხოფელი რუკაზე.

ის ღამეც ახლი იყო მაშინდელისა, რუკების ყიდვა რომ გადაწყვიტა აპოლომ, მშვიდი ფშვინვა ჩაესმოდა ნინუცასი, თავად კი ერთიანად დამორჩილებოდა ახალ სურვილს: ჯერ უბრალოდ გადაწყვიტა, დაემტკიცებია ნინუცასთვის, მათი ხოფელიც რომ დაეტეოდა რუკაზე, თუმცა იცოდა, ქალს მაინც ვერ გააგებინებდა ვერაფერს... მერე და მერე, უფრო ღრმად რომ ჩაფიქრდა, სხვა, ახალი გზები დაინახა აპოლომ და ახალ სურვილთა შესრულების შესაძლებლობაც მიზნებისა, რისთვისაც მოვლენოდა თურმე იგი ამ ქვეყანას...

დღევანდელი დღე, უამრავი რუკა თუ მათი კირკიტი გამუდმებულად, არარაობა იყო ხვალინდელთან შედარებით... უძილოდ მიიზლაზნებოდა ის ლამაზი ღამე და აპოლოს სიამოვნებდა, თვალის მილულვა რომ არ ძალუძდა, მაგრამ ბოლოს ჩაეძინა მაინც როდის და, როგორ, ვერ მიხვდა, უამრავი ფერად-ფერადი სიზმარი იხილა იმ ღამით, მაგრამ არც ერთი იმათგანი არ დამახსოვრებია და მეორე დღეს არც შეუწუხებია თავი, წინა ღამის ზმანებათა გახსენებით. ირიჟრაჟა თუ არა, წამოფრინდა, წვერი გაიპარსა ჯერ, მერე კი სარკის წინ იტრიალა. ნინუცას რომ გამოელვიძა აპოლო საგარეოდ გამოწყობილი დახვდა მაშინდელივით, რუკების საყიდლად რომ მიდიო-

ჯუმბერ ტიკარაძე
სასწაულები

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და მყისვე დაიზაფრა დედაკაცი, ვერ დამალა წყენა ვერაფრით, თუმც სიტყვა არ დაუძრავს, მაგრამ აპოლოს როდი გამოჰპარვია სულიერი მდგომარეობა ქალისა, მალე მოვალ, საქმე მაქვს რაცხაო, დაიბარა როგორც მაშინ და წავიდა...

ცუდის წინასწარმეტყველება აკვიატებოდა ნინუცას, ეგონა, რუკებს იყიდდა კვლავაც აპოლო, მაგრამ მოტყუვდა, სალამოთი მობრუნდა კაცი შინ, უამრავი სხვადასხვა ზომის სუფთა ქაღალდი მოიყოლა თან და კიდევ ფანქრები და სალებავები... მჭირდება და რისთვის მალე გაიგებო, ალერსიანი ხმით უთხრა ნინუცას და, როგორც კი ივახშმა, უმალ დაწვა დასაძინებლად, დილით კი უთენიაზე გავიდა შინიდან, შებინდებამდე არ მობრუნებულა იმ დღეს, რამდენჯერმე შემოიარა სოფელი თუ მახლობელი სანახები და ადგილები. მეზობლები ესალმებოდნენ მოწიწებითა და დიდის ამბით, ხალისით უბრუნებდა ისიც სალამს, რას აკეთებო, რომ ჰკითხავდნენ, საქმე მაქვს რაცხაო, პასუხობდა ღიმილით, საუბრით კი იცოცხლე, ენაწყლიანობას იჩენდა მართლაც და ზალხი განცვიფრებას ველარ მალავდა, უჭირდათ აპოლოს ცნობა, როდის იყო, ამდენს ლაპარაკობდაო...

და მეორე დღესაც წინას მსგავსი ამბები განმეორდა, ოლონდაც გუშინდელისაგან განსხვავებით, შეამჩნიეს ამჯერად, აპოლოს რვეული და ფანქარი ეკავა ხელთ და რასაც კი ჩაუვლიდა, ეზო-კარმიდამო იქნებოდა ვისმესი, ყანა, ვენახი, პლანტაცია ციტრუსებისა, ტყე თუ სასაფლაო, გულმოდგინედ იწერდა რაღაცას რვეულში; ხოლო ცნობისმოყვარეობა უფრო და უფრო ემატებოდა სოფელს, მაგრამ მოეხსენებოდათ, აპოლო პასუხს არ აღირსებდათ, ისე კი, წინა დღისა არ იყოს, მაშინაც ხალისით ესაუბრებოდა ყველას და სოფელი, ყველაფერი რომ ჩამოიარა აპოლომ, დაინტერესდა, ვნახოთ ერთი, თომას სახლთან თუ ჩაივლისო. ეგონათ, იმ უკუღმართის კარმიდამოსაკენ პირს არ იზამდა, მაგრამ შეცდნენ გლეხები, თომას სახლ-კარსაც შემოუარა ირგვლივ აპოლომ და, როგორც ყველგან იქაც საგულდაგულოდ ჩაინიშნა რვეულში რაღაც... იმ დღესაც შებინდების შემდგომ მიბრუნდა შინ დაღლილ-დამტვერილი, გატრუსულიყო და გაშავებულიყო პაპანაქება მზის გულზე სიარულით, დაჰკარგვოდა ის ავადმყოფური ფერი სახისა, იმდენი ხნის შინ ჯდომის მერე რომ დასტყობოდა, ახლაც არაფერი უთქვამს ნინუცასათვის, ღიმილით გადახედა, იმან რომ ჰკითხა, გამაგებიე, აპოლო, თუ კაცი ხარ, რა ამბავია შენს თავს, რომ დადიხარ ეზო-ეზო და ყანა-ყანაო... „გეიგებ ნინუცა, მალე...“ — დამჭკბარი ხმით უპასუხა...

მესამე დღესაც აპოლოს საქაციელი ალაპარაკებდა სოფელს, ჩავარდნილიყო ხალხი საგონებელსა და სადავიდარაბოს იმისი გადამკიდე, მაგრამ ვერ დაეკმაყოფილებია სატანჯველად ქცეული ცნობისმოყვარეობა: ჯერ იყო და, ერთი პატარა მთის მდინარე ჩამოუდიოდა სოფელს, იმის ნაპირზე იარა რამდენიმე საათს, ხან აღმა აჰყვა და ხან დაღმა ჩაუყვა, ხან გაღმითა ნაპირზე იყანყალა და გამოღმით იბორიალა ზანაც და ხედავდნენ გლეხები, კვლავაც რაღაცას იწერდა რვეულში გაფაციცებით; მერე კლდე-ღრეს აუყვა და დაუყვა, ტყე-ტყეც ხომ კარგა ხანს იარა, გაუვალსა და უდაბურ ადგილებში, თოფი მაინც ჰქონდეს მაგ უბედურ დღეზე დაბადებულს, ნადირმა არ დაუშავოს რამეო, დარდობდა სოფელი, სალამოს კი, ახალშებინდებულზე, გზაზე რომ ჩამოიარა, დაინახეს, ტანისამოსი შემოჰფლეთოდა ერთიანად და ორივე ფეხის ფეხსაცმელზე აჰგლეჯოდა ლანჩა, სალამო მშვიდობისაო, როცა შეჰკადრეს, შედგა, ყველასთან ჩერდებოდა, ვინც კი მიესალმებოდა და შეამჩნიეს, სახე და ხელები დაჰკაწრვოდა ეკალ-ბარდებში სიარულ-ძრომიალისაგან, მაგრამ კმაყოფილი ჩანდა მაინც, უბედნიერესიც, მხიარულად ესაუბრებოდა თანასოფლელებს, განგებ რომ გამოჰფენოდნენ შარას, მის დასახვედრად ეგების წამოვაცდენიოთ რამეო...
წინა ორი დღისა არ იყოს, იმ სალამოსაც ენაწყლიანობდა აპოლო, ცოტაა ეგეც, ოხუნჯობდა კიდეც, ეს კი მართლაც მოულოდნელი რამ გახლდათ, იმის ხუმრობას კაციშვილი არ მოსწრებოდა ჯერ და უკვირდათ, ხედავ, რაფერი ენამოსწრებული ვინმე ყოფილა აპოლოო. უმთავრესს კი ვერ იქნა, ვერ მიაღწიეს, ვერ გაამხელიეს საიდუმლო... მეოთხე და მეხუთე დღესაც ტყე-ტყე დაძვრებოდა აპოლო დილიდან შებინდებამდე, უარესად ჩამოიკონკ-ჩამოიკაწრა, მზე ისე მოჰკიდებოდა, კუპრისფერი ედო სახეზე... მერე კი ისევ ოთახში გამოიკეტა, გარეთ წუთითაც არ გამოჰყოფდა თავს, ნინუცას საერთოდ აუკრძალა იქ შესვლა, სადაც განმარტოებულიყო, საჭმელზე დამიძახე და ჩემით გამოვალო, გასაღები ჯიბეში ედო იმ ოთახისა აპოლოს და როგორც კი საუზმე-სადილ-ვახშმობის დრო მოატანდა, შესძახებდა დედაკაცი, გამოდი საჭმელი მზადააო, ისიც არ დააყოვნებდა და გამოვიდოდა თუ არა, უმალვე ჩაჰკეტავდა კარს, სწყინდა, რაღა თქმა უნდა, ნინუცას ეს ამბავი, მაგრამ ხმის ამოღება ვერ გაებედა, დიდ ბედნიერებად მიაჩნდა, საჭმელად მაინც რომ გამოდიოდა კაცი, ლოგინიც იმ ოთახში გაშალა და სალამოობით ნინუცა მარტოდ-მარტო იჯდა ხოლმე ტელევიზორთან...

ჰო, გამოვიდოდა აპოლო, როგორც კი ნინუცა შესძახებდა, გადაკეტავდა ოთახის კარს, ხელითაც მიაწვებოდა მერე ლონივრად, შეამოწმებდა საგულდაგულოდ, ღიად არ დამრჩესო, თვითონ კი თავფეხიანად სალებავებში ამოთხვრილიყო, სხვადასხვაფრად აჭრელებოდა სახე და ხელები, ტანისამოსს ხომ ნულარ იკითხავთ და მოჰკრავდა თუ არა თვალს ნინუცა, წაუვიდოდა ფერი, გადიწერდა მალულად პირჯვარს, ის კი დიდებულ გუნებაზე ბრძანდებოდა. თუმც ჩამომხმარ-გაძვალტყავებულიყო...

ნაირ-ნაირ, ნუგბარ საჭმელებს უმზადებდა ნინუცა, არ აკლებდა მოვლასა თუ პატრონობას, მა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გრამ ჰამით როდი იწუხებდა მაინცდამაინც აპოლო თავს. ყოველთვის ზომიერ მჭამელად ითვლებოდა, ახლა კი ნამეტნავი მოხდიოდა. უგერგილოდ გახინჯავდა ორიოდ ლუკმას და ეგ იყო და ეგა; კმაყოფილდებოდა. ძილითაც ხომ არ ეძინა ლამლამობით. ამჩნევდა ხოლმე ნინუცა. ზოგჯერ დილამდე არ ქრებოდა შუქი იმის ოთახში. საყვედურით კი საყვედურობდა ქალი. თავს მიხედე, ოჯახი არ დააქციოო. მაგრამ აპოლო ხუმრობას მოიშველიებდა ყოველთვის... ოცდახუთ დღეს გაგრძელდა განმარტოება-შინჩაკეტვა აპოლოსი. ამასობაში კი ლამის იყო. ჭკუა დაკარგვოდა ხოფელს, ვერ მოგებულიყო გონს, რა ამბავი ხდებოდა და ელოდა მოთმინებით... ოცდამეექვსე დღეს კი თავისი ოთახის კარი გამოაღო აპოლომ. შუადღე იყო. გამოვიდა გარეთ და ნინუცას უხმო. ამას კი აღარ მოელოდა ქალი. მკვირცხლად მიირბინა. ხოლო იმან გასაღები გაუწოდა, შედი და ოთახი დაალაგე, აწი აღარ დამჭირდებაო... შვებით ამოისუნთქა დედაკაცმა, რაკილა იქ შესვლა ელირსა. მანამდე კი, ვიდრე შევიდოდა, აპოლომ გააფრთხილა, მაგიდას ნუ გაეკარებიო... ელდა ეცა ნინუცას, ისე არეულ-დარეული დახვდა იქაურობა, ბუნაგი გეგონებოდა, ცოტაა ეგეც. მარტოხელა მამაკაცის სუნად ჰყარდა ოთახი, ნადირისას რომ არ ჩამოუვარდებოდა არაფრით, კედლებზეც მიელვარ-მოელვარა სალებავები აპოლოს და იატაკზეც. მუხლების ცახცახით მიუახლოვდა ქალი მაგიდას და იქამდე თუ ეჭვი ეპარებოდა მხოლოდ, დარწმუნდა მაშინ, ნამდვილად ჭკუაზე შერყეული აპოლო, ძლივს შეიკავა თავი, რომ არ ეწივლა სოფლის გასაგონად... უამრავი ქაღალდი მიმოეყარა აპოლოს მაგიდაზე და ყოველი იმათგანი სხვადასხვაფრად იყო დადღაბნილ-გადადღაბნილი. აპოლოს კი არხეინად ეძინა ხის ძირას, გადაბრუკულ მოლზე. სალამომდე იწვა იქა, ერთხელაც არ უცვლია მხარი, მივიდოდა ქალი, დახედავდა მზრუნველად, მერე რამდენჯერმე გადაიქნევდა თავს ნიშნად სინანულისა, დეიქცა და დეილუპა სიმწრით ნაშენები ოჯახით, ამოსცდებოდა ოხვრასთან ერთად...

სალამოს კი, როცა თავად არ დაადგა საშველი, ნინუცამ გამოაღვიძა ქმარი: მკვირცხლად წამოიჭრა ფეხზე აპოლო, უცებ ჩამოიშორა ძილი, გახალისებულ-გალიმებული შეცქეროდა ცოლს, ვახშამსაც მხიარულად შეექცა, მადა მოსვლოდა, თანაც ხუმრობდა წარამარა, ბოლოს თავის სამუშაო ოთახში გაიხმო ქალი:

— გახსოვს ნინუცა, შენ რომ მითხარი, რუკაზე თუ დაეძიება ჩვენი სოფელიო?..

— კი, რავა არ მახსოვს...

— ჰოდა, აგერ. ა. — თქვა აპოლომ, მხარზე გადახვია მერე ხელი ნინუცას და მაგიდასთან მიიყვანა, ქალი კი უფრო უარესად დაჩიავებულიყო: — დავტიე აგერ მე რუკაზე ჩვენი სოფელი, აბა...

და აპოლო ახსნა-განმარტებას მოჰყვა, უჩვენა ყველაფერი, რაც კი რუკაზე აღებეჭდა. ჯერ თავიანთი ეზო-კარმიდამო, და ნინუცა მაშინვე დამშვიდდა, გადაუარა წელანდელმა შიშმაც და სასოწარკვეთამაც, თითქოს თვალდახელშუა მოემატა სიმაღლე და გალამაზდა კიდეც. გალიმებული შესცქეროდა აპოლოს. იმან კი სხვა მეზობელთა სამოსახლოებს დაათითა შემდგომ. არაფერი დარჩენოდა, რუკაზე რომ არ აღენუსხა. თუმცა ნინუცას ვერა და ვერ გაეხსნა გონება, ვერაფერი გაეგო, დედაკაცის დამსახურება რომ არ ყოფილიყო ეს რუკები, აპოლო ერთ ვაიუშველებელს ატეხდა. მაგრამ მადლიერი იყო ცოლისა და როგორ განურისხდებოდა. ნინუცამ კი რიდით შეათვალიერა აპოლო, დარცხვენილმა და სახეაწითლებულმა...

— აპოლო, არ გამიჯავრდე ახლა, რომ იცი ხოლმე. არ გაგიჯავრდებიო, ქმარმა რომ უთხრა, განაგრძო: — რა მინდა, იცი? თომას ეზოც თუ მაქანე...

— კი, — მიუგო აპოლომ, — რავა არ არის...

— ვერ გიქნია მაი კარგად შენ. — ხმაში წყენა და რისხვა ერთდროულად გაურია ნინუცამ.— მტერია მაი ღვთისგლახა და შეჩვენებული ჩვენი, აპოლო, და რავა მოგივიდა. მიკვირს შენგან...

— არ იცი შენ აფერი. — კბილთა შორის გამოსცრა აპოლომ, — ბეუტური და ჩერჩეტი ხარ შენ, — და განრისხდა უცებ. ფერი მიცვალებულისა დაედო სახეზე. ხმის ამოღება ვერ მოეხერხებია, ისე იყო შეურაცხყოფილი. მერე კი ბოლთის ცემას მოჰყვა ოთახში, დადიოდა და უფრო მეტად ეძალებოდა ბრაზი, ბოლოს ისე აწერვიულდა, ცოტაც და, ალბათ უგონოდ გაიშხლართებოდა, ხოლო ნინუცა თვალს ვერ აცილებდა ქმარს, აღარ იცოდა როგორ მოქცეულიყო: ეთქვა რამე და, მაშინ მთლად დაჰკარგავდა ჭკუას კაცი, არადა, უთქმელობაც აღარ შეიძლებოდა; აპოლო კი ვეღარ დაწყნარებულიყო. შეურაცხყოფილ-ღირსებააყრილი გახლდათ ახლა იგი და უფრო მეტიც, ნინუცა იყო პირველი ადამიანი, ვისაც უჩვენა იმდენი ხნის ტანჯვა-წამებისა და უძილოდ გატეხილ ღამეთა ნაყოფი, იმან კი იმგვარი რამ წამოაყრანტალა, წყალში ჩაუყარა ყველაფერი... „არ უნდა მეჩვენებია, — ფიქრობდა აპოლო, — ჯობდა სხვას ენახა ჯერ ვინმეს. რამ მომაყვანია ცოლად დაფეხვილი ეგი და ჯოჯოხეთის მაშხალაი, ქალს მაინც ჰგავდეს... ლანძღა და ლანძღა აპოლომ გუნებაში ნინუცა,— ყვავია ნამდვილი..." — გაიფიქრებდა ჟამ-ჟამ და სრული ჭეშმარიტებაც იყო, ამჯერად უფრო მეტად ჩამოჰგავდა ნინუცა იმ ფრინველს, მაგრამ ხელის აქნევისა და მისი დაფრთხობის გუნებაზე არ მომდგარა აპოლო, არც გახსენებია. თორემ რომ მოჰგონებოდა, დაწყნარდებოდა მაშინვე. რატომღაც ამოვარდნოდა მეხსიერებიდან ეგ სურვილი, ალბათ იმისი ბრალი თუ იყო. განრისხებულ-ჭკუადაკარგული რომ გახლდათ. მაგრამ მა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დლიერების გრძნობა, უკანასკნელ ხანს რომ გასჩენოდა ცოლისა, იმდენად მძლავრი იყო, დამშვიდდა თანდათან: „მეც კაცი ვარ ვითამ,— გაიფიქრა დაწყნარებისთანავე, — რას ვიშლი ძარღვებს, არ ვიცოდე ქე მაინც ნინუცას ამბავი, ჩემს ხელში დაბერდა მაი უპატრონო, წიგნი არ წაუკითხავს, — ცოტა არ იყოს, შინაგანი უზრუნველობა კი იგრძნო, წიგნი რომ ახსენა ფიქრში, წიგნიერებით თავადაც ვერ დაიქადნიდა. — და სოფელს არ გასცილებია, რაც თავი ახსოვს, აბა, რუკას რაფერ გეიგებს, ლენჩი მაი...“ ისიც გაახსენდა მერე, ნინუცას მიზეზით რომ შეადგინა სოფლის რუკა და მოულბა გული, ღიმილით გადახედა ცოლს, კვლავაც ისტიბარგატეხილი რომ იდგა, შემდგომ კი, რაღაი ქმრის ღიმილს მოჰკრა თვალი, სითბო ჩაიყენა თვალებში და გადასხვაფერდა უცებ, სათნო დედაკაცად იქცა; ხოლო აპოლო ლაპარაკის გუნებაზე მოდგა, საღერღელი აეშალა იმ აღელვებისა და ნერვულობის შემდგომ.

— უცოდინრობა სირცხვილი რომ არაა, მაი ქი უნდა იცოდე, ნინუცა, შენ, გეგორაფიას და რუკებს მასთე ადვილად ვერ ისწავლის ადამიანი, შენ კი არა, მგონი ამ სოფელში კაცი შვილს არ ეცოდინება, მარა რომ დაგეგდო ხეირიანად ყური ჩემდა, გაგარკვევდი. თბილისი თუ დეისწავლე სადაცაა. პარიზში იყოს ერთი ჩვენი გედეონი, აბა? ქე დეიმახსოვრებდი მასაც, კეიპტაუნში რომ სწავლობდეს, აჩვენებდი რუკაზე კეიპტაუნსაც, — და აპოლომ იმდაგვარი კორიანტელი დაატრიალა უცხო ქალაქებისა, ნინუცამ ნისკარტივით დაალო პირი, მოიკუნტა მერე, დაჩიავდა უარესად, დამფრთხალ ყვავს დაედარა კვლავაც და მიხვდა აპოლო, ქალს შიშმა დარია ხელი, ისეც რუკებთან არ მომიწიოს ყურყუტით და შეებრალა, — შენდა სასიკეთოდ მინდოდა ნინუცა რუკა რომ გცოდნებოდა, თუ არა, სულ ერთია ჩემდა, მე ქი ვიცი ისედაც, — ქალს უცებ გაულამაზდა სახე, უკვალოდ გაუქრა ნაოჭები, აპოლო კი ვეღარ დამცხრალიყო: — ახლა, წელანაი რომ მითხარი, ნინუცა, რუკაზე თომაიე უკულმართის სახლ-კარი რავა შეიტანეო, არსად წამოგცდეს მეზობლებთან მაი, თვარა, დაგცინებენ და არ მინდა სამასხროდ აგიღოს ვინმემ. ცოლი ხარ ჩემი და იმიზა. ისე, მართალია, მტერი კია თომა ჩვენი მარა, რავა ფიქრობ შენ, იმის დროს მტერი არ იყო ჩვენი გერმანიე? მარა ქი შეგვქონდა ჩვენ რუკაზე მისი ქვეყანა, იგინის რუკაზეც ვიყავით ჩვენ, აბა, ასეა მაი ამბავი...

ტკბილად ეძინა იმ ღამით ცოლ-ქმარს, აპოლოს, ცხადია თავისთავად, უნდა დასძინებოდა ვემრიელად იმდენი ხნის უძილოდ გათენებული ღამეებისა და ჯოჯოხეთური შრომით დაღამებული დღეების შემდგომ, ხოლო ნინუცას სადარდებლის მაგვარი აღარა ჰქონდა რა: ქმარი ძველ ადგილზე იწვა ისევ, დარწმუნებულიყო თანაც, აპოლომ საბოლოოდ აიღო ხელი ჩემს გეოგრაფიულ განსწავლაზეო...

წვერი გაიპარსა აპოლომ მეორე დილით და საგარეოდ გამოეწყო, ეჭვის თვალით შესცქეროდა ნინუცა ქმრის საქმიანობას, ეგონა, ახლაც არ გამიმხელს თავის ახავალ-დასავალსო, მაგრამ აპოლომ წასვლის წინ დაიბარა „გადავალ ერთი, ნინუცა, მე ახლა მეზობლებისას და სოფლის რუკებს ჩამოვურიგებ ყველას, ჰქონდეთ მათაც, ქი გამოადგეთ ეგება, შენ იცი, აბა, სახლ-კარს მიხედე ჩემს მოსვლამდე...“

ჭიშკრისაკენ გაემართა აპოლო, შესცქეროდა ნინუცა და თავისი თვალებისა აღარ სჯეროდა, ისე შეცვლილიყო კაცი, სადღა იყო ი დონდლო, დამფრთხალ-დაჩაჩანაკებული ადამიანის ნაბიჯები, წელშიც აშოლტილ-გამართულიყო, ბეჭები გადაეშალა, გაფართოებოდა და ისე ლამაზად მოირხეოდა, იმის ყურებას არაფერი სჯობდა, ახალგაზრდობის ჟამსაც არა ყოფილა ამგვარი მომხიბლავი გარეგნობისა, აი, იმ ხანად, გული რომ გადაუქანა ნინუცას, მაჭანკალმა როცა აწვია, თვალს ვერ სწყვეტდა ქალი ჭიშკრისკენ მიმავალს, მერე ცდუნებას დამორჩილდა. მიჰყვა ფეხდაფეხ მალულად და ქურდულად, თან კი სურვილი გასჩენოდა, ნეტავ უკან გამოიხედოსო, მაგრამ ნინუცასათვის აღარ ეცალა მაშინ აპოლოს, სხვა, უფრო დიდი საქმე გასჩენოდა. შარაზეც ლაზათიან-დარდიმანდულად მიაბიჯებდა აპოლო, ნაადრევი, ცხელი დილა იყო, ის კი მიდიოდა ლაღი ნაბიჯით, როგორც კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცი სამხედრო აღლუმზე და იმისი ფიქრები, უფრო კი ოცნება რომ ეთქმოდა, სიტკბო-სურნელად ილვრებოდა, ხოლო ხელთ სათუთად ეპყრა გრაგნილად დახვეული რუკები მშობლიური სოფლისა.

გლეხები კარში არ გამოსულიყვნენ ჯერ, გულით ეწადა აპოლოს, მაგრამ კაციშვილი არ შეხვედრია შარაზე, მიდიოდა მარტოდმარტო სოფლის უკაცრიელ გზაზე და მშობლები ახსენდებოდა: „მივალ ერთ დღეს და ვნახავ იმ სულგანათლებულების საფლავებს, მოუვლელია რამდენი ხნის...“ გედეონზეც ფიქრობდა, ენატრებოდა და დარდობდა, ჩამოსვლა დააგვიანაო. ამასობაში პირველი მოსახლის ეზო-კარსაც მიაღწია, შეჩერდა ჭიშკართან, შარვალი შეიფერთხა, გადიგრიხა ულვაში, განგებ აჭიანურებდა დროს, ჩაფიქრდა მერე და, მაინძელოო, გასძახა....

— მობრძანდით! — გაისმა დიასახლისის ხმა, ჭიშკრისკენ მოდიოდა ქალი, შეჩერდა, როგორც სტუმარი იცნო, შეცბა კიდეც. — მობრძანდით, აპოლო ბატონო, — და მიტრიალდა უცებ, ქმარს გასძახა: — სევასტი, გამოი კარში ერთი, აპოლო გვესტუმრა...

კაცსაც არ დაუყოვნებია, მხარში ამოსდგომოდა ერთმანეთს ცოლ-ქმარი, განცვიფრებას ვეღარ მალავდნენ, ყველაფერს მოელოდნენ ალბათ ამ უთენიაზე, აპოლოს გამოჩენას კი ვერა და ვერ წარმოიდგენდნენ: სოფელს მხოლოდ აპოლო დაეკერებია პირზე მთელ იმ თვეს, ვერ ამო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეცნოთ მიზეზი ამ კაცის შინჩაკეტვა-განმარტოებისა და ცნობისმოყვარეობა უჭიმავდათ ნერვებს. იმ დილით კი, იმდენი ხნის შემდგომ, პირველად ამ ოჯახს მოსდგომოდა კარზე, მასპინძლებმა დიდებულად უწყოდნენ ეს ამბავი და შესცქეროდნენ სასურველ სტუმარს, ამჩნევდნენ თვალნათლივ, როგორ გადასხვაფერებულიყო აპოლო მას შემდგომ, რაც აღარ ეხილათ, უკანასკნელად მაშინ მოჰკრა თვალი სოფელმა, ჩამოფლეთილ-ჩამოკაწრული, მაგრამ მაინც მხიარული და უბედნიერესი რომ მიაბიჯებდა შარაზე, ტყე-ღრე ხეტიალის მერე. და, აი, ოდაში ისხდნენ მასპინძლებიცა და სტუმარიც, დუმილი ჩამოვარდნილიყო უხერხულიცა და საზეიმოც. აპოლომ წამოიწყო მერე საუბარი, ღიმილი არ ჩამოსცილებოდა ლოგინს შემდგომ...

— რაზე მოვედი ახლა მე, სევასტი, იცი? — დადუმდა, გადახედა შემცბარ მასპინძელთ, გადიგრიხა ულვაში და მოკლედ მოსჭრა, — სკოლაში კი დადიოდით თქვენ ორივე და გემახსოვრებიენ ალბათ, რამხელა მნიშვნელობა აქვს რუკას განათლებული და კულტურული ადამიანიზა, — ვიცითო, კაცმა უპასუხა, ქალმა კი წელანდელზე უარესად დაიმორცხვა, — ჰოდა, გეცოდინებათ თქვენ, გეოგრაფიაში მარჯვე რომ ვარ, სკოლაშიც ასე ვიყავი, აბა, — ჩაფიქრდა ღრმად, აღარ იღიმებოდა, — ვიფიქრე ამას წინათ, რამდენ ხანს უნდა იყოს ჩვენი სოფელი ურუკებოდ-მეთქი და ავდექი და შევადგინე რუკა...

— რუკა? — ჯერ ცოლმა წამოიძახა და მერე ქმარმა და რატომღაც ის ჯანსაღი ფერი სახისა ორივეს წაერთვა, აპოლო კი იღიმებოდა და იმისი ღიმილის შემხედვარენი, უფრო დამორცხვებულიყვნენ მასპინძლები, — გვაჩვენე ერთი, თუ კაცი ხარ, აპოლო, — მოახერხა, როგორც იქნა, ოჯახის უფროსმა სიტყვის დაძვრა. — რავარია მაი ჩვენი სოფლის რუკა...

აპოლომ გრაგნილები გაშალა, დინჯად იქცეოდა, თავიდან ხაზგასმული მოძრაობებით შეხსნა ზონარი, ჩაფიქრებულიყო, გადაქანცული ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა. მასპინძლები უცებ განმსჭვალულიყვნენ გულწრფელი პატივისცემით, თან ერთი სული ჰქონდათ, როდის დაბედავდნენ რუკას... და, აჰა, მაგიდაზე გაშალა აპოლომ რუკები, კარგა მოზრდილი ზომისანი იყვნენ, სხვადასხვაფერად აჭრელებულნი...

— აგერ, ა, — თქვა აპოლომ, — მეირჩიეთ ერთი აქეთ, ახლოს, — ქალიც ცნობისმოყვარეობად ქცეულიყო და კაციც, და აპოლომ რომ იგრძნო, რა დღეშიაც ჩავარდნილიყვნენ შეიბრალა, საუბარი განაგრძო: — პოლიტიკური რუკაცაა აქანე და ფიზიკურიც, ხომ იცი, სევასტი, რას ნიშნავს აგი, გამჭოლი მზერა ესროლა აპოლომ მასპინძელს, მიხვდა მაშინვე, საერთოდ რომ არ გააჩნდა გეოგრაფიული თვალსაწიერი ამ კაცს, გულიც ჩასწყდა ერთდროულად და ნეტარებასაც მინებდა. გული გეოგრაფიისადმი უპატივცემლობამ ჩასწყვიტა, ხოლო ნეტარება იმიტომ მიეძალა, ახლა თავად რომ უნდა აეხსნა რუკის დანიშნულება და მნიშვნელობა.

გაღიმებულ-დასევდიანებული შესცქეროდა ამჯერად მასპინძლებს და საოცრად ასხივოსნებდა ის ღიმილი და სევდა, გარეგნულადაც და შინაგანადაც, — ფიზიკური რუკაა აგი, — მიუთითა ერთ-ერთ მათგანზე მერე და პოზა მიიღო ბრძენკაცისა. — ახლა, ამ რუკაზე რაია, თუ იცი შენ, სევასტი, ჩვენი ეზო-კარმიდამოები ქია აქანა, ბატონო ჩემო, მარა ერთიმეორისგან ვერ გაარჩევ. აგერ დაბლობი ადგილებია აგი, ეგერ მაღლობები, ტყე, ბატონო ჩემო, ჩვენი წყალი, აგერ; ა, სერი აქანა; აი რუკა კი, — მეორე გაშალა აპოლომ, პოლიტიკურია, აქანე ცალ-ცალკეა ყველაის ეზო და კარმიდამო, აბა, შენი ეზო აგერაა, ყავისფრად რომაა შეფერადებული, ხედავხომ?..

— ყავისფრად რეიზა, — ხმა დასძრა, როგორც იქნა, ბოლოს სევასტიმ, გამოცოცხლდა უცებ, რაკი დალაპარაკების საბაბი მიეცა, — რეიზაა ვითომ ჩემი კარმიდამო მასე, სხვაფრად არ შეიძლებოდა თუ?..

— რავა არა, — მიუგო აპოლომ, სხვაფრადაც კი შეიძლებოდა, მაგი სულ ერთია, სხვადასხვა ფერი იმიზაა, ადვილად რომ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან ჩვენი კარმიდამოები, აგერ ცისფრად რომაა, ხომ ხედავ, ჩემია აგი, გარეშემო რომ ხედავ, წითლად რაცაა ყოლისფერი, მაგი საკოლმეურნეო მიწებია, აბა...

— თომას ეზო რაფრადაა, — იკითხა მასპინძელმა, — მიჩვენე ერთი...

— აგერ, ა, აგია მაგ ღვთისგლახის ეზო, მწვანედ რომაა შეფერადებული, შავად მინდოდა, შავი გულის რომაა იმიზა, მარა, ხომ იცი ჩემი ამბავი, შემეცოდა, სამაგიეროს ხომ არ გადავუხდიდი ახლა, ისეთე კი იყო ღირსი, კაცმა რომ თქვას, — ჩაფიქრდა აპოლო.

— აი ორი რუკა შენ გქონდეს, სევასტი, პოლიტიკური ერთი და მეორე ფიზიკური. ყველა მოსახლიზა დავამზადე რუკები, ბოვშვი თუა სახლში? არისო, მიუგო დიასახლისმა, — აბა, გადააგზავნე ერთი გოგიესას, თუ ქალი ხარ და, უთხრას, ნუ წავა ნურსად, რუკებს გადავუტანო...

ქალი რომ გავიდა, აპოლო გულდასმით შესცქეროდა მასპინძელს, გახარებული ჩანდა

---

ჯუმბერ ტიკარაძე

სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იგი, თავის კარმიდამოს დასცქეროდა რუკაზე. და ახლაც ზუსტად იმდაგვარი განცდა დაეუფლა აპოლოს, როგორც მაშინ, ბავშვობისას, უმაღლესი შეფასება რომ მიიღო გეოგრაფიაში, მაშინდელის მსგავსად აუვარვარდა სახე და მორცხვად დახარა თვალები. აპოლოსი არ იყოს, მასპინძელიც დამორცხვებული გამოიყურებოდა და ნასიამოვნებიც, გაფართოებოდა თვალები, ღრმად სუნთქავდა, დროდადრო შეპარვით შეავლებდა მზერას სტუმარს, ფიქრით კი ერთ რამესა ფიქრობდა მხოლოდ, რამხელა კაცი ყოფილა ჩვენი აპოლო და არაფერი ვიცოდით ამდენ ხანს. უკვირდა, რატომ მალავდა უნარსო... მერე კი საუზმე ამოიტანა დიასახლისმა, მაგრამ აპოლომ იუარა, ქვეყნის საქმე მაქვს დღეს, მთელ სოფელს უნდა ჩამოვუარო, ჩამოვლა კიდევ არაფერი, ახსნითაც ხომ უნდა ავუხსნა ყველას რუკების დანიშნულება და ვეღარ მოვასწრებო... მოწადინებულნი კი იყვნენ მასპინძლები და გულწრფელადაც სურდათ პატივი ეცათ აპოლოსათვის. მაგრამ იმგვარ დამაჯერებელ საბუთთა შემდგომ, სტუმარმა რომ მოიშველია, რაღას იზამდნენ, დამორჩილდნენ იმის ნება-სურვილს. წასვლისას კი განზე გაიხმო აპოლომ სევასტი, ქალის თანდასწრებით არ სურდა ლაპარაკი და იგრძნო დედაკაცმა, ზურგი იბრუნა, თუმცა ყურები დაცქვეტილი ჰქონდა, ეგების გავიგო, რას ლაპარაკობენო...

— ვიცი შენი ამბავი მე, სევასტი, — თქვა აპოლომ, მარჯვე კაცი რომ ხარ, შენისთანა თამადას მეორეს ვერ ნახავ ამ ახლომახლოში, სიტყვა კაი გაქვს და პასუხი, ვაჟკაცობითაც ხომ არ ჩამოუვარდები ვინმეს და რუკის გაგება რავა გაგიჭირდება, ერთი იცოდე ოლონდაც, ქვევით პირობითი ნიშნებია რუკაზე და იქ წერია, ვისი კარმიდამო რა ფერისაა...

ვიდრე აპოლო პირველ მეზობელს დამოძღვრავდა, სოფელი სკას დამსგავსებოდა; ლამის იყო, ჭკუა დაჰკარგვოდა დასიცხულ ხალხს; დიდი აურზაური და მითქმა-მოთქმა გამოეწვია ახალ ამბავს, ისხდნენ თავიანთ ეზოებში და ელოდნენ აპოლოს გამოჩენას, საქმე, თომას გარდა, კაციშვილს არ გახსენებია, სიამაყე დაუფლებოდა ყველა მათგანს რუკების გამო. არც ერთ სოფელს არ ექნება რუკა, ვის გაუგონიათ, ხარობდნენ და ნეტარებდნენ გულწრფელად, აქებდნენ აპოლოს, ჩვენ რომ გედეონის ამბავი გვიკვირდა, რავა ყოფილა გასაკვირიო, ამბობდნენ, იმფერი მამის შვილი მეტიც უნდა გამოსულიყოო, ნინუცასაც გადასწვდებოდნენ, ბედნიერი ქალი ყოფილა ამფერი ქმარ-შვილის პატრონიო... დედაკაცებს კი შურდათ ნინუცასი და ისინი, ვინც გაბედულნი იყვნენ, უფრო სწორად კი, ზედმეტად უფლებამოსილ-გათამამებულნი, ხმამაღლა სწყევლიდნენ შვილებსაც და ქმრებსაც, შვილებს, რა თქმა უნდა, უგულოდ, ძუძუები ილოცებოდნენ იმათი იმ დროს, ქმრებს კი გაბოროტებულნი, ძველ ჯავრსაც იყრიდნენ ამითი, რა ჯავრი ჰქონდათ, არ გაეგებოდათ თავადაც, მაგრამ დაჩაგრულებად მიაჩნდათ თავი და დარწმუნებულნი გახლდნენ, ცამდე მართალნი ვართო, ხოლო ის დიაცები, განებივრებულნი რომ არა ჰყავდათ ქმრებს, გუნებაში იწყევლებოდნენ, თუმც იმედი კი ჰქონდათ, ერთი დღეც მოვა და სხვათა მსგავსად ჩვენც ხმამაღლა მივაწყევლით ჩვენს გამაუბედურებლებსა და გამამწარებლებსო; ბავშვურ, უწყინარ ხუმრობასავით გაისმოდა დედაკაცების თითქოსდა ნაძალადევი წყევლა-კრულვა მოზღვავებულ სიხარულში...

ხოლო აპოლომ ყველა მოსახლეს შემოუარა იმ დღეს და ყველას გაახალგაზრდავებული ეჩვენა. ლოცვითა და კურთხევით უღებდნენ ჭიშკარს, აპოლო ბატონოო, იმეორებდნენ ყოველ მეორე სიტყვაზე, ის კი იბადრებოდა და იბადრებოდა, მაგრამ მისდა სასახელოდ უნდა ითქვას, არ გაბღენძილა. ერთ დღეში აქციეს კერპად აპოლო, ერთბაშად ამაღლდა და გაიზარდა სოფლის თვალში: ულამაზესი კაციაო, დიაცებიც ამას გაიძახოდნენ და მამაკაცებიც, მერე კი იმისი ცხოვრების სხვადასხვა ამბებსაც იხსენებდნენ, უფრო სწორად კი, თხზავდნენ ნაირნაირ შემთხვევებს და სჯეროდათ თავადაც — მოსწავლეობისას მაგისთანა ნიჭიერი მეორე არ იქნებოდა მთელ საქართველოშიო... სკოლა რომ დაუმთავრებია, ეხვეწებოდნენ პროფესორები, იყო ერთი წეწვა, არა ჩვენთან ისწავლე და არა ჩვენთანო, მაგან კი ქვა ააგდო და თავი შეუშვირაო... კარგი მოჭიდავე იყო თავის დროზე, — ერთმა თქვა; მეორემ — მოკრივეო; მაგის მომრევი კაცი არ დაიარებოდაო... ომიდან რომ დაბრუნდა, ორდენები და მედლები მკერდზე არ ეტეოდაო — გაიხსენა ვიღაცამ, — გენერალი გეგონებოდაო, გენერლობას კი მიაღწევდა, მაგრამ არ მოინდომა, ხომ გახსოვს, რავარი მორცხვი იყო, მალავდა ნიჭსო და კიდევ რას აღარ ლაპარაკობდნენ, თან დაბედავდნენ რუკებს წარამარა, შემოხაზავდნენ თითით თავიანთ კარმიდამოებს, განსაკუთრებით კი ის ახარებდათ, პოლიტიკური რუკაც გვაქვს და ფიზიკურიცო და ყველაზე მეტად იმიტომ იმსახურებდა ქება-დიდებას აპოლო, კარგად მოუფიქრებია სასაფლაო შავად რომ შეუფერადებია და კოლექტივის მიწები წითლადო, მართლაც შავია სასაფლაო, კაცმა რომ თქვას, მაგრამ ნიჭი და უნარი უნდა ყოლისფერს, ახლაა ადვილი მისახვედრი, თვარა ჩვენ რავა მოვიფიქრებდითო...

ამასობაში ყველა მოსახლე შემოიარა აპოლომ და სიხარული შეიტანა ყველგან, თომას-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თან არ ყოფილა მხოლოდ, საგანგებოდ შემოინახა ბოლოსთვის, განგებ იჭანჭლებდა იქითკენ მიმავალ გზას, სიამოვნებას იხანგრძლივებდა ამითი: დარწმუნებული იყო, შურს ვერ დამალავდა თომა, წახდებოდა კაცი და გადაწყვეტილი ჰქონდა, საჭმელიც იქ ეჭამა, უარესად გავამწარებო... და, აი, მიაღწია ბოლოს თომას ეზოსაც, შებინდებამდე ბევრი არ დარჩენილიყო, გაირინდა ჭიშკართან, თითქოს ემალებოდა ვინმეს, გული კი გამალებით აძგერებოდა სიამოვნების მოლოდინში.

მაინძელოო, დაიძახა როდის-როდის და მაშინვე გაიფიქრა. „ხმას იცნობს ახლა ჩემსას მაი უკულმართი და არ გამომეპასუხება ერთხანსო..." მაგრამ არა, მობრძანდითო, მყის გაისმა თომას ხმა და მაშინაც, როგორც ყოველთვის, რაც კი სოფელს ახსოვდა, ისეთივე ხმა ჰქონდა, არც მაინცდამაინც ზრდილობიანი და არც მაინცდამაინც უკმეხი, საერთოდ ვერ მიხვდებოდი, რას გამოხატავდა, წყენას თუ სიხარულს და შეკრთა უცებ აპოლო, შეცბუნდა, პირველი შეკრთომა-შეცბუნება იყო ესა იმ წარმტაც დღეს, რომლის მსგავსი არ ღირსებოდა არასდროს, მაგრამ მოიკრიბა მაინც გამბედაობა თუ ვაჟკაცობა, შეაღო ჭიშკარი და რიხით შევიდა. ზემოდან კი თომა მოაბიჯებდა იმის შესახვედრად, შორიდანვე შეამჩნევდი, როგორ მოირხეოდა: მოდიოდა ბუნებრივად, ისე როგორც ყოველთვის, მოდუნებულიც გეგონებოდა ერთდროულად და დაჭიმულიც, დონდლოცა და დაკუნთულიც, მძლავრი აღნაგობისაც და ხუსტისაც, ავადმყოფური იერისაც და ჯანსაღისაც, ვერა და ვერ გაუგებდი ვერაფერს, რაც არ უნდა დიდებულად განვითარებულ-დახვეწილი დაკვირვების უნარი გქონოდა. აპოლო კი კარგად გაწვრთნილი ჯარისკაცივით მიდიოდა თავიდან, ხოლო შემდგომ, რაც უფრო უახლოვდებოდნენ ერთმანეთს, თანდათან ეკარგებოდა იერი მხედრისა და მერე, ხუთიოდე ნაბიჯი რომ აშორებდათ ურთიერთისაგან, ძლივსღა მილასლასებდა, გაჭირვებით გადადგა ბოლო სამი ნაბიჯი, ხოლო თომა რომ შეჩერდა და დაელოდა, ვაჟკაცობასთან ერთად უკვალოდ გაუქრა აპოლოს იმდღევანდელი გარეგნობაცა და მომხიბლაობაც, სოფელი რომ მოეჯადოებია...

— სალამო მშვიდობისა, — თითქოს სხვამ წარმოსთქვაო მის მაგივრად, ისე ეუცხოვა აპოლოს საკუთარი ხმა, თან კი დაკვირვების უნარი აღარ შერჩენოდა თითქმის, მაგრამ მაინც გაიფიქრა: „გაუკვირდება ახლა, არ მოელოდა არაფრის დიდებით იმ ჩხუბის მერე, აი უკუღმართი და წყალწაღებული..." და უხერხულობა რომ იგრძნო, მობოდიშებით დააყოლა: — საქმე მაქვს პაწე და იმიტომ მოვედი, — თქვა და ძლივს გაუსწორა თვალი მასპინძელს. — ნაგვიანევი კია სტუმრობა მარა, რას იზამ...

— კაი გამარჯობა შენი, აპოლო, — წარმოსთქვა თომამ, იქამდე ერთი კი შეავლო მზერა, მაგრამ აპოლო ვერ მიმხვდარიყო, მას შესცქეროდა თუ მის მიღმა იყურებოდა სადმე და მერეც ისე იქცეოდა, აპოლო კი არა, კაციშვილი ვერ ამოიცნობდა ალბათ დედამიწის ზურგზე გზა-კვალ-მიმართულებას თომას მზერისას, თან თითქოს ვერც ამჩნევდა უხერხულობას სტუმრისას, — საქმე გაქვს და ავიდეთ მერე ოდაში, აგერ არ ვარ მეც?..

ვახშმობდა თურმე თომა: ერთი ბოთლი ღვინო, რომელსაც საღამოობით, დაწოლის წინ შეექცეოდა ხოლმე, შუამდე გამოეცალა, საჭმელი კი თითქმის არაფერი ჰქონდა — მჭადის ნატეხი და ნაჭერი გამხმარი ყველისა, ეს იყო სულ, მაგრამ როდი შერცხვენია. ოდნავი უხერხულობა რაა, ისიც არ დაუფლებია.

შესვლისთანავე შესთავაზა სკამი სტუმარს, დაბრძანდი ბატონოო, და აპოლოც ჩამოჯდა, გრაგნილი კი, — თომასთვის ორი რუკა დარჩენოდა მხოლოდ, — საგანგებოდ ჩამოსდო მაგიდაზე, გამოსაჩენ ადგილას, რა არის, თავადვე შეემჩნია მასპინძელს...

— ვახშამი გავიმზადე აგერ და მოხვედი შენც, — ისე ჩვეულებრივ ალაპარაკდა თომა, თითქოს ყოველდღიური სტუმარი იყო აპოლო იმისი. არ გაჰკვირვებია არაფერი, არც წელან და არც ახლა და ამან უფრო მეტად შეაკრთო აპოლო, არ აცხადებულა იმისი წინასწარმეტყველება, წუხანდელ საღამოდან მოყოლებული, აგერ აქამდე რომ ელოლიავებოდა. თვალი თვალში გაუყარა მერე თომამ, ვერ გაუძლო აპოლომ იმის გამჭოლ მზერასა და მოწკურულ თვალებს, დახარა თავი მონუსხულივით. თომამ კი ჩაიხითხითა ერთი, ისე ხმადაბლა, აპოლომ იფიქრა, მომეჩვენაო, შემდგომ კი განაგრძო: — მოხვედი აგერ შენც და დამეწვიო უნდა ვახშამზე, არაყს დალევ თუ ღვინოს? — ყასიდად იკითხა თურმე, ეს კი უცებვე გაირკვა, — არაყს დალევ, აბა, რა, ჯანმრთელი კაცი ხარ, ნაპატიები, ცოლი გივლის და გპატრონობს, შვილიც ხომ სასახელო გამოგივიდა ეგერ... — თვალები მოეჭუტა თომას, ხოლო აპოლო ვერ მიმხვდარიყო, დასცინოდა, თუ გულით ლაპარაკობდა, შინაგანი ალღო უკარნახებდა, დაცინვა რომ იქნებოდა უფრო, — ასახელა შენი გვარი და ჯილაგი გედეონმა, გააცნო ქვეყანას თავი და მეტი რა გინდა, ჩემსავით კი არ ხარ შენ, აპოლო, მარტოდ მიგდებული. ჰოდა, ამოვიტან არაყს ახლავე...

თომა რომ გავიდა, აპოლოს თავბრუ ესხმოდა ერთხანს, მერე გაჭირვებით მოიკრიბა გონი და ოთახი მოათვალიერა: მარტოხელა მამაკაცის ბუნაგს არ ჰგავდა იქაობა: ერთი რამღა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადარდებდა აპოლონს მხოლოდ. არ იცოდა, როგორ ეთქვა სათქმელი, რითი წამოეწყო საუბარი. თან კი კუჭი გამოხმობოდა შიმშილისაგან. „მესადილა სადმე, რატომ შევცდი?!“ ფიქრობდა და ყველის ნაჭერსა და მჭადის ნატეხს რომ შესცქეროდა, კიდევ უფრო ეძალებოდა შიმშილი, ცოტაც და, ველარ მოითმენდა, საჭმელს სწვდებოდა. მაგრამ თომას ნაბიჯის ხმა ჩაესმა, განცვიფრდა აპოლო — საჭმლის სურნელი ამოიტანა თომამ. მადის აღმძვრელი და სასიამოვნო, არაყთან ერთად ნიორწყალში ჩაწყობილი სამიოდ წიწილი ამოეყოლებია... „ამფერი ძუნწი თუ იქნებოდა აი უკუღმართი, არ მეგონა, საჭმელი თუ ჰქონდა, ვერ გაიმეტა მისდა?..“

თომამ კი ფიქრი ამოიცნო თითქოს იმისი, თქვა: „არ მოგერიდოს ახლა შენ, აპოლო, თუ კაცი ხარ, რავარც შენს ოჯახში, ისთე მიირთვი... ძილის წინ არ მიყვარს მე ბევრი ჭამა, თანაც გეხსომება ალბათ, ადრეც მითქვამს შენდა, ზედმეტმა ჭამამ რომ მოკლა ერთი მეიგავარაკე, აბა?.. იმხელა კაცი შეეწირა მსხვერპლად კუჭს და მე რაღა დამემართება, შენ კი ნაშიმშილარი ხარ მთელი დღის, გატყობ სახეზე...“ სადღეგრძელოს თქმით არ შეუწუხებია მაინცდამაინც თავი აპოლოს, სიმწარე გვაშოროსო, ჩაიდუდღუნა ცხვირში და სინათლეზე გახედა არყით სავსე ჭიქას, სასმისს მიღმა დაინახა თომას დაბრეცილი ანარეკლი — თვალებმოჭუტული შესცქეროდა რომელიღაც წერტილს გაურკვეველი მხრისაკენ და ვერ გაუძლო იმ თვალთა მზერას აპოლომ, ცეცხლს აკვესებდა, კატის თვალებივით ელავდა მკრთალ სინათლეში. დახედა მერე არყით გადაპიპინებულ ჭიქას, კიდევ ერთხელ მიაპყრო მზერა მასპინძელს და სიმწარე გვაშოროსო, ხელახლა გაიმეორა, მასპინძელმაც რომ თქვა, გვაშოროსო, სულმოუთქმელად გადაჰკრა, უცებ დაუარა სხეულში და ტვინამდეც ხელად ააღწია სასმელის სიმაგრემ... „კაი არაქი კი იცის ამ უკუღმართმა...“ — გაიფიქრა აპოლომ, წიწილის ბარკალს რომ გადასწვდა, ორიოდე ჭიქა არაყი მიაყოლა კიდევ, ილუკმებოდა მადიანად და თომას გადახედავდა ხანდახან. რუკები კი გამოსაჩენ ადგილას იდო; თომას გარდა, ყველა იკითხავდა ალბათ, რაა მაიო, და სიამოვნებდა ახლა აპოლოს ეს ამბავი, არყის შემდგომ უწინდელი იერი მიეღო კვლავაც, ულიმოდა თვალები და რწმენაც ხელახლა მომატებოდა, მაგრამ სათქმელს არ ამბობდა მაინც, იმედოვნებდა, ეგების თავადვე მკითხოს თომამ მოსვლის მიზეზიო, თუმცა აშკარა იყო, მასპინძელს არ ჰქონდა საამისო დარდი, თვალი რომ მოგეკრა მისთვის, იფიქრებდი, როგორც ყოველ საღამოს, თავის თავს განმარტოებია ახლაცო, თითქოს ვერც ამჩნევდა არსებობას სტუმრისას. აპოლო კვლავ განცხრომის მორევს მინებებოდა, ტკბებოდა, რაკი ხედავდა წინასწარვე მასპინძლის შეკრთომასაც და შურით დამანჭულ სახესაც, რუკას რომ დახედავდა ცოტა ხნის შემდგომ... ხოლო თომა კარგა ხანს მისჩერებოდა ამოჩემებულ წერტილს, მერე კი, თითქოს ღრმა ძილს დააღწია თავიო, გაიზმორა ერთი, აატკაცუნა ძვლები, მიმოიხედა აქეთ-იქით და ბოლოს აპოლოს მიაბჯინა გამჭოლი მზერა — ბურღავდა ცეცხლჩამდგარი თვალებით, აპოლო კი გახალისებული ბრძანდებოდა კვლავაც, თან შემთვრალიყო კიდეც ცოტათი და გაუძლო თომას გამჭოლ მზერას, ესიამოვნა ესეც და მასპინძელმა, სტუმარს როცა ეგონა, თვალს დავახრევიებო, თქვა:

— სასაფლაოზე ვიყავი ამას წინათ, — და დამცინავად გაუღიმა აპოლოს; შესცქეროდა ჯიქურ, ცხადი იყო, მოუსხვა-მოჯადოება განეზრახა იმისი, აპოლოს კი სასაფლაოს ხსენებისთანავე დენმა დაჰკრა უცებ, ელვის უსწრაფესად დაუარა თხემით ტერფამდე, გამოფხიზლდა კიდეც და გაუქრა წამისწინანდელი სიამაყეცა და თავდაჯერებულობაც, ღიმილი კი, წეღან, თომას შურით დამანჭული სახის წარმოდგენისას რომ მოჰფენოდა, ნილაბივით შეეყინა სახეზე და დაამახინჯა საშინლად, მოკუნტულ-მოშვებულ-დაჩიავებულიყო თანაც, მარტო ეგ კი არა, წართმეოდა უნარი რაიმეს განსჯისა. ხოლო თომამ, სასაფლაოზე ვიყავი ამასწინათო, რომ თქვა, ხელიც ჩაიქნია დამცინავად: — წასულია ჩვენი საქმე...

— როდის იყავი სასაფლაოზე? — წარმოსთქვა აპოლომ, ნაწილობრივ რომ დაიბრუნა აზროვნების უნარი, ხმა ახცახცახებოდა და, საცა იყო, სხეულიც აუკანკალდებოდა: „კაციშვილი არ ჰყავს მიცვალებული ამ უკუღმართს, სასაფლაოზე რა უნდოდა, ისიც შუაღამისას, წამხდარი და წყალწაღებული აგი...“ და პასუხი რომ არ აღირსა თომამ, მოიკრიბა გამბედაობა, დაიჭიმა და დაიძაბა მტკივნეულად: — ღამით იყავი სასაფლაოზე თუ...

— ღამით? — ჩაიქირქილა თომამ. ხაზგასმული დაცინვა იყო და მზერაც დამცინავი ჰქონდა, იმგვარი, მიწასთან რომ გაგასწორებდა, მანამდე უყურა, ვიდრე თავი არ ჩააქინდვრია და თვალები არ დაახრევია აპოლოს, ჩაიხითხითა მერე ისევ და ხველა აუტყდა, ახველებდა თან, თან კი ქირქილებდა... ცოტაც და, გამძლეობა უღალატებდა ალბათ აპოლოს, წამოხტებოდა და ღრიალ-ღრიალით გაძუნძულდებოდა იქიდან, შიშიც თანდათან ეუფლებოდა და თომამ თითქოს შეიბრალაო, ამაზრზენი ხმით გაურია ხითხით-ხველაში: — გადარეული ხომ არ გგონივარ შენ, რა მინდოდა ღამით სასაფლაოზე? მიცვალებული მყავს იქ, თუ რა, რომ მყავდეს კიდეც, ღამით რავა მივიდოდი, დილით ვიყავი და თოხის ტარი ვიპოვე იქ...

ეს უკვე მეტისმეტი იყო მართლაც, „აი უკუღმართი ყოფილა იმ ღამეს, მოჩვენება რომ მეგონა...“ გაიფიქრა აპოლომ და ნერვებმა უმტყუნა, წამოიჭრა სკამიდან, ბოლთის ცემას

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ომჟვა, მასპინძლისაკენ აღარ იყურებოდა, ის კი თვალს არ აცილებდა, შესცქეროდა დაკვირვებით და არაყი ჩამოუსხა მერე; — მოდი დალიე, რაცხა ვერ უნდა იყო მთლად კარგად, — დამორჩილდა აპოლო, ძველ ადგილს დაუბრუნდა ისევ და არაყი გადაჰკრა, ერთხელ კიდევ შეათვალიერა თომამ. — მეცნო რაცხა თოხის ტარი, შენი უნდა იყოს, მგონი, აპოლო, და წამევიძლევანიე, წეილე ახლა, რომ წახვალ...

— აჰ, შემცდარხარ, — თქვა აპოლომ, არაყს მისწვდა, ჩამოასხა და გადაჰკრა, — ჩემს თოხის ტარს რა უნდოდა სახაფულაოზე...

— ნამეტანი კაი, აბა, — თქვა თომამ, თვალები აღარ უცინოდა ამჯერად და აღარც გამჭოლი მზერა ჰქონდა. — გამევიყენებ მაშინ მე, მეგონა შენი იყო, ისე ქი გავს შენ გამოთლილ ტარს, მარა, — გადაიხარხარა; — რაღაი შენი არ ყოფილა, იყოს ჩემსას...

ახლა იმასღა ფიქრობდა აპოლო, როგორ გაემხილა მასპინძლისათვის, რისთვისაც მოსულიყო, დანარჩენს აღარ ჰქონდა მნიშვნელობა, თლონდაც ეთქვა როგორმე სათქმელი და გასცლოდა აქაურობას; ვეღარც ის წარმოედგინა, რარიგ დაემანჭებოდა თომას სახე და დღევანდელი ალფრთოვანებაც გამქრალიყო უკვალოდ, სიზმარს ჰგავდა ყოველივე აპოლოსათვის, რაც კი მომხდარიყო. ცხადი და ცხადზე უცხადესი მხოლოდ ის იყო, რაც ამჟამად ხდებოდა, სხვა ყველაფერი მეხსიერების მიღმა ჯანღ-წყვდიადში ატივტივებულიყო: წარსულიც, განცხრომანეტარებაც დღევანდელი დღისა, მეზობლებთან რომ სწვეოდა და რაც საშინელი იყო ყველაზე, აღარც გეოგრაფია შერჩენოდა იმის გონებას და აღარც რუკები, მაგრამ, რადგან მხოლოდ ის იყო რეალური, რაც ამჯერად ხდებოდა, თანდათან მოიკრიბა გონი აპოლომ, გაშალა გრაგნილი, თომა, კი იჯდა გაუნძრევლად, მერე იმის სანაცვლოდ, რომ სტუმრისაკენ გაეხედა, ჩამოასხა ბოთლში ჩარჩენილი ღვინო, გახედა ნათურის მკრთალ შუქზე სავსე ჭიქას, გულდასმით შეამოწმა ღვინის ფერი, თავი დაიქნია, მოეწონა ალბათ და გამოწრუპა ნება-ნება, განცხრომა აღბეჭდვოდა სახეზე და აპოლომ ენის ბორძიკით წამოიწყო:

— რუკებია აგინი, თომა...

— რუკები? — გულგარეთ იკითხა თომამ, ულვაშზე შერჩენილ წვეთებს იწმენდდა შავი ღვინისას ტორით, — მერე...

— ჩვენი სოფლის რუკებია აგინი, — აღარ დაუყოვნებია აპოლოს: — პოლიტიკურია ერთი, მეორე კი — ფიზიკური, მოდი ერთი, მეიხიჩე ახლოს.

უხალისოდ წამოიმართა თომა და მაგიდაზე გაშლილ რუკებს დახედა.

— აგერ აგია შენი კარმიდამო, მწვანედ რომაა შეფერადებული, ყველა მოსახლის ეზოა შეტანილი აქანა, აგერ კოლექტივის მიწები, ტყე აგერ, ზეგანი,— თითით უჩვენებდა: — ჩვენი ღელე, — პლანტაციები აგერ, ა, მოკლედ, ყოლისფერია აქანა, რახაც კი დეინახავ ირგვლივ ჩვენს სოფელში, — დადუმდა აპოლო, დაელოდა, რას იტყოდა მასპინძელი, იმას კი სიტყვა არ დასცდენია, დაამთქნარა მხოლოდ ერთი, ჭმუილი ამოაყოლა მთქნარებას, ჩრდილში გაწოლილი ზარმაცი ძაღლივით, ხოლო აპოლომ, ვერ შენიშნა თითქოს მასპინძლის უყურადღებობა, როცა მიხვდა, ხმის ამოღებას არ აპირებდა, თავადვე განაგრძო — ყველა მოსახლოზა შევადგინე რუკები, პოლიტიკურიც და ფიზიკურიც, ჩამოვურიგე მეზობლებს დღეს, გეიხარეს ნამეტანი, აი ორი კი შენდა შემოვინახე, მაგიზა შეგაწუხე ახლა მე შენ, თუ არ იცი რუკების ხმარება, არ მოგერიდოს, აგიხსნი ახლავე...

— რათ მინდა, მაი რუკებია თუ რაცხა ჯანდაბა, ჭკუაზე თუ ხარ, აპოლო? — უკმეხად ჩაილაპარაკა თომამ, თანაც დამცინავი მზერა მიაპყრო აპოლოს, დააპატარავა, დააკნინ-დააჩიავა და დააჩაჩანაკა, წახარა წელში და ესეც არ აკმარა, ყოველი ნაკვთი აუცახცახა სხეულისა, სისხლი გაუყინა ძარღვებში იმ დამცინავი მზერითაც და უკმეხად წამოსროლილი სიტყვებითაც. რავარ, ამოღერღა როგორც იქნა აპოლომ, მეტი ვერაფერი მოახერხა, ისევ დაებინდა გონება და აზროვნების უნარიც წაერთვა.

— რავა და, — მიახალა თომამ. — რათ მინდა მაი რუკები მე, — ჩაიქნია ხელი, — წასულია შენი საქმე, აპოლო და მაია, — დაიდინჯა უცნაურად ხმა თომამ, გაიხავერდოვანა კიდეც. — ტყეს ვერ მივაგნებ თუ კოლექტივის ყანას და პლანტაციას, რას ფიქრობ შენ, მეზობელთან გადასვლა გამიჭირდება თუ რა გგონია, ქი ვყოფილვარ ამდენეთ ხანს ურუკოდ და ვიქნები კიდო, გზაიც კარგად ვიცი და კვალიც, არ შემეშლება, სოფელში სიარული გამიჭირდება თუ... წეილე მაი რუკებია თუ რაცხა უბედურება, გადვირეოდე სანამ, არ მჭირდება მე, შენ და შენს ბუტურე ნინუცას გამოგადგებათ, ერთმანეთზე უარესი ტუტრუცანები რომ ხართ და შენს ჩურჩუტა მეზობლებს...

ძილი არ გაჰკარებია იმ ღამით თვალზე აპოლოს: ბორგავდა, კვნესოდა, თომა დასდგომოდა თვალწინ, ვერა და ვერ მოენელებია შეურაცხყოფა, ნინუცამ რავა მაჯობა ჭკუითო, ფიქრობდა და უფრო მეტად გრძნობდა თავს შეურაცხყოფილად: „დედაკაცი მიხვდა და მე რავა არ მომივიდა აზრად, რაზ შემატანია რუკაზე თომაიე უკულმართის კარმიდამო..." ფიქრი არ ასვენებდა შურისძიებისა — თოფით მივუხტებით, გადაწყვიტა ჯერ, ცოტა ხნის შემდგომ კი

---

ჯუმბერ ტიკარაძე

## სასწაულები

ეროვნული
ბიბლიოთეკა

უარჰყო ეს აზრი, ღრმად რომ აწონ-დაწონა, ვაჟკაცურ საქციელად არ მიიჩნია უიარაღო კაცთან თოფით მივარდნა; შემდეგ, მივუვარდები ერთ დილით და დავუყვირავ გემოზეო, იფიქრა, მაგრამ სალმა აზრმა გაიმარჯვა, ეგებ ვერ გავუმკლავდე, მაგისას ეშმაკი ვერ გაიგებს ვერაფერს, შესაძლოა, ღონე ერჩოდეს და განგებ მალავდეს, იქნებ გამომადგეს სადმეო და ისიც გაიხსენა, თომას წყენას სოფლის ყოველი მოსახლე რომ ერიდებოდა...

თვალი არ მიულულავს აპოლოს და არც სურვილი ჰქონია, ეშინოდა, ძილში არ გავიპაროო, გულმა არ მიმტყუნოსო და არც ნინუცას სძინებია იმ ღამით, თვალდახუჭული იწვა, იცრემლებოდა ხანდახან და განგებ იმძინარებდა თავს, უგრძნობდა ქალს გული, თომას ბრალი უნდა ყოფილიყო ყველაფერი, თორემ აპოლოს ქება-დიდებამ თუ სოფლის აღფრთოვანება-ჰკუის დაკარგვამ ქალის ყურამდეც მიაღწია და არაფრით არ მოელოდა ისე ფერდაკარგულ-აცახცახებული თუ დაუბრუნდებოდა ქმარი საღამოთი შინ... დიდის ამბით ემზადებოდა აპოლოს დასახვედრად დედაკაცი: ქათამი დაკლა, ხაჭაპურები დააცხო და ნაირნაირი კერძებიც მოამზადა, რომელიმე მეზობლის გადმოპატიჟებაც სურდა, მაგრამ წყალში ჩაეყარა შრომა — ნაავადმყოფარივით დაბრუნდა აპოლო, წელშიაც წაგრეხილიყო და ყველაზე მეტად იმან შეაკრთო ნინუცა, ხმის დაძვრასაც რომ ველარ ახერხებდა კაცი, დალაპარაკების ნაცვლად ენა ებმოდა, წამოიბლოყინებდა რალაცას დრო-დრო გაურკვევლად; ხოლო ხელფეხი ისე გაჰყინვოდა. მიცვალებული გეგონებოდა.

დაფაცურდა უმალ ნინუცა, წყალი გაათბო ჯერ და ხელ-ფეხი დაუთბილა ქმარს, დააწვინა მერე, ის კი მორჩილი გამხდარიყო, ლოგინში რომ ჩაწვა, ტირილი აუვარდა, ბლოყინობდა მოუხეშავი ხმით და ბოლოს შეიკურთხა ერთი მწარედ, ვისი მისამართით, ვერ გაიგო ნინუცამ და მეტყველების უნარიც იმ უწმაწური გინების შემდგომ დაიბრუნა აპოლომ: მაცალონ, ყველას გადავუხდი სამაგიეროსო, თქვა დინჯად, თვალები ჩამუგუზლებოდა იმ დროს, როცა იმუქრებოდა და დაწყნარდა ნინუცა, უფრო კი განცვიფრდა, იმგვარი ვაჟკაცური იერი, მაშინ რომ დასტყობოდა აპოლოს, მოულოდნელზე მოულოდნელი რამ გახლდათ დედაკაცისთვის და, ცოტა არ იყოს, მოხიბლა კიდეც ამ უნებურმა გაელვებამ ვაჟკაცობისამ, მიხვდა მყისვე, ქალურმა უტყუარმა ალღომ უკარნახა, შეასრულებდა აუცილებლად აპოლო იმას, რასაც იქადნიდა, ქვეშეცნეულად გრძნობდა ნინუცა, თომას ემუქრებოდა აპოლო და ეს აშინებდა, იმ კაცს მთელი სოფელი უფრთხოდა, ისეთი ვაჟკაცებიც კი რკინის მკვნეტელებადა და კამეჩის მომრევებად რომ ითვლებოდნენ... უძილო და დაძაბული იყო ცოლ-ქმრისთვის ის ხუთული ღამე, მხოლოდ მამლის პირველ ყივილზე ამოისუნთქა შვებით აპოლომ, მიაგნო გამოსავალს რის ვაი-ვაგლახით, შურს იძებდა თომაზე და სიბნელეში წელანდელ ფიქრებს დასცინოდა თავისას, თოფით რომ უპირებდა მივარდნას და მუშტი-კრივის სურვილსაც...

შემდგომ კი ძილს მინებდა და ნინუცასაც უმალ მიელულა თვალი, როგორც კი ქმრის ხვრინვა ჩაესმა... ხოლო დილით გახალისებული წამოდგა აპოლო, წინა დღისა არ იყოს, გაახალგაზრდავებული გამოიყურებოდა ახლაც, ძალ-ღონეც მოსჭარბებოდა და ნიშანწყალიც არ ეტყობოდა წუხანდელი ნერვიულობისა. საუზმის შემდგომ კი ნინუცას უთხრა: გადადი მეზობლებთან და რუკები გამოართვი ყველას, უთხარი, საჭიროა ერთი დღით და დაგიბრუნებთ ისთევლეო...

— თომაიესთანაც გადავიდე თუ? — იკითხა ნინუცამ და შეკრთა, დაუნაოჭდა სახე, — ვერ გადავალ ვერაფრით იმისას მე, აპოლო...

— თომაიზა არ დამიტოვებია რუკები მე, — თქვა აპოლომ და გაიღიმა გულღიად, დამარცხებულად მიაჩნდა უკვე თომა და ხედავდა კიდეც ნირწამხდარს. ნინუცას კი ესიამოვნა ქმრის ღიმილი, მიხვდა, კარგი რამ არ მოელოდა თომას, თუმცა ქალს ყოველთვის საეჭვოდ მიაჩნდა აპოლოს ვაჟკაცობა გულის სიღრმეში, რა თქმა უნდა, მაგრამ წუხანდელი ღამის გახსენებამ, ცეცხლად რომ აგიზგიზებოდა გუგები აპოლოს, დააეჭვა, ეგებ ვცდებოდი ყოველთვისო...

აპოლოს კი კეთილი ღიმილი უბდღვრიალებდა სახეს: — არ ეღირსება ჩემი რუკები თომაიე უკულმართს...

ხოლო სოფელი არეულ-დარეულიყო იმ დღეს დილიდანვე, ჰკუის დაკარგვასა და გადარევას ბევრი ალარაფერი უკლდა: გადადიოდა მეზობელი მეზობელთან, ერთმანეთთან საუბრის შემდეგ კიდევ უფრო უარესად იზაფრებოდნენ გლეხები, გამწარებულ-დაბოლმილნი უთვლიდნენ წყევლა-გინებას თომას — საიდან მოვიდა მაინც, რა უნდოდა ჩვენს სოფელში, მაგი რომ არა, ქი ვიქნებოდით დალაგებულად მაშინ, სიდანაც მოეთრა, იქით წაეთრესო და სხვა ამგვარები და უფრო უარესებიც გაისმოდა... თომას რაკი ვერ ხედავდნენ ახლომახლოში, იმიტომ იყვნენ დიდ გულს, თორემ საკმარისი იყო, შორით მაინც დაელანდათ, ხმას გაკმენდნენ უცებ... მიზეზი სოფლის გადარევა-აფორიაქებისა კი აპოლოსა და თომას წუხანდელი შეხვედრა იყო, თუმცა საოცარი ერთი რამ გახლდათ: აპოლოს კაციშვილთან არ დაუძრავს ენა იმ ამბავზე, არავინ ენახა ჯერ და, რომ შეხვედროდა კიდეც ვინმეს, სიტყვა არ წამოსცდებოდა, ნინუცაც მხოლოდ გუმანით გრძნობდა იმას, რაც მომხდარიყო, თორემ ქმარს არაფერი გაუმხელია, თომა კი, ცხადია თავისთავად, არ იტყოდა რამეს, ენის მოტარტარე კაცი როდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გახლდათ, მწარე სინამდვილის თქმა კი უყვარდა, იცოცხლე, მაგრამ წვრილმანების გამხელა სძაგდა...

ხმა კი წუხანდელ ამბავზე უთენიაზევე გავარდნილა, ყველამ უწყოდა სოფლად, რუკებზე რომ უთქვამს უარი თომას და იმისი სიტყვებიც იცოდნენ, ურუკოდაც კარგად ვაგნებ გზას, მეზობლებს გამოადგებათ მაი რუკები ჩურჩუტები რომ არიან, მე რად მინდაო...

აპოლოს შეურაცხყოფითაც გრძნობდნენ თავს დამცირებულად გლეხები: სოფლისთვის თავდადებულ კაცად მიაჩნდა უკვე ყველას იგი... და, აი, ნინუცამაც ჩამოუარა მეზობლებს და იმან ხომ სულ გადარია ხალხი, ნავთი მიასხურა ცეცხლს: „ძლივას დავამაგრე წუხელ აპოლო, თომასკენ მიიწევდა მთელ ღამეს, მე რომ არა, ახლა ბურდღა აღარ იქნებოდა მისი. მაგი უკულმართი კი არ დამნანებია, ვიფიქრე, აპოლოს დეიმერენ-მეთქი, აბა..."

ირწმუნა სოფელმა ნინუცას ნათქვამი, კაი გიქნია ნამეტანი, რომ დაგიკავებია, თვარა, ციხე არ ასცდებოდა აპოლოს, თომა კი არ არის მაგხელა მსხვერპლის ღირსიო...

აპოლოს დანაბარებმა კი დაალონა სოფელი. წეღან თუ აღშფოთებულნი იყვნენ, ახლა, ნინუცამ რომ თქვა, რუკები მომეცით, ერთი დღით სჭირდება და დაგიბრუნებთ ისევო... დანაღვლიანდა სამეზობლო, შეჰგუებოდნენ რუკებს და შეყვარებოდათ კიდეც ერთ დღეღამეში და ვეღარ ელეოდნენ, თითქოს უსაყვარლეს ადამიანს ემშვიდობებოდნენ სამარადისოდ... შუადღეზე დაადგა გზას ნინუცა შინისაკენ, ხელში დაგრაგნილი რუკები ეკავა. ნაზად დასცქეროდა და ეალერსებოდა გრაგნილს, გასათნოებულიყო და დამშვენებულიყო, ნათელი დასდგომოდა თავს... სოფელი კი გლოვობდა და სწუხდა; რუკები ახსენდებოდათ გლეხებს განსაკუთრებით კი რუკებზე აღნიშნული თავიანთი კარმიდამოები უჩვილებდათ გულს და ძალაუნებურად უცრემლდებოდათ თვალები, ნანობდნენ, აწი აღარ დაგვიბრუნებს აპოლო რუკებს, რა წყალს მივცეთ თავიო და უფრო გაბოროტებით თათხავდნენ თომას, წართმეოდათ რწმენა მომავლისა, დიაცებსაც, მამაკაცებსაც და მათ ნაშიერთაც, ხანმოკლე აღმოჩნდა ჩვენი ბედნიერებაო, ასე ეგონათ...

აპოლო კი იმ დროს, როცა სოფელში მდუმარება დასადგურებულიყო გლოვისა, დიდებულ გუნებაზე მომდგარიყო, თავის ოთახში საქმიანობდა, ბოლოს კი, ვახშმობის ჟამს გამოვიდა გარეთ, ნიშანწყალიც არ ეტყობოდა დაღლილობისა და, ამ სიკეთესთან ერთად, გუშინდელზე უფრო გაახალგაზრდავებული გამოიყურებოდა, ილიმებოდა მიამიტურად და ნინუცას იქით იმზირებოდა სადღაც, შორს, სივრცეში; ხოლო ტანისამოსი ამოგლაგნოდა, გათეთრებულიყო თავფეხიანად და მიხვდა ნინუცა, მხოლოდ თეთრი სალებავი ეხმარა დღეს...

სოფელს კი არ სძინებია ღამით მაშინ. ძილ-ბურანს მისცემოდა და ოხრავდა და კვნესოდა სიბნელეში, განუზომელ-აუწონავი იყო სევდა-ნაღველი, რომელიც ირგვლივ დასადგურებულიყო; ორ ოჯახს ეძინა მხოლოდ ტკბილად. თომას ოჯახს, თუკი ოჯახად ითქმოდა მარტოხელა კაცი, საერთოდ, ეგრე პაიპარად როდი გაიტეხდა ღამეს თომა და აპოლო და ნინუცაც ტკბილ ძილს იყვნენ... სევდა-ნაღველს დამორჩილებოდა ძილგატეხილი სოფელი, ძაღლებიც გრძნობდნენ გასაჭირს პატრონებისას, ძაღლური გუმანით მიხვედრილიყვნენ და ყმუოდნენ გულსაკლავად და ავის მომასწავებლად. იმათ ყმუილზე კი ადამიანებს უფრო უმძაფრდებოდათ კაეშანი: თვალგახელილნი გატრუნვოდნენ სიბნელეს, გასკდომაზე ჰქონდათ გულები და რუკები ელანდებოდათ თავიანთი სოფლისა, ორი ლამაზი რუკა — ფიზიკური და პოლიტიკური, განსაკუთრებით ის ადგილები, სადაც იმათი კარმიდამოები იყო გამოსახული...

ბოლოს ირიჟრაჟა, როგორც იქნა, და უხალისოდ ჩაიცვა სოფელმა ტანთ, ხოლო ცოტა ხნის შემდგომ სიხარულმა შეცვალა მწუხარება წუხანდელი ღამისა: დაინახეს, აპოლო მოაბიჯებდა სოფლის შარაზე, შემსუბუქებოდა ნაბიჯი, მოირხეოდა ლაღად და ხელთ ის სანუკვარ-საოცნებო გრაგნილი ეკავა — ჯერ უახლოესმა მეზობელმა მოჰკრა თვალი, ადრევე დაინახა, ვიდრე მის ეზო-კარს მიუახლოვდებოდა და ბავშვი აფრინა მეზობლისას სამახარობლოდ, აპოლო მოდის ჩვენსკენო, არც ის დავიწყებია. ხელში რუკები რომ ეკავა და პირველ მეზობელთან რომ შესდგა ფეხი აპოლომ, მთელმა სამეზობლომ იცოდა ახალი ამბავი — მხიარულობდა ის ახლომახლო, კარგის მაუწყებლად მიეჩნიათ გლეხებს, დილაუთენიაზე სოფლის მხსნელის — ასე უწოდებდნენ უკვე აპოლოს — გამოჩენა, სახლებს გამოჰკეტვოდნენ და გამხნევებულნი წამდაუწუმ გასცქეროდნენ შარაგზას, ჩვენკენ ხომ არ მოდისო... ზეიმი იყო იმ დღეს მართლაც სოფლად: ყოველმა ოჯახმა გაშალა პურ-მარილი, აკრიბეს ქათმები, თავი ახადეს საგანგებო შემთხვევისათვის დაზოგილ ჭურებს, მეზობელი მეზობელს ეპატიჟებოდა საპურმარილოდ, აპოლო კი ხან ერთგან, ამოჰყოფდა თავს და ხანაც მეორეგან. ყველასთან სურდა მოესწრო ყოფნა, არც ერთ ოჯახს რომ არ დასწყვეტოდა გული; იმისი სადღეგრძელო და ლოცვა-კურთხევა-აგაშენოს გაისმოდა ყველგან; — სოფელს კვლავ ჰქონდა რუკები და, რაც უმთავრესია, თომაზეც ეყარა ჯავრი ყველას მაგიერ აპოლოს: პირველ მეზობელთან რომ მივიდა და გრაგნილი გახსნა, აღმოჩნდა, თეთრად გადაედღაბნა თურმე თომას კარმიდამო აპოლოს და ეს ახალი ამ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ბავი, უმალ მოეფინა სოფელს, იმ უკუღმართის სამფლობელოს სანაცვლოდ რუკებიდან ახლა თეთრი ლაქა ამოიმზირებოდა, მიწასთან გასწორება-შურისძიებაც ამას ერქვა სოფლის აზრით, უკეთესის მოფიქრება შეუძლებელი იყო...

მერე გავიდა რამდენიმე დღე, თომას მიპყრობოდა ყურადღება გლეხებისა, მაგრამ, როგორც ყოველთვის, ამჯერადაც გააწბილა იმან სოფელი, არაფრად ჩააგდო მისი კარმიდამო თეთრ ლაქად რომ შესთქვეფოდა რუკებს: ასე უკეთესიაო, უთქვამს ერთგან, ხალხი რომ ყოფილა შეკრებილი იმ დროს და ხელიც თავისებურად ჩაუქნევია თურმე, წასულია თქვენი საქმე, თქვე უბედურებოო და არავინ რომ არ მოელოდა, უხუმრია კიდეც, ჩემი კარმიდამო, ალმოჩენილი არ არის ჯერ და ეს მირჩევნია, თქვენში რომ არ ვარ ათქვეფილი, თქვე ბედოვლათებოო...

ჩაუქლაპავთ გლეხებს შეურაცხყოფა, ისეთი თვალებით შესცქეროდნენ თურმე თომა, ენა ჩავარდნიათ, მერე კი, იცოცხლე, იბრაგუნებდნენ მკერდზე ტორებს, გაბედოს და აწი კიდევ გაიმეოროსო. მაგრამ ნურას უკაცრავად, ჯერაც არ მოსწრებოდა ვინმე, ერთხელ ნათქვამი ხელახლა გაემეორებიოს თომას, იტყოდა ერთს, სიმართლედ რომ მიაჩნდა იმდაგვარს, გადახედავდა მერე ირგვლივ მყოფთ, მოათილისმმოაჯადოვებდა გამჭოლის მზერით — წინააღმდეგობის გაწევა რა სათქმელია, როცა აზროვნების უნარიც ერთმეოდათ იმის შემხედვარეთ — და წავიდოდა თავისი გზით, არ დაგიდევდათ, რას იფიქრებდნენ ან რას იტყოდნენ...

ხოლო სოფელი დღენიადაგ რუკებს ჩაჰკირკიტებდა, ჰკარგავდა ჭკუას, და, აი, ერთ დღესაც, გლეხმა გამოილვიძა ერთმა უთენიაზე, რუკა აილო და სადღაც წავიდა, სად მიდიოდა, ის კი არ გაუმხელია ოჯახის წევრთათვის: თურმე ნუ იტყვით და, რუკებზე აღნუსხული ადგილების შემოწმება მოსურვებია, აპოლოს შეურაცხყოფისათვის კი არა, აბა, ამას როგორ იკადრებდა, ისე, უბრალოდ აინტერესებდა, ყველაფერი ზუსტად იყო თუ არა გადატანილი რუკაზე...

მდინარის პირად გავიდა ის კაცი თავდაპირველად, ზემოთ, სოფლის თავს, საიდანაც ჩამოედინებოდა წყალი და გაოცებული დარჩა: სამეზობლოს მამაკაცები, ყველანი იქ შეკრებილიყვნენ და დუმდნენ, ისე იყვნენ დარცხვენილნი, თვალი ვერ გაესწორებიათ ერთმანეთისთავის, ახალმოსულმა იფიქრა, მოდი, გავიპარები, ვიდრე გვიან არ არისო, მაგრამ შეენიშნათ უკვე და იმანაც დაიმორცხვა სხვათა მსგავსად... ყოველ მათგანს რუკები ეკავა ხელთ... ნახევარ საათს მაინც იდგნენ იქა ხმის ამოუღებლად, მიწა გასკდომოდათ, ის ერჩივნათ ამ დღეში ჩავარდნას, ბოლოს, დუმილი როცა აუტანელი შეიქმნა, ერთ-ერთმა მათგანმა წამოიწყო: „ვიფიქრე წუხელ, დაწოლისას, მოი ერთი, რაც არის, არის, გავალ ხვალე და შევამოწმებ სტორია თუ არა რუკაზე ყოლისფერი-მეთქი, — ხმა უცახცახებდა ლაპარაკის დროს იმ გლეხს, — არ იფიქროთ ახლა თქვენ, აპოლოს არ ვენდობოდე ვითამ, აჰ, ღმერთმა დამიფაროს თომასავით მოქცევა, მაი უკუღმართია ურწმუნო თვარა, მე ქი მჯერავს სტორი, რომ იქნება რუკაზე ყოლიფერი, აპა, აპოლოს შეეშლებოდა რამე ვითამ? მარა, იმიზა მინდოდა შემემოწმებია, რაფერ შეძლო მაგ კაცმა ამხელა საქმე-მეთქი...

მერე იქ მყოფთაგან ყოველი მათგანი გამოტყდა, მსგავსი სურვილი სწვეოდათ თურმე იმათაც და გაიკვირვეს, რალა ერთდროულად მოვიფიქრეთ ამგვარი რამო და რაღაი გამოუტყდნენ ერთმანეთს, შვება იგრძნეს და მოიბოდიშეს კიდევ ერთხელ, აპოლოს შემოწმება კი არ გვინდა, ის გვაინტერესებს, რავა შეძლო აი საქმე ერთმა კაცმაო და გადაწყვიტეს, რახან ყველას ერთდროულად გაგვჩენია ეგ სურვილი, მოდით და ერთადაც შევამოწმოთო...

აღარც დაუყოვნებიათ, უმალ გაშალეს რუკები და ერთმა იკითხა, რით დავიწყოთო... რითი და, მასშტაბითო, ყველა ერთდროულად აყაყანდა, თურმე თითოეულს ასე უფიქრია წუხელ, დაწოლის წინ და რომელიღაცამ ამოიკითხა რუკაზე, მასშტაბი: ერთი სანტიმეტრი — ასი მეტრიო... „აქანა კი — თქვა ვიღაცამ და მდინარის აღმნიშვნელ კლაკნილ ხაზს დაადითა რუკაზე, — ხუთმეტი სანტიმეტრია...“ და ისევ ერთდროულად აგნიასდა ყველა, ყოველ იმათგანს საგულდაგულოდ გაეზომა თურმე რუკაზე მდინარის სიგრძე... მერე კი, დავიწყოთ აბაო, ჯიბეს იკრა ხელი ყველამ, რულეტებიც არ დავიწყნოდათ და აღარ ღირდა ტყუილუბრალოდ დროის დაკარგვა — დაუყვნენ მდინარეს სიგრძის გასაზომად, დინჯად მისაუბრობდნენ თანაც, მერე კი კოლექტივის მიწებისაკენ დაიძრნენ, დაღამებამდე დაძრწოდნენ იმ დღეს მშიერ-მწყურვალი მამაკაცები და ბოლოს, როცა გადაიქანცნენ, მიწაზე მიეყარნენ, ხოლო ერთურთს რომ გამოემშვიდობნენ, მთვარე ამოსული გახლდათ კარგა ხნის და რაკი დაღლილნი იყვნენ, გადაწყვიტეს, დაესვენათ მეორე დღეს და ზეგ დილიდან შეკრებილიყვნენ... გათენდა მეორე დილაც, მამაკაცებმა კი, ისე გადაქანცულიყვნენ წინა დღით, ნაშუადღევამდე ვერ გაართვეს თავი ძილს, ცოლებს უხმეს, გამოეღვიძათ თუ არა, მაგრამ ვინ აღირსათ პასუხი, დაუძახეს ხელახლა, უშედეგოდ ამჯერადაც და იბლავლეს, „მაინც ამაო იყო ყველაფერი და იმ დღეს ყოველი ეზოდან ისმოდა გამწარებული მამაკაცების ბლავილი თუ ლანძღვა-გინება, მერე კი, როცა ხმა ჩაეხრინწათ, რაღას იზამდნენ, დადუმდნენ და ფიქრს მიეცნენ, გამოცნობა სურდათ დედაკაცების ასავალ-დასავალისა...

იმ დროს კი, როცა კაცები ამ ყოფას იყვ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხენ, ქალები მდინარეს ჩატუსტუსებდნენ თავქვეზე. იმათაც მოწიწებით ეკავათ ხელთ რუკები და დიდის ამბით ზომავდნენ სიგრძეს მდინარისას; კარგა ხნის შებინდებული იყო, ისინი რომ გამოემშვიდობნენ ერთურთს და, მამაკაცებისა არ იყოს, იმათაც გადაწყვიტეს, ხვალ დავისვენოთ ჩვენ, დაღლილები ვართ და, ესეც რომ არა, რუკებს ქმრები არ დაგვანებებენ მაინც და ზედ გამოვიდეთ, ჩვენი კაცების შემდგომო... ხოლო ქმრები, კარგა ხანს რომ უცადეს დიაცთა გამოჩენას, რუკებს ეცნენ მერე და ადგილზე რომ არ დახვდათ, მიხვდნენ ვითარებას საქმისას და დამშვიდნენ. თან კი ყოველმა იმათგანმა გაიფიქრა, ვიცოდი წინასწარ, ამგვარი რამ რომ მოხდებოდა, ისე იყო გადარეული რუკას რომ დასცქეროდა და არც ერთს არ სწყენია საქციელი ცოლისა... მას შემდგომ მორიგეობით გამოდიოდნენ დილაუთენიაზე კაცები და ქალები და შუაღამისასღა ბრუნდებოდნენ შინ: სოფელი ნასოფლარს დამგვანებოდა, მარტოოდენ აპოლოს სახლიდან ადიოდა ფუტი, თომა იშვიათად თუ დაანთებდა ცეცხლს, ხოლო სხვებს, ისე მისცემოდნენ თავიანთ საქმიანობას, გრძნობა დაჰკარგვოდათ შიმშილისა, ხმელა მჭადსა და ყველზე გადიოდნენ მხოლოდ. თვე გავიდა ასე — ჩამოდნენ უჭმელ-უსმელობით და აღმა-ჩაღმა ყანკალ-ბოდიალით დედაკაცებიცა და მამაკაცებიც, თავიდან არაფერი, მერე იყო საშინელება ტყე-ტყე-ჯაგნარ-ჯაგნარ რომ დაიწყეს სიარული. პირველყოფილ ადამიანებს დადარებოდნენ, ისე ჩამოკონკილ-ჩამოკაწრულიყვნენ... თვის თავზე დაამთავრეს შემოწმება და გაირკვა. ყველაფერი ზუსტად გადაეტანა თურმე რუკაზე აპოლოს.

უფრო მეტად აღფრთოვანდებოდა ხალხი, რა თქმა უნდა, და გამოფხიზლდნენ უცებ, გადახედეს ერთურთს და უნარი დაუბრუნდათ საღი განსჯისა: ისე ჩამოფლეთოდათ კაბები თუ შარვლები ჯაგნარებში ძრომიალით, სასირცხვო ადგილებს უფარავდათ მხოლოდ, დანარჩენები, ნახევრად სასირცხვო რაც არის, გამოეაშკარავებიათ.

სოფლის მოედანზე შეკრებილიყვნენ მაშინ, შედეგებს ამოწმებდნენ მთელი თვის საქმიანობისა და, აი, თომას მოჰკრეს უცებ თვალი, კაცებმა დაინახეს ჯერ, შეხედეს თუ არა, სახე აუფართხალდათ უმალვე და დიაცთა სიშიშვლესაც მაშინ მიაქციეს ყურადღება; ვერა და ვერ მიანიშნეს თავიანთ ცოლებს, თომა გიყურებთო... ხოლო თომა, არც აპირებდა შეჩერებას თავიდან, რაკი არ აინტერესებდა, რას ილაპარაკებდა ის მოცლილი ხალხი, მაგრამ დაბერილ, შიშველ მკერდებს რომ მოჰკრა თვალი ქალებისას და იმ ულამაზეს ბარძაყებს, შეყოვნდა მაშინ, ნაბიჯი ვეღარ წადგა, შეჩერდა მონუსხულივით: კარგა დიდი ხნის წინათ გარდაცვლოდა ცოლი თომას და მას შემდგომ, რაკი არაფერი სჯეროდა დედაკაცებისა, არც გაჰკარებოდა დიაცს და, ცხადია თავისთავად, მივიწყებული ექნებოდა სილამაზე თუ მიმზიდველობა ქალის შიშველი ნაკვთებისა... დამდგარიყო ახლა, დაჰკარგვოდა უნარი აზროვნებისა, შესცქეროდა მოხიბლული ნახევრად გაშიშვლებულ დიაცებს...

კარგა ხნის შემდეგ შენიშნეს კაცებმა თომა და მაშინღა ეცათ თვალში პირველად სიშიშვლე ცოლებისა, მერე კი დედაკაცებმაც დაინახეს იგი და იწივლეს; ხან მოშიშვლებულ მკერდზე აიფარეს ხელები, ხან ბარძაყებზე ჩამოისრიალეს, იმ უკუღმართ თომას ვერ სწყვეტდნენ თან მზერას, ბებერ ბუღას რომ დამსგავსებოდა, რომელსაც, რაკი საჯიშედ აღარ ვარგია, ძროხას აღარ გააკარებენ, თავად თუ არ მოიხელთა როგორმე... ბოლოს კი წივილითა და კივილით გაიქცნენ დედაკაცები თავიანთი სახლებისაკენ. გაქცეულებს გასცქეროდა ამჯერად თომა, ხოლო იმათი ქმრები თავჩაქინდრულნი დამდგარიყვნენ. მერე, ქალები რომ კარგა მანძილით დაშორდნენ იქაურობას, სევდა ჩაუდგა წამის წინ ჩასისხლიანებულ თვალებში თომას, აშკარა იყო, პირველად ახლაღა დარდობდა თავის საქციელს, დაქვრივების შემდგომ ცოლი რომ აღარ შეერთო, სინანული არ სჩვეოდა საერთოდ, ახლა კი ნანობდა. იმისი თვალები ღაღადებდნენ... იგრძნო ბოლოს, თვალები რომ ჩასევდიანებოდა და შეკრთა — არ შემამჩნიონო, გამჭოლი მზერა მიაპყრო კაცებს, ცეცხლი აიგიზგიზა კვლავ გუგებში და მიხვდა მაშინვე, გლეხებს მისი წამით ჩასევდიანებული თვალების შემჩნევის უნარი არ ექნებოდათ და გარკვევით ჩაილაპარაკა: „აპოლო და მისი რუკები რომ არა, ვინ მაღირსებდა მაშინ მე ამდენითი შიშველი ქალის ერთად დანახვას, — უცხოსავით ლაპარაკობდა. არც დაცინვა გაუკრთოდა ხმაში, არც უხიაკობა, მსმენელთ კი ყოველი წარმოთქმული სიტყვა ძაბავდა უფრო და უფრო, — ისე, კაია, ხომ იცით, სირბილის დროს ტიტველი ქალი. ნამეტანი ლამაზი ყოფილა, არ ვიცოდი მე...

ეს რომ თქვა, თავისი გზით წავიდა და მაშინღა ამოისუნთქეს შვებით კაცებმა, მაგრამ მთლიანი შვება როდი იყო, თვალს ვერ უსწორებდნენ ერთიმეორეს, დაიშალნენ ბოლოს სიტყვის დაუძვრელად, თავთავიანთი სახლებისაკენ დაადგნენ გზას...

ხოლო აპოლო, როცა სოფელი მის ნაკვალევ-ნატერფალს ასდევნებოდა, დიდებულ გუნებაზე იყო მთელ თვეს, თუმცა თავიდან ეწყინა, ახალი ამბავი რომ შეიტყო, არ მენდობიანო, გაიფიქრა, ეს მაშინ იყო, პირველად რომ გავიდნენ მამაკაცები მდინარის პირად. აი, იმ დღეს, ყველას ერთდროულადა და ერთ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მანეთისაგან დამოუკიდებლად რომ განეზრახა რუკების შემოწმება, მაგრამ სოფელმა მოციქული მიუგზავნა აპოლოს, არ იფიქრო, შენი რუკების სისწორე გვაეჭვებდეს, გვინდა გავიგოთ, ერთმა კაცმა რაფერ შეძლო ამგვარი რამო და დაწყნარდა....

იმ დღის შემდგომ, სოფელი ტყე-ტყე რომ დაძრწოდა, გათენება უხაროდა ხოლმე აპოლოს: სათოხარში აღარ დადიოდა საერთოდ, იყო ოთახში გამოკეტილი დილიდან შებინდებამდე და რუკებს ჩასცქეროდა, გეოგრაფიული ლიტერატურაც შეიძინა კარგა ბლომად, კითხულობდა დიდის ამბით, თუკი რაიმეს ვერ გაიგებდა, განცვიფრებას იყო — ამხელა ნიჭი მაქვს კაცს, კარტოგრაფობა ყველას როდი ძალუძს და ასეთი უბრალო რამ როგორ ვერ გავიგეო... მერე და მერე ბევრ რამეს ვერ ჩასწვდა იმ წიგნებისას და ისე შეეშვა, გულიც არ ჩასწყვეტია, სად ეცალა საამისოდ, საათობით ჩაჰკირკიტებდა თავის რუკებს, ეალერს-ელოლიავებოდა და უკვირდა თავადაც, როგორ მოვახერხე ამგვარი რამო...

თომას კი, ისე იქცეოდა, თითქოს დიდსულოვნად აპატია დანაშაული, ნინუცასა და სამეზობლოს გასაგონად ამბობდა ამგვარად, თორემ იმ კაცის სახელის ხსენებაც სძაგდა, განსაკუთრებით ის ახსენებდა წარამარა თავს მტკივნეულად, თოხის ტარზე რომ ჩამოუგდო სიტყვა და ვერა და ვერ გაეგო, მოჩვენებოდა თუ თომა იყო მართლაც იმღამ სასაფლაოზე... მშობლებიც წამდაუწუმ ახსენდებოდა აპოლოს, ახლა როდი ემდუროდა იმათ უწინდებურად, პირიქუ, ზოგჯერ ცრემლიც მოადგებოდა თვალზე, ერთ დღეს კი, სოფელი ტყე-ტყე დაძვრებოდა მაშინ, მოდი, კვლავ გავალ სასაფლაოზე, შეუძლებელია მათი საფლავები ვერ ვიპოვო და შინიდან გავიდა: მიუყვებოდა დაცარიელებულ გზას სასაფლაოსკენ, სამგლოვიარო პროცესიებს ახდევნებოდა თითქოს დედამისისას და მამამისისას, ყველაფერს ცხადად ხედავდა მაშინდელს, გლოვა და წივილ-კივილიც ჩაესმოდა და კიდევ მამაკაცების დინჯი საუბარიც, პროცესიის თავში აფრიალებულ დროშასაც შესცქეროდა, მხოლოდ დროშას უმზერდა, რომელიც ორმოცი წლის წინანდელ თომას მიჰქონდა და უხაროდა აპოლოს, მედროშე რომ არ ილანდებოდა — გამხდარი, დაძარღვულ-დაკუნთული თომა და როგორც მაშინ, შუაღამისას, პირველად რომ ავიდა სასაფლაოზე, ხვდებოდა ახლაც, თავიდანვე ვერ იტანდა თურმე იმ კაცს, რიდი და კრძალვა ჰქონდა თითქმის ყოველთვის მისი და ისიც ახსენდებოდა ამჯერად, ეს გრძნობა მაშინ ჩასახულიყო, როცა არლანს ატრიალებდა ხოლმე თომა, თუმცა ადრე, ბავშვობისა თუ სიჭაბუკის ჟამს არ შეუწუხებია ამ ამბავს:

აპოლო იმ დღეს არ გამოიწვევდა გარდასულს, არ აედევნებოდა დიდი ხნის წინათ ჩავლილ პროცესიებს მშობლებისა, მაგრამ ეშინოდა, ვაითუ კვლავაც ვერ მივაგნო იმათ საფლავებსო... სასაფლაოზე ასვლა კი უღირსი საქციელის გამოსასწორებლად ესაჭიროებოდა, დედ-მამის სულსა და ხსოვნას როცა იკურთხებდა ხოლმე, იმ კოშმარული ღამისთვისაც, მათ საფლავებს რომ ვერ მიაგნო, მონანიება სურდა ცოდვებისა, თორემ იცოდა, გაიტანჯებოდა.

სასაფლაოს კარიბჭემდე მიჰყვა აპოლო სამგლოვიარო პროცესიებს და როცა ეგონა, იმღამინდელი განმეორდებოდა — აქ აერეოდა კვალი წარსულისა, პირიქით მოხდა — პროცესიებმა მშობელთა სამარადისო განსასვენებლამდე მიიყვანეს: იქ კი გაქრა გარდასული და იყო მხოლოდ საფლავის ორი მძიმე ლოდი, ერთთავად ჯაგნარ-ეკალბარდით დაფარული, ჟამთასვლისაგან ფერგადაცრეცილი და გული აუჩვილდა აპოლოს, თითქოს ამჯერადაც ცხოვრებაში გამოუსვლელი ობლად დარჩენილი ყმაწვილი კაცი იყო, ხოლო უპატრონოდ მიტოვებულმა საფლავებმა და იმ ამბავმა ახლო წარსულისამ, უდიერად როცა იხსენიებდა ხსოვნას მშობლებისას, სინდისის ქენჯნა განაცდევინა. ამოუჯდა გული, ცრემლი გადმოსცვივდა, იდგა მზის გულზე აცრემლებული კაცი, პატიებას სთხოვდა აჩრდილებს დედ-მამისას და ფიქრობდა, თქვენ რომ არ ყოფილიყავით, ხომ ვეღარ შევადგენდი იმ რუკებსო; მადლიერი იყო ახლა იმათი და გადასწყვიტა, როგორმე გამოეხატა კიდეც გრძნობა მადლიერებისა, განიზრახა და შეასრულა კიდეც: მალე კვლავ ეწვია სასაფლაოს, ამჯერად ნინუცაც თან ახლდა, დილიდან საღამომდე მოუნდა ცოლ-ქმარი ჯაგნარისა და ეკალ-ბარდის აკაფვას იმ სულგანათლებულებთა საფლავებზე, მერე კი, რამდენიმე დღის შემდგომ, ხელოსანი მოძებნა აპოლომ და საფლავის ორ მძიმე ლოდს შორის ქვის მსუბუქი ფილა ჩადგა, რომელზეც ოქროსფრად იყო ამოკვეთილი — ძვირფას მშობლებს გულდათუთქული, მადლიერი შვილისაგანო, ცოდვაც მოინანია ასე და ამგვარად და სოფელიც აალაპარაკა: ხედავ, რა გული ჰქონია ჩვენს აპოლოს, ორმოცი წლის წინათ გარდაცვლილ მშობლებს რამხელა პატივი დასდო, აბა, ჩვენ უნდა გვქონდეს ჩვენი შვილების იმედი? ორმოცამდე გადაგვივიწყებენო...

ხოლო მთელი თვის ნაშიმშილარი და ტყე-ტყე ნათრევი, დაძენძილ-ჩამოკაწრული სოფელი ნელინელ იკრებდა გონს, ჩვეულ კალაპოტს იბრუნებდა ცხოვრებისას — ისევ ავარდა ფუტი მიტოვებული ოდა-სახლებიდან და სოფელიც სოფელს დაემგვანა მაშინვე... თავიდან, ჩვეულებრივი ცხოვრება რომ დაიწყეს, შიმშილმა შეახსენათ თავი, იმ თვეში თითქმის მივიწყებული რომ ჰქონდათ და საჭმელ-სასმელს ეცნენ, დღისით ხომ ჭამდნენ და ჭამდნენ, ინაზღაურებდნენ დანაკლისს, მაგრამ ვერ იყოჩრებოდნენ მაინც და ღამღამობით, ვიდრე ძილს მინებდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ, სასთუმალთან იდგამდნენ საჭმელს, გამოიღვიძებდნენ მერე წარამარა და დაფეთებულნი ილუკმებოდნენ, ჭამისას ისეთ ხმას გამოსცემდნენ, იფიქრებდი, იღრინებიანო...

ოციოდე დღის შემდგომ კი იგრძნეს, ჩვეულებრივ ძალუძდათ ცხოვრება. ეს კი იმას მოასწავებდა, ადრინდებულად შეეძლოთ დაკმაყოფილებულიყვნენ მხოლოდ საუზმით, სადილითა და ვახშმით, შიმშილი ღამ-ღამ აღარ აღვიძებდათ და აღარც სასთუმალთან ესაჭიროებოდათ საჭმლის მომარაგება...

იმ დღეს კი, თომამ რომ მოიყვანა გონს სოფლის მოედანზე შეკრებილი ნახევრად შიშველი ხალხი, იმ უკუღმართის მზერით დამფრთხალ-დაზინებულმა დიაცებმა შინ რომ მიირბინეს, სარკეებს ეცნენ მაშინვე და როცა თავიანთ ორეულებს მოჰკრეს თვალი, გადაირეოდა, აბა, რა იქნებოდა თომაო, — გაიფიქრეს. — კაცს, თუმცა ხნიერი კი არის, მაგრამ ოც წელზე მეტი იქნება, ქალი არ ღირსებიაო...

დიდის ამბით ათვალიერებდნენ დედაკაცები თავიანთ ნახევრადშიშველ ორეულებს, ბარდებში ძრომისაგან ჩამოკაწრულ ულამაზეს მაღალ მკერდს, ჩამოქნილ წვივებსა და დიდებულ ბარძაყებს, რაც მართალია, მართალია, ულამაზესნი იყვნენ იმ სოფლის მკვიდრი დიაცები, ასე გახლდათ ოდითგანვე, წინაპართაგან მოყოლებული, მგონი ნინუცა იყო მხოლოდ გამონაკლისი, თუმცა იმ სოფლის დედაკაცებიც განთქმულნი იყვნენ სილამაზით, საიდანაც გამოთხოვილიყო იგი...

ჰო, ტრიალებდნენ მაშინ სარკის წინ, ამგვარი რამ კი საერთოდ არა სჩვეოდათ. იმათ და ორეულებს რომ შესცქეროდნენ თავიანთსას, დაბანგულიყვნენ თითქოს, მონუსხულიყვნენ და მოჯადოებულიყვნენ საკუთარ სხეულთა ნაკვთების სილამაზით, თან კი ყოველ იმათგანს თომა დასდგომოდა თვალწინ და ეცინებოდა გულში, გულში კი არა, სახეზეცა და თვალებშიც ასცახცახებოდათ სევდანარევი ღიმილი, იმ უკუღმართს ხედავდნენ ახლაც და დარწმუნებული იყო ყოველი მათგანი, მე მიყურებდა ისეთი მოჯადოებულით და მართალიც იყვნენ, ყველას განეკუთვნებოდა თომას მზერა წელან...

ისინი კი შესცქეროდნენ თავიანთ ორეულებს, ის ურწმუნო თომა ახსენდებოდათ და რასა ფიქრობდნენ, მე კი არა, ვიცი დანამდვილებით, მაღალი ღმერთიც ვერ ამოიცნობს, ეშმაკმა უწყის მხოლოდ იმათი ფიქრიც, თავიცა და ტანიც...

აი, ამ ყოფაში მიასწრეს თავიანთ ცოლებს ნერვებმოშლილმა მამაკაცებმა, არ მოელოდნენ არაფრით იმათ ტრიალს სარკის წინ, თავიდან სარკე ამოუვარდათ გონებიდან, ცოტა არ იყოს, გამოელენჩებია ვგონებ ისინი აპოლონსეულ რუკებსა და ტყე-ღრე ყანყალს, გაორებულნი ეგონათ თავიანთი დიაცები და გაოცდნენ, დააფჩინეს პირი, გადმოკარკლეს თვალები, მერე გონს მოეგნენ, გაახსენდათ ამგვარად რომ მოჰკრა ქალებს თვალი წელან თომამ და იბღავლეს: გარყვნილები და კახპები უწოდეს თავიანთ დიასახლისებს და კიდევ ბევრი სალანძღავი სიტყვა, თითქმის ყველა, რაც კი მოეპოვებოდა იმ კუთხის დიალექტს; ხოლო დიაცები დამფრთხალნი მოშორდნენ სარკეებს და ზანდუკებსა თუ ტანსაცმლის კარადებს ეცნენ, გადაიცვეს საგანგებო შემთხვევებისათვის გადანახული საგარეო ტანისამოსი და თუკი წელან თომა გადარიეს სოფლის მოედანზე, ამჯერად ტყეში ნათრევსა და ველურ ულაყებს დადარებულ თავიანთ ქმრებს აურიეს გზა-კვალი და გონი — შესცქეროდნენ კაცები ცოლებს, დავიწყებოდათ სხვა დანარჩენი ყველაფერი, ჰოდა, შვება-განცხრომას მიეცა იმ ღამით გატყიურებულ-გაველურებული სოფელი... მეორე დღეს კი უთენიაზევე დაიწყეს დიაცებმა კერვა და კემსვა ჩამოკონკილ-ჩამოძონძილი კაბებისა თუ შარვლებისა. კერავდნენ იმის მეორე დღესაც და მესამე დღესაც, მთელ თვეს ეყოთ ეგ მომქანცველი საქმიანობა, ამოულამდათ თვალები, დაეჩხვლიტათ თითები, თან საჭმლის დამზადებაც როდი ეიოლებოდათ, თავად ხომ მოსვლოდათ და მოსვლოდათ მადა, მამაკაცებს ველარ აუდიოდნენ ვერაფრით, ნაშიმშილარი მგლები გეგონებოდა იმათი ქმრები, თუმც ერთი უნდა ითქვას: მიზეზი და საბაბი, ყოველივე ამ დავიდარაბა-უბედურებისა, აპოლო, ერთხელაც არ უხსენებიათ უდიერი სიტყვით, პირიქით, უფრო შეუყვარდათ, ლოცვა-კურთხევის გარეშე კაციშვილი არ ახსენებდა იმის სახელს.

საოცარი ის იყო კიდევ, სოფელი რომ ჩამოკონკილიყო ერთიანად, რუკებს არაფერი დასტყობოდა და როგორც კი მოშინაურება დაიწყეს იქაურმა ქალებმა და კაცებმა, უმალ გამოსაჩენ ადგილზე გამოჰკიდეს აპოლოსეული რუკები — პოლიტიკურიცა და ფიზიკურიც... მერე და მერე კალაპოტს დაუბრუნდა თავისას ყველაფერი სოფლად, ოღონდაც ეგ კია, იმგვარად იყვნენ დაკერილ-დაკემსილნი, სამოსზე მოგახსენებთ, უცხოს რომ ამოეყო თავი ვინმეს იმათ შორის, ვერა და ვერ დაარწმუნებდი მეოცე საუკუნე თუ იყო იქაც, მთაში მიკარგულ იმ კოპწია სოფელში; არ იფიქროთ, ღარიბ-ღატაკნი იყვნენ თითქოს იმ სოფლის ბინადარნი, არა, ბატონო, როგორ გეკადრებათ, ტანისამოსი ჰქონდათ და კარგა ბლომადაც, არც ძუნწები ყოფილან, ქართული სოფელი იყო ისიც და სიძუნწე აბა იქ როგორ დაისადგურებდა, არც ყაირათიანობა-მომჭირნეობა სჩვეოდათ, ამ მხრივაც ნაღდი ქართველები გახლდნენ, მაგრამ დაკერებული ხამოსით დაიარე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოდნენ მაინც, გამონაკლისი არც ერთი იმათგანი არ ყოფილა და რაკი ყველა ასე იქცეოდა, შეეგუენ კიდეც ასეთ ყოფას, შესაძლოა, შესაძლო კი არა, ამგვარადაა უდავოდ. ის ნეტარი დრო ახსენდებოდათ წარამარა, ძველმანებში რომ ხედავდნენ ერთმანეთს, როცა ტუე-ტუე დადიოდნენ ხოლმე აპოლოსეული რუკებით ხელში...

ჰო, ჩვეულებრივ მდინარებას მინებდა სოფელი ცხოვრებისას, გაველურების შემდგომ, ოღონდაც რუქები ალამაზებდა და ამშვენიერებდა იმათ ყოფას: დილით, ვიდრე საქმეზე წავიდოდა ოჯახის უფროსი, ცოლს მიიხმობდა, იცოდა დედაკაცმა, რაც უნდა ეთქვა, მაგრამ მაინც სიამოვნებით მიუახლოვდებოდა ქმარს, ის კი რუკასთან მიიყვანდა. აიღებდა საჩვენებელ ჯოხს და ეტყოდა: „აგერ ვიქნები მე პლანტაციაში შუადღემდე, — შემოხაზავდა რუკაზე იმ ადგილს. — მერე ალბათ პაწე იქეთ გადავალ, კოლექტივის ყანაში მაქვს საქმე, — კოლექტივის ყანასაც შემოავლებდა ჯოხით ხაზს რუკაზე. — ხომ მიხვდი..." და ცოლი გამოართმევდა მერე ჯოხს: „აგერ და აგერ ხომ?.." შემოხაზავდა იმ ადგილებს..." „კი," — მიუგებდა ქმარი და წავიდოდა კმაყოფილი... მერე კი თუ ვინმე მოაკითხავდა დიასახლისს და ოჯახის უფროსის ასავალ-დასავალს იკითხავდა, სიტყვიერ ახსნა-განმარტებას როდი სჯერდებოდა, გაეგებოდა ქალს, რასაც იკითხავდა და ნასიამოვნები გახლდათ წინასწარვე და სტუმარიც არ დააყოვნებდა: „მაჩვენე ერთი რუკაზე, სადაა მაი ადგილი, თვარა საქმე მაქვს გადაუდებელი შენ კაცთან და ვერ მივაგნო ეგებ..." და რუკაზე როცა იხილავდა, სადაც უნდა ყოფილიყო ოჯახის უფროსი, წავიდოდა კმაყოფილ-დაჯერებულის ნაბიჯით: „მივაგნებ ალბათ, სადაც იქნება..." მართლაც მაგარ გასავალში იყო აპოლოსეული რუკები: დიაცები ერთმანეთს რომ გადააკითხავდნენ, მას შემდგომ, როცა საქმეს მოიმთავრებდნენ და საჭორაოდ მოიცლიდნენ, რუკებთან იდგენ ხოლმე და იქ ესაუბრებოდნენ ერთიმეორეს, შესაძლო იყო ყოველ წუთს დასჭირვებოდათ რუკა — „აგერ ყოფილან ნანულიე და ბონდოიე გუშხამ ტყეში, მოდის თურმე ამ პლანტაციიდან ჩემი გადარეული ქმარი და ქი არ მოუკრავს თვალი? კისერზე ჩამოკონწიალებოდა მაი თხაი ბიჭს, წახდა ახლანდელი ახალგაზრდობა და მაგია..." და რუკაზე დაცურავდა საჩვენებელი ჯოხი. მერე და მერე სოფელმა სხვა რუკებიც შეიძინა, ყიდულობდნენ ყოველგვარს, ოღონდ კი მოეხელთებიათ სადმე და კედლებზე აკრავდნენ, აეჭრელებიათ ოთახები, მაგრამ ყველაზე გამოსაჩენ ადგილას სოფლის რუკები იყო გამოკრული — ფიზიკურიც და პოლიტიკურიც: ეპიდემიასავით მოსდებოდა იქაურობას რუკომანია — ყველა ქვეყანა თუ ქალაქი შეეძლო ეჩვენებიათ რუკაზე ქალებსაც და მამაკაცებსაც, ნინუცა იყო მხოლოდ რუკებისა რომ ვერაფერი გაეგო და გათენდებოდა ალბათ ერთი დღეც, მტრად გადაეკიდებოდა ქალს აპოლოცა და სამეზობლოც, რუკების უცოდინრობისათვის...

აპოლო კი უბედნიერეს კაცთაგანი იყო იმხანად, დაფასებული და პოპულარული პიროვნება, თვალში რომ ჩავარდნოდა სოფელს, შეწუხდებოდა გგონია? თითსაც არ ამოისვამდა. სიმართლე თუ გნებავთ, თავდაპირველად შიშობდა კიდეც აპოლო, სხვამაც არ შეადგინოს რუკაო, მაგრამ მიუხედავად რუკების დიდებული ცოდნისა, არც ერთ ადამიანს არ აღმოაჩნდა სოფელში ნიჭი თუ უნარი კარტოგრაფისა, ერთი შეხედვით არც ცდილან თითქოს, მაგრამ აპოლოს რას გამოაპარებდი, უწყოდა დიდებულად, სურვილის ჭია შესჩენოდა და ღრღნიდა ყოველ მოსახლეს, თუმცა რას იზამდნენ, უსუსურნი იყვნენ. მარტოოდენ რუკების ცოდნა და გეოგრაფიის სიყვარული უნდა ეკმარათ, ეგ კი არა და, დარწმუნებული ბრძანდებოდა აპოლო, თომასაც სურს რუკის შედგენა, მარა ვინ მისცა მაგის უნარიო. სოფელი ისე შეჰგუებოდა და შესისხლხორცებოდა აპოლოსეულ რუკებს, ერთ დღესაც რომ მომხდარიყო უბედურება და ის რუკები გამქრალიყო, გზასაც ვერ გაიგნებდნენ ალბათ, მეზობელი მეზობლის სახლს ვერ მიაგნებდა და გულწრფელად ებრალებოდათ გლეხებს თომა, მტრად კი მიაჩნდა ყოველ ოჯახს, მაგრამ გულკეთილნი გახლდნენ იმ ხოფლის მცხოვრებნი, შემბრალე გულისანი, ხიკეთითა და სათნოებით სავსენი და ეცოდებოდათ თომა, ურუკებოდ რომ დაყანყალობდა ამ ცოდვით სავსე დედამიწაზე, დარწმუნებული იყვნენ, ერთი დღეც იქნება და, გზა აერევა ტყეშიო, ა, ნახე მასთე თუ არ იქნესო, — ეუბნებოდნენ ერთიმეორეს, — ტუე-ტუე ხიარული კი, იცოცხლე, უყვარს მაგ უკულმართსა და ურწმუნოს და დეიკარგება, ერთიც იქნება, მისი გამზრდელივითო...

დასასრული იქნება

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# წერილები

ვლადიმერ ალფენიძე

## ტრადიციული ნოვატორი

### შტრიხები შოთა ნიშნიანიძის პორტრეტისათვის

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში, ამ ერთობ რთულ და მრავალფეროვან, მრავალსახოვან და მრავალწახნაგოვან ფენომენში, ორგანულად არის ჩართული შოთა ნიშნიანიძის ლექსი და პოემა.

საქართველოში მიწყივ-დაბადებით იმდენი წვიმა არ მოსულა, რამდენი ლექსიც დაიწერა, მაგრამ მაინც თითზე ჩამოსათვლელია ლექსის ღვთით კურთხეული ოსტატების სახელები.

შოთა ნიშნიანიძეს საქვეყნოდ აღიარებული, საანთოლოგიო ლექსების: „ციხე-ტაძრების საგალობელი“, „ხევსური“ და „მკვიდრნო მარადისობის“ გარდა რომ არაფერი დაეწერა, მას მაინც ქართული ლექსის ნიჭიერი და ორიგინალური ოსტატის სახელი დარჩებოდა.

მხოლოდ იმ პოეტს, რომელსაც აუთვისებია როგორც ეროვნული, ასევე მისი თანამედროვე მსოფლიო პოეზიის მიღწევები, ძალუძს შექმნას ახალი ფენომენი საკუთარი ორიგინალური ლექსის თუ პოემის სახით. ეს ანბანური ჭეშმარიტებაა და იმავე დროს არაერთი პოეტის პრაქტიკული მოღვაწეობა ამ ჭეშმარიტების უგულებელყოფის ან ვერ შემეცნების ზღვარზე დგას.

მშობელი ერის პოეტური მემკვიდრეობა შოთა ნიშნიანიძის პოეზიის სუბსტანციაა. იქ იღებს სათავეს მისი ლექსი, რომელიც გარეგნულად, თითქოს საოცრად ტრადიციულია, მაგრამ შინაარსით უსათუოდ ნოვატორული.

როცა შ. ნიშნიანიძის პოეზიის ამ ორ მხარეზე ვლაპარაკობთ, ხაზი უნდა გავუსვათ ორ ტენდენციას: პირველი: ზოგჯერ მიაჩნიათ, რომ ეროვნული ლექსი უსათუოდ ტრადიციული უნდა იყოს. ტრადიციული ამ კონტექსტში ხშირად ესმით, როგორც უპირატესად არქაული (თითქოს ეროვნულის ფენომენი და ცნება განვითარებას არ განიცდიდეს). შოთა ნიშნიანიძის ლექსი ტრადიციულია, მაგრამ არა არქაული. მეორე: ზოგჯერ, როცა ნოვატორობაზე მსჯელობენ, მიაჩნიათ, რომ თითქოს ნოვატორობა გამორიცხავდეს ტრადიციულის ცნებას, თითქოს ნოვატორობა შიშველ ნიადაგზე უნდა წარმოიშვას. ეროვნულ ნიადაგს მოკლებული ნოვატორობა, მინიმუმ, ფორმის კოსმოპოლიტურ ეროზიას იწვევს, ხოლო თუ ფორმა კოსმოპოლიტურია, ირღვევა ხელოვნების ერთ-ერთი უმთავრესი კანონი — ეროვნული ფორმისა და შინაარსის ერთიანობის კანონი და თვალსა და ხელს შუა ქრება ეროვნული ფენომენი (თუ თვით ხელოვნება არა!).

შოთა ნიშნიანიძის პოეზია ნოვატორულია, მაგრამ მისი ნოვატორობა აღმოცენებულია ეროვნული პოეზიის ტრადიციის მყარ ნიადაგზე. ის, რაც ჭეშმარიტად ტრადიციულია დღეს, ოდესღაც ჭეშმარიტად ნოვატორული იყო! დროის სვლა, განვითარება აქცევს გუშინდელ ნოვატორობას დღევანდელ ტრადიციად, დღევანდელ ნოვატორობას ხვალინდელ ტრადიციად. ასეთია დროში ლექსის განვითარების დიალექტიკის ერთ-ერთი წახნაგი. იმავე დროს ტრადიციული და არქაული, რა თქმა უნდა, ერთმანეთს არ უდრის.

წარსულიდან ცეცხლი უნდა მოგვქონდეს და არა ფერფლი. ეს შოთა ნიშნიანიძემ შესანიშნავად იცის. აკი თვითონვე ამბობს:

საქმე ის არის, რომ წარსულიდან  
ზოგს ცეცხლი მოაქვს, ზოგს — ნაცარტუტა.

შ. ნიშნიანიძეს ცეცხლი მოაქვს, ეს უდავოა.

თანამედროვე ლიტერატურულ პროცესში ნოვატორობის გაგების ძირითადად ორგვარი ტენდენცია ხდება საცნაური. პირველი: როცა ნოვატორობად მიიჩნევენ გარკვეულ სიახლეებს ეროვნული, ტრადიციული ლექსის განვითარების

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფარგლებში, მისი თანდათანობითი, ევოლუციური განვითარების გზით. მეორე: როცა ნოვატორულად მხოლოდ ექსპერიმენტულ ლექსს მიიჩნევენ და ექსპერიმენტს ლექსის ნახლომისებურ, რევოლუციური განვითარებად სახავენ.

ამ ტენდენციებს თავისი ნიუანსები გააჩნია.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია ვფიქრობთ, განეკუთვნება პირველ ტენდენციას.

მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს, რომ პირველი ტენდენციის მიმდევარი პოეტისათვის მიულებელი უნდა იყოს მეორე ტენდენცია?! ნუთუ ეს ორი ტენდენცია ჯვაროსნულ ლაშქრობას უნდა უმზადებდეს ერთმანეთს?!

პოეზიის განვითარება წარმოუდგენელია ამ ორი ტენდენციის გარეშე. მათი არსებობა და თანაარსებობა პარადოქსი კი არა, სავსებით ნორმალური მოვლენაა, ლექსის ნორმალური განვითარების სასიცოცხლო წინაპირობაა. ტრადიცია გუშინდელი დღის ცეცხლია, რომელიც დღესაც ანათებს. ღირებული ექსპერიმენტი — ხვალინდელი დღის შუქია დღევანდელობაში შემოჭრილი. ცეცხლი — ცეცხლია, გინდ წარსულიდან მოდიოდეს, გინდა მომავლიდან. არც ერთი არ უნდა ჩავაქროთ ძალით.

პოეზიის ცეცხლიც კანონზომიერად ინთება და კანონზომიერად ქრება. აქ ძალდატანება არ იქნება. ძალდატანება ან მკვლელობაა ან თვითმკვლელობა. ჩვენ არც ერთი არ გვაძლევს ხელს.

იმავე დროს აქ ორ მომენტს კვლავ უნდა გავუსვათ ხაზი. პირველი ფსევდოტრადიციულობა გახლავთ და მეორე ფსევდონოვატორობა. ტრადიციულ, ევოლუციურად განვითარებად ლექსს ათასი ფსევდოტრადიციული პოეტია მიტმასნებული და ექსპერიმენტულ ლექსს კიდევ უთვალავი ფსევდონოვატორი. რომელი საწყაოთი ავწყათ ეს ლექსები? რა კრიტერიუმები უნდა მოვიმარჯვოთ? როგორ გავარჩიოთ შავი და თეთრი?!

ჭეშმარიტი პოეზია და დრო, კრიტიკის მეცნიერული დონე და მკითხველის პროფესიონალიზმი — აი რა არის როგორც ტრადიციული, ასევე ექსპერიმენტული ლექსის ლაკმუსის ქაღალდი, მათი სასინჯი ქვა. ეს საქრესტომათიო ჭეშმარიტებაა და მაინც რამდენი ცდილობს დღევანდელობა გუშინდელი დღის პოზიციებიდან შეაფასოს და იმავე დროს დღე გუშინდელი ხვალინდელ დღედ დაგვისახოს.

შოთა ნიშნიანიძის ლექსი დიამეტრიულად ეწინააღმდეგება როგორც ფსევდონოვატორულ, ასევე ფსევდოტრადიციულ ლექსებს. ის ტრადიციის ნიადაგზე აღმოცენებული ნოვატორია, ტრადიციული ნოვატორი.

იმავე დროს, არ შეიძლება არ მივესალმოთ გაბედულ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ჯერარნახულ „არატრადიციულ ნოვატორობასაც“ თანამედროვე ქართულ პოეზიაში. ჩვენდა სასიხარულოდ, არა ერთი და ორი მაგალითი გვაქვს ამის საილუსტრაციოდ (თუნდაც ტარიელ ჭანტურიას, ლია სტურუას ექსპერიმენტული, ნოვატორული ლექსები რად ღირს?! მაგრამ ამაზე სხვა დროს..).

შეიძლება ყურს ჭრის ცნებები: „ტრადიციული ნოვატორი“ და „არატრადიციული ნოვატორი“. ნოვატორობა თითქოს ტრადიციულობას გამორიცხავს; ჯერ ერთი, როგორც დიალექტიკოსები იტყვიან, ასეა და იმავე დროს არც არის ასე. და, მეორეც, ეს ცნებები მეტად პირობითია. ისინი მხოლოდ იმას მიგვანიშნებენ, რომ თავად ნოვატორი ერთგანზომილებიანი ფენომენი არ არის. თვით ნოვატორი პოეტთა შორის არის არსებითი განსხვავება მათი ნოვატორობის თვისებრიობის თვალსაზრისით. მხოლოდ ამ ტენდენციებზე მიგვითითებს ეს ორი პირობითი ტერმინი.

ვფიქრობთ, კიდევ ორიოდე ტენდენციას უნდა შევეხოთ, რომელიც გაცხადდა დღევანდელ ლიტერატურულ პროცესში, თანამედროვე პოეზიაში. ერთის მხრივ, დღევანდელი ლექსის ერთი ნაკადი დესტროფიზაციას და ე. წ. დემეტაფორიზაციას განიცდის. ეს პროცესი არ შეეხებია შოთა ნიშნიანიძის პოეზიას. პირიქით, ტროპულობა მისი ლექსის ერთ-ერთი უძლიერესი მხარეთაგანია. თანამედროვე ლექსის სხვა ნაკადი ხასიათდება ერთგვარი დერითმიზაციითა და დერიტმიზაციით, რითმისა და რიტმის უკუგდებით. ამ პროცესთან ერთგვარად არის წილნაყარი შ. ნიშნიანიძის ვერლიბრი, თუმცა ეს არ არის შ. ნიშნიანიძის პოეზიის უძლიერესი მხარე.

შოთა ნიშნიანიძის საუკეთესო ლექსები „ციხე-ტაძართა საგალობელი“, „მკვიდრნო მარადისობის“, „ნილბები“, „კომუნისტები“, „მამელუკები“, „ამორძალები“, „ხარი“, „ხევსური“ „მეომარი მამალი“ „მიქელანჯელოს „მოსე“, „კოლხური მელოდიები“, „რიკოშეტის ფილოსოფია“, მსახიობი“, ისევე როგორც, ვთქვათ, ა კალანდაძის, მ. ლებანიძის, მ. მაჭავრიანის, ჯ. ჩარკვიანის, გ. გეგეჭკორის და სხვა პოეტების ნაწარმოებები, ამტკიცებენ რომ ტრადიციულმა ლექსმა როდი ამოწურა თავისი მაღალი იდეური და მხატვრული შესაძლებლობანი. ეს ერთის მხრივ. მეორე მხრივ საუკეთესო ექსპერიმენტული, ნოვატორული, მოდერნისტული ლექსები ცხადყოფენ რომ დადგა ლექსის განახლების ჟამი...

დღეს ამ ორ მაგისტრალს მიჰყავს წინ ქართული ლექსი. ისინი ისევე წარმოუდგენელია ურთმანეთოდ, როგორც ლიანდაგი ორი რელსის გარეშე.

შ. ნიშნიანიძის პოეზიის ფესვები ღრმად მიდის საუკუნეთა წიაღ და წიაღ. ის არაერთ შენაკადს ირთავს, სანამ პოეზიის ნიშნიანიძისეულ ლაღ მდინარედ იქცევა.

მის პოეტურ აზროვნებაში ფოლკლორს დიდი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ადგილი უჭირავს. ქართული ფოლკლორი, ამირანის ეპოსი, ქართული ზღაპრის სამყარო, ხალხური ზეპირსიტყვიერება ანიჭებს სიცოცხლეს მის ლექსს, ოღონდ მარადიული სახეები ფოლკლორისა: ამირანი, უსუპი, ჟამარი, დევები, წიქარა და ა. შ., თითქმის მუდამ ახალი პოეტური ფორმით, ახალი ფილოსოფიური შინაარსითაა აღსავსე მის ლექსებში. ფოლკლორული სახეების მოხმობა თვითმიზანი როდია. არა, პოეტი, ამ უძველეს ჭურჭელში, ახალ ღვინოს ასხამს.

მე ვარ მიწანი ხარი წიქარა,
შენი ღვრიტა ვარ მამულ-დედულო.
ზღაპრიდან მისთვის გამოვიპარე,
რომ გემსახურო და გიერთგულო.
შენი უღელი მემჩატოს აგრემც,
ქედზე რომ მადგას განაჩენივით,
არ მომიღერო გეთაყვა სახრე,
სიყვარულისთვის ვარ გაჩენილი.

„მინდა, ყოველგვარი თეორია და მისტიკა ისე მესმოდეს, როგორც ხალხური ლექსი“, — ამბობს პოეტი. და ის ილწვის საამისოდ. ამის დასტურია მისი ერთტომეული.

ფოლკლორში არა ერთი პოეტის შემოქმედებას უდევს ფესვი და ფუძე, მაგრამ მათი პოეზიის მდინარეები სხვადასხვაგვარად მოედინებიან, ისევე არ გვანან ერთმანეთს, როგორც ერთი მთიდან, ერთი კავკასიიდან მომდინარე სხვადასხვა მდინარეები, თერგი ან რიონი. ყველას თავისი კალაპოტი აქვს, ყველა თავისებურად მოიკვლევს გზას.

ასევე სულ სხვადასხვაა შოთა ნიშნიანიძისეული და ვთქვათ, ლია სტურუასეული დამოკიდებულება ფოლკლორისადმი. პირველი ტრადიციულია, მეორე — მოდერნისტული, მაგრამ ორივე ღირებულია ქართული პოეზიისათვის, ერთის არსებობა მეორეს არ გამორიცხავს. ორივე გზა ქართული პოეზიის მონაპოვარია. მდინარეები იბადებიან და ქრებიან, მაგრამ მარადიულია დინება. ტენდენციები ჩნდებიან და ქრებიან, მაგრამ მარადიულია პოეტური აზრის მდინარება.

დროა კრიტიკაც, მწერლობაც და მკითხველიც განუდგეს აბსოლუტური „ერთის“ კულტს. პლურალიზმის დროა, პლურალიზმის საუკუნე დადგა. სხვა რიცხვთა აღზევების ჟამია. „ერთი“ დესპოტიის სიმბოლოა, „მრავალი“ — დემოკრატიზმისა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის მაცოცხლებელი ნერვია ქართული კლასიკური ლექსი, ქართული პოეზია, ქართული მხატვრული სიტყვა, მთელი თავისი მრავალფეროვნებით. ეს იგრძნობა პოეტის ყველა ნაწარმოებში, მისი ლექსისა და პოემის პოეტიკაში, სტილისტიკაში, პოეტურ სინტაქსში, მხატვრულ სახეთა სისტემაში და ა. შ.

ეს რაც შეეხება მისი ლექსის ორ საკუთრივ ქართულ ფენომენს, ორ საკუთრივ ქართულ სათავესა და ფუძეს — ქართულ ფოლკლორს და ქართულ ლექსს. მაგრამ შ. ნიშნიანიძის ლექსის ინფრასტრუქტურა უფრო ფართოა. ის ირთავს მრავალ სხვა შენაკადს.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ერთადერთი მაცოცხლებელი წყაროა მსოფლიო მითოსური საწყისი. ამ ნაკადს სათავე უდევს ბერძნულ (არგონავტიკა, მედეა, ოქროს საწმისი და ა. შ.) რომაულ და მსოფლიოს სხვა ხალხთა მითოსში...

შ. ნიშნიანიძის პოეზიაში მითოლოგებს, მითოლოგიურ გმირებსა და სახეებს ახალი ფუნქცია აკისრიათ.

პოეტი არა მარტო მსოფლიო მითოსური აქსესუარის უშუალო გამოყენების, არამედ ზოგჯერ მსოფლიო მითის გაქართულების ეფექტსაც აღწევს.

დიონისე — ღვინის ღმერთი (ვინც გვეხატა
მარანზე),
კოლხიდაში იზრდებოდა — ღმერთების
აგარაკზე.
ბავშვობაში აქ დარბოდა ცხენისწყალთან,
რიონთან,
მაშინ, როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაია ჰქვიოდა.

ბაახუ,
ბაახუ,
ბახულია! — გასძახოდა გამდელი
და ღვთაებრივ ნაფეხურებს ასდიოდა ნათელი.

ვინ იცის, იქნებ ამ პოეტურ მიგნებაში (ბახუსი — ბახულია) მეცნიერული აღმოჩენაცაა ჩაქსოვილი!

„მკვიდრნო მარადისობის“ დიონისე — ბახუსის მითოსური მოტივების პოეტური, ორიგინალური გააზრებაც არის და მითის თხზვის თანამედროვე მაგალითიც. (იგივე პროცესი გვაქვს პროზაში: ო. ჭილაძე, ჭ. ამირეჯიბი, თ. ბიბილური და სხვა). ეს ლექსი მითოსისადმი, როგორც პოეტურ-აქსიოლოგიური ღირებულებისადმი, პოეტის ნოვატორული, ორიგინალური დამოკიდებულების ერთ-ერთი ნიმუშია.

ეს იმ დროს იყო, გვამცნობს პოეტი, როცა ჩვენს ქუთაისს ქუთაი ჰქვიოდაო. ნუ გამოვეკიდებით იმას, რომ „ქუთაია“ (შუმერული ფესვის სიტყვა) უფრო ადრინდელია, ვიდრე ბახუსი (ელინური მითი) და მით უმეტეს, ვიდრე დიონისე (რომაული მითოლოგია), ნურც იმას, რომ „ჰქვიოდა“ დიალექტიზმია. პოეტი ერთნაირად მიეძალა მითსაც და ლიტერატურულ ნორმასაც, მაგრამ ეს არ არის მთავარი, მთავარი ის არის, რომ ამ ლექსში თითქოს მითი რეალობად გარდაისახა, მითოლოგიური დრო,

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რეალურ დროდ იქცა. თითქოს პარადოქსია, მაგრამ ფაქტია, ერთგვარი მითოლოგიური და ქრონოლოგიური ეკლექტიზმი ხელს უწყობს მთლიანი, ლოგიკური პოეტური სურათის ჩამოხხმას. ეს პოეტის მიღწევაა.

ამიტომ არის პოეზია სიტყვის ალქიმია.

ნურც იმას გამოვეკიდებით, თუ რატომაა უძველესი იბერია — „ბიბლიის დედანი“. მთავარი ის არის, რომ დიდებული პოეტური თქმაა.

პოეტმა მითისაგან სხვა მითი შექმნა. მითია მისი შთაგონება და თვითონ მითისაგან რეალობას ქმნის. რეალობა გამითდა, მითი გარეალდა, ლექსი გასრულდა.

პოეტის შემოქმედების ერთ-ერთ შენაკადს სათავე ანტიკურ პოეზიაში უდევს. და ეს შენაკადი შემოქმედებით იმპულსს აძლევს შოთა ნიშნიანიძის არა მარტო ლირიკულ ლექსებს, არამედ პოემებსაც. გავიხსენოთ თუნდაც პოემა „აქილევსის ფარი და ქუსლი“.

სხვა შენაკადი მოძმე ხალხთა ლიტერატურისა და სიტყვიერების ორიგინალური გამოძახილია, ძირითადად რუსული და უკრაინული ლიტერატურისა.

გავიხსენოთ თუნდაც რუსული ბილინები, ტარას ბულბას სახე და ა. შ. სწორად შენიშნა ევგ. ევტუშენკომ, რომ შ. ნიშნიანიძის პოეზია «грузинская по лексической структуре, с уникальной естественностью впитывает чисто славянские образы. От подвига арагвинцев он переходит к сочному фламандскому изображению Гуляй-поля времен батьки Махно».

შოთა ნიშნიანიძის პოეზიის ერთ-ერთი მაცოცხლებელი ფენომენია მსოფლიოს ხალხთა კლასიკური მხატვრული ნააზრევის შთამაგონებელი ძალა. გავიხსენოთ თუნდაც კამიუ, რილკე, პრუსტი, ვიიონი...

ამ და ამ დონის მხატვრულ ფენომენთა ათვისება და ეროვნულ ნიადაგზე გააზრება დამოკიდებულია, ერთის მხრივ, პოეზიის ეროვნული კულტურის საერთო დონეზე, რომლიდანაც ამოიზარდა პოეტი, და მეორე მხრივ, თვით პოეტის ინდივიდუალურ მონაცემებზე, მის ნიჭზე, მის ინტელექტუალურ პოტენციალზე, მის მსოფლშეგრძნებაზე, მის ესთეტიკურ კულტურაზე.

ამ სიძნელეებს თავს ღირსეულად ართმევს პოეტი.

საოცარია, მაგრამ ეს ყველაფერი გადამდნარია ერთ პოეტურ დუღაბად, ერთ შენადნობად...

ბუდა, მაჰმადი, ქრისტე, თენგრიანობა...

განსაკუთრებული ხასიათისაა შოთა ნიშნიანიძის ლექსის ისტორიზმი.

— „ჩვენთვის, ჩეხებისთვის ისტორია იგივეა, რაც გერმანელებისათვის ფილოსოფია, — მითხრა ერთხელ გრ. აბაშიძის სახლში ჩეხოსლოვაკიის მწერალთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ იან კოზაკმა. ამ მაქსიმაში დიდი აზრია ჩაქსოვილი.

ქართველთა ცნობიერების ჩამოყალიბებაში დიდ როლს ასრულებდა ეროვნული და მსოფლიო ფილოსოფია, მაგრამ ჩვენი ისტორია მაინც სხვა იყო და სხვა არის. მას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს ქართველობის კონცეფციის ჩამოყალიბებაში. ჩვენს მეობასა და თვითდამკვიდრებაში დიდია ისტორიის შთამაგონებელი ძალა.

ქართულ რეალიებში ისტორიის როლიდან მომდინარეობს შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში ისტორიზმის უჩვეულო ძალა.

წარსული, ისტორია ადაპტირებულია თანამედროვეობასთან და მომავლისკენაა შებრუნებული თავისი საუკეთესო სახით. (ასსახოვანია წარსული).

სწორი იყო ევგ. ევტუშენკო, როცა რუსულ პოეზიას რუსეთის ჭეშმარიტი ისტორია უწოდა. ქართული პოეზია იგივე საქართველოს ისტორიაცაა. კარლეილმა სწორად შენიშნა, რომ ისტორია იგივე პოეზიაა, ოღონდ გადმოცემა უნდა შეგეძლოს. შოთა ნიშნიანიძეს ძალუძს ეს. ამის დასტურია მისი ლექსები.

შ. ნიშნიანიძის პოეზიაში, როგორც თვითონ პოეტი ამბობს:

არეულია დღევანდელობასთან
ლეგენდები და პრეისტორია.

პოეტის ეროვნულობა პატრიოტიზმს ისევე გულისხმობს, როგორც გათენება სინათლეს. (თუმცა ჯოისმა ერთხელ ისიც თქვა: „მე რაღად მოვკვდე ირლანდიისათვის, დაე, ირალნდია მოკვდეს ჩემთვის“ ეს თქვა და მაინც ირლანდიის დიდებად და კერპად ითვლება, მაგრამ ეს სხვა თემაა!).

შოთა ნიშნიანიძე ჭეშმარიტი პატრიოტი პოეტია.

დიდებული პატრიოტული ლექსია „შენ თავზე გადგას ბედი კეთილი“:

რისი სიმცირე, შენ ხარ ტიტანი
შენი ნიჭით და განძით მაცდური,
ღმერთი და ეშმა გვერდში მიდგანან
და რაღად მინდა სხვისი დასტური
მიდი, იარე ზვიადად, ყინჩად,
სიმცირე რაა... ნუმც გიჯავრია,
თუ არა ჩანხარ — არაფერს ნიშნავს,
თვითონ ღმერთიც ხომ უჩინარია.

ასოციაციურად თვალწინ იელვებს სიმონ ჩიქოვანის კლასიკური ლექსი „ვინა თქვა თითქოს პატარა იყოს ჩემი სამშობლო, დიდების ღირსი“. ყურადღებას იპყრობს ამ ერთი თემის ორი პოეტის სხვადასხვაგვარი ორიგინალური გადაწყვეტა სხვადასხვა თაობის ორი პოეტის მიერ.

შოთა ნიშნიანიძის ლექსი არის ნაბიჯი წინ ამ მარადიული თემის მხატვრულ დამუშავებაში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ძარღვი საოცრად ძალუმად ფეთქავს ლექსში „გოგებაშვილის „დედა ენა“. აი როგორ აღწევს ქართული ენის ღვთაებრივების ეფექტს პოეტი:

მე კი მგონია ფრესკებზე ყრმა რომ ზის
დედის კალთაში,
თუ „დედა ენას“ მივუტანთ, დიდივით
კრძალვით გადაშლის,
თითს გააყოლებს ასოებს: ვაზის ლერწს,
ნამგალს, ნიამორს,
ენას ქართულად აიდგამს და იტყვის: აი, იაო.

ბრწყინვალე მიგნებაა!

ქართული თემის ინტერპრეტაციაში შოთა ნიშნიანიძე უნივერსალური მოვლენაა. მისი პოეტური პალიტრა ყველა ქართული ფერითაა გაფერადებული. ეს რაღაცით აკაკისეულ, სრულიად ქართულ მრავალფეროვნებას გვაგონებს. ამერ-იმერის ერთნაირად წვდომის ბედნიერი ნიჭითაა მადლცხებული შ. ნიშნიანიძის პოეზია.

შემთხვევითი არ არის ეს სტრიქონები:

აჰა ყინჩად აზიდული
ცეცხლის შთამომავალი
ჩემი ლექსი კოლხ-იბერთა მოჩხუბარი
მამალი.

მამალი მზის ფრინველია. ის მზის მოახლოებას გრძნობს და ამიტომ ყივის. (ამ ლექსმა ჩემში ერთი ინგლისური შთაბეჭდილება გააცოცხლა: მამლების ჩხუბის ფსიქოლოგიურ, სოციოლოგიურ და ფილოსოფიურ ასპექტებს სწავლობდა ერთი კემბრიჯელი პროფესორი).

ლექსს „კოლხური მელოდიები“, რომელიც ოთარ თაქთაქიშვილს ეძღვნება, ქართული პოლიფონიზმის დაღი აზის: „ჩაგუნა“, „ვოუ ნანა“, „ოჩიკოჩი“, „მაფშალია“, „სისა ტურა“ — საოცარ კოლორიტს ქმნიან ამ დიდებულ ლექსში...

„სისა“ ხეთური სიტყვაა და „ტურას“ ნიშნავს...

„ენგურიც“ ხეთური სიტყვა გამოდგა და „ინგირიც“. ორივე ხეთური ღვთაებების სახელებია. ხეთებმა კიდევ ეტყობა, ბაბილონიდან და შუმერ-აქადიდან მოიტანეს ეს სიტყვები...

შოთა ნიშნიანიძე იმ ბედნიერ პოეტთაგანია, ვისაც ერთნაირად ესმის საქართველოს აღმოსავლეთისა და დასავლეთისა, ის ერის ორივე საუნჯეთა მფლობელია.

ბოროტისა და კეთილის, სიმართლისა და სიცრუის ჭიდილი, ამ ფილოსოფიურ-პოეტური ასპექტების ორიგინალურად შემეცნება და პოეტურად გადმოცემა შოთა ნიშნიანიძის შემოქმედების ერთ-ერთი ღირსშესანიშნავი მხარეა. შ. ნიშნიანიძე ღრმად მოაზროვნე პოეტია.

სიმართლის დიდ წიგნს, ბიბლიურ წიგნს,
როგორც ნათლობა,
რწმენა და მახვერპლი შეშვენის ყდებად,
ქვეყნად ყოველი უსამართლობა
მაინც სიმართლის სახელით ხდება! —
— ამბობს პოეტი.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია გამოირჩევა დახვეწილი პოეტური გემოვნებითა და მებრძოლი მოქალაქეობრივი, მორალურ-ეთიკური ძიების პათოსით, ფილოსოფიური მედიტაციით.

ილია ჭავჭავაძისეულ გრძნობებსა და ფიქრებს აღძრავს ბრწყინვალე ლექსი „რა უცნაური ერი ვართ“.

რა უცნაური ერი ვართ,
არ შეგვერხევა წარბი,
თუმც ერთმანეთში გვერევა
ჭეშმარიტი და ყალბი.
ჩემს ნაცვლად სასწავლებელში
შვილი მიიღეს ჩარჩის,
იმ ჩარჩის შვილის მაგიერ
მე გამაგზავნეს ჯარში.
რაინდი ხარ და სულგრძელი
ჩემო წმინდანო ერო.
აბა, ამდენი თავხედი
ვით გაიტანდა ლელოს.
სხვას უხდი ქუდს და მადლობას
და კერპად იხდი ბოლოს,
მე მის მაგიერ ვარსებობ
ის ჩემს მაგიერ ცხოვრობს.

შოთა ნიშნიანიძე დაუნდობლად ამხელს ცხოვრების ნეგატიურ მოვლენებს. მისი კრიტიკული აზრი ცეცხლისმფრქვეველია.

მეც შემხვედრია (არა ტყეში
ან შარაგზაზე) ქვეყნის ამკლები —
გრძელ მაგიდებთან, რბილ სავარძლებში
ჰალსტუხიანი ავაზაკები.
ის მაგიდები სარეცლებს გვანან
და კისრულობენ ცოდვას იმავეს,
ოღონდ მახვილის გარეშე, თანაც
ურჩებს ჭრიან და დამყოლთ — ჭიმავენ.

რამდენი სარკაზმი და რამდენი ტკივილია ამ მართალ სტრიქონებში!

ღრმაა და ნატიფი შ. ნიშნიანიძის ფილოსოფიური და პოლიტიკური ლირიკა.

ნახევრად ვინ რა აღმოაჩინა,
ან ნახევარი რაა დიდება...
სრული სიცრუე უფრო გვაშინებს
თუ ნახევარი ჭეშმარიტება?

ქვეყანას ბევრჯერ არ გაუმართლდა
და გამუდმებულ სიკვდილის ქიშით

---

ვლადიმერ ალფენიძე
ტრადიციული ნოვატორი

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუდამ ნახევრად გიჟი ღუპავდა
და არა თხემით ტერფამდე გიჟი...

შოთა ნიშნიანიძეს შეუძლია ერთი მხატვრული სახით შეძრას მკითხველი:

შიში, ღვთაებრივი წუხილი
იდგა დედაბრების ხმაში:
ქაშვეთი გაქურდეს წუხელის...
ღვთისმშობელს მოჰპარეს ბავშვი...

მტერზე კარიკატურული წარმოდგენის გავრცელება პრიმიტიული აზროვნების ნიშანია. ამ კარიკატურას, ამ პრიმიტივიზმს ებრძვის პოეტი და მიუკერძოებელ, საღ აზროვნებას მოითხოვს ლექსში „ქართველების გასაგონად", „ნათესავით ქართველთაგან" და ეს სწორია.

შოთა ნიშნიანიძის პოეზიას ახასიათებს ყოფითი დეტალების, ერთი შეხედვით, პროზაული ყოფის ჭეშმარიტ პოეზიამდე ამაღლება, მორალური იდეალის დაუცხრომელი ძიება, სწრაფვა თანამედროვე ადამიანის სულიერი კათარზისისაკენ, მისი არსების განწმენდისა და ამაღლებისაკენ. ასეთი ლექსებია „რიკოშეტის „ფილოსოფია", „მგლური კანონის ბალადა", „ბარიერთან", „თქვენი და ჩემი არ იყოს", „გემის ვირთხების სიმღერა", „ცირკში სიმართლეს ამბობს მასხარა" და სხვა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია განუყოფელია ამა თუ იმ ეტაპზე თანამედროვე ქართველის ღირებულებითი ორიენტაციისაგან. ის მუდამ ეხმიანება ძვრებს სოციალურ და ეროვნულ ფსიქოლოგიაში.

დიდი ძვრები ქართველი კაცის, ჩვენი თანამედროვის ცნობიერებაში უძლიერესი პოეტური პოტენციით გამოიკვეთა შოთა ნიშნიანიძის ორ შედევრში — „ციხე-ტაძრების საგალობელი" და „კომუნისტები".

60-იან წლებში ღირებულებითი ორიენტაციის ერთგვარი ცვლილების პერიოდში შემთხვევითი არ იყო „ციხე-ტაძრების საგალობლის" შექმნა.

ეს, ისევე როგორც, ვთქვათ, ჯანსუღ ჩარკვიანის პოემა „რწმენის კედელი", იყო ერთდროულად ნაწარმოები-ერის გულისთქმა და იმავე დროს გარკვეული პროტესტი სხვა, ერთგვარად გაუფასურებულ ღირებულებათა მიმართ. იმ პრიმიტიულ ღირებულებათა მიმართ, რომელთა თანახმადაც სწორედ ციხე-ტაძრები ცხადდებოდა გაუფასურებულ ღირებულებად. ეს ერთი. მეორე. 70-იან წლებში სხვა ძვრები მოხდა ქართველი კაცის ცნობიერებაში. სულ სხვა ემოციების ნაკადი შეიჭრა მის არსებაში. მოხდა ერთგვარი შემობრუნება, ღირებულებათა ხელახალი გადაფასება, თუ შეიძლება ასე ითქვას, პერსპექტივის რეტროსპექტიული გაჭვრეტა, მაგრამ არა ძველის მექანიკური გამეორების, არამედ განვითარების ახალი სიმაღლეებიდან ძველი ღირებულების ახლებურად გააზრების ნიადაგზე. ამ პერიოდში იშვა ლექსი „კომუნისტები". ეს ლექსიც მოვლენად იქცა, ისევე, როგორც „ციხე-ტაძრების საგალობელი", ოღონდ სხვა ეტაპზე და სხვა სიტუაციაში.

ამ ლექსში ნახევარშტრიხებით არის დახატული სახეები „პოეტური რეტროს" რეალისტური სტილით. ხშირად ქვეტექსტებში მეტია ნათქვამი, ვიდრე საკუთრივ ტექსტში. ეს ლექსი საოცრადაა შერწყმული არა მარტო ლიტერატურული პროცესის უახლეს ნაკადთან, არამედ თვით ისტორიის რეტროკონტექსტთან და თანამედროვეობასთან.

პოეტური ნახევართქმები, მინიშნებები, ე. წ. „ნონფინიტოს" მეთოდი, „სახე-აისბერგები", რომელიც ამ ლექსის ხიბლს ქმნის, ერთგვარად პოლიტიკურ აზროვნებაშიც აირეკლა.

საქართველოს კომპარტიის XXVI ყრილობაზე ამ ლექსის შესახებ სწორედ იმავე მეთოდით ითქვა, რა მეთოდითაც არის ლექსი შექმნილი, მინიშნებით და ქვეტექსტებით.

მძლავრად ჟღერს თანამედროვეობის თემა შოთა ნიშნიანიძის პოეზიაში. თვით ისტორიის პოეტური ფენომენი თანამედროვეობის სიბრტყეზეა განფენილი. მის ლექსში ისტორიის თვალი თანამედროვეობისაკენ იმზირება. მისი პოეტური აზროვნება ასოციაციურია და ხშირად წარსულისა და აწმყოს, ისტორიისა და თანამედროვეობის კონტრასტულ აღქმასა და პარადიგმულ გარდასახვაში ცნაურდება.

შოთა ნიშნიანიძის პოეტური ნიჭი ელვისებურად და, რაც მთავარია, მაღალმხატვრულ დონეზე ეხმიანება თანამედროვე პოლიტიკურ მოვლენებს.

მახსოვს, რამდენიმე წლის წინ, ერის საჭირბოროტო საკითხებზე ერთი მეტად მნიშვნელოვანი, დიდი პოლიტიკური მოხსენება გამოქვეყნდა, რომელიც თავდებოდა ამაღლებულად. იქ ლაპარაკი იყო რევოლუციის პრომეთეოსულ სულზე, იმაზე, რომ რევოლუცია იგივე ცეცხლის მოტაცებაა. პოლიტიკური მოხსენების ამ მხატვრულმა სახემ პოეტში სხვა პოეტური სახეები გააღვიძა, ემოციათა მთელი ფეიერვერკი შვა.

ახე იშვა ლექსი „სიტყვა თანამედროვეს". ეს ლექსი პოეტის სამოქალაქო ლირიკის საუკეთესო ნიმუშებს განეკუთვნება.

წინ!
იერიშზე გაიყოლიე,
რაც დაგიმშვენებს სინდისს.
დღევანდელობა და ისტორია,
სინამდვილე და მითი.

რახან ხალხს უნდა ლექსიც, მუსიკაც
და მსახური ხარ რახან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საწერ მაგიდას კი არ უზიხარ
ბარიკადებზე დგახარ.

ეს ლექსი შემდეგ მუსიკას შეერწყა და დიდებული სიმღერა დაიბადა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია დემოკრატიული ულერადობის პოეზიაა. ის ქართული ლექსის ხალხური ტრადიციების, მისი დემოკრატიული ფენომენის ანარეკლია.

შოთა ნიშნიანიძის ლექსი ბრუტუსზე ქართველი პოეტის დემოკრატიული აზროვნების ნიმუშია. ლექსის ობიექტური არსი ხშირად პოეტის ჩანაფიქრს სცილდება. ის, „რაც თქვა" პოეტმა და ის „რისი თქმაც უნდოდა", ზოგჯერ ერთმანეთს არ ემთხვევა.

დემოკრატიული აზროვნების თვალსაზრისით თანამედროვე ქართული პოეზია ამ ლექსზე შორს ჯერ არ წასულა.

წარსულში მზერა თანამედროვეობისა და მომავლისაკენ აგრერიგად რომ იყოს მიმართული, იშვიათია პოეზიაში. ავტორს შეუძლია თქვას: „მე ვიხედები წარსულში, რომ მომავალი უკეთ დავინახო!" მე ამას „პარადოქსული რეტროს" ეფექტს ვეძახი.

ამ ლექსთან კონტაქტში მახსენდება მისი „თემურ-ლენგი".

მე არ მოვმკვდარვარ ჩემი ერთხელ
გარდაცვალებით.
მე არ მოვკვდები...
მე სახელებს შევიცვლი მხოლოდ...

მახსენდება ეს ლექსი და ბრუტუსის მეორედ მოსვლის ჟამის განცდა უფრო კონკრეტული და ემოციური ხდება.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია არა მარტო ეროვნული, არამედ ინტერნაციონალური ფენომენიცაა. პოეტის ინტერნაციონალიზმი სცილდება ამ ცნების გამარტივებულ აღქმას.

ლექსი „სიმღერა უკრაინულ პილპილზე, ანუ ტარას ბულბაზე" საინტერესოა ხსვისი ეროვნული თემის საკუთარ პოეტურ და ეროვნულ თემად გადაქცევის თვალსაზრისით. თემა უკრაინულია, ლექსი კი ქართულია.

ამ ლექსში უკრაინული თემა ქართულდება, ის ჟღერს როგორც ქართული „მეს" მონოლოგი.

ეს ლექსი გურამიშვილისეული ცნობილი ტრადიციის გაგრძელებაა, მაგრამ ახალ თვისობრიობაში. კაზაკთა უოფითი დეტალებით პოეტურადაა ამღერებული ძმობა. თუმცა სიტყვა „ძმობა" ამ ლექსში არც არის ნახსენები.

ჰუმანიზმითა და ინტერნაციონალიზმით სუნთქავს „ლეგენდა იანოშ კორჩაკზე". ეს სულის შემძვრელი ლექსია. აქ ინტერნაციონალური ეროვნული თვითშეგნების შემადგენელ ნაწილად იქცევა.

იმავე ჰუმანიზმით სუნთქავს ლექსი „სეროსის ლამე მერაბ ბერძენიშვილის ძეგლთან „კიდევაც დაიზრდებიან..." ამ ლექსში ეროვნული ფენომენი ზოგადკაცობრიულ სიმაღლეზე ადის.

ინტერნაციონალის განაციონალურებაა ლექსი „იან ჟიჟკას ანდერძი". ჩეხური მოტივი აქ ქართული სულის ჟივილადაა ქცეული.

ინტერნაციონალიზმის ძარღვით ფეთქავს შოთა ნიშნიანიძის არა მარტო ეს ლექსები, არამედ მთელი მისი პოეზია.

შოთა ნიშნიანიძეს გააჩნია თვითანალიზის, თვითდაკვირვების, თვითკონტროლის ნიჭი, საკუთარი პოეზიის, საკუთარი „მეს" თვითკრიტიკული ჭვრეტის განსაკუთრებული უნარი. გულახდილობა, აღსარება, კათარზისი საკუთარი „მეს" გაშიშვლების გზით, ვფიქრობ, მძლვრად იგრძნობა ლექსში „ათასში ერთხელ ხელთ მიპყრია".

ათასში ერთხელ ხელთ მიპყრია
ათასში ერთხელ
კვერთხი წინასწარმეტყველისა, ღვთიური
კვერთხი.
ათასში ერთხელ პოეტი ვარ...
ათასში ერთხელ
ვემსახურები ჩემს ხალხსა და მოგონილ
ღმერთებს.
სხვა დროს ცხოვრება მეც თქვენსავით
მაჩეჩებს ნიღბებს,
ვწვალობ, ვჯახირობ და ვალებს ვიღებ.

მრავლისმთქმელია ლექსი „შემოქმედება თურმე ჯვარცმაა".

შემოქმედება თურმე ჯვარცმაა,
თუკი ატარე ნამუსი ქუდად,
არ გაგიკვირდეს არც ერთი მარცხი,
წარმატება კი, გიკვირდეს მუდამ.

ლექსში „მისტიკური წუთი" პოეტი ამბობს:

ზოგჯერ მგონია ვპოულობ სიტყვას
და სიამაყით დავხარი სტრიქონს,
ვილაც ქირქილებს: ეს უკვე ითქვა,
ეს უკვე იყო... ეს ერთხელ იყო.

კარგია, როცა პოეტს ესმის ეს ხმები ლექსის შექმნის ჟამს.

კითხულობ ერთტომეულს და ზოგჯერ უნებლიედ ამბობ: „ეს ერთხელ იყო... მაგრამ არა სხვასთან, არამედ ისევ ერთტომეულის ავტორთან".

ეს ეხება ზოგიერთ სახეს, რომელსაც მის ლექსებში ლიტერატურულ სტერეოტიპად, პოეტურ მატრიცად გადაქცევის საშიშროება ემუქრება (ამირანი, ჟამარი, უსუპი, დევი, ანგელოზი და ა. შ.) არაერთ ლექსში მეორდება

---

ვლადიმერ ალფენიძე
ტრადიციული ნოვატორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ზღაპრის ფორმულები: „იყო და არა იყო რა“, სხვა ზღაპრული და ფოლკლორული აქსესუარი. ასეთ გამეორებას, ვფიქრობ, უნდა ერიდოს პოეტი.

იგივე ითქმის კარგ შედარებებზე, მეტაფორებზე, რომლებიც ხანდისხან მეორდება შ. ნიშნიანიძის ლექსებში.

ხშირად ეს ეხება ბიბლიურ და ევანგელურ მხატვრულ სახეებს, ზოგჯერ რომაულ და ელინურ მითოლოგემებს.

ვფიქრობ, „ერთტომეული“ არაფერს დაკარგავდა, თუ არ იქნებოდა მასში შეტანილი ლექსები: „გაწვიმდება ისევ ერთ დროს“, „სადღაც ვიღაცა დაიბადა ამ წუთამით“, „შემოქმედება“ და სხვ.

ყურს მჭრის ასეთი ფრაზა: „ფოკუსნიკივით ვიჭერ და ვკოცნი“ (რიკოშეტის „ფილოსოფია“).

ან ასეთი მაგალითი ავიღოთ:

და ჩალმა უნდა დაიხუროს ნაბდის მაგიერ
(„საააკაძის სამი ცხენი“) ნაბადს იხურავენ?

პოეტი ხან „კიკლოპს“ ხმარობს, ხან ციკლოპს“. ალბათ კიკლოპი უნდა ვიხმაროთ. ეს ტერმინი დამკვიდრდა ბოლო დროს მეცნიერულ ტექსტებში და მხატვრულ თარგმანებში.

ზოგიერთი ასეთი ლექსებიცა აქვს შოთა ნიშნიანიძეს, რომლებიც თითქოს მხოლოდ ლექსის წერის ტექნიკითაა შექმნილი, თითქოს შინაგანი წვა და მღელვარება, ძიება აკლია.

ზოგი ლექსი დედიშობილაა გამოშვებული კარში. მარტო ნიჭის პერანგის ამარა. არადა ნიჭიერი პოეტის ოფლი ლექსისათვის მირონია.

დღეს, ვერლიბრის ზეობის დროს, ხშირად მეტაფორებიან პროზას ლექსს ეტყვიან. ასეთია ანდრეი ვოზნესენკის ლექსი მაია პლისეცკაიაზე. ასეთია შოთა ნიშნიანიძის „მხატვრის სახელოსნოში“.

ხაჭიროა ჩავუფიქრდეთ ამ პროცესს, სად არის აქ პოეზიისა და პროზის ზღვარი...

ბოლო დროს ლექსს ხურთ წაართვან არა მარტო რითმა, რიტმი, არამედ მეტაფორაც, საერთოდ ტროპული ბუნება.

ორიოდე ასეთი ლექსიც აქვს შოთა ნიშნიანიძეს, მაგრამ ისინი მის საუკეთესო ლექსებს არ განეკუთვნება.

ვერლიბრი მისი სტიქია არ არის, ვერლიბრს თითქოს ვიღაცის ჯიბრით წერს პოეტი. ეს სულაც არ ჭირდება მას, კლასიკური ლექსით დაწერილი არაერთი შედევრის ავტორს.

არ მომეწონა ერთი შედარებაც:

აგერ იხვები ჩამდგარან წყალში
და ირეცხავენ ყვითელ კალოშებს.

მეტად ხელოვნურია.

თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი მაგალითები ამ ვეებერთელა ტომში მხოლოდ აქაიქ გვხვდება.

შ. ნიშნიანიძის „დაუწერელი ლექსების საგოდებელი“ თემით ეხმიანება ანდრეი ვოზნესენსკის ლექსს „ორი დაუწერელი პოემის დატირებას“, მაგრამ თემის გადაწყვეტა ქართულია და ორიგინალური.

ლექსი „დირიჟორის ჯოხი“ ენათესავება ვლადიმერ სოლოუხინის ლექსს „ბრავო, დირიჟორო“, თუმცა უსათუოდ ორიგინალური ლექსია.

ეს ასოციაციები, ვფიქრობთ, ამ უნიჭიერეს პოეტთა სულთანაზიარობაზე მიგვანიშნებს. აქ სხვა ქვეტექსტს ნუ დავუწყებთ ძებნას.

ნიშნიანიძისეული რითმა „ქრიც-რიც-წრიც-რიცს“ იქნებ ტოლს ვერ დაუდებს რითმას „სილაში ვარდი-სილაუვარდე“, მაგრამ მაინც ორიგინალურია. მსგავსი მაგალითების მოყვანა კიდევ შეიძლება.

ზოგჯერ სჯობს საერთოდ არ გაირითმოს ტაეპები, ვიდრე გაცვეთილი რითმები იხმაროს პოეტმა.

აქა-იქ პროზაიმები, პროზაული კონსტრუქციები გვხვდება ლექსებში.

ლექსების წიგნის კომპოზიციური შეკვრა პრობლემაა. ამ მხრივ მთლად უნაკლო არც განსახილველი ერთტომეულია.

ამ წიგნის კომპოზიციის თავისუფალი, პირობითი კომპოზიცია შეიძლება ვუწოდოთ.

პოეტი ებრძვის ავანგარდისტებს.

ო, მათი გონება და სული არტისტის
სცენაა ათას გარემოთა.
ეშმამ გადაჩხაპნა, ავანგარდისტმა,

ღმერთმა რეალისტმა — ვერც გაარემონტა,

ამბობს პოეტი ლექსში „აქეთ და იქით“.

ალბათ უნდა დავძლიოთ ავანგარდიზმის სინდრომი, რომელიც ზოგიერთ ტრადიციულ რეალისტს სჭირს. ექსპერიმენტის გარეშე პოეზია წინ ვერ წავა. ლაპარაკია ღირებულ, ჭეშმარიტად პოეტურ ექსპერიმენტზე.

უარყოფის უარყოფის კანონი პოეზიაშიც ღირებულის იგნორირების გზით კი არ იმარჯვებს, არამედ განვითარების წინა პერიოდის დიალექტიკური „მოხსნის“ გზით, განვითარების თვისობრივად ახალი პერიოდის შექმნის გზით, ახალი ლექსის, „ლექსის ახალი მატერიის“ შექმნის გზით. იმავე დროს ახალმა ძველი დეკრეტით კი არ უნდა უკუაგდოს, არამედ პოეტური თვითდამკვიდრების გზით, ადამიანთა, თაობათა გულისა და გონების დაუფლების გზით.

სავსებით სწორია შოთა ნიშნიანიძე, როცა წერს:

ვიღაც გამწარებით ცდილობს აუქშიოს,
მაგრამ რა აფრენს ფიტულებს?

პოეზია ძველიც და ახალიც, ტრადიციულიც და ნოვატორულიც, ჩვეულებრივიც და ექსპერიმენტულიც — პოეზია უნდა იყოს. ესაა მთავარი. აქ ცამდე მართალია შოთა ნიშნიანიძე.

არის კონფორმიზმი და არის ნონკონფორმიზმი. მიაჩნიათ, რომ კონფორმიზმი სახეს უკარგავს პოეტს, ნონკონფორმიზმი კი, პირიქით, ანიჭებს სახეს.

ზოგი კონფორმომიზმშიც აღწევს „ნონკონფორმისტულ ეფექტს“. ეს სასწაულია.

ასეთ ეფექტს ზოგჯერ შ. ნიშნიანიძეც აღწევს.

შემოქმედებას სირთულე უყვარს, ოღონდ გასაგებ ენით ნათქვამიაო — ამბობს სიმონ ჩიქოვანი.

პოეტი შ. ნიშნიანიძეც ამ გზით მიდის.

„სიჭაბუკე და ლექსი ერთია“ და იმავე დროს — „დრო მიაწერე ლექსს“ — ამბობს პოეტი.

მაგრამ დრო არა კალენდრით, არამედ პოეტურად, შედარებით, სტილისტური ხერხებით, პოეტური აზროვნების ნიუანსებით. ასე აწერს ხელს თავის ლექსებს შოთა ნიშნიანიძე. ეს უფრო ძნელი გზაა.

შოთა ნიშნიანიძის პოეზია, სამწუხაროდ, დღემდე არ ჩანს საკავშირო არენაზე იმ ძალით, რა ძალითაც ეკუთვნის მას იქ წარმოჩენა.

მას ედ. მეჟელაიტისის, რასულ გამზათოვის, ყაისინ ყულიევის, გვერდით ეკუთვნის დგომა.

მე მახსოვს ერთი მოსკოველი კრიტიკოსი, თუ არ ვცდები, ვ. ოსკოცკი, ამბობდა: ეს როგორ მოხდა, რომ ოთარ ჭილაძის პირველხარისხოვანი რომანი „გზაზე ერთი კაცი მიდიოდა“ მხოლოდ ექვსი წლის შემდეგ ითარგმნაო“?! იგივე ითქმის შოთა ნიშნიანიძის ლექსებზე...

საკავშირო მკითხველს მხოლოდ მომავალში ელის მისი პოეზიის აღმოჩენა. და ვფიქრობ, მართალია ევგ. ევტუშენკო, როცა შოთა ნიშნიანიძეს დიდ წარმატებას უწინასწარმეტყველებს საკავშირო სარბიელზე.

შოთა ნიშნიანიძე რაღაცით მეტაფორულ იანუსს ჰგავს, რომლის პოეტური მზერა მსჭვალავს წარსულს და მომავალს და მაინც მისი თვალი უფრო მომავლისკენაა მიპყრობილი.

„დრო სწავლულისაგან და მხატვრისაგან
მოითხოვს პასუხს,
ორივე ერთად აზრისა და განცდის მონა
ვართ,
შევისწავლით და ფანჯრებივით დავხურავთ
წარსულს,
და შესასწავლად ფანჯრებივით გავხსნით
მომავალს“.

ეს სიტყვები შოთა ნიშნიანიძის პოეზიასაც ესადაგება.

ამბობენ, ერთხელ გოეთეს ჰკითხეს: რომელი ხართ უკეთესი, გოეთე თუ შილერიო? — ეს რა საკითხავია, გიხაროდეთ, რომ გერმანიას ორი კარგი პოეტი ჰყავსო, — უთქვამს შუბლდადაფნულ ოლიმპიელს.

საკითხი ასე არ დგას: ვინ ვის სჯობს?

არის თუ არა ეროვნული პოეტი მავანი და მავანი? ემსახურება თუ არა ის ქართველი ერის აღზევებისა და აღორძინების საქმეს. ეს არის კითხვა.

შოთა ნიშნიანიძე ღვთით ნიჭმომადლებული პოეტია. ჭეშმარიტად ქართველი პოეტია. ეს არის მთავარი.

საბუთი? წაიკითხეთ. მისი ერთტომეული და თქვენ თვითონვე დარწმუნდებით ამ ჭეშმარიტებაში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამირან გომართელი

# «ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა...»

„ვინანე, ტყუილუბრალოდ მოვუღე-მეთქი ბოლო ყვავილს, რომელიც თავის ადგილას მშვენიერი იყო, და გადავისროლე. მაინც რა ენერგია და ძალაა სიცოცხლისა — გავიფიქრე მე, როცა გავიხსენე, რამდენი ჯაფა გადამხდა ყვავილის მოწყვეტისას. — რა თავგანწირვით იბრძოდა და რა ძვირად დათმო სიცოცხლე“

ლ. ტოლსტოი, „ჰაჯი-მურატი“.

„...არცა იყო კაცი კავკასიისა ჩრდილოთ, და უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი კავკასიითგან ვიდრე მდინარემდე დიდად, რომელი შესდის ზღუასა დარუბანდისასა. ამისთვის გამოიყვანა ორნი გმირნი ლეკან და კავკასი და მისცა ლეკანს ზღვათაგან დარუბანდისათ ვიდრე მდინარემდე ლომეკისა, ჩრდილოთ ვიდრე მდინარემდე დიდად ხაზარეთისად და მისცა კავკასის ლომეკის მდინარითგან ვიდრე დასასრულამდე კავკასიისა“, — ასე აგვიწერს ქართველი ისტორიკოსი, ლეონტი მროველი, თარგამოსის ჩამომავალთა კავკასიის გადაღმა დასახლების ამბავს.

მემატიანის ცნობაში ერთ ნიუანსს აქვს „განსაკუთრებული მნიშვნელობა“ ...უმკვიდრო იყო ქვეყანა იგი“, — ამბობს ლეონტი მროველი და ქართლოსიანთა ნათესავის, ლეკოსისა და კავკასის მშვიდობისმოყვარე ბუნებას განსაკუთრებით უსვამს ხაზს.

არც ისე ვრცელი ყოფილა ჩრდილოკავკასიელ ხალხთა სამკვიდრო; საარსებოდ ძლივსღა ჰყოფნიდათ მცირე მიწა-წყალი და დიდი ჯაფისა და რუდუნების წყალობით მოჰყავდათ სარჩო-საბადებელი. ეს შრომისმოყვარეობა უბირმა კოსტრომელმა გლეხმა, რუსის იმპერატორის მიერ ჩრდილოკავკასიელთა წინააღმდეგ ხამრად წამოყვანილმა, კოჟენიკოვმაც შენიშნა და ჩერქეზები ასე დაუხასიათა თავისსავე თვისტომს, ოფიცერ იაკობ კაისაროვს:

„გონიერი ხალხია, საქმე იციან, აი ნახე... ჯერ მიწას შეარჩევენ ფერდობზე, ისე რომ წყალმა ნიადაგი არ ჩამორეცხოს. მერე ქვებს აკრეფენ და ფერდობზე ქვემოდან ყორეს ამოუშენებენ. ახლა რუს მიუპირებენ — წამოიღებს წყალი ქვიშასა და ხრეშს, სულ ამოავსებს და მოასწორებს იმ ფერდობს... ბოლოს შავი მიწა მოაქვთ დაბლობებიდან, დაყრიან, დათესავენ და, ესეც შენი ყანა“.

ჩერქეზების მხარეს გადასულ რუს ოფიცერ კაისაროვსა და ამ ყორეების მაშენებელ ჩერქეზ გლეხკაცს შორის კი შემდეგი შინაარსის საუბარი იმართება მიხეილ ლოხვიცკის მოთხრობაში „მეხთატეხა“. კაისაროვი უყვება აჯუკს, რომ პეტერბურგში დიდი სამსართულიანი სახლებია. ჩერქეზს ამის მიზეზი მცირემიწიანობა ჰგონია და გულუბრყვილოდ ეუბნება თანამოსაუბრეს: „როცა ცოტა მიწაა, მეტი რა გზა აქვთ“.

ამას ეუბნებიან თვალუწვდენელი სტეპებისა და ტრამალების პატრონს, იმის ღრმა რწმენით — რუს მეფეს რომ მიწა სამყოფად ჰქონდეს, ჩვენ არ წაგვართმევდაო.

ასეთ ხალხთან ომი და ისიც ერთი გოჯი მიწისათვის, დანაშაულია და ამისმა შეგნებამ მიიყვანა რუსი ოფიცერი ჩერქეზებთან. იაკობ კაისაროვს სინდისის ყივილმა ჩაადენინა ერის, სახელმწიფოსა და სარწმუნოების „ღალატი“ მისი პიროვნული დრამა იმ კაცის ტრაგედიაა, რომელიც სინდისის ძახილს უგდებს ყურს.

საკუთარი ერის დანაშაულის შეგნებამ იაკობ კაისაროვი ლამის თვითმკვლელობამდე მიიყვანოს და თუ ეს არ მოხდა, მხოლოდ შემთხვევითობის წყალობით. თვითმკვლელობის წინ იაკო

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაისაროვს ხაშუალება მიეცა ჩერქეზთა მხარეზე გადასულიყო და ამან გადააფიქრებინა გამწარებულ კაცს საკუთარი სიცოცხლის ხელყოფა.

მართალია „მეხთატეხაში“ ძირითადი ადგილი კაისაროვის პიროვნულ ტრაგედიას აქვს დათმობილი, მაგრამ მარტო კაისაროვი არ განიცდის სინდისის ქენჯნას. ფაქტიურად თვითმკვლელობაა ოფიცერ პოპოვ-აზატოვის აღსასრულიც. მისი პიროვნებაც ღრმად შეძრა დანაშაულებრივმა ომმა და ზიზღით განიმსჭვალა მოძალადეთადმი.

„პოპოვ-აზატოვი ერთი გაუღიმარი კაცი იყო... ბანქოს იშვიათად თამაშობდა და მარტო სვამდა ხოლმე. გესლიანი საუბარი იცოდა, თანაც საუბარში უცნაური გაორება სჭირდა, გეგონებოდათ, სერიოზული კილო შეფარულმა ირონიამ წალეკაო. რატომღაც მეჩვენებოდა, რომ ყველანი ვეზიზღებოდით“, — ასე ახასიათებს კაისაროვი პოპოვ-აზატოვს.

ოფიცერთა თავყრილობაზე პოპოვ-აზატოვმა მისთვის ჩვეული შეფარული ირონიით აუგად მოიხსენია „მისი საიმპერატორო უდიდებულესობის დიდი სახელმწიფოებრივი სიბრძნე და ნათელი ჭკუა“. სიყრმიდანვე იმპერატორის ყურმოჭრილი ერთგულებით აღზრდილი ახალგაზრდა მომცხვარი ოფიცერი იაკობ კაისაროვი ირონიას მიუხვდა და მისი უდიდებულესობის შეურაცხყოფისათვის დუელში გამოიწვია იგი, კაცი, რომელიც გაფრენილ მერცხალს ახვედრებდა, უარს ამბობს დუელის ჩვეულებრივ წესზე. პოპოვ-აზატოვი კაისაროვს კავკასიურ დუელს შესთავაზებს. კავკასიური დუელის თანახმად „მთიელების მხრიდან სროლა რომ ატყდებოდა, მოქიშპე ოფიცრები წამოდგებოდნენ და ერთად, გვერდი-გვერდ, გამართულები მიდიოდნენ ტყვიებისაკენ, ბედისწერას ანდობდნენ თავს“.

პოპოვ-აზატოვის არჩევანი — ბრმა ბედისწერისათვის მიენდო სიცოცხლე, სხვა არა იყო, თუ არა თვითმკვლელობა — სურვილი საძულველი არსებობისაგან განთავისუფლებისა. საკუთარ სიცოცხლეზე უარის თქმა პოპოვ-აზატოვის ადამიანური ბუნების პროტესტი იყო იმ სისაძაგლისადმი, რაც ირგვლივ ხდებოდა. აკი სიკვდილის წინ წაიბუტბუტა კიდეც: „საზიზღრობაა... ყველაფერი საზიზღრობაა...“

იაკობ კაისაროვი ცოტა მოგვიანებით მიხვდა ყოველივეს. მოგვიანებით გაიცნობიერა, რომ ისიც დანაშაულებრივი ომის მონაწილე იყო. ამაში მას პოპოვ-აზატოვის სიკვდილიც დაეხმარა. პოპოვ-აზატოვისა და კიდევ... უდანაშაულო ჩერქეზებისა. ხალხისა, რომელიც გარედან მოწოლილი უხეში ძალის წყალობით სულს ღაფავდა. ამ სულისღაფვას კი მოძალადეთა მხრიდან დოლის ბრახუნი და საზეიმო მარში ახლდა. აკი თქვა კიდეც მერე იაკობ კაისაროვმა, როცა ჩერქეზთა სისხლით გამაძღარმა დიდმა თავადმა კავკასიის ომის დამთავრების გამო, მათთვის ჩვეული, გრანდიოზული პარადი გამართა: „ყველაფერი მხიარული, საზეიმო ჩანდა, სინამდვილეში კი ეს პარადი კი არა, გადაშენების პირზე მიმდგარ შაფსუღთა და უბიხთა პანაშვიდი იყოო.

უამრავი სიკვდილია აღწერილი „მეხთატეხაში“, მაგრამ ყველაზე საშინელი ისაა, რომ ცალკეული პიროვნება კი არა, მთელი ერია სიკვდილის პირას მიყვანილი.

მშობლიური მიწა-წყლიდან ერეკებიან ჩერქეზებს. კავკასიონს გადაღმა ოდითგანვე დამკვიდრებული უძველესი ხალხი ან თურქეთში უნდა გადასახლდეს ან საგანგებოდ გამოყოფილ ადგილებში დასახლდეს — ერთმანეთს მოცილებული, გათიშული, გაშორიშორებული. მათ ისევე უპირებენ შენახვას, როგორც სამუზეუმო ნივთს, მოუხმარს, გაუქმებულს, ფაქტიურად ფუნქციადაკარგულს. ამიტომაც ახსენებს ჩერქეზთა ამგვარი ხვედრი იაკობ კაისაროვის ედდას კალუგაში გადასახლებული შამილისა და მისი ნათესავების ბედს, რომელთაც ბრიყვული ცნობისმოყვარეობით შეჰყურებდა ბრბო: „მე რატომღაც მგონია, აი აფრიკიდან ლომის ბოკვერები რომ ჩამოეყვანათ, იმათაც ასე ყურადღებით მოეკიდებოდნენ“.

ამგვარ ყოფაზე დათანხმება, ფაქტიურად, გაქრობაზე დასტურს უდრიდა. ამიტომაც აღუდგნენ წინ ჩერქეზები იმპერატორის ბრძანებას: „დასახლდით, სადაც გიბრძანებენ, ანდა თურქეთში წადით!“

თურქეთში წასვლაც დაღუპვას, საკუთარ არსებობაზე უარის თქმას ნიშნავდა. ეს ჩერქეზებმაც კარგად იცოდნენ და „ცხვირპაჭუა იმპერატორმაც“. ამიტომაც მიერეკებოდა იმპერატორი შაფსუღებს, უბიხებს, აბაძახებსა თუ აფხაზებს თურქეთში. სხვათაშორის, მუჰაჯირობის ტალღამ აფხაზებიც დიდად დააზარალა და წელში გაწყვიტა. ასი ათასი აფხაზი აიყარა, თურქეთში გადასახლდა და, სამწუხაროდ, ისინი დღეს ეროვნებადაკარგულ მასას წარმოადგენენ.

უცხოობაში ყოფნას ან ლომის ბოკვერივით გალიაში გამომწყვდეულ არსებობას სამშობლოს მოყვარე ხალხი სიკვდილს არჩევდა. ჩერქეზთა აღსასრული მათსავე შინაგან არსსა და სულიერ სიდიადეს ავლენს. მოწამებრივი აღსასრული დიდების შარავანდით მოსავს ადამიანს. აქ კი მთელი ერია მარტვილი. მთელმა ერმა დაიდგა წამებულის გვირგვინი. მშობლიური კუთხის დატოვებას საკუთარ მიწაზე სიკვდილი ამჯობინეს და ტყის პირად გაშლილი ვართო მინდორი გაივსო სიკვდილის მომლოდინე ჩერქეზებით...

„მინდორს გავხედე. ხალხი დავინახე, კაცები და ქალები, მთიელთა ტანსაცმლით მოსილნი. ჭერეხად იწვნენ, ზოგი ცალკე, ზოგი ორ-ორად, სხვები ერთად ჩარიგებულნი. პირქვე, გვერდზე.

მოკუნტულნი თუ გაშხლართულნი, უფრო ხშირად — გულაღმა, მკერდზე ხელებდაკრეფილნი. ამდენი მკვდარი ერთად არასოდეს მენახა. რამ დახოცა ეს ხალხი?“ — იგონებს მერე იაკობ კაისაროვი.

თავალერილნი, ქედმოუხრელად, მზისკენ ამაყად მიქცეულნი კვდებიან ჩერქეზები. არ შეიძლება, არ შეგძრას ამ სურათმა და თანაგრძნობით არ განიმსჭვალო რაინდული სულის მქონე თავისუფლებისმოყვარე ხალხისადმი, რომლის გაუტეხელი სულის მოდრეკა ვერა და ვერ შეძლეს. სიკვდილი აქაც პროტესტის გამოხატვის ფორმად ქცეულა, მაგრამ არავინ გაჰყვირის ამის შესახებ. ჩუმად, უხმოდ, ვაჟკაცურად გამოხატავენ პროტესტს და ჯაბან სიცოცხლეს სიკვდილს არჩევენ. ასე კვდება ჩერქეზი მხედარი, რომელსაც თურქეთში მიმავალ გემზე ცხენის აყვანის ნება არ დართეს.

„ზურგს უკან ედგა ცხენი, თავი პატრონის მხარზე ჩამოედო, როცა კანჯო გემს მიადგა და ხალხიც გემბანზე ავიდა, ნაპირზე დარჩენილმა მთიელმა თოფი გადმოიღო, ჰაერში დასცალა, მოიქნია და ზღვაში ჩააგდო. მერე ქამარ-ხანჯალიც მოიხსნა, ისიც ზღვაში გადააგდო და ფერდობი ჩაირბინა, ზღვის პირს მიადგა. მოისმა სტვენა. ცხენმა ისკუპა და ძირს პატრონიანად ჩახტა. მთიელმა კისერზე მოჰხვია ხელი, ტალღებში შეიყვანა და თვითონაც შესცურა.

ვიფიქრე, გემთან მივლენ და თურქები ორივეს აიყვანენ-მეთქი, მაგრამ ცხენის ფაფარს ჩაჭიდებულმა ჩერქეზმა გემს ჩაუარა და წინ გასცურა. ნელ-ნელა შორს და შორს მიცურავდნენ კაცი და ცხენი, ხან იკარგებოდნენ ტალღებში, ხან კვლავ ჩნდებოდნენ, სანამ სულ არ დაიკარგნენ თვალსაწიერზე“.

ხალხს, რომელსაც მწუხარების ჟამს ამდენი შემართების გამოხატვა შეუძლია, ბუნებრივია, არსებობა მით უფრო ლამაზი ძალუძს. მწუხარებასა თუ სიხარულს ჩერქეზები სიმღერით გამოხატავდნენ. სიმღერები ომახიანი ჰქონდათ, რიტმის გრძნობა დაბადებიდანვე თანდაყოლილი. ჩერქეზები ომის დროსაც არ ღალატობენ საკუთარ ზნეობას. ერთხელ, გახურებული ბრძოლის დროს, გარნიზონის უფროსის პრისიპკინის ცოლი პირდაპირ ტყვიების სეტყვაში ქოლგით გავიდა გალავანზე. დაინახეს თუ არა ჩერქეზებმა, ალყა მოხსნეს და გარნიზონის უფროსს შეუთვალეს, ჩვენ ქალებს არ ვეომებითო.

კავკასიის სისხლიანი ომი დასასრულს უახლოვდება. მთებში შემალული ერთი აული დარჩა აუღებელი. მისი წუთებიც დათვლილია, მტერი გარს შემორტყმია. ჩერქეზებმა მეკხემე მოიწვიეს, უთანასწორო ბრძოლაში ჩაბმა და სამკვიდრებლის დაცვა გადაწყვიტეს. ის იყო, მეკმეხე იშლებოდა, რომ წინამძღოლთან ერთი ჩერქეზი მივიდა:

„თუ ყველაფერი კარგად იქნა,— თქვა მან,— მინდა ხალხს ვთხოვო, დამეხმარონ და აი, ფიჭვნარს იქითა ფერდობი დამიხნან და გამიპატივონ, ვაშლი მინდა დავრგო... უცხოური ვაშლი ვნახე; იმოდენაა, ბავშვის თავი გეგონება, თაფლის სუნი უდის, ოღონდ დედაკაცივით სუსტია. შევაჯვარებ ჩვენებურ ჯიშთან და მამაკაცის ძალა მიეცემა, ყინვას გაუძლებს...“

ამ გულუბრყვილო ოცნებაში სიცოცხლის დაუოკებელი წყურვილი და ხალისი მოჩანს.

ტრადიციისა და ადათ-ჩვევების საოცარი პატივისცემა აქვს ამ ხალხს: „ადათი ლოდი კი არა, სახლის სახურავია, წვიმაში თავშესაფარი“, — ამბობს უბრალო ჩერქეზი გლეხკაცი, იმის ღრმა შეგნებით, რომ ტრადიცია ყოველი ხალხის საფუძველთა-საფუძველია, მისი არსებობისა და თვითმყოფადობის ბალავარი. ტრადიციის მოშლა კი ერის გაუსახურებასა და გადაგვარებას უწყობს ხელს. ამიტომაც ებრძვის გააფთრებით ტრადიციასა და ადათ-წესებს ყოველი მომხდური და მოძალადე.

„მეხთატეხაში“, ძირითადად, ჩერქეზთა ერთ-ერთი ტომის, შაფსუღთა დრამატულ თავგადასავალს აგვიწერს მიხეილ ლოხვიცკი. „შაფსუღებში გამორიცხული იყო ერთის უპირატესობა მეორეზე, ანდა ხალხის ერთი, თუნდაც დიდი ნაწილისა — დანარჩენზე“. ამ ფაქტის გამო მახვილგონივრულად შენიშნავს რუსი ოფიცერი იაკობ კაისაროვი: „ესეც ხომ არ იყო ერთი მიზეზთაგანი, რის გამოც ჩვენი იმპერია შაფსუღთა მოსპობას ასე ჩქარობდა? შაფსუღების თავისუფალი ყოფა, დამონებულ რუს გლეხს უდიდეს ცდუნებად რომ ესახებოდა, ალბათ საშიში იყო მონარქისათვის“.

დააკვირდით ამ სიტყვებს და ნათელი იქნება, რომ რუსეთის იმპერატორი დანაშაულებრივ ომს აწარმოებდა არა მარტო კავკასიის მთიელთა, არამედ საკუთარი ხალხის წინააღმდეგაც. ამ დანაშაულის მსხვერპლია ზნეობაგადაგვარებული და გალოთებული ოფიცრობა, ოცდახუთი წლით ოჯახსა და სახლკარს მოცილებული რუსი ჯარისკაცი და უქმროდ დარჩენილი, გაბახებული მათი ცოლები.

ოჯახზე ფიქრსა და სევდას შეუპყრია რუსი ჯარისკაცები. სევდას განსაკუთრებით ეს სისხლიანი ომი აათკეცებს, რომლის აზრს ვერა და ვერ ჩამწვდარან ისინი. ნუგეშად ისღა დარჩენიათ, სასმელში ჩაკლან დარდი და ისინიც თვრებიან უაზროდ, ანგარიშმიუცემლად.

იაკობ კაისაროვი ჰარმაგ ოფიცერს კაპიტან ზაკურდაევს დაუახლოვდა. თავდაპირველად ვერც კი ახსნა კაისაროვმა ზაკურდაევის თხრობისა და მოჩვენებითი მხიარულების მიზეზი. „რაც უფრო თვრებოდა (ზაკურდაევი — ა. გ.) მეტად და მეტად ღელავდა, რაღაც აწუხებდა, დარდი ეძალებოდა. უკვე კი არ მხიარულობდა, მხიარულებას ლამობდა“... თითქოს უნდა დავე-



ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

რწმუნებინე და თავისი თავიც დაერწმუნებინა, ორივენი უზომოდ ბედნიერები ვართ ამ ცხოვრებითო.

მერე კარგად შემთვრალი ზაკურდაევი ალექსანდრე II-ის პორტრეტის წინ მხედრულად გაიჭიმა და დაიყვირა: „თქვენო საიმპერატორო უდიდებულესობავ, ჩემდამი რწმუნებულ სასაკლაოზე ყოველივე საჭირო წესრიგშია! როგორც იხოცებოდნენ, ახლაც ისევე იხოცებიან! არც მობრუნებულა ისე შემხედა რაღაცნაირი შეშლილი მზერით, კოჭლობით მივიდა მაგიდასთან, დაეშვა ტაბურეტზე, თავი ჯამებში ჩარგო და ატირდა“.

კავკასიის მთებში დაიღუპა შორიდან მოსული „რეკრუტი“ პიოტრ ავდეევი, როდესაც სახნისსა და გუთანს მოცილებული, ოჯახის მონატრული გლეხი კაცი მცირერიცხოვან მთიელებს ერთი ციცქნა აულისათვის ეომებოდა. პიოტრ ავდეევი წვრილშვილიანი ძმის მაგიერ ჩაეწერა „რეკრუტად“. მერე ნანობდა: ყველაზე უფრო ის მადარდებს, რატომ წამოვედი ძმის მაგიერო. სიკვდილის წინ ავდეევმა ამხანაგს სთხოვა, დედისათვის წერილი გაეგზავნა: „სერეგინ... მაშ მისწერე: თქვენმა ვაჟმა პეტრუხამ თქვენი ჭირი წაიღო-თქო... ძმისა მშურდა. ამას წინათ გეუბნებოდი, ახლა კი, მე თვითონ მიხარია, კარგად იყოს, ღმერთმა ხელი მოუმართოს, მე მოხარული ვარ, სწორედ ასე მისწერე“.

ავდეევი მიწას მიაბარეს და დედამისს უწყება გაუგზავნეს, „რომ პეტრუხა ომში დაიღუპა „როცა მეფეს, მამულს და მართლმადიდებელ სარწმუნოებას იცავდა“.

„ჯარისკაცის მეუღლემ აქსინიამაც იტირა, როცა „საყვარელი ქმრის“ სიკვდილი გაიგო, რომელთანაც მან „მხოლოდ ერთი წელი იცხოვრა“... გულის სიღრმეში კი აქსინიას უხაროდა პიოტრის სიკვდილი. ის ხელმეორედ დაორსულდა ნოქრისაგან რომელთანაც ცხოვრობდა, და ახლა არავის შეეძლო გაეკიცხა იგი“.

პიოტრ ავდეევი, ერთი შეხედვით, უმნიშვნელო პერსონაჟია ლევ ტოლსტოის „ჰაჯი-მურატისა“, მაგრამ შემთხვევით არ გამხსენებია იგი. აქ განსაკუთრებით საინტერესოა დიდი მწერლის დამოკიდებულება დამპყრობლური ომისადმი, რომელიც მოთხრობის ყოველ სტრიქონში გამოსჭვივის. ლ. ტოლსტოის სევდიანი ირონია განსაკუთრებით საგრძნობია სამხედრო მწერლის სიტყვებში, ავდეევის გარდაცვალების უწყებაში რომ ჩაწერა: მეფეს, მამულს და მართლმადიდებელ სარწმუნოებას იცავდაო.

მ. ლოხვიცკის მოთხრობის პერსონაჟი იაკობ კაისაროვი ზაკურდაევივით ლოთობას ან ავდეევივით სასაკლაოზე სიკვდილს მთიელების მხარდამხარ ბრძოლას ამჯობინებს, რადგან მას დანაშაულებრივი ომის საშინელებაცა აქვს გაცნობიერებული და თავისუფლების ყადრიც კარგად იცის, ამიტომაც აცხადებს: „ვერ მომისაზრებია, რა გარდაქმნებია საჭირო საიმისოდ, ანდა რამდენი საუკუნე უნდა გავიდეს, რომ ჩვენც შინაგანად განვთავისუფლდეთ და სხვათა თავისუფლებაც ვიწამოთ“.

პარადოქსული ის იყო, რომ სხვისი თავისუფლების დათრგუნვა და თვითმყოფადობის მოსპობა კულტურისა და განათლების შემოტანის ცრუ მისიით ინიღბებოდა. მთიელთა ცეცხლოვანი ცეკვების მაგიერ „პოლკასა“ და „მაზურკას“ როკვა ღვთისწყალობად უნდა მიეღოთ კავკასიელებს. ისევ ტოლსტოი მახსენდება...

ჰაჯი-მურატი თბილისში ევროპულ ბალზე მიიწვიეს მთავარმართებელთან. მთლად შიშველნი მოეჩვენა ბანოვანნი მთიელს. არც მათი ქცევა მოსწონებია შამილის ყოფილ ნაიბს. იფიქრეს, გააოცებდაო ევროპული ბალ-მასკარადი მთიელს და საკუთარ უპირატესობაში დარწმუნებულებმა ჰკითხეს: როგორ მოგეწონაო? ჰაჯი-მურატმა სიბრძნით აღსავსე სიდარბაისლით მიუგო: „ყოველი ხალხისათვის თავისი ზნე-ჩვეულებაა კარგი“. სწორედ ჩვეულებათა ამ სიმრავლეში მჟღავნდება სამყაროს უპირველესი თვისება მისი მრავალფეროვნება. „ჩვენ, კაცთა, მოგვცა ქვეყანა, გვაქვს უთვალავი ფერითა“, წერდა „ვეფხისტყაოსნის“ ავტორი, რომელიც სამყაროს ჭეშმარიტ არსსა და მომხიბვლელობას მის მრავალფეროვნებაში ხედავდა. ამ მრავალფეროვანი ერთიანობის მოსპობა არ შეიძლება, რადგან ნებისმიერი ფერის გამოკლება სამყაროს ჰარმონიულობას დაარღვევს. განგების ხელით შექმნილ დიდმშვენიერ პანოს გაალარიბებს და გააუსახურებს.

კავკასიის მთებში, კოპწია აულებში შეხიზნული პაწია ჩერქეზული ტომი მსოფლიოს მოზაიკის ერთი მშვენიერი „ფერი“ იყო. მისი მოსპობით, უთუოდ ბევრი რამ დააკლდებოდა შემოქმედის ხელით მოჩითულ სახიერ მოზაიკას. ამის უფლება კი კაცთაგან არავის აქვს დუნიაზე.

ამ რწმენითაა აღბეჭდილი მ. ლოხვიცკის მართალი და ჭეშმარიტი ჰუმანიზმით განმსჭვალული მოთხრობა, „მეხთატეხა“, რომელიც რუსული პროზის საუკეთესო ტრადიციებს აგრძელებს. სასიამოვნოა იმის აღნიშვნაც, რომ ქართველმა მკითხველმა მიიღო ამ მოთხრობის გიორგი ბაქანიძისეული შესანიშნავი თარგმანი, რომელიც გასულ წელს გამოქვეყნდა ალმანახ „საუნჯეში“.

ალექსი ჭინჭარაული

# „პირველითგან იყო სიტყუაჲ..."

ერთ-ერთი ჩემი მეგობრის დედას ახალი ამხანაგი (მურმანი) რომ გავაცანით, არ დაიჯერა, იწყინა კიდეც: „იი, ასეთ კაი ბიჭს მურმანს ვინ დაარქმევდა, მატყუებთო!". მაშინ ცოტა მეუცხოვა, რომ „ეთერიანიდან" გავრცელებული ეს საკუთარი სახელი მთიულურში (მეგობრის დედა მთიული გახლდათ) უარყოფითი შეფერილობისა ყოფილა, ახლა კი, როცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტის უფროსი მეცნიერი თანამშრომლების — თამარ ბეროზაშვილის, მერი მესხიშვილისა და ლამარა ნოზაძის მიერ შედგენილ „ქართლური დიალექტიკის ლექსიკონში (გამომცემლობა „მეცნიერება", 1981 წ., რედაქტორი მ. ჭაბაშვილი) წავიკითხე „**მურმანი სიტყვა** ღვარძლიანი, გესლიანი სიტყვა"-ო, გავიგე, რომ „მურმანი" უარყოფითი შინაარსის სიტყვად ქცეულა არა მარტო მთიულეთში, არამედ ქართლშიც (სიტყვა დადასტურებულია ბიწმენდსა და ძეგვში).

ლექსიკონი დოკუმენტირებულია და ისიც აღნიშნულია, რომელ სოფელში (ან სოფლებში) არის ჩაწერილი ეს ფრაზა. მოდით და ჩვენც ამ დოკუმენტაციით ანუ საილუსტრაციო მასალით დავიწყოთ ამ საინტერესო წიგნის გაცნობა (ფრაზაში ხაზგასმულია სტატიის მეთაური სიტყვა, სოფლებს აღარ ვუთითებთ):

„მუცლიანი ჭურჭელი რო იქნება, გამობერილი, იმას ვეტყვით **გვამგადგმულსა**"; „შენ **განი დააგდე**, ყველას მამიდა ნუ ხარ!"; „ამიხთანა მოქსოვილი ენა რო მქონდეს მეცა, ყველგან **განს გავიტანდი**"; „მიხაკას კვებულა ხბო ეგეთია, **გამტყვრალი**, სუ თამთამი გააქ სიმსუქნითა"; ქორწილში კიდე ხოო, **გაჯეჯილდნენ**, მაგრამა ქელეხში რა უნდა ამტველხან სმასა, შააწიონ და წავიდნენ"...

...„ჰექო ჩემზე **გაყვინტრული** ყოფილა და არ ვიცოდი... იმდენი ხანი იყვეს **გაყვინტრული**, სანამ მოეწყინება". (იხ. გაიყვინტრება); „ჩემი რძალი პირველათ კი უჩუმრათ იყო, მერე რო **გაისიმსხოვა**, თავი წვერზე დაიწყო სიარული"; „ზოგი ქალი არი ავი. **გაავპირებული**, რო სუ ილანძღება, სუ იწყევლება"; „ეგერა, დეიდაშენს ვეძახი მე **ბათხაშასა**, ვითომა შვილი არც მოკვდომია და არცა, იცინის უზომურათა"; „დედინაცვალმა რო დაინახა ეთერის აჩქერებული თმები, ახლა თავი ჯორცხენა შვილმა გააგდო"; „დედასავით **აშხეპულა** წარბები აქ მაგ გოგოსა"...

„მანამ **შეცოლქმარდება**, ესე უნდა აქნიო, ეს თუ არ **შეცოლქმარდა**, ზღმურდლს იკეთებს"; „**ასკილის ყვავილოზა** ხო არ არი, რას გაიწყვიტეთ ყველაფერი, ცოტა რამე მაიტანეთ!" „**არამ ფუტკარსა** თითონ ფუტკრები ხოცამენ, შრომა არ შეუძლია და მარტო შჭაამს"; „გამლანძღა, რაღა არ მითხრა, მაგრამა **ანით განამდე** ხმა არ გამიცია, უჩუმრის პირით წამოველი"; „გული ყელში ჩრია ამ მიწადასაყრელსა, ერთი ხმამაღალი სიტყვა რო უთხრა, იმ სააჩი ტირილ **ამოჲხეჩამს**"; „**ამოსკილები** რო დაგყავს ბავშვები, წყალი მდევს ხო არ უჭირავს?" „**ამოსამარგლები** არიან ამ ქვეყნიდანა, ერთი აღარ უნდა დარჩეს მაგათგანა!"...

სიტყვის განმარტებები სხარტია და არსებითის წარმომჩენი, ხოლო ზემომოყვანილთა მსგავსი ილუსტრაციები უფრო ცოცხალსა და ხელშესახებს ხდის სიტყვის მნიშვნელობას. აი, ამ რიგის მაგალითები:

„**მლივ**-ი პატარა, დალეული. „რომელიც ძაან დალეულია, რო არც სიმაღლით არი, არც სისქითა, გამწლიკული არი უხეიროთა, იმაზე იტყვიან, მლივი ადამიანი არიო". „წყაროზე რო ჩაველი, ერთი მლივი გოგო მოდიოდა, დიდი კოკა ეემსო და გეედო მხარზედა, ნეტა როგორა სძრავდა?!" „იმ მლივი გოგო რო ჷყამთ ჭკვიანიანთა, ის აცხობდა დღეჷ თონეში პურსა".

„**თაგვიცერცველა** სარეველა მცენარე ერთგვარი. „თაგვიცერცველა ბალახსა ჲქვიან, ყანეფში იციჷ, სუ ცერცველაჷ მიეგვარება ყველაფრივა, ხოლოთ წვნიკი პარკებიჷ დასხმა იციჷ და მარცვალიც წვრილი აქ; რო გახმება იმი ნაყოფი შავდება და გალეწიჷ დროჷ პურ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შაჲყვება ხომე, გორგოლაჲ ვეტყვით ჩვენ იმასა".

„მარტოტუჩაობ-ს მარტო, ჩუმად ჭამს. „მახურავს კარებსა და მარტოტუჩაოფს, არც ქმარი ანაღვლია და არც შვილი"; „მე ვიცნობ იმისთანა ქალსა, მარტოტუჩაობა რო იცოდა, გამოვიდოდა ოთახიდან პირის ცმაცუნითა".

„მშვიდობის მუხლი მოაყრევინოს! დალოცვა ორსული ქალისა. „მშვიდობის მუხლი მოგაყრევინოს, შვილო, ვაჟიშვილი მომელოცოს!" „მშვიდობის მუხლი მოაყრევინოს მაყვალასა, დიდხანს იცოცხლოს და თქვენი გული ახაროს იმისმა ნაშიერმა!"

„შეიშვილებ-ს მიისაკუთრებს, მიითვისებს. „ჭამი ვათხოვე, შეიშვილა, ნამგალი ვათხოვე, შეიშვილა"... ამავე, მნიშვნელობით იხმარება „მიიშვილებ-ს: „იმ ღმერთძაღლმა გიგუამ ერთი ჩემი გოდორი მიიშვილა. პირზე დავადექი, მაგრამა ქვა დაკვნიტა".

„უცივთბილო უკადრისი, უკმეხი. ეთერაანთ სტუმარი ძაან უცივთბილო ქალი ჩანს, ამდენი ხანია აქ არი და არავის დალაპარაკებია ჯერა".

„ტყის სილამაზე" მხხლის ჯიში ყოფილა: „ტყის სილამაზე პატარა მსხალია, მართლა ლამაზია, ნახევარი გვერდი, როგორც წითელი სიხხლი, ისეთი აქვს და ნახევარი — ყვითელი, ქაშა მსხალია ზაფხულისა".

მსხალი მცენარეა და ბუნებაში გაგიყვანს „ტყის სილამაზე". თითქოს მის გვერდზევე უნდა იყოს „რბილი ეკალი", მაგრამ არა, ეს უკვე ფსიქოლოგიის სფეროა, „რბილი ეკალი" ის ყოფილა, ვინც მოჩვენებითი სიკეთით, შეპარვით გაანაწყენებს ვისმე": „ავი და მოჩხუბარი მირჩევნია რბილ ეკალსა"; „საწყალ ტასუასა ისეთი რბილი ეკალი ჰყავ შინა დედამთილი, ნეტა იმის გაძლებასა!"

ამას წინათ ერთ ქართლელ გულქართლ მასპინძელს უნდოდა რამდენიმე კაცი „ავესხლიტეთ" ოფიციალური სუფრიდან. გვერდზე გაგვიხმო და დაიწყო: „ბიჭებო, სახლ-კარი მააქ, — მუხრან-ბატონ შეშურდებოდა, ქათამ-ინდაური ჩემს ეზოშია გადიან და გამოდიან, გადიან და გამოდიან ჩაფრებივითა; ბიჭებო, ცოლი მყაავ, სტუმარ რო დაინახამს, სუ მზე გადადის ხომე სახეზედა, დილით რომ ვეტყვი, ქალო, აბა, წალმა იტრიალე-მეთქი, მთელი დღე ეგრე ტრიალებს ტარივითა..." ოდნავ შეყოვნდა, გადაგვხედ-გადმოგვხედა და „მთავარი საბუთიც" მოგვართვა: „ბიჭებო, ღვინო მააქ, ღვინო მააქ, ბულბული ცრემლ ვეძახი!" ხომ ჰიპერბოლიზების მშვენიერი ნიმუშია, მაგრამ უფრო მეტად გამიკვირდა, როცა სარეცენზიო წიგნში წავიკითხე: „ისეთი პატიმარი ღვინო მაქ, რო! განა ბევრ დალევ?!" თურმე „პატიმარი" ყოფილა „წმინდა, სუფთა, შეურეველი (ღვინო, ერბო...); „ლიახვი პირახ რო წყაროებია, ისეთი წყალი გამოდის, რომ პატიმარი!"...

ზოგჯერ საინტერესო ეთნოგრაფიული რეალიაა ერთ სიტყვაში გამჟღავნებული: „პინა საფლავის ქვაზე (თავის მხარეს) ამოჭრილი პატარა ღრმული: საფლავის ქვაზე ვიცით პინები, ვითომ წყალი ჩადგეს შიგაო, მივა ფრინველი, დაჲლევს, მადლი არისო: პინა ორ უნდა ჯვრის გვერდებში". ქართული ანდაზაა: „ქათამმა წყალი დალია და ღმერთს შეხედაო" მარტო ქათამი კი არა, ნიბლიაც, წითელსჩიტაც, ლობემძვრალაც და სხვა ფრინველებიც საფლავის პინიდან წყალს რომ დალევენ, ღმერთს შეხედავენ და თითქოს საფლავში მყოფისთვის მადლსა სთხოვენ...

ზოგ სიტყვასა და გამოთქმაში ძველქართულის კვალი ჩანს: „ფხოვი" ძველად ფშავხევსურეთის სახელი იყო და ძველ ქართულ წყაროებში იშვიათად თუ შეხვდებით. ქართლურში „ფხოველი" ყოჩაღის სინონიმი ყოფილა და „გაფხოველდება" ნიშნავს: „მარჯვედ გახდება, გაყოჩაღდება": „რაც დაცოლშვილდა, ისე გაფხოველდა, ვეღარ იცნობ"; „ეხლანდელი რძლები, ცალკე რო გავლენ, მაშინ გაფხოველდებიან ხოლმე".

„დაიმყავრებ-ს დაიმშვიდებს, დაიწყნარებს (გულს)". ამოსავალია ძვ. ქართულის ყოვ-ნ. მ-ყოვ-არ: „ევედრა მას მყოვარ, განგრძობილად" (საქ წიგნი. II, 81, 19). „მან დასდვა პირი მიწასა, არ დაიყოვნა ხანია" (ვეფხისტყ. 1383, 3/1384,3). ამავე ძირისაა ყოყმანი (← ყოყვან ← ყოვყვან ← ყოვნ-ყვან ← ყოვნნ-ყოვან ← ყოვან-ყოვან) ხოლო „ყოყმანი"-ს აფრიკატიზებული ფორმაა „ჭოჭმანი"...

ძველ ქართულში „ყურმილის-ცემა" არის „ქელის შემოკრვა ყურიმალთა ზედა" (საბა), ანუ „სილის გაწვნა" (ი. აბულაძე, ძვ. ქართ ენის ლექსიკონი). ქართლურში გვქონია ზმნა „დააყურმალებს", რაც ნიშნავს: „მაგრად სცემს (ძირითადად თავ-ყბაში)".

ზოგი რამ ვეფხისტყაოსნის ლექსიკას გაგვახსენებს: „მუქაფა სამაგიერო, სანაცვლო: შენც ეგრე მუქაფა გადაუხადე, ჯიბრი უნდა გაუწიო, როგორც იმან ჯიბრი გაგიწია". შდრ.: „მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს! — მადლსა გკადრებდე მე რასა, — რომელმან დამხსენ მშვიდობით იმა გველისა მზერასა!" (ვ. ტ 1219,1). „მუქაფა ღმერთმან შემოგზღოს მოწყალებითა ზენითა" (1200,2).

„უვეზირებ-ს ურჩევს, დაარიგებს", შდრ.: „ჰკითხე ასთა, ქმენ გულისა. რა გინდა ვინ გივეზიროს" (884,4/883,4).

„გაიმელებ-ა გაიტვრინება, გაინაბება" შდრ:. „(ვეზირი) გამოძრწა და გამომელდა, გულსა წყლულსა მოიმტკივნებს! (763,2/761,2).

---

ალექსი ჭინჭარაული

„პირველთგან იყო სიტყუაჲ..."

ეროვნული ბიბლიოთეკა

„ᲒᲐᲣᲮᲐᲡᲓᲔᲑ-ა გაუთამამდება, სიტყვას შეჰბედავს, შდრ.: „ესე ამბავი არ ეგების, რომე ხპარსნი ᲒᲐᲒᲕᲘᲮᲐᲡᲓᲔᲜ!“ (543,4/540,4).

„ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲣᲠᲐᲓ ხურჯინივით (გადაკიდება): „გადააბამდენ კალათსა და მეშოკსა, გადაიკიდებდნენ მანდიკურათა და გასწევდნენ ქარელისკენ“, შდრ.: „ცხენსა კაცი გაკვეთილი ᲛᲐᲜᲓᲘᲙᲣᲠᲐᲓ გარდავჰკიდი“ (451.3/448,3). ეგევე სიტყვა დასტურდება ვაჟასთან „ᲛᲐᲜᲯᲘᲙᲘ“-ს სახით.

ზოგჯერ ამა თუ იმ საგნისა თუ მოვლენის სახელდება უცნაური გეჩვენება, მაგრამ ამ მოვლენის ამხსნელი სიტყვა თუ გამოთქმა ამავე ლექსიკონშია მოცემული. მაგალითად, ერთი შეხედვით გაუგებარია, რატომ უნდა იყოს „ᲬᲙᲘᲞᲐᲠᲢᲐ“ „თავმომწონე, ფაქიზი, კოპწია“. ვერც ილუსტრაცია („იმითანა წკიპარტა ვიყავი, როგორც თავი მოგეგონოს“) გვიხსნის რამეს, მაგრამ იქვეა გამოთქმა: „ᲬᲙᲘᲞᲣᲠᲢᲡ ᲘᲪᲔᲛᲡ კოპწიაა, ფაქიზია. ნეტა ეგ ვისა ჰგავ, ქაა, ეგეთი, მაგი დედა ეგეთი იყო, რო სუ წკიპურტ იცემდა“. „ᲬᲙᲘᲞᲣᲠᲢᲘᲡ ᲪᲔᲛᲐ: წკიპურტია ცემა ის არი, რო სუფთა, პეწენიკი ადამიანი რო არი და სუ ტანისამოსზე რო იცქირება, მტვერი არ დამეცეა რაო“, ე. ი. ვინც წკიპურტით მტვერს იცლის, ის ყოფილა „წკიპარტა“.

ძნელად ვინმე დაიჯერებს, რომ ქართული სიტყვა „ᲞᲠᲐᲜᲭᲘᲐ“ უკავშირდება სიტყვა „ᲤᲠᲐᲜᲒ“-ს. ფრანგი, რაც საზოგადოდ ევროპელს ნიშნავდა (შდრ. „ურუმი“, რაც რომაელს ნიშნავდა) ქართულში (ალბათ არაბულიდან) „ᲑᲠᲐᲜᲯ“ — ფორმით შემოვიდა. „ქართლის ცხოვრებაში“ ვკითხულობთ: „და აღდგომილ იყვნეს მას ჟამსა ᲑᲠᲐᲜᲯᲜᲘ (სქოლიოში: „მინაწერი: ᲑᲠᲐᲜᲯᲜᲘ ფრანგნი არიან“). ბრძოლად ჰრომთა... (ზაბილონმა) აოტნა ᲑᲠᲐᲜᲯᲜᲘ და შეიპყრა მეფე ᲑᲠᲐᲜᲯᲗᲐ... მაშინ იწყეს ტირილად ᲑᲠᲐᲜᲯᲗᲐ მათ...“ (ქართლის ცხოვრება, 1, 73, 2, 5, 7). „მათ დღეთა შინა მოვიდა წიგნი ჰრომით, წმიდისა პატრიარქისა, ნინოს და მეფესა და ყოველსა ერსა ქართლისასა. და მოავლინა ᲑᲠᲐᲜᲯᲘ დიაკონი ქების შესხმად და კურთხევისა მიცემად ამის ნეტარისა ნინოსგან ლოცვისა წარღებად და მადლსა ზიარებად. აქუნდა წიგნი ᲑᲠᲐᲜᲯᲗᲐ მეფისა ნინოსცა თანა: რამეთუ მამისა მისისაგან ნათელ-ეღო ᲑᲠᲐᲜᲯᲔᲗᲡ (იქვე, 124, 17, 125, 23).

თავდაპირველად „ბრანჭია“ ის იყო, ვინც „იბრანჭებოდა“, ბრანჭივით, უცხოელივით, ევროპელივით იმოსებოდა თუ იქცეოდა. შემდეგ სიტყვა ფონეტიკურად იცვალა (ასეთი ცვალება ბუნებრივია ქართულში!), მნიშვნელობა კი იგივე დარჩა. ქართულში გვაქვს ფონეტიკურად სრულიად უცვლელი იგივე სიტყვა: „ᲤᲠᲐᲜᲒᲓᲔᲑᲐ“ ქართლურსა და კახურში ნიშნავს „ბრაზდება, ცეცხლდება“ („ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი“, შემოკლებით — ქეგლ). დიალექტებში „ᲒᲐᲤᲠᲐᲜᲒᲔᲑᲣᲚᲘ“ გაავებულს, გაბრაზებულს ნიშნავს, ხოლო „ᲒᲐᲤᲠᲐᲜᲒᲘ ᲓᲔᲓᲐᲙᲐᲪᲘ“ კაპასი, აშარი დედაკაცია.

დიალექტებში სიტყვა „ᲑᲠᲐᲜᲯ“ გაუგებარი გამხდარა და „ᲑᲠᲘᲜᲯ“-ად ქცეულა: იმერულში „ᲑᲠᲘᲜᲯᲕᲐ“ გახლავთ „გაბერვა, პრანჭვა“. „რას იბრინჯება — რას იპრანჭება, რას იბერება“ (ბ. წერეთელი, იმერული ლექსიკონი). მივაქციოთ ყურადღება, რომ „ᲤᲠᲐᲜᲒ“ ძირიდან მომდინარე „ᲑᲠᲘᲜᲯ“ და „ᲞᲠᲐᲜᲭ“ ერთმანეთის სინონიმებად იქცნენ! იმავე ლექსიკონში „ᲒᲐᲓᲐᲑᲠᲘᲜᲯᲣᲚᲘ“ არის „გადაპრანჭული, გადაბლენძილი“. გურულში „ᲒᲐᲑᲠᲘᲜᲯᲣᲚᲘ“ გახლავთ „მეტისმეტად მორიდებულად, უხმოდ, უძრავად ყოფნა (ქალისა). „რაფერ სტუმარივით გაბრინჯულხარ“ (გ. შარაშიძე, გურული ლექსიკონი).

ქართლური დიალექტიკის სარეცენზიო ლექსიკონში დასტურდება სტატიები: „ᲘᲑᲠᲘᲜᲯᲔᲑᲐ დიდად მოაქვს თავი, იბლინძება: „ჩამოსულა ქალაქიდან კაკოი, ისე იბრინჯება, იტყვი, მაგი მეტი არავინ წასულა ქალაქშია“. „როცა არაფერი ებადა, მაშინაც ეგრე იბრინჯებოდა ეგა“. „ᲒᲐᲘᲑᲠᲘᲜᲯᲔᲑᲐ გამედიდურდება, გაიბლინძება: „თუ რამე შეიძინა, მაშინ ნახე, როგორ გაიბრინჯოს“. ᲒᲐᲑᲠᲘᲜᲯᲣᲚᲘ: „როგორი გაბრინჯული სიძე ჰყოლია მაშიკოსა, იტყვი, თელი ქვეყანა იმისიაო“.

ჩვენ გვგონია, რომ „იბრანჭება“-ს „იბრინჯება“-დ ქცევას ამავე შინაარსის სხვა სიტყვებმაც შეუწყეს ხელი. ეს სიტყვები გახლავთ „იბრიქება და იბლინძება“.

რაკი „ᲑᲠᲘᲜᲯ“-ფორმა ერთ-ერთი საკვები მარცვლეულის (ბრინჯი) სახელს დაემთხვა, მნიშვნელობის ცვლაც უფრო შორს წავიდა. „ᲑᲠᲘᲜᲯᲕᲐ“ ქიზიყურში გახლავთ „ძალიან ძღომა“: „მაგრე რომ იბრინჯები, განა ბებიაანთასა ხარ?! (სტ. მენთეშაშვილი, ქიზიყური ლექსიკონი). ქიზიყელ მწერალს დ. მაჩხანელს უხმარია ფრაზა: „თურმე კარგა რო გაიბრინჯებოდა ხორაგით მცონარა ლუარსაბი, გადაიშხლართებოდა გულაღმა.. ხალიჩაზე“ (ქეგლ).

განსაკუთრებულ ინტერესს აღძრავს ბიბლიური წარმომავლობის, ე. ი. წიგნური გზით ქართულში დამკვიდრებული ზოგი სიტყვა. როგორც ცნობილია, ბიბლიური ქალაქები ᲡᲝᲓᲝᲛᲘ და ᲒᲝᲛᲝᲠᲘ ცოდვიანი ხალხით იყო დასახლებული. დაბადების წიგნში ვკითხულობთ: „ხოლო კაცნი სოდომთანი ბოროტნი და ცოდვილნი ფრიად წინაშე ღმრთისა“ (დაბ. 13, 13).

სოდომელ მოქალაქეს, სახელად ᲚᲝᲗ-ს, ეწვია ორი ანგელოზი. ლოთი მათ გაუმასპინძლდა. სოდომ-გომორელებმა ანგელოზთა გაუპატიურება მოინდომეს. ღმერთმა იწყინა ეს ამბავი, ლოთი მისი მეუღლე და ორი ასული ქ. სეგორს გაგზავნა, ხოლო სოდომისა და გომორის მოქალაქენი სასტიკად დასაჯა: „და უფალმან აწჳმა სოდომსა და გომორსა ზედა წუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნწუბაჲ და ცეცხლი უფლისა მიერ ზეცით. და დააქცია ყოველნი ესე ქალაქნი და ყოველი სანახები და მოსწყდეს ყოველნი მეფენი მის ქალაქისანი და ყოველი მცენარე მის ქუეყანისა“ (დაბ. 24; 25).

ქართლურში გვქონია ზმნა „ᲛᲝᲐᲡᲝᲓᲝᲛᲔᲑᲡ“ („უქნარას, გაურჯელს გახდის“) და ზმნა „ᲛᲝᲐᲡᲝᲠᲝᲛᲒᲝᲠᲝᲛᲔᲑᲡ“, რაც ნიშნავს: „აიკლებს, აიოხრებს“. იქვეა: „ᲛᲝᲡᲝᲠᲝᲛᲒᲝᲠᲝᲛᲔᲑᲣᲚᲘ“ და „ᲡᲝᲠᲝᲛᲒᲝᲠᲝᲛᲐᲓ აქცევს...“ ცხადია, აქ ბიბლიური სოდომ-გომორია იერშეცვლილი. სხვათა შორის, გურულშიაც დასტურდება „ᲡᲝᲠᲝᲛᲐᲙᲝᲠᲝᲛᲐᲓ ᲥᲪᲔᲕᲐ იავარქმნა, მოსპობა, განადგურება“ (ა. ღლონტი, ქართულ კილოთქმათა სიტყვის კონა).

ბიბლიაში შემდეგ ისიც არის ნათქვამი, რომ ლოთი და მისი ორი ქალიშვილი მთაში წავიდნენ და იქ ცხოვრობდნენ გამოქვაბულში. იქ უფროსმა ქალიშვილმა უთხრა უმცროსს: მამაჩვენის გვარი გადაშენდება, სოდომ-გომორელები მოისპნენ და მამაჩვენიც უძეოდ გადაეგება. „მოვედ და ვასუათ ღჳნოჲ მამასა ჩუენსა და დავწვეთ მის თანა და აღვადგინოთ თესლი მამისაგან ჩუენისა. ასუეს მამასა მათსა ღჳნოჲ მას ღამესა და შევიდა უხუცესი იგი და დაწვა მამისა თჳსისა თანა მას ღამესა. და არა ცნა დაწოლაჲ მისი და აღდგომა მისი... და შვა უხუცესმან მან ძე და უწოდა სახელი მისი მოაბ და თქუა: მამისა ჩემისაგანი. ესე არს მამაჲ მოაბელთა ვიდრე დღენდელად დღემდე. ხოლო შვა უმრწემესმან მანცა ძე და უწოდა სახელი მისი ამან, მეტყუელმან: ძე თესლისაგან მამისა. ესე არს მამაჲ ამანელთა ვიდრე დღენდელად დღემდე“ (დაბ. 32, 33, 37, 38). ხოლო ქართველებმა ისეთ კაცს, ვინც სიმთვრალეში თავისასა და სხვისას ველარ არჩევს ანდა სისტემატურად ითვრება, ᲚᲝᲗᲘ დაარქვეს.. ესეც ბიბლიის კვალია ქართულში...

ისიც საინტერესოა, რომ ერთდროულად არსებობენ უწინარესი, ამოსავალი და მისგან მიღებული ფორმები:

სიტყვა „ᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲘ“ რომ გვაქვს, მასში ნ გვიან გაჩენილია, ძველად „მა-ჭაკ-ალ-ი“ იყო და ეს სიტყვა „ჭაკ“-იდან მომდინარეა. ფშაურ-ხევსურულში „ᲛᲐᲠᲯᲔᲙᲐᲚ-ს ამბობენ. ქართლურში გვქონია „ᲔᲜᲐᲛᲐᲭᲐᲜᲙᲐᲚᲐ ამბისტანია, ჭორიკანა: „ᲔᲜᲐᲭᲐᲠᲢᲐᲚᲐ“ და „ᲔᲜᲐᲛᲐᲭᲐᲢᲐ“ იმავე მნიშვნელობით. „ᲔᲜᲐᲛᲐᲭᲐᲢᲐ — ᲔᲜᲐᲛᲐᲭᲐᲙᲐ (კ-ს აფრიკატიზაცია); უნდა გვქონოდა „ᲔᲜᲐᲛᲐᲭᲐᲠᲢᲐᲚᲐ-ც, რისი „გაცვეთითაც“ („მა“ მარცვლის ამოღებით) მიგვიღია „ᲔᲜᲐᲭᲐᲠᲢᲐᲚᲐ“, რომლითაც ახლა მის ოდინდელ „წინაპარს“, „ენამაჭანკალა“-ს განვმარტავთ (იხ. ზემოთ).

სიტყვის ასეთი „ცვეთა“ დიალექტებში ჩვეულებრივია.

იმავე „ქართლური დიალექტის ლექსიკონშია“ „ᲩᲘᲙᲠᲘᲐ“ („ქარაფშუტა, ჩიტირეკია“), რაც აშკარად „ᲩᲘᲢᲘᲠᲔᲙᲘᲐᲡ“ „გაცვეთილი“ ვარიანტია. ასევე: „ᲨᲐᲛᲮᲐᲚᲐ“ მოდის „ᲨᲐᲕᲮᲐᲚᲐ“-დან, „ᲡᲣᲚᲛᲐᲣᲗᲘ“ („ᲛᲝᲣᲗᲛᲔᲜᲐᲠᲘ, ᲡᲣᲚᲡᲬᲠᲐᲤᲘ“) — „ᲡᲣᲚᲛᲐᲣᲗᲛᲔᲜᲘ“-დან, „ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲐᲜᲝ“ („სახელდახელო“) — „ᲡᲐᲮᲔᲚᲛᲐᲚᲔᲝ“-დან (ეს უკანასკნელი ცოცხალია ხევსურულში)... „ᲓᲘᲓᲑᲐᲘᲥᲣᲠᲐᲓ“ („ტრაბახით, კვეხნით, ბაქიბუქით“) „დიდბაქიურად“-ის სახეცვლილი ფორმაა, „ᲙᲘᲜᲥᲝᲡᲔᲔᲑ“ („ამბობენ მაგარ, მკვრივ კარაქზე“) „ᲠᲙᲘᲜᲐ-ᲥᲕᲐᲡᲔᲔᲑᲠ“-იდან მიგვიღია, „ᲩᲐᲮᲠᲐᲒᲘᲜᲐ, ᲭᲐᲮᲠᲐᲙᲘᲜᲐ ჭარხლისგულიანი ნამცხვარია ოსური „ᲮᲐᲑᲘᲖᲑᲘᲜᲐ“-ს ყაიდაზე ნაწარმოები, „ᲢᲐᲨᲙᲐᲜᲐ“ („გიჟმაჟი, აჭტაჯანა (გოგო, ქალი“) გაუგებარი იქნებოდა, იმავე ქართლურში რომ არ გვქონოდა მისი სინონიმი „ᲢᲐᲨᲙᲐᲠᲐ“, რაც ტაშის-კვრისა და ტაშფანდურის მოყვარულის ბუნებრივი სახელია, „ᲬᲔᲠᲔᲬᲝ“ სოკოს სახელია, მას გვერდზე უდგას იმერული „ᲬᲔᲠᲔᲡᲢᲝ“ (სოკოა) და ხევს. „ᲬᲔᲠᲬᲐ“ (ბუჩქოვანი მცენარეა). ამათი წარმომავლობაც თავსატეხი იქნებოდა, მაგრამ ჯერ კიდევ დიდი საბა გვიწერს: „ᲬᲔᲠᲝᲡ-ᲬᲕᲘᲕᲐ სოკოა ერთი“-ო; „ᲐᲡᲐᲠᲛᲐ“ არის „აზარმაცის საყრდენად გამოყენებული რამ“ და ცხადია, რომ ეს სიტყვა „ᲐᲖᲐᲠᲛᲐᲪᲘᲡ“ „გამარტივებული“ ფორმაა (ც — ნაწილაკად აღუქვამთ და მოუცილებიათ); სრულიად გასაგები სიტყვა „ᲛᲖᲠᲐᲚᲘ“ რატომღაც „ᲫᲚᲐᲕᲠ“-ად ქცეულა. „ᲗᲐᲕᲑᲝᲡᲔᲚᲐ“-ც უცნაური სიტყვაა, მაგრამ გვაქვს სიტყვა „ᲑᲐᲡᲘᲚᲐ“ („საახალწლოდ გამომცხვარი პური კაცის სახისა“, ქეგლ) და გასაგები ხდება, რომ იმ დიდთავა ნამცხვრის მიხედვით დიდი თავის მქონესთვის „თავბასილა“ დაურქმევიათ, რაც შემდეგ „ᲗᲐᲕᲑᲝᲡᲔᲚᲐᲓ“ ქცეულა (შდრ. „ᲗᲝᲯᲘᲜᲐ“, რაც „ᲗᲐᲕᲯᲘᲜᲐ“-დან უნდა მოდიოდეს)...

„ᲝᲠᲗᲝᲓᲔᲜᲐ“-ს [„ძალიან დიდი, ორის ზომისა (ჩვეულებრივ, ადამიანი)“] გვერდზე იმავე მნიშვნელობით იხმარება „ᲝᲠᲗᲐᲓᲝᲜᲐ“, „ᲡᲐᲝᲠᲭᲝᲤᲝ“-ს ნაცვლად — „ᲝᲭᲝᲒᲝᲠᲭᲝ“ და „ᲝᲠᲭᲝᲞᲝᲠᲭᲝ“, რაც, ცხადია „ᲝᲠᲭᲝᲤ-ᲝᲠᲭᲝᲤ“-იდან მოდის. „ᲡᲐᲗᲘᲕᲘᲗᲐᲝ“ (საუკეთესო, რჩეული“) „ᲡᲐᲗᲐᲕᲘᲡᲗᲐᲝ“-ს ვარიანტია, ხოლო „ᲡᲐᲮᲣᲜᲓᲣᲠᲔ“ („საჰაერო, საკვამური“) „ᲡᲐᲮᲣᲚᲔ ᲓᲣᲠᲝ“-დან ჩანს მიღებული („დურო“ ხვრელს, საკომურს ნიშნავს).

არის ტყის ხილი, რომლის ნაყოფსაც გული ფქვილივით აქვს. ლიტერატურულად ამ ხილს „ᲐᲛᲞᲣᲠᲐ“ და „ᲛᲐᲞᲣᲠᲐ“ ეწოდება (რუს. рябина греческая. гусеничник) ხოლო დიალექტებში მისი სახელებია: ᲓᲐᲗᲕᲘᲡ ᲑᲐᲑᲐ (ე. ი. დათვის „პური“), ᲞᲣᲠᲘᲡᲪᲝᲛᲐ, ᲞᲣᲠᲐᲓᲐ, ᲞᲣᲠᲘᲡᲒᲣᲚᲐ, ᲞᲣᲠᲒᲣᲚᲐ ᲡᲐᲞᲣᲠᲔ, ᲡᲐᲛᲞᲣᲠᲐ. სარეცენზიო ლექსიკონში შეტანილია „დათვიბამბა“ და მთხრობელის ნათქვამიდან, რომელიც დოკუმენტად არის მოტა-

ეროვნული

ნილი, აშკარა ხდება, თუ როგორ იქცა „ბაბა“ (პური ბავშვის ენაზე) „ᲑᲐᲛᲑᲐ“-დ: „დათვიბამბა ბუჩქია, როგორც ბამბა, ისეთია ქვემოდანა, ზემოდანა მწვანე აქ“. რაკი ამ მცენარის ფოთოლს ქვედა მხარე თეთრი აქვს, „ბაბა“ „ბამბა“-დ გადააზრიანდა...

უნდა დავიმოწმო ადამიანის უარყოფითად დამახასიათებელი საინტერესო სიტყვები: „ᲡᲐᲪᲔᲠᲐ ქარაფშუტა, მსუბუქი (ადამიანი)“; „ᲑᲐᲮᲘᲓᲣᲚᲘ ჯიუტი, თავისნათქვამი“; „ᲑᲐᲣᲡᲮᲔᲞᲐᲕ-Ი მოუხეშავი, უზრდელი“.

ასეთი სიტყვები ზოგჯერ ზმნიდან არის ნაწარმოები: „ᲑᲐᲠᲓᲣᲙᲔᲢᲐ ჯიუტი, კერპი, გაუგონარი“; „ᲑᲐᲘᲭᲔᲠᲐ ჯიუტი, თავნება“; „ᲑᲐᲐᲭᲔᲜᲐ თავისნათქვამი, ჯიუტი, კერპი“; „ᲛᲘᲙᲕᲘᲠᲘᲐ ვისაც ცოტა რამ უკვირს, მატაოცი“; „ᲛᲘᲓᲔᲑᲐ ჯიუტი, კერპი“; „ᲐᲣᲥᲨᲘᲔ თავქარიანი, ქარაფშუტა“.

ზოგჯერ წინადადებაა ერთ სიტყვად ჩამოქნილი: „ᲓᲐᲯᲔᲑᲫᲐᲜᲔ იტყვიან იმაზე, ვისაც სხვისი ხელით სჩვევია საქმის გაკეთება“ (შდრ. ფშაური ანდაზა: „ბატონობას რა ჭირი უნდა, სჯდოდი და სთქოდიო“); „ᲔᲩᲔᲛᲤᲔᲮᲔᲑᲐ უზრუნველი, უდარდელი (ადამიანი)“, ე. ი. ადამიანი, რომელიც ხშირად ამბობს „ე ჩემ ფეხებს“-ო; „ᲡᲐᲓᲐᲑᲓᲘᲐᲓ უპატრონოდ, უყურადღებოდ“ და ა. შ.

ძალიან საინტერესოა კნინობით-მოფერებითი ფორმები: „ᲗᲐᲤᲮᲣᲠᲐ პატარა თაბახი“, „ᲗᲐᲑᲣᲚᲐ პატარა გობი“, „ᲥᲘᲚᲣᲜᲐ||ᲥᲘᲜᲣᲚᲐ||, ᲥᲘᲜᲪᲣᲚᲐ პატარა ქილა (უყურო)“, „ᲚᲐᲜᲑᲠᲣᲚᲐ მომცრო ლანგარი“, „ᲓᲔᲙᲜᲘᲙᲐ საფურე ხბო წლამდის“, ე. ი. დეკეული, „ᲗᲔᲑᲔᲠᲐ თებერვალში გაჩენილი ძროხის სახელი“ და სხვ.

ყურადღებას იქცევს ზოგი მცდარი, ხალხური ეტიმოლოგიის ნიადაგზე შექმნილი სიტყვა: „ᲢᲣᲩᲔᲑᲡ ᲛᲝᲘᲚᲐᲨᲥᲠᲔᲑᲡ ბევრს, მოურიდებლად ილაპარაკებს“. „ლაშქარი“ აქ, ცხადია, არაფერ შუაშია, დიალექტებში „ᲚᲝᲨᲥᲠᲘ“ ეწოდება ორთქლსა და ქაფს. აი, ეს სიტყვაა აქ ნახმარი (შდრ. „ᲚᲐᲨᲥᲐᲤᲐ დიდპირა“).

„ᲛᲬᲐᲠᲔᲣᲚ-ი, ᲬᲐᲠᲔᲣᲚ-ი, ჭუჭყიანი, უწმინდური (ჭურჭელი...)“ რომ აქ „მწარე“ არაფერ შუაშია. ამაზე მიუთითებს მეორე სტატია: „ᲨᲔᲣᲠᲔᲕ-ს გააბინძურებს, წაბილწავს“. ე. ი. პირველადია „წარეული“

ქართლურში (და ზოგ სხვა დიალექტშიაც) „ᲐᲜᲓᲔᲖᲔ“ ნიშნავს: ალღოთი, გუმანით, ვარაუდით“, მაგრამ უცნაურია, რომ ქართლურში „ᲔᲛᲓᲔᲜᲖᲔ იგივეა, რაც „ა ნ დ ე ზ ე“.

ვაჟა-ფშაველას ერთგან ნახმარი აქვს სიტყვა „ᲥᲣᲚᲤᲐᲗᲘ“, რაც ოჯახის წევრებს, ცოლშვილს ნიშნავს. სიტყვა ერთი შეხედვით უცხო წარმომავლობისა გეჩვენება კაცს, ყოველ შემთხვევაში, ვერაფრით ვერ წარმოიდგენ რომ ამ სიტყვის ძირია „ᲙᲣᲢᲘ“. იმავე „ქართლური დიალექტის ლექსიკონში“ ვკითხულობთ: „ᲙᲣᲢᲛᲐᲢᲔᲑ-ი 1. კუტი პურები; პურის ნამტვრევები 2. პატარა, მცირეწლოვანი შვილები“. „ᲥᲣᲗᲛᲐᲗ-ი ბევრი მცირეწლოვანი შვილი, წვრილშვილი“ და: „ᲥᲣᲠᲤᲐᲗ-ი იგივეა, რაც ქ უ თ მ ა თ ი“. ახლა უკვე გასაგებია, საიდან იღებს სათავეს ვაჟასეული „ᲥᲣᲚᲤᲐᲗᲘ“...

„ᲧᲐᲕᲐᲠᲯᲝᲮᲘ“-ს პირველი მნიშვნელობა ამ ლექსიკონის მიხედვით არის: „დასაბჯენი ჯოხი, ყავარჯენი“. ეს ცნობა „ᲧᲐᲕᲐᲠᲯᲔᲜᲘ“-ს ეტიმოლოგიზირების საშუალებას იძლევა: „ᲧᲐᲕᲐᲠᲘ“ თურქული წარმოშობის სიტყვაა, იქ „ᲙᲐᲕᲐᲠᲐ“ „ნაჭერს“ ნიშნავს. ქართული (დიალექტური) „ᲭᲔᲠᲘ“ (მოჭრილი და გასხეპილი ხე“) „ᲭᲠᲐ“-ს უკავშირდება, დიალექტიკური „ᲙᲔᲡᲘ! ანუ „ᲙᲔᲖᲘ“ („თავხე“) აგრეთვე სომხურ „ᲙᲔᲡᲔᲚ“-ს („ჭრა“) უკავშირდება. ასევე თურქულ „ᲙᲐᲕᲐᲠᲐ“-დან („ჭრა“) მომდინარე „ᲧᲐᲕᲐᲠᲘ“ პირველად იქნებოდა ხის ნაჭერი, ჯოხი. ამდენად, ბუნებრივია, რომ „ყავარჯენი“ გავიაზროთ, როგორც „ყავარბჯენი“, ე. ი. საბჯენი ჯოხი.

ცნობილმა ოსმა ლინგვისტმა ვ. აბაევმა კაიხანია შენიშნა, რომ ალანური სიტყვა „ᲜᲘᲮᲐᲡ“ („ნართების თავშესაყრელი ადგილი, სალაყბო“) რაჭულში შემოსულა „ᲡᲐᲜᲐᲮᲨᲝ“-ს („სა-ᲜᲘᲮᲐᲨ-ო“) სახით. შდრ. ჩაჩნური „ᲑᲐᲐᲮᲝ“ („ლაპარაკობს“), თუშური „ᲑᲔᲮᲕᲜᲔ“, ხევსურული „ᲤᲔᲮᲝᲜᲘ“ ანუ „საფეხვნო“, ფშაური „ᲡᲐᲤᲘᲮᲕᲜᲝ“ („ხალხის თავშესაყარი ადგილი, სალაყბო“). ქართლურში „ᲡᲐᲜᲐᲮᲨᲝ“ „სანახარშო“-დ ქცეულა: „ᲘᲜᲐᲮᲐᲠᲨᲔᲑ-ს ილაპარაკებს, იმუსაიფებს“, „ᲔᲜᲐᲮᲐᲠᲨᲔᲑ-ა ესაუბრება, ემუსაიფება“, „ᲜᲐᲮᲐᲠᲨᲝᲑ-ს ლაპარაკობს, მუსაიფობს“, „ᲛᲝᲘᲜᲐᲮᲐᲠᲨᲔᲑ-ს ცოტა ხანს ილაპარაკებს, ისაუბრებს“...

განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს მონათესავე მეგრულ-ჭანური (ზანური) ენიდან ნასესხები ან მათთან საერთო ზოგი სიტყვა ქართლურში და, საზოგადოდ ქართულში. ქართლში ყოფილა ასეთი საბავშვო თამაში: „ერთი მოთამაშე იკუზება, დანარჩენები სათითაოდ ახტებიან, ზურგზე ქუდებს აწყობენ და იძახიან: „ᲑᲘᲠᲘ ᲮᲐᲠ ᲓᲐ ᲑᲘᲠᲐᲜᲐ“. ქუდებს ისევ გადახტომით იღებენ, ვისაც დაუვარდება, ის იკუზება და თამაში იწყება თავიდან“. ჭანურ-მეგრულად „ᲑᲘᲠᲘᲜᲘ“ ვირს ეწოდება და, მაშასადამე, ეს თამაშიც იქაური „ᲕᲘᲠᲝᲑᲐᲜᲐ“ გახლავთ.

ქართული „ᲪᲘᲮᲔ“-ს (უფრო სწორად — „ᲫᲘᲮᲔ“-ს) შესატყვისი ჭანურ-მეგრულში არის „ᲯᲘᲮᲐ“. აქედან ქართლური „ᲯᲘᲮᲣᲠ-ი სასიმინდე, ძარი“. „ᲯᲘᲮᲣᲠᲘ“ (ᲯᲘᲮ-ურ-ი) სალიტერატურო ქართულისთვისაც არაა უცხო.

„ᲝᲜᲩᲮᲐᲠᲐ“ „ᲮᲠᲘᲐᲚᲐ“ ყოფილა. ცხადია, ეს იგივე „ᲡᲐᲩᲮᲐᲠᲣᲜᲐ“-ა, ოღონდ ზანურად გაფორმებული. შდრ. ქართული „ᲡᲐᲭᲘᲕᲐᲠᲐ“ და ქართულშივე დადასტურებული „ᲝᲭᲘᲝᲠᲘ, ᲝᲭᲘᲝᲠᲐ“ და „ᲝᲠᲭᲘᲝᲠᲐ“, რაც ქართული

ეროვნული
ბიბლიოთეკა

„**საჭივარა**“-ს ზანური შესატყვისია (იხ. ქეგლ).

„**ნაფიჩ**“-ი იგივეა, რაც წ ი ნ ა წ ვ ე რ ი. თონის პური თხელი ნაპირი რომელიც არი, ყუის მოპირდაპირე მხარე, პური ნაფიჩი ის არი“. „მე ნაპიჩი უფრო მიყვარს პურისაი, ვიდრე ყუაი, მაგრა რა, კბილები აღარა მაქ და ნაფიჩი საკნაწუნო არი“. „**პიჯი**“ ქართული „**პირი**“-ს შესატყვისია მეგრულ-ჭანურში ანუ ზანურში და ქართლური „ნაპიჩი“-ც „ნაპიჯი“-დან მომდინარე ზანიზმი ჩანს.

როგორც წიგნის რედაქტორის მ. ჭაბაშვილის წინასიტყვაობაშია შენიშნული, სარეცენზიო ლექსიკონში გარკვეული მიზეზით არ შევიდა ზოგიერთი სიტყვა, თუმცა ფონდში მოიპოვებოდა (სათანადო ილუსტრაციით). თვითონ ლექსიკონის საილუსტრაციო მასალაშიც არის ზოგი სიტყვა, რომელნიც დიალექტიკურ ლექსიკონებსა და ქეგლ-ში არ მოიპოვებიან, სასურველი კი იყო მათი შეტანა. აი, რამდენიმე მათგანი (ხაზგასმით აღვნიშნავთ სათანადო სიტყვას): „რა ვქნა, ვერა ვხდინობ-მეთქი ვიწრო კაბასა, ან მაშინაზე უნდა ავიდე, გზათ მივდივარ, **ანა**!.. „არც არას ამბობს, **არცა**“, „უყურე ამის ნეკრაობასა და იხეთქე გული, არცა ხძომს, „**არცა**“! კაცი რო დაბერდება ძალიანა, აღარც მუშაობა შეუძლია, **ალარცა**, პარეხი ბებერიაო, ვიტყვით“.

„ოჰ, მუშაგულიებს გაუმარჯოს! მგონი სუ **ბადაბულრეთ** იქაობაი!“ „საიდან შახწვდები, **ბანი ტოტებზე** ასხია“; „რო გახმება, იმი ნაყოფი შავდება და გალეწილ დროს პურ შაჲყვება ხოლმე, **გორგოლაჲ** ვეტყვით ჩვენა იმასა“. „იცოცხლე, ეგ **დედაში ჩავარდა**!“ „კიტრი კრეფაა თუ ლობიოს კრეფა, აიწევენ ხომე დედაკაცები კაბი კალთასა, დაიმაგრებენ **ზალტა**შია და ეგე აკალთავებულ კალთაში კრეფენ“. „რა **თავტრედია**, რა თავხოხობი ეს ბავშვი?!“ „გამხდარი ქალი რო არი, **კაკაროტი**, მურწას ვეძახით“.

„ჩამიჩივით დაიმჩაჩა **ლალოდალი** ვაშლი“. რა არის „ლალოდალი“? — ლაგოდახური ჯიშია თუ სხვა რამ, კაცი ვერ გაიგებს. „ი ჩვენებიანთ ტყუჭალასი არ იყვეჲ, ეგე იდებენ თავსა, იტყვი **ქორონიკონი დაუსრულებიათო**“. „დედინაცვალმა რო დაინახა ეთერის აჩქერებული თმები, ახლა თავი **ჯორცხენა** შვილი გაადგო“. „**ჯუჯულა** კაცი რო იქნება, არაფრის გამკეთებელ ის არ არი, ზის შინა და არი ხებესტარი ის არი“...

მასალა ლექსიკონისათვის, როგორც ამას წიგნის დასაწყისში მოცემული ცნობით ვიგებთ, ქართლის სხვადასხვა სოფლებში სხვადასხვა პირებისაგან არის მოპოვებული. სანდოობითა და ფრაზების მოხდენილობით გამოირჩევა მედეა ლაშაურის (სოფ. წილკანი), ლამარა თამარაშვილის (სოფ. მერეთი), მაყვალა მელითაურის (სოფლები: კარალეთი, კარბი, ტყვიავი, ქვეში), ანასტასია შაყულაშვილის (სოფლები: კავთისხევი, კოდისწყარო, ქვემო ხანდაკი) და, რა თქმა უნდა, ლექსიკონის შემდგენელთა მიერ მოპოვებული ლექსიკა.

წიგნს ერთვის ზმნური ერთეულების საყრდენ ფუძეთა ინდექსი. თუ საყრდენ ფუძეთა გამოყოფის პრინციპს ბოლომდე გავყვებოდით, ყველა ნაწარმოები ძირის საყრდენი უნდა გამოგვეყო. მაგალითად, ამ ინდექსში „**კვირ**-“ ძირთან მითითებულია „აკვირებული“. არაფერი დაშავდებოდა აქვე ყოფილიყო: „**მიკვირია**, **მიკვირდანა**, **მაკვირაობა** და სხვ. „**ცდ**“- ძირთან ნაჩვენებია „**წაიცდის**“, მაგრამ არა ჩანს „**მაცადური**“ და ამ ძირის სხვა სიტყვები. ასევე „**მაზნევარი**“-სთვის უნდა შეგვეტანა ინდექსში „**ზნე**“, „**მაქცი**“-სთვის — „**ქც**“, „**მაძლევალისთვის**“ — „**ძლ**-“ და ა. შ.

სამწუხაროდ, ამ ფრიად საჭირო და სასარგებლო წიგნის ტირაჟი (3000) ძალიან ცოტაა და მომხმარებელთა მინიმუმსაც ვერ დააკმაყოფილებს: ქართლური დიალექტი კახურთან ერთად სალიტერატურო ქართული ენის ერთ-ერთი საყრდენი დიალექტია და მისი ლექსიკა განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს.

## როსტომ ჩხეიძე

# საბურველს მიღმა

ბიჯა ლომაძის ვრცელი მოთხრობა „თაბაშირის კაცი“ რომ გამოქვეყნდა, რამდენიმე გვერდის მერე აშკარად შეეტყო, ავტორს წერის ისეთივე მანერა აერჩია, როგორც რამდენიმე წლის წინ გამოქვეყნებულ ასევე ვრცელ მოთხრობაში „კაცი გალავანზე“.

წერის ეს მანერა ჰქმნის, თუ შეიძლება ასე ითქვას, თხრობის ერთგვარ მოზაიკურ ქარგას, რომელიც ზოგადად, ორიოდე სიტყვით ამგვარად შეიძლება დახასიათდეს:

ძირითადი სიუჟეტური ხაზის, მთავარი ამბის ირგვლივ თავმოყრილია უამრავი ცალკეული ეპიზოდი, უამრავი ცალკეული სურათი, რომლებიც ერთბაშად და თან ისე დაშლილი, დანაკუწებული სახით წარმოგვიდგებიან, რომ ერთი შეხედვით შთაბეჭდილება რჩება, თითქოს არც ერთმანეთთან ჰქონდეთ უშუალო კავშირი და არც ძირითად ამბავთან. ეს ერთი შეხედვით, რა თქმა უნდა. ისინი არც მეორე სიუჟეტურ ხაზს ამთლიანებენ, თუ არ ჩავთვლით „თაბაშირის კაცის“ ერთ ნაწილს, — ირაკლი ხავთასის აგარაკზე მოწყობილი ქეიფის აღწერა და მანონ ლასაურას შინ დაბრუნება, — რომელიც ძირითადი ამბის განმარტება და თავისებური ვარიაცია უფროა, ვიდრე მეორე სიუჟეტური ხაზი. ამ ეპიზოდებში, ამ სურათებში ჩნდება მრავალი პერსონაჟი, სულ ახალი და ახალი ხალხი, სახელიანები („თაბაშირის კაცი“) თუ უსახელონი („კაცი გალავანზე“), განსხვავებული ასაკის, საზოგადოებრივი მდგომარეობის, ფსიქიკის, ზნეობის, — ზნეობა ირონიულადაც კი ჟღერს. რადგან უმეტესობა ეპიზოდური პერსონაჟებისა, განსაკუთრებით ეს ითქმის „თაბაშირის კაცზე“ უზნეო და გადაგვარებულია, — აზროვნების, მსოფლმხედველობის, ტკივილის ადამიანები, ცოცხალნი თუ მიცვალებულნი, თავიანთი ცხოვრებისა თუ ტრაგიკული აღსასრულის რომელიმე პაწია, სულ მცირე მონაკვეთში თუ ცალკეულ მონაკვეთებში და როგორც უეცრადაც ჩნდებიან, ასევე უეცრად ეფარებიან თვალს; და ჩვენც ისევე აღვიქვამთ, როგორც ამ ცალკეულ მონაკვეთებში მოჩანან.

ამ ცალკეულ ჩართულ ეპიზოდებს, მე ასე მგონია, ავტორის ჩანაფიქრით, ის დანიშნულება აკისრიათ, რომ ძირითადი ამბავი უფრო გამოჰკვეთონ, ახსნან, განმარტონ, დაასრულონ; ძირითადმა სიუჟეტურმა ხაზმა, მთავარმა ამბავმა, რომელიც დანაწევრებულია და ხშირად წყდება, რათა ჩართული ეპიზოდები შეირწყოს, ისე უნდა მოირგოს ისინი, რომ სწორედ დასრულებულ, მთლიან მოთხრობად იქცეს.

თუმცა ჯერ ჯობდა ერთი რამ დაგვეზუსტებინა:

ე პ ი ზ ო დ ს ჩართული მონაკვეთების გამაერთიანებელ ტერმინად ვხმარობ, პირობით ტერმინად, რადგან ეს ჩართული მონაკვეთები ხხვადასხვა სახისაა, მეტსაც ვიტყვი, სხვადასხვა ჟანრისაა და მსჯელობისას , გამაერთიანებელი სახელი აუცილებლად ესაჭიროებათ.

უფრო ადრეულ მოთხრობაში, „კაცი გალავანზე“, ეპიზოდები ერთ ჩვეულებრივი ზომის აბზაცშიც ეტევა; ესაა უეცარი შთაბეჭდილება, ორიოდე წამში გამკრთალი ამბავი, არც წინ უძღვის რაიმე, არც გრძელდება. საილუსტრაციოდ ნიმუშების მოტანა ალბათ არ ღირს, მკითხველი ისედაც იოლად გაიხსენებს ზოგიერთს მაინც, რადგან ამგვარი ადგილები მოთხრობაში საკმაოდაა.

ერთ ადგილს კი, ნაწარმოების ფინალს, რადგან დიდი არაა, მთლიანად მოვიტან:

— ნახე? ცას ვარსკვლავი მოწყდა! — უთხრა ძველი ციხის ნანგრევებთან განმარტოებულმა ვაჟმა ქალიშვილს.

— სად? — ქალიშვილმა გაღმა, სერზე დანთებულ კოცონს მზერა მოსწყვიტა.

— უკვე გაუჩინარდა...

— რამის ჩაფიქრება თუ მოასწარი?

ეროვნული
ბიბლიოთეკა

— ჰო, — მოეხვია ვაჟი, — სულ ერთად ვიყოთ-მეთქი, ის ვინატრე!..“

მოთხრობაში ადრეცა ნახსენები ვაჟი და ქალიშვილი („ჭადრების ჩრდილში გრძელ, ცისფერ სკამზე ისხდნენ, ქალიშვილს თავი დაეხარა. ყურთან ვაჟის სუნთქვას გრძნობდა, სხეულში თბილი, ხავერდოვანი ნისლი ეღვრებოდა. ვაჟი თავდავიწყებით უხსნიდა რაღაცას, ქალიშვილს იგი უყვარდა...“) და მოთხრობის ფინალში შესაძლოა ისევ ისინი იყვნენ, თუმცა ეს მინიშნებული არაა, როგორც, ვთქვათ, სასტუმროს 705-ე ნომრის აღწერისას (ეს ერთადერთი ჩართული მონაკვეთია მოთხრობაში „კაცი გალავანზე“, რომელიც გაწყვეტილია), სადაც რამდენიმე აბზაცის შემდეგ კვლავ მეორდება:

„— გტკივა? — ისევ ეკითხებოდა 705-ე ნომერში ახალგაზრდა კაცი“.

მოთხრობის ფინალური ეპიზოდის, — რომელიც დასრულებული მინიატურის შთაბეჭდილებას სტოვებს არა მარტო ფაქიზი ლირიზმით, არამედ რამდენიმე ფრაზის მეშვეობით ხასიათების ოსტატური ხატვითაც, — კიდევ ერთი ღირსება ისიცაა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ის არა მხოლოდ ჰკრავს და აგვირგვინებს მთელ მოთხრობას, არამედ მთელი მოთხრობის განმარტებაცაა, მისი აზრობრივი გასაღებია. ყოველ შემთხვევაში, მე ასე გავიგე.

ეს მინიატურა ჰკრავს, ამთლიანებს და განმარტავს პირველ მოთხრობას, „კაცი გალავანზე“, ხოლო მეორეს, „თაბაშირის კაცი“, ბუნებრივია, ვერ გაამთლიანებს, მაგრამ განმარტებით განმარტავს, მისი მეშვეობით ძირითად ამბავს გარკვეული მოტივირება ეძებნება.

„თაბაშირის კაცში“ წერის მანერა წინა მოთხრობასთან შედარებით კიდევ უფრო გართულებულია.

აქ მთავარი ამბის გარდა დანაწევრებულია ჩართული ეპიზოდებიც, რომელთაგანაც რამდენიმე, ადრეული მოთხრობისაგან განსხვავებით, უკვე დამოუკიდებელი ნოველის შთაბეჭდილებას ახდენს, რამდენიმე კი თითო წინადადებითაა მოთხრობილი. ვთქვათ, ასე:

„ერთ-ერთი უბნის ჩაბნელებულ ჩიხში ვიღაცა ვიღაცასთან ანგარიშს ასწორებდა ბასრი დანით“.

„რომელიღაც სახლში მოწოლილ ცოდვებს ებრძოდა მბორგავი მომაკვდავი“.

„მაღალი სახლის სახურავზე ამძვრალიყო პატარა ბიჭი სამოსწავლო ტელესკოპით და სამყაროს ჭვრეტდა“.

დამოუკიდებელ ნოველებად სამი პიროვნების ეპიზოდის გამოყოფა შეიძლება:

პროფესიონალი ქურდი გრიშა ამბოკაძე;

ბულალტერი მელიტონ მალულარია;

არქიტექტორი გურამ საგინაშვილი (ეს ნოველა-ეპიზოდი განსაკუთრებულ სიახლოვეს ამჟღავნებს ნოველების ციკლთან „დედები და მამები“, უკანასკნელ ხანებში რომ გამოქვეყნდა).

წინა მოთხრობისაგან განსხვავებით „თაბაშირის კაცში“ ეპიზოდები უფრო მეტიცაა, უფრო ვრცელიც. პიროვნების დახასიათება აქ ერთ უეცარ შთაბეჭდილებაზე მეტია.

ერთიც უნდა ითქვას:

პირველ მოთხრობაში არც ერთ პერსონაჟს სახელი არა აქვს. არც მთავარ გმირებს (კაცი, ქალი, ბავშვი — ხეიბარი ბიჭუნა), არც ეპიზოდურ პერსონაჟებს. ერთადერთი გამონაკლისია დალილა, პატარა ბიჭის დედინაცვალი, რომელსაც მხოლოდ ბიჭის მონათხრობით ვეცნობით. ისინი ყველა ქართველები არიან, გარდა სამი ახალგაზრდა იაპონელისა თუ კორეელისა („უფრო იაპონელისა“), ამერიკელი ტურისტისა და დედაქალაქის სტუმარ ორი ჩასუქებული, გაურკვეველი ეროვნების ქალისა, ყოველ შემთხვევაში დანარჩენებზე არსადაა მინიშნება, რომ სხვა ეროვნებისანი იყვნენ. მოთხრობაში აღწერილი გარემო, ყოფა ქართულია, ჩვენი თანამედროვე ყოფაა. „თაბაშირის კაცში“ რამდენიმე ეპიზოდური პერსონაჟისა და „თაბაშირის კაცად“ წოდებული მთავარი გმირის გარდა სახელი ყველას ჰქვია; მეჩვენება, ავტორს იმისი თქმა უნდა, რომ ამდენ სახელში დაიკარგა თაბაშირის კაცის ნამდვილი სახელი. აქაც დღევანდელი ყოფა, ჩვენი გარემოა წარმოდგენილი. ამას ავტორი პირველ მოთხრობასთან შედარებით კიდევ უფრო გამოჰკვეთს. მოთხრობაში აღწერილი დიდი ქალაქი, — „ქუჩებით. მოედნებით, შუაზე გამკვეთი მდინარით და მასზე გადებული ხიდებით, ძეგლებით, შადრევნებით... მდებარეობა — ზღვის დონიდან ხუთას ათი მეტრი. ჰავა — ზომიერი, ატმოსფერული ნალექები „800-მმ. წელიწადში. მოსახლეობა — მილიონ ორას ოცდათორმეტი ათასი, 59 ეროვნების წარმომადგენელი. დაარსების თარიღი — ძველი წელთაღრიცხვის მეორე-მესამე საუკუნე“, თუმცა ავტორი პირდაპირ არ მიუთითებს. — მაგრამ ძნელი ამოსაცნობი არაა, რომ თბილისია. ყოფას, გარემოს ეს ეპიზოდური პერსონაჟები წარმოგვიდგენენ. ისინი ჰქმნიან მოთხრობის მოზაიკურ ქარგას, რაც სწორედ გარემოს გვიჩვენებს.

რა თქმა უნდა, მთავარ ამბავს ესაჭიროება ეს ეპიზოდები, რათა უფრო გამოიკვეთოს და დასრულდეს, რაიმეს განმარტება, დაზუსტება რომ არ სჭირდებოდეს და ჩართული მო-

---

როსტომ ჩხეიძე
საბურველს მიღმა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნაკვეთები სწორედ ამიტომ არ იყოს მოხმობილი, მაშინ ეს მონაკვეთები სრულიად უსარგებლონი იქნებიან და, ამდენად, ნაწარმოების ძირითადი ქსოვილისათვის — ზედმეტნი. მაგრამ მთავარი ამბავისათვის აუცილებელია გარკვეული მთლიანობა, რათა ცალკეულ ეპიზოდებში არ ჩაიკარგოს და გაითქვიფოს, მითუმეტეს, თუ ჩართული ეპიზოდები თვითონვე ახდენენ დამოუკიდებელი ნოველის შთაბეჭდილებას. ძირითადი სიუჟეტური ხაზის შინაგანმა მთლიანობამ, — გარეგნულ დანაწევრებას არსებითი მნიშვნელობა არა აქვს, — უნდა შემოიკრიბოს და შეირწყოს გაელვებასავით ჩავლილი ეპიზოდები.

ამ თვალსაზრისით თუ განვიხილავთ „კაცი გალავანზე“ უფრო მთლიანი და დასრულებული ჩანს, ვიდრე „თაბაშირის კაცი“, რადგან პირველში ძირითადი ამბავია უფრო მთლიანი და დასრულებული; ჩართული ეპიზოდები აქ უფრო სტილური ხერხია, სტილური საშუალება, რათა მთავარი სიუჟეტური ხაზი მეტად გამოჰკვეთოს. „თაბაშირის კაცში“ კი ძირითადი ამბავი ვერ ჰქმნის მთავარ ღერძს, ამბავიც პირობითად უფრო ჰქვია. მას ის შინაგანი მთლიანობა არ გააჩნია, რაც მოთხრობის, „კაცი გალავანზე“ მთავარ სიუჟეტს. მითუმეტეს ის სამი ნოველა-ეპიზოდი, ზემოთ რომ ვახსენე (გრიშა ამბოკაძის, მელიტონ მალულარისა და გურამ საგინაშვილის პორტრეტები) და მათგან განსაკუთრებით გრიშა ამბოკაძის ეპიზოდი, თხრობის ძირითად ხაზს აშკარად თუ არა მაინც ჩრდილავს სწორედ მთლიანობით: ეს ეპიზოდები უფრო დინამიურია, უფრო მოტივირებული, გმირთა ხასიათები უკეთაა წარმოჩენილი, და, ამდენად, უფრო დასრულებულ შთაბეჭდილებას ახდენენ.

ამ სამ ნოველა-ეპიზოდს, და ვიმეორებ, განსაკუთრებით მაინც გრიშა ამბოკაძის ეპიზოდს, შეუძლიათ თვითონვე გასწიონ მთავარი ამბის მაგივრობა, ეს კი მთავარ ამბავს უკარგავს, მხატვრული სრულყოფილება რომ აღარ ვთქვა, თავის ძირითად დანიშნულებას — შემოიკრიბოს და შეირწყოს ჩართული ეპიზოდები. ჩართული მონაკვეთები და შემოკრების ნაცვლად თვითონვე კიდევ უფრო ნაწევრდება და ფერმკრთალდება.

როცა ჩართული ეპიზოდები დამოუკიდებელი ნოველებივითაა, მაშინ განსაკუთრებით ესაჭიროება ძირითად ამბავს შერჩევა, — ეს, რა თქმა უნდა მხოლოდ ამ მოთხრობას არ ეხება, — ეპიზოდებში რომ არ ჩაიკარგოს და გაითქვიფოს; ან ეპიზოდები შეირჩეს ისე, რომ ძირითად ამბავს არ ავნოს, არ დაჩრდილოს მთავარი სიუჟეტური ხაზი.

„თაბაშირის კაცში“ ჩართული ნოველები მთავარი ამბის ერთგვარ დაუსრულებლობას კიდევ უფრო მკაფიოს ხდიან, თუმცა [illegible] თავადაც ამ მოთხრობაში მთავარი ამბავი ვერ არის ისეთი მთლიანი და დასრულებული, როგორც მოთხრობაში „კაცი გალავანზე“.

ამ მოთხრობამ ისე მოირგო ჩართული ეპიზოდები, ძირითადი ამბავი არ დაზიანებულა, პირიქით, კიდევ უფრო გამოიკვეთა და დასრულდა.

„სულ ერთად ვიყოთ-მეთქი, ის ვინატრე“, — ამ სიტყვებით მთავრდება ჩართული ეპიზოდი-მინიატურა და ამ სიტყვებითვე მთავრდება მთელი მოთხრობა „კაცი გალავანზე“. ყველაზე მთავარი ნატვრა, რაც შეიძლება მოწყვეტილ ვარსკვლავს ჩაუთქვა ერთად ყოფნის სურვილია, გაუნელებელი სურვილი. სწორედ ეს ერთად ყოფნის, მარტოობისაგან თავის დაღწევის წადილია მთელი მოთხრობის ქვაკუთხედი. ამ სურვილს, ამ წადილს მიჰყავს კაცი ბავშვთან, პატარა, ხეიბარ ბიჭუნასთან. ეს მოულოდნელი, შემთხვევითი, საიდუმლონარევი შეხვედრა შთააგონებს კაცს დაწეროს, რაც გალავანს მიღმა ხდება, რის დაწერასაც „ბევრი ეცადა, მაგრამ ბოლომდე ვერავინ შეძლო“.

კაცი პირველად გრძნობს, რომ მარტო აღარაა, მას ვიღაც ელის. შეთანხმებისამებრ დათქმულ დროს ბიჭს უნდა შეხვდეს. მოლოდინის მძაფრი შეგრძნება კაცს უკვე ყოველთვის სდევს.

და კაცი, რომელსაც მოთხრობის დასაწყისში ამგვარად ვეცნობით: „ისევ ოცი წლის ჭაბუკად თვლიდა თავს, არავინ ჰყავდა ახაკის სიმძიმე რომ ეგრძნო. მარტოხელა იყო“ ბიჭის გაცნობის შემდეგ იგრძნობს ახაკის სიმძიმესაც და მარტოობისაგან თავის დაღწევის აუტანელ სურვილსაც — „კაცს უცებ ბიჭის მამობა მოუნდა. ყველა ოცნებას დასთმობდა, ოღონდ ამ ბიჭის მამა ყოფილიყო“.

ის, რასაც ცხადში ვერ აისრულებს, კაცი თავს ოცნებით ინუგეშებს.

„— შვილი დამეკარგაო, სულ იმას ამბობდი. მართლა გყავს შვილი?

— კი, — თავი დაიქნია კაცმა“.

კაცისა და ქალის შეხვედრაც შემთხვევითია. თუ კაცი მოულოდნელად შედის ცისფერი ალაყაფით ჩარაზულ ბაღში, ვარდის დამათრობელი, მოტკბო სუნი შეიყოლიებს, თავისთვის მოულოდნელად და ბიჭუნასთვისაც მოულოდნელად, ასევე მოულოდნელია ქალთან შეხვედრაც. მანამდე რა მოხდა კაცს აღარ ახსოვს, მერე კი — „გაოცებული შედგა კარებში. მის ლოგინში ვიღაც იწვა. კაცი უტყვად მიაჩერდა. ქალს ხელები თავქვეშ ამოედო, შიშველი მხრები უჩანდა, მშვიდად სუნთქავდა“.

კაცის, ბავშვისა და ქალის ურთიერთობაში გამოვლენილი მოლოდინის გრძნობა, ავსებს მათ გარშემო არსებულ სიცარიელეს. ამი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტომ შეიგრძნობს მძაფრად კაცი ბიჭის მოლოდინს იქაც კი, სადაც ხეიბარი ბიჭუნა არ შეიძლება იყოს. კაცი ოცნებით ყოველთვის ბიჭთან მიდის, ბიჭთან ბრუნდება.

„— მერე ქალაქგარეთ ვაპირებდით წასვლას. შენ კი დაიყინე, გინდა თუ არა, სახლში უნდა მივიდეო, ბიჭი მელისო, მანქანიდან ხტებოდი", ეტყვის მოგვიანებით ქალი.

ბიჭსაც არა მარტო რეალური ურთიერთობა აქვს კაცთან — „ვარდების მოყვარულ ყაჩაღთან" — არამედ ძილშიც კი ის ესიზმრება. („...სახლში ხეიბარ ბიჭუნას ეძინა. ნათურა ანთებული დარჩენოდა. ცისფერყდიანი რემინგტონზე ნაბეჭდი წიგნი საწოლიდან ჩამოცურებულიყო. ბიჭს გალავანზე შემდგარი კაცი ესიზმრებოდა და ძილში იცინოდა") და მისი ხილვით მოგვრილი სიხარული სულ სხვა ელფერს სძენდა ცივი გალავნით გარშემორტყმულ ბაღს.

ქალიც კი, რომელიც კაცს ისევე უყურებს, როგორც სხვა მამაკაცებს — „თქვენ ყველანი ღორები ხართ! ბინძური, ბილწი ღორები" და ამის შეგრძნება წყვეტს ადამიანებს („— არა! მე ვერ გიტან! ვერავის ვიტან! ყველა ჩემი მტერია! მთელი სამყარო ჩემი მტერია...") მასთან ურთიერთობისას პირველად იგრძნობს თავის ყოფის უბადრუკობას („—არ ვარ მე სამაგისო!"), შინ დაბრუნებაც პირველად მაშინ მოენატრება (— არ ვიცი, ალბათ სახლში, ჩემებთან"... და ეს „ალბათ" ადამიანებთან დაბრუნების პირველი, ჯერ ბოლომდე გაუცნობიერებელი პირველი იმპულსია) და მოლოდინის გრძნობითაც პირველად მაშინ ავსება.

ქალი ფანჯარასთან დგას და კაცს ელოდება. ბიჭუნას სძინავს და სიზმარშიც კაცს ხედავს. კაცი ბიჭის გაცნობის მერე პირველად იგრძნობს, რომ მარტო აღარაა, რომ ვიღაც ელის.

მთავარ ამბავს მოლოდინის გრძნობა ამთლიანებს, ამთლიანებს ერთად ყოფნის სურვილი და ამიტომაც მოხდევს მომლოდინე ქალისა და ბიჭის სურათებს ფინალური მინიატურა, სადაც ყველაზე ღრმა ოცნება ერთად ყოფნის ნატვრადაა გამჟღავნებული.

მარტოობისაგან ცდილობს თავის დაღწევას „თაბაშირის კაცის" მთავარი გმირიც, რომელიც ალალბედზე რეკავს ნაშუაღამევს, როცა მარტოობას ყველაზე მეტად შეიგრძნობს („ —მარტო ვარ, ნაშუაღამევს კი უფრო ვგრძნობ მარტოობას, როგორც ნიჩბებდალეწილი ნავი ფიქრთა იდუმალებით სავსე ოკეანეში...) და მარტოობაში კი მთელ საზოგადოებას ადანაშაულებს.

„— თქვენ სუყველამ მარტოობა მომისაჯეთ! — მშვიდად თქვა უცნობმა".

თაბაშირის კაცის მარტოობას განაპირობებს ის ფილისტერული საზოგადოება, ასე ნაწილ-ნაწილ, ცალკეულ ეპიზოდებში, ცალკეულ სურათებში რომაა წარმოდგენილი.

როცა ამას გავითვალისწინებთ, ნათელი გახდება, რომ მცდარი ყოფილა ის გარეგნული შთაბეჭდილება, თითქოს ამ ეპიზოდებს არც ერთმანეთთან ჰქონდეს რაიმე კავშირი და არც ძირითად ამბავთან.

პირველ მოთხრობაში, „კაცი გალავანზე", ჩართული ეპიზოდები გალავნის მიღმა სამყაროს გვიჩვენებენ, უეცარ, რამდენიმე წამში გამკრთალ სახეებს; ამ სამყაროს აღწერას ცდილობს კაცი, აღსაწერად კი შინაგანი ბუნების, არსის წვდომაა საჭირო; საჭიროა ამ ჩაქროლილი ეპიზოდების ერთ მთლიანობაში გააზრება.

მოთხრობის ერთ ადგილას კაცზე ნათქვამია:

„ჭოგრიტიდან ყურება კაცს ყველაზე მეტად ართობდა; თითქოს საბურველს ხდიდა სახლებსა და ქუჩებში მოსიარულე ადამიანებს".

ეს „თითქოს" ადამიანის შინაგან ბუნებაში წვდომის სურვილია, ჯერ მხოლოდ სურვილი, რათა ბიჭის გაცნობის მერე ეს სურვილი კიდევ უფრო გამოიკვეთოს და შემოქმედის ტკივილად იქცეს.

თვითონ თხრობის ხერხს, წერის მანერას რაც შეეხება, თუმცა ორივე მოთხრობა ერთი მანერითაა დაწერილი, ეს არც ერთ მოთხრობას ღირსებას არ უკარგავს; ყოველ შემთხვევაში მე ამგვარი შთაბეჭდილება მრჩება. ცალკეული ეპიზოდების სიძლიერე კი ასევე ძლიერ და გამოკვეთილ ძირითად ამბავს საჭიროებს, რათა საბურველის მიღმა ადამიანური ყოფის მომხიბვლელობასა თუ უბადრუკობას უკეთ ჩავწვდეთ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლევან ბრეგაძე

# „გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი"

ვახტანგ ხარჩილავას ლექსებში, რომლებიც მის პირველ კრებულშია დასტამბული („ალტერნატივა", „მერანი", 1979), შეინიშნება ძლიერი მიდრეკილება პარადოქსული აზროვნებისადმი. პარადოქსი ხშირად ლექსის პირველსავე სტრიქონშია მოცემული და ამის გამო ნაწარმოები თავიდანვე მძლავრად იპყრობს მკითხველის ყურადღებას. ვნახოთ ამ თვალსაზრისით საინტერესო რამდენიმე ლექსის დასაწყისი: „კითხვები ყველგან: კითხვა პასუხში, კითხვა ფიქრში და თვითონ კითხვაში", ან: „მხედავენ ცხადად, მაინც მეძებენ, ვისთვის აქ ვარ და მაინც არა ვარ", ან კიდევ: „ყველამ არ იცის, რომ ღამეც დღეა...", ან თუნდაც ეს: „თუ გსურს სიმართლე გაიგო, ჩემგან, მისმინე მაშინ, როდესაც ვდუმვარ".

ასეთი მიმართების შედეგად ყველაზე ნაცნობი და ჩვეულებრივი საგნებიც კი უჩვეულო შუქით განათებული წარმოდგებიან ჩვენს წინაშე, ყოველდღიურობის დაღით აღბეჭდილი მოვლენა მოულოდნელად იდუმალების შარავანდედით იმოსება. საერთოდ, პოეტური სიტყვა, ალბათ სწორედ იმისთვისაა მოწოდებული, რომ შეჩვეული უჩვეულო კუთხით წარმოგვიჩინოს, თითქოს ძირისძირამდე ნაცნობი მოვლენა გაგვიუცხოოს, ახლებურად შეგვახედოს მისთვის, მისი პირველხილვის ილუზია შეგვიქმნას, ან, სხვანაირად: გაგვიქარწყლოს ილუზია, თითქოს მოვლენას, რომელსაც ყოველდღე ვხედავთ, მეტისმეტად კარგად ვიცნობდეთ. როგორ ფლობს ამ უნარს ვ. ხარჩილავა, კარგად ჩანს ერთი მისი უსათაურო ლექსიდან, რომელიც დღისა და ღამის მონაცვლეობაზეა დაწერილი. რა უნდა იყოს იმაზე უფრო ჩვეულებრივი, ბანალური, ყოველდღიური (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით!), ვიდრე ის, რომ გათენებას დაღამება მოსდევს და პირიქით, რასაც ისე ვეჩვევით, რომ ძნელია ამ მოვლენის მიმართ ემოციური დამოკიდებულების შენარჩუნება. ამ ლექსის კითხვისას კი ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს პირველად ვესწრებოდეთ გათენება-დაღამების დიდ მისტერიას:

„ყველამ არ იცის, რომ ღამეც დღეა, იგივე დღეა, დილით მოსული, ოღონდ ნამგზავრი და დაქანცული, აწ დაბინდული და მარტოსული. ის დღეა, მაგრამ ახლა ფერს იცვლის და ხვალ დილამდე ღამე იქნება, დღესაც სჭირდება განმარტოება, განმარტოება და დაფიქრება. ის გამოისხამს ფიქრს ვარსკვლავებად და ჩავლილ წუთებს თვალს მიადევნებს, და მიიძინებს, რომ ხვალისათვის უფრო ლამაზ და კარგ დღედ გათენდეს".

ქართულ კრიტიკაში უკვე ითქვა ვახტანგ ხარჩილავას პოეზიის დრამატიზმზე. ზოგიერთ მის ლექსში დრამატიზმს კონფლიქტი ქმნის (რაც არ უნდა უცნაურად ჟღერდეს სიტყვა კონფლიქტი ლირიკულ ნაწარმოებთან მიმართებაში!). მაგალითად, კრებულის ერთ-ერთი საუკეთესო უსათაურო ლექსის კონფლიქტს შეადგენს დაპირისპირება ცხოვრების „პოეზიასა" და ცხოვრების „პროზას" შორის. სიყვარულის რომანტიკა ოჯახური ყოველდღიურობით იცვლება: „ცაში ვიყავით, დღეს ჩვენს ოცნებას მოეღო ბოლო. ვბრუნდებით უკვე ატირებული ანგელოსები თავსაფრებივით გვიქნევენ ღრუბლებს", „ჩვენ ცის მინდორზე ვეხეტებოდით და იებივით ვარსკვლავებს ვკრეფდით", „მაგრამ ცოტახნით, ძლიერ ცოტახნით თუ შეიძლება ამაღლდე ცამდის. მერე საკანი — ვიწრო ოთახი. ოთახში ორი ბუზღუნა ლანდი", „მე მაშინ ალბათ ვგავდი მეფისწულს, შენ ღრუბლის კაბა გეცვა ახალი. ცაში გავფრინდით ლურჯი ფრთებისთვის, მაგრამ დავბრუნდით ბარგი-ბარხანით".

რომანტიკული ილუზიების მსხვრევა ლექსის ლირიკულ გმირში იწვევს სინანულს, მაგრამ არა სასოწარკვეთას ამას ნათლად გვაგრძნობინებს ის მსუბუქი თვითირონია, რითაც ეს ლექსია გამსჭვალული. ფინალი ასეთია: „გათავდა. მიწა შეგვრჩა იმედად, ბოლო ღამემდე აქ უნდა ვენთოთ. და მხოლოდ ზოგჯერ თუ ავიხედავთ ზეცისკენ, სადაც ვცხოვრობდით ერთ დროს".

მკითხველი გრძნობს, რომ ეს „ზოგჯერ" ზეცისაკენ ახედვის უნარი, რაზეც თითქოს სხვათა შორის არის ლექსის ბოლოს საუბარი, ის ძვირფასი მემკვიდრეობაა, რაც რომანტიკული დღეებიდან გადარჩა და რამაც ყოფის ერთფეროვნება უნდა გაალამაზოს.

ძნელი არ არის დრამატიზმის მიღწევა ისეთ თემაზე დაწერილ ლექსში, როგორიც არის „კორიდა" („მინაწერი ნ. დუმბაძის მოთხრობაზე „კორიდა"), და ვ. ხარჩილავა აქ წარმატებით აღწევს მიზანს, მაგრამ მას უნარი შესწევს დრამატული მუხტი შეიტანოს, ან, უფრო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ზუსტად, აღმოაჩინოს თვით ყველაზე უბრალო, ჩვეულებრივ და ყოველდღიურ ურთიერთობებშიც კი. ასეთ დროს მკაფიოდ ვგრძნობთ პოეტის მახვილი თვალის მზერას, ეს მზერა არ ჩერდება მოვლენის ზედაპირზე, სიღრმისკენ მიილტვის, მოვლენის შინაგან წინააღმდეგობას წვდება. ამისი კარგი მაგალითია კრებულში შესული უსათაურო ლექსი, რომელიც ასე იწყება: „მხედავენ ცხადად, მაინც მეძებენ, ვისთვის აქ ვარ და მაინც არა ვარ". შემდეგ:

„მეძებენ ლექსში, სიტყვა-პასუხში, სიყვარულში და მეგობრობაში, მეძებენ, როგორც მოგზაურები ცხელ უდაბნოში ცისფერ ოაზისს. ზოგი თვალებში მიმზერს ჯიუტად, რომ გამომიცნოს უცბათ თვალებით, სასიყვარულო წერილებში კი მჩხრეკენ, მეძებენ ხოლმე ქალები, მიჯაფრდებიან: — იქნებ ღიმილით გავთქვა თავი და მიცნონ როგორმე, შემომიმტვრიონ ლამის კარები დიდი ხნის წინათ რომ ამოვქოლე. უნდა მიპოვონ ბოლოსდაბოლოს, სურთ ყველაფერი დღესვე გაიგონ, გამომიყვანონ მზის სინათლეზე, დამადგინონ და დამათარილონ".

ამ სტრიქონებში ძნელი შესამჩნევი არ არის გაღიზიანებული ტონი, რაც თავდაპირველად, ცოტა არ იყოს, შემაცბუნებელ შთაბეჭდილებასაც კი ტოვებს, რადგან მათ, ვისაც ეს სიტყვები მიემართებათ, არსებითად, არაფერი დაუშავებიათ ავტორისათვის, ძალიან ზოგადად თუ ვიტყვით, პოეტის სულიერ სამყაროსთან მიახლოება უცდიათ მხოლოდ და მეტი არაფერი. პოეტის აღელვების ნამდვილი მიზეზი, მისი მოულოდნელი გაცხარების საფუძველთა საფუძველი ლექსის ფინალში მჟღავნდება: „მე სხვებს რა ვუთხრა, როცა თვითონაც არ ვიცი სად ვარ ანდა ვინა ვარ..." და ბოლოს:

„როცა თვითონაც ჩემს თავს დავეძებ, ვყვირი, ვეძახი, ვდგები, ვეცემი, ვნახავ. მივრბივარ, წლებიც მირბიან, ისიც თან მიჰყავთ და ვერ ვეწევი..."

ძნელი არ არის შეამჩნიო და გამოსახო დრამატიზმი, როცა კონტრასტულ, აშკარად ურთიერთდაპირისპირებულ მოვლენებთან გაქვს საქმე, რასაც შესანიშნავად ახერხებს ვ. ხარჩილავა ლექსში „ალტერნატივა", მაგრამ შეამჩნიო და გამოსახო მთვლემარე დრამატიზმი ყოფით, იდილიურ, მხიარულ ან სულაც ოპტიმისტურ მომენტსა თუ ვითარებაში, ეს უკვე განსაკუთრებულ ხელოვნებას მოითხოვს. ასეთ დროს აზრი ყოფიერების საფუძვლებს სწვდება და გამოხატვის ფორმაც უჩვეულობის ნიშნით არის აღბეჭდილი, როგორც წესი, პარადოქსულია.

ასეთია ვახტანგ ხარჩილავას უსათაურო ლექსი, რომელიც ამგვარი მიმართვით იწყება: „შენ ყოველივე უწყი და იცი, გახსნა გონებამ მომავლის ფარდა: უკაცური და ხრიოკი სივრცე და არაფერი ნანგრევთა გარდა". ძნელი სათქმელია ვინ არის ეს „შენ", ვისაც პოეტის ეს სიტყვები მიემართება, იგი იდუმალების ბურუსით არის მოცული, მრავალმნიშვნელოვანი სიმბოლოა. ვიცით მხოლოდ, რომ ის „მტანჯველი სიბრძნის" მფლობელია, იგი „ეკლესიასტეს" ავტორს მოგვაგონებს, იმ განსხვავებით, რომ „ამაოთა ამაოების" ღაღადებას მტანჯველ დუმილს ამჯობინებს:

„წლების წიაღში იელვებს წუთით მტანჯველი სიბრძნე და გზას გინათებს, მაგრამ შენ დუმხარ, ან როგორ უთხრა ამ მოკისკისე ბავშვებს სიმართლე; ამ ხუროს, დიად ტაძარს რომ აგებს, ამ მხატვარს, მხატვრელს ღვთაებრივ ფერით, ბაგეს, რომელიც ეკვრება ბაგეს, გოგოს, რომელიც სატრფოს წერს წერილს, როგორღა უნდა უთხრა: — შეჩერდი! როგორ დაუსხა კერაზე წყალი, როცა ზეიმობს ეს ცისქვეშეთი და ყანას თესენ კაცი და ქალი. დე, ნუ დააფრთხობთ არყოფნის ლანდი, იფრინოს წერომ, სივრცეს რომ ელტვის, ერთი დღით ადრე მოკვდები დარდით, მაინც არასდროს არაფერს ეტყვი. ვიზრდები ისევ. მრავლდება წუთი საუკუნედ და მძიმდება ტვირთი. მადლობელი ვარ, შენ როცა დუმდი, შენ როცა დუმდი, მე მაშინ ვქმნიდი. მწვანდება ჩემი მწირი მინდორი, მადლობელი ვარ მთელი არსებით, რომ არ გამწირე და დამიტოვე გზა, ხვალის დღეში გადასასვლელი".

ეს ლექსი, სადაც მეტად ძნელად გამოსახატავი განცდა შესაშური სიზუსტითა და მხატვრული ოსტატობით არის მიტანილი მკითხველამდე, დიდი პოეზიის ყველა ნიშანს ატარებს, იგი ერთ-ერთი საუკეთესოა იმ ლექსთა შორის, რომლებიც ადამიანური ღვაწლის წარმავლობა-წარუვალობის თემაზე შექმნილა.

ამ ლექსების ავტორისათვის არც ზომიერი, დახვეწილი არტისტიზმია უცხო. ლექსი, რომელშიც იგი ახლობლებსა და მეგობრებს თხოვს ერთი ღამით მარტო დატოვონ („თქვენ, დობილებო და ძმაბიჭებო, ამ ღამეს მაინც ნუ მესტუმრებით. მე ჩემს თავს უნდა ვუსმინო მარტო..."), ასეთი ელეგანტური მხატვრული სახით მთავრდება: „ორკესტრანტებო, მოსვლისთვის გმადლობთ, მაგრამ ამ კონცერტს ასრულებს სოლო".

განმარტოების ასეთი მონატრება, რაც ვ. ხარჩილავას სხვა ლექსებშიც იჩენს თავს, ახირება და პოზა როდია, პოეტის განმარტოებას ღრმა საფუძველი აქვს, ამგვარი განრიდება ადამიანებისაგან, მათთან უფრო მეტად მიახლოების საწინდარია. ეს აზრი ნათლად არის გამოთქმული ვახტანგ ხარჩილავას ლექსის „პოეტის" ბოლო სტრიქონებში, სადაც იგი აცხადებს, რომ შემოქმედს „...სიშორე და მანძილი სჭირდება მუდამ, რომ დაგინახოთ ყველა ერთად და შეუყვარდეთ".

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# სპორტი

დავით ჭელიძე

## გზის გამკვალავი

ფენომენ-ი [ბერძ. Phaisomenon მოვლენილი] 1. იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენა (არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანზედაც იტყვიან).

ძნელი დავალება მომცა „ცისკრის" რედაქციამ — წერილის დაწერა დამავალა ქართულ ჭადრაკზე. თითქოსდა, რა არის ამაში ძნელი — საქართველოს ხომ სხვაგვარად საჭადრაკო მხარესაც ეძახიან, ასეთი გამოთქმაც ხომ შემოვიდა კარგახანია — „ქართული ფენომენი". მაშ, რა სირთულეზე შეიძლება ლაპარაკი?

არადა, სირთულე მართლაც არის, და მერე როგორი! დაწყებული ნონა გაფრინდაშვილიდან, ყოველ დღე თუ არა, ყოველ თვე მაინც მოგვდის ჩვენი მოჭადრაკე ქალებისა თუ გოგონების სხვადასხვა წარმატებების მაუწყებელი ამბები. იმდენი ნიჭიერი მოჭადრაკე მანდილოსანი დაგვიგროვდა, კაცს გეშინია კიდეც ვინმე არ გამომრჩესო. ჰოდა, ასეთ დროს, გასაგებია, რა ძნელია თითოეულის შემოქმედებაზე საუბარი, თუნდაც გაკვრით, ზოგადად...

როცა ქართულ კალათბურთზე საუბრობენ, ზურაბ საკანდელიძეს, მიხეილ ქორქიას, გუშინდელ და დღევანდელ „დინამოს" ახსენებენ, ნებსით თუ უნებლიედ, სიტყვა სულიკო თორთლაძეზე გადადის ხოლმე, ქართული კალათბურთის ამაგდარზე, შესანიშნავ ადამიანსა და აღმზრდელზე, რომელმაც, თავისი ნამდვილი უდროო წასვლით ძალიან ბევრს დასწყვიტა გული. სულიკო თორთლაძის პიროვნებასთან როგორღაც ახლოს დგას ვახტანგ ქარსელაძე — ქალთა ქართული ჭადრაკის აკვნის დამრწევი. თუნდაც ის, რომ ორივე რიონის ნაპირებზე გაიზარდა, ისიც, რომ ორივე შესანიშნავი აღმზრდელი, პედაგოგი (და მხოლოდ მერელა — მწვრთნელი) იყო; ორივე ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან — სულიკო თორთლაძე სამოცდაორი წლისა, ვახტანგ ქარსელაძე კიდევ უფრო ახალგაზრდა — ორმოცდარვისა...

ქალთა ქართულ ჭადრაკზე საუბარი, ალბათ, ყოველთვის ვახტანგ ქარსელაძით უნდა დაიწყოს... სხვაგვარად უხერხულიც კი იქნება. აბა, დღევანდელ ჩვენს ძიუდოზე ვილაპარაკოთ და ბიძინა მაზიაშვილზე არაფერი ვთქვათ?! ეს ხომ ისეთივე დანაშაულია, როგორც, ვთქვათ, ნებისმიერი სპორტული მიღწევის დავიწყება ან უგულებელყოფა.

... არცთუ იშვიათად, ამ ადამიანებზე საუბარს ზერელედ, ვალის მოხდის მიზნით ვიწყებთ ხოლმე. არადა, ვახტანგ ქარსელაძე ისეთი ადამიანი, პედაგოგი და, გნებავთ, მოაზროვნეა, რომ ალბათ, ხანდახან მაინც უნდა ვახსენებდეთ მისი ცხოვრების უმნიშვნელოვანეს ეპიზოდებს ახალ-ახალ თაობებს, ვინაიდან მათ, ამ ახალმა თაობებმა ვახტანგ ქარსელაძე მხოლოდ სახელითა და გვარით იციან, და კიდევ იმით, რომ მან ნონა და ნანა აღზარდა. კი მაგრამ, მეტი რაღაა საჭირო, ეს თუ იცის კაცმა რას ერჩი, დილეტანტისთვის ესეც საკმარისიაო, ბევრი იტყვის. არ არის საკმარისი. ასეთი ადამიანების დავიწყების უფლება ჩვენ არა გვაქვს. არა გვაქვს თუნდაც იმიტომ, რომ მათი ცხოვრების წესი და უაღრესი კეთილშობილება ის აუცილებელი თვისებებია, რასთან მიახლოებაც უსათუოდ სჭირდება ყველა ჩვენთაგანს.

„...რამდენიმე თვის შემდეგ ნანა (ალექსანდრია) კიევს გაემგზავრა, სსრ კავშირის ჩემპიონატის ნახევარფინალში სათამაშოდ. როგორც ყოველთვის, დედასთან ერთად გაემგზავრა, მაგრამ თავისი ძვირფასი მასწავლებელი აღარ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ახლდა. ნახევარფინალში მან შესანიშნავად ითამაშა — ტურნირის დამთავრებამდე რამდენიმე ტურით ადრე გაინაღდა პირველი ადგილი. თბილისში რომ დაბრუნდა, ნანა მაშინვე საავადმყოფოში გაიქცა, სადაც ქარსელაძე იწვა. იგი უკვე ძლივს ცნობდა გარშემომყოფთ. როცა ნანა შევიდა და უხმოდ გაირინდა საწოლთან, ვახტანგმა ოდნავ გაახილა თვალები, ტუჩების კუთხეებით ძლივს გაიღიმა, ენა გაატკლაცუნა, ოდნავ შესამჩნევად შეარხია თავი და წაიჩურჩულა: „ნანუკა, ყოჩაღ, ნანუკა“! მუდამ ასე ეუბნებოდა ნანას, როცა მისი კმაყოფილი იყო...

1966 წლის დეკემბერში ნანა კვლავ დაბრუნდა კიევიდან, ამჯერად უკვე საბჭოთა კავშირის ჩემპიონის წოდებით. ბატონ ვახტანგს სამი თვე არ დასცალდა, რომ თავისი საყვარელი მოწაფის ტრიუმფს მოსწრებოდა. მატარებლიდან ნანა, თავის ახალ მწვრთნელთან ბუხუტი გურგენიძესთან ერთად, პირდაპირ ტელესტუდიაში წაიყვანეს, იქიდან კი მაშინვე ქარსელაძის ქვრივთან წავიდა და გვიან ღამემდე იჯდა უნუგეშო თამართან.

როცა, ბოლოს და ბოლოს, შინ მივიდა, გიორგი ალექსანდრიამ, რომელსაც ერთი თვე არ ენახა შვილი და ენატრებოდა, ნაზად გადაუსვა თავზე ხელი ნანას, მას ესმოდა, რომ ქალიშვილი სწორად მოიქცა, ისე, როგორც გული კარნახობდა, ესმოდა, რომ იმ საღამოს თამარ ქარსელაძეს მეტი უფლება ჰქონდა ნანაზე, ვიდრე თვით მას, მამას...“

ალბათ, გასაგებია, რატომ მოვიტანე ეს პატარა ნაწყვეტი ცნობილი საბჭოთა ჟურნალისტის ვიქტორ ვასილიევის წიგნიდან „მოზღვავებული სიკეთე“, რომელიც მან ვახტანგ ქარსელაძეს მიუძღვნა.

... „ქარსელაძე ბავშვებს დილიდან გვიან საღამომდე ამეცადინებდა, არად აგდებდა იმას, რომ ბევრ ზედმეტ საათს მუშაობდა. საღამოობით საჭირო იყო მისი შინ წაყვანა, იმიტომ, რომ დრო ავიწყდებოდა და შეეძლო ბავშვებთან ერთად დაღამებამდე მჯდარიყო. ზოგჯერ მისი მოსწავლეები ღამითაც მიდიოდნენ მასთან შინ, გადადებული პოზიციის გასაანალიზებლად, და ისიც სიამოვნებით მიუჯდებოდა ხოლმე დაფას“... (ამას კი ნონა გაფრინდაშვილი იგონებს).

ვახტანგ ქარსელაძის ცხოვრებას იღბლიანს ვერ ვუწოდებთ, ბედნიერი წუთებიც კი არ ჰქონია ბევრი. ნიჭიერი ბავშვი იყო. მუსიკა უყვარდა ძალიან და პედაგოგებიც კარგ მომავალს უწინასწარმეტყველებდნენ. პარალელურად, მუსიკალურ სკოლაში სწავლობდა, მაგრამ, თანდათან, მაღალ კლასებში, ჭადრაკმა გაიტაცა, ხოლო მერე და მერე, ისე ღრმად ჩაითრია, რომ ვახტანგს არც მუსიკისთვის და აღარც სხვა საგნებისთვის აღარ ეცალა. ის კი არადა, მუდმივ ფრიადოსანს მერვე კლასში რამდენიმე საგანში საშემოდგომო გამოცდაც გამოყვა (თუმცა, მერე მოინდომა და ყველა დარჩენილ საგანში ხუთიანი მიიღო). მუსიკალური სასწავლებლის დიპლომის აღებამდე ვახტანგს ერთი წელიღა აკლდა, მაგრამ დიპლომისთვის ხომ არ გააგრძელებდა?.. და მიატოვა მუსიკა, თუმცა მისი მოკრძალებული სიყვარული მაინც ბოლომდე შერჩა.

ვახტანგ ქარსელაძემ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტზე შეიტანა საბუთები. მათემატიკური საგნების არაჩვეულებრივი ნიჭი აღმოაჩნდა და ამხანაგებმაც ხუმრობით „პროფესორი“ შეარქვეს. ასტრონომიაც ძალიან უყვარდა, სიცოცხლის ბოლო წლებში ღამ-ღამობით ხშირად კითხულობდა ასტრონომიულ წიგნებს...

ისეთი შთაბეჭდილება რომ არ შეიქმნას, თითქოს ვახტანგი ცალმხრივად განვითარებული პედანტურად აკურატული და მუდამ სერიოზული ახალგაზრდა იყო, იმასაც გავიხსენებთ, რომ, დაინახავდა თუ არა ვახტანგი თანატოლ ბიჭებს, რომლებიც ვაჟკაცობის დასამტკიცებლად რესტორან „იალტის“ სახურავიდან რიონის ბობოქარ ტალღებში ხტებოდნენ, მაშინვე ამოუდგებოდა მხარში. უნივერსიტეტში სწავლისას კი კრივითაც დაინტერესდა. ბუნებრივია, შესანიშნავად ცურავდა და საერთოდ ფიზიკურად ძალიან ძლიერი და გამძლე იყო...

...ვახტანგმა ვერც უნივერსიტეტი დაამთავრა. მეხუთე კურსზე იყო, ომი რომ დაიწყო. სრული უფლება ჰქონდა, დაემთავრებინა უნივერსიტეტი და მხოლოდ ამის შემდეგ წასულიყო ფრონტზე, მაგრამ ვახტანგს ეს აზრადაც არ მოსვლია...

ომიდან ვახტანგი თითქმის ნახევარკაცი ჩამოვიდა; ნახევარკაცი არა ფიზიკურად, არამედ სულიერად, მორალურად მოტეხილი. 1943 წელს იგი რამდენჯერმე მძიმედ დაიჭრა, შემდეგ კი ტყვედ ჩაუვარდა ფაშისტებს. რამდენჯერ ეკიდა მისი სიცოცხლე ბეწვზე, ღმერთმა უწყის. ორჯერ გაქცევაც კი სცადა მეგობრებთან ერთად, მაგრამ ორივეჯერ უიღბლოდ. ძლივს გადაურჩა სასჯელს ასეთი ურჩობისათვის... სათქმელად იოლია... ომიდან რომ დაბრუნდა, არავითარი ჯილდო არ მიუღია. აქ ალბათ უადგილო არ იქნება ქარსელაძის ფრონტელი ამხანაგის სოლომონ რაზმაძის მონაყოლი რომ გავიხსენოთ: ე. წ. კანტემიროვსკის კორპუსმა, რომელშიც ქარსელაძე იბრძოდა, გაათავისუფლა ბუტურლინოვკა, კანტემიროვკა, კონსტანტინოვკა, კრამატორსკი, სლავინსკი, გორლოვკა და 1943 წლის თებერვალში კრასნოარმეისკოეში შეიჭრა. მაგრამ აქ გამოილია საწვავი, საბრძო-

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლო მასალა და როცა მტრის ჯარმა კონტრშეტევა დაიწყო, მჭიდროდ გარშემოერტყა კორპუსს. კორპუსი იძულებული გახდა ყრუ დაცვაზე გადასულიყო. ქარსელაძე და მისი ბატარეის ამხანაგები რვა დღე და ღამე უმძიმეს ქუჩის ბრძოლებში მონაწილეობდნენ. საჭირო იყო გაერღვიათ მტრის ალყა და იქაურობას გასცლოდნენ..

როცა მეწინავე ნაწილი უკვე რკინიგზის ლიანდაგზე გადავიდა, მახლობელი ტყიდან გერმანელების რამდენიმე ტანკი გამოვიდა და სროლა აუტეხა.

ყველა მიწაყრილს ეცა და მის უკან გაწვა. მდგომარეობა უიმედო ჩანდა — ტანკები თანდათან უახლოვდებოდნენ. სწორედ ამ დროს დაჭრილმა ქარსელაძემ კოჭლობით მიირბინა თავის მეთაურთან და მეგობართან სოლომონ რაზმაძესთან: „მოდი, ვისროლოთ! მე და შენ მეიმიზნეებად, ბიჭებს კი ვიშოვით!“ და გამოხტნენ საფარიდან, ქვემეხთან მიირბინეს და დაუმიზნეს. კიდევ რამდენიმე ჯარისკაცმა მიირბინა მათთან. მესამედ რომ გაისროლეს, მეწინავე ტანკს მოხვდა და დაიწვა. თითქოს ბრძანებას ასრულებენო, დანარჩენი ტანკები მოტრიალდნენ და ტყეს შეეფარენ. „ამისათვის მე დამაჯილდოვეს, ის ჯარისკაცებიც, ჩვენ რომ გვეხმარებოდნენ. ვახტანგი კი...“ (მართლაც იოლია სათქმელად!).

მოდით, მოვიგონოთ, ვახტანგს მუსიკალური სასწავლებლის დიპლომი არ აულია; უნივერსიტეტი მაშინ მიატოვა, ბოლო კურსზე რომ იყო. მართალია, ფრონტიდან დაბრუნების შემდეგ აღიდგინა თავი უნივერსიტეტში, მაგრამ საგრძნობლად ახალგაზრდა, და არა მარტო ასაკით, ცხოვრებისეული გამოცდილებით ახალგაზრდა თანაჯგუფელებთან და თანაკურსელებთან ყოფნა გაუჭირდა. ტყვეობის დაღიც რომ ჰქონდა, ეჭვიანი გახდა და სულ ეგონა, სხვა თვალით მიყურებენო.

...ძიების ხანა დაუდგა ვახტანგ ქარსელაძეს — საკუთარი თავი უნდა ეპოვა. ბევრი ნახა, ბევრი გადაიტანა, საკმაო გამოცდილება დაუგროვდა. ეხლა რაღაც სერიოზული საქმისთვის უნდა მოეკიდა ხელი.

ვახტანგმა რამდენიმე ადგილი გამოიცვალა სანამ თბილისის პიონერთა სასახლის ჭადრაკის წრეში დაიწყებდა მუშაობას. „ძლივს არ გამიჩნდა ისეთი საქმე, რომელსაც შემიძლია დაუნანებლად შევწირო სიცოცხლე...“, უთქვამს ვახტანგს და მართლაც შესწირა, დღე და ღამეს ასწორებდა, მთელი გატაცებით მუშაობდა, დასვენება არ იცოდა რა იყო, საუზმე და სადილი; ზემოთ ნონას ნათქვამი მოვიტანე, დრო ავიწყდებოდა და შეეძლო ჭადრაკის დაფასთან და ბავშვებთან დილამდე მჯდარიყო, ერთი სიტყვით, ვახტანგმა იპოვა საკუთარი თავი... და სხვაც — ბევრი იპოვა, ძალიან ნიჭიერი გოგონები და ვაჟები დააფრთიანა, მაგრამ ორი მათგანი სხვა იყო — ნონა და ნანა.

ზემოთ ვთქვით, უიღბლო კაცი იყო ვახტანგ ქარსელაძე, ბედნიერი წუთები ბევრი არა ჰქონდაო. ასეც გახლავთ, მაგრამ იმ დღიდან, როცა მან ნონა იპოვა (თუმცა, მას შემდეგაც ბევრი მძიმე წუთი ჰქონდა, ბევრი დრამატული სიტუაცია გაიარა), ასე ეგონა, ხელახლა დაიბადა. პატარა ნონა რომ თამაშობდა, ვახტანგი მეგობრებს იწვევდა მის სანახავად, შეხედეთ, ვინ ვიპოვე, ეს გოგონა მსოფლიოს ჩემპიონი გახდებაო...

თავისებური მიდგომა იცოდა ვახტანგმა ბავშვებთან. უცებ გაუშინაურდებოდა, შვილივით შეიყვარებდა. აი, რას ამბობს ნანა ალექსანდრია: „მე, რა თქმა უნდა, ადვილად დამწამებთ მიკერძოებასა და არაობიექტურობას. ბატონი ვახტანგი ჩემთვის მარტო მასწავლებელი კი არ იყო, რომელმაც ქვეყნის ჩემპიონატში გამარჯვებამდე მიმიყვანა, — იგი ჩემი მეორე მამა გახლდათ, ჩემი სულიერი მოძღვარი. ეხლა მის ადგილზე ვმუშაობ, ბევრ მწვრთნელთან მაქვს ურთიერთობა. მათ შორის საკმაოდ ბევრია ნიჭიერი, თავისი საქმის მოყვარული ადამიანი, რომელთაც უდავო წარმატებები აქვთ მოპოვებული. მაგრამ, უნდა გითხრათ, ბატონი ვახტანგის მსგავსი არავინ მეგულება. მარტო იმიტომ კი არა, ყველაფერს დაუშურველად რომ გადასცემდა ბავშვებს. არც დროზე ფიქრობდა და არც გრაფიკზე, არც საათს უყურებდა, — ეს თავისთავად. ბატონი ვახტანგი დიდი პედაგოგი გახლდათ, ბრწყინვალედ იცოდა სწავლების მეთოდიკაც და ბავშვების ფსიქოლოგიაც. ეხლა სალად, ბავშვური გალმერთების გარეშე რომ ვაფასებ მის მეთოდებს, გაოცებული ვარ, რამდენი იცოდა და როგორ შეეძლო თითოეული ბავშვის ბუნებაში გარკვეულიყო“.

ნურავის გაუკვირდება, ვახტანგ ქარსელაძემ, ერთი შეხედვით, ასე ადვილად რომ აუღო ალღო მწვრთნელად მუშაობას. მწვრთნელობა არც ისე იოლი პროფესია გახლავთ. ვიქტორ ვასილიევი იგონებს ვახტანგის მონაყოლს: პიონერთა სასახლეში ჭადრაკის მწვრთნელად რომ ვმუშაობდი, პირველ წლებში ბევრ რამეს ხელის ცეცებით ვაკეთებდი, კეთილსინდისიერად, ყველას ერთნაირად ვასწავლიდი იმას, რაც თვითონ ვიცოდი. ვახტანგი თვითონ ხვდებოდა, რომ, როგორც მეთოდისტს, ჯერ კიდევ ძალიან აკლდა გამოცდილება და ამან აიძულა მთლიანად ჩაფლულიყო წიგნებში. მან არამარტო პედაგოგიკა შეისწავლა, არამედ პედაგოგიკის ისტორიაც, შეისწავლა ფსიქოლოგია, რამაც მათემატიკის ცოდნასთან ერთად, საშუალება მისცა შეექმნა ჭაბუკი მოჭადრაკეების მომზადების თითქმის საკუთარი, მეცნიერულად დასაბუთებული სისტემა.

რა იმალებოდა ამ სისტემის უკან? ვფიქრობ, ის, რომ ვახტანგ ქარსელაძე, გარკვეული მოსა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მზადებელი პერიოდის შემდეგ თამამად ათამაშებდა აღსაზრდელებს უფროსთა ტურნირებში. არცთუ იშვიათად, წინააღმდეგობასაც აწყდებოდა. ახე მაგალითად, როცა ქარსელაძის დაჟინებული მოთხოვნით ჩიქოვანი და მაჭავარიანი საქართველოს პირველობის ნახევარფინალური ტურნირის მონაწილეთა შორის ჩართეს, გამოცდილი ოსტატი სოროკინი წინააღმდეგი იყო — არასერიოზულ წამოწყებად მიაჩნდა ეს. მაგრამ ჩიქოვანმა თვით სოროკინი დაამარცხა, მაჭავარიანმა კი გურგენიძეს მოუგო, რომელსაც მანამდე რვა პარტია ჰქონდა მოგებული.

ვახტანგ ქარსელაძეს კიდევ ერთი თაოსნობა ეკუთვნის. იგი გახდა მოთავე ვაჟთა ტურნირებში ქალების მონაწილეობისა, თუმცა დღეს უკვე არარავის უკვირს ეს, პირიქით, მგონი მოსაწყენიც კია ისეთი ვაჟთა ტურნირები, სადაც ქალები არ თამაშობენ.

ქარსელაძე არასოდეს სცდილა მოწაფის თამაშის სტილი შეეცვალა, დანაშაულადაც კი მიაჩნდა ეს. იგი ამ სტილს თავისას უხადაგებდა, ისეთ დავალებებს აძლევდა ბავშვებს, მათ ბუნებასთან ახლოს რომ ყოფილიყო.

საოცარი მეგობრობა იცოდა ბავშვებთან, ოღონდაც თავის მოწაფეს ნიჭი და ჭადრაკით დაინტერესება გამოეჩინა. იგი ბრწყინვალე ფსიქოლოგი იყო, უმალ გაუგებდა ხოლმე თავის აღსაზრდელებს. მან თანამოაზრეებად გაიხადა ბავშვები.

კიდევ ერთ მნიშვნელოვან თვისებაზე მინდა შევაჩერო მკითხველის ყურადღება. საოცრად კეთილშობილი კაცი იყო ვახტანგ ქარსელაძე. მისი ერთი ფრონტელი მეგობარი იგონებდა, თუ როგორ უნაწილებდა თავისი მეტად მწირი ულუფიდან ნახერხგარეულ პურის ნატეხებს ან ჭარხლის შეჭამადს დისტროფიკებს ვახტანგი, რომელმაც ტყვეობაში ძლივსძლივობით დააღწია თავი სიკვდილს და გადარჩენის იმედიც დიდი არ ჰქონდა. მაგრამ ბანაკში ხომ მასზე უფრო მძიმე მდგომარეობაშიც იყო ხალხი?! რამდენჯერმე ვეცადე გონს მომეყვანა ვახტანგიო, იგონებს გაჩეჩილაძე, მაგრამ ის მპასუხობდა: „ხედავ, რა მშიერი თვალებით გვიყურებენ?“ გაჩეჩილაძემ ველარ გაუძლო იმას, რომ ვახტანგი თავის ულუფას სხვებს უნაწილებდა, თვითონ კი დნებოდა და ტყვეების პარხვას მიჰყო ხელი; სამაგიეროდ მას პურის ქერქებს აძლევდნენ, რომელიც ვახტანგისთვის მიჰქონდა, გამომართვი, მე გამოვიმუშავეო...

დაუსრულებლად შეიძლება ვახტანგ ქარსელაძეზე საუბარი, საინტერესო ამბების გახსენება, მაგრამ ვატყობ, ისედაც გამიგრძელდა სიტყვა. ეხლა, როცა სულ მალე დაიწყება პრეტენდენტთა მატჩები, მთელი საჭადრაკო სამყაროს ყურადღება კვლავ ქართველი მანდილოსნების მხარეს იქნება — ნანა ალექსანდრია და ნანა იოსელიანი პირდაპირ პრეტენდენტთა მატჩებში არიან დაშვებული, როგორც წინა ციკლის ფინალური მატჩის მონაწილენი, ნონა გაფრინდაშვილმა, როგორც ვიცით, ივლისში ბადკისინგენში გამართულ საზონათშორისო ტურნირში მოიპოვა მატჩებში თამაშის უფლება, ალბათ, უფროსი მეგობრის გზას გაჰყვება ნინო გურიელიც, რომელიც თბილისის საზონათშორისო ტურნირში თამაშობს სექტემბერში (მკითხველს რომ ეს ნომერი მიუვა, ნინო უკვე გამარჯვებული წაიკითხავს მას). ჰო, კინაღამ გამომრჩა, ხუმრობაგაშვებით (წერილის დასაწყისში ტყუილად კი არ ვშიშობდი, ვინმე არ გამომრჩეს-მეთქი) — და მაია ჩიბურდანიძე, რომელიც, დარწმუნებული ვართ, ისევ თავის თანამემამულე მოწინააღმდეგის მოლოდინშია.

ჰოდა, ასეთ დროს როგორ არ გაგვეხსენებინა ვახტანგ ქარსელაძე, ხუთივე ზემოჩამოთვლილი სპორტსმენის, მსოფლიოს საუკეთესო მოჭადრაკეების სულიერი მოძღვარი. გზის გამკვალავი, ლამპრის დამნთები!

დასაწყისში თავს ნება მივეცი უცხო სიტყვათა ლექსიკონის დახმარებით სიტყვა ფენომენი გამეშიფრა. ჩვენ ვიცით, რომ კარგა ხანია ჩვენი მოჭადრაკე მანდილოსნების, საერთოდ ამ მოვლენის ეპითეტად შემოვიდა ეს სიტყვა. მართლაც იშვიათი, უჩვეულო, განსაკუთრებული მოვლენაა ჩვენში საჭადრაკო მოძრაობა, მაგრამ სიტყვის მნიშვნელობას ბოლომდე თუ გავშიფრავთ, ვნახავთ, რომ სიტყვა ფენომენს არაჩვეულებრივი ნიჭის ადამიანის ეპითეტადაც იყენებენ. დღეს ჩვენ სწორედ ასეთ ადამიანზე ვისაუბრეთ და მოდით, შევთანხმდეთ, რომ ამ კაც-ფენომენიდან იწყება ყველა ის საქები სიტყვა, ეპითეტი, სიმღერა თუ ლექსი, სადღეგრძელო, რაც ჩვენი მოჭადრაკე მანდილოსნებისთვისაა განკუთვნილი... ნონა გაფრინდაშვილმა თქვა კარგა ხნის წინ: „...მთავარი კი ისაა, რომ ქარსელაძემ შექმნა საქართველოში ქალთა საჭადრაკო სკოლა-ფენომენი, ჭადრაკის ისტორიაში არნახული შემთხვევაა, რომელიც საეჭვოა ოდესმე განმეორდეს, როდესაც ერთი და იგივე მწვრთნელის ორი მოსწავლე ხვდება ერთმანეთს მატჩში მსოფლიო პირველობაზე“. ეს კარგა ხნის წინ იყო. მას შემდეგ კიდევ მრავალი უჩვეულო მოვლენის წინაშე დაგვაყენა ქართველი ფენომენის — ვახტანგ ქარსელაძის — არაჩვეულებრივმა ნიჭმა... და კიდევ ვინ იცის!...

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ცოტა რამ „ცისკრის“ ახალგაზრდა ავტორებზე

**ბრეგაძე ლ. ს.** დაიბადა 1947 წელს, ტყიბულში. ლიტერატურისმცოდნე, კრიტიკოსი. 1971 წელს დაამთავრა თსუ ჟურნალისტიკის განყოფილება. მუშაობს ალმანახ „კრიტიკის“ პასუხისმგებელ მდივნად. ავტორი წიგნისა „პერსონაჟები ხვდებიან ერთმანეთს“ (1982). გამოქვეყნებული აქვს წერილები და შრომები თანამედროვე ქართულ ლიტერატურაზე, ლიტერატურის თეორიაზე, გერმანულ-ქართულ და ფრანგულ-ქართულ ლიტერატურულ ურთიერთობებზე.

**დავით მჭედლური** დაიბადა 1947 წ. დუშეთის რაიონის, სოფ. მიგრიაულთაში.

1970 წ. დაამთავრა თბილისის პუშკინის სახ. პედ. ინსტიტუტის ისტორიის ფაკულტეტი.

პირველი ლექსები დაბეჭდა „ცისკარში“ 1970 წელს.

პირველი წიგნი „პირიმზითი“ გამოვიდა 1975 წელს, მე-2 — 1980 წელს, მე-3 — 1982 წ.

მუშაობს საქართველოს რადიოს მხატვრულ გადაცემათა რედაქციის მთავარი რედაქტორის მოადგილედ.

**გულო კობიაშვილი** დაიბადა 1949 წელს, ყაზბეგის რაიონის სოფელ ყანობში.

1972 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი.

მუშაობს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის სახელმწიფო წიგნის პალატაში რედაქტორად.

მისი პირველი მოთხრობები დაიბეჭდა 1980 წელს ჩვენს ჟურნალში.

**როსტომ ჩხეიძე** დაიბადა 1959 წელს. თბილისში. 1981 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტი. მისი თარგმანები და წერილები ხშირად ქვეყნდება რესპუბლიკურ ლიტერატურულ პრესაში.

მუშაობს გაზეთ „ლიტერატურულ საქართველოს“ რედაქციაში.

**ამირან გომართელი** დაიბადა 1946 წელს. 1969 წელს დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტი. გამოქვეყნებული აქვს წერილები ვ. ბარნოვის, კ. გამსახურდიას და ო. ჭილაძის შემოქმედებაზე.

მუშაობს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში — უახლესი ქართული ლიტერატურის ისტორიის კათედრაზე.

**ჩვენი მისამართი:** თბილისი, 380007, დადიანის ქ. № 2.

ტელეფონები: მთავარი რედაქტორი — 99-85-81. მთ. რედაქტორის მოადგილე — 72-26-82, მდივანი — 72-44-78, განყოფილებათა გამგეები — 72-26-85, პროზის — 72-26-30, ლიტერატურული თანამშრომლები — 72-47-62, „ცისკრის“ დამატება — 72-17-01, საკორექტორო — 72-43-75.

გადაეცა ასაწყობად 14. 07. 82 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 30. 08. 82 წ., ქაღალდის ზომა 70×108. ფიზიკურ ფორმათა რაოდენობა 10. პირობით ფორმათა რაოდენობა 14. სააღრ.-საგ. თაბახი 15.85. შეკვ. № 1758. უე 13129. ტირაჟი 52.700.

საქართველოს კპ ცკ-ის გამომცემლობის სტამბა, თბილისი, ლენინის 14.

Типография издательства ЦК КП Грузии, Тбилиси, ул. Ленина, 14

53555
ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 60 კაპ. ინდექსი 76286

*ЕЖЕМЕСЯЧНЫЙ ЛИТЕРАТУРНО-ХУДОЖЕСТВЕННЫЙ И ОБЩЕСТВЕННО-ПОЛИТИЧЕСКИЙ ЖУРНАЛ*

**«ЦИСКАРИ»**

**ИЗДАТЕЛЬСТВО ЦК КП ГРУЗИИ**